

K 181302
3



საქართველოს
ისტორიული გეოგრაფიული
კრიტიკი
საკითხები

* გვ. 60 ერთება *

1980

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია



ი. ჭავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და მთელი სამეცნიერო მიმღებობას
ისტიტუტი

მეცნიერებების
მიმღებობა

დ. მუსეალიზაციი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ წ ს
ისტორიული გეოგრაფიის
პირითადი საკითხები

II

საკებ-2000
გეოგრაფიულის



გეოგრაფიულის „მეცნიერება“

თავისუფალი

1980

3 (C.922) 11 513.1 (479 22)

საქართველოს ისტორიული მუზეუმი

თბილისი
ბიბლიოთეკა

902.9 (C 41)

911 (47.922)


2 936


მონოგრაფია შეორე ნაწილია მსტარიულ-გეოგრაფიული შტრუდისა, რომელშიც გაშეუძლია საქართველოს ფონდალური მონარქიის ტერიტორიის წარმოქმნის ისტორიული პროცესი. ჭრის დროში განხილული აქ დიდი პრობლემის ქრონილოგიური პერიოდი მოიცავს VI—X საუკუნეებს. გამოკვლეულია როგორც ეგრისის სამთავროს და ქართლის საერთო მთავრობა (VI—VIII ს.) და მთ საუკუნეებზე შექმნილი ცალკეული ფეოდალური სამეფო-სამთავროების (IX—X ს.), პოლიტიკური საზღვრების ცალკეული ძობის ისტორია, ასევე შინაგანი ისტორიულ-გეოგრაფიული (ეკონომიკური, სოციალური და ეთნოგრაფი) პროცესის განვითარება, კერძოდ, აღრეცხვალური პერიოდისათვის დამახასიათებელი „ხევების“ მეტამორფოზი ფეოდალურ „ქვეუნებად“, რომელთა თანახმად გაერთიანებას წარმოადგენდა XI ს. დასაწყისში წარმოქმნილი „საქართველო“.

K 181 302

2 — 10602
M 607 (06)—80 183—80

© ვამომცემლობა „შეცნიერება“, 1980.





კუმლენი
ლეგან მესხელმწიფო უნივერსიტეტი
ნათელ ხელგაზის დამსახურება

ვ 0 6 ა ს ი ტ ჟ ა

წინამდებარე ნაშრომი მეორე ნაწილია მონოგრაფიისა, რომელშიც შეძლებისდაგვარად გამოკვლეულია ფეოდალური საჭართველოს სახელმწიფო ტერიტორიის წარმოქმნის ხანგრძლივი პროცესი, დაწყებული უძველესი დროიდან ვიდრე XI ს. დასაწყისამდე, პირველ ნაწილში, რომელიც უკვე გამოქვეყნდა (იხ. დ. შუსტელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, 1977), ზემოხსენებული პრობლემის კვლევა მოტანილია V ს-მდე, როდესაც ვახტანგ გორგაძესალის ენერგოული მცდელობის შედეგად ქართლის სამეფომ შემოიტაცია დასავლეთით ეგრისი (დას. საქართველო) და აღმოსავლეთით პერეთი (დას. ალვანეთი). საქართველოს ისტორიული ცენტრისა და თვალსაზრისით ეს პერიოდი უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპი იყო.

მკითხველის სამსახუროდ ამჟამად წარმოდგენილი გამოკვლევის საკითხების სფერო VI—X სს-ით არის შემოფარგლული. ამ პერიოდის ბოლოს პროვინციულ სამეფო-სამთავროებად გათიშული ქვეყანა კვლავ ერთიანდება ცენტრალიზებულ ფეოდალურ სახელმწიფოდ, რომელსაც, ახალი ეპოქის მოთხოვნილებისდა შინებდეთ, ახალი კულტურულ-პოლიტიკური სახელწოდებაც გამოეცება — „საქართველო“.

სულ ახლახან, ატენის სიონის შესანიშნავი ფრესკული წარწერის გამოქვეყნების შემდეგ, ცხადი გახდა, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო VIII ს. პირველ ნახევარშიც (თუ უფრო ადრე არა) გაერთიანებული ყოფილია (იხ. გ. აბრამიშვილი, სტეფანიშ მამთალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, 1977). ეს ჩვენ ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ საქართველოს გაერთიანების ხანგრძლივი პროცესი მყარ შინაგან ფაქტორებს ემყარებოდა და უძველესი დროიდანვე გაპირობებული იყო არა მხოლოდ პოლიტიკური ვითარებით, არამედ სოციალური განვითარების უფრო ძირეული ასპექტებითაც. სწორედ ამის ჩვენებას ისახავს მიზნად წინამდებარე ფამოკვლევა.

პირველი წიგნის შინასიტყვაში უკვე იყო მითითებული, რომ
მონოგრაფიას წერა დასრულდა 1972 წელს. ტექსტი ტექსტისას მიზეზების გამო იძექდება მცირეოდენი შემოკლებით.

იქვე აღნიშნული იყო ისიც, რომ მონოგრაფიაზე მუშაობის
დროს დაერწმუნდით საქართველოს ისტორიის დღეს მიღებული
პერიოდიზაციის გადასინჯვის საჭიროებაზე. კერძოდ, ჩვენი რწმენით,
სოციალური ევოლუციის ის მნიშვნელოვანი პროცესი, რო-
მელიც ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით VIII ს. შუახა-
ნისათვის ფეოდალურ „ქუეყანათა“ სისტემის ჩამოყალიბებით
დასრულდა, აშკარა მაუწყებელია იმისა, რომ გართველი ხალხი
ამიერიდან განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის საფე-
ხურჩე შედგა. საგანგებოდ ამ დიდ საკითხე სხვაგან ვსაუბ-
რობთ! სწორედ ამიტომ წინამდებარე გამოკვლევაში ტრადიციუ-
ლი პერიოდიზაციის ფარგლებში ვრჩებით და VIII—X სს. მო-
ნაკვეთს კვლავ „ადრეფეოდალურ პერიოდს“ მივაკუთვნებთ.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომში წამოყენებული
რიგი არსებოთი დებულებების არგუმენტირებისას ფართოდ არის
გამოყენებული ამიერკავკასიის ნუმიზმატიკური მასალა, რომლის
საფუძველზეც ჩვენ მიერ შედგენილია ორი რუკა (№№1 და 3).
ამ რუკების შედგენისას, გარდა სპეციალური ლიტერატურისა,
ვისარგებლეთ აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო
მუზეუმის ნუმიზმატიკური განყოფილების არტოოფეკით. საამი-
სო თავაზიანი ნებართვა მივიღეთ განყოფილების აწ განსკვენებუ-
ლი გამგის პროფ. დ. კაპანაძისაგან, რომელიც ამდენად დიდი მად-
ლიერებით გვიჩდა მოვისქნით. მაღლობა გვინდა გადაუუხადოთ
კონსულტაციებისათვის აგრეთვე იმავე განყოფილების უფრ. მეცნ.
თანამშრომელს თ. აბრამიშვილს და განსაკუთრებით აკად. ივ. ჯა-
ვახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-
სტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელს ირ. ჯალაღანიას, რომელ-
მაც ამას გარდა, ჩვენი მიზნებისათვის საკუთარი ნუმიზმატიკური
კარტოთეკით სარგებლობის ნებაც დავვრთო.

¹ იბ. დ. მუსხელიშვილი, ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის
პერიოდიზაციისთვის (IV—X საკურნები). „მაცნე“, ისტორიის სერია, № 2, 1980.

თ ა ვ ი 1

საქართველოს ისტორიული გეოგრაფია VII ს. აირველ ნახევარში

(რუკა 1 და 2)

1. ვახტანგ გორგასალის მეფობის პერიოდი (V ს. მეორე ნახევარი) საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა: გაერთიანდა ოლმისავლეთი (ივერია) და დასავლეთი (ეგრისი, აფხაზეთის გარდა); ამ ერთიანი სამეფოს ფარგლებში შემოვიდა ოლვანეთის მომძღვანელი მხარეებიც (პერეთი, კამბეჩინი); გალრმავდა და უფრო ინტენსიური გახდა კულტურული და სავაჭრო ურთიერთობა სახელმწიფოს ცალკეულ კუთხებში შორის, გაძლიერდა მთისა და ბარის ურთიერთშერწყმის ძველიძეველი ტენდენცია; სწრაფად წავიდა წინ სხვადასხვა ქართველ ტომთა ინტეგრაციის და არა-ქართველთა ასიმილაციის პროცესი. ერთი სიტყვით, ქვეყანა აღმავალი სოციალური და ეკონომიკური განვითარების გზით მიღიოდა, ყალიბდებოდა პირობები ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, შინაგანი სოციალური განვითარებისა და გარეპოლიტიკური ეკითარების შედეგად შექმნილ ძალთა განწყობილების გამო ვახტანგ გორგასალის დიდი წამოწყება ნააღრევი აღმოჩნდა, და ფაქტიურად, მასვე გადაჲყეა.

VI ს. 20-იან წლებში სპარსელებმა ქართლში მეფობა მოსპეს, რამაც 532 წ. საზავო ხელშეკრულებით ბიზანტიისთან, ამ უკანასკნელისაგანაც სანქცია მიიღო. სწორედ ამ ხანებში „ვეთა მეფობად დაესრულა, ქართლს შინა სპარსი განძლიერდეს“². სპარ-

¹ დაწვრილებით იხ. დ. მუს ხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, თავი III.

² OP, 723.

სეთის მოკავშირე ქართლის დიდმა ფეოდალებმა, მეტას ყოფილ
მა ერისთავებმა თავისი საქმეც გაინაღდეს: „ვინათვან მოაკლდა ხე-
ფობა შეილთა გორგასლისათა, მის უამითვან ეპყრა მურუსტენ ჭუჭუ-
ლოსა აზნაურთა“³.

„ქართლის ცხოვრებაში“ საქმე ისეა წარმოდგენილი, თათ-
ქოს ერანმა და ბიზანტიამ გავლენის სფეროები საკუთრივ ქართლ-
შიც გაინაწილეს. დაჩია მომდევნო მეფის შესახებ ჯუანშერი გვა-
უწყებს, რომ „მიერითვან განიყვნეს ნათესავნი ვახტანგ მეფისანი.
რამეთუ შეილნი დაჩისნი პმორჩილობდეს სპარსთა, ხოლო შეილ-
ნი მირდატუნი დადგრძეს მორჩილებასა ბერძნოთასა“⁴. უფრო
გვიან კი ვახტანგ გორგასალის ჩამომავლები „შეილნი ბაյურისნი
დარჩეს მთიულეთს კახეთისასა; და ნათესავნი მირდატუნი, ვახ-
ტანგის ძისანი, რომელნი მთავრობდეს კლარჯეთს და ჭავახეთს,
იგინი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა. სხეულ ყოველი ქართ-
ლი... დაიპყრეს სპარსთა“⁵. ე. ი. ქედან სავარაუდოა, რომ, მა-
ინცდამინც. კლარჯეთი (შეიძლება ჭავახეთიც) ბიზანტიის კია-
სარს დაუმორჩილდა, თუმცა საამისო ჩევნებებს თვით ბიზან-
ტიურ წყაროებში ამ დროისათვის არ ვხვდებით (ზემო ქართლი
ამ წყაროებითაც თითქოს ცალკე ერთეულად — მესხეთად — გა-
მოიყოფა, მაგრამ იგი ქართლის ვასალურ ერთეულად, ე. ი. ერა-
ნის გავლენის სფეროში იგულისხმება)⁶.

მიუხედავად იმისა, რომ ქართლში ერანის უშუალო პოლიტიკუ-
რი ბატონობა დამყარდა, მაინც იმის გამო, რომ რამდენიმე ათეუ-
ლი წლის მანძილზე ქვეყანას გარეშე მტრის დამარცხეველი ლაშ-
ქრობა არ განუდია, იგი კონომიკური აღმავლობის გზას უნდა
დასდგომოდა, ამის საფუძველი, რა თქმა უნდა, უკვე V ს. შეორე
ნახვარში, ვახტანგ გორგასალის ცენტრალისტური პოლიტიკის
წყალობით (რომელიც ქვეყნის კონსოლიდაციას ისახავდა მიზნად)
იყო შექმნილი. მართლაც, იმ ფრაგმენტული მასალით, რომელიც
საამისოდ გავვაჩნია, ეს დასტურდება.

ჭერ ერთი, საამისო ჩევნებას, კერძოდ, ზემო ქართლისათვის,
შეიცავს პროკოპი კესარიელის ცნობა მესხებისა და მესხეთის შე-
სახებ, რომლის მიხედვით „მესხეთის მთები არც მწირია და არც

³ სუმბატ დავითის ძ. ე. ის. ქ'ცა, I, გვ. 373.

⁴ ქ'ცა, I, გვ. 207.

⁵ ქ'ცა, გვ. 217.

⁶ შლრ. ს. კადაბაძე გ. ძიებანი ქართველთა IV—VII სს. ასტორის შესახებ.
„საბიტორიო კრებული“, წგ. II, 1928, გვ. 21.

⁷ პროკოპ კესარიელი „გვეორგია“, II(2), გვ. 127.

ნაყოფიერებას მოკლებული, არამედ სავსეა ყოველგვარი თით, რაღაც მესხებიც მარჯვე მიწის მუშები არიან და ის ვენახებიც არის⁸. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პრიურის ექვემდებარები ამ მხრივ საქმაოდ მცარი მსაჯულია (იხ. მტკიცებულებების მიხმარებულები ლაზიკის შესახებ, რომელთა მიხედვით, მოხირისის გარდა სხვაგან, ამ ქვეყანაში არავითარი ნაყოფი არ მოღის!), შაშინ უნდა ვირჩმუნოთ, რომ ზემო ქართლის ინტენსიური სოფლის შეურნეობა მის დროს აყვავებას განიცდის („სავსეა ყოველგვარი სიკეთით“!). ამასთან, თუ მოვიგონებთ, რომ მესხებს „მოებში აქვთ საბინადრო ადგილები“⁹, მაშინ იქ მესაქონლეობის განვითარებაზეც გარკვეული წარმოდგენა შეგვემნება.

ქართლის სოფლის მეურნეობის ვითარების ამსახველი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ერან-ბიზანტიას შორის ატებილი ხანგრძლივი ომის პერიოდში ქართლი წარმოადგენდა ერანის ლაშქრის ეკონომიკურ ბაზას: ქართლის სოფლის მეურნეობას აწვებოდა ამ ომის მთელი სიმძიმე, რამდენადაც სპარსთა ლაშქარი სურსათით (ცერძოდ, პურით) სწორედ აქვდან მარაგდებოდა¹⁰.

შეგვარად, ზემომოტანილ ჩვენებათა შედეგად შეგვიძლია ვივარაულოთ, რომ VI ს-ში ქართლის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგები, მეხორბლეობა და მევენახეობა, აღმავლობას განიცდის. ბუნებრივია, რომ ხელოსნობის განვითარებაც სათანადო დონეზე იდგა¹¹. ყოველივე ამის შედეგად უნდა გაცხოველებულიყო აღება-მიცემობაც და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, სხვადასხვა კუთხეებს შორის, არამედ გარე სამყაროსთანაც. საამისოდ საქმაოდ ნათელ სურათს იძლევა ნუმიზატიკური მსალა (იხ. რუკა 1).

ამ მხრივ ასეთი ვითარებაა: V ს-ში ქართლის სამეფოში ბიზანტიური მონეტები უფრო უნდა იყოს გაერცელებული, ვიდრე სასანური. კერძოდ, ბიზანტიური მონეტები აღმოჩენილია აღმო-

⁸ ვ. როკოპი კესარიელი. „გორგია“ II (2). გვ. 127.

⁹ იქვე.

¹⁰ იქვე, გვ. III—112, 117. ეს საკითხი—ქართლის ეკონომიკური ვითარება VI ს-ში სპეციალურად აქვს განხილული ს. განაშას (იხ. მისი შრომები, I, გვ. 90—98).

¹¹ შეაროები („ევსტათე მცხოვრელის მარტყლობა“) მიუთითებენ მაგ., მცხოვრელი შეხამლეთა და „მეცდაგეთა“ კორპორაციების ასებობას, იხ. III. A. Месхиა. Города и городской строй феодальной Грузии, 1959, გვ. 29; ასეთობის გათხრებში ერთ 1969 წ. გამოვლინა კერამიკული საწარმო (ჩ. ჩამიშვილის ცნობა).

სავლეთ საქართველოს 12 პუნქტში: ანდრიაწმინდე (სამცხე), დმანისი, ორაგა, ყორშიყალა, ბოლნისი, კაზრეთი (ქვემო ქართლი), მცხეთა, ურბნისი, ხიდისთავი (შიდა ქართლი), თელური, წილურული ლი (კახეთი, უკეთ ჰერეთი) და ხევსურეთი. მონეტულფართ მეჩეთის ტესობა ოქროს სოლიდებია (12 ც.), 5 ც.—ვერცხლისაა (ყველა მცხეთიდან) და 1 ც.—სპილენძის (დმანისიდან)¹².

დასავლეთ საქართველოში ამ დროის მონეტები სულ სამიოდ ადგილიდან არის ცნობილი (სოხუმი, ბიჭვინტა და ცხუმარი), ისიც მხოლოდ სპილენძის მონეტებია, გარდა ცხუმარისა (სვანეთი), სადაც ლეონ I-ის (457—474 წწ.) ოქროს მონეტა — სოლიდი აღმოჩნდა¹³.

ასეთი ვითარება დასავლეთ საქართველოსათვის შესაძლებელია შემთხვევითიც იყოს, დაკავშირებული აღმოჩენათა სიმცირესთან, მთ უმეტეს, რომ არქეოლოგიური მასალა საკმაოდ ინტენსიურ საფაქტო ურთიერთობაზე მიუთითებს ჩრდილოეთ შავიზლვისპირეთიან და ხმელთაშუაზღვის აუზთან¹⁴, ხოლო V ს. ახონიშვილი შეართოს ცნობით ფაზისი საფაქტო ქალაქია, უროშელშიაც, როგორც ამბობენ, თავს იყრის სამოც სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომი. მათ რიცხვში, გაღმოცემით, იმყოფებიან ინდოეთიდან და ბაქტრიიდან მოსული ბარბაროსები¹⁵.

დამახასიათებელია, რომ დასავლეთ საქართველოში V ს. არც ერთი სასანური მონეტა არ არის აღმოჩენილი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — მხოლოდ სამგან: მცხეთაში — იეზიდიგერდ II-ის (439—457 წწ.) ორი¹⁶ და პეროზის (459—484 წწ.) ერთი დრამა¹⁷; უჯარმაში — პეროზის ერთი დრამა¹⁸ და ლულელებში (ერწო) აგრეთვე პეროზის დრამა¹⁹.

¹² თ. ა ბ ა მ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, 1966, გვ. 121—122.

¹³ იქვე.

¹⁴ იხ. 6. ლ ი მ ი უ რ ი. ეგრისის სამეფოს ისტორია. 1968, გვ. 90—94. იქვე: მითოთებული სათანადო სპეციალური ლიტერატურა.

¹⁵ V ს. ანანიშვილი, ფლოეფის არანე... გვ. 86.

¹⁶ რ. ჯალალანდის ცნობა.

¹⁷ MKA, VIII, № 1942.

¹⁸ MKA, VII, № 1751.

¹⁹ საქართველოს სახელმწ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების სამცხე-ჭარი დავთარი, № 9133. მექანიკ გამოქვეყნებულია პეროზის შესას კუთვნილი დრამების განძი აღმოჩენილი ბოლნისში 1970 წ. (იხ. T. Я. Абрамашвили, M. B. Цоцелия. Клад сасанидских драхм из Болниси, «Нумизматический сборник», Тб., 1977, с. 150—158).

ამგვარად, ბიზანტიური სოლიდების და სასანური დრამების აღმოჩენათა შედარება მხოლოდ რაოდენობრივ სხვაობას ყოფილ მიუთითებს, არამედ მათი გავრცელების არეალის განვიხვაში უკუნდებო სასანური ვერცხლი მხოლოდ ქართლის დედაქაში მოქმედდებოდა. მო ქართლში და კახეთში ჩანს გავრცელებული, ბიზანტიური ოქროც და ვერცხლიც არა მხოლოდ მცხეთაში, არამედ — სამცხიდან ჰერეთამდე და ხევსურეთამდე.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სურათი შესაძლებელია მიახლოებითი იყოს და შემდგომმა აღმოჩენებმა იგი დააზუსტოს²⁰, მინც ვფიქრობთ, აღნიშნული ვრთარება არ უნდა იყოს შემთხვევითი. პირვეუ, ჩვენი აზრით, ეს უნდა მოწმობდეს, რომ საქართველო (აღმოსავლეთიც და დამავლეთიც) V ს-ში და განსაკუთრებით ვატრანგ გორგასალის დროს²¹, საგაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში ბიზანტიასთან უფრო არის ჩაბმული. ასე გრძელდება ეს VI ს. პირველ მცხაოდებიც, რომლის შემდეგაც ვთარება შევეთრად იცვლება: ეგრძისი განავრჩობს ინტენსიურ სავაჭრო ურთიერთობას ბიზანტიასთან, რომელშიც ზღვისპირა პუნქტებს გარდა ეგრძისის შიდა მხარეებაც (ნოქალაქევი, ჩხოროწყუ) და კალავ მთაცაა (მისიმიანეთი, სვანეთი) ჩაბმული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ბიზანტიური მონეტა მხოლოდ ოთხია ცნობილი (საქორი, მცხეთა, თბილისი).²² სამაგიეროდ სწორედ ამ დროიდან მატულობს სასანური დრამების რაოდენობაც და აღმოჩენის ადგილებიც ქართლიდან: თუკი კავად I-ის (488—531) დრამა სულ 4 თუ 5 ცალია მცხეთიდან და წიწამურიდან²³, სამაგიეროდ ხოსრო I ანუშირვანის (531—579) დროიდან ცალკეული სასანური მონეტების აღმოჩენებთან ერთად²⁴, აღმოსავლეთ სა

²⁰ მთ უმეტეს, რომ ჩვენ V ს. კითარების მისახველად არ მოიგინიეთ ამ საუკუნის ის მონეტები, რომლებიც უფრო გვაიძლევ (VI და VII სს.) მონეტებთან ერთად გვხედება განერგში. ამ უკანასკნელებში (იხ. ქვემოთ) გვხედება მარტივი კუნდები ნახევრის სასანური მონეტები, ერთი შემთხვევის გარდა (MKA, I, № 55), სადაც პირველი ნახევრისაც არის.

²¹ ვატრანგის ეპოქისათვის უფრო ინტენსიურია ბიზანტიური მონეტთა აღმოჩენი. იხ. თ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., ვვ. 122. თუმცა ზემოაღნიშნული ბილნის განდი რამდენადმე ცვლის სურათს (იხ. И. А. Джагалания. Иноzemная монета в денежном обращении Грузии V—XIII вв. Тб., 1979, с. 29).

²² თ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., ვვ. 124—125.

²³ MKA, IV, № 1059; MKA, VII, №№ 1754—1755; ნუმიზატიკის განყოფილება № 3060—3061.

²⁴ MKA, IV, № 1060; MKA, V, №№ 1448—1449; ნუმიზატიკის განყოფილება № 9735; რამდენი 4 IV-ის (579—590) ერთი მონეტა აღმოჩენილია 1961 წ. უმთა

ქართველის ტერიტორიაზე (პერეთი, კახეთი, ქართლი) დამოწმენ
ბულია სასანური დრამების 8 განძი (ორი — ურბნისიდან, ამი 1
შცეტილან და მისი მიღამოებიდან, თითო — თოლუში ფუზურ-ჭუჭურ
ნიანთხევილან და ბაისუბნიდან), რომელებიც მრგვალუს ჩრდილები
ბით შეიცავდნენ მონეტებს. აღსანიშნავია, რომ მონეტები მხო-
ლოდ VI ს. კი ან არის, არამედ V ს. მეორე ნახევრისაც²⁵.

მონეტათა აღმოჩენის ადგილების ნიშანდობლიობისათვის
ფრიად საინტერესოა სამი სასანური დრამის (ორი — კავალისა და
ერთი — ხოსრო I) მოპოვების ფაქტი ციხისძირში, ციხესიმაგრის
კედლებიდან²⁶, — ცხადია, პეტრიასათვის ბიზანტია — ერანის ცნო-
ბილი ბრძოლების მატერიალური მოწმობა.

ამგვარად, როგორც ნუმიზატიკური მასალის მეშვეობით
ირყვევა, მთელი V ს. და VI ს. პირველი მესამედი ქართლი ბიზანტი-
ასთან უფრო მჭიდრო კუნივერსალურ ურთიერთობაშია ჩაბმული, ხო-
ლო ამ დროიდან დაწყებული კი ერანთან²⁷. ეს, რა თქმა უნდა, არ
შეიძლება არ დაუკავშიროთ იმ ცნობილ ზემოაღნიშნულ ფაქტს,
რომ VI ს. 20—30-იანი წლების დასაწყისიდან „ვითა მეცობად და-
ესრულა, ქართლს შინა სპარსი განძლიერდეს და ერთი და სომ-
ხითი დაიყრეს. ხოლო ქართლი უმეტესად დაიყრეს და კავკა-
სიანთა შევიღეს და კარნი უცხეთისნი აიგნეს. და ერთი დიდი კარი
უცხეთისვე და ორნი დვალეთა. და ერთი პაჭუანს. დორძოვეთისაა.

„ქართლის“ ვათხების ღროს (საველე დავთარის № 509) და განსაზღვრულია რ. ჭალაონის მიერ.

²⁵ MKA, I, № 55; MKA, II, № 367—368; MKA, III, № 815; MKA, IV, № 1061; MKA, VIII, № 1945—ნუმიზატიკუს გრაფილება, № 5254—5266; ის. აგრეთვე, ნუმიზატიკუს გრაფილება, №№ 11053—11060 და №№ 10115—10121; ამ უკანასკნელი, გრაფისათვის ის. თ. აბ რამიშვილი, ი. გილა დ-ლ ან ია. ურბანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1953—59 წწ. მოპოვე-
ბული ნუმიზატიკური მასალა, საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მომბე, XXV-B, 1968, გვ. 153—4.

²⁶ MKA, III, № 816. კავალ I-ს (488 — 531) მონეტებიც აქ უაველად VI ს.
40-იან წლებში უნდა მოხვედრილიყო (პეტრიაშვისასთა გარნიზონის უოფნის ღროს).
ამტენადვე ქართლში (მცხეთში და შიომღვირში) აღმოჩენილი მისი მონეტებიც, შე-
საძლებელია მეცნიერების ბოლო წლებში ან უფრო გვითაც უოფნის ხმარებაში და
ამდენად, ჩვენი თეზისი, რომ სასანური დრამები VI ს. მეორე მესამედიან შემოღი-
სებში არტენისიურად, გამართლებულია.

²⁷ VI ს-ში საქართველოს ტერიტორიის მინშველობისათვის საერთაშორისო
ფაჭრობაში ის. გ. გ თ ზ ი ლ ი შ ვ ი ლ ი. ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა
ძერია-ლაზიკისათვის VI ს-ში, თუ-ს შრომები, XXVI, 1944, გვ. 125—138.

და იგი მთიულნი. გომარდად დააღვინნეს. და სხუა ეინმე კაცი და და-
გინეს მთარებად. წანარეთისა კევსა და მორჩილებად დასრუეს მთი....
მაშინ სპარსი უფლებდეს ქართლსა და სომხითსა და შემცირებული-
და გუასპორაგანსა²⁸. ბუნებრივია, რომ ამიერიდან ქართლის მასში ე
არა მარტო ქართლი, არამედ სომხეთიცა და ალვანეთიც, ნებით
თუ უნებლივთ, ერანთან სავაჭრო ურთიერთობაში ჩაბმულიყო.
ნუმიზმატიური ფაქტებიც ამის ნათელ ილუსტრაციას წარმო-
ადგენს.

ფაქტია ისიც, რომ მიუხედავად პოლიტიკური დამოუკიდებ-
ლობის დაკარგვისა, ქართლი VI ს. განმავლობაში, როგორც ეს
ზემოთ წყაროთა მონაცემებით იყო წაჩინები, ეკონომიკურ აღ-
მავლობას განიცდის. სასანური დრამების დიდი რაოდენობით აღ-
მოჩენაც, რა თქმა უნდა, ამის მაუწყებელია. კერძოდ, მონეტათა
ინტენსიური გავრცელება მხოლოდ საგარეო-სავაჭრო ურთიერთო-
ბაზე კი არ უნდა მიგვითიერდეს, არამედ ქართლის ცალკეულ
პროვინციათა შორის ეკონომიკური კავშირების გაცხოველებაზე,
შინაგანი ბაზრის გაფართოებაზეც. ყველაფერი ეს, რა თქმა უ-
ნდა, ხელს უწყობდა და აპირობებდა ამ ცალკეული პროვინციების
შერწყმა-გაერთიანების პროცესს.

ამდროინდელი ქართლის ეკონომიკური და კულტურული აღ-
მავლობის მაჩვენებელია მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგ-
ლები, რომლებიც ამ პერიოდში იქმნება და რომელთა დაგვირგვი-
ნებააც წარმოადგენს ქართული ხელოვნების ბრწყინვალე ძეგ-
ლი — მცხეთის ჯვარი²⁹.

ბუნებრივია, თუ შინაგანი სამეურნეო განვითარება და გარე
სამყაროსთვის სავაჭრო ურთიერთობის გაცხოველება იწვევს მნიშ-
ვნელოვანი სავაჭრო და აღმინისტრაციული ცენტრების შემდგომ
დაწინაურებას, პირველ რიგში, ეს თბილისის შესახებ უნდა ითქ-
ვს. შესანიშნავი ცნობა ამასთან დაკავშირებით შემოვარასა
„მოქუცავ ქართლისას“ აკტორმა, როდესაც ჩვენთვის საინტე-
რესო ხანასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს. „მაშინ მცხეთად
ათხელდებოდა: და ტფილისი ეშენებოდა არმაზნი შემცირდებო-
დეს და კალად განდიღნებოდა“³⁰. მნიშვნელოვანი ქალაქები იყო

²⁸ OP, გვ. 723—4.

²⁹ გ. ჩ. ბ. ი. ნ. ა. ვ. ვ. ი. ლ. ა. ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1926.

³⁰ OP, გვ. 724.

ამ დროისათვის უფარმა, თვით მცხეთა, ალბათ სამშეკალდე, ხუნანი, ურბნისი და სხვ³¹.

დასავლეთ საქართველოში, რომელიც ამ დროის უკიდურეს ჰილამ-ტიის ვასალურ სახელმწიფოს წარმოადგენს, მნიშვნელობების უძველებია არქეოპოლისი (ნოქალაქევი), სევანტოპოლისი (სოხუმი), პეტრა (ციხესიმართი), ფაზისი; „უკელაზე შესანიშნავი ქალაქები კი მარც არის აյ როდობოლისი და მოხირისი“³². მნიშვნელოვანი სამხედრო-ადმინისტრაციული პუნქტები იყო აგრეთვე სკანდა, შორაპანი, უქიმერაონი, ნესონი (ისულეთი) და სხვ. საკუთრივ ცვრისში; ჭიბილი — აფშილეთში, ჩიხარის ციხე და სხვ. მისიმიანეთში; ონაკოფია და ბიჭვინტა — აფხაზეთში. რა თქმა უნდა, ყველა ეს ქალაქი და ციხესიმაგრე ერთმანეთთან, ხოლო, საბოლოო ჯაში, დასავლეთი და აღმოსავლეთ საქართველო საგავრო-სამიმო-სკლო მაგისტრალებით იყო დაკავშირებული, რომელთა მიმართულება არსებოთად იგივე უნდა ყოფილიყო, როგორიც IV—V სს-თვის არის საგარაუდო და რომელთა მეშვეობითაც საქართველოს ტერიტორია დაკავშირებული იყო მეზობელ ქვეყნებთან და ახლო აღმოსავლეთთან. ამ გზების საშუალებით ხორციელდებოდა საომარი ურთიერთობა VI ს-ში ერანსა და ბიზანტიის შორის და, რა თქმა უნდა, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობაც დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის მშვიდობიანობის დროს.

ზემოხსენებული საერთო ეკონომიკური აღმავლობის აუცილებელი შედეგი იყო ქვეყნების, კერძოდ, ქართლის სხვადასხვა კუთხეების პოლიტიკური ვაერთიანების ტენდენციის აღმოჩენება, საერისთავოებად დაყოფილი ძველი ქართლის სამეფოს ერთ პოლიტიკურ ერთეულად შერწყმის პროცესის გაძლიერება. შესანიშნავად აქვთ ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი შენიშნული „მოქცევად ქართლისადას“ აკტორს: „ნელადრეც შეკრბა ქართლი: და გა-

³¹ შტრ. გ. ა შ ი ა. შორმები, I, გვ. 94; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. უფარმა. გვ. 76—80; ნიშანდობლივია, რომ სწორედ VI ს. შეახვებები შენდება ურბნისის გრანდიოზული საფრანტიფიციაციის ნაგებობანი (იხ. პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა. ნაქალაქერთ ურბნისის ხუროთმოწლერება, 1965, გვ. 47). ქვეყნის საერთო ეკონომიკური აღმავლობა არ ვვაძლევს საფუძველს VI—VIII სს. „ქალაქების დაცუმის ხანად“ უარმოვიდგინოთ. გარკვეული ცვლილებები ამდროინდელი ქალაქის ეკონომიკიში, მართლაც, ამ უკანასკნელის საფუძვლის ცვლილებით უნდა ყოფილიყო გამოწვევული და არა მისი დაცუმით (იხ. პ. ჭ ი ლ ი შ ვ ი ლ ი. ქალაქების ფეოდალურ საქართველოში, II, 1970, გვ. 60—70).

³² პრ. კო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი. „გურიგია“, II (2), გვ. 101, 220—222; ესტრიქანე 535 წ. ლოველა, იქვ. გვ. 33—37.

ნაჩინეს ერისთავად გუარამ“³³. ეს ფაქტი „ქართლის შეკრებითი“ არა მხოლოდ და არა იმდენად კლასობრივი ბრძოლის მოწმობა უნდა ყოფილიყო³⁴, რამდენადაც ქვეყნის ზემოხსენებული უკონმიერი აღმავლობის შედეგი. თავისთავად კი ორივე უს მოშენტი, რა თქმა უნდა, ერთი და იგივე პროცესის ორ ასპექტს წარმოადგენს.

ქართული წყაროს ცნობა ქართლში ერისმთავრობის დაწესების შესახებ მოწმდება თეოფანე ბიზანტიელის ჩვენებით, რომ 572 წელს სომხებთან ერთად სპარსელებს „მაშინვე გადაუდგნენ იბერებიც და მიგმებრნენ რომელების: მათ მთავრობდა გურგანი, ხოლო იბერთა დედაქალაქი მაშინ ტფილისი იყო“³⁵. ეს გურგან ერისმთავარი, რომლის სახელით მოჭრილი ე. წ. ქართულ-სასანური დრამებიც არის ცნობილი³⁶, შესაძლებელია მართლაც, იგივე გუარამი იყოს, რომელიც გამთავრების „მერმე კურაპალტცა იყო“³⁷, ე. ი. ბიზანტიურ ორიენტაციის დასდგომია.

ფაქტურად, ეს იყო ქვეყნის კონსოლიდაციის, „ქართლის შეკრების“ და „ყოველი ქართლის“ შექმნის იმ მნიშვნელოვანი პროცესის ხელახალი წამოწყება, რომელსაც V ს. მეორე ნახევარში საფუძველი ჩაუყარა ვახტანგ გორგასალმა, მაგრამ საგარეო ძალის, სასანური ერანის ძალმომრეობის გამო დაახლოებით ნახევარი საუკუნით შეფერხდა. VI ს. მეორე ნახევრიდან ახალგაზრდა ფეოდალური ქართლი ახალი ენერგიით კვლავ იწყებს ამ დიდი ეროვნული საქმის განხორციელებას. ისევე როგორც ვახტანგ გორგასალი, ახლაც ქვეყნის მესვეურები თავისი მიზნებისათვის იყენებენ ქრისტიანულ ეკლესიას. ეროვნულ-იდეოლოგიური კონსოლიდაციის პროცესი ახალი ძალით იშლება ქართლის და ეგრისის ტერიტორიაზეც. ამის შესანიშავი მოწმობაა ჯვრის ტიპის ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა ქართლსა, ქახეთსა და ეგრისში; კირონის ხელზასხვა ვეგარქის, ქართლის და ეგრისის კათალიკოსად³⁸.

მეორე მხრივ, იგივე პროცესი ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა, რომელსაც არ შეიძლება არ გამოეწვია მთისა და ბარის

³³ OP, გვ. 724.

³⁴ ს. ჯანიშვილი. იქვე, გვ. 105.

³⁵ თეოფანე ტამას მეტერელი. „გეორგია“, III, გვ. 256—258

³⁶ Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика. 1947, с. 47.

³⁷ OP, ექვე.

³⁸ ეპისტოლეთა შემნი, სომხეური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვეთითა და კომენტარებით გამოსცა ჸ. ალექსანდრე, 1968, 180—186.

ურთიერთობის გაცხოველება, ქმნიდა საფუძველს მათი შემოგონი
 დაახლოებისა და შერწყმისათვის. ჩვენი აზრით, სამისი კონკრეტუ-
 ლულ მითითებებს კვლავ ნუმიზმატიკური მასალა იძირდება და მიმდინარებული
 ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ ხევსურების უამრავი მიმდინარე
 იქნა V ს. ბიზანტიური ოქროს მონეტა, ბასილისკუსის (476—477)
 სოლიდი, ხოლო ღულელებში (თიანეთის ა-ნი) ერანის შაპის პერო-
 ზის (459—484) კერცხლის დრამა. ვფიქრობთ, ეს ფაქტები შემ-
 თხვევითი არ უნდა იყოს და მთისა და ბაზის ეკონომიკურ ურთი-
 ერთობაზე უნდა მიუთხოებდეს. დამახასიათებელი უნდა იყოს
 ნუმიზმატიკური მასალა თიანეთის რაიონიდან, კერძოდ, ერმოდან.
 ჩვენ აღნიშნული დექონდა თიანეთის განსაკუთრებული მნიშვნე-
 ლობა მთის (კერძოდ, ფშავის) მფლობელობისათვის. ვახტაშვილი აკი
 პირდაპირ აღნიშნავს, რომ ფშაველები მიწის „სიმწირისათვს მონე-
 ბენ ვისცა უპყრავსთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ“³⁹. კი-
 დევ უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ თიანეთის მფლო-
 ბელობას ძველად და, კერძოდ, სწორედ ჩვენთვის საინტერესო
 დროს. რა თქმა უნდა, ტყუილად არ არის ხაზგასმული ვახტანგ გორ-
 გასალის ისტორიკოსის მიერ ის ფაქტი, რომ ოსეთზე გალაშევრების
 წინ აღმოსავლეთ კავკასიის მთიელთაგან საჭირო დახმარების მიღე-
 ბის მიზნით „წარვიდა ვახტანგ და დადგა თიანეთს. და მუნ მიერ-
 თნეს ყოველნი მეფენი კავკასიანი ორმოცდათი ათასი მეტდარი.
 და წარემართა სახელსა ზედა ლმრთისასა, განვლო კარი დარიალა-
 ნისა“⁴⁰. მართლაც, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღ-
 ნიშნულია, რომ „თიანეთის გეოგრაფიული მდებარეობა საშუალო
 საუკუნეთა მეურნეობის გარკვეულ ხანაში მეტად ხელსაყრელი
 იყო. აქ ყველაზე უფრო უახლოვდებოდა ერთიმეორებს არავის,
 ივრისა და ილტო-ალაზნის ხეობები. არავის ხეობიდან ალაზნის
 ხეობაში თიანეთზე გადიოდა უმოკლესი გზა. თიანეთიდან თანაბ-
 რად დასამხარი იყო არავისა თუ ალაზნის ხეობანი. ამიტომაც
 თიანეთი ბუნებრივი ცენტრი იყო დასახელებულ სამ. ხეობათა
 მთიანი ნაწილებისა... კახეთის ისტორიაში თიანეთს განსაკუთრე-
 ბული აღილი უჭირავს“⁴¹. ყველაფერი ამის გავრცელება შეიძლე-
 ბა თიანეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე—ერმოზედაც. მით უმეტეს,

³⁹ ვ. ხ. უ. შ. ტ. ი., აღწერა სამეცნიერო საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 92.

⁴⁰ ქ. ი., გვ. 151.

⁴¹ 6. ბ. ე. რ. დ. ე. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. საქართველოს ისტორიის საკითხები. I, თბ., 1964, გვ. 179.

ჩვენ ვიცით, რომ IV ს-იდან მაინც „ერშო-თიანეთი“ ერთიან ტერიტორიად განიხილებოდა.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ნუმიზმატიკური მემალის წარმართვა მოხენა ერშოს ტერიტორიაზე ჩვენ, პირველ რიგში, აღმოსავლეთ კავკასიონის მთისა („კახეთის მთეულეთი“) და ბარის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამადასტურებელ ფაქტად მიგვაჩნია. ეს ურთიერთობა აშენად დამოწმებული სხვა რიგის ფაქტებითაც ვახტანგ გორგასალის დროს, კიდევ უფრო ინტენსიური ხდება VI ს-ში, რასაც მოწმობენ ამ საუკუნის შუა ხანებში ჩაფლული სასანური დრამების განძები თოლენჯილან და სიმონიანთხევიდან (იხ. ზემოთ).

დაახლოებით ასეთივე ვითარება უნდა ვიგულისხმოთ დასავლეთ საქართველოს მიმართაც. აქაც ნუმიზმატიკური მასალა მიუთითებს მთისა და ბარის ეკონომიკურ ურთიერთობაზე უკვე V ს-ში (კეისარ ლეონ I-ის ოქროს მონეტა ცხუმარიდან). ასეთივე ვითარება გრძელდება VI ს-ში (ანასტატი I-ის ოქროს მონეტა კვლავ ცხუმარიდან და იუსტინინე I-ის სოლიდი ჩხალთიდან) და VII ს. პირველ ნახევარშიც (პერეკლე I-ის სოლიდი ჭიორადან და ჭუბერიდან)⁴².

საქართველოს მთისა და ბარის ეკონომიკური ურთიერთობის წარმოჩენისათვის საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ V—VII სს-ში ბიზანტიური ოქროს მონეტები, სოლიდები გვხვდება ჩრდილოეთ კავკასიაშიც, ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში (ზელენჩუკი, ახრიში, თებერდა)⁴³, ყაბარდობალყარეთის ასსრ-ში (ჩეგმი)⁴⁴, ჩრდილო ოსეთის ასსრ-ში (კუმბულთა, კამუნთა, გალიათი, ჩმი, ჯარიახი)⁴⁵ და ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ-ში (სურხოხი)⁴⁶. ამასთანავე, მათი იქ მოხვედრა მხოლოდ აფხაზეთის გზით კი არ არის სავარაუდო⁴⁷, არანედ აფხაზეთიდანაც (ძველი მისიმანეთიდან, მარტის უღელტეხილით) და აგრეთვე სვანეთიდან (ტვიბე-

⁴² თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 122—126. კუბერში აღმოჩენილი მონეტის შესახებ ცნობა მოგვაწოდა შ. ჩართოლიშვილი.

⁴³ МКА, II, № 362; МКА, VIII, № 1949.

⁴⁴ МКА, III, № 788. იხ. აგრეთვე, ე. ვ. რთველაძე, А. Н. Рунич. Находки индикаций византийских монет вблизи Кисловодска. ВВ. № 32 1971. 219—222.

⁴⁵ МКА, II, № 360; 363, 372; МКА, I, № 66; МКА, III, № 793; МКА, VII, № 1753.

⁴⁶ МКА, III, № 786; МКА, V, № 1434.

⁴⁷ ასე ფიქრობდა ე. პახომივი, იხ. МКА, I, გვ. 44, შენ. I.

რის ან წანერის ულელტეხილებით), რაჭიდან (ლებქს ან მარმანის ულელტეხილებით), მთიულეთ-ხევიდან (დარიალით) და შესაძლებელია, ხევსურეთიდანაც (მდ. ასას ხეობით). მტკრავაზუალუ-ბინებს ბიზანტიური ოქროს მონეტების ნიშანზე მონეტები გავაეშირებულ კავკასიონის მთავარი ქედის გარდიგარდომ მდებარე ხეობებში.

აღსანიშნავია, რომ VI—VII სს-ში სასანური ვერცხლისა და ოქროს მონეტებიც კი გვხვდება ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ ჩრდ. ისეთის ასსრ-ში⁴⁸, რაც კელავ ვვავარაულებინებს ინტენსიურ სავაჭრო ურთიერთობას დარჩალის ხეობით. უნდა ვითქიროთ, რომ ამ პროცესში აღმოსავლეთი საქართველოც იღებდა გარევალ მონაწილეობას.

საინტერესო საგარეო-სავაჭრო ურთიერთობა მყარდება ქართლის საერთსმთავროს ტერიტორიაზე VI ს. ბოლოს და VII ს. პირველ ნახევარში: აღმ. საქართველო კვლავ ინტენსიურადა ჩაბმული ერათიან ვაჭრობაში. ცალკეული ვერცხლის მონეტების გარდა, კახეთიდან (მაგრანეთი, ბახტრიონი)⁴⁹, თრიალეთიდან⁵⁰, შიდა ქართლიდან⁵¹, გვხვდება განძებიც (მცხეთა⁵² ურბნისი⁵³). კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ახლა ამ სავაჭრო ურთიერთობაში ჩაბმულია ორგვეთის ტერიტორიაც (საჩხერე, ქორეთი, ჭიათურა, ზეტაფონი)⁵⁴. ძველი ქართლის სამეცნოს პროვინციის, ორგვეთის ტერიტორიაზე სასანური მონეტების დიდი რაოდენობით აღმოჩენა უნდა მოწმობდეს, რომ ისევე როგორც უფრო ადრე, ახლაც VII ს. პირველ ნახევარში ეს ტერიტორია ქართლს მიეკუთვნება, ქართლის საერთსმთავროში შემოდის.

⁴⁸ MKA, II, №№ 366, 369, 372—373; MKA, III, № 817; MKA, IX, № 2092. თითო-ოჩოლა მონეტა უფრო დასავლეთითაც გვხვდება, ყაბარდო-ბალკარეთში (იხ. MKA, II, №№ 365 და 376 და ჩრდ.—დას. კავკასიონშიც, კრასნოდარის მხარე, ადლენის რაიონში (იხ. MKA, VIII, № 1943; შედრ. MKA, V, № 1433).

⁴⁹ ამის შესახებ ცნობა მოგვაწოდა ირ. ჭალალინიმ.

⁵⁰ MKA, III, № 818

⁵¹ მცხეთიდან (MKA, I, № 53; MKA, II, № 378; MKA, IV, № 1065; ნუშა-ზმატიური განყ-ბა, № 11021), ურბნისიდან (ნუშიშმატიური განყ-ბა, № 11072). ერთი მონეტა აღმოჩენილია „მთა ქართლის“ გათხრების დროს (საველ № 482) და განსაზღვრულია ირ. ჭალალინის მიერ.

⁵² MKA, II, № 377.

⁵³ ნუშიშმატიური განყ-ბა №№ 10361—10381 და 11484—11494.

⁵⁴ MKA, I, № 43—44; ქორეთის და ჭიათურის შესახებ ცნობა მოგვაწოდა ირ. ჭალალინიმ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ VI ს. ბიზანტიის ლოდან დახლოებით 60-წლიანი წყვეტილის შემდეგ ბიზანტიის კვლავ ებმება ქართლთან საგაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე⁵⁴ ვიდრე VII ს. პირველ ნახევარში ეს ურთიერთობა ტექნიკური და კულტურული არ ხდება. შედა ქართლში, კვემო ქართლში, ორგვეობი და კახეთში—უველგან გვხვდება პერაკლე I-ის ვერცხლის ჰექსაგრამები⁵⁵. თავისთავად ცხადია, რომ ეგრისთან დაჭრობის მონოპოლია ამ დროს ბიზანტიის ხელშია, რასაც, სხვა არა იყოს რა, ნოქალაქევის (ცხაკაის ჩ-ნი) და ჩიბათის (ლანჩხუთის ჩ-ნი) ბიზანტიური ოქროს მონეტებისა⁵⁶ და ოდიშის (ზუგდიდის ჩ-ნი) უერცხლის ჰექსაგრამების განძების⁵⁷ მოწმობას. მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში VI ს. ბოლოს და VII ს. პირველ ნახევარში ბიზანტიური და ერანული მონეტები, როგორც ჩანს, ერთდროულად იხმარებოდა⁵⁸. სავაჭრო ურთიერთობა როგორც ჩანს, ორმხრივია და, ამ მხრივ, ფრიად ნიშანდობლივია სასანურ-ბიზანტიური შერეული განძების აღმოჩენა თბილისში⁵⁹ და სულ ახლახან, მაგრახეთში (ერწო)⁶⁰.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი V—VII სს. ნუმიზმატიკური მასალა ფრიად საგულისხმო სურათს წარმოგვიდგენს. აშენაა, რომ ეგრისი და ქართლი, ორივე ჩამოსულია საგარეო-სავაჭრო ურთიერთობაში დასავლეთთან და აღმოსავლეთთან. ეს ურთიერთობა ამ პერიოდის განვითარებაში სულ უფრო და უფრო ინტენსიური ხდება, ვიდრე VII ს-თვის ამ აღწევს კულმინაციას. ეს ცხოველი ეკონომიკური ურთიერთდამცაიდებულება გრძელდება მთელი პირველი ნახევარი ამ საუ-

⁵⁴ თ. აბრ აშ ვ ი ლ ა. დასახ. ნაშრ., გვ. 125.

⁵⁵ იქვე, გვ. 126.

⁵⁶ იქვე, გვ. 14—15; ას. ეგროვე, თ. აბრ აშ ვ ი ლ ა. ნოქალაქევის განძი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მომზე, XX—B, გვ. 233—249. მისივე, ბიზანტიური ოქროს მონეტები (ჩიბათის განძი), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მომზე, XXV-B, გვ. 159—175.

⁵⁷ ნუმიზმატიკის განყოფილება, № 11831—11843. განსაზღვრულია თ. აბრა-მიშვილის მიერ.

⁵⁸ MKA, I, გვ. 21.

⁵⁹ MKA, I, № 59.

⁶⁰ ნუმიზმატიკური განყოფილება, № 12149—12163 (ჩ. რამიშვილის გათხრები). 1977-ტ ამგვარი შერეული განძი აღმოჩნდა ჭითელწყაროს ჩ-ნში (ირ. ჯილა-ლანგის ცნობა).

2. დ. მესხელიშვილი

კუნძა, როდესაც ქართლის ტერიტორიაზე ერთმანეთს ხვდებოდა /
ბიზანტიისა და ერანის სავაჭრო-პოლიტიკური ინტერესები. აქთი/
ვითარება არ შეიძლება, პირველ ჩიგში, გამოწვეული უფლებები
ლიკო აღვილობრივი მეურნეობის ინტენსიური განვითარებით მომდევ
თავის მხრივ, ნიშნავდა ქვეყნის ცალკეულ მხარეებს შორის აღებ-
მიცემობის გაცხოველებას: მთელ საქართველოს ტერიტორიაზე,
ბიჭვინტიდან ყარალაჭამდე და სამცხე-აჭარიდან სვანეთ-ხევსურე-
თამდე მიმობნეული ბიზანტიური ოქროს და სასანური ერტბელის
მონეტები სწორედ ამას მოწმობაა. ამ პროცესს კი, როგორც იყო
ალნიშნული, უნდა გამოეწვია სავაჭრო-ეკონომიკურ ინტენსიურ
ურთიერთობაში ჩამოჟღვეულ ცალკეულ მხარეთა, მათ შორის მთისა და
ბარის პროვინციების, შერწყმა-გაერთიანების ტენდენცია ბარის
მიერ მთის იმ დროის კვალობაზე ეკონომიკური ათვისების საფუძ-
ველზე.

კიდევ ერთხელ ვავიმეორებთ, რომ ზემოხსენებული უაღრე-
სად მნიშვნელოვანი შინაგანი ეკონომიკური და სოციალური გან-
ვითარების პროცესის მატერიალურ დადასტურებას მივაწინია და-
სავლეთ საქართველოსთვის ბიზანტიური ოქროს მონეტების აღ-
მოჩენა ჩხალთაში (მისიმიანეთი), ცხუმარსა და კუბერში (სვანეთი)
და ჭიოხაში (რაჭა). ჩაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ
ბარის მიერ მთის ათვისების პროცესი კიდევ უფრო ნათლად ჩანს:
V ს. ბიზანტიური სოლიდი ხევსურეთიდან და სასანური დრამა
ერტოდან. VI ს. სასანური განძები ერტოდან და VII ს. ბიზანტიური
ჰექსაგრამი თიანეთიდან და სასანურ-ბიზანტიური შერეული განძი
ერტოდან.

სწორედ ამ ეკონომიკური განვითარების პროცესის რეალურო-
ბით უნდა ყოფილიყო გაპირობებული ის დიდი წარმატება, რომე-
ლიც ე. წ. „სირიელ მამებს“ ხვდა წილად „მთეულთა“ ქრისტია-
ნობაზე მოქცევის საქმეში. ასე მაგალითად, თუკი მიზიანის დროს
ყვარელთა და თუშთა მოქცევა არ მოხერხდა „და სხუანიცა მთე-
ული უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან
ხარჯი, ოდეს არა ინებეს ნათლის ლება. ამისთვეს წარკრბეს ივინი და
შესცეს“⁶². აბიბოს ნეკრესელმა VI ს. მეორე ნახევარში „მოქ-
ცივნა უმრავლესნი მთეულნი არაგუსა აღმოსავლითნი“⁶³. მეორე
მისიონერმა, ისე წილქნელმა, რომელიც ეპისკოპოსად ეკურთხა

⁶² ქ' გა, I, გვ. 126.

⁶³ ივე, გვ. 229.

„ქუეყანასა მუხრანისასა, და სოფელსა წილკნისასა, ფრიადნი უნ
წმენინი სწავლითა მოაქცივნა, მოძღვრება და ქადაგებულისტურისა
სამწყსოსა თუსსა“⁶⁴. თუ აბიბოს ნეკრისელმა არაგვის ჭრის ტაცეციელი მარ
თის მთიელნი მოაქცია, წილკნელის ხვედრს საკუთრივ არაგვის
ზეობის მთიელნი და ნაწილობრივ ქსნელნიც შეადგენდნენ: „ანა-
ნურს ზევით ხევს გარდა ისე წილკნელის ათორმეტთაგანის მოქ-
ცეული არის. რახან წმინდის ემბაზის შვილნი შექმნილიყვნენ, მა-
თი ეფისკოპოზი ვინც ვინ წილკნელი ყოფილან, იმათი სამწყსო ყო-
ფილა“⁶⁵. ხევი წმ. ნინოს მოქცეულად ითვლებოდა⁶⁶ და ამდენად,
როგორც ჩანს, საყათალიკოსო სამწყსოს წარმოადგენდა. ქადაგე-
ბენ „მთასა დავალეთისასა“ და „ხევსა შინა ლოპოტანისასა“⁶⁷.
უკვე ამ დროს უნდა ჩამოყალიბებულიყო საეპისკოპოსო
ეპარქიათა ის ძირითადი კონტურები, რომელთა შესახებ
ცნობები გვიანი ხანიდან გვაქვს შემორჩენილი. ასე მაგალი-
თად, ვაჟუშტის მიხედვით, წილკნელის სამწყსოს შეადგენდა
მუხრანი, ორივე არაგვი და ბაზალეთი; სამთავრელისა — ქსნისა
და ლეხურას ხეობები; ნიკოზელისა — კავკასიანი, დვალინი
და მთის რაჭა⁶⁸ და სხვ. უკვე ამ ეპარქიათა ასეთი კონტურები უნ-
და მოწმობდეს, რომ მთისა და ბაზის ურთიერთშერწყმის პროცესი
საქმიად ლრმად არის წასული, ხოლო, მეორე მხრივ, ერთი ეპარ-
ქიის ფარგლებში მოხვედრას ხელი უნდა შეეწყო ამ ტერიტორია-
ზე ერთი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალი-
ბებისათვის. ერთი სიტყვით, ქვეყნის საერთო ეკონომიკური ალ-
მავლობის საფუძველზე სოციალური განვითარების შედეგად პო-
ლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორები ურთიერთგაპირობე-
ბული იყო და ეს ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით ანალი
ერთეულების წარმოქმნის წინაპირობას წარმოადგენდა.

ამ ღრმა და ყოვლისმომცველი სოციალური განვითარების
პროცესის გული საკუთრივ ქართლი იყო, ხოლო მისი ცენტრი —
თბილისი, სადაც იჯდა ქართლის ერისმთავარი, ამ დროისთვის, ბუ-
ნებრივია, წარმოადგენდა „ნებიერ, სავაჭრო და სახელოვან დიდ

⁶⁴ ქ' ცა, I, გვ. 212.

⁶⁵ მ. ჩ ხ ტ ი ა. წილკნელის სარგოს გარიგების ჭიგნი 1669 წლისა. სახსტა-
რო მთამშე. თბ., 1925, II, გვ. 23.

⁶⁶ იქვე, გვ. 24.

⁶⁷ მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი. საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 294, შენ. I.

⁶⁸ ვ ა ხ უ შ ტ ი, ალწერა, გვ. 63, 72, 76.

ქალაქს"⁶⁹. მაგრამ ქართლის „შეკრების“, „ყოველ ქართლის“/შექმნის ეს დიდი პროცესი VII ს. დასაწყისში კვლევაზე უფლებელი ხებულიყო მისთვის საბეღლისწერო მუდმივი კუნძულური უფლებულებები, ხაზართა შემოსევები), ხოლო ამავე საუკუნის შუა ხანებიდან ახალი საგარეო ძალის გამოჩენის შედეგად კი მთელი სამი საუკუნით გადაიდო⁷⁰ — დაიწყო არაბობა საქართველოში.

2. VII ს. შუახანების აღმოსავლეთი საქართველოს, ქართლის სტორიული გეოგრაფიის წარმოსადგენად ფრიდა საინტერესო ცნობებს გვაწვდიან არაბი ისტორიკოსები, რომელთაგან, პირველ რიგში, აღსანიშნავია ბალაზორი (IX ს.). მის თხზულებაში ყველაზე კრიულად არის აღწერილი არაბთა მიერ VII ს. 40-იან წლებში ამიერკავკასიის დაყრინბა.

ისტორიკოსი მოვალეობის არაბთა სარდალი ჰაბიბ იბნ-მასლამა სირიელების ლაშქრით კალიკალასთან (დღ. აზრიუმი) იდგა და ბიზანტიელებთან საომრად ემზადებოდა. წინასწარ მან ხალიფა ოსმანისაგან დასახმარებლად ლაშქარი გამოითხოვა. ხალიფამ გავგზავნა მასთან სალმან იბნ-რაბია კუფელების ლაშქრით, მაგრამ სანამ ეს უკანასკნელი დანიშნულ ადგილს მიაღწევდა, ბრძოლა ჰაბიბის ლაშქარსა და ბიზანტიელებს შორის უკვე მომხდარიყო და არაბებს გაემარჯვათ. მიუხედავად ამისა, ბრძოლის ველზე დაგვიანებით მისულმა სალმანმა თავისი ლაშქრისათვის ნადავლის წილი მოითხოვა. წილის დადებაში მას უარი უთხრეს და ამის თაობაზე მწვავე უთანხმოება ჩამოვარდა არაბ სარდალთა შორის. საბოლოოდ, ამ საქმეში ხალიფა ოსმანი ჩაერია, რომელმაც ნადავლი მხოლოდ სირიელებს მიაკუთხნა, ხოლო კუფელების უკმაყოფილება რომ არ გამოეწვია, სალმანს მიუწერა გალაშქრებულიყო არანის (დღ. აზერბაიჯანის სსრ) დასაყრდნობად. ჰაბიბმა კი ამის შემდეგ სომხეთის პროვინციები დაიპყრო და ჭურზანის (დღ. აღმოსავლეთ საქართველო) დასამორჩილებლად გაემართა⁷¹.

⁶⁹ მოხ. კალან კარტერი, გვ. 156; ლ. დავლიანი დ. ხაზართა ლაშქრობა თბილისა და აღმანეთში მოხვე კალიქატეველის „აღმანეთის სტორიის მიხედვით“, ქართული შუაროოთურნეობა, კრებული I, თბ., 1965, გვ. 67.

⁷⁰ შტრ. ეპისტოლეთა შიგნი, გვ. 181.

⁷¹ Б а л а д з о р и . Книга завоевания стран. Текст и перевод. Перевод с арабского проф. П.-К. Жузе, Баку, 1927, с. 8—11 (ქვემოთ: ბალაზო-რა-ეს-ზე).

ამგვარად, ბალაზორი ნათლად მიუთითებს, რომ პანის და ყრობა წილად ხედა საღმან იბნ-რაბიას, ხოლო ჯურზანისა — მამის იბნ-მასლამას. მართლაც, შეორე არაბი ავტორიც, იაქტონ, ქურდები ვა გვცემს, რომ პაბიბმა დაიპყრო ჯურზანი, ხოლო საღმანი და მართლაც ვანი, მასქათი, შაბირანი და სხვა პროექტიც იყები დღ. ანერბაიჯანის ტერიორიაზე⁷².

რომ ჯურზანი, ამ შემთხვევაში, აღმოსავლეთ საქართველოს, ანუ დაახლოებით ძეველი ქართლის სამეფოს ტერიორიას მოიცავს, ეს დასტურდება იმავე ბალაზორის ცნობით, რომ ერანის შაპია ხოსრო ანუშირვანმა (VI ს.) ჯურზანში ააგო შემდეგი ციხესიმაგრები: ფირუზუშობადი (სომხ. პეროზკავატი და ქართ. პეროვაკაფა, რომლის იდენტიფიკაციაც, ჯერჯერობით მაინც ჰირს), ლაზიეს კარი, ბარიქას კარი — ტრაპეზუნტის ზღვასთან, დარიალიანი, სამცხის კარი, გარდამანი (ქართ. — გარდაბანი) და სამშეილდე⁷³. შეუხედავად იმისა, რომ ამ პუნქტთა უმეტესობის ზუსტი ლოკალიზაცია უცნობია, მაინც ადვილი დასანახია, რომ ისინი მოიცავენ ტერიორიას დარიალდან ქვემო ქართლის ჩათვლით ეგრისამდე და შავ ზღვამდე ე. ი. სწორედ ძეველი ქართლის სამეფოს, ანუ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიორიას.

მაგრამ იმავე აეტორთან შემონახულია ცნობები, რომელთა შეხედვით კონკრეტულად შევგიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რას მოიცავდა პაბიბ იბნ-მასლამას მიერ დამორჩილებული ჯურზანი.

პირველ რიგში განვიხილოთ არაბი სარდლის ე. წ. „დაცვის სიგელი“, მიცემული ქართლის გარკვეული ტერიორიის მოსახლეობისადმი.

როგორც ცნობილია, ამ დოკუმენტის სამი ვარიანტია შემონახული: ბალაზორისთან, ტაბარისთან და იაკუტთან. ამავე დროს ბალაზორის მოტანილი აქვს აგრეთვე ჭარაპ იბნ-აბდულაპის მიერ იმავე პაბიბ იბნ-მასლამას განახლებული სიგელის ტექსტიც⁷⁴.

⁷² Я к у б и. История. Текст и перевод. Перевод с арабского проф. П. К. Жузе, Баку, 1927, с. 5 (ქართ—სუბი-ქურზე).

⁷³ ბ ა ლ ა ზ თ რ ა ჟ უ ზ ე, გვ. 6. „ბარიქას კარის“ აგება ტრაპეზუნტის ზღვასთან ჯურზანში ისის მოწმობად გამოდეგბა, რომ ქართლი ამ დროს და უფრო ძლიერ, კერძოდ, ვახტანგ გორგასალის დროს შავ ზღვაშე გადიოდა.

⁷⁴ ბალაზორისთან დაცული სიგელის ქართული თარგმანი ტაბარისეული კითხვა-სხვაობების ჩერქევითურთ შესრულებული აქვს მ. ლორთქიუანიძეს (იხ. მის, პაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელი“. „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაც. 29, 1951); ბალაზორისეული ტექსტის თარგმანი გაკეთებული აქვს ჭრეთვე ბ. სილაგარეს (იხ. მის, პაბიბ იბნ-მასლამას დაცვის სიგელის

მოვიტანთ დოკუმენტის ჩვენთვის ამჯერად საინტერესო სავალ ნაწილს.

ბალაშორისთან: „სახელითა ოლლაპისა, მოწყვალისა, მწყალობელისა, ეს არის წიგნი ჰაბიბ იბნ-მასლამისაგან პრიტჩის შირიმი მოსახლეობისა და მით მანც ლის იღანტი და ნები და ანტი და ანტი და ან“⁷⁵.

ტაბარისთან: „სახელითა ოლლაპისა, მოწყვალისა, მწყალობელისა, ეს არის წიგნი ჰაბიბ იბნ-მასლამისაგან თბილისის მოსახლეობისა და მით მან ჭურზანიდან, არ მაზის მიწიდან“⁷⁶.

იაკუთთან: „სახელითა ოლლაპისა, მოწყვალისა, მწყალობელისა, ესაა წიგნი ჰაბიბ იბნ-მასლამისაგან თბილისის მოსახლეობისა და მით მან ჭალის სის რუსთაკიდან, (-მანგლისის თემიდან. — დ.მ.), ჰარმაზის ჭურზანიდან (-არმაზის ქართლიდან. — დ. მ.)⁷⁷.

ჭარაპის განახლებული სიგელი ბალაშორისთან: „სახელითა ოლლაპისა, მოწყვალისა, მწყალობელისა, ეს (არის) წიგნი ჭარაპი გაბდ ალლაპისაგან თბილისის მოსახლეობისა და მით, მან გლისის თემიდან, ჭურზანის თლჭირიდან“⁷⁸.

როგორც ვხედავთ, „დაცვის სიგელის“ არც ერთი დღემდე შემონახული ტექსტი არ იმეორებს ერთომეორეს და ყველა მათგანი დაზიანებულად არის ჩვენამდე მოღწეული.

დათარიღებისათვის, „მაცნე“, № 1, 1971, გვ. 69). საკუთარ დაცული ტექსტის თარგმნი შესრულებული აქვს ე. სიხარულიძეს, (იხ. იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვ. I, არაბულ ტექსტი ქართული თარგმანთა და შესავალით გამოსცა ე. სიხარულიძემ, 1964, გვ. 39—40). ქვემომოტანილი თარგმანები სიგელის დასახულისა მოგვაქვს ე. სიხარულიძის მიხედვით (იხ. ე. სიხარულიძე, არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, არაბული დაცვის სიგელები). თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, 73, 1959 წ.). სულ უკანასკნელ ხანს ცნობილი გახდა დაცვის სიგელის⁷⁹ კიდევ ერთი (უკეთესი) გარიბინტი, რომელიც უკველაშე აჩლოა ქვემოთ მოტანილ ტაბარისულ ტექსტთან და სამუცაბაროდ, ჩვენთვის საინტერესო ნაწილში, ახალს არაფრის იძლევა (იხ. თ. ცემიტიშვილი. ჰაბიბ იბნ მასლამის „დაცვის სიგელი“ აბრ უბალის თხზულებაში. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია № 2, 1976, გვ. 193).

⁷⁵ ე. სიხარული და მ. არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, არაბული „დაცვის სიგელები“, თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, 73, 1959, გვ. 170.

⁷⁶ იქვე, გვ. 171.

⁷⁷ იქვე, გვ. 173.

⁷⁸ იქვე, გვ. 172; მ. ლორთქი იუ ან მ. ე. დასახ. ნაშრ., გვ. 64.

ԳՐԱԴԱՎՈՅԱՆ

տազդաპէնրզելած յերտո გառցեթարո աղցոլով գրման յարտցան/ (Ճալաշնորի) աղնոնենուրու յուրմինին յարտլոն", ակը բարձրացած յարտլոն". որից յօ "արմանին յարտլոն" (ոչպահո), անհաջող մովիս" (Իւածարո). Յուրաքանչ Շեմտեցեցամի ցրացոյշլ նուժացիք աղցըն-լած սասենել Շեպընոմաստաճ սնճա ցըշոնցըն սայմե և այս տազ-դապէնրզելած „արմանին յարտլոն" սնճա պոցոլուսո՞ն⁷⁹. Կը ըմծուծ, այ ցագամիշերս ան տշոտ ավերուս սնճա թուսվոլուծ Շեպընոմա: Համեզնա-գաց պուրա սուրու թին ճալաշնորի բյուրս գրանուն մատլոնձլած արև-ծոված ճածա կորմինիչ (արդամաւրու ըպուտերո) ամցընած սուցուացուոտ ին ճաշնուն ցառցեթարո "արմանին" աշխատաց յարտլուս ցըշուերած մուլու և ա "յուրմինիած" ցագամիրո⁸⁰. Ես կոնոյքիրուրա, ամս ցարճա, ցամարտլուցծովուրու Ծյէսթընալուրու անքանին քանոննոմոյերեցուն տշալսամինուսուտապ: Մինորու սունուրացունա մուցըտ որ սուրու ցասա-ցիք ցարուանքս, յերտո սրուլուած ցառցեթարուս թինամի, հոմլուս ցանիսարեցուն Շեմտեցեցամի, ծոլլուս և ծոլլուս զուղեծոտ սեցանուոտ սրուլուած սունուր և սունայր սրուռուլ-ցեղցիրացուր Ծյէրմինս ։ Պատասխանութիւն յարտլոն⁸¹.

Ճազեմիշիւրունցըտ սուցելուս Ծյէսթուս Շինահուս. Հոցորու ալունոնեյտ, ոչո ճանանեծովուրու սանուտ արուս հիցենամցու մոռլիշուրու, մազրամ սայրտո անինուս ցամուրանա մենցու ահ սնճա ուսուս: Այ լաճարայուս յարտլուս (ոչը-րուս) ճազայալայուս, տծոլլուսուս և սայստորու յարտլուս (յունոցիրա-ցուրու յարտլուս) ճամուռիուլցեթաչու. Սինորու սնճա ուսուս լուցումենցուս նայլուրու աղցոլուս ասյուտ ալուցըն: Եղայ ահս թիգնու ձածոնիսա մաս-լամաս մուսաք մուշոցրեցտա: Միմարտ յալայուս Ծյուլուսուսատա, սանա-եցօնսա մանցլուսուսատա և արմանիսատա յարտլութիւն⁸². Ասցըց ցարցու աղցոլու ճալաշնորուս Ծյէսթուս հուսուլած մտարցմելումա: «Дана

⁷⁹ M. Ghazarian. Armenien unter der arabischen Herrschaft bis zur Entstehung des Bagratiden, Marburg, 1903, ց. 79; ոյ. Քաջաხով Յովան Յանուար յարտցու յուրմին ամուսնու կամաւրա. I—II, տե., 1913, ց. 346; Յ. Լոռի Յովան Յանուար յարտցու յուրմին ամուսնու կամաւրա. Տաճար. Երևան, ց. 69.

⁸⁰ I. Markwart. Skizzen zur historischen Topographie und Geschichte von Kaukasien. Das Itinerar von Artaxata nach Armastica auf der römischen Weltkarte, յուրն. Հանդիս Ամսօքեայ. № 11—12, 1927, ց. 898.

⁸¹ Եւ ամ տշալսամինուս մուղութ, մաժու ցրագու ցանցեթա, հոմ ճալաշնորուսա ճա-ուցուուս մոյր Շեմոնածուրու Ծյէսթու ։ Ժապասն սոցըլուս։ Ճասաֆյուսուս ահսյունուու սրուլուած հոյենցրուրու և, ամլունած, սացարացուու. Հոմ սայստուս թյառուս Սիո-նցը ճալաշնորու յարմուացցնուա.

⁸² ոյ. Քաջաხով Յովան Յանուար. Տաճար. Երևան, ց. 346.

сия грамота Хабибом, сыном Масламы, жителем Тифлиса (и собравшимся) из Манджалиса (Манглиса), из Кубанского казачьего землемера»⁸³...ис рим „დაცვის სიგელის“ შემორჩენილურ ფრეზა ანტიდან ოთხივესათვის საერთო „თბილისის მოსახლეობის“ გარდა, სამგან (ბალაზორი, იაკუთი) ნახსენებია მანგლისი, ხოლო სამგან (ბალაზორი, ტაბარი, იაკუთი) — არმაზი (ერთგან, როგორც ვიცით, შეცდომით — „კირმიზი“), ცხადია, მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ აქ შემოთხვევით ჩამოთვლილ პუნქტებთან კი არ გვაქვს საქმე, არა-მედ სრულიად გარკვევით და შეგნებულად აღნიშნულ მნიშვნელოვან ცენტრებთან. და, რა თქმა უნდა, არსებოთად სწორია ის მოსაზრება, დამყარებული ტექსტის რუსულ თარგმანშე, რომ „დაცვის სიგელი“ გაცემულია ტფილისში დაბანაკებული ჰაბიბის მიერ ტფილისის მცხოვრებლებისა და „წითელი ქართლიდან“, მანგლისიდან თავმოყრილებისადმი. პირველი წრე ალბათ გულისხმობს შიდა ქართლს, რომლის სათავეში დგას პატრიიოტი, საჭდომით — ტფილისში, ხოლო მეორე, ალბათ „ქართველთა საპირისძოებოს“, ე. ი. გუგარეთს, რომლის სათავეში პიტიახში დგას რეზიდენციით — მანგლისში⁸⁴.

საწინააღმდეგო მოსაზრება, თითქოს აქ საუბარია არა სხვა-დასხვა პუნქტებზე, არამედ იმაზე, „თუ რომელ თემსა და ოლქში შედიოდა თბილისი⁸⁵“, არ არის სწორი⁸⁶. სხვა არა იყოს რა, ამ მოსაზრების გაზიარებისათვის სრულიად აუცილებელია ორგან (ტაბარი, იაკუთი) მეაფიოდ მითითებული „არმაზის“ შეცვლა გაუგებარი „კირმიზით“ (ბალაზორი), რაც, როგორც ვნახეთ, საფუძველსაა მოკლებული, ხოლო თუ გაუზიარებდით, ჩვენი აზრით, სწორ წაყითხვას — „არმაზის ქართლი“, მაშინ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გაუგებრობის წინ აღმოვჩნდებოდით: თბილისი ერთდროულად მანგლისის თეშშიც აღმოჩნდებოდა და არმაზის ოლქშიაც⁸⁷. ამიტომ „დაცვის სიგელის“ დასაწყისის აზრობრივი აღდგენა უკელაზე უფრო მიზანშეწონილად ასე გვვინია: „თბილისის მოსაზ-

⁸³ ბ ა ლ ა ზ რ ა ს უ შ ე . ი ქ ვ .

⁸⁴ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა . ა რ ა ბ ი ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ , შ რ ი მ ე ბ ი , II , 1952 , გვ . 364 . შ დ რ . ნ . ბ ე რ ა დ ე ნ ი შ ვ ი ლ ი . ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ს ტ ი რ ი ს ი ს ა ქ ი თ ხ ე ბ ი , I , 1964 , 25 .

⁸⁵ ე . ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე . დ ა ს ა ხ . ნ ა შ რ . , გვ . 174 .

⁸⁶ ი ს . გ . ლ ო რ თ ქ ი ი ფ ა ნ ი ძ ე . ა რ ა ბ თ ა მ უ ლ ი ბ ე ლ ი ბ ი ს ხ ს ი ა თ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ , „მ ა ს ა ლ ე ბ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა დ ა კ ა ვ კ ა ს ი ს ი ს ტ ი რ ი ი ს ა თ ვ ი ს “ , ნ ა კ . 35 , 1963 , გვ . 79—80 .

⁸⁷ ე ვ . გ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი . დ ა ს ა ხ . ნ ა შ რ . , გვ . 346 .

ლეობისადმი ჯურზანიდან⁸⁸ (მოსახლეობისადმი), მანგლისის თემიდან (და) არმაზის ჯურზანიდან», ანუ სხვაგვარად, სიგელი გაცემული ყოფილა „ქართლის მოსახლეობისადმი თბილისმუხამესი შენობას“⁸⁹ । ლისის თემიდან და არმაზის ქართლიდან“. წინადაღუმშიც — მქეჩისტურებისადმი განმარტავს პირველს, ე. ი. აქ ლაპარაკია არა მთელ ქართლზე, რამდენადაც არაბებს იგი მთლიანად დაპყრობილი ჯერ არ ჰქონიათ, არამედ თბილისზე, როგორც მთელი ქართლის დედაქალაქზე და ქართლის ორ კონკრეტულ „ქვეყანაზე“, რომელიც ამჟერად დაიპყრეს მათ: მანგლისის თემზე, ანუ ქვემო ქართლის საბიტიაბშონზე ცენტრით მანგლისში და „არმაზის ქართლზე“, ანუ ჩვენი აზრით, შიდა ქართლის ნაწილზე ცენტრით არმაზში.

ის გარემოება, რომ „არაბთა სახალიფოში გაბატონებული პრაქტიკით არაბები ზავისა და შეუვალობის სიგელებს, ჩვეულებრივ, აძლევდნენ არა მთელ ქვეყანას, არამედ ცალკეულ დაპყრობილ ადგილებს, ქალაქებს, ციხესიმაგრეებსა და სოფლებს“⁹⁰, კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ადასტურებს „დაცვის სიგელის“ ტექსტის ჩვენებურ ინტერპრეტაციას: იგი ეხება ქართლის დედაქალაქ თბილის და აგრეთვე, მანგლისა და არმაზს, რა თქმა უნდა, თავისი „შესავალი ქვეყნებით“.

რომ მანგლისი მნიშვნელოვანი, პირველ რიგში, საეკლესიო ცენტრი იყო ქვემო ქართლისა, დავას არ უნდა იწვევდეს: აქ, როგორც ვიცით, უკვე IV ს-ში შენდება ქრისტიანული ეკლესია, რომელიც მცხეთის ჯვართან ერთად უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო ქართლში, არამედ ამიერკავკასიის მთელ ქრისტიანულ სამყაროში⁹¹. არ არის გამორჩიული, რომ ჩვენთვის საინტერესო ხანაში მანგლისი იმავე დროს ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრსაც წარმოადგენდა და, როგორც იყო აღნიშნული, „ქართველთა პატიაბშის“ რეზიდენციას⁹².

რას უნდა გულისხმობდეს გამოთქმა „არმაზის ქართლი?“

⁸⁸ უკანასკნელ სიტყვას ეცნატებ ტაბარისეული ვარიანტისა და აგრეთვე გარემონტირებული სიგელის მიხედვით (იხ. ზემოთ). ესეც რომ არ იყოს, ამრა არსებობთად არ იცვლება.

⁸⁹ ე. ს ი ბ ა რ უ ლ ი ბ ე. ლასახ. ნაშრ., გვ. 175. რაც შეეხება სოფლებისადმი სიგელების გაცემას, ასეთი რამ ამიერკავკასიის მიმართ ჩვენ არ ვიცით და ხატოთავე ეს შეუძლებელია.

⁹⁰ აკადმიულთა წიგნი“, გვ. 122.

⁹¹ მანგლისისა და მისი ხევის მნიშვნელობის შესახებ იხ. თ. თოლია სპეციალური წერილი: „მანგლისის ხევი“, ეურ. უკვლევის მეცნარი“, № 21, 1970.

ჩვენი აზრით, აქ უნდა ივარაუდებოდეს ქართლის ის ნაწილი,
რომლის ცენტრასაც იმ დროს არმაში წარმოადგენდა, ე. ბ.
უნდა იგულისხმებოდეს არმაში თავისი „შესავალი ქართული უძღვი
გამოთქმა „არმაშის მიწა“ — ტაბარისთან). ეს „ქართული უძღვი
უნდა, პირველ რიგში უნდა ყოფილიყო შიდა ქართლი, უკეთ,
მისი გარევეული ნაწილი, არმაში, როგორც ცნობილია, ვიანანტი-
კურ ხანაში ქართლის სამეფოს ფრიად მნიშვნელოვანი ცენტრი —
პირიაშვითა რეზიდენციაა. მნიშვნელოვან პუნქტად რჩება იგი ად-
რეკტისტიანულ ხანაში⁹², მაგრამ ვა ვეს კი საფუძველი შიდა
ქართლის ასეთივე მნიშვნელოვან ცენტრად წარმოვიდგინოთ იგი
ადრეფეოდალურ ხანაში და, კერძოდ მაინცდამანც, VII ს-ში?

ვფიქრობთ, რომ ამის სრული საფუძველი ვვაქვს.

საქმე ის არის, რომ „მთა ქართლის“ (-არმაში) აღმოჩენა-
თან დაკავშირებით 1960—61 წლებში აქ გაშლილი აღქეოლოგიუ-
რი გათხრების შედეგად გამოვლინდა ადრეფეოდალური ხანის
გრანდიოზული ციხესიმაგრის ნაშთები, რომელიც უპირველია შიდა
ქართლის ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკური (რელიგიური?)
ცენტრი უნდა ყოფილიყო⁹³ და, რომელიც ამავე დროს ქართლისა-
თვის უაღრესად მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაგისტრალს აკონ-
ტროლებდა⁹⁴. სწორედ ამ ციხესიმაგრეს დაქვემდებარებული ტე-
რიტორია ქართლისა უნდა იგულისხმებოდეს, პირველ რიგში, გა-
მოთქმაში „არმაშის ქართლი“ თუ „არმაშის მიწა“.

მაგრამ რა დროის ნაგებობაა ეს ციხესიმაგრე?

რომ იგი V ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს, ამაზე სრული
უკველობით გვარჩეულების „მოქცევად ქართლისას“ ცნობილი
წესანიშნავი ჩვენება, რომელიც ეხება VI ს. დასაწყისს: „მაშინ
მცხეთად ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაში შემ-
ცირდებოდეს და კალად განდიღნებოდა“⁹⁵. ეს ეპოქალური ტეხი-
ლის აღმნიშვნელი ცნობა, სხვათაშორის, უცილობლად იმაზეც მი-
გვითითებს, რომ ამ დროს და ამის შემდგომ გამორიცხულია ისე-

⁹² მცხეთა. Итоги археологических исследований I, 1958, 114—115.

⁹³ აბ. ღ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფი-
ის საკონსები ნ. ბერძენიშვილის შრომებში, „მაცნე“, საქართველოს სსრ მეცნიერე-
ბათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, 2, თბ.,
1965, გვ. 108.

⁹⁴ ღ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. „მთა ქართლის“ სტარიულ-გეოგრაფი-
ულ შესწავლისათვის, „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966, გვ.
176—184.

⁹⁵ OP, 724.

თი გრანდიოზული ნაგებობის შენება, როგორიც არმაზის ციხესიმაგრეა. მართლაც, მისი აჩვენებელურული შესწავლის შედეგადც იმ დასკვნამდე მივიღნენ, რომ ეს შენობა აგებულია, რა ფასტეს IV ს. პირველი ნახევრისა, IV ს. მეორე ნახევარშე მც შეკერძოდ ნახევარში⁹⁶.

ეს რაც შეხება მისი აგების დროს, მაგრამ რომ VI ს-ზე უფრო გვიანაც იგი ინარჩუნებდა პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობას, ამას მოწმობს არა მხოლოდ არქეოლოგიური მასალა დათარიღებული ორმიზდ IV-ის (579—590) და ხოსრო II-ის (590—628) დრამებით, აგრეთვე იმპერატორ კონსტანტინე IV-ის (668—685) სპილენის მონეტით⁹⁷ და ე. ი. VII ს. კუთვნილი, არამედ ერთ-ერთი მრგვალი კოშკის შენებლობაც, რომელიც შიგ მოიცვებული არ ჰეოლოგიური მასალის მიხედვით თარიღდება VIII ს-ით⁹⁸, რაც მოწმობს, რომ ამ დროსაც ცახესიმაგრის მნიშვნელობა ფრიად დიდია ამგვარად, არმაზის, როგორც პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობა ჩერენვის საინტერესო ხანაში, ე. ი. VII ს. შუაში, სრულიად უდავო ფაქტია.

მაგრამ, რა ტერიტორიას მოიცავდა არმაზცის „შესაგალი ქუეყანა“, ანუ არაბული წყაროების „არმაზის მიწა“ ან „არმაზის ქართლი“? ეს უნდა ყოფილიყო ტერიტორია, რომელიც ქართლის სამეფოს ისტორიის უძველეს ხანაში სასპასპეტო მხარედ ითვლებოდა, ტერიტორია „არაგვითგან და არმაზითგან ვიდრე ტასისკართაძე უწინდა ამას ქუეყანასა ზენას სოფლისა, რომელსაც აწ პევან შიდა-ქართლი“⁹⁹. პირველ რიგში ეს უნდა ყოფილიყო „მტკუარსა სამკრიო კერძო“ ქართლი¹⁰⁰, ანუ გვიანდელი ტერმინოლოგით შიდა ქართლის გალმამხარი (მტკურის მარჯვენა ნაპირზე). სავარაუდოა, რომ სპასპეტის რეზილენცია სწორედ არმაზცის ყოფილობის¹⁰¹.

⁹⁶ К. Мелитаври. Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, 1969, с. 67.

⁹⁷ სასანური მონეტები განსაზღვრულია ი. ჯალაანის მიერ. ბიზანტიური-სათეოს ის. თ. ა ბ რ ა მ ი მ ვ ი ლ ი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშის ბიზანტიური მონეტები, გვ. 127.

⁹⁸ მასალა დათარიღებულია ი. ბოხოჩაძის მიერ, ის. К. Мелитаври, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

⁹⁹ ქ' ცა, I, 10, შლრ. იქევ, გვ. 24—25.

¹⁰⁰ იქვე, 276.

¹⁰¹ შლრ. გ. მ ე ლ ი ქ ა შ ვ ი ლ ი. ქართლის (იბერიის) სამეცნის ისტორიას ქრონილოგის საკითხისათვის. ივ. ჯვარიშვილის სახ. სტორიის ისტორიუმს შრომები IV₁, 1958, გვ. 160.

ამგვარად, ერთხელ კიდევ ვავიმეორებთ: ჰებიბ შენაბარამას /
მიერ გაცემულ „დაცვის სიგელში“ საუბარია არაბთა მიერ ამ
დოკუმენტის გაცემის დროს უშუალოდ დაპყრობილ ქრისტიანთა წილი
ზე — ქვემო ქართლზე ცენტრით მანგლისში (საპიტიოს ქართლის ქადაგის
და ქართლის ნაწილზე ცენტრით არმაზში (სასპასპეტო). რაც შე-
ეხება თბილისს, რომელსაც, რა თქმა უნდა, თავისი საკუთარი
„ძველყანაც“ გააჩნდა (სომხ. გოგრაფიის „პარეარი“), იგი, ცხადია,
პირველ რიგში უნდა ყოფილიყო აღნიშნული, როგორც არა მარ-
ტო საკუთრივ ქართლის, არამედ „ყოველი ქართლის“ (ივერიის)
დედაქალაქი, სადაც ამავე დროს იჯდა ქვეყნის სუვერენი — ქარ-
თლის ერისმთავარი.

თბილისის და ქართლის ზემოხსენებული მხარეების დამორ-
ჩილების შემდეგ არაბებმა აკეცე უბრძოლველად აღმოსავლეთი
საქართველოს დანარჩენი კუთხეებიც დაიცირეს, როგორც ჩანს,
ესენიც განსაკუთრებული „დაცვის სიგელების“ საფუძველზე, რო-
მელთაგან, სამწუხაროდ, არც ერთი არ არის ცნობილი¹⁰². ნუსხა
ამ დამორჩილებული ქვეყნებისა შემონახულია ბალაზორისთან¹⁰³.
ჩვენ, პირველ რიგში, ჩამოვთვლით იმ მხარეებს, რომელთა იღენ-
ტიფიუაციაზე ეჭვი არავის მიაქვს. ესენია: ხუნანი, გარდაბანი,
თრიალეთი, სამცხე, არტანი, შავშეთი, კლარჯეთი, კახეთი, კუხე-
თი, ბაზალეთი, დარიალანი წანარებითურთ და დიდოელები¹⁰⁴.

აღსაღვენი რჩება ოთხი მხარის სახელწოდება:

ა). ქარ — რომელსაც, ჩვეულებრივ, აღაღვენენ „ქსანად“¹⁰⁵
და ე. ი. ქსნის ხეობას გულისხმობენ¹⁰⁶. მაგრამ ეს არ უნდა იყოს
სწორი, რადგან სხვა არა იყოს რა, როგორც უკვე მივუთითებდით,
იმავე ბალაზორის მიხედვით ეს მხარე და პუნქტი ბარდავსა და
თბილის შორის მდებარეობს და, ამდენად, მისი ქსნად აღდგენა
გამორიცხულია¹⁰⁷. როგორც ირკვევა, პუნქტი „ქსალი“ მდება-

¹⁰² ე. სიხარ უ ლ ი ქ. დასახ. ნაშრ., გვ. 175.

¹⁰³ ბ ა ლ ა ზ ი რ ი დ კ უ ზ ე. გვ. 11.

¹⁰⁴ M. Ghazarian. დასახ. ნაშრ., გვ. 347; ე. სიხარ უ ლ ი ქ. დასახ. ნაშრ., გვ. 175; მ. ლ თ რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 81.

¹⁰⁵ ი. გ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. იქვე. შენიშვნა; ე. სიხარ უ ლ ი ქ ე. იქვე; მ. ლ თ რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. იქვე; I. Markwart. დასახ. ნაშრ., გვ. 856.

¹⁰⁶ ქ. გ ვ ა ს ა ლ ი ა. ქსნის ხეობის ძარღოველი გოგრაფიის საკითხები.
„საქართველოს ძარღოველი გოგრაფიის ქრებული“, III, გვ. 40.

¹⁰⁷ დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. უფარმა, გვ. 81, შენ. 32.

რეობდა მდ. აღსტაფა-ჩაის ქვემო წელზე ლევანდელი ყაზახის
ადგილზე და თვით „ყაზახიც“ ძეველი „ქასალ“ // „ქასახ“-ის შეცველ
სახენაცვალი ფორმა უნდა იყოს¹⁰⁸. ასე ეწოდებოდა თავადების კავკასიის მთელ მხარეს და მის ცენტრს, ქალაქს, რომელიც უკავშიროდ მუშავე
იბნ-მუჰამედმა VIII ს. 30-იან წლებში¹⁰⁹.

ბ). კსტაფი ან კსისჯი, რომელსაც აღადგენდნენ gouschtafsi, მაგრამ სამართლიანი აზრით, ეს არ არის სწორი, რადგან ასეთი სახელწოდების პუნქტი მულანშია, მაშინ როდესაც, პაბიბიბნ-მასლამას დაპყრობითი ოპერაციები ქართლს (ივერიას) არ გასცილებია¹¹⁰. მეორეგვარი აღდგენით აქ „ქუსტი-ს“ სომხეური პროვინცია იგულისხმება არცაბის მხარეში¹¹¹.

ასეთი იდენტიფიკაციაც, იმავე ზემოხსენებული მიზეზების გამო, ჩვენთვის მიუღებელია, მით უმეტეს, რომ „ქუსტის“ აღდგენა „ქუსტისგი“-დან თავისთავად ნაძალდევია. კიდევ მესამეგვარი ინტერ-პრეტაცია ასებობს ამ სახელისა - „Kasī-čiche“¹¹², რომელიც ავრეოვე მიუღებელია იმის გამო, რომ ასეთ ციხეს არ ვიცნობთ.

უფიქრობთ, რომ არაბული დამწერლობით აღნიშნული ეს სახელწოდება გულისხმობს „ქსნისხევს“. ეს რეალურ-ისტორიული თვალსაზრისითაც სრულიად ბუნებრივია, რამდენადაც, როგორც ვიცით, უკვე სომხეური „გეოგრაფია“ იცნობს ამ სატორიულ-გეოგრაფიულ ერთეულს და გრაფიულ ნიადაგზედაც აღვილი წარმოსადგენია დიაკრიტული ნიშნების გადასმით, მაგალითად, ამგვარად: კსნუხი, რაც შეიძლება წარმოადგენდეს კსნუხი-ის დამახინჯებას გადამწერთა წყალობით¹¹³.

გ). კსფი ყო ან კსფრ ყო აღადგენენ „ქსოვრისალ“¹¹⁴, რაც საეჭვოა, თუკი არ ვივარაუდეთ, რომ იმ დროს ქსოვრისი რაიმე მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა (მუხნარისა?). შესაძლებელია უფრო სარწმუნო იყოს იდენტიფიკაცია, რომელიც

¹⁰⁸ V. Minorsky. Transcaucasica. Extrait du Journ. Asiat. Juillet-Sept. 1930. 73—90.

¹⁰⁹ ბ. ა. ჭორი ი-ებ ჭ. ე. ვ. 17.

¹¹⁰ M. Ghazarian. დასახ. ნაშრ., ვე. 81.

¹¹¹ იქვე.

¹¹² I. Markwart. დასახ. ნაშრ., სვ. 856.

¹¹³ გრაფიულ ნიადაგზე ასეთი აღრევის შესაძლებელობა მიღვითთა ბ. სილაგაძემ.

¹¹⁴ ივ. ჭ. ვ. ხ. ი. მ. გ. ი. ლ. ა. დასახ. ნაშრ. ე. ს. ი. ხ. ი. უ. ი. დ. ე. დასახ. ნაშრ., მ. ლ. ი. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. დ. ე. დასახ. ნაშრ.

ამ სახელშოდებაში „კასპის“ გულისხმობს¹¹⁵, რაღაც ქირთული წყაროებითაც კასპის სასპასალარო, როგორც ერთ-ერთ უძველესობა ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული, კარგად არწყეფნიშვილი¹¹⁶ ითქვას.

დ). ერა ან ჟრახ ან ჟორა — ჩვენს ისტორიოგრაფიაში „ხერკად“, ალადგენენ, ¹¹⁷ თუმცა უფრო სწორი უნდა იყოს ამ ტერმინის „ჭავა-ხალ“, ანუ ჭავახეთად ალდგენა¹¹⁸. ასეთი იდენტიფიკაცია ადვილასა-შვებია დამწერლობის ნიადაგზეც — ჟრახ < ჟორა > და, რაც მთავა-რია, სრულად ბუნებრივია რეალურ-ისტორიული თვალსაზრისით. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ არაბებმა მთელი აღმოსავ-ლეთი საქართველო დამორჩილეს და მოვიგონებთ აგრეთვე ქართლის (ივერიის) პროვინციების ზემოაღნიშნულ არაბულ ნუსხას, კერძოდ კი გვიანდელი ზემო ქართლისას: სამცხე, არტაანი, შავშეთი, კლარ-ჭეთი, — ცხადი გახდება, რომ თუმცა შესაძლებელია ეს ნუსხა თავის-თავად ნაკლული იყოს, მაინც ყველაზე უფრო აქ სავარაუდოა ჭავა-ხეთი იგულისხმებოდეს.¹¹⁹

პაბიბ იბნ-მასლამას მიერ ქართლში დამორჩილებული ქვეყნე-ბის ნუსხა შემონახული აქვს კიდევ ერთ არაბ ისტორიკოსს, იბნ-ალფაյიმსაც, მაგრამ იგი უფრო ნაკლული სახითაა მასთან დაცუ-ლი და სურათის უკეთ გარკვევისათვის არაფერს იძლევა¹²⁰.

¹¹⁵ ასეთი იდენტიფიკაცია ეკუთხნის შარკვატტს. უფრო სწორად იგი ამ ტერ-მის ალადგენს მევვარად: -Kaspişken“ კასპიშენი (იხ. მისი დასახ. ნაშრ., ს. 856). ასეთი ქართული ტოპონიმის წარმოდგენა გაძნელდებოდა.

¹¹⁶ იხ. მავალითად, „მოქცევად ქართლისაა“, OP, 720 და სხვ. ან ქ’ცა, I, 143 და სხვ.

¹¹⁷ ივ. ჭავახიშვილი, დასახ. ნაშრ., იქვე; ვ. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., იქვე; მ. ლორთქელიანი, დასახ. ნაშრ., იქვე.

¹¹⁸ M. Ghazarian. დასახ. ნაშრ., გვ. 27 და 80; I. Markwart. იქვე; ასეთივე ილდგენა ქ’ერნია მ’ Ohsson-ხაც (იხ. ივ. ჭავახიშვილი. დასახ. ნაშრ. იქვე).

¹¹⁹ რომ ჭავახთი ამ დროს ქართლში შემოდიოდა ამას მოწმობს სომეხი ისტორი-კოსი ოძნები მატიკონინი, იხ. V. Langlois, Collection des historiens anciens et modernes de l’Arménie t. I, Paris, 1867, 381.

¹²⁰ იხ. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа вып. 31, с. 27. როგორც ჩანს, იბნ-ალფაյიმი აქ დამოკიდებულია ბალაზორიზე ინდა ამ უკანასკნელის მსგავს წყაროზე. არაბულ ტექსტში (იქვე, გვ. 26) „ჯურა-ხეის“ ნაცვლად შეტანა „ჯურზან“, რაც შეიძლება თვით ეტორის ჩანართი იყოს. საუ-როთოდ ამ უკანასკნელს ნუსხა არეული იქვე: „ქ’ესტარი“ და „ქ’ესტიბისი“, რომე-ლიც ბალაზორისთვის ერთი და იგვევ პეტრის ვარიანტული დამწერლობაა (იხ. ბალა-ზორი - ქ’ესტარი გვ. 40, სქოლით 64), ალფაյიმთ თანი სხვადასხვა პეტრის და სხვ.

ამგვარად, საბოლოოდ რომ მოვიტანოთ არაბული ნუსხა და
მორჩილებული ქართლის პროვინციებისა, ასეთი ვითარებაა: ჰაბიბ
იბნ-მასლამამ დაიმორჩილა კახეთი, კუშტო, ხუნჭი, ქუშტუშა [ქუშტუშა]
(-სომხ. წყაროების „ძოროფორი“, დღ. აქსტაფა-ჩაიქ წუშტიშვილი ქუშტუშა)
დაბანი, ქვემო ქართლი (ძვ. საპიტიაშვილი), თრიალეთი, შიდა ქართ-
ლი (ძვ. სასპასპეტო), ბაზალეთი (არაგვის ხეობა), ქსნისხევი, კას-
პი (?), ჯავახეთი, სამცხე, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, დარიალი
წანარებითურთ (დღ. ხევი და მიმდგომი მთიანეთი), დიდოელები
(დღ. დასავლეთი დალესტანი). ქართული წყაროების ენით რომ
ვთქვათ, ეს არის ტერიტორია „ხუნანითგან, ვიღრე ზღუადმდე სპე-
რისა“, ე. ი. დაახლოებით ძველი ქართლის სამეფოს ტერიტორია.

ჩვენთვის საინტერესოა კონკრეტული პოლიტიკური საზღვ-
რები არაბთა მიერ დამორჩილებული ქართლის ქვეყნისა. სააშისო
მონაცემები იმავე არაბულ წყაროებში მოიძებნება.

ბალაზორი მოგვითხრობს, რომ მას შემდეგ, რაც ჰაბიბ იბნ-
მასლამამ დევინი აიღო „ლრმად შევიდა ქვეყანაში და გაჩერდა ქურ-
ნისთან (გარნისთან. — ღ. მ.), მივიდა აშოშამდე და ზათ-ულ-ლუ-
ქუმამდე, თუ კი მთამდე და აპრარის ველამდე და დაიკავა
დებილის (დვინის. — ღ. მ.) ყველა სოფელი¹²¹. რამდენადაც, აქ
დვინის „ქვეყნის“ დამორჩილებებაშეა საუბარი, შეიძლება გვევა-
რაუდა, რომ ის პუნქტები, სადამდისაც მიუწია არაბთა ლაშქარია,
სასახლეერო ორენტირებს წარმოადგენენ. რომელია ეს უკიდურე-
სი პუნქტები? „აშოში“ იგივე სომხური წყაროების „აშოცი“, ანუ
ქართული „აშოცი“ უნდა იყოს, ხოლო „აპრარის“ ან „აპრარის
ველი“ ალბათ მდ. ახურიანის ველი, რომლის სათვეებშიც მდება-
რებობს სწორედ აშოცი. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ბუნებ-
რივია ვიუიქროთ, რომ აშოცი, როგორც „დვინის ქვეყნის“ (resp.
სომხეთის) საზღვარი, შესაბლებელია მხოლოდ ქართლის მომიჯნავე
ტერიტორია ყოფილიყო. ამასვე ვავარაუდებინებს პუნქტი ზათ-
ულ-ლუქუმი, რომლის იდენტიფიკაცია, სამწუხაროდ, შეუძლებე-
ლია, მაგრამ აშოცის მახლობლად უნდა ყოფილიყო.

საქმე ის არის, რომ სომხეთის დაპყრობის შემდეგ, როგორც
ვიცით, ჰაბიბ იბნ-მასლამა ქურზანისაკენ გაემართა. როდესაც მი-
სი ლაშქარი მივიდა ზათ-ულ-ლუქუმში, იქ შეისვენეს. ამ ადგილას
მოხდა შეტაკება ადგილობრივ მოსახლეობასა და არაბებს შორის,
რომელშიაც არაბებმა გაიმარჯვეს. ამის შემდეგ მოვიდა ჰაბიბთან

¹²¹ ბ ღ ა შ დ რ ი თ უ შ ე, გვ. 11.

(ჩანს, იმავე ზათ-ულ-ლუჭუშში) ქართლის პატრიკეთხის წერილი ზაეის თხოვნით¹²². ეს გარემოებაც გვავარაუდებისება. ორმ ზათ-ულ-ლუჭუში უნდა ყოფილიყო სასაზღვრო პუნქტები ქუთხებთან და ქართლს შორის, სადაც ორაბთა მხედართმთვეუბულებელი ქართლის წარმომაღენელი რომ ქვეყანა აოხრებისაგან გადაარჩინოს. რამდენადაც ზათ-ულ-ლუჭუში, როგორც ვიცით, სადღაც აშოცთანაა, რომელიც თავის მხრივ, სასაზღვრო ქვეყანას უნდა წარმოადგენდეს, ამდენად ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ცოლიტიკური საზღვარი სომხეთსა და ქართლს შორის ამ დროსაც ისევე, როგორც უფრო ძველად, V ს-ში, მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ მიღზე გადიოდა.

ამ ვარაუდს, სხვათაშორის, ამართლებს ის ნუსხაც ქართული პროვინციებისა, რომელიც ბალაზორის იქნ დაცული. მართლაც, ჯვარხეთის, არტანის და კლარჯეთის მიეკუთვნება ქართლისაღმი გულისხმობს, რომ მისი სამხრეთი საზღვარი გადიოდა იქ, სადაც იგი დაიდო მას შემდეგ, რაც სომხეთის მიერ აღრე მიტაცებული მიწები კვლავ ქართლს დაუბრუნდა (ე. ი. IV ს. მეორე ნახევრის შემდეგ) ე. ი. მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფზე და კლარჯეთსა და ტაოს შეუა. ტაო კვლავ სომხეთის შემადგენლობაში რჩებოდა. არაბებმა ვერ დაიმორჩილეს იქაჩა, არგვეთი და, როგორც ჩანს, რაჭაც, რომლებიც დასავლეთ-საქართველოს ფარგლებში დარჩენენ.

ცვლილებაა თითქოს მომხდარი ქართლის აღმოსავლეთ პერიფერიაზეც.

ჩვენ ვიცით, რომ V ს. მეორე ნახევარში ვახტანგ გორგაძალმა კამბეჩიანი და ჰერეთი თავის სამეფოს უშუალოდ შემოუერთა და აქ საერისთავობი დაარსა, ხოლო VI ს. 90-იან წლებში სუმბატ დავითის ძის ცნობით, გუარამ ქართლის პირველი ერისმთავრის ძმები „ასამ და ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩიანს, და გარდა უქციეს ერი ვეზანს, ერისთავება ბაპარ ჩუბინისა, და ვეზან მოკლეს, და დაიპყრეს კამბეჩიანი“¹²³. VII ს. 30-იან წლების ბოლოსათვისაც, სავარაუდოა, კამბეჩიანი ქართლის ერისმთავრის (ადამიანე კპატოსის) საგამგეოში შემოდის¹²⁴. მაგრამ არაბთა აქ შემოსვლისას სხვაგვარი ვითარებაა.

როგორც ვნახეთ, ამიერკავკასიის ჭერ კიდევ დასაპყრობი ქვეყნებიდან ჭურჩანი (ქართლი) ჰაბიბ იბნ-მასლამას ერგო წილად,

¹²² ბ ა ლ ა ზ ი რ ი - ფ უ ზ ე გ, გვ. 11

¹²³ ქ' ფ, I, გვ. 374.

¹²⁴ ი ბ. ლ. მ უ ს ს ე ლ ა მ ვ ვ ი ლ ი. უკარმა, გვ. 81, ჟენ. 18.

ხოლო არანი — სალმან იბნ-ჩაბიას. ამ ქვეყნების დაპყრობა დაახლოებით ერთდროულად მოხდა. და აი, სალმან იბნ-ჩაბია შეკრულებისას, გადადის მტკვარს, იჭერს ყაბაზულს და ქანისა და კამიბერანის მფლობელებთან ზავს დებს ხარჯის გადახდის პირობით¹²⁵.

„ქამიბერანი“, როგორც სამართლიანად ფიქრობენ, უნდა იყოს შერყვნილად გადმოცემული კამბეჩანი¹²⁶. თუ ასეა, მაშინ ბალაზორის თხზულების მიხედვით VII ს. 40—50-იანი წლებისათვის ეს ქვეყანა არანის ფარგლებში შედიოდა და, მაშასადამე, პოლიტიკურად ქართლიდან გამოთიშული იყო¹²⁷. ეს მით უფრო დასაჭერებელია, რომ, როგორც ვნახავთ, უფრო გვიან და კერძოდ, VIII ს-შიც ანალოგიური ვთთარებაა.

რაც შეეხება საკუთრივ „ჰერეთს“, ე. ი. კახეთის გალმა მხარს, რომელიც ვახტანგ გორგასალმა საერთოთავოს სახით შემოიტოთა, ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა. სხვაგან გვერნდა უკვე აღნიშნული, რომ X ს. არაბული წყაროების შაქი||შაქანი იდენტურია სწორედ ქართული წყაროების ჰერეთის სამეფოსი¹²⁸, რომელიც დასავლეთ აღვანეთს გარდა ივერიის აღმოსავლეთ პერიფერიასაც მოიცავდა, მაგრამ ასევე იყო თუ არა VII ს-ში და ბალაზორისეული შაქი|| შაქანი მოიცავს თუ არა დღევანდელი კახეთის გალმა მხარსაც, დაბეჭითებით ვერ ვიტყვით. უფრო საგარაუდოა, რომ ეს ასე ას არის. ბალაზორის შაქანი არის იგივე შაქი (დღ. ნუხი) და მხოლოდ საკუთრივ მის „ქუეყანას“ გულისხმობს, როგორც, მაგალითად, ყაბალაც და სხვ. (იხ. ქვემოთ).

უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი ქართლისა კვლავ ხუნანია. ქართლის ამ მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქის ლოკალიზაციის საკითხს სხვაგან უკვე შევეხეთ. საინტერესოა, რომ ბალაზორის ერთი ცნობა კიდევ ერთხელ ამოწმებს ჩვენს თვალსაზრისს ამის შესახებ. ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ როდესაც სალმან იბნ-ჩაბია არანის დასაპყრობად წავიდა, პირველად მან დაიკირა ქალაქი ბათლაქანი (მტკვარ-არაქსის შესართავთან) და მისცა მას დაც-

¹²⁵ ბ. ღ. ა. შ. თ. რ. ი. - ე უ ზ. ე. გვ. 14.

¹²⁶ M. G h a z a r i a n. დასახ. ნაშრ., გვ. 84—85.

¹²⁷ რომ კამიბერანი და შაქიც ალვანერთში შეედის ეს კორტექსტიდანაც ჩაას ჭრის დაპყრობის ანალოგით: პაბიბი იქერს თბილისს და ზავს დებს ქართლის დანარჩენ ქვეყნებთან. სალმანი კი იქერს ყაბალას—ალვანერთის რელ დელაქალაქს და ზავს დებს ალვანერთს დანარჩენ ქვეყნებთან.

¹²⁸ ღ. გ უ ს ხ ე ლ მ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 105—107.

ვის სიკელი. შემდეგ მოდის ჩრდილო-დასავლეთით შტატების ზოგ ჯვენა ნაპირის აკოლებით და იმყრობს ბარდაც მისი მახლობელი სოფლებით, შემდეგ იქნება ძველ ალვანურ პროვინციულ შტატებს (შაკაშენ?), მესვანს (მეწევანებს), უდს (უტის), ტექსანის (ტექსანებს), ტერპილიანს ((ჰარჩლანებს), ტაბარს(?) და სხვა ადგილებს არანში. შემდეგ იქნება ძველ ქალაქ შამქორს, აქედან ბრუნდება უკან, მტკერა-არაქსის შესართავთან, იქ ვადადის მტკერას და იყრობს მტკერის მარცხენა სანაპიროს ქვეყნებს (ყაბალა, შაქი, კაბ-ბეჩანი და სხვ.)¹²⁹.

ვფიქრობთ, ეს ცნობა ნიმანლობლივია და აშკარად მიუთითებს, რომ შამქორი არანის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი პრენტა, რომლის იქთ უკვე ჭურზანია — ჰაბიბ იბნ-მასლამას წილხდომილი ქვეყანა — კერძოდ კი ხუნანი. მართლაც, როგორც ვიცით, ხუნანი (ქალაქი და მისი „ქვეყანა“) არანისა და ქართლის საზღვარზეა¹³⁰. რამდენადაც უფრო გვიან არანის სასაზღვრო პრენტი ქართლთან შამქორია, ხოლო სალმან იბნ-რაბიას არანში მოძრაობა ამასვე გვაგარაუდებანებს VII ს-თვეს. ამიტომ ბუნებრივა, თუ ვივარაუდებთ, რომ შამქორს დასავლეთიდან უშუალოდ ესაზღვრება „ხუნანის ქვეყანა“ და, ე. ი. ჩვენ მიერ ამ ქალაქის ლოკალიზაცია კოდმან-საგიმის, ანუ დღევანდელი თაუზ-ჩაისა და ძეგამ-ჩაის დაბლობზე სწორი უნდა იყოს.

ასეთია ის სურათი, რომელსაც VII ს. ქართლის ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით გვიშლის არაბული წყარო.

ზემოთ უკვე აღნიშნეთ, რომ შესაძლებელია არაბული ხუსხა ქართლის საერისმთავროს პროვინციებისა არც იყოს სრული, მანც იგი ნიმანდობლივია და, ჩვენი აზრით, ფრიად მნიშვნელოვან ვრთარებას ასახავს. ამ მხრივ საინტერესოა არაბული ნუსხის შედარება „სომხური გეოგრაფიის“ მონაცემებთან, რომელთა რედაციაც, როგორც ვიცით. VII ს. I ნახევარს თუ VI—VII სს. მიჯნას და ე. ი. დაახლოებით ჩვენთვის საინტერესო პერიოდს კუთვნის.

გვიანდელი ზემო ქართლის ქვეყნების სურათი ორივე ძეგლში თითქმის სრულიად ერთნაირა. ორგანუე ჩამოთვლილია: კლარ-

¹²⁹ ბ ა ლ ა ზ ი რ ი - ფ უ ზ ე, გვ. 13—14. ამ მხარეებს იდენტიფიკაციის თვალი იხ. H. Hübschmann. Die altarmenischen Ortsnamen, Strassburg, 1904, გვ. 351, შენ. 1.

¹³⁰ ი ს თ ა ხ რ ი, პ რ დ უ დ ა ლ ა ლ ი, პ ა მ დ ა ლ ლ ა დ კ ყ ა ზ ე ი ნ ი, თარ-გმინი შენიშვნებითა და საძიებელითურთ ვ. ფუთურიძისა, თბ., 1937, გვ. 15 და 23.

ჭეთი, შავშეთი, არტანი, გავახეთი, სამცხე. მხოლოდ თორი და
აქარა არ გვხვდება არაბულ ნუსხაში.

სრულიად განსხვავებული სურათი გვაქვს ქვემოთ მდგრადი შედების
ქართლისათვის და აგრეთვე კახეთისათვის.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, როგორც ვიცით, „სომხურ
გეოგრაფიაში“ აღნიშნულია ექვსი ხევი: მანგლისისხევი, ქვეშის-
ხევი, ბოლნისისხევი, წოფისხევი, ტამირი და კანგარქი. არაბულ
წყაროში კი მხოლოდ ერთი ქვეყანა ცენტრით მანგლისში.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე „სომხურ გეოგრაფიაში“ აღ-
ნიშნულია რვა ხევი: ტანისხევი, აჩაბეთისხევი, დვანი, კასპი? სა-
ცხუმეთი, ქსნისხევი, ცხრაძმისხევი, ბაზალეთი. არაბულ წყაროში
მხოლოდ ოთხი: არმაზის ქვეყანა, კასპი? ქსნისხევი და ბაზალეთი.

კახეთში „სომხური გეოგრაფია“ ასახელებს რვა ხევს მანქუ:
კახეთს (ე. ი. ჩვენი აზრით, საკუთრივ კახეთი საკუთრივ კუხეთი-
ანალ), ერწოს, თიანეთს, ჩელეთს (ჟალეთი), ველისციხეს, სუ-
ჭეთს, ხერქს, წობენს.

არაბული წყარო მხოლოდ ორს: კახეთსა და კუხეთს.

ამას გარდა, „სომხური გეოგრაფია“ ცნობს ბევრ მთიელ
ტობს ქართლ-კახეთის შთანეთში: დვალნი, წანარნი, წილკნელნი,
ცხავარნი, გუდამიარნი, ფხოვნი, თუშნი, დიდონი.

არაბული წყარო მხოლოდ ორს: წანარებს და დიდოელებს.

ამრიგად განსხვავება სომხური და არაბული წყაროების მიერ
წარმოდგენილ ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიულ სურათებს შო-
რის სრულიად აშეარა. ამის ასნა მხოლოდ იმით, ვითომ სომხურ
წყაროს უფრო დაწვრილებითი ცნობები პქონდა, ვიდრე არაბულს,
ძალან მარტივი იქნებოდა და იმდენადვე დაუჭერებელი. კიდევ
მეტი: ასეთი ასნა სრულიად მიულებელი გვგონია. საქმე ის არის,
რომ რიგ შემთხვევაში ორივე წყაროში დასახელებულია ნიშან-
დობლივად შესატყვისი „ქვეყნები“, რომელთაგან არაბულ ნუსხი-
სეულნი ასახვენ დროთა ვითარებაში ისტორიულ-გეოგრაფიული
ცვლილებების ტენდენციას, დადასტურებულს მესამე რიგის წყა-
როებში, კერძოდ, ქართულ წყაროებში.

ასე მაგალითად, ლეონტი მროველის მონაცემებით, რომელ-
საც აკონკრეტებს შემდეგ ვახუშტი ბატონიშვილი, კუხეთის ტერი-
ტორია მოიცავდა „თიანეთს (არაგვის კერძო უინგანამდე)“, ანუ
ძველ წობენს, „საგურამოს, ანუ თეძმის-ჯევს (რომელსა ეწოდებო-
და ხერქი...)“ და ტერიტორიას მტკვრის მარცხენა სანაპიროზე
ზედაზნის (დღ. იალნოს) ქედამდე, რუსთავიდან დაწყებული არა-

გვის შესართავამდე¹³¹. ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო სკულ-
ტობი კუხეთი. ასეთად წარმოგვიღება კუხეთი ქართულებულ შეზღუდვები
ბის მიხედვით. კუხეთის ეს ტერიტორია, რა თქმაც ჭავჭავაძე ჩანაწერში
დევი ხანგრძლივი ევოლუციისა და შესაბამისი ისტორიულ-გეოგ-
რაფიული ცვლილებებისა. არაბული წყარო გვიდასტურებს, რომ
კუხეთი ასეთ ფარგლებში უკვე არსებობდა VII ს. შეა ხანებში.
„სომხური გეოგრაფია“ კი ასეთ კუხეთს არ იცნობს, მაგრამ იც-
ნობს ცალკეულ ხევებს (გავარებს), კერძოდ, ხერქს, წობენს, სუ-
ჯეთს, რომელთა შერწყმის შედეგად გარკვეულ დროს შეიქმნა
კუხეთი.

ასეთივე ვითარება გვაქვს კახეთის მიმართაც.

ლეონტი მროველისა და ვახუშტის მიხედვით კახეთი მოიცავ-
და „ფშავ-ხევსურისა (რომელთა პირველ ეწოდათ ფხოველი),
თიანეთს, ერწოს, ირტოსკევს, პანკისის ჯეობას, საყდრიონს და
ალონს“¹³². კახეთი ასეთ ფარგლებში, ცხადია, ხანგრძლივი ისტო-
რიული განვითარების შედეგია. არაბული წყარო გვიდასტურებს,
რომ დაახლოებით ამ მოცულობით კახეთი უკვე არსებობდა VII ს.
შეა ხანებში. „სომხური გეოგრაფია“ კი ასეთ კახეთს არ იცნობს,
სამაგიეროდ გვისახელებს კვლავ ცალკეულ ხევებს (გავარებს),
რომელთა გაერთიანებითაც შექმნილია კახეთი: ერწო, თიანეთი,
ჩელეთი, ველისციხე, ფხოვი და, ჩვენი აზრით, საკუთრივ კახეთიც.
ვფიქრობთ, ასეთი დამთხვევები და შესატყვისობანი შეუძ-
ლებელია შემთხვევებით იყოს.

საინტერესო ვითარება გვაქვს შიდა ქართლისათვისაც. აქ,
როგორც ვიცით, არაბული ნუსხა აღნიშნავს „არმაზის მიწას“ (ტა-
ბარი), ბაზალეთს, ქსნისხევს და შესაძლებელია, კაბპს. „სომხური
გეოგრაფია“ აქ რვა ხევს აღნიშნავდა და მთა შორის ბაზალეთს,
ქსნისხევს, ცხრაძმისხევს და თითქოს კასპიაც.

ჩვენ ვიცით, რომ ქსნის საერთოავოს ჩამოყალიბების ისტო-
რია, ფაქტიურად, არის ორი „ხევის“, ცხრაძმისხევისა და ქსნისხე-
ვის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია. ამ ორი ერთეულის
შერწყმის შედეგად წარმოიქმნა აღრენეოდალურ ხანაშივე ქსნის

¹³¹ ქ' ცა, I, გვ. 9; ვახუშტ შრო. ალექსან. გვ. 86; კუხეთის საშლელისათვეს ის. შ. ხოშ ტაბარი, ძეველი ქართველი საიმპრიო წყაროების „კახეთის მთის“
ლოგალიზაციისთვის, „გავასისის ხალხთა სატორიის საკითხები“, 1966, გვ. 170—
175; დ. მესხელშვილი. უკარმა, გვ. 6—20; ლ. ჭილავა ვალი. ქალაქი რეს-
თივი, თბ. 1958.

¹³² ქ' ცა, I, 9; ვახუშტ შრო. ალექსან. გვ. 86.

„საერისთავო“. ივარაუდება, რომ IX ს-თვის ეს უკვე მომწოდით
ფაქტია¹³³. რამდენადაც ჩენ სომხურ წყაროში დაბასტურებული
გვაქვს ორივე ხევი — ქსნისა და ცრხაძმისა, ხოლო უკანასკნები
მხოლოდ ქსნისხევი, ვფიქრობთ, გვაქს უფლება შეკრისულის,
რომ აქაც სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარების აშა-
ხელ სურათთან გვაქვს საქმე და ქსნის „საერისთავოს“ ჩამოყა-
ლიბება ფაქტია უკვე VII ს. შეა ხანგბში. ეს კი გვაფაქრებინის,
რომ არაბული ნუსხის ბაზალეთიც მხოლოდ საკუთრივ ბაზალეთს
კი არ უნდა აღნიშნავდეს, როგორც ეს „სომხურ გეოგრაფიაშია“,
არამედ აქ საქმე უნდა გვქონდეს გვიანდელი არაგვის საერისთა-
ვოს პროტოტიპთან. რომელიც მოიცავდა, ალბო, მთელ არაგვის
ხეობას (მარცხენა ნაპირის გამოკლებით უინვანამდე) ცენტრით ბა-
ზალეთში, მით უმეტეს, რომ არაბული ნუსხა, რომელიც იცნობს
წანარებს, არ იცნობს არაგვის ხეობის მთიულებს. ეს უკანასკნელ-
ნი კი, როგორც ვიცით, ჩამოთვლილი არიან „სომხურ გეოგრა-
ფიაში“ (წილებნელი, ცხავატნი, გუდამაყარნი). ამდენად, სავარაუ-
დოა, რომ VII ს. შუახანისათვის ისინი უკვე გაერთიანებული იყვ-
ნენ ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელსაც ჩანს ეწოდე-
ბოდა ბაზალეთი, ალბათ იმ საფუძველზე, რომ ბაზალეთს ინი-
ციატივით და მის გარშემო მოხდა ზემოხსენებულ მთიელთა ადმი-
ნისტრაციული გაერთიანება¹³⁴.

ამგვარად, როგორც ვნახეთ, სომხური და არაბული წყაროები
აღმოსავლეთ საქართველოს (გვიანდელი ზემო ქართლის გამოკლე-
ბით) ისტორიული გეოგრაფიის სრულიად განსხვავებულ სურათს
იძლევიან. ეს განსხვავება არსებითია. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ:
„სომხური გეოგრაფიის“ მიხედვით ქართლი დანაწევრებულაა შე-
დარებით წარილ ადმინისტრაციულ ერთეულებად, უკეთებად“, ხო-
ლო არაბული ნუსხით — გაცილებით უფრო მსხვილ ადმინისტრა-
ციულ პროვინციებად, რომელიც თავისთავად საერაუდო იყო
უნდა წარმოქმნილიყნენ ზემოხსენებულ „ჩერწყმა-გაერ-
თიანების შედეგად. რომ ეს, მართლაც ასეა, ამას მოწმობენ ქარ-
თული წყაროები, რომლებიც, ცხადია, იცნობენ არაბულ ნუსხაში

¹³³ ჭ. გვ. ა. ლ. ი. ა. ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საერთები.
„საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, III. 1967, გვ. 40.

¹³⁴ ბაზალეთი აღრეფეოდალური ხეობა უნდა იყოს იგივე გვიანდელი „დაბა-
ლი საერისთავი“, რაც გელასიშმობს „მაღალ საერისთავის“ არსებობასაც. საზ-
ლვარი ამათ შორის ანაზური უნდა უმფილიყო. იხ. ვ. ჩ. ე. ტ. ი. ა. წილებნელის
სარკმის გარიგების წიგნი. „საის ტორიო მომშე“, II, გვ. 23.

წარმოდგენილ ერთეულებს (მაგ., კახეთი, კუხეთი...) და, ამასთანავე, ნათლად მიგვითითებენ, რომ ეს უკანასკნელი ჩიმოულობდნენ „სომხურ გეოგრაფიაში“ ჩამოთვლილი წვრულა კუმუშების „შერწყმის საფუძველზე. ჰაბიბ იბნ-მასლამის „დაცვის წილის მხოლოდაზრდვნად მიუთითებს, რომ VII ს. შუაში უკვე შემჩნდარი ფაქტია.

ჩვენ შევეცადეთ კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეალიებზე დაყრდნობით გვეჩევნებინა, რომ „სომხური გეოგრაფია“ გაცილებით უფრო ძველი ვითარების ამსახელია, ვიღრე VII ს.¹³⁵ ამასვე უნდა იდამტურებდეს ზემონაჩევნები ანალიზი არაბული წყაროსი და მისი შედარება „სომხური გეოგრაფიის“ მონაცემებთან.

როვორც ვხედავთ, ბალაშორის ისტორიული თხზულება იძლევა საკმაოდ ნათელ და ნიშანდობლივ სურათს აღმოსავლეთ პაკართველოს ისტორიული გეოგრაფიის VII ს. შეახანისათვის, ნიშანდობლივს იმ მხრივაც, რომ იგი კარგად ასახავს იმ ცვლილებებს, რომლებიც განიცადა ქართლის ისტორიულმა გეოგრაფიამ IV—V სს. შემდეგ და, რომლებიც გაპირობებული იყო ვახტახგ გორგასალის რეფორმით და VI ს. ქართლის პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებითაც, რის შესახებაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

მართლაც, თუკი უველავერი ზემოთქმული (იხ. § 1) VI ს. ქართლის საეკრო-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ვითარების შესახებ ახლოა სიმართლესთან, მაშინ არაბი ისტორიკოსის მიერ წარმოდგენილი VII ს. შეახანების ქართლის პროვინციათა ნუსხის ჩვენებური ინტერპრეტაცია სრულად კანონმიერი და ბუნებრივი ჩანს. მაგრამ ქვეყნის შინაგანი ორგანული განვითარების შედეგად ცროვინციათა შერწყმის ტენდენციას ფეოდალური ურთიერთობის სპეციფიურობის გამო ხშირად თან სდევს უკუპროცესიც. ამის მაგალითს ქვემოთ ჩვენ არა ერთს ვნახავთ, აქ კი ღლვნიშნავთ, რომ სამისო ჩვენებას თვით ზემოხსენებული არაბული ნუსხაც იძლევა.

3. ვახტანგ გორგასალის დროს (და უფრო ადრეც) არსებობდა ხენანის საერთისაუკო, ანუ იგივე გარდაბნის პროვინცია. ეს უკანასკნელი შემოსაზღვრული იყო აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ქართლის პოლიტიკური საზღვრებით ალვანეთთან და სომ-

¹³⁵ იხ. დ. მ უ ს ს ე ლ ი შ ვ ა ლ ი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძროთთაცი საკოთხები. I, თავი I, 1 და თავი II, 6.

ხეთთან ე. ი. მდ. ძეგამით და მტკვარ-არაქსის წყალგემურუ მდინარე, ჩრდილოეთიდან — მტკვრით, ხოლო დასავლეთიდან ვრცელ-დებოდა „ტეილისამდე და განიანთამდის“¹³⁶. ქალაქ განიანთი, რანგის მიხედვით იგივე ცურტავის¹³⁷ ლოკალიზაცია დაუდინდებულია, მაგრამ ყველა ნიშნით იგი უნდა მდებარეობდეს სადღაც მდ. დებედას ქვემო წელზე ან მდ. ხრამის ქვემო წელის მარჯვენა ხა-პირის ველზე, სომხური წყაროების ვრაც-დაშტში¹³⁸. რაც შეეხება თბილისს, აქ როგორც ჩანს, უშუალოდ ქალაქი კი არ იგულისხმებოდა, არამედ მისი „შესავალი ქუყანა“ (იხ. ქვემოთ).

არაბული ნუსხის მიხედვით, ამ ვრცელ ტერიტორიაზე საში მცირე ერთეული იგულისხმება: საკუთრივ ხუნანი თავისი „ქვეყ-ნითურთ“, ქალალი ანუ სომხური წყაროების „ძოროფორი“ — მდ. ალსტაფა-ჩაის ხეობა და „გარდამანი“. ეს უკანასკნელი, რომელიც ბალაზორის გარდა, ასეთი ფორმით იხსენიება იბნ-ხორდად-ბესთანაც¹³⁹, არის იგივე „კალა-იბნ-ქანდამანი“ ისტახრისა, ანუ მი-სივე თხზულების სპარსული კერძისის „ებრ-ქენდემანის ციხე“, რო-მელიც თბილისსა და ხუნანს შორის მდებარეობს¹⁴⁰. სწორი უნდა იყოს არაბული იტინერარიუმების მიხედვით, ამ ციხესიმაგრის ხრამისა და მტკვრის შესართავში ლოკალიზაცია¹⁴¹.

როგორც ვხედავთ, V ს. ქართული საერთო ხუნანისა, ანუ ივივე გარდაბნის პროვინცია, რომელიც თავის მხრივ, წარმოიქმნა უფრო მცირე ერთეულების „პნარაკერტის“ (იგივე ხუნანი თავისი „შესავალით“), „ძოროფორის“ და „კოლობოფორის“ შერწყმის შე-დეგად¹⁴², უფრო გვიან, VII ს. ნახევრისათვის კვლავ დაშლალა

¹³⁶ ქ' ც., I, გვ. 24, შეად. იქვე, გვ. 8.

¹³⁷ Deux historiens arméniens,... Traduit par M. Brosset, 2e Livraison, 295—296.

¹³⁸ იქვე, გვ. 296; ვრაც-დაშტის ლოკალიზაციისათვის, იხ. დ. მ უ ს ხ ა ლ-ა ბ ვ კ ლ ა. ალფაყალა-გვიან ციხე, სიც. I, 1960, გვ. 128.

¹³⁹ СМОМПК, 32, с. 15.

¹⁴⁰ იქვე, 29, გვ. 33; ისთახრი, პოდულ ალ-ალამი, პატალლაჰ ყაზვინი. თბ; 1937, გვ. 5.

¹⁴¹ I. Markwart, Skizzen., ს. 843. უფრო ძრავებული იყო ისეთივე ლოკალიზაციას იძ-ლავა ა. კარაულევი (იხ. СМОМПК, 38, ს. 22, შენ. 7), ამავე აზრს იხილებენ ა. შანდალიანი (იხ. მასი, Օ торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, 1954, с. 246) და ლ. კილაშვილი (იხ. მასი, ქალაქი რუსთავი).

¹⁴² შტრ. ი. მარკვარტის აზრს, რომლის მიხედვით გარდაბნის ქართული სამთავრო შეესატუვისება სომხური წყაროების სამ ხევს: ძოროფორის, კოლბოფორის და

შემადგენელ ნაწილებად: ხუნანი ქასალი და ჭარდამანი. მაგალით პერიეტიებს ამ პროვინციის მიმართ ჩვენ ქვემოთაც დაფილასტერებთ. ასეთი ვითარება, შესაძლებელია, იმით ყოფილია მას მატერიალურობის რიგი, რომ ეს ტერიტორია სასახლერით იყო ქართველთა მატერიალურობის და სომხეთისათვის და, ცხადია, ამ სამი სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები სწორედ აյ იყვანებოდა ყველაზე ხშირად, რისი შედეგიც იყო მისი ხელიდან ხელში გადასცლა. დანაწევრება, კვლავ შერწყმა და ა. შ. ამის შედეგი იყო აღვილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია ჯერ სომხების, უფრო გვიან კი თურქების მიერ და, საბოლოო ჯაში, მისი დაქარგვა საქართველოს სახელმწიფოსათვის.

გასარკვევია არაბული ჭარდამანიქანდამანის, სომხური ვარდმანის და ქართული გარდამანის ურთიერთმიმართება. საკითხი ფრიად ბერდოვანია. ასებობს ამ პრობლემის შესწავლის ცდა¹⁴³, ჩვენი აზრით, წარმატებელი. სწორია მოსაზრება ორი მსგავსსახელიანი პროვინციის ასებობისა, ქართულისა და ალვანურის¹⁴⁴, მაგრამ არ უნდა იყოს სწორი ტაბარისთვის და იოანე დრასხანაკერტელთან მოხსენებლი „გარდმანის“ გაიგივება არაბულ (resp. ქართულ) „გარდამანთან“. ტაბარი გაღმოვცემს: „და დამყრა ზირაქ გარდამანი და წარტყვენა პატრიკიოსი მისი ალკიტრიჯი და წარიყვანა იგი ბანაკსა“¹⁴⁵. საქმე ეხება ბერა თურქის შემოსევას

შობოლორს (იხ. მისი დასახ. ნაშრ., ს. 841—842). რაც შეეხება შოლის ხევს იგი საეჭვოა გარდაბანში შესულიყო, უფრო სავარაუდო მისი ქართული განისაღმი მიკუთვნება.

¹⁴³ I. Markwart. დასახ. ნაშრ., ს. 840—846; C. Toumanoff Studies in christian caucasian history, 1963, გვ. 481—484.

¹⁴⁴ ასეთი აზრი პროველად გვიორექვამს მ. ბართველარიანს, თუმცა იგი შეცდომით სომხურ გარდმანს შარევაში, გერმანიან-ჩაიხე ათავსებდა (იხ. მისი Geschichte von Albanien, I, გვ. 90 და შემდ..). სწორი ინტერპრეტაცია მისცა ამ აზრის ი. მარგვარტის (იხ. მისი დასახ. ნაშრ., ს. 440—446), მაგრამ ამ უკანასკნელმა მეორე შეცდომა დაუშვა (მ. ბართველარიანი შრომა კიტირებულის ი. მარკვარტის მიხედვით). კ. თუმანივი, რომელიც რატომღაც ი. მარკვარტს სწავებს სომხური (resp. ალვანური) და იყერილი გარდმან-გარდამანის განურჩევლიბას (?!) იხ. Studies ... გვ. 484, შერ. 211) და უნაალმედე მიკვარტისაც სწორი მიგნებისა ხუნან-ვანავერტის ივლეობის შესახებ, ხუნანს ტრადიციელს, მცდარ ლოკალიზაციის (კურმატევრის შესართვები) მიეორებს. ცხადია არასურად შარმოილების გარდამანის ისტორიულ გვოგრაფიას და გარდმან-გარდამანის ურთიერთობასაც.

¹⁴⁵ ტექსტი მოტარილია გ. ტერეთლის თარგმანით, იხ. გ. ჩ ც ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, VIII—IX საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIII, № 7, 1952, გვ. 444.

853 წ. იოანე დრასხანაკერტელი მოგვითხრობს, რომ ბულა თურქები შეიძყრო აღარნასე ხაჩინის მთავარი, ხაჩინის ციხესიმაგრები, „იქიდან გამოემართა გარდმანის გავარისაკენ, ალყა შემუზარდებული მოიცვა გარდმანის ციხე, შეიძყრო იქ გარდმანის მფლობელ მუზარდებული კიც... აქედან წავიდა უტის გავარში...“¹⁴⁶ ამ ამბავს გადმოგვცემს სტეფანოს ტარონელიც (ასოლიკი), რომლის მიხედვით ბულა თურქება შეიძყრო ყველა სომეხი მთავარი, მათ შორის: „კარიჭი (-კტრიჭი.—დ. მ.) გარდმანის მთავარი და ხაჩინის მთავარი ატრონერსე...“¹⁴⁷ და ბოლოს იგივე ფაქტს ეხება „მატიანე ქართლისამს“ ავტორი: არავის ხეობის მთიელებთან (ცართალელი და ცხავატნი) დამატებების შემდეგ ბულა თურქი „შეიქცა გარე და დაიზამთრა ბაზარის და შეიძყრა ხუცისა ვინმე ძე, რომელი გამთავრებულ იყო, და შემცირა გარდაბანი“¹⁴⁸. ასათავის ჩანს, რომ ამ ისტორიულოსთა „გარდმან“—„გარდაბანი“ არაბული წყაროების „გარდამანი“ (ხრა-მისა და მტკვრის შესაზოვში) იყოს. პირუკუ, ისტორიულ-გეოგრა-ფიული კონტექსტი ისეთია, რომ აქ, უმცველია, სომხური წყაროებიდან კარგად ცნობილი „გარდმანი“ უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც როგორც ვიცით, შამქორის ხეობის ერთ-ერთ შენაკადზე მდებარეობდა. მისი ნანგრევები დღესაც არის¹⁴⁹. მით უმეტეს, რომ როგორც ასოლიკის, ასევე სტეფანოს ობელიანის მიხედვითაც, რომელიც აგრეთვე იცნობს „კარიჭ გარდმანის მთავარს“, ისე ჩანს, რომ ყველა ზემოხსენებული პირი, რომელიც ბულა თურქმა შეიძყრო, სომეხი თუ ალეანელი მთავრები არიან¹⁵⁰. სრულიად მოკლებულია საფუძველს მოსაზრება თითქოს ალვანეთის მთავარმა ჯვანშირმა ვარაზ-გრიგოლის შეიღმა „ქართულ ციხე გარდმანში“ ააშენა ეკლესია 654 წელს¹⁵¹, რას შესახებაც მოგვითხრობს მოსე

¹⁴⁶ იოანე დრასხანაკერტელი. გვ. 23—24.

¹⁴⁷ Ստեփանսի Տարისნელոյ Ասոლქան Պատմიւրիւն Տիեզերական, 185, 107.

¹⁴⁸ ქც. I, გვ.256. „ხუცისა ვინმე ძე, რომელი გამთავრებულიყო“ არის იგვე აბუ-მუსე ალვანთა უფალი, რომელიც „ცნობილი იყო ხუცესის ძედ“ (იხ. Թովմա-յի Վարդապետի Արծրունიոյ Պատմიւրիւն տანი Արծրունեաց. թ. 1917, 289 და 298; მას იცნობს ტაბარიც (იხ. I. M a r k w a r t, დასახ. ნაშრ., ს. 844)).

¹⁴⁹ Պ. Խնճինեաნ, Ստოրագրուրիւն Հիմ Հայաստանեաց. Վենետիկ, 1822, 338; Մ. Բարխտოւարեանց, Արցაխ, Բագռ, 1895, 301—302; H. Hübschmann, ა. 352.

¹⁵⁰ H. O r f e l b a c h, Պատմიւրիւն Նահանգին Սիսական, թ. 1911, 170—171.

¹⁵¹ I. M a r k w a r t. დასახ. ნაშრ., ს. 845.

კალანკატუელი¹⁵². ჩვენ კარგად ვიცით იმავე ისტორიკოსის მხრედ/ვით, რომ გარდამანის ცახე ვარაზ-გრიგოლის და მისი შევრცელებას კვიდრო მატული იყო¹⁵³. ცხადია, აქ იგულისხმება აღვარული ტერიტორიული დანართი, შამქორის ხეობაში და სწორედ აქ ააშენა ჯევათშიმა ეკლესია, რადგან, იმ დროს არაბული წყაროების „ციხე ჯარდამანი“ ქართლს მიეკუთვნებოდა (ბალაზორი) და აქ ალვანეთის მთავარს ორაფერი ესაქმებოდა. კიდევ მეტი. რამდენადაც შევძელით თვალის მიღებენება, ჩვენ მიერ გამოყენებულ სომხურ წყაროებში, სადაც კი „გარდამანი“ იხსენიება, ყველგან შამქორის ხეობაში მდებარე. ანუ ალვანეთის ციხესიმაგრე და ქვეყანა უნდა იგულისხმებოდეს¹⁵⁴.

რაც შეეხება ქართულ წყაროებს, აქ სხვაგვარი ვითარებაა.

თუკი სომხური წყაროები „გარდამანს“ წარმოგვალვენენ მხოლოდ სომხურ (resp. ალვანურ) ციხესიმაგრედ და ამავე დროს იცნობენ ამ სახელწოდების როგორც პუნქტს, ასევე მხარესაც (გვარს, იხ. მაგ., ზემომოტანილი ცნობა ითანხმდება დრამხანავერტელისა), ქართული წყაროები, პირუკუ, „გარდაბანს“ იცნობენ ალვანეთშიც (რანში) და ქართლშიც, მაგრამ იცნობენ მხოლოდ როგორც მხარეს, ქვეყანას (ერთი ზემოთ ციტიტებული შესაძლებელი გამონაკელისის გარდა „მატიანე ქართლისადან“). ასე, „მატიანე ქართლისამს“ გარდა ალვანეთში „გარდაბანს“ იცნობს კვანშერი¹⁵⁵, სუმბატ დავითის ძე¹⁵⁶, და აგრეთვე „მოქცევას ქართლისამ“¹⁵⁷, მაგრამ ყველგან აქ მხარე იგულისხმება და არა პუნქტი, თანაც მხარე,

¹⁵² მ თ ს ე კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ი ლ ი. გვ. 211.

¹⁵³ იქვე, გვ. 196, 211, 318 და 387; შეად. მ. ბ ა რ ხ უ ლ ა რ ი ა ნ ი. დაბახ. ნაშრ.

¹⁵⁴ იხ. მაგ., ფ ა ვ ს ტ ი ს ი ს . გვ. 70, 242, 314 (რესულითარების გვ. 38, 123, 162); ჭ ი რ ა კ უ ნ ი. გვ. 29; ლ ა ზ ა რ ე ფ ა რ პ ე ლ ი. გვ. 196; მ თ ს ე ხ თ რ ე ნ ე ლ ი. გვ. 108, 345, 356; ს ე ბ ე რ ს ი. გვ. 93; ი ო ა ნ ე ლ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი. გვ. 23—24 და 242—248; მ თ ს ე კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ი ლ ი. გვ. 14—15, 103, 132, 196, 208, 211, 359—360, 387, 393—396; ა ს თ ლ ი კ ი. გვ. 107; ჭ ი რ ა კ უ ნ ი. გვ. 229, 333; კ ა რ დ ა ნ ი. გვ. 186—187; ასევე „სომხურ გეოგრაფიაში“ (იხ. მაგ., სუქრის გამოცემა, Géographie, გვ. 33) და ვარდანის „ვეოგრაფიულისული“ (იხ. სენ-მარტენის გამოცემა: Mémoires, II, 414) მხოლოდ ერთგვანთლამანთ (გვ. 135) გარდამანი შესაძლებელია ქართულ გარდამანს, ყოველ შემთხვევაში, ქართულ გარდამანსაც უნდა აღწიონავდეს (იხ. ქვემოთ, IV, 3).

¹⁵⁵ ქ ც ა, I, გვ. 225.

¹⁵⁶ იქვე, გვ. 375.

¹⁵⁷ OP, გვ. 725.

რომელიც შევიდრი სამფლობელოა ჩეკნთვის უკვე ცნობილი ვა-
რაზ-გრიგოლისა, როგორც არის „ქართლის ცხოვრების“ ძველ
წესებში (Mm) და არა „ვარაზ გაგელისა“, როგორც უკიმიტეს ვა-
მელს აღუდგენია XVIII ს. ნუსხების მიხედვით. ეს სრულიად მისკარისე
რად მოწმდება „მოქცევამ ქართლისას“ მითითებული ადგილით:
„ხოლო ამან ჯიბლო მცირეთა დღეთა შემდგომად კალად გამოილო:
და ციხის თავი იგი შეიძყრა: და პირი დრაპენითა აღუსო: და
მერმიც მრთელსა ტყავი გაპეკადა და მეფესა მისწია გარდანის:
ვარაზ გრიგოლისა შინა.“ ექვენისა უთრებით საინტერესო „გარ-
დბან“ ფორმის ხმარება, რომელიც, ეგების არც იყო შემთხვევი-
თი, რამდენადაც დასტურდება კიდევ ერთგან. მართალია, გვიან-
დელ ხელნაწერში კერძოდ „მატიანე ქართლისას“ სხვიტორულ
(XVIII ს. II ნახევრის) ნუსხაში¹⁵⁸. შესაძლებელია ქართული წყა-
როები ოდესლაც გამოთქმითაც განასხვავებდნენ ალვანურ „გარ-
დბანს“ და ქართულ „გარდაბანს“¹⁵⁹. ასეა თუ ისე, ქართული წყა-
როების „გარდაბნის“ შეორე მნიშვნელობაა იმ ქართული საერის-
თავოს აღმნიშვნელი სახელწოდება, რომლის ცენტრსაც ციხესი-
მაგრე ხუნანი წარმოადგენდა. ამის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბ-
რეთ.

ამგვარად, ქართული წყაროები ქართლის ტერიტორიაზე
„გარდაბნის ციხეს“ არ იცნობენ.

უშველაა, რომ ტერმინები ქართული „გარდაბანი“ და სომ-
ხური „გარდაბანი“ ერთმანეთისაგან წარმომავლობენ¹⁶⁰. ცხადია,
თითქოს ისიც, რომ ეს ტერმინი გავრცელებული ყოფილა აღმოსავ-
ლეთ ამიერკავკასიში¹⁶¹, მაგრამ, მაინცდამინც რა რეალურ-ისტო-
რიულმა ვითარებამ განაპირობა ეს მოვლენა და, კერძოდ ქართული
და ალვანური „გარდაბან“-„გარდაბანის“ ურთიერთდამოკიდებულე-
ბა — ეს სრულიად ბუნდოვანი საკითხია.

¹⁵⁸ ქ' ც.: I, გვ. 256 (სქოლი). „მატიანე ქართლისაში“ ამას გარდა ჩემიად
მოახსენებიან IX ს. პოლიტიკურ მმებოთან დაკავშირებით „გარდაბანელინ“
ან „კანი გარდაბანელინ“, რომელთა კონკრეტული ლოკალიზაცია ძნელია, მაგრამ
ქართული „გარდაბანის“ უარმომაღლებების უნდა ყოფილიყვნენ.

¹⁵⁹ უნდა აღნიშნოთ, რომ ასესენ საფარელი ალვანური პროვინციის ალ-
სანქტ-პეტერბურგის „გარდაბანის“ (იხ. თ. ე თ რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები და სხვა
შესალა საქართველოს ისტორიისა, I, თბ., 1892, გვ. 332).

¹⁶⁰ V. Minorsky. Studies in Caucasian History, London, 1953, გვ.
29—30, გვ. 11 (c).

¹⁶¹ M. Brosset. Histoire de la Géorgie, p. I/2,302; V. Minorsky,
გვ. 30.

უნდა ვიფიქროთ, რომ ოდესლაც გარევეული ხევის კენტრი
 ალბათ შამქორის ხეობაში მდებარე გარღმანის ციხესიმაგრემ, შეძ-
 ლო გაევრცელებინა პოლიტიკური გავლენა შეღარებით ქრისტიანული ტურისტი
 ტურისტი, რის შედეგადაც მთელ ამ ტერიტორიას ეწოდები მასში მისამართ
 ტურისტი ცენტრის სახელწოდება (მსგავსი მაგალითების მოტანა არ
 გავირდებოდა). ასეთი პროცესის შედეგად მივიღეთ ტერიტორია
 „გარღმულის მდინარითან ვიღრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის,
 რომელ არს გარღმანი“¹⁶² ცხადია, საკუთრივ „გარღმანის“ ე. ი.
 მაინცდამანც, შამქორის ხეობითურთ. ასეთ ვითარებაში აღვილი
 დასაშვებია რომ გაჩენილყო მეორე პუნქტი მსგავსი სახელწოდე-
 ბით — „გარღმანი“, მით უმეტეს, შემოსაზღვრული ტერიტორიის უკი-
 დურეს ჩრდილო-დასავლეთით, რამდენადაც ქართლის მოსახლეო-
 ბისათვის აქ იწყებოდა გარღმანის „ქვეყანა“ და, ბუნებრივია, მისი
 მოსაზღვრე მიკრორაიონისა და მისი ცენტრისათვის ეწოდედ „გარღმა-
 ბანი“ ეწოდებინა. მართალია, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ქართული
 წყაროები აზ იცნობენ ქართულ ციხესიმაგრე „გარღმანის“, მაგრამ
 რომ იგი უნდა არსებულიყო, ამას არაბული წყაროების „ციხე გარ-
 ღმანი“ ქართლში მოწმობს (თუკი ეს სახელი თვით არაბებმა აზ
 უწოდეს). ძნელი სათქმელია როდის შეიძლება არსებულიყო ჩვენ
 მიერ წარმოსაზული გარღმანი. ლეონტი მროველისათვის ეს უძვე-
 ლესი მოვლენაა: ფარნავაზის დროინდელი და მისი უწინარესი. მარ-
 თლაც, VII ს. და მის შემდეგ ასეთი რამ სავარაუდო აღარ არის, რამ-
 დენადაც არაბული წყაროების მიხედვით, ქართული „გარღმანის“
 ტერიტორია სამ ნაწილად მაინც არის დანაწევრებული (ხუნანი,
 ქასალი და გარღმანი) და „ციხე გარღმანი“ თუ „ქალა იბნ-ქანდამა-
 ნი“ უკვე არსებობს ქართლში. მეორე მხრივ, ფავსტოს ბეზანდის
 ცნობით, IV ს-ში კოლბის გავარი (დაახლ. დღევანდველი ინჯა-სუს ხე-
 ობა), ძორის გავარი (ანუ ძოროფორი, აღსტაფა-ჩაის ხეობა,
 არაბ. ქასალი) და გარღმანაძორი (ანუ გარღმანის ხევი ე. ი. შამქორის
 ხეობა) გუგარქის საპიტიაშვილისთან ერთად სხვადასხვა ერთეულებია
 და, მაშასადამე, ფაქტიურად, ქართული „გარღმანის“ ტერიტორია
 ამ დროსაც დანაწილებულია. მაგრამ გვაქვს ერთი ცნობა, რომელიც
 V ს. დასაწყისის მიეკუთვნება: მესროპ-მაშტოცი ალვანეთილან (ჩ կულ-
 მან ენ Աղուանից) გამოემართა ქართლისაკენ (კაշխარის ჭრავ).
 გზად მან გაიარა გარღმანი ((ზარდმანასაკან პირ), სადაც მას სტუ-
 მართმოყვარეობით ხვდება გარღმანის მთავარი (ჩგრანი ზარდმანი))

¹⁶² ქ' ცა, I, გვ. 24.

ხურისი. მართლმორწმუნეობის აღდგენის შემდეგ, მესროპი წარდა იქ, სადაც მიღიოდა ე. ი. ქართლში¹⁶³. აქ ჩვენ ყურადღებულ რეაქციებს კი ის გარემოება, რომ „გარდმანი“ არც ალვანეთში შედის და მოტორული ტიპები არც ქართლში¹⁶⁴ და ორივეს თანაფარდ ცნებად იხმარება. ყოველ შემთხვევაში კონტექსტით აქ თითქოს მსხვილ ერთეულთან უნდა გვქონდეს საქმე და არა მხოლოდ შამქორის ხეობის გარდმანთან. შესაძლებელია ამაზევე მიუთითებდეს ის გარემოება, რომ ხურის გარდა მანის მთავრი იწოდება. ჩვეულებრივ და უფრო ხშირად საკუთრივ გარდმანის მფლობელი სომხურ წყაროებში „უფლად“ (თէր) არის სახელდებული¹⁶⁵. ეს გვაფიქრებონებს, რომ შესაძლებელია ქართული „გარდაბნის“ შესატყვისი ფართო ტერიტორია სწორედ ამ დროს ჩამოყალიბდა და ვახტანგ გორგასლის ღრინდელი ხურანის საერისთავოც ამ ერთეულის საფუძველზე შეიქმნა.

ამეა თუ ისე, არაბული წყაროების მიხედვით ტხადი უნდა იყოს, რომ უფრო გვიან არსებობს გარდაბნის ციხე და მისი „შესავალი ქვეყანა“, რომელიც ქართლშია. იმავე წყაროების მონაცემებით, როგორც ვნახეთ, ირკვევა, რომ ეს „გარდაბნის ციხე“ ქცია-მტკვრის შესართავში უნდა ყოფილიყო, გვიანდელი „ყიზ-ყალას“ ადგილზე. რომ ეს სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს და ე. ი. ქცია-მტკვრის შესართავის ზონის ტერიტორიას ოდესიაც, მართლაც, გარდაბნი ეწოდებოდა, ამაზე ქართული წყაროები გვარწმუნებენ.

¹⁶³ ქორ. დ უნი, გვ. 29, შეად. მოსე ხორ რენი ლი, გვ. 356 და მოსე გადან ე. ტ რ ე ლ ი, გვ. 132.

¹⁶⁴ თუმცა ამის გადაქრით თქმა არ შეიძლება: მოსე ხორენელი და კორეუნი ზემომითოთებულ აღგილებში გადმოვცემენ, რომ გარდმანიდან შესროპი გუგარქის (მოსე ხორენელი) პირაბშთან მიღია, რომელიც იმავე ღრის ტაშრიელთა მთავარია (კორეუნი, იქვე, 30). არსად არ არის პირდაპირ მთავარებული, რომ ტაშრიი ან გუგარქი ამ ღრის ქართლში შედის, თუმცა ეს იგულისხმება, რამდენადაც კორალუნი მესროპი ტაშრიიდან სომხეთს გაემგზავრა (ე. ი. ტაშრიი არ არის სომხეთი); ხოლო მოსე კალანკაურები კი ამ პირაბში პირდაპირ ქართველთა პირაბში უწოდებას. კორეუნის თხზულების კრცელი რედაქციით გარდაპირი ქართლში იგულისხმება (იბ. ივ. ჭავახიშვილი ილ. ი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, შვ. I, 1950, გვ. 28).

¹⁶⁵ გარდმანის მთავრის პირდაპირ დასახელებას, გარდა ზემოხსენებული კტრიცე || ფარისის კოლეგ კრთხელ ეხვდებოთ ფასტოსთვი (იბ. ფასტო ტო ი. გვ. 70; რუსული თარგმანის გვ. 38); ერთგვან ეხვდებოთ გარდმანისა და ძოროვეტის მთავარს (სტ. ორბელი იანი. გვ. 195). სხვა შემთხვევებში უფალია (მოსე კალან-კარ ტ რ ე ლ ი გვ. 103, 208, 318; სტ. ორბელი იანი. გვ. 242; ფასტო ტო ის. გვ. 242).

გახუშტი ბატონიშვილი, როგორ ვიცით, ხუნანს ჭარა-მარტოს შესართავში ათავსებდა, ხოლო მდ. ბერდუჯად დეხედას გულის-ხმობდა. და აი, ჩა ფარგლებით გამსაზღვრავს იგი მცურავ ქრისტული წყაროების გარდაბანს: „რამეთუ გარდა აბან იბ წარტკისა მცურავისას აღმოსავლეთით მტკვარი და, ხუნანის გამართებით, ბერდუჯის აღმოსავლეთის მცირე მთა; სამჯრით შულავრისა, ჭაპალისა და ბოლნისის გორაები; ჩრდილოთ მტკვრიდან ტუილისის გორაები ტაგნავეთამდე; დასავლით წევი ასურეთისა, წინწყაროს გამომართებით ნახილურამდე და ბოლნისის მცირეს მთამდე. იწოდების ქართლოსის ძის გარდაბანის გამო, რომელსა მისცა დედამან თუსბან ხუნანი და ესენი, და მან უწოდა სახელი თვისი“¹⁶⁶. ჭაპალის იგივე ვახუშტი ტალავრის ხევში ათავსებს (დღ. ტალავერჩაი), მის ქვემო წელზე: „შულავრის დასავლით, არის მანხურის ქვევი და ამის დასავლით ტალავრის ქვევი. მმ ქვევის ბოლოს ჭაპალი და ციხე მისი (ამას სწერენ გაჩიანად). არამედ ჭაპალის ჩრდილოთ, ქცაის კბოდესედ, არს არქევანი. ამას ეწოდა ჭართიანი, სადაც არს დიდ-დაღნი ნაშენები. ესევე არს გაჩიანი“¹⁶⁷. იმათ-თვის ვინც ჭაპალას „სწერენ გაჩიანად“, ვახუშტი ასეთ შენიშვნას აყეთებს: „არამედ არა არს ესე დასავლით ხუნანისა, არამედ სამკრით, და არს წილი გარდაბანისა და არა გაჩიოსი. ხოლო არქევანი პირველ იყო გაჩიანი და სანადირო ქალაქი, მერმე ქაოზიანი, და აწ ესე დაბა, რომელი დასავლითაც არს ხუნანისა და საზღვარიცა მათი“¹⁶⁸.

ერთი რამ ცხადია, ვახუშტი არ არის დარწმუნებული გაჩიან-სანადირო ქალაქის ლოკალიზაციაზე, და ამდენადვე ვარდაბან-გაჩიანის უშუალო საზღვრის ლოკალიზაციაზეც, მაგრამ ზოგადად ვარდაბანის ტერიტორიის საკუთრივი საკუთრივი ნათლად მოხაზია. ვარდაბანის ტერიტორიის ლოკალიზაციის ვხვდებით ოგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ XVIII ს. დასაწყისსა და I ნახევრის ნუსხების მინაწერებში: „ვარდაბანი ჭაპალის ქვეით ნახილურსა (ნაგილურსა P d) და ტაგნაგეთს ქვევით მტკვრამდე ეწოდების PRdm“¹⁶⁹. უკელა ზემოხსენებული ორიენტირების ვათვალისწინებით,¹⁷⁰ აშკარა ხდება, რომ ვახ-

¹⁶⁶ ვ ა ხ უ შ ტ ი. ალწერა, გვ. 49.

¹⁶⁷ ვ ა ხ უ შ ტ ი. ალწერა, გვ. 35.

¹⁶⁸ იქვე, შენიშვნა მეორე.

¹⁶⁹ ქ ც. I, გვ. 8, გვ. 3.

¹⁷⁰ „ტუილის გორაები“ უწდა იყოს ილლური ქედი და შისი გაგრძელება ჩრდილო-დასავლეთით, რომლის იქთ „ქალაქის პირის“ სოფლები, ანუ ტუილის „ვარდაბანი“ ე.ი. ფარტიურიდ თბილის „ქვეუფანი“, ძველი სომხური „პარუაზი“

უშტისეული გარდაბანი მოიცავს არსებითად მდინარეების ალევეთხა
 და ხრამის ველებს ე. ი. დაახლოებით ძველი სომხური წყაროების
 „ვრაპ-დაშტუ“¹⁷¹. მართალია, ჩვენ უკვე ოლვიშნავდის „რამზეც ვაშტის ეს არ არის გარდაბნის ძირითადი ტერიტორიის განსაზღვრობაში უაშტის ეს ლეიონტი მრიველის გარდა სხვა წყარო არ აქვს. კერძოდ, მისი ამოსავალი, ამ შემთხვევაში „ქართლის ცხოვრების“ ზემომოტანილი ცნობაა: „ბერდუჯის მდინარითვან (ე. ი. ვახუშტისეულად დებედადან. — დ. მ.) ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის (ე. ი. ვახუშტისეულად ჭაპალამდე) მის ჩრდილოეთით მდებარე არქევანამდე. — დ. მ.), რომელ არს, გარდაბანი“¹⁷². ეს ისეა, მაგრამ ვახუშტისეული გარდაბნის კონკრეტული საზღვრები (განსაკუთრებით: დასავლეთისა და სამხრეთისა, რამდენადაც ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისა თვით ლეიონტი მრიველთან არის კონკრეტიზირებული), უნდა ვითქმიეროთ, რაღაც ტრადიციას ეყყარებოდა. ამ ტრადიციის საფუძველს ვხედავთ სწორედ არაბული წყაროების „ციხე გარდამანში“, ანუ „ყალა-იბნ-ქანდამანში“ და (ქვეყანა) „ქარდამანში“ (ბალაზორი). ის გარემოება, რომ გვიანი საუკუნეების ქართულ წყაროებში არაბული წყაროებით დამოწმებული „გარდაბანი“ (ციხე) „ხუნანაღ“ იწოდება, როგორც ალვიშნავდით, ძველი და ახალი ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარების კონტამინაციის შედეგი უნდა იყოს: მას შემდეგ, რაც გვიანთეოდალური ხანის ძნელბელობის დროს საქართველომ სამხრეთ-აღმოსავლეთი პროვინციები დაკარგა, საზღვარმა ჩრდილოდასავლეთით გადმოინაცელა და დებედაშე დაიდო. ძველი ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარების წაშლისა და მივიწყების გამო, მაგრამ მტკიცე ტრადიციული გადმოცემის წყალობით, რომ ქართლისა და შემდეგ საქართველოს ბუნებრივ-ისტორიული საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ბერდუჯი იყო, ხოლო უკიდურესი მნიშვნელოვანი პუნქტი ხუნანი, გვიანი საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის წიალში შეიქმნა საფუძველი იმისათვის, რომ დებედასათვის ბერდუჯი ეწოდებინათ, ხოლო ქცია-მტკვრის შესართავში მდებარე

ფუკებოდა; ტავნაგეთი დღ. სოფ. ერტისთან მდებარეობდა (იხ. „საქართველოს ასტორიული რუკა“, 1923 წ. შედგ. ი. გავახიშევილის მიერ); ასურეთი და ტინქტუროდელესაც არსებობდნ; ნახიდური—დღ. არუხლო; „ბოლნისს მცირე მთა“ ამ შემთხვევაში ალბათ ფოლადაურისა და ტალავერ-ჩაის წყალგამყოფია; „ბერდუჯის აღმოსავლეთის მცირე მთა“ — დღ. ბაბაქიარის ქვედა.

¹⁷¹ იხ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. განეთ-ჭერეთის პოლიტიკური განგრძელების საკითხები XII—XIII სს. გვ. 72.

¹⁷² იხ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. იქვე, გვ. 64.

ციხესიმაგრისათვის — ხუნანი, მით უშეტეს, რომ ძველადე იყო გარდაბნის ერთ-ერთ პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. მაკომად რომ იმავე გვიან საუკუნეებში კარგად იცოდენ ისტორიული ქართული მემკერადობებული საქართველოს პოლიტიკური საზღვრები, მეცნიერებების მიერთებული ჩანს ერთი დოკუმენტიდან: 1726 წ. რუსეთში გადახვეწილი ვახტანგ VI წერილობით თხოვს კატერინე II-ს, ზეპირებისამებრ დახმარება აღმოუჩინოს ვახტანგს, რომ მან დაიბრუნოს, ომით თუ მშეიღობიანი გზით, ყველა ის მიწები, რომლებიც საკუთრივ საქართველოს შეადგენდა: «Мест, которые в нашем (ქართველი ბაგრატიონების) владении было, а именно до реки Шамкори, до Ереванской горы, до Гуржи Багази, до Чани, до Черного моря, до Жики, до черкесского и лезгинского рубежа, от Варташена до ширазского рубежа и до Куры реки»¹⁷³. ეს მრავალმხრივ საინტერესო დოკუმენტი, მართალია XII-XIII სს. საქართველოს საზღვრებს მიუთითებს, მაგრამ უცილობლად მოწმობს. რომ XVIII ს-ში კარგად იცოდნენ. რომ ძველად საკუთრივ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი შამქორის ხეობამდე იყო გაზიდული.

4. ქართლის პროვინციების არაბულ ნუსხასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საკითხია აღსანიშნავი. თუკი ეს ნუსხა „სომხურ გეოგრაფიასთან“ შედარებით გარკვეულ გამსხვავებებს გვიჩვენებს, როგორც მივუთითეთ, თანხვედრებიც საკმაოდ მნიშვნელოვანია. კერძოდ, ზოგიერთი პროვინციები, განსაკუთრებით გვიანდელი ზემოქართლისა (კლარჯეთი, შავშეთი, არტანი, სამცხე, ჭავახეთი), ორივეგან იდენტურად არიან წარმოდგენილნი და. ამდენად, უნდა ვიგიტროთ, იმ დროის მონაკვეთში, რომელიც ჩვენი აზრით, მიწნავს ზემოხსენებული ორი ნუსხით ფიქსირებულ რეალურ ვათარებას, ამ პროვინციებს არსებითი ისტორიულ-გეოგრაფიული ცვლილებები არ განუცდით. რათი უნდა იხსნას ეს? შესაძლებელია საფუძველს არ იყოს მოკლებული იმის ვარაუდი, რომ ეს პროვინციები, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულები, შექმნილი სამეურნეო ერთიანობისა და ეთნო-კულტურული სპეციფიურობის ბაზაზე, ვაცილებით უფრო აღრე ჩამოყალიბდნენ და გამოიყენენ, როგორც მყარი ერთობები, ვიდრე საკუთრივ აღ-

¹⁷³ Г. Г. Пайчадзе. Русско-грузинские отношения в 1725—1735 гг. 1965, №. 94. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ჩანს, ნუსხაშივე ვაბარული შეცდომა: ჩემი აზრით უნდა უმოილიყო „до Ширванского“ და აზ „до ширазского рубежа“.

მოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წვრილი ერთეულები. ამისი ერთ-ერთი მიზეზი შესაძლებელია ყოფილი შემდეგი რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდგრადი დროიდანვე აქტიურად იყო ჩამოსავლები სახელმწიფობის პოლიტიკური ურთიერთობის ობიექტი, რასაც უნდა დაეჩქარებინა ამ ტერიტორიაზე არსებულ წვრილ ერთეულთა კონსოლიდაციის პროცესი. ეგების, ჩვენი თვალსაზრისით, მნიშვნელობას მოკლებული არ იყოს ის გარემობა, რომ თითქმის ყველა ზემოხსენებული პროვინცია შემდეგდროინდელი ქართლის სამეფოსი უკვე ძვ. წ. IX—VIII სს-ში მოიხსენიება ძველაღმოსავლერ (კერძოდ, ურარტულ და შემდეგ ანტიურ, ბერძნულ-ლათინურ) წყაროებში. ასე მაგალითად: „კატარზა“ || „კოტარზენე“, რომელსაც სავარაუდოდ ქართულ კლარჯეთთან აიგივებენ; „შეშეთი“, რომელიც თითქოს შევშეთს გულისხმობს; „ვიტერუხი“ — ოძრევე, ანუ უფრო ვეიანდელი სამცხე, დაბოლოს „ზაბაზე“ — ჯავახეთი. კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ურარტული და ახტიკური წყაროების ყველა ამ ზემოხამოთვლილი ქვეყნის ლოკალიზაცია ხერხდება დახლოებით იქ, სადაც ისინი ჩვენთვის ცნობილნი არიან ფეოდალურ ხანაში¹⁷⁴.

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ ქვემო ქართლს, რომელიც არაბული ნუსხის მიხედვით ერთ პროვინციად წარმოიდგნება ცენტრით მანგლისში. V ს. II ნახევარშიც, ვახტანგ გორგასალის დროს, როგორც ვიცით, ეს ტერიტორია აგრეთვე ერთ საერთისთავოდ დევლინება, რომლის ცენტრი ამჯერად სამშეილდება. ამ ერთეულის ერთ-ერთი ცენტრი, მანგლისისა და სამშეილდის გარდა, იყო დაბა ცურტავი, ვარსქენ პიტიახშის რეზიდენცია. ასე, რომ ვარსქენი ქართული აღმინისტრაციული წესშემნიშვნების მიხედვით, ფაქტიურად, იგივე სამშეილდის ერთიანების უნდა ყოფილიყო, რომელსაც, ამას გარდა, ერანის შეისაგან, შესაძლებე-

174 Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, с. 203—213. ანალოგიური ვთარება უნდა გვქონდეს თრიალეთის მიმართაც, რომელსაც უკვე პლაიოსი იყონებს; რაც შევხება „კოტარზენეს“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი კლარჯეთი კი არ უნდა იყოს, არამედ „ხორზენე“-ტაო. გამორიცხული არ არის, რომ შემოარანიშნული მოვლენას მთავრი მოხევი ამ მხარის მეურნეობის სპეციალისტობაში იყოს: ზემო ქართლში უპირატესი შესაქონლება და ეს კმნდა საუკუნეებელ უკველეს ხანაშივე (შეუაბრახვა) აქ მსხვილი ერთობები შექმნილიყო. მათგან უკველეს ხანაშივე (შეუაბრახვა) აქ სამისა საფუძველს უფრო გვიან ქმნის (შეგრამ ამას თითქოს ეწინააღმდეგება კლარჯეთის და ტაოს ეკონომიკური გეოგრაფია, ის. VI, 7).



լու ցալովեծոտ թեր՝ յօմերենցուապ Ֆյոնճա Հայոսի բռնուլու
 (Թոքազոնոտ հռմ „Քարտլուս Աթողիքին“ թէեղիշի Մահանչիքի
 „հանու յրուստացու“ արև)՝¹⁷⁵ V և. Յորչը լու նաեւութիւն Շամիլունի շուր
 նոց ցանեցացնենու ցոտակցի հանս. ցահայնու մաժա, արմենի Ագուստ-
 ու, մարտալու, ազրետոց Դամինը (resp. Տամանցունու Տայրուստացունու)
 մտացարու (Կորանուն, մուսէ Եռակնելու) և Դամինը ամ Շեմտեցցամու-
 դարտու Ցնօշենունու ցունդա ցայսմուցն, մաշրամ մանց ամ գրուն
 ամ լունացն ցամուսարուցն Տայսուրու (ցաննուցն լու-
 հուս նեցան) և յանցարու (թէ. գունդեան ներու). Իս Դյուրու-
 Ծորուա մանց արմենի ցա համարու Դամինը? Կայեն ոյց Շեմու-
 սաթլուրու դասելուցն ալցու-վուն երամուս և գունդեան այ-
 նենու. յորտու Սոմենուրու ֆյուրու Կալազ ցամունիքնեն ամ վահացըն. ցա
 արևու արարութենու ենցենցնու „Սոմենուրու ցանցիացու“, հռմելու,
 հռոգորու զուրու, յայերու յահուլուն Արոցոնցունուն համուցլուսն,
 հռմելունու IV և. II նաեւում ամ Առլունուց հրաց Սոմեյտի Շեգո-
 ուրու, ասաելուցն, Սեցատամորուն, Շեմուն յրուցնեն: յայենսեցն,
 ծոլնունունեցն, մանցլունունեցն և Դամինը¹⁷⁶, եռլու Սոմեյտուն
 Արոցոնցունուն ալֆյուրուսն, հռմելունու IV և. II նաեւուն Շուրու-
 նու զուրու ասաեցն, ցացարյուն Շեմագցենու ցանցիքնեն հա-
 մուցլուն դրուն, Սեցատամորուն, ասաելուցն, եռլու Շեշո-
 նեցնենցն սամ եցը աղար անենցնեն¹⁷⁷.

Իորտու ցնդա առենսն այսու Սեցամա?

Վոյիքիրունու, հռմ թյորի Շեմտեցցամու Դամինը գրարտու Ցնօշ-
 նենունուն արևու նամարու և ոյց մուուցն յայեմ յահուլուն Արո-
 ցոնցունուն համուցլուն Տայսուրու Դամինը ցանդա Նեմոնեցնենցն
 և եցնաւու: մանցլունուն, յայենս և ծոլնունուն եցնեն. ամյուրա, հռմ
 Սոմենուրու „Ցացարյունու“ և յահուլուն յայեմ յահուլուն ալֆյուրուսն
 Սոմեյք ազգուրուն Սեցադամուն ֆյուրու Ֆյոնճա եղլու: յորտու և ոմացք
 Ծյուրութուրունուն մոմարտ Արոցունու Շեմագցենունու Սոմենուր ալմինու-
 Ծրապուրու դանաշունուն ասաեցլու, եռլու թյորի յահուլուն. ցա
 լուկանցնենցն, տացուն մերու, արսցիուտագ, Սոմենուրի մցուն զուրու-
 նուն ամեսեցնելու ցնդա պոյուլուու.

մարտլապ, V և. Յորչը լու նաեւուրի Կայեն զուրնունուն արմենի
 յահուլուն Յորչըն, հռմելու, Յորչը հոյմու, Սիորից Շեմո-

¹⁷⁵ Հ-Ը, I, ց. 216.

¹⁷⁶ Армянская география. 17. J. S.-Martin, 356—358; Géographie, 28,
 ա. Սովորու ցամունիքն յայենսեցն պահուածուու.

¹⁷⁷ Армянская география. 20; J. S.-Martin, 358; Geographie, 28.

ჰენებული სამი ხევის (მანგლისის, ქვეშის და ბოლნების), მფლუები ბელია და რომელსაც სომხური წყაროები (სომხური, აფშერონული, კავკაზული) ციული ტრადიციის თანახმად¹⁷⁸ ტაშირის მთავარს უწოდებენ, თუმცა კი იგი, გარკვეულ პერიოდში მაინც (V ს. 50-იანი წლები) საკუთრივ ტაშირს აჩც კი ფლობს. ამგვარად, V ს. I ნახევარში მანგლისის, ქვეშის და ბოლნების ხევები გაერთიანებულია და ერთ აღმინისტრაციულ პროექტის წარმოადგენდნენ. არშუშას შეილი და ძემპერიალ ვარსკენი, სავარაუდო, პირველ რიგში, უკვე, ვახტანგ გორგასალისეული სამშეილდის საერთისთავოს (განიანი) მფლობელია, ხოლო ეს საერთისთავო მოიცავდა ტერიტორიას „სკვრეთისა მდინარითგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი“¹⁷⁹. ამგვარად, V ს. მეორე ნახევარში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე კიდევ უფრო დიდი აღმინისტრაციული ერთეული იქმნება. რომ ქართული წყაროს ცნობა სწორია და, რომ, კერძოდ, საკუთრივ ტაშირი (შესაძლებელია კანგარქიც) ქართლში შემოდის, ეს, როგორც ვიცით, ლაზარე ფარბელის თშულებიდანაც კარგად ჩანს. ეს არის დაახლოებით იგივე ტერიტორია, რომელიც VII ს. შეახებისათვის არაბული წყაროს მიხელვით „მანგლისის ქვეყნად“ გაიაზრება.

ამგვარად, ქვემო ქართლის მიმართაც საუკუნეთა მანძილზე, ისტორიულ-გეოგრაფიული ცელილებების არსებითად იგივე პროცესი ვლინდება, რაც ჩვენ ქართლის სხვა მხარეების მიმართ დავადასტურეთ (შიდა ქართლი, კუხეთი, კახეთი). არ იქნებოდა სწორი გვეფაქრა, რომ მას შემდეგ, რაც ქვემო ქართლის ტერიტორია სომხური პროვინცია „გუგარქის“ შემადგენლობაში შევიდა, იგი უცვლელი რჩებოდა და ამგვარადვე დაუბრუნდა ქართლს: თუკი ოდესმე რეალურად არსებობდა ისეთი აღმინისტრაციული ერ-

¹⁷⁸ ფრიდ ნიშანდობლივია ამასთან დაკავშირებით ის ფაქტი, რომ გრეგარქის და ტაიქის შემადგენელი კანტონების სახელშოდებანი სომხერად „ფორ“ ტერმინით არის გაფორმებული, რომელიც ქართული „ხევის“ შესატყვისად იხმარება. საკუთრივ სომხერი პროვინციების კანტონები კი, როგორც უკვე, „ძორ“ ტერმინთ არის ხოლმე გაფორმებული (იხ. მ. ს. 2 ა կო წ კ ა ნ, Հայաստանի պատմական աշխարհագրուրის, ხესქან, 1968, 260, სქოლი, 1). ეს უნდა მოწოდდეს, რომ იმ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულთა ქართული ნომერები პირველადია, ხოლო სომხერი—მის თარგმანს ჭარმიაღვებს. ეს ბუნებრივი არის, რადგან, როგორც ვიცით, გრეგარქ//გრეგარნე და ტაიქ//ტაო ძრეული ქართული პროვინციები იყო.

¹⁷⁹ ქ' ცა, I, გვ. 24; იქვა, გვ. 9.

თეული როგორადაც წარმოგვიდგება „გუგარქი“ „სომხური გეოგრაფიული რაოდის“ მიხედვით (სამხრეთი საქართველოს ტერიტორიაზე ყალბურ ჯეთიდან ვიღრე ხუნანამდე), ეს იყო დროებითი მუნიციპალიტეტის ხეთის ჩრდილოეთისაკენ პოლიტიკური ექსპანსიის შედეგად ქაოთლისაგან ანექსირებული პროვინციების კონგლომერატული გაერთიანება, რომელიც დროთა ვითარებაში ბუნებრივად დაიშალა და სხვადასხვა დროს კვლავ ორგანულად შეუძროდა ქართლს¹⁸⁰.

5. VII ს. შუახანის ეგრისის ისტორიული გეოგრაფიის წარმოსადგენად გვაქვს ისეთი სანდო წყარო, როგორიც არის მაქსიმე აღმსარებელთან ერთად ბიზანტიიდან ეგრისში გადმოსახლებული ანასტასი პოკრისიარის წერილი, მიწერილი თეოდოსი განგრელი სადმი და თვით ამ უკანისკენელის „მოგონებები“, ანუ „მოსახსენებელი“.

ანასტასი პოკრისიარის წერილიდან თუ თეოდოსის „მოგონებებიდან“ აშეარად ჩანს, რომ VII ს. 60-იანი წლებისთვის ეგრისში მეოდისა კარგა ხნის გაუქმებულია და ქვეყანას პატრიკიოსები მართავენ. ამ დროისათვის, საგარაუდოა, რომ აფხაზეთი გამოყოფილია საეკუთრივ ეგრისს და ცალკე, მისგან დამოუკიდებელ სამთავროს წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, ბიზანტიის უშეალო ვასალია. ამ ვარაუდის საფუძველს ანასტასი პოკრისიარის წერილიც იძლევა, რამდენადაც „აბაზგის ქრისტესმოყვარე მთავრები“ იქ დასახელებულია ეგრისის „მთავრის“, ანუ „პატრიკიოსის და ლეთივ მაგისტროსას“ გვერდათ და არაეითარი მინიშნებაც კი არ არის მათ შორის ვასალურ ურთიერთობაზე¹⁸¹. ეს ჩანს იქიდანაც, რომ ამავე წყაროდან და იგრეთვე VII ს. ეკთესისებიდანაც, როგორც ვიცით, აშვარაა, აბაზგია და ლაზიკი ე. ი. აფხაზეთი და

¹⁸⁰ ეს ფაქტი, რომ არსებობდა V ს-შედე „გუგარქი“, თუნდაც მხოლოდ ქვემო ქართლის შინიშვნელობით, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა წვერილ ხევს, რომელიც ცალკეულად ჩამოთვლილია ქართლის აღწერილობაში, არ ნიშნავს იმას, რომ საკეთ სომხეტი „აშხარაცუის“ მეტ გადმოცემული ვითარების რეალურად არსებობს დროს იყო აგრძელებული და შემცირებული მაგრამ ეს ძეგლი მით არ ასახელებს, არამედ ასახელებს მათ შემაღვეველ წვერილ ხევებს. ასე რომ, თუ კი „აშხარაცუის“ VII ს. ძეგლია, იგი VII ს. რეალურ ვითარებას არ ასახებს, რადგან ამ დროს რეალურად არსებობდა კახეთი და კუხეთი (კაბიბ იბნ-შესლაშიას „დაცულ სიგველი“), ხოლო კახეთი და კუხეთი შემაღვეველ პროცენტითაც დამლობი გვხვდება IV ს-ში (მიზანის დროს). ვაზტანგ გორგასლის დროსაც კახეთ-კუხეთი გვითარებულია, ე. ი. სომხეტი ძეგლი, მათც მარცხნივ V ს. მეორე ნახევარზე ძველ ვითარებას ასახავს.

¹⁸¹ თ ე თ დ თ ს ა გ ა ნ გ რ ე ლ ი გ ე ო რ გ ი კ ა , IV, გვ. 45—48.

ეგრისი ორი დამოუკიდებელი ქვეყანაა არა მარტო პოლარუროდ, არამედ ჩელიგიურადც¹⁸².

ამისგან განსხვავებით, აფშილეთი, მისიმიანეთი, ჰერნეტი და ფასალების კვლავ ეგრისის სამთავროს უშუალო პროვინციებში მარტო ერთ ადგენერატორი ადგენერატორი 662 წელს ბიზანტიიდან გადასახლეს ეგრისში, ანუ ბიზანტიური წყაროების ლაზიერში. როდესაც იგი თავის მოწაფეებითურთ (ანასტასი აპოკრისიარი და მეორე ანასტასი) ჩიმოყვანეს აქ, ისინი ჩააბარეს „იმ ქვეყნის მაშინდელ მმარტველს“ ე. ი. პატრიკიოსს, რომელმაც მაშინვე განაშორა ისინი ურთიერთს: მაქ-სიმე „მოათავსეს ერთ ციხეში, რომელსაც ეწოდება სქიომარი და რომელიც მდებარეობს მახლობლად ალანებად წოდებული ხალხისა“¹⁸³, ერთ-ერთი ანასტასი — „აბაზგის მახლობლად ერთ ციხეში, რომელსაც სკოტორია ეწოდება“¹⁸⁴. ანასტასი ბიბლიოთეკარის მიერ IX ს. შესრულებული თარგმანის მიხედვით ეს სკოტორის ციხე აფშილეთშია, აბაზგის მახლობლად¹⁸⁵. მეორე ანასტასი შეაყენეს „სხვა ციხეში, ზემოხსენებულ ალანთა საზოვრებში რომ მდებარეობს, და ბუკოლუსი რომ ეწოდება“¹⁸⁶. ანასტასი ბიბლიოთეკარის ლათინური თარგმანით ციხე ბუკოლუსი მისიმიანეთშია (Mesimiana), რომელიც ალანთა მოძინავე მხარეა.¹⁸⁷ ცოტა ხნის შემდეგ მაქსიმე აღმსარებლის ორივე ზემოხსენებული მოწაფე გამოჰყავთ ამ ციხეებიდან, მისყავთ ჯერ მუკორისისში (ე. ი. პრიკოპი კესარიელის „მოხერისისში“), ხოლო აქედან ერთი „გადაგზავნეს ე. წ. სვანიდის (სვანეთის) ციხეში“, ხოლო მეორე „ე. წ. თაკვრის ციხეში, აბაზგის მახლობლად“¹⁸⁸. ლათინური თარგმანის მიხედვით თაკვრის ციხე იბერიის მახლობლადაა¹⁸⁹. ზემომოტანილიდან სრულიად ცხადი უნდა იყოს, რომ ეგრისის პატრიკიოსი მთელ იმ ტერიტორიას, რომელ ზედაც ზემოხსენებული ციხესიმაგრეები იყო განლაგებული ე. ი. აფშილეთს, მისიმიანეთს, ლეჩებუმსა და სვანეთს უშუალოდ ფლობდა და, ამდენად, ეს მხარეები VII ს. ეგრისის სამთავროს უშუალო პროვინ-

¹⁸² ბ ა ს ი ლ ი ს თ ფ ე ნ ე ლ ი. იქვე, გვ. 140.

¹⁸³ თ ე თ დ თ ს ი გ ა ნ გ რ ე ლ ი. „გეორგია“, IV, გვ. 42.

¹⁸⁴ იქვე.

¹⁸⁵ იქვე, შენ. 4.

¹⁸⁶ იქვე, გვ. 42.

¹⁸⁷ იქვე, შენ. 5.

¹⁸⁸ იქვე, გვ. 42—43.

¹⁸⁹ იქვე, გვ. 43, შენ. 3.

ციებს წარმოადგენდნენ ისევე, როგორც უფრო ძველად. მათვალში საზრისით საინტერესოა, რომ ლაზიების პატრიკიოსს ჰთავის ერთო რეზიდენცია „გიხახორაში“ აქვს, რომელიც შექვეჩულია ლად ყოფილა და ე. ი. აფშილეთში.¹⁹⁰

ზემოთ ჩამოთვლილი პროვინციების გარდა, VII ს. 60-იან წლებში ეგრისის ფარგლებში უნდა ყოფილიყო რაჭა-არგვეთი და აჭარაც. ეს გამომდინარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მხარეთა ჩვენთვის ცნობილი არაბული ნუსხიდან, საიდანაც ჩანს, რომ არაბებს, რომლებმაც მთელი ქართლის საერისმთავრო დაიპყრეს, ეს სამი პროვინცია არ დაუკერიათ.

არგვეთის მიმართ საამისო ცნობა ერთ ქართულ წყაროშიაც გვაქვს. ეს არის ე. წ. „თხრობაა სასწაულთათვის წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა შიომისთად“, სადაც ერთ-ერთი სასწაულის თხრობისას აღნიშნულია, რომ არაბები „ოდესმე შემოვიდეს ბრძანებითა ამირ-მუმინესათთა და ტყუჩ-ყუჯეს ყოველი სომხითი და ქართლი და ვიდრე მთამდე არგვეთისა ყოველი ოქრებმა მისცეს“¹⁹¹. აյ მოხსენიებული არგვეთის მთა ისევე როგორც სომხერი გეოგრაფიის „არგვეთის მთები“ უნდა ლიხის ქედს გულისხმობდეს და ეს მოწმობს, რომ არაბები ამ ქედს არ გადასულან.

ანატანი პოყრისიარის წერილიდან კიდევ ერთი აღგილია ჩვენთვის საინტერესო. კერძოდ, წერილის ლათინურ თარგმაში იქ, სადაც ლაპარაქია ბუკულუსის ციხესიმაგრის შესახებ, ჩართულია გლოსა, რომლის მიხედვით ცხადი ხდება, რომ 666 წელს (ე. ი. წერილის დაწერის დროს)¹⁹² ზემოხსენებული ციხე ალანებს უკირავთ¹⁹³. ჩვენ ვიცით. რომ ჯერ კიდევ ასიოდე წლის წინ (554 წ.) ალანები ცდილობდნენ მისიმიელთა ქს პუნქტი ხელში ჩაეციოთ¹⁹⁴. როგორც ჩანს, VII ს. 60-იანი წლებისთვის მათ ეს მოუხერხებიათ¹⁹⁵. ბუკულუსის ციხესიმაგრე, როგორც ვვარაუდობდით უნდა იყოს დღემდე შემონახული ნანგრევები აზრეფერდალური ციხესიმაგრისა კოდორის სათავეში, მდ. კლიჩის მარცხენა ნაპირ-

¹⁹⁰ იქვ. გვ. 50; იბ. 3. ინ გორო უ ვ. გომარგი შერჩელე, 1954, გვ. 132.

¹⁹¹ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძეგლი რედაქციიბი, 1955, გვ. 206.

¹⁹² А. Бриллиантов. О месте кончины и погребения св. Максима Исповедника. Христианский Восток, т. VI, вып. I. 1917, გვ. 57.

¹⁹³ იქვ. გვ. 33, გვ. 3.

¹⁹⁴ ა გ ა თ ი ა. „გეორგია“, III, 86—87.

¹⁹⁵ А. Бриллиантов. დასახ. ნაშრ., გვ. 36.

ზე, ქლუხორის გადასასვლელზე მიმავალი ვზის პირის. რამდენად
 დაც ეს ციხესიმაგრე იცავდა სწორედ ალანებთან ეჭრისის დამა-
 კავშირებელ ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალს, ამდენზეც, ეჭრუშება; ე-
 ფია, ალანთა სურვილი შუკულუსის ხელში ჩაგდებული სცენტრული კუ-
 პენ მათი ექსპანსიის უზრუნველსაყოფად. ალან-ოსთა კავკასიონის
 სამხრეთით ექსპანსია კი შუასაუკუნეების განმავლობაში შხვადა-
 სხვა დროსა და სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული, საკმაოდ ცნო-
 ბილი ფაქტია. რომ კერძოდ, ალან-ოსთა ექსპანსიას ოდესლაც
 კოდორის სათავეებში ქონია აღვილი, ამას თეოდოსი განგრელის
 გარდა სრულიად სხვა წყაროებიც მოწმობს, კერძოდ, ამის მოწ-
 მობა უნდა იყოს კოდორის სათავეებში, მდ. კლიჩის და მდ. სა-
 კენის შესართავთან ძველად აზერბული სოფელი „ალანდა“¹⁹⁶
 (დღეს აღარ არის) სწორედ ჩვენთვის საინტერესო მხარეში, ბუქ-
 ლოოსის შუკულუსის ციხე-სიმაგრის ნანგრევების მახლობლად. აშავე
 უნდა გვამოწმებდეს ვახუშტი პატონიშვილი. ჩრდილო-დასავლე-
 თი კავკასიის მთანეთის აღწერისას იგი ალანშავს ერთი მცირე
 ძველის შესახებ, რომელსაც „ალანს“ უწოდებს: „ხოლო ალანი
 არს სვანეთის დასავლით და ბედის ჩრდილოთ. აქუს აღმოსავლით
 კავკასი და საზღვარი სვანთა; სამჯრით კავკასი ბედია-ოდიშს და
 ამას შორის; დასავლით კავკასი; ჩრდილოთცა კავკასი. უდის შუ-
 აში სვანეთის მდინარე“¹⁹⁷. აქედან უეპველი ხდება, რომ პირველ
 რიგში, ალანის მხარე სწორედ კოდორის სათავეებს გულისხმობს.
 მაგრამ რომელია „სვანეთის მდინარე“, რომელიც ალანს შუაში
 უდის? სვანეთის აღწერისას იგივე ვახუშტი მიუთითებს, რომ
 „ამას (სვანეთს. — დ. მ.) უდის საშუალსა მდინარე თვისი, რომე-
 ლი იქმნების ბოლოს კაპვეტისა, გამოსდის რაჭის მთას კავკასის და
 მილის დასავლეთ-ჩრდილოს შორის“¹⁹⁸. ცხადია, აქ მდ. ენგურის
 ზემო წელი უნდა იგულისხმებოდეს და რამდენადაც „სვანეთის
 მდინარე“ (-ენგურის ზემო წელი) ალანსაც შუაში ჩაუდის, აზდე-
 ნაო ეს უკანასკნელიც ენგურზე უნდა ვეძებოთ და არა კოდორის
 ზემო წელზე. მაგრამ დავაკვირდეთ ვახუშტის გამოთქმას, რომ
 „სვანეთის მდინარე“ „რომელი იქმნების ბოლოს კაპვეტისა“. ე. ი.

¹⁹⁶ В. Миллер. Осетинские этюды, III, 115. ციტირებულია ა. ბრა-
 ლინტვილის მიხედვით, იხ. მისი დასახ. ნაშრ. ვ. 36, შენ. 3. იქვე მოაქვს მას ალა-
 ნთა ნაკვალების დასაღასტურებლად ნიკ მარის მიხედვით (Из лингвистической
 поездки в Абхазию) აფხაზური გვარები: ოსია, ოსბა, ალანია, ალან.

¹⁹⁷ ვახუშტი მდ. აღწერა, ვ. 173.

¹⁹⁸ იქვე, ვ. 172—173.

შიდინარე, რომელიც სვანეთს და აგრეთვე ალანს შეუძინა ჩამოსის
ბოლოს, ანუ ქვემო წელზე კაპპეტის მდინარედ იწოდება. რომელიც
ლილა მდინარე კაპპეტი? აფხაზეთის აღწერისას ვაჟა-შემოსავის კონკრეტული
რომ „ამის ბიჭვინტის დასავლით დის კაპპეტის მდინარეა“¹⁹⁹ ამას შემდეგ
ჩემი ად მდინარე“²⁰⁰. ესევი არ არის, აქ ვახუშტი შედინავე ტექსტებ
გულისხმობს, რომელიც ამავე დროს მის მიხედვით ეთნოგრაფი
ული აფხაზეთის დასავლეთის საზღვარსაც წარმოადგენს²⁰¹. რო-
გორ შევუთავსოთ ერთმანეთს საეთი ორი ურთიერთგამოშრიულე-
ლი იდენტიფიკაცია ვახუშტი ბატონიშვილისა, რომლის მიხედვით
მდინარე კაპპეტის ზემო წელი ენგურია, ხოლო ქვემო წელი —
ბზიფი? მოქმედოთ კვლავ ვახუშტის თხშულებს. ზემომოტანილი
ამონაშერების შემდევ ვერთხულობით, რომ კაპპეტის მდინარე „გა-
მოსლის ესე რაჭის მთას კავკასია, გამოვლის სვანეთს, ალანსა და
მას ქვეითთა ორს კავკას შორისთა და მოერთვის აქა (ც. ი. ბი-
კვინტისთან. — დ. მ.) ჩრდილოდამ ზღვასა“²⁰². ახლა კი გასაგები
ხდება ვახუშტი ბატონიშვილის შეცდომა: თუმცა იგი ენგურის
მდინარესაც, ანუ მისებურად „მდინარე ეგურსაც“ იცნობს²⁰³ და
მდინარე კოდორსაც²⁰⁴. მაგრამ ორივე ამ მდინარის ზემო წელი
და მდინარე ბზიფი ერთ დიდ მდინარედ მიაჩნია, რომელიც ზემო
ნაწილში „სვანეთის მდინარედ“ იწოდება. ხოლო ქვემოთ კაპპე-
ტისად. ამგვარად ცხადი ხდება, რომ ალანიდ ვახუშტი იმ მხარეს
თვლის, რომელსაც გარელის ზემოხსენებული მდინარე სვანეთის
შემდევ ბინფამდე ე. ი. ნწორედ კოდორის ზემო წელის ტერიტო-
რიას (ჩხალთის, კლიჩის, გვანდრის და საკენის ხეობები). ანუ
ბიზანტიური წყაროების მისიმიანეთს²⁰⁵. შესაძლებელია სწორედ
ის ვახუშტისეული „ალანი“ უნდა ვაგულისხმოთ თამარ მეფის
პირველი სტორცოსის იმ ცნობაში, რომელიც გიორგი III-ს შე-
ეხება და რომლის მიხედვით „ოუთ მეფე დაგდა სიხარულად და
განსუენებად და ნადირობად. ოდესმე, უამსა ზამთრისასა, გარდავო-

¹⁹⁹ ვახუშტი მ. იქვე, გვ. 171.

²⁰⁰ ექვე.

²⁰¹ ექვე.

²⁰² ექვე გვ. 167. საინტერესოა, რომ ენგურის სათავე ვახუშტის სემეტში კა-
რე ეგულება, არმედ „მასვე სეანეთისა და ოდიშს შორის კავკასია“ (ექვე, იხ. აგ-
რეთვე მისივე სათანადო რუკა საიდანაც ჩანს, რომ სვანეთი მას ოროგრაფის თვალ-
საზრისით ჩრდილო-კავკასიურ ქვეყნალ მიაჩნია).

²⁰³ ექვე, გვ. 169.

²⁰⁴ შდრ. А. ბრილიანთოვ. დასახ. ნაშრ., გვ. 36.

დას ლიხთიმერითს და მიუწის ზღუად პონტოსა, მოწის და მონ-
ნადირის ალანთა ქუყანა, რომელ არს აფხაზეთი...²⁰⁵ შესაძლებე-
ლია უკანასკნელი ფრაზა გაეიგოთ იმგვარად, რომ „ალანთა, კი კი-
ყანა“, ანუ ვახუშტისეული „ალანი“ მემატიანის დროს ანტიჭიკულება
ბოლოსთვის აფხაზეთში შედობა, თუმცა არც იტ წერ მც ქაზახურებ-
რიცხული, რომ საერთოდ აფხაზეთს ეწოდება ალანთა ქვეყანა²⁰⁶.

თავი II

ცვლილებები VIII ს. 40-იანი ფლებისათვის

(რუკა 3 და 4)

I. არაბთა მიერ აღმ. საქართველოს დაყრიბა, რა თქმა უნდა,
უარყოფითად იმოქმედებდა არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკურ
განვითარებაზე, არამედ ეკონომიკურ მდგრამარეობაზეც. მიუხედა-
ვად ამისა, როგორც ცნობილია, მოაეღ ხალიფთა დროს და გან-
საკუთრებით კი VII ს. მეორე ნახევარში დამსყრიბთა ულელი არც-
თუ სე შძირე უნდა ყოფილიყო.

საგარეოსაზერო ურთიერთობანი აშენად დაცა. ამ მხრივ
ფრიად საინტერესოა ნუმიზმატიკური მასალის მონაცემები აღმ.
საქართველოს ტერიტორიიდან. თუკი VI ს. მეორე ნახევრის სა-
სანური ვერცხლის და განსაკუთრებით VII ს. პირველი ნახევრის
ამგვარივე მონეტების, აგრეთვე სასანურ-ბიზანტიური მონეტების-
შერეული განძების აღმოჩენის ინტენსიურობა მოწმობს შესატყვის
ცხოველ სავაჭრო ურთიერთობას, ერთი მხრივ, სასანურ ერანთან,
ხოლო, მეორე მხრივ, ბიზანტიასთან (იხ. რუკა 1) იმ ნიშანდობ-
ლივი ტენდენციით, რომ, როგორც ჩანს, იგი ვითარდებოდა ბი-

²⁰⁵ ქ. ვა, II, გვ. 15.

²⁰⁶ ამ ფრაზაზისით მიშენელობას მოკლებული არ გვეჩენება ის გარემოება, რომ „ორიენტოსისა და მისთა მისრა მარტვილობას“ სკინაქსანული რედაქციის ხელნაშერთა უმეტესობაში „აფხაზების“ მაგიტრალ აღსახოვთა წერია (იხ. ა. კ. ვ. რ-
ჩ. ა. ლ. ი. ა. ე. ეტიუდები დელი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, 1957,
გვ. 325, აგრეთვე, „გვორგვია“, IV, 2, გვ. 415. შენიშვნა 3) და არა მხოლოდ აფხა-
ზეთის, არამედ „საევროს“ მაგიტრადაც (იხ. ა. კ. ვ. რ. ი. ა. ე. ეტიუდები, გვ. 294;
„გვორგვია“ IV, 2 გვ. 415, შენ. 1).

¹ ი. ჭ. ვ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ქართველი ერთს მტორია, 112, 83; ს. ჭ. ნ. ა-
შ. ი. ა. არაბობა საქართველოში, 368—369.

ზანტიის სასარგებლოდ, VII ს. მეორე ნახევრის არც ერთი განძი არ არის ცნობილი საქართველოს (და ამიერკავკასიის) ტერიტორიაზე². უკველია ეს მიუთითებს საგარეო ვაჭრობის ეშვერებულებულის დაცუმაზე. კიდევ მეტი, არამცუ მონეტების განძი, არამარტინი არც ერთი არაბული მონეტა VII ს. მეორე ნახევრისა ქვემდებარებულის ნილა საქართველოს ტერიტორიაზე. როგორც ცნობილია, საერთო არაბული ტიპის მონეტის შექმნამდე (VII ს. ბოლო წლები) აღმოსავლეთ ამიერკავკასიიში ძირითად სამონეტო ერთეულად სასანური დრამა ჩატება³. დაახლოებით ასევე უნდა ყოფილიყო აღმ. საქართველოშიც. მაგრამ აյ ისევე, როგორც სომხეთში სამისოდ გამოიყენებოდა ბიზანტიური ოქროს და ვერცხლის მონეტებიც, რომლებიც VII ს. მეორე ნახევრაში გავრცელებული არაა ჯეანებიდან კახეთამდევ⁴. ეს უნდა მოწმობდეს ბიზანტიისთან ივერიის სავაჭრო ურთიერთობის მეტი ინტენსიურობას. ევრისტიკური მხოლოდ სამი ადგილიდან (სოხუმი, ბიჭვინთა, ლავანკიო) არის ცნობილი ამ დროის ბიზანტიური ოქროს მონეტები.

ამგვარად, VII ს. მეორე ნახევრის ნუმიზმატიკური მასალა აღმ. საქართველოს ტერიტორიიდან თითქოს იმს მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ მიუხედავად პოლიტიკური დამოკიდებულებისა სახალიფოსაგან, სავაჭრო-უკონიკური ურთიერთობის თვალსაზრისით ივერია ბიზანტიისთან უფრო ჭიდროდ იყო დაკავშირებული. როგორც ჩინს, პირველ ხანებში არამებმა, თუკი უოველწლიურ ხარჯს არ ჩავთვლით, ვერ შეძლეს ეკონომიკური კონტაქტების დამყარება ამიერკავკასითან და, კერძოდ, აღმ. საქართველოსთან. ასეთ დასკენას მხარს უჭერს „ქართლის ქაოგრების“ ერთი ცნობა, რომელიც სწორედ ამ პერიოდს, არაბთა ქართლში პირველად შემოსვლის უშუალოდ მომდევნო ხანს უნდა ეხებოდეს: კამთა მათ დაეცადნეს საჩუნოზნი შემოსლვად ქართლად ყრუსა წარსელითგან წელიწადისა ორმოცდამეათესა (A; ორმეოცდამეათე-

² შდრ. Е. А. Пахомов. Монеты Азербайджана, вып. I, Баку, 1959, 38.

³ Е. А. Пахомов. Монетные клады Азербайджана и Закавказья, I, 1926, 21.

⁴ თ ა მ ა რ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, 16. 126—127; სომხეთისათვეს იხ. Х. А. Мушигяն. Денежное обращение Двинна по нумизматическим данным, Ереван, 1962, с. 20.

⁵ თ ა მ ა რ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 126—127.

სა ხედ; ორმეოცდაათისა M; ორმეოცდაათისა cet.). აქა კუბაზე
არარა შემოვიდოდეს, არამედ მიღებდეს ხარქსა ერისთავთაგან⁶.
აშეარა ანაქრონიზმი, მერვან ყრუსთან დაკავშირებით თუ გვი-
თვალისწინებოთ, მაშინ ცხადი გაზდება, რომ ქართველის შემსჭრელი და მი-
აზრით, VII ს. მეორე ნახევარში, ჰაბიბ იბნ-მასლამას მშემდლულ ჩემი⁷ ე
ვითარ სერიოზულ სამხედრო მპერაცის ქართლში არაბთა მხრივ
ადგილი არ ჰქონია⁸. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს მახლობელ
აღმოსავლეთში საერთოდ შუოთანი პერიოდი იდგა, რომელიც
შედეგი იყო ბიზანტიის, არაბთა სახალიფოს და ხაზარეთის შპაფ-
რი პოლატიკური შეხლა-შემოხლისა⁹ და, ცხადია, ამიერკავკასია
და კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაც არ ასცდებოდა ცალკე-
ულ შემოსევებს, რაც დამოწმებულია კადეც წყაროებში¹⁰, მაინც
ამ შემოსევებს ეპიზოდური ხასიათი უნდა ჰქონოდა და, საერთოდ
კი, ქართლისა და ეგრისის შინაგანი პოლიტიკური და ეკონომიკური
განვითარება აღმავალი გზით უნდა წასულიყო.

დაახლოებით ასეთივე ვითარება უნდა ყოფილიყო VIII ს.
პირველ მეოთხედშიც და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამ საუკუნის
დასაწყისში არაბები დამკიდრებული არიან ქართლის დედაქალაქ
თბილისში. ეს ჩანს იქიდან, რომ ამ დროს თბილისში მოქმედებს
არაბული ზარაფხანა, რომელშიც 704 წელს მოუქრიათ თბილი-
სური დირქემი¹¹. სახალიფოს ერთ-ერთი ზარაფხანის თბილისში
გახსნა განკურმოებული შემთხვევა არ არის. სწორედ ამ პერიოდი-
დან ცნობილია არაბული ზარაფხანები დვინიდან, ბარდავიდან, გან-
ჯილან, ალ-ბაბილან (დარუბანდი), „არანიდან“ და „არმინიდან“¹².
ეს შესანიშნავი მოვლენა მომასწავებელია იმისა, რომ ამიერკავკა-
სია ამიერიდან ჩაება საცავრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში სახა-
ლიფოსთან, რამაც აუცილებელი გახდა ადგილობრივი მონეტე-
ბის მოჭრა¹³. არაბული ვერცხლის ფული, ამიერკავკასიის ზარაფ-

⁶ ქ' ცა, I, გვ. 244.

⁷ იბ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. უქარმა. გვ. 91—92.

⁸ იბ. ს. ჯ ი ნ ა შ ი ა. დასახ. ნაშრ. გვ. 365—367.

⁹ მაგალითად, ლეონტი სტრატეგისის ლაშქრობა ამიერკავკასიიში. იბ. თეოფ. გ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი. „ვეორგია“, IV, 105; ან ხაზართა ლაშქრობა ქარ-
თლში, იბ. Պათმიტებულ ქსენიფხუ მხბი ქართველთა ლაյფ. ს. Պხოხ-
բარებ. 1887, 15—16.

¹⁰ Е. А. Пахомов. Монеты Грузии, часть I, С-Пб. 1910, с. 39—40;
დ. კ ა ბ ი ძ ე. ქართული ნუმიზატიკა, 1969, გვ. 54—55.

¹¹ МКА, 1, 22; Х. А. Мушеян, დასახ. ნაშრ. გვ. 21.

¹² МКА, 1, 22

ხანებში მოჭრილი დირქემები, პირველ რიგში, მსხვილი ვაჭრობის განვითარებას მოწმობს. წერილი, ლოკალური ვაჭრობის ფარავა-ყოფილებლად იცრებოდა სპილენძის არაბული მფრინავურ-ფაფ-სები¹³.

საინტერესო კიდევ ის არის, რომ ამიერკავკასიის და, კერის, ქართლის და ეგრძის საგარეო ვაჭრობა ცალმხრივი ხდება. ნიშან-დობლივა, რომ მაშინ როდესაც VIII ს. პირველი ნახევრის არა-ბული დირქემები ცნობილია აღმ. საქართველოს შემდეგი პუნქტე-ბიდან: მცხეთა, ზემო ავეალა, ბახტრიონი, ლაგოდეხი¹⁴; ამას გარ-და, თბილისიდანვეა ცნობილი. ორიანდური დირქემების განძი (722 წ.)¹⁵, სოფ. კალინოვკიდან (ლაგოდეხის რ-ნი) ომაიადური დინარი (706 წ.)¹⁶, არც ერთი ბიზანტიური მონეტა VIII ს. ამ ტერიტორია-შე აღმოჩენილი არ არის¹⁷ (იხ. რუკა 3). ცხალია, ასეთი ვითარება არ შეიძლება შემთხვევითი იყოს და მოწმობს, რომ ქართლს ბიზან-ტიისთან სრულიად (ან თითქმის სრულიად) შეწყვეტილი აქვს სა-ვაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა¹⁸. კიდევ მეტი. VIII ს. ბიზან-ტიური მონეტები, ჯერჯერობით მაინც ცნობილი არ არის ეგრძის ტერიტორიიდანაც. სპეციალურ ლიტერატურაში მხოლოდ ორი სოლიდის აღმოჩენაა აღნიშნული დას. საქართველოში, ისიც ტა-ბერიუსის III-ძა (698—705 წ.) და ისიც აფხაზეთიდან¹⁹. ეს გარე-მოებაც, რა თქმა უნდა, იმის მოწმობაა, რომ VIII ს. განმავლობაში ბიზანტია-ეგრძისის სავაჭრო ურთიერთობანი ფრიად უმნიშვნელოა და გარევეულ პერიოდებში, აღბათ, მთლიანად შეწყვეტილიც.

¹³ X. A. M u შ e g i a n. დასახ. ნაშრ. გვ. 36.

¹⁴ საქ. სახელმწ. მუზ. ნემის. გმიყოფება. №№ 9720; 11276; MKA, IV, № 1073. ბახტრონში აღმოჩენილ VIII ს. დირქემების შესახებ ცნობა მოგვცა არ გალართია.

¹⁵ MKA, I, № 73.

¹⁶ MKA, V, № 1450.

¹⁷ თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 127.

¹⁸ О. Д. Лордкипаниძე, Д. Л. Мусхелишивили. Закавказье в международной торговле Востока и Запада (С древнейших времен до XII в. н. э.) В Международный конгресс экономической истории, Ленинград, 10—14 августа 1970 г.; д. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. ფეოდალური ხანის საქართველოს და ამიერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში, „კუსკაზი“, № 11, 1970, გვ. 134.

¹⁹ თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 16. კიდევ ერთი სოლიდი ტა-ბერიუს III-ს ამიერკავკასიში ცნობილი მხოლოდ დვანიდან, იხ. X. A. M u შ e g i a n. დასახ. ნაშრ., გვ. 36.

მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ 697 წლიდან ეგრისი არაბების დაუშორი-
ჩილდა, ხოლო VIII ს. 10-იან წლებში მათ აფხაზეთშიც აქვთ დანი
მოკიდებული²⁰. როდემდის გაგრძელდა ასეთი ვითარება, რომ ჩანს კა

დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, ძველი ეგრისის არაბების
სამყაროსთან ურთიერთობის გასათვალისწინებლად მნიშვნელობას
ას უნდა იყოს მოკიდებული ნუმიზმატიკური მონაცემებიც. საქმე
ის არის, რომ ამ ტერიტორიიდან ცნობილია VIII და IX სს. არა-
ბული მონეტების ცალკეული ომშინენები და განძებიც კი. მარ-
თალია, მათი უმეტესობა ისევე, როგორც სასანურ პერიოდში (იხ.
რუკა 1) არგვეთის ტერიტორიაზე მოღის, ხოლო VIII ს. პირველი
ნახევრით დათარიღებული მხოლოდ ერთი მონეტა გვაქვს (719 წ.
დირქემი მერჯევიდა)²¹, მაინც ზოგადი სურათის აღსაღევნად მა-
თი გათვალისწინება მიზანშეწონილი გვგონია, მით უმეტეს, რომ
ორი დაუთარიღებული დირქემი დღევანდელი ქვემო მოტივთის ტე-
რიტორიიდან, კერძოდ კი სოფ. მესხეთიდან და გვლათიდან²², შესაძ-
ლებელია, სწორედ ჩვენთვის საინტერესო ზროს მიეკუთვნებოდეს
და, მეგვარად წარმოიდგენას იძლეოდეს ეგრისის გარევეულ სავაჭ-
რო ურთიერთობაზე არაბულ სამყაროსთან (ალბათ, ქართლის მე-
შვეობით).

როგორც ვხედავთ, მართალია, VII ს. პირველი ნახევრის ინ-
ტენსიურ საერთაშორისო ვაჭრობასთან შედარებით განსახილველ
ჰერიონში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობაშინი გარე სამყა-
როსთან ფრიად შესუსტდა და ცალმხრივი გახდა, მაინც იგი მთლი-
ანად ას შეწყვეტილა, ხოლო VIII ს. დამდეგიდანვე გარევეული
აღმავლობაც შეიმჩნევა. ეს გარემოება შედარებით მშვიდობიანო-
ბის პირობებში. როგორც აღვნიშნეთ, უნდა მიგვითითებდეს იმაზე,
რომ ქვეყნის შინაგანი ევოლუცია შენელებული ტემპით, მაგრამ
მაინც აღმავალი გზით უნდა წასულიყო.

2. ეს ვითარება შესატყვისად უნდა გამოვლენილიყო ისტო-
რიულ გეოგრაფიაშიც. VIII ს. პირველი ნახევრის საქართველოს
ტერიტორიის, კერძოდ კი ქართლის (ივერიის) ისტორიული გეოგ-
რაფიის წარმოსადგენად საინტერესო ჩვენებას იძლევა „ქართლის
ცხოვრება“. სათანადო ცნობები დაცული აქვს ანონიმურ მემატია-

²⁰ მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი. ლევონდის ცნობა ფოთის შესახებ. თუ შრო-
მები, XXVI, სერია B, 1944, გვ. 2, 19; შრ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 368.

²¹ MKA, VI, № 1600.

²² MKA, I, № 48; MKA, VIII, № 1960.

ნეს, რომლის თხზულება, როგორც ფიქრობენ, ექსცერტის შემთხვევაში ჩატულია ჭუანშერის თხზულების ბოლოს²³. ჩვენი, აზროვნობის განვითარების უ თხზულება შექმნილია X ს. მეორე ნახევარიდან აშენებულ რეს ამ საუკუნის ხახვერდისა, თუმცა მასში დაცულია VIII ს. დოორნიდელი წყაროც და, ამდენად, საკმაოდ სახდომი იმდროინდელი კი-თარების აღსადგენადაც²⁴. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ამ ტექსტის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია არჩილის მიერ ერისთავთა შორის სამფლობელობის განაწილებაზე. გამოთქმული იყო მოსაზრება, და ჩვენც ამას ვიზიარებდით, რომ მთელი ეს თხრობა ეხება არა იმ გვოქს, რომელიც აქ იგულისხმება (ე. ი. არჩილის მოღვაწეობის ხანა), არამედ „შეთხშულია ავტორის მიერ, რათა ახსნას მის დროს არსებული ვითარება“²⁵. შემდგომმა დაკვირვებამ გვაიღულა იმ დასკვნამდე მიესცულყავით, რომ ანონიმის მიერ გადმოცემული სურათი არამცუ მისი დროის, ე. ი. X ს. მეორე ნახევრის ვითარების ამსახველია, არამედ არ შეეფერება არც IX და, როგორც ვნახავთ, არც VIII ს. მეორე ნახევრის ქართლის ისტორიულ გეოგრაფიის, ე. ი. ასახავს სწორედ იმ გვოქს, რომელსაც იგი გულისხმობს, ე. ი. არჩილის მოღვაწეობის ხანას. არჩილი კი, ჩვენი აზრით, VIII ს. პირველი ნახევრის მოღვაწეა²⁶. რომ წყაროს ზემოსხენებული ჩვენება ჩვენთვის საინტერესო პერიოდს ეხება, ეს, სხვათაშორის, იქიდანაც ჩანს, რომ ქართლის დედაქალაქი, თბილისი, ქართველთა მფლობელობაში იგულისხმება, ხოლო VIII ს. 40-იანი წლებიდან კი, როგორც საგარაუდოა, აქ არაბი ამირა მკვიდრდება²⁷ და ამიერიდან თითქმის მთელი ოთხი საუკუნის განმავლობაში თბილისი საამიროს ცენტრს წარმოადგენს.

განვიხილოთ თვით ჩვენთვის საინტერესო ცნობა.

არაბთაგან შევიწროებულ ქართლის ერისმთავარნი, მირი

²³ 3. ი 6 გ თ რ თ ყ ვ ა. ლენტი მროველი. ქართველი ისტორიის VIII ს ენიდებს მოამბე, X, 1941, 143 და სხვა. შრქ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. აღმოსაფეთ ქახეთის წარსულიდან, „მიმომზღვეული“, III, 1953, გვ. 66.

²⁴ დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. უნარმა. გვ. 90—93.

²⁵ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები, II, 286. ს. განაშიასთვის ავტორი იგიც ჩრა-შერია, XI ს. ისტორიკოსი.

²⁶ დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 93—95.

²⁷ მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. თბილის საამიროს ისტორიიდან, „მიმომზღვეული“, I, 1951, გვ. 186. მართალია, როგორც ვიცით, არაბები თბილისში უკავი VIII ს. დასაწყისში სხედან, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, ისინი იძულებულნი არიან დაცულონ იგი. შრქ. Е. А. Пахомов. Монеты Грузии, с. 40.

და არჩილი, დასავლეთ საქართველოში გადადიან. არატები აუკან
სდევნიან მათ. ერთ-ერთი ბრძოლის დროს მირი სასიცფერზე დატყვე
ეწრა. სიკვდილის წინ მირი უბარებს თავის ძმას არჩილს: თუ წერის ერთ
ქართლის ერისთავებს მიათხოვოს მისი დაობლებული ქალიშვილე-
ბი: „მისცენ მათ ასულნი ჩემნი და განუყენ მათ ქვეყანანი ქარ-
თლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ“²⁸. არჩილი, ასრულებს
ძმის ანდერძს:

„ხოლო არჩილ მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა, და მისც-
ნა ძმისწულნი მისნი:

ერთი ვისცა მამის ძმისწულსა მისსა, შვილსა გუარამ კურაპა-
ლატისასა, რომელსა ჰქონდა კლარჯეთი და ჭავახეთი;

მეორე მისცა პატიახშისა, ნათესავსა ფეროზისასა, რომელი
მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს;

მესამე მისცა ნერსეს ნერსიანსა, რომელი იგი იყო წარჩინე-
ბული ვახტანგ მეფისა; მეორე მისცა აღარნასეს აფარნასიანსა,
და ორთავე ამთ განუყო ზენა სოფელი. რომელ არს ქართლი;

მეხუთე მისცა ვარზმანს, და მისცა კოტმანითვან ქურდის-ჭე-
ვამდე; იყო ეს ვარზმან ნათესავი სპარსთა ერისთავისა ბარდავი-
ლისა, რომელი იყო დედის მამა ვახტანგ მეფისა;

შექუსე მისცა ჭუანშერსა, რომელი იგი იყო ნათესავი მირიან
მეფისა, შვილთაგან რევილთა, და მისცა ჭუარი და ხერკი, და ყოვე-
ლი მთიულეთი, მანგლისის წევი და ტფილისი.

ნაწილი არჩილისი იყო განზოგებით გამონაყოფი ყოველთა
ამათ ჭევთაგან და განუტევნა მთავარნი ესე ცოლებითურთ თუ-
თვსად ადგილად“²⁹.

თვით არჩილის მკედრი მამული, როგორც ჩანს, კახეთია, სა-
დაც იგი საბოლოოდ ჭდება „მოეიდა არჩილ კახეთად, და ყოველ-
თა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი. და აზნაურ ყვნა იგინი“³⁰.
მისი ხელისუფლება ვრცელდება ჰერეთზე, წუქეთზე და შაქზეც:
„და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი, და კევსა ლაუასტისასა აღაშე-
ნა ციხე და ჰპოვნა წუქეთს მთავარნი რომელთადა მიებოძა ვახტანგ
ცეფესა წუქეთი, და იყო ჩაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და
ხუნთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა. სახელით
ამუხუსარო, და არა ინება მისგან წალებად წუქეთი“³¹. უფრო

²⁸ ქ' ც., I, გვ. 241.

²⁹ ქ' ც., I, გვ. 241—242.

³⁰ იქვე. გვ. 243.

³¹ იქვე.

გვიან „პატიახშინი ვინმე“ კლარჯეთიდან წამოსულნი „მოვიდება-
ხეთად არჩილის თანა ერთსა მათგანსა მისცა ცოლიდ ნათესავისა-
გან აბუბუსაროსა, რამეთუ დაქურივებული იყო ქვიშები უზრუნველყოფას
ქმარი, და მიუბორა წუქეთი ციხით და კასრითუჭრის პულა იმას ეცეს

შაქი და ჰერეთი, იმავე მემატიანის სიტყვით, არჩილს სომხე-
თიდან მოსული მთავრებისათვის, როგორც ჩანს, ბაგრატუნიანები-
სათვის მოუცია, რომელნიც „წარმოვიდეს ტარონით შავიხად, სამ-
ნი ძმანი, და დაემკვდრნეს მუნ, ბრძანებითა არჩილისათა... და
დაემკვდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის“³². უკანას-
კნელი გლოსა, რომ ზემოხსენებული ძმები დაუფლენენ ტერიტო-
რიას შავიხიდან „ვიდრე გულგულამდის“ იმის მოწმობაა, რომ ძმი-
ნი შავიხს ვარდა სწორედ ჰერეთში დამკვიდრებულან, რამდენადაც,
როგორც ვიცით, ქართული ჰერეთის (ვიწრო მნიშვნელობით) აღ-
მოსავლეთით შავიხი||შაქი მდებარეობდა, ხოლო მის დასავლეთ
საზღვარს კახეთთან სწორედ გულგულა წარმოადგენდა³³.

გარდა ამისა, იმავე წყაროს ცნობით არჩილის კახეთში ყოფ-
ნის დროს „მაშინ მოვიდა მისა მთავარი ერთი, რომელი იყო ნათე-
სავისაგან დავით წინასწარმეტყველისა, სახელით აღარნასე... ით-
ხვევა არჩილისაგან და რეუა: „უკეთუ ინებო და მყო მე ვითარეა
მკვდრი შენი, მოშეც ქუეყანა“. და მისცა შუალავერი და არტა-
ნი³⁴. „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანის მიხედვით, არ-
ჩილმა აღარნასე ბაგრატიონიანს შუალავერსა და არტანთან ერთად
ქალაქი რუსთავეც (რიშა) მისცა³⁵.

როგორც ვხედავთ, ანონიმს საქმაოდ ნათელი სურათი აქვს
გადმოცემული VIII ს. პირველი ნახევრის ქართლის ისტორიული
გეოგრაფიისა, მაგრამ მისი საბოლოოდ გაჩქვევისათვის ზოგიერთი
განმარტებაა საჭირო.

8. ჯერ ერთი, უნდა დაზუსტდეს, თუ რა ტერიტორია იგუ-
ლისხმება „კოტმანითგან შურდისკევამდე“. როგორც ვვარაუდობ-
დით მდ. კოტმანი იგივე დღევანდველი თაუზ-ჩაია. რაც შეეხება
შურდისხევს, იგი, ალპათ, მართლაც, „ქართლის ცხოვრებიდანვე“

³² იქვე. გვ. 243.

³³ იქვე. გვ. 244.

³⁴ იქვე. 5. იხ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 7—15.

³⁵ ქართლი, I. გვ. 243.

³⁶ ქართლის ცხოვრების ქველი სომხური თარგმანი გამოსცა ილ. აბულაძე
1953, გვ. 199.

ცნობილი ქურდვაჭრის ხევია,³⁷ ანუ დღევანდელი მდ. დებეტა³⁸. ამგვარად, „კოტმანითგან ქურდისქევამდე“ ეს არის ტერიტორია მოთავსებული მტკვრის შარჯვენა ნაპირზე თაუზ-ჩაის მიწაზე. მაგრამ მედას შორის.

რას მოიცავს წუქეთი?

ვახუშტისეული წუქეთი³⁹, როგორც „ახალი ქართლის ცხოვრების“ შესატყვისი ადგილიდან ჩანს, იგივე წახეთია⁴⁰, ანუ წახური—დალესტნის თემი სამურის სათავეებში.⁴¹ მართლაც, „ქართლის ცხოვრების“ ზემოხსენებული ცნობილანაც ივარაუდება, რომ წუქეთი მთის ქვეყანა („იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნძთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წალებად წუქეთი“). კიდევ მეტი, ამ ამონაში ჩილდან შეიძლება ისიც ეფვარაუდოთ, რომ ჩრდილო კავკასიონის მთანეთს თუშეთიდან ეიღოდე სამურის სათავეებამდე, par excellence, წუქეთი ეწოდებოდა⁴². მაგრამ წუქეთი, გარკვეული დროიდან მაინც, სამხრეთ კავკასიონის ბარსაც ეწოდებოდა. ვახუშტი წერს: „ალაზანს მოერთვის გიშის წყალი, რომელი გამოსდის კავკასის, კულმუხსა და ჰერეთს შორისს და მოღის გიშამდე ჩრდილოდამ სამხრით, მერმე აღმოსავლეთიდამ დასავლით. არამედ გიში არის მთის ძირს, რომელი იყო საერისთო წუქეთისა, და კელესია დიდი, გუნბათიანი, და იჯდაცა ეპისკოპოზი, მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შავინისა, არამედ მიუხუნა შააბაზ კახეთს და ჰყო სასულტნიდ, და ამას ეწოდა წუქეთი, და აწ უწოდებენ ალის-სულთნად. კვალად გიშის წყლის შესართავს ზეით, ამ გიშის წყალს მოერთვის ჩრდილოდამ ქურმუხს-წყალი; გამოსდის მასვეკავკასია და მოღის ჩრდილოდნ სამჭრით. ამ წყალზედ არს ქურმუხი, სიმავრე ლილშენი და აწ სახლი ალის-სულთნისა“⁴³.

პირველ რიგში უნდა აღნიშნოთ, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ცდება, როდესაც გიშის წყალს (დღ. მდ. კიში) და ქურმუხის

³⁷ იბ. 3. ინ გორთ ყვა. გორგი მერმულე, 471 (გაიგივება მდ. ინგასთან არ არს სწორი).

³⁸ ვახუშტი ი. ალექსან. გვ. 34.

³⁹ ვახუშტი ი. საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 183.

⁴⁰ ქარ. II, გვ. 414.

⁴¹ ნ. ბერძენიშვილი ი. დასახ. ნაშრ., გვ. 75. წუქეთის ლოკალიზაციისათვის იბ. ავრეთვე, თ. პატ უაშვილი. პერეთის ისტორიის საკითხები, გვ. 46—52.

⁴² შტრ. ვახუშტი ი. საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 146.

⁴³ ვახუშტი ი. ალექსან. გვ. 95—96.

5. დ. მესხელიშვილი

წყალს ურთიერთ შემდინარედ თვლის. მაგრამ მიუხედავად მისი
მისი ცნობილან შემდეგი გამომდინარეობს: გიშის წყალზე ძირისაუ
გიში (დღ. დაბა ქიში) ყოფილა წუქეთის საერთისთვის უცხოული
("გიში... ო-მელი იყო საერთითო წუქეთისა"). ამგრძელებული კარის
მანც გიშის ხეობა ყოფილა წუქეთი, მაგრამ რამდენადაც ვახუშ-
ტი ქურმუხის წყალს გიშის წყლის შემდინარედ თვლის და ე. ი.
მთ ერთ ხეობად წარმოიდგენს, ამდენად სავარაუდოა, რომ, მისი
აზრით, ქურმუხის ხეობაც ძველად წუქეთი მიეკუთვნებოდა: ჯერ
ერთი, განვის ხეობას ძველად „ამას ეწოდა წუქეთი, და ამ ეწო-
დებენ ალის-სულთნად“, ხოლო „სახლი ალის-სულთნისა“ არის
ქურმუხში. მართლაც, ალის სულთანის, ანუ ელისუს, ანუ კაკის
სულთანის ცენტრი ქურმუხის ხეობაში იყო კაკს (დღ. კახი) ზე-
მოთ სოფელ ელისუში⁴⁴. ამიტომ, რაღაც ვახუშტის ცნობილან გა-
მომდინარეობს, რომ ალის-სულთანი (ელისუს სასულთნო) იყვე
ძველი წუქეთია, მაშასადამე, ეს უკანასკნელი ყოფილა ტერიტო-
რია მანც უდამანც ქურმუხისა და გიშის ხევებს შორის.

შემდეგ ვახუშტი იქვე წერს: ბელაქნის წყალსა „და გიშის
წყალს შორისი, ალაზანამდე და კავკასიამდე, ასე ელისუნი, არამედ
ამ ქურმუხს აქეთი“⁴⁵. ე. ი. ელისუნი აღრი ერცელდებოდა ბელა-
ქნის წყლიდან გიშის წყლამდე. მაგრამ ამჟამად მხოლოდ ქურმუ-
ხამდე ერცელდებათ. ვახუშტის ეს შენიშვნა ("ამ ქურმუხს აქეთი")
ახლა გასავები უნდა იყოს. რაღაც ქურმუხს იქით (აღმოსავლეთით)
ციდრე გიშის წყლამდე მის დროს უკვე ელისუს სასულთნო იყო.
და რომ ეს ტერიტორია ძველად წუქეთიდ ეწოდებოდა, გამომდინა-
რეობს უკვე მოტანილი ამონაწერილიან, რომ გიშის ეპიკოპოსი
იყო „მწყეშაი ელისუნისა, წუქეთისა და შავიხისა“. ცხადია, ელი-
სუნი აქ ვიწრო, ვახუშტის თანადროული კითარების ამსახველი
მნიშვნელობით იხმარება („ამ ქურმუხს აქეთი“). ხოლო რაღაც
ძველი შავიხი //შავი დაახლოებით დღ. ნუხმან მდებარეობდა. რო-
მელიც გიშის სამხრეთითაა, მდინარის მეორე (მარცხნა) ნაპირზე,
ამიტომ ცხადია, რომ ვახუშტისეული წუქეთი აქ გულისხმობს
ტერიტორიას ქურმუხსა და გიშის შორის, ე. ი. იმავე ელისუს სა-
სულტნოს, ხოლო რაღაც ამ უკანასკნელის დასავლეთის (ელისენ-
თან) სახლვარი მდ. ყაფიჩაი იყო⁴⁶, რომელიც ჩამოუვლის სოფ-

⁴⁴ ე. ჯანაშვილი. „ძველი საქართველო“, ტ. II, 1913, 69.

⁴⁵ ვახუშტი ი. ალექსანდრე, გვ. 96.

⁴⁶ ე. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 77.

ლებს: ზარნა, მარსანი, ზაგავა და ლალალოსთან ალაზნის მიერთვის, ამიტომ სავარაუდოა, რომ მეცნიერების დაბლობი ნაზილი მოთავსებული იყო დაახლოებით მდინარეების ყატარში და წლის წლის შორის. წუქეთსვე გულისხმობდა, როგორც ვიცის მარტივებით: სამურის სათავეები მიმდგომი მხარეებით.

4. არჩილის ზემოხსენებულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამ არის ასახსნელი. როგორც ვიცით, მან სომხეთიდან მოსულ ბაგრატიონთა გვარის სამ ძმას შავიხი მისცა სამფლობელოდ „და დაემკვდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულაძის“. სოფ. გულგულა (თურდოს ხეობაზე) ტრადიციულად კახეთისა და ჰერეთის საზღვრად ითვლებოდა. ამიტომ ბუნებრივია ვავარაუდოთ, რომ ანონიმის მიხედვით ბაგრატიონიანებს არა მარტო შავიხი დაუმკვიდრებიათ, არამედ შიგნიკახეთიც (ალაზნის მარჯვენა სახაპირო) თურდოს ხევამდე, ე. ი. ქართული ჰერეთის ნაწილიც. მაგრამ რამდენადაც შიგნიკახეთისა და შაქს შორის კაბბეჩანის ვრცელი ტერიტორიაა გადაჭიმული, ამდენად საგულისხმოა, რომ წყაროს თვალსაზრისით კამბეჩანიც მათ მოღლობელობაში უნდა მოხვედრილიყო. ამგარად, ძველი ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორიოლოგით ამ სამ მთავარს ჩაეგნია შავიხი, კამბეჩანი და ველისციხე. რამდენადაც ისინი „დაემკვდრნეს მუნ ბრძანებითა არჩილისათა“, ცხადია, ვასალური ურთიერთობის საფუძველზე, ამზენად, ეს ტერიტორიაც არჩილის სამფლობელოდ ე. ი. ქართლის ტერიტორიად უნდა ვიგულისხმოთ⁴⁷.

მაგრამ შემონაზულია ერთი ღოკუმენტი, რომელიც დაცული იქვე X ს. ალვანთა ისტორიკოსს და რომელიც შედგენილი ყოფილა აბდ-ალ-მელიქის (685—705 წწ.) დროს, უფრო ზუსტად კი 699—705 წლებში, როდესაც ალვანეთში მთავრობდა შერო. ეს ღოკუმენტი არის, როგორც მას თვით ისტორიკოსი უწოდებს „ნუსხა ალვანეთის ნაბარათა სახელებისა რიგის მიხედვით, რომელიც ამირმემნ-ალ-მელიქის საკურაისმა წაიღო და სამეფო დივანში დადო“⁴⁸. აქ ჩამოთვლილი არიან ალვანეთის მთავარსა და სპასეტს გარდა სხვადასხვა მხარის (გვარის) მთავრები და მათ

⁴⁷ „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანის მიხედვით მოსული სამი ძმის სამფლობელო ტერიტორიის საზღვარია გალგალი (ზაფლავ). რომელიც ვ-მონორსეის მიხედვით შეიძლება ძეგამ-ჩაის ხალხალი იყოს (იხ. მისი, Causasica, IV, BSOAS, XV, P. 3, 506, შენ. 6). ძეგამის ხალხალი აქ, რა თქმა უნდა, გმორიცხულია და ქადაგ გულგულა უფრო სწორია.

⁴⁸ მოხე კალან კა ტერიტორია გვ. 348.

შორის „ვაპან ვარაზ-იოპანიანი მადანელთა ტომითან, დაუგორიტ-
რი რწმენისა, რომლებიც მოვიღენენ და დაესახლნენ კამბენანში“⁴⁹.

როგორც ვხდავთ, ამ დოკუმენტში, რომლიც უკანონობრივი
თითქოს ეჭვის შეტანა ძნელია, მიუხდავად იმისა, რამაც ეჭვის მისამართ
დელ აეტორთან არის შემონახული, კამბეჩიანი ალვანეთის მხარედ
იგულისხმება, თანაც ივარაუდება, რომ მადიანელთა გვარის მთავ-
რები დიდი ხანია, რაც აქ დასახლებულან. შესაძლებელია ალვა-
ნელი ისტორიკოსის ეს ცნობა უკავშირდებოდეს სუმბატ დავითის
ძის ჩვენებას იმის თაობაზე, რომ VI ს. ბოლოსთვის „ფილისტი-
მით“ მოსულ ოთხ ძმათაგან ორნი „სახელით ასამ და ვარაზვარდ,
წარვიდეს კამბეჩიანს... დაიპყრეს კამბეჩიანი... და ამა უამამდე შვილ-
ნი მათნი მთავრობენ შას შინა“⁵⁰. რა თქმა უნდა, ამ ორი ცნობის
შეთანხმება საგმაოდ ხელოვნური ჩანს, მაგრამ არ არის გამორიც-
ხული ისინი ერთი და იმავე ამბის გამოძახილს წარმოადგენდნენ.
ეს არც არის ამჟამად მთავარი. ჩვენთვის საინტერესოა VIII ს.
პირველი ნახვრის ვითარება: თუკი ქართველი ანონიმის ცნობით
ვივარაუდებთ, რომ კამბეჩიანი ქართლის ქვეყანაა, ალვანური, ჩვე-
ნი აზრით, ავთენტიკური წყაროდან გამომდინარეობს, რომ იგვე
მხარე ალვანეთისაა.

ამ ორი თითქოსდა ურთიერთგამომრიცხველი მოწმობის „შე-
თანხმება“ ვფიქრობთ, შესაძლებელია მხოლოდ იმგვარად, რომ ან
ჩვენ სწორად არ ვვესმის ქართული წყარო და ე. ი. კამბეჩიანი არ
ივარაუდება ქართლში, ანდა, თუკი VIII ს. დასაწყისში კამბეჩიანი
ალვანეთისაა, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ამავე საცეკვის 30—40-
იან წლებში, როდესაც სავარაუდოა აქ არჩილის მოლვაწეობა (მურ-
ვან ყრუს შემოსევის შემდეგ), ასეთივე ვითარებაა. სრულიად ადვი-
ლი წარმოსადგენია, იმ შეოთიან პერიოდში, რომელიც ქართლს და-
უდგა, მაინც დამაინც VIII ს. 30-იანი წლებიდან (მასლამას შემოსე-
ვა, მურვან ყრუ), როდესაც ხალხთან ერთად ფეოდალური სახლე-
ბიც ამოძრავდნენ, მცირე ხნის განმავლობაში ამა თუ იმ ქვეყნის
მფლობელი გვარი რამდენჯერმე შეცვლილიყო. ფეოდალური სახ-
ლების მოძრაობა საერთოდ დამახსიათებელია მთელი ფეოდალუ-
რი ეპოქისათვის, ხოლო, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ეს
უცილობელი ფაქტია, შორს რომ არ წავიდეთ, ზემომოტანილი

⁴⁹ იქვ. გვ. 349.

⁵⁰ ქრ. I, 373, შდრ. იქვ. გვ. 374.

ამონაშერები ანონიმის თხზულებიდან არჩილის კახეთ-ჰერიტაჟი
მოღვაწეობის პერიოდს რომ შეეხება, სრულიად საქართველო
დასასრულ უნდა შევნიშნოთ ადარნასე ბაგრატიონის შენახებ,
რომელმაც არჩილისაგან სამფლობელოდ მიიღო „შემცირებული“
არტანი. რომელი გვეყნები იყულისხმება აქ? საქმეში მცხოვრილი არტანი
არსებობს რამდენიმე შელავერი და არტანი: შელავერი — ქვემო
ქართლში, „ქართლის სომხითში“ (დღ. შელავერ-ჩაიშე); შელავე-
რი — ქვემო ქართლში, ზურტავეტში (დღ. ყარა-სუს ხეობა); შე-
ლავერის ხევი — სამცხეში, მტკვარს ერთვის დაღეშს ზემოთ⁵¹,
შელავერი — სამცხეში, ქვაბლიანის ხევში; არტანი (არტაანი) —
ზემო ქართლის მხარე, მტკვრს სათავეებში; არტანი — კახეთში,
ივრის ხეობის სათავეში, ართანა — კახეთში, ლოპოტსა და ლიდწევს
შორის. ამგვარად, ვარიანტები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს.
რამდენადაც „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანი არტანს
და შელავერს რუსთავსაც უმატებს, შესაძლებელია გვეციქრა,
რომ აქ ივრისხმება ივრის არტანი (ცხადია, გარევეული „გევი“
ცენტრით არტანი); ასევე სხვა მემთხვევაშიაც), რუსთავი კუხეთის
ნაწილითურთ და ქვემო ქართლის შელავერი, შელავერ ჩაიშე.
მაგრამ, ვეიქრიბთ, უპრიანეა არტაანი (კოლა-არტაანი) ვიგულის-
ხმოთ და სამცხის შელავერი.

5. მის შემდეგ, როდესაც ჩენოთვის სურათი ასე თუ ისე
გარევეულია, დავუბრუნდეთ არჩილის ერისთავთა სამფლობელო
ქვეყნების ნუსხას და შევუდაროთ იგი არაბულ წყაროებში დამოწ-
მებულ ქართლის შემსდგენელ ქვეყანათა სის. ფეტრიურად,
ჩენ გვეძლევა შესაძლებლობა კიდევ ერთხელ შევუდაროთ ერთმა-
ნეთს სხვადასხვა ეპოქის ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ვი-
თარება, კერძოდ კი VII ს. 50-იანი და VIII ს. 40-იანი წლების სა-
თანადო ვითარება.

სურათი ასეთია:

VII ს. 50-იანი წლები

- | | |
|-------------|---|
| 1. კლარჯეთი | { |
| 2. შავშეთი | |
| 3. ჭავახეთი | |
| 4. არტაანი | |
| 5. სამცხე | |

VIII ს. 40-იანი წლები

- | |
|--|
| 1. კლარჯეთი და ჭავახეთი. |
| 2. არტაანი და შელავერი
(და რუსთავი) |

⁵¹ ვ ა ხ უ შ რ ტ ი ი. ალექსანდრა, გვ. 128.

6. უნდა ქართლი (ძვ. სასპასპ.)
 7. კასპი?
 8. ქსნისხევი
 9. ბაზალეთი
 10. თრიალეთი
 11. ქვემო ქართლი (ძველი საპიტი-ახშო).
 12. კახეთი
 13. კუხეთი
 14. გარდაბანი
 15. ქასალი
 16. ხუნანი
- 3-4 ზენა ქოფენისტების
არს (ცერტ) ჟურნალი
„იმპერიალისტიკა“
5. თრიალეთი, ტაშირი
და აბოკი.
 6. კახეთი
 7. ჭუარი და ხერკი და ყო-
ველი მთიულეთი, მანვლი-
სის ჭევი და ტფილისი.
 8. კოტმანითგან ქურდის-
ხევამდე.

რა თქმა უნდა, არ ვართ დარწმუნებული, რომ ზემომოტანი-ლი ნუსხა ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციებისა და აღმი-ნისტრაციული ერთეულებისა ზუსტად ასახავს VIII ს. პირველი ნახევრის ვითარებას ან, საერთოდ, გვიან შედგენილ ამ სასა სა-თოვე დოკუმენტური შემთხვევაში პერნებს, როგორც „სომხეური გეოგრაფიის“ მონაცემებს, მაგრამ რომ X ს. ანონიმი ამ შემთხვევ-ვაშიც ძველ წყაროს ემყარება, რომელიც უნდა ასახავდეს სწო-რედ VIII ს. პირველი ნახევრის სინამდვილეს, ეს კი ჩვენთვის ცხადია.

მაგრამ აქ მთავარი ის კი არ არის, სწორად არის თუ არა გადა-
ცემული ამა თუ იმ ერისთავის სამფლობელოს კონკრეტული ფარგ-
ლები, არამედ საერთო ტენდენცია ისტორიულ-გეოგრაფიული
ცელის გადა-
ცემულებებისა, ანუ ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული გახვითა-
რებისა. ტენდენცია კი მიმართულია ისტორიულ-გეოგრაფიული და
აღმინისტრაციული ერთეულების გამსხვილებისაკენ, რაც ქართლის
ეკონომიკური და სოციალური აღმავალი განვითარების გარეგნე-
ლი გამოხატულება იყო. მართლაც, არაბული ნუსხის სამ ცალკეულ
აღმინისტრაციულ ერთეულს — კლარჯეთს, შავშეთს და ჭავახეთს,
არჩილის დროს ერთი საერისთავო — კლარჯეთი და ჭავახეთი უნ-
და შეესატყვისებოდეს, რომლის შემადგენელი ერთ-ერთი ისტო-
რიულ-გეოგრაფიული პროვინცია — კლარჯეთი შავშეთსაც უნდა
გულისხმობდეს. რომ ჩვენი ეს კარაუდი სწორი უნდა იყოს, ამას
ის მოწმობს, რომ ლეონტი მროველთან და ჭუანშერთან, თუ ყო-

ველოვის არა, მეტწილად კლარენსის ცნება ფულისხმის შეკვეთ-
საც.⁵²

არაბული ნესხის ორი თავისთავადი აღმინისტრუქტორი უჩინები
თეული — არტანი და სამცხე ანონიმის ნუსხაში ეჭირი შეკვეთის
თავითია თითქოს წარმოდგენილი, რომელიც არტანსა და შელა-
ვერს (და რუსთავს) მოიცავს, თუკი შელავერს ჩვენ იმდროინდელი
სამცხის ცენტრად ვიყულისხმებდით.⁵³

არაბული „არმაზის ქართლი“, ბაზალეთი და ქსნისხევი (და
კასპი?) VIII ს. პირველ ნახევარში აღარ არსებობენ როგორც ცალ-
შე ერთეულები, არამედ ორ საერისთავოდ არიან გაერთიანებული.
ეს არის „ზენა სოფელი, რომელ არს (შინა) ქართლი“⁵⁴.

ე. წ. „ზენა სოფელი“ კარგად შემოიფარგლება ქართულივე
წყაროების მიხედვით. ლეონტი მროველს ერთგან განმიარებული
აქვს ტერიტორია „ტფილისითვან და არაგვთვან და ვიდრე ტასისკა-
რამდე და ფანვარაძმდე, რომელ არს შიდა-ქართლი“⁵⁵. ცხადია,
რომ აქ იგულისხმება მხარე შემოსაზღვრული აღმოსავლეთიდან
აჩვენით და თბილისით, დასავლეთიდან — სურამის ქედით ტაშის-
კარამდე, ჩრდილოეთიდან — კავკასიონით, სამხრეთიდან — თორი-
თა და ჭავახეთით. ეს არის შიდა ქართლის ტერიტორია, რომელიც
მოიცავს თრიალეთსაც. მეორეგან იგივე ლეონტი მროველი წერს,
რომ უფლოსმა, რომელსაც „ეპყრა ქვეყანა არაგვთვან და ტფი-
ლისითვან ვიდრე ტასისკარაძმდე და ფანვარაძმდე“, ვ. ი. უფლოს-
მა, რომელსაც ეპყრა შიდა ქართლი, „არგვთვან და არმაზითვან
ვიდრე ტასისკარაძმდე უწოდა ამას ქვეყანასა ზენას-სოფლისა, რო-
მელსა აწ ჰქვან შიდა-ქართლი“⁵⁶. კონტექსტი, ვფიქრობთ, ისე კი არ
უნდა გავიგოთ, თითქოს ისტორიების აქ შიდა ქართლის სხვაგვარ
განასაზღვრას იძლევა ზემომოტანილი ამონაშერისაგან განსხვავებით
და, კერძოდ, შიდა ქართლის აღმოსავლეთ საზღვარს არმაზზე დებს

52 ქ' ც., I, გვ. 24, 42—43, 57 და სხვა.

53 სამცხის მიღროინდელ ცენტრად უფრო საგულვებელია არა ვაჟუშტისეუ-
ლი შელავრის ხევი, რომელიც სამცხე-ჭავახეთის საზღვართანა, მტკვრის მარცხენა
ნიანჩე, არამედ ხელვერისიანი რუების „შოლავერი“-აბასთუმნის შესაბა-
კა“ და ქვაბლიანის ხევის შესაყართან, სამცხის ცნობილი ცენტრების (ჩორჩანი,
ზანვი, „ოქროსციხე“) მახლობლად.

54 „(შინა) ქართლი“: კონიექტურისათვის იხ. ს. ქანაშვილი, II,
გვ. 283.

55 ქ' ც., I, გვ. 24.

56 ქ' ც., გვ. 1).

და არა თბილისზე⁵⁷, არამედ ისე, რომ არმაზი ზენა თაღვალის აღმა-
საელეთი საზღვარია და არა შიდა ქართლისა და შიდა ქართლი
და ზენა სოფელი კი არ ემოხვევა ერთმანეთს, უკიდურეს გადა
მოიცავს მეორეს.

ამგვარად ჩვენი აზრი ასეთია: ლეონტი მროველის დროს ში-
და ქართლი მოიცავდა ტერიტორიას თბილისიდან და არაგვიდან
ტაშისკარამდე (და სურამის ქედამჟე) და ფანავრიდან (ე. ი. წალ-
კის ჩითვლით) კავკასიონამდე. წალკასა და თბილისს შორის, ე. ი.
შიდა ქართლის სამხრეთი საზღვარი, ბუნებრივია, თრიალეთის
ქედზე უნდა გასულიყო. ისტორიულის მიხედვით ასეთი იყო შიდა
ქართლი არა მარტო მის დროს (XI ს.), არამედ თითქოს უკვე
ფარნავაზის დროს, რამდენადაც მეფის სპასპეტი სწორედ ამგვა-
რად შემოფარგლებლ ტერიტორიას მართავდა. მაგრამ უფრო ძვე-
ლად, ეთნარქების დროს, სხვაგვარი ვითარება ყოფილა და თუმცა
უფლოსი იგივე ტერიტორიას ფლობდა, მაგრამ მანვე უწოდა ტე-
რიტორიას არაგვიდან და არმაზიდან ტაშისკარამდე (და სურამის
ქედამდე) და თრიალეთის ქედიდან კავკასიონამდე „ზენა სოფე-
ლი“, რომელიც ამჟამად მალიანად შიდა ქართლშია („აწ პევან
შიდა-ქართლი“). ამგვარად, „ზენა სოფლის“ ცნებიდან არა მარტო
თბილისია (მისი „შესაელით“) გამოსარიცხი, არამედ ჩვენი აზრით,
თრიალეთიც. და რომ ჩვენი აზრი სწორია ეს მტკიცდება, კერ ერ-
თი, ლეონტი მროველისეული განსაზღვრით „ზენა სოფლისა“, გან-
სხვავებით შიდა ქართლისაგან: კერძოდ ამ უკანასკნელის სამხრეთ-
დასაელეთი საზღვარი ტასისკარი და ფარავნის ტბა, ხოლო პირ-
ველისა მხოლოდ ტასისკარი; და მეორე, იმით, რომ ანონიმის
მოწმობით „ზენა სოფლის“ ცნებიდან თრიალეთი გამოსარიცხია,
რადგან მთელი „ზენა სოფელი“ ორმა ერისთავმა დაიმკიდრა,
ხოლო თრიალეთი სხვისი წილია. მართლაც, არაბული ნუსხის
თრიალეთი და ქვემო ქართლი (ძვ. საპიტაიაშო) ახლა (VIII ს.)
დალავ ერთი ერისთავის საგამგეოა, რომლის ხელისუფლება მეფე-
რად თითქოს არ ვრცელდება მანგლისის ხევზე (მაინც დამარც-
ლებელის ზემო წელი); სამაგიეროდ მის საერისთავოში შემოდის
უკვე აბოცი (ახურიანის ზემო წელი).

მანგლისის ხევი შედის მეშვიდე ერისთავის საგამგეოში, რო-

⁵⁷ ასე ფიქრობს ს. განაშია (იხ. მისი, შრომები, II, გვ. 285), რომელსაც სპეცია-
ლურიანიშრომი აქვს მიძღვნილი „ზენა სოფლის“ რტერპრეტაციისაღმი (იქვე, 282—
305).

მელიც მოიცავს კუხეთის ნაწილს (ჭუარი და ხერკე) „ყოველი მთიულეთითურთ“⁵⁸. თუმცა კუხეთის მეორე ნაწილი (რეზენავი/თავის „შესავალით“) სხვა ერისთავებ ერგო წილად, ექვემდებული ჯვარის და ხერკის პატრონს თბილისი მიუღია, ცეკვის არა მეტად უძველეს უშესავალით“. ჩვენი აზრით, ამავე ერისთავების კუთვნილი უნდა ყოფილიყო არაბული ნუსხის ვარდაბანი, რამდენადაც ჩვენი ლოკალიზაციით (იხ. ზემოთ I, 3) ეს უკანასკნელი აღვეთის ქვემო წელის ველს გულისხმობს და ამდენად, შესაძლებელია, ამ დროს „მანგლისის ხევში“ შესულიყო.

ღამასარული, არაბული ნუსხის ქაბალი და ხუნანი გაერთიანებულია საერისთავოში „კორმანითვან ქურდისკევამდე“. ამვერად, დაახლოებით კელავ აღდგა ვახტანგ გორგასლისეული „ხუხანის საერისთავო“. როგორც კედელათ, უცელელად რჩება თითქოს ორივე ნუსხის კახეთი. მაგრამ ესეც, რა თქმა უნდა, პირობითად უნდა გვაიგოთ, რადგან ჩვენ სხვაგან და სხვა წყაროების მიხედვით შევეცადეთ გავერკვეთა, რომ სწორედ კახეთს ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით უძველესი დროიდანვე ახალიათებს ტენდენცია გაფართოებისა, მაინცდამაინც პერეთის ხარჯზე, ვიდრე ეს უკანასკნელი სრულიად არ ქრება, როგორც გარევეული ძვეუნის აღმინშენელი ცოცხალი სახელი⁵⁹.

ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, შესაძლებელია გავიზიაროთ მოსაზრება, რომ სხვადასხვა ეპოქის ამ ორი ნუსხის შეთანაბირება თვალწათლივ გვიჩერებს ცვლილებებს ქართლის ისტორიულ გეოგრაფიაში. თანაც ეს ცვლილებები გარკვეული მიმართულებით ვთარდება, კერძოდ, ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების თუ აღმინსტრაციულ-პოლიტიკური ერთეულების გამსხვილებისა და გაფართოების მიმართულებით. მართლაც, გარდა იმისა, რომ არაბული ნუსხის თექვსმეტ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციის (და აღმინსტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულს) შეესატყვი-

⁵⁸ შდრ. გვანდელი: „რუსთველი (resp. კუხეთისა.—დ. მ.) და შვედთა შთეულეთთა პატრონი“ (Известия Кавказского отдела Императорского Московского Археологического общества, вып. III, 1913, с. 149—150); ანდა „ერევანი (resp. კუხეთი.—დ. მ.)...მრავლითა მთიულეთითა“ (ქუა, II, გვ. 55). არჩევის ამ ერისთავის „ყოველსა მთიულეთში“ უნდა ვივარიულოთ არაბული ნუსხის დარღვევანი ჭირებითურთ.

⁵⁹ დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. კახეთ-ქერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საქონები XII—XIII სს-ში, გვ. 111 და შემდ. შდრ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. უზარმა, გვ. 5—6.

სება არჩილის დროინდელი რვა ერთეული და ე. რ. საშუალოდ
პროვინციათა მოცულობა ორჯერ გაიზარდა, გარდა მესა VIII ს.
პირველ ნახევარში ქართლში ირიცხება აბოცი, წუქერში შრომელი
კავკასიის მთიანეთითურთ, რაც ნაწილობრივ უნდა მისუმაში მყენელი
ბოდეს არაბული ნუსხის დიდობს, და სრულიად ახალი პროვინ-
ცია — შაქი||შავიხი.

წუქერთის ტერიტორიული მოცულობის შესახებ უკვე იყო
აღნიშნული. აბოცი იგვევე გვანდელი ყაიყულია მდ. არფა-ჩაის
(ახორიანის) სათავეებში⁶⁰. რაც შეეხება შაქი||შავიხის, აქ ორიოდე
სიტყვა საოქმელი.

6. გვიანდელი (XVIII ს.) შაქის სახანო შემდეგი პროვინციე-
ბისაგან შედგებოდა: საკუთრივ შაქი, კაბალა, ალდაში და არაში⁶¹,
ე. ი. XIX ს. აღმინისტრაციული დანაწილების შინედვით მოცავ-
და ნუხისა და ალდაშის მაზრებს. მართლაც, ბალაზორის შინედ-
ვით. უკვე VII ს-ში არსებობდა ცალკე პროვინცია შაქი, რომელიც
გამოყოფილი იყო კაბალასაგან. ასევეა, როგორც ეციოთ, „სომხურ
გეოგრაფიაში“. ამგერად, საკუთრივ შაქი მოთავსებული იყო კა-
ბალასა, ქართულ ჰერეთს (საკუთრივ ჰერეთს) და კამბეჩის შორის.
ჰერეთისაგან (წუქერთისაგან) იგი გამოყოფილი იყო გიშის წყლით
(ვახუშტის რუკით. დღევანდელი: მდ. კიში და მდ. აგრი-ჩაის ქვე-
მო წელი ალაზანიძე); კამბეჩისაგან, ალბათ, ალაზნის ქვეშო
წელით მტკვრამდე. კაბალასაგან, ალბათ, ტურიან-ჩაის მარჯვენა
სათავით, ხოლო მის სამხრეთით მდებარე არაშის (ვახუშტისეული
არეშის) პროვინციიდან — განივი ქედით, რომელიც ალაზანსა და
ტურიან-ჩაის შორისაა გადაჭიმული (ხუთერსიანი რუკის „კონკა-
შინის ქედი“); ჩრდილოეთიდან მის სამხლერავდა კავკასიონი⁶².

საინტერესოა როდის უნდა შემოსულიყო შაქი ქართლის სა-
ხელმწიფოს ფარგლებში. როგორც ვაციო, VII ს. 50-იან წლებში
იგი ჯერ კუდევ ალვანური ქვეყანაა (ჩ. ზემოთ). ასევე რჩება იგი
მთელი ამ საუკუნის მეორე ნახევარში. რამდენადაც ეს შეიძლება
ვიფიქროთ კალანკატუელის ცნობათა მიხედვით. ალვანელი ტუ-
რიკისი კი აღნიშნავს, რომ VII ს. 60-იან წლებში ალვანეთის კათა-
ლიკოსად არჩეული ელიაზარი შაქის საეპისკოპოსოდან იყო ისევე,

⁶⁰ ვ. ხ. უ. ტ. რ. ა. ალწერა. გვ. 38.

⁶¹ გულერშეტელტს მოგზაურობა საქართველოში. გამოსცა გ. გალაშვილ-
შა, 1964, გვ. 115 და 195.

⁶² Ф. В. Минорский. История Ширвана и Дербента X—XI веков, 1969. с. 116, карты 1 и 2.

როგორც ამავე საუკუნის 80-იან წლებში ოჩეული მეორე და —
ლიკოსი მიქაელი⁶³, თუმცა არ არის ვამორიცხული ისეთი კოდარე-
ბაც, რომ პოლიტიკურად რომელიმე ქვეყანა ერთ სახურავში მიე-
შედიოდეს, ხოლო ეპარქიალურად — მეორეში. მაგრამ ამ წესი და
ლანკატუელის ცნობაში მიქაელ ალვანთა კათალიკოსის შესახებ
უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ მის დროს ქართლის კათალი-
კოსი თაღილე ცალილის ალვანთის მთავარი ქალკედონ-ტობაზე
მოქმიოს, რაც იწვევს მწვევე რეაქციას ალვანთა საბრძანელო-
ების მხრივ. ბუნებრივია, ქართლის მესვეურთა ეს მნიშვნელოვანი
აქცია განვიხილოთ, როგორც გამოვლინება და გაგრძელება იმ მჩა-
ვალსაუკუნოვნი, შეიძლება ათევს, ტრადიციული ფეტიური პო-
ლიტიკისა, რომლითაც ნაისიათდება ქართლის ურთიერთობა ალ-
ვანთთან. სწორედ ამ უკანასკნელის შედეგი იყო. რომ, როგორც
ჩანს, VIII ს. პირველ ნახევრიში ე. რ. თვით აჩინლის მოლვაწეო-
ბის დროს და ალბათ მისი ინიციატივით, შაქი პოლიტიკურად ქარ-
თლის ქვეყანათა რიგში ჩაირიცხა.

უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით, ქართლის „ქვეყანათა“
რიცხვში შემოდის უკვე ტაოც. ან ყოველ შემთხვევაში მისი ჩრდი-
ლო-აღმოსავლეთი ნაწილი, ანუ ამიერ-ტაო. ამ ფრიად სინტერე-
სო ჩვენებას იგივე ანონიმი იძლევა: „მასვე უაშტ, პატიახში ვინმე
არა შეეშუნეს კლასების სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანი. და
შეიძინეს კლდე ერთი ტაოს რომელსა ერქვა კალმახი, და აღა-
შენებ ციხედად“⁶⁴. მართალია, აյ აჩსად არ არის პირდაპირ ნათქვამი,
რომ ტაო ქართლში იჩიცხება, მაგრამ რომ ეს ასე წარმოედგინა
შემატიანებს, ამას უნდა მოწმობდეს თვით ფაქტი ტაოში „ვანმე
პირიახშთა“ დამკვიდრების ხსენებისა მის მიერ და აგრეთვე ის
უკველი გარემოება. რომ VIII ს. მეორე ნახევრიდან ტაოში იწ-
ყება ინტენსიური ქართული აღმშენებლობა (იხ. ქვემო).

7. ქართველ ანონიმურ მემატიანეს, ჭუაბშერის პირველ წყა-
როს, მოეპიცება მცირეოდენი ცნობები ჩვენთვის სინტერესო
ეპოქის დასავლეთი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შე-
სახებაც.

⁶³ მ თ ს ე კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ლ ი. 244, 359—360. სინტერესო, რომ მიქა-
ელის თანამედროვე ქართლის კათალიკოსი თაღილე „თაღელეს“ სახით იხსენიება
„შოქუევად ქართლისახს“ პატიანები, იხ. OP, 727.

⁶⁴ ქ ც, I, გვ. 244. კალმახის ციხის ლოკალიზაციისათვის იხ. ე ქ. თ ა ყ ა-
რ ც ვ ი ლ ი. არქეოლოგიური ექსპედიცია კლასიკის და ჩანგლში 1907 წელს.
ჰარიზა, 1938, გვ. 54—66; ავრეთვე იხ. ქართველი ხერითმოძღვრების აღმომი,
შეღვეწილი პროფ. ექ. თავათშეილის შეირ, ტფლისი, 1924, ტაბ. 15—19.

მისი კონცეფციით, დასავლეთ საქართველო, ანუ ეგრისი, აფშავეთის გამოკლებით, ქართლს წარმოადგენს, ანუ უკათ, დასავლეთი საქართველოს შემადგენელი მხარეები არიან უზენაში მძღვანელი ყანანი ქართლისანი⁶⁵. როგორც ვიცით ასეთი კოშტონტჭიშ ამის უკავებობა ახასიათებს „ქართლის ცხოვრებას“ და ამას გარკვეული საფუძველიც უნდა ჰქონდეს. ანონიმის მიხედვით, „ქართლის მეფების“ მირს და არჩილს, რომლებიც მურვან ყრუს შემოსევისას დასავლეთ საქართველოს აფარებენ თავს, ამ უკანასკნელზე სუვარენული უფლებები აქვთ.

ჩეენ აღნიშნეთ, რომ ქართველი მემატიანების არჩილ „მეფე“, ფაქტორად, კახეთ-ჰერეთის მთავარი უნდა ყოფილიყო⁶⁶, რომლის უფლებების გვერცელება ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ საეჭვოა, თუმცა არც ას არის გამორჩიული, რომ გარკვეულ პერიოდში იგი ქართლის ერისმთავარიც ყოფილიყო⁶⁷. მით უფრო ნაკლებ დასაჯერებელია არჩილის (და მირის) სუვერენული უფლებები დასავლეთ საქართველოზე, ეგრისზე. ჩეენ რომ ვიცოდეთ დანამდგილებით თუ რა სოციალური და პოლიტიკური დაკვეთით დაიწერა ანონიმის თხზულება, უკეთ, მისი შეარო, მაშინ, ეგების უდიოლი ყოფილიყო მსჯელობა. რამდენადაც ეს ექსცერპტი, ფაქტორად წარმოადგენს არჩილის მოლვაწეობის ისტორიას, შესაძლებელია გვეფირა, რომ იგი შეიქმნა არჩილის კარზე, ანუ კახელ ხოსროვანთა“ წრეში; რომ ეს თხზულება, მართლაც კახეთში შეიძლება შეექნილიყო, ამას ისიც მიგვანიშნება, რომ კახეთი-ჰერეთის შესახები ამბები გაცილებით უფრო დაშვრილებით და საქმის ცოდნითაა გადმოცემული. კახელი ხოსროვანები კი, როგორც ვახტანგ გორგაშალის უშუალო ჩამომავლები, თავს, როგორც ჩანს, ქართლის სამეფოს კანონიერ მფლობელებად თვლილნენ და რადგან ვახტანგის დროს ეგრისიც ქართლთან იყო გაერთიანებული, ამდენად შესაძლებელია ეგრისის მფლობელობის „კანონიერი“ პრეტენზიებიც ჰქონდათ. საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული ისიც, თუ დავუშვებთ, რომ VIII ს. პირველ ნახევარში, როდესაც არაბებს მთელი დასავლეთი საქართველო ეჭირათ (იხ. ზემოთ § 1), იგი, ქართლის ერისმთავრის ხელისუფლებისთვის დაუქვემდებარებინათ და ამით შეექმნათ საფუძველი მათი პრეტენზიებისა ეგრის-

⁶⁵ ქ' ცა, 1. გვ. 241.

⁶⁶ შდრ. გ. ჩ უ ბ ი ა შ ვ ი ლ ი. არქიტექტურა ქართველი, T6., 1959, გვ. 19.

⁶⁷ დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. უფრმა, გვ. 95—99.

ზე. რომ ეს პრეტენზიები რეალური უნდა ყოფილიყო — მას თანხმოვა ლების ერთი ადგილიც მოწმობს: სიკვდილის წინ მიჩრ უკავება არჩილს: „მამაცა ჩეუნი მოუყდა შფოთსა ამას შინა უჯ, ზურნერუკ ვეცათ იგი მცხეთას, წარსცენ ძუალნი მისნი და დაჭვულენ კუყილუკ სა ქუთათისსა, რათა იპოვოს იგი საწამებლად სამცუდოსა ჩეუნისა“⁶⁸. ე. ი. ქუთათისის საყდარი, სადაც სტეფანოშ ქართლის ერის-მთავრის საფლავი იქნება, თითქოს უნდა გახდეს სიმბოლო ქართლის მმართველთა ახალი რეზიდენციისა. ეს ტენდენცია სახელმწიფოს კულტურულ-პოლიტიკური ცენტრის დასავლეთში, კერძოდ კი ქუთათისში გადატანისა, მართლაც, შესაძლებელია უკვე მაშინ არ-სებულიყო, რამდენადაც VIII ს. 40-იანი წლებიდან, როგორც ვა-კით, თბილისი არაბი ამირის ადგილსამყოფელი ხდება.

ასე თუ ისე, ქართლის ერისმთავართა გადასვლა დასავლეთ საქართველოში, შეიძლება სრულიად რეალური ფაქტი იყოს (ცოტა უფრო ვვინან ას მოიქცევა ნერსე ქართლის ერისმთავარი). რა ვითარებაა ამ დროს აქ ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით? ანონიმის სიტყვით, დასავლეთ საქართველო შემდეგი „ქვეყნება-საგან“ შედგება: საკუთრივ ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და ვურია⁶⁹. როგორც ეხედავთ, აქაც გარკვეული ცვლილებები ჩანს.

ჯერ ერთი, თაკვერი, ჩევნი აზრით, აქ პირველ რიგში, კვლავ რაჭას გულისხმობს, მაგრამ, ალბათ, უკვე ლეჩებუმიანად. სეანეთის, საფიქრებელია, დღვევანდელი სვანეთის ფარგლები აქვს. ახალი ერთეულია ვურია, რომელიც, როგორც გვვინია ძველი ლაზიეს (საკუთრივ ლაზეთის) მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამ ახალი ერთეულის და ახალი სახელწოდების გაჩენა, შესაძლებელია, სხვა მოვლენასთან იყოს დაკავშირებული.

არგვეთის საზღვრების დადგენაზე გვეხმარება დავით და კონსტანტინე არგვეთის მთავრების მარტვილობის ტექსტი. როგორც ცნობილია, ეს ორი მოწამე სწორედ მურვან ყრუს მიერ დას. საქართველოს დალაშქვრის დროს დაიღუბა. მარტვილობის ტექსტი გვაძლევს ზოგიერთ ისტორიულ და გეოგრაფიულ რეალიას, რომლის მიხედვით შესაძლებელია არგვეთის ფარგლებზე მსჯელობა. ასე მაგალითად, მურვან ყრუ უბრძანებს თავის მსახურებს წამების შემდეგ დავით და კონსტანტინე „შთაყარნენ იგინი მდინარესა მას

⁶⁸ ქ' ცა, I, გვ. 241.

⁶⁹ ქ' ცა, I, გვ. 241.

ფასტონია, რომელ არს ერთა ქართულითა რიონი“⁷⁰. რადგან ამავ ვი „ქუეყანსა არგვეთისასა“ ხდება და მოწამეებს რიონში დაორნიბას უქადიან, პუნქტრიცია ვიფიქროთ, რომ არგვეთის კერძო რიონამდე იგულისხმება. ამასვე უნდა აღსატურებულ სისტემას უქმნას რომ თრივე მარტვილი დამარხეს „თავსა ზედა კლდისასა, დაგილსა და შის, რომელსა პრევიან შეალ წითელ“⁷¹. ეს აღვილი არის დღევანდელი მოწამეთა⁷², რომელიც მდენად აგრეთვე არგვეთის ტერიტორიაზე ყოფილა. როგორც ჩანს, სწორედ ამ დროის არგვეთის გულისხმობდა ვახუშტი, როდესაც მისი ძირითადი ტერიტორიის აღწერასთან ერთად აღნიშნავდა, რომ საჩხეიძო, რომელიც ცეინ საუკუნეების არგვეთის სამხრეთით მდებარეობდა და მოიცავდა ტერიტორიის მოთავსებულს რიონ-ყვირილა-ძირულა-ჩხერმელას და ფერსათის მთას შორის, ძველად არგვეთის მაცკოთნებოდა („პირველად არგვეთადვი წოდებული“)⁷³; ან რომ აგრეთვე „ოკრიბა-რიონის აღმოსავლეთი პირველად იყო არგვეთისა“⁷⁴.

რაც შევხება ეგრისს (საკუთრევ ეგრის) მის შესახებაც ანონიმს (თუ მის წყაროს) დაცული იქვე საინტერესო ცნობა, კერძოდ, იგი იცნობს „ეგრისს ვიღრე შორაპნამდე“⁷⁵. ასეთი ლოკალიზაცია ეგრისისა თითქოს უნდა უარყოფდეს ვარაუდს, რომლის პინედვით რიონია არგვეთის დაბავლეთი საზღვარი და ე. ი. შესაბამისად ეგრისის აღმოსავლეთი მიზნა. მაგრამ, ვფრქრობთ, აქ წინა-აღმდევობამთან არ უნდა გვქონდეს საქმე, რადგან სავარაუდოა, შორაპნი ამ კონტექსტში პუნქტად კი არ იგულისხმება, არამედ არგვეთის ერთ-ერთ ცენტრად (ცვების, მთლიანად არგვეთის ცენტრად?) ჰავისი „შესავალი ქვეყნით“, რომელიც რიონამდე უშევდა⁷⁶.

კიდევ მეტი. „ეგრისი ვიღრე შორაპნამდე“ ამ დროს საფიქრებელია უკვე ანაქრონიზმია და მხოლოდ ძველი ტრადიციის ფორ-

⁷⁰ შემება და ლუაწლი შემდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კონსტანტინესი, იხ. გ. ს. ა ბ ი ნ ი ნ ი. „საქართველოს სამოთხე“, 1882, გვ. 328.

⁷¹ იქვე, გვ. 330.

⁷² კ ა ხ შ ტ ი. აღწერა, გვ. 151.

⁷³ იქვე, გვ. 161.

⁷⁴ იქვე, გვ. 165; გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. მტრიქრი ხანის შორაპნის საერთო თაობის საკითხებისთვის. საქართველოს მტრიქრი გეოგრაფიის კრებული, ტ. II, 1964, გვ. 78.

⁷⁵ ქ ც ი, I, გვ. 243.

⁷⁶ შედ. გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. იქვე, გვ. 94, ავტორის პრივატ ხანის წყლის ხელს შორაპნის საერთო თაობის შედებითადა.

ჰალურ გამოძახილს წარმოადგენს. ფაქტიურად კი სხვა კონტენტი ბაა. ამაზე უნდა მოგვითხრობდეს დავით და კონსტანტინეს მარტინილობის ერთი ჩვენება: ორგვეთის დარბევასა და უსინამდებარების შინების შემდეგ, მურვან ყრუ „თვით აღიძრა და ცისაძირებელი ლაქსა ჭიხანქვიჯისა ქუცყანასა სამეგრელოსა სანახებსა ცყონდებისასა... რამეთუ იყო ბანაკი მათი ცხენის წყლიდგან, ვიდრე აფხაზეთამდე და გამოიხუნა ციხენი და ქალაქი და აღაოხრნა და უვალ და უკაცრ პყო ქუცყანა მეგრელთა და აფხაზთა⁷⁷. პოლიტიკური სიტუაცია VIII ს. პირველ ნახევრისათვის ამ ცნობაში სწორია არის გადმოცემული: აფხაზებს ჯერ ას შეუერთებიათ ვგრისი და მიტომ ტერმინოლოგიაც დიფერენცირებულია. კიდევ უფრო საინტერესოა აქ ის, რომ გამოთქმა „ცხენის წყლიდგან, ვიდრე აფხაზეთამდე... ქუცყანა მეგრელთა“ — იმას უნდა მიუთიოყებდეს, რომ საკუთრივ სამეგრელო VIII ს. 30-იან წლებში უკვე ამ ფარგლებში იყო, კერძოდ, მისი აღმოსავლეთი საზღვარი ცხენისწყალია, ხოლო დასავლეთი — აფხაზეთი, უფრო ზუსტად კი „ზღვდე იგი საზღვარი კლისურისა“, ანუ „კლისურა, რომელი მას უამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა (resp. აფხაზეთისა) და საქართველოსა⁷⁸. თუ ჩვენებური ინტერპრეტაცია მარტინილობის ამ ტექსტისა სწორია, მაშინ, ბუნებრივა, ვივარაულოთ, რომ ისევე, როგორც კელასურს იქცო „ქუცყანა აფხაზთა“ მდებარეობს, ცხენისწყალს აქეთაც რაღაც სხვა „ქუცყანა“ უნდა იყოს და კერძოდ, ჩვენი აზრით, „ქუცყანა ქართულთა“. თუ ვივარაულებთ, რომ „ეგრისი ვიღრე შორაპნამდე“ ამ დროს ჯერ კიდევ რეალური პოლიტიკური ცნებაა, მაშინ მარტინილობის ჩვენება, ვფიქრობთ. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით უნდა გავიგოთ, ე. ი. რომ თუმცა პოლიტიკური ეგრისი კვლავ მდ. რიონამდე ვრცელდება, მაგრამ ეთნოგრაფიული ეგრისი — „ქუცყანა მეგრელთა“ მხოლოდ ცხენისწყლამდე მოდის, მაგრამ არაფერი ას უშლის კონტექსტი პოლიტიკური თვალსაზრისითაც ნიშანდობლივი იყოს და ე. ი. რონცხენისწყლის შორისი ტერიტორია ეგრისიდან პოლიტიკურადაც გამოვნულად ვიგულოთ. ეს არის ტერიტორია ვაკე იმერეთისა და ოკრიბისა. ფრიად საინტერესოა, რომ სწორედ ამ ვაკე იმერეთის წესახებ აღნიშნავს ვახუშტი, რომ „პირველად იყო საერისთო ცხევოვნისა და შემდგომად იქნა ქუთათისისა, ოკრიბისა თანა“⁷⁹.

⁷⁷ წამ-ბა და ლუაწლი წმიდათა, გვ. 330.

⁷⁸ ქავა, I, გვ. 235.

⁷⁹ ვახ უ შ რ ი. აღწერა, გვ. 164 და 165.

უფიქრობთ, რომ ვახუშტის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ციტატა ამოქმებს ჩევნს ზემომოტანილ მოსახრებას. ძნელი კრისტენი ფქმიერ როდის არსებობდა ასეთი „ქუთაისის საერისთავო“⁸⁰ უფრო სავარაუდოა, სწორედ ჩევნთვის სანტიტერის დოკუმენტის უფრო სავარაუდოა, სწორედ ჩევნთვის სანტიტერის დოკუმენტის გახუშტი ქუთაისის საერისთავოს წარმოქმნას ლეონ II-ს რეფორმატორულ საქმიანობას მიაწერს და ე. ი. VIII ს. ბოლოს⁸¹. მანც დამაინც საერისთავოს, როგორც ასეთის, შექმნა, შესაძლებელია, მართლაც, ლეონის საქმე იყოს, მაგრამ რომ მას ადრევე აქ რაღაც გარკვეული ერთეული წინ უსწრებდა, ეს კი, თითქოს უმჭველია. ამასთან, ეს ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული ეთნოგრაფიის თვალსაზრისით უნდა ყოფილყო არა მეგრული, არამედ უკვე გაქირთებული, რასაც თვით საერისთავოს ჩამოყალიბებაც გვაგრძლისხმებინებს (იხ. ქვემოთ).

ამგვარად, ფაქტურად, ჩევნ უკვე VIII ს. პირველ ნახევარში ვადასტურებთ მერმინდელი იმერეთის, როგორც ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ერთეულს ჩამოყალიბებას.

თუ ამ თვალსაზრისს გვიზიარებთ და ვივარაულებთ, რომ VIII ს. პირველი ნახევარი არის გარკვეული ეტაპი დას. საქართველოს ტერიტორიაზე აღმ. ქართული ეთნიკური ელემენტის დამკვიდრებისა, მაშინ, ევების, არც ის იყოს უსაფუძვლო, რომ სწორედ ამ დროს ტერმინ „გურიის“ გაჩენა დავკავშიროთ აქაც გარკვეული ეთნო-კულტურული განვითარების საფეხურს. აღმოსავლეურ ქართული ეთნიკური ელემენტის დიფუზია დასავლეთით (ისევ როგორც აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით) უძველესი დროიდანვე იწყება და, ყოველ შემთხვევაში, ჩევნთვის საინტერესო პერიოდისათვის მას ათასწლოვანი ისტორია აქვს. მაგრამ მანც VIII ს. პირველი ნახევარი, როგორც ჩანს, ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, როდესაც დას. საქართველოში საბოლოოდ ყალიბდებიან ის ეთნოგრაფიული ერთეულები, რომლებიც დღემდე იმერეთისა და გურიის სახელწოდებით არიან ცნობილი.

დას. საქართველოში კადეც ერთი ერთეული მოიხსენიება ამ ხანებისათვის. ეს არის აფხაზეთი. ანონიმის მიხედვით, თუკი აქამდე აფხაზეთის მმართველი „ერისთავი კეისრისა ლეონ“⁸² უშუალოდ ბიზანტიის იმპერატორის ვასალი იყო, ამიერიდან იყი არჩილის ქვეშეერდომი ხდება⁸³. მისი სამფლობელო გადაუიმული იყო

⁸⁰ ვახუშტი საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 271.

⁸¹ ქართველი, 1, გვ. 235.

⁸² იქვე, გვ. 242.

„კლისურიდგან ვიდრე მდინარედმდე დიდად ხაზარეთად, სადა დასწუდების წუერი კავკასიისა ამის“⁸³. ფაქტიურად, ყოველი მთავრის არჩილისადმი ნებაყოფლობითი დაქვემდებარებული, სტრიქონული მევატიანის მიერ, შესაძლებელია იმის გამომავისი იყოს, რომ ამიერიდან ამ დინასტების პოლიტიკა და კულტურული ორიენტაცია მიმართული იქამდე, ძირითადად, ბიზანტიისაკენ არსებითად შეიცვალა; მათ თავისი ქვეყნის მომავალი საერთო ქართულ პოლიტიკას, ანუ ობიექტურად „საქართველოს“ მშენებლობის საქმეს დაუკავშირეს.

8. ანონიმის ტექსტი დას. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის კიდევ ერთ ფრიად მნიშვნელოვან ჩვენებას იძლევა. ტერძოდ, აშკარა ხდება VIII ს. პირველ ნახევარში ქუთაისის, როგორც პოლიტიკური და კულტურული ცენტრს აღზევება. მოვაყვანთ სათანადო ამონაშერებს. ანკოფიაში მყოფი არჩილი არა ბებთან ბრძოლის წინ აგონებს მირს, რომ ქართლიდან წამოლებულ საგანძურთა შორის „ორნი იგი გვრგვნი, ოქროსა და ანთრაჭისანი; ერთი მირიან მეფისა და ერთი ვახტანგისი... შენ და მამამან ჩუენმან დასდევით იგი ქუთათისს და ციხე-გოჯს“⁸⁴. არაბებთან ბრძოლის შემდეგ არჩილი ეუბნება ლეონ აფხაზთა მთავარს: „აწ უწყის შენება ადვილთა ჩვენთა კლასურითვან აღმართ (ე. ი. აღმოსავლეთით.— დ. მ.). წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათისს“⁸⁵. შესამე ჩვენება ზემოთ ერთხელ უკვე იყო მოყვანილი: სიკვდილის წინ მირი უბრძანებს თავის ძმას, არჩილს, რომ მან მამის ნეშტი დაასაფლაოს „საყდარსა ქუთათისსა, რათა იპოვოს იგი საწამებლად სამყვდროსა ჩუენისა“⁸⁶. ეჭვი არ არის, რომ კონტექსტით საუპარია დას. საქართველოს ორ უმნიშვნელოვანეს კულტურულ-პოლიტიკურ ცენტრზე: ციხე-გოჯზე, ანუ ბიზანტიური წყაროების აჩქეობოლისზე, რომელიც აღრე ეგრისის სამეფოს ცენტრს წარმოადგენდა, ამეამად კი, როგორც ჩანს, საკუთრივ ეგრისის ცენტრია და ქუთათისზე, შესაძლებელია, ძველ კოლხეთის

⁸³ იქვე: როგორც აღნიშნავენ აფხაზეთის W საზღვარი შეცდიშოთა ნაჩვენები და იგი ამ დროს აღმათ ნიკორსიაზე უნდა გასულიყო. ზ. აჩაბაძის ვარაუდით მე დროს შესაძლებელია იფხაზეთში შედღოდა მისამინეოსი. (З. В. Ачаба-ბадзе. Из истории средневековой Абхазии, 1959, с. 69.).

⁸⁴ ქ'ცა, I, გვ. 236.

⁸⁵ იქვე, გვ. 242.

⁸⁶ იქვე, გვ. 241.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქალაქზე⁸⁷, ეგრისის უძლიერესი და
ნომიკური რაიონის, მოხერისის ცენტრზე, რომელიც VIII—IX, 300—
400 წარევარში მეტოქეობას უწევს ციხე-გოჯს, ხრუშევის მიზნების
დასასრულისათვის გადაიქცევა დას. საქართველოს მიმდინარეობის და
და კულტურულ ცენტრიად⁸⁸.

საინტერესო რას უნდა გმოეწვია ცენტრების ასეთი გადა
ნაცვლება?

ვიღირე ამ კითხვაზე გავცემოთ პასუხს, უნდა გვარევიოთ თუ
რამ განაპირობა ის გარემოება, რომ ადრე, მაინც დამაინც, IV—VI
ს. ეგრისის სამეფოს ცენტრს არქეოპოლის—ციხე-გოჯი წარმოად-
გნენდა, მაგრედავად იმისა, რომ იგი სამეცნიერო თვალსაზრისით
სამეფოს ცენტრი მდიდარი და დაწინაურებული რაიონიდან — მო-
ხერისიდან — რამდენადმე მოშორებით მდებარეობდა, ხოლო ამ
უკანასკნელის ბუნებრივ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრს
სწორედ ქუთაისი წარმოადგნდა. სწორი უნდა იყოს მოსაზრება,
რომ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა თავდაცვის უნარიანობას ჰქონ-
და, კერძოდ, ლაზებმა თავისი ქვეყნის დედაქალაქი გადაიტანეს
მოშორებით იმ ადგილებიდან, რომელთაც საშიშროება ელოდათ
„გარეშე მტრებისაგან“⁸⁹. მაგრამ, ვინ არიან ეს „გარეშე მტრები“?
აქ რომ სპარსელები გვეგულისხმა, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა
სწორი, რაღაც ერანისათვის ქუთაისი და ციხე-გოჯი, არსებითად
ერთსა და იმავე სიშორებები იყო. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა
ჭართლისა და ეგრისის საუკუნოები უნდა ჰქონდა.

როგორც ცნობილია, ჭართლის სამეფოს პოლიტიკური ექს-
პანისა ეგრისისკენ უჭერელები დროიდანც შეიმჩნევა⁹⁰. ამის შედე-
გი იყო არგვეთის თუ შორაპნის საერთსთავოს შექმნა, რომელიც
თავისთვავად წარმოადგენდა პლატარმის შემდგომი ექსპანსიათ-
ვის ვაკე მდერეთის (ძველი „შიდა ეგრის“) ტერიტორიისაკენ⁹¹.
თავისთვავად ცხადია, ასეთ ვითარებაში ეგრისის სამეფოს აღმოსავ-

⁸⁷ ხ. დ. გესხელი შეი ილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის
ძირითადი საკითხები, I, შესავალი, § 7.

⁸⁸ შდრ. ნ. ბერძენიშვილი ისტორიული გეოგრაფიისათვის,
ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალე-
ბი. თბ., 1968, გვ. 39.

⁸⁹ В. А. Леквицадзе. Материалы по монументальному строите-
льству в Лазике. მმ ტ. XXII—B, 1961, გვ. 130.

⁹⁰ ხ. ბ. ბერძენიშვილი, ექვ 21—22; Г. А. Меликишви-
ლи. ქ истории, с. 304, 307, 354—57, 383, 386.

⁹¹ ხ. ბ. ბერძენიშვილი, დაბახ. ნშრ., გვ. 94.

ლეთი პერიფერია მუდმივი საფრთხის ქვეშ უნდა ყოფილიყო და
მასი ცენტრი, რამდენადაც ეს სამეურნეო თვალსაზრისით შეიძლება
შეწონილი არ იყო, აյ ვერ იარსებებდა. საჭირო იყო შემაუკუთხესული
ნელის უფრო დასავლეთით, ქვეყნის შიგნით გადატანის შესრულებულება
რით, ამის შედეგას ციხე-გოჯის, როგორც ეგრისის პოლიტიკური
ცენტრის წარმოქმნა. შემთხვევითი არ უნდა იყოს „ქართლის
ცხოვრების“ მოწმობა, რომ მაშინ, როდესაც პირველი ქართველი
მეფე, ფარნავაზი არვეთში შორაპანსა და დიმნას (დღ. დიძის
ციხე)⁹² აშენებს, მისი მოკავშირე და ვასალი, ეგრისის მფლობელი
ქუჩი, აშენებს ციხე-გოჯს⁹³. ამ ორი სახელმწიფოებრივი მნიშვნე-
ლობის აქციის ერთდროულობა ჩვენს ვარაუდს მხარს უნდა უჭირ-
დეს.

სრულიად სხვაგვარი ვითარება შეიქმნა უფრო გვიან პერიოდე
კეისრის ძლევამოსილი ომებისა და, განსაკუთრებით, არაპთა მეტ
ამიერკავკასიის დაყრიბის შედეგად. არაპებმა, როგორ ვიცით,
მხოლოდ აღმ. საქართველო დაბყრეს, ხოლო დას. საქართველო არ-
გვეთიანად ბიზანტიელების გავლენის სფეროში დარჩა. თეოდოსი
გრიგორელის ცნობების მიხედვით ვიცით, რომ ეგრისის მთავარს
თათქმის მთელი დას. საქართველო ემორჩილებოდა აფხაზეთის
გარდა. კერძოდ, მისი სამფლობელო იყო მოხერისიც (იხ. ზემოთ,
I,6), ე. ი. ვაკე იმერეთი და თავკერიც (რაჭა-ლეჩხენები). ჩვენ არ
გვაქვს პირდაპირი ცნობა, მაგრამ, სავარაუდოა, არგვეთიც, რომე-
ლიც გამოეთმია ქართლს, მის სამთავროში შემოსულიყო. ნაკლე-
ბად საფიქრებელია, მაგრამ თუ აյ არა, მანქცდამარც. ეს მხარე
ცალკე დამოუკიდებელი სამთავრო უნდა ყოფილიყო. ქართლის
პოლიტიკურ ექსპანსიაზე საუბარი VII ს. მეორე ნახევრისათვის
ზედმეტია. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ არაბთა ბატონო-
ბის დამყარებას აღმ. საქართველოში გამოეწვია მოსახლეობის
გარკვეული ნაწილის მიგრაცია დასავლეთით, არგვეთ-ეგრისისკენ.
ამგვარად, შექმნილია ყველა პირობა, რომ ეგრისი დადგეს სამე-
ურნეო აღმავლობის გზას და მისი ეკონომიკურად მძლავრი რაიონი
(მოხერისი, ანუ ვაკე იმერეთი) და ამ უკანასკნელის ბუნებრივი
ცენტრი (ქუთათისი) კვლავ დაწინაურდეს.

VIII ს. პირველ ნახევარში სოციალური და ეკონომიკური გან-
ვითარების შედეგად საქართველოს ტერიტორია შედარებით

⁹² ივევ. გვ. 79; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი ვ ვ ი ლ ი ი ს დ ა ს ა ხ . ნ ა შ რ . , გვ. 40—41.

⁹³ ქ ც . I , გვ. 24.

წვრილ, ერთმანეთისაგან თითქმის სრულიდ დამოუკიდებელ საზ-
 თავროთა კრებულს წარმოადგენს. დას. საქართველოში ასეთ მო-
 თეულებად ამ დროს წარმოვიდგება აფხაზეთი, სვანეთი, ტაძერი
 (რაჭა-ლეჩებუში), გურია, საკუთრივ ეგრისი (გვიანტერ-ალიუში) უს-
 არვეთი. მართალია, ანონიმის ტექსტის მიხედვით ეს სამთავროები
 ვასალურ ურთიერთობაში არიან თითქოს არჩილთან, მაგრამ ეს,
 როგორც აღვნიშნეთ, უფრო ქართლის მეფების ჩამომავალთა თე-
 მორიული წარმოდგენა უნდა იყოს, ვიდრე ფაქტიური ეითარება.
 რომ აქ თითქოს სრულიად დამოუკიდებელ სამთავროებთან ვვაქვს
 საქმე, ამას უნდა მოწმობდეს ზემოხსენებული მარტვილობა და
 ვითისა და კონსტანტინესი, რომლებიც იყვნენ „ქართულნი,
 სანახებისაგან არგვეთისა და დიდებული ტომებითა და
 მთავარი ქუცყანისანი“⁹⁴. თუმცა ეს მარტვილობა იცნობს ქარ-
 თველ მეფეთა ჩამომავლებს, ძმებს არჩილს და დარჩილს (ანონი-
 მის: მირ და არჩილ), რომლებიც ანაკოფიის ციხეში სხედან⁹⁵, შაგ-
 რამ არავითარ ნიშნება არგვეთის მათთან ვასალური ურთიერთო-
 ბისას არ მეღვინებს ზა მისთვის არგვეთის მთავარი დავითი არის
 „თავი ამის ქუცყანისა“⁹⁶. მეორე მხრივ, თუკი ანონიმის ტექსტი
 ტრადიციულად „ეგრისს შორაპნამდე“ (ზაინცდამაინც, პოლიტი-
 კური თვალსაზრისით?) იცნობს, არგვეთელ მთავართა მარტვილო-
 ბა იძლევა იმის საფუძველს, რომ საკუთრივ ეგრისის აღმოსავლე-
 თი საზღვარი უკვე არა რიონზე, არამედ ცხენისწყალზე დავდოთ
 (იხ. ზემოთ) და ე. ი. რიონ-ცხენისწყალს შორისი ტერიტორია,
 ანუ მაინცდამაინც ძველი მოხერისი (გვიანდ. ვაკე მეტეთი), ფაქ-
 ტიურად მისგან გამოცალებულად ვიგულისხმოთ. ამ დროს,
 როგორც აღვნიშნეთ, ეს ტერიტორია და მისი მოსახლეობა დაი-
 ნაწილში გაქართებული უნდა ყოფილიყო. ამას, გარდა მარტვი-
 ლობის ჩვენებისა, თვით ანონიმის ერთი ცნობაც უნდა მოწმობ-
 დეს. ეს ცნობა ერთხელ უკვე მოვიხსენიეთ (იხ. შემოთ, აქვე, გვ.81)
 და ჩვენი ინტერპრეტაციით ივი უნდა მოითოვებდეს ქართლის
 ხელისუფალთა მიერ სახელმწიფო ცენტრის შეთაბაში გადმოტა-
 ნის ტენდენციაზე. რა თქმა უნდა, თუ ამგვარი ინტერპრეტაცია
 კონტექსტისა და მემატიინის მიერ ამით გამოსახული აზრისა
 სწორია, მაშინ თავისთვალ ცხადია, რომ ამ დროს ქუთაისი წარ-

⁹⁴ შამება და ლვაშლი, გვ. 324.

⁹⁵ იქვე, გვ. 328.

⁹⁶ იქვე, გვ. 326.

მოადგენს ცენტრს იმ ტერიტორიისას, რომელიც ქართლს (ვოლი
ტიკური თვალსაზრისით) უკუთვნის და ეთნიკურადაც გაქართვა-
ბულია.

როდის უნდა მომხდარიყო მძღვრი გარდატეხა, მაგრა ტერიტორია
რის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში? მაჩთალის, ქარ-
თიშაციის პროცესი უძველესი დროიდანვე იწყება, მაგრამ თუ
პროცესი კესარიელს დავუჭერებთ, VI ს. 50-იან წლებში ეგრისი,
ანუ ლაზეც „მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე ვიცერე იძერის
საზღვრებამდე დასახლებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით“⁹⁷,
ანუ ლაზ-შეგრელებით. ეგრისის საზღვარი კი ქართლთან ამ დროს
სამხრეთით გადიოდა აქარა-ახალციხის მთებზე, რომლის იქთ
რმავე პროექტის მიხედვით, მესხები ცხოვრობდნენ⁹⁸, ხოლო ალ-
ბოსავლეთით სკანდა-შორაპანზე (ც. ზემოთ 1,1). რა თქმა უნდა,
ბერძენი სტორიკოსის ცნობა ჩვენ სიტყვასიტყვით არ უნდა გა-
ვივოთ, მაგრამ ის კი ცხადია, რომ არგვეთის გარდა შესამჩნევი ქარ-
თიშაცია ამ დროს არც გურიისა და არც ვაკე იმერეთის ტერიტორი-
აზე არ არის სავარაუდო. მაშინადამე, ეს უნდა მომხდარიყო VII ს.
განმავლობაში და თვით VIII ს. პირველ ნახევარში⁹⁹. რამდენადაც
100—150 წელი საქმით მოკლე მონავვეთია მხოლოდ კულტურუ-
ლი ძამილაციის სამუალებით მოსახლეობის ეთნიკურ-ტომობრი-
ვი სახის რადიკალური შეცვლისათვის, ამტუმ საფაქტოებელია,
რომ ეს ტეხილი მოხდა ადგილობრივთა ნაწილობრივი გახიზვნისა
და მოსულთა მძღვრი ტალღების ინფილტრაციის შედეგად. ამი-
ტომ კველაფერი ეს უფრო მოსალონენელია VIII ს. 20—30-იან
წლებში აღმ. საქართველოში საზართა და ასაბთა (მასლამა) შე-
მოსვევისა და ქართლ-ეგრისში მურვან ყრუს დამარბეველი ლაშქ-
რობის შედეგად. რომ აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთში
სწორედ ამ დროს მოსახლეობა გახიზნულა, ამის პირდაპირი მოწ-
მობაა თვით მიზის და ანიილის გადასვლა ეგრისსა და აფხაზეთში.
ასე რომ, არსებოთად, სწორი უნდა იყოს მოსაზრება, რომელც
ამ დროს უკავშირებს აღმოსავლურ ქართული მოსახლეობის გა-
ჩინის იმერეთსა და გურიაში¹⁰⁰.

⁹⁷ პრო კო პი კუ სარ იე ლ ი. „გეორგია“, II, გვ. 100—101.

⁹⁸ ივე. გვ. 127.

⁹⁹ მართლაც, VIII ს. დასაწყისისათვის ჩვენ ვიცით, რომ ქართლს კათალიკოსის
იურისძიებულ ეგრისის ნაწილზე მარც კაცელდებოდა და ამ მოვლენას თავისი სა-
ფუძველი ქვენდა.

¹⁰⁰ ი. გ. გავის იმ ვილ ი. ქართველი ერის ისტორია. I—II, 1913, გვ.
362—363.

ამგვარად, ქუთაისის ხელმეორე აღორძინება VIII—VII სს. ხდება და VIII ს. პირველ ნახევარში იგი უკვე მიმდინებულია პოლიტიკური ცენტრია. არაბთა შემოსევა ამ საუკუნის 10-ან წლებში და მურავ ყრუს მეთაურობით 30-იან წლებში მიმდინებულია და სასტიკი ჩბევა-თარეშისა, მანც ეპიზოდური აქტი. საქართველოში საქართველოში ხელახლა იწყება სამეურნეო აღმაღლობა: „უწყის შენება ადგილთა მევენთა კლისურითვან აღმართ. წარვალ და დაევენები ციხე-გოჭს და ქუთაისის“, — ამბობს არჩილი. დასავლეთ საქართველოს ყველაზე უფრო მძლავრი სამეურნეო რაიონის ბუნებრივი ცენტრის, ქუთაისის შემდგომი დაწინაურება, ქვეყნის ეკონომიკურ და შემდეგ პოლიტიკურ ცენტრად გადაქცევა ასეთ ვითარებაში სრულიად გარდავალი იყო, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო ის არის, რომ ქუთაისი აღსდგა არა როგორც ეგრისის პოლიტიკური ცენტრი, არამედ ქართლისა და ამასთანავე, ცხადია, როგორც ამ უკანასკნელის კულტურის დასავლეთ საქართველოში გავრცელების მძლავრი ფორმოსტი.

თავი III

განვითარების მირითადი ტანდენცია: „მამაკათა“ ჩამოყალიბება

1. ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოს ტერიტორიის ისტორიულ-გეოგრაფიული ცვლილებები, გაპირობებული ქვეყნის შინაგანი სოციალური და ეკონომიკური განვითარებით, მხოლოდ მისი (ტერიტორიის) გაფართოებით კი არ გამოიხატებოდა, არამედ შისი ინტენსიური ათვისებითაც, კერძოდ, შემდგომი სამეურნეო განვითარების საფუძველზე ბარის მიერ მთის ეკონომიკური ათვისებით.

როგორც ვნახეთ, წინა პერიოდში ეს პროცესი საქმაო ინტენსივობით ვითარდებოდა. ვახტანგ გორგასალმა მთა პოლიტიკურად დამორჩილა და მთის ინტენსიურ ეკონომიკურ ათვისებას მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა. ქართულ წყაროთა ამ ჩვენებას ნუმიზმატიკური მასალაც ადასტურებს. ეს უკანასკნელი მოწმობს ავრეთვე ამ პროცესის განვითარებას შემდგომ საუკუნეებშიც. ის ფაქტი, მაგალითად, რომ IV—V სს. მთისა და ბარის „ეკვებად“ დანაწევრებული ქართლის („სომხური გეოგრაფია“) მაგივრად, VII ს. შეა ხანებში უფრო მსხვილი ერთეულები (ზოვე უკვებიც

თუ „კეობები“) გვხვდება, რომლებიც ამჯერად მთასაც და მარტინ
მოიცავენ (ქსნისხევი, ბაზალეთი, კუხეთი, კახეთი და სხვ.). ამ
პროცესის ინტენსივობის აშკარა ილუსტრაციაა.

არაბობის დამყარებას ეს ურთიერთდამოკიდებულება და სამარტინო კულტურის
ყისში ჩამდენადმე უნდა შეესუსტებინა, მაგრამ, როგორც აღვნიშ-
ნავდით, ასესპითად ეს პროცესი აღმავლობის გზით მიღიოდა შემ-
დგომშიაც.

მთას ათეისების მყარ მოწმობას, ჩვენი აზრით, წარმოადგენს
ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით გარევეული ტიპის ცა-
ხესიმაგრეთა შესწებლობა. ამ ასევეტით ზოგიერთი სეთი ძევლი
კახეთის ტერიტორიიდან შესწავლილია¹.

ერთ-ერთი, ამ თვალსაზრისით ტიპური მაგალითია პანკისის
ციხესიმაგრე².

პანკისის გეოგრაფიული მილებარეობა ნათლად გვიჩვენებს
მისი წარმოქმნის ეკონომიკურ არს: თუ, ერთი მხრივ, იგი გაძა-
ტონებულია ხალაწან-პანკისისა და მდ. მაჭარეულის ვეზე, და, ამ-
დენად, უკველა, ამ დაბლობის ინტენსიურ მეურნეობას ექს-
პლუატაციას უწევს, მეორე მხრივ, იგი დგას მთისა (თუშეთის)
და ბარის (ალაზნის ველი) დამაკავშირებელ მთავარ მაგისტრალზე
და, ცხადია, ახორციელებს კონტროლს გზაზეც და ამ
გზით დაკავშირებულ მხარეებზეც. კერძოდ, თუშეთის
ცხერის ექსპლუატაცია თუ მთლიანად არა, მნიშვნელოვანწილად
შეინც პანკისის ციხის პატრონას ხელში უნდა ყოფილიყო, ხოლო
თუ ეს ასეა და თუ ამავე დროს გავითვალისწინებთ იმ უდიდეს
მნიშვნელობას, რომელიც წარსულში პქონდა ალვანის ველს თუ-
შეთის მეცხვარეობის განვითარებისათვის³, მაშინ სრულიად ბუ-
ნებრივია ვარაუდი, რომ ალვანის ველიც პანკისის ციხის „შესა-
ვალს“ წარმოადგენდა. ბოლოს და ბოლოს ამაზე ვახუშტი პირდა-
პირ მიუთითებს: „არამედ კახეთის თუშნი ინახევნ ცხოვართა სიბ-
რავლესა, ვინათვან აქუთ ზაფხულის თვისთა მთათა შინა საძოვარი,

¹ ი. დ. მუსეელიშვილი. ციხე-ქალაქი უგარმა; მსივე. Вопросы
исторической географии ущелья Панкиси, Труды Кахетской археологичес-
кой экспедиции, I, 1969.

² ფარვარილებით ამ საკითხზე ი. ჩემი ზემოხსენებული შერიცლი.

³ М. В. Мачабели. Экономический быт государственных кре-
стьян Тионетского уезда Тифлиской губернии. Материалы для изучения эко-
номического быта государственных крестьян Закавказского края, т. V, ч. I,
Тифлис, 1887, с. 316 и 418. (ენერთ: МЭГКЗК).

და ზამთარს ჩამოვლენ გაღმამყარსა შინა, და ამით უმეტეს ძრო-
ნილებენ კახთა⁴. რამდენადაც გაღმამხარი თვით ვახუშტის ში-
თითებით ალაზნის მთელ მარცხენა სანაპიროს ეწერაშუალეული მდგრ-
ნადვე, ცხადია, ამ ცნობით პირველ რიგში ალფრედ ფლიურ ფრა-
ნგულისხმებოდეს.

ამგვარად, თუკი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პანკისის ციხის
მდებარეობა ნათლად მიგვანიშნებს მისი წარმოშობის ეკონომიკურ
მიზეზებზე, ასლა შეიძლება იგივე აზრი შებრუნებით გამოვთქვათ:
ამ მხარის ეკონომიკური გეოგრაფია გვიაშეარავებს, თუ რაოდ
წარმოიქმნა პანკისის ციხე, მაინცადამაინც ამ კონკრეტულ ადგი-
ლას.

თუშეთის მეცხვარეობის მნიშვნელობა ახლაც დიდია საქარ-
თველოს ეკონომიკისათვის. გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელო-
ბა უნდა ჰქონოდა მას ფეოდალიზმის დროს და ის ფაქტი, რომ
განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში „კახეთის საერისთავოს“
ცენტრად პანკისი ჩანს, ძირითადად, სწორედ ამით უნდა ყოფილი-
ყო გაპირობებული.

ახლა ჩვენთვის სრულიად ცხადი უნდა იყოს ვახუშტის ნა-
ვეონევი ცნობის კეშმარიტება, რომ კვირიე დიდმა XI ს. 20-იან
წლებში მის მიერ შექმნილ კახეთის სამეფოში დასვა ერთსავი
„მესამე პანკისისა და მისცა ჰერეთის საზღვარის ზეითი კავკასია-
დე და კახეთის მთამდე თუშეთითურთ“⁵. სხვა ფარგლებში, მართ-
ლაც წარმოიდგენერლა პანკისი „შესავალი ქვეყნის“. მაინცა-
ბაინც, პანკისის საერისთავოს ძირითადი ბირთვის წარმოლენა.

ანალოგიური მდებარეობა აქვს სტორის ხეობაში მდებარე
ციხესიმაგრეს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „თორლევას
გალავანს“ უწოდებს. ეს უნდა იყოს გვიანი საუკუნეების ქართუ-
ლი წყაროების „ციხე თორლისა“⁶. მისი მდებარეობის ლაკონიური
აღწერილობა აქვს ვახუშტი ბაგრატიონის: „კვალად თურდოს კევის
შესართავს ზეით ალაზანს მიერთვის შტორის-ჭვევი, გამოსდის თუ-
შეთსა და ამას შორის კავკასია და მოდის აღმოსავლიდამ დასა-
ვლით. თორლის ციხესთან ერთვის ამ ქედს სხვა ჭივი, გამომდი-

⁴ ვ. ხ. შ. ტ. ი. ალწერა, გვ. 105.

⁵ ვ. ხ. შ. ტ. ი. „საქართველოს ცხოვრება“, გვ. 151.

⁶ ქ. კ., 11, 369 და სხვ. ეს კომპლექსი ჩვენ მოვინახულეთ 1966 წ. 9.X. ჩვენი
ინსტრუმენტს უმც. მეცნ. ონაშერომელებთან, თ. თოლიასთან და ლ. კობაიძესთან
ერთად.

ნარე მისივე კავკასიისა. თორლის ციხე არს მაგარი და კლდები
ზედა ნაშენი არამედ აწ უქმი⁷.

უკვი არ არის, რომ „თორლვას გალავანი“ წარმოადგენს ფერული
ოდალის რეზიდენციას, ყველა საჭირო კომპონენტით წარტყმისა
ბელი კომპლექსით, ეკლესიით და სათავდაცეო სისტემით.

ფრიად დამახსიათებელია ამ ციხესიმაგრის აღგიმოდებარე-
ობა. მდ. სტორის ხეობა წარმოადგენს პანკისის ხეობასთან
ერთად მაგისტრალურ გზას, რომლითაც თუშეთი, კერძოდ კი გო-
მეწრისა და ჩამის თემები დაკავშირებული არიან კახეთის ბაზ-
თან. თუშების (ჩამებისა და გომეწრელების) ცხვრის დიდი ხა-
წილიც სწორედ ამ ხეობით მოძრაობს იალალებიდან ყიშლალებზე
და პირუკუ. ერთი ასეთი „ცხვრის გზა“ აჲყვება სტორის ხეობას
სოფ. ფშაველზე გავლით სოფ. ლეჩიურამდე. აქედან იგი აღის ნა-
ქერალა-დიდგვერდის ქედზე, უკრთდება პანკისის ციხითან მომა-
ვალ გზას და გადადის სამყირნეს ულელტეხილზე თუშეთში (გომ-
ეწარში)⁸. შეორე გზა სოფ. ლეჩიურის შემდეგაც სტორის ხეობას
მიჲყვებოდა, ვიღრე უკალიან ჭალამდე⁹. აქ ცხვარი გადაჰყავდათ
მდინარის (აბანოს ხევი) მარცხენა ნაპირზე, აღიოდნენ კეპანის
მთაზე და ქედ-ქედ გადადიოდნენ თუშეთში (ჩამაში). სწორედ
აღგილ „ჭალიან ჭალასთან“, კლდოვან მაღალ მთაზე დგას
ჩენი ციხესიმაგრე. ამ მაგისტრალს უნდა გულისხმობდეს ვა-
ხუშტიც, როდესაც ონიშნავს, რომ „ჩამიდან გარდაეალს
გზა თორლას“¹⁰. ამგვარად, „თორლვას გალავანი“ უშუალოდ
მთისა და ბარის დამაჯავშირებელ მაგისტრალზე დგას და მისი
ცენტრმიკური და სოციალური ფუნქციაც, ამდენად, გასაგები უნდა
იყოს.

მართლაც, მცი მდებარეობა უაღრესად ნიშანდობლივია ამ მხრივ:
სტორის ხეობა სოფ. ლეჩიურს ზემოთ ვიწროა და ხშირტყიანი. რაც
უფრო ზემოთ მიდისარ ხეობა უფრო ვიწროვდება, ფერდები —
ტყით დაფარული ციცაბო კლდოვანი მთებია. მართალია, ლეჩიურს
ზემოთ ციხესიმაგრემდე, რომელიც სოფელს შვიდიოდე კმ-ით
არის დაშორებული (ფშაველიდან იგი ზესტად მეთორმეტი კმ-ზეა),
კიდევ ორი ნასოფლარია (ერთ-ერთს „სურანა“ ეწოდება, მეორე
უშუალოდ ციხესიმაგრესთანაა), მაგრამ თვით „თორლვას გალა-

⁷ ვახუშტი ალექსანდრე, გვ. 101.

⁸ M. B. მაცაბელი. MЭГКЗК, თ. უ, ყ. 1, ც. 421.

⁹ ვახუშტი ალექსანდრე, გვ. 104.

ვანს" ზემოთ ნამოსახლარი აღარ არის და გზაც ძველად იღია გატოლდა. ასე რომ იგი, ფაქტიურად, კიდეზეა და მოშორებულია იმ უნდენისური მეურნეობის რაიონს, რომლის საფუძვლებშია უცუკურად აღმოცენებულიყო. უპეველია, ეს ციხე ბატქნისტერის უნდა თით მდებარე ინტენისური მეურნეობის რაიონზე (ლეჩური, ფშაველი და სხვ.), მაგრამ მხოლოდ ეს რომ ყოფილიყო მთასთან დამაკავშირებელი გზის კონტროლი და ამდენად, მთის ექსპლუატაციაც. ამგვარად, ამ ციხესიმაგრის „შესავალი ჭუეყანა“ საბოლოო ჯამში მოიცავდა, მსგავსად პანკისის ციხისა, ერთი მხრივ, მდ. სტორის ჭვემ წელს, ხოლო, მეორე მხრივ, თუშეთს. ჩამდენადაც სტორის ხეობით მთაში ამავალი გზები უშუალოდ უკავშირდებიან თუშეთს ორ თემს — გომეწარს და ჩალმას, ხოლო „თორლევის ციხეზე“ გამავალი „ცხვრის გზა“ კი, მაინც დამაინც, ჩალმას, ამიტომ სავარაუდოა, რომ სწორედ ჩალმა თუშეთი შეადგენდა, უპირველესად ყოვლისა, ციხის „შესაგვალს“. რაც შეეხება ბარს, რომელზედაც უნდა ყოფილიყო გაბატონებული იგი, ჩვენ ვვგონია, რომ აქ მხოლოდ უშუალოდ სტორის ქვემო დანების ველი კა არ უნდა ვიკულისხმოა (ფშაველი, ლალისყური, ლეჩური, ნასოფლარები: იულთა, ზვარელი, დეუბანი, სეიანა და სხვ.), არამედ მდ. ლოპოტის შენაუადი დიდხევიც, იქ ჩვენ მიერ მიკალეული ნისოფლარებითა და სოფ. ართანათი, რომელიც დიდხევის ლოპოტონ შესართავის მახლობლად მდებარეობს.

საქმე ის არის, რომ პანკისისა და სტორის ხეობის შეაღება ყოფის (ნაქერალა-დიდგვერდის და მრის სამხრეთი გავრეცელების ქედის) ერთ-ერთ მთას უწოდებენ „საართანეს“, ანუ „საართანოს“. ცხადია, ეს იმის მოწმობაა, რომ ოდესლიც ეს მთა სოფ. ართანის საკუთრება (საძოვარი ან სათაბი) იყო. მეტამოდ, ართანელებს არა ვითარი საქმე არა აქვთ ამ მთასთან და ტოპონიმში, ამდენად, ძველი ვითარება უნდა იყოს არევლილი. რა თქმა უნდა, ქრონოლოგიაზე გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ არ არის გამოისიცელა, რომ ეს მოვლენა ჩვენთვის საინტერესო ხანის მოწმობად გამოდგეს და, როგორც სტორის ხეობაში მდებარე მთაზე ართანელთა პრეტენზიების დამადასტურებელი საბუთი, იმის შაჩქენებელიც იყოს, რომ სოფ. ართანა ძველად აღმინისტრაციულად სტორის ხეობასთან იყო გაერთიანებული. თუ ეს ასეა, მაშინ ად-

ვილი წარმოსადგენია, რომ მთლიანად დიდხევი, მომეულზეთაც მდებარეობს სოფ. ართანა და რომელიც მეზობელი ლოპოტის ხე ვიდან ანდარაზანის მაღალი ქედის ბუნებრივი კალაურურული კუთხი ყოფილი, აგრეთვე „თორლვას გალავნის“, როგორც წრიული წრიული ბის ცენტრის, „შესავალი“ ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ, როგორც დაგვიმოშმეს, ანდარაზანის მთასაც „საართანოს“ უწოდებენ ამჟამად, რაც მოწმობს, რომ დიდხევი და ნაწილობრივ ლოპოტისაგან შესი გამომყოფი ქედი სოფ. ართანის მიწებს განეკუთვნებოდა.

ამგვარად, „თორლვას გალავნის“ „შესავალი ქვეყანა“ დასავლეთიდან (პანკისის ციხის კუთვნილი ტერიტორიაზე) გამოყოფილი უნდა ყოფილიყო ნაქერალა-დიდგვერდის ქედით, ხოლო აღმოსავლეთიდან ანდარაზანის ქედითა და მდ. ლოპოტის ქვემი წელით. სამხრეთით მისი საზღვარი უნდა ყოფილიყო ალაზანი, ხოლო ჩრდილოეთით მისი ფარგლებში შედიოდა თუშეთის გარკვეული ნაწილი (გომეჭარი და ჩალმა).

თუშეთი კახეთთან კიდევ ერთი მაგისტრალით იყო დაკავშირებული. ეს არის თუშეთიდან ლოპოტის ხევზე გაღმომავალი გზა. ეს უკანასკნელიც ჩაღმა თუშეთს აკავშირებდა კახეთთან. ვახუშტი ამ მაგისტრალსაც იცნიბს. თუშეთი; ოლწერისას იგი ონიშნავს, რომ „პანკისის გარდამშორ, კავკასი იქით, არს წოვა; წოვას ქვეეთ გომეჭარი და მისი ქვეეთ ჩაღმა და ჩაღმიდან გარდავალს გზა თორლას და ლოპოტის კევზედ“¹⁰. ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით ლოპოტის ხეობა 1969 წ. იქნა შესწავლილი და, ჩევნი აზრით, მიგნებული იქნა კახეთის ამ ერთ-ერთი უძველესი „პევის“ ცენტრი — ლოპოტის ციხე, რომლის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილს საინტერესო ცნობა აქვს დაცული. მისი სიტკვით, „ერთვის ალაზანს ლოპოტის — კევის წყალი, გამოსდის თუშეთსა და მას შორის კავკასია, მოდის აღმოსავლიდამ დასავლად. ამ კევზედ მთაში არს ლოპოტი, კლდე დიდი და კლდითავე მოზღუდვილი, მაგარი და შეუალი მტრისაგან, რომელიც დადგა მოსვლასა ყრუსასა. აქ მოერთვის კევი დიდოსა და ამას შორის კავკასიდამ გამომდინარე. ამ კევს ერთვის კავკასიდან გამომდინარე კევი. ამ ართა კევთ შორის არს ლოპოტი“¹¹.

რუკის შიხედვითაც ვახუშტის ლოპოტი ორ ხევს შორის არის მოთავსებული.

¹⁰ ვ. ხ. უ. შ. ტ. რ. ალწერა, გვ. 104.

¹¹ იქვე. გვ. 100.

მართლაც, ციხესიმაგრის ის ნანგრევები, რომელიც ლოპოტის
ხეობაში მივაკვლიყოთ ორ წყალს შორის — გონგახევისა და ლოპოტის
ტის — შესაყარ კლდოვან, ტყით დაფარულ გორაზე უკარისტული უკან მომდგრენული მოწყობის
ნაგებობა გორაკის დასავლეთ კიდეზე მდებარეობს, ზედ წყლების
შესაყარ კონტჩე.

ამგვარად, ჩვენი აზრით, ზემოხსენებული ციხესიმაგრის კომ-
პლექსი უნდა წარმოადგენდეს ძველქართული წყაროებიდან ცნო-
ბილი ლოპოტის ხევის ცენტრს, ლოპოტის ციხეს. მისი მდებარე-
ობა დაახლოებით ანალოგიურია „თორლვას ციხისა“, რამდენადაც
იგი გაბატონებულია მის ქვემოთ მდებარე ინტენსიური სოფლის
მეურნეობის რაიონზე, მცირდო დასახლებით და ამავე დროს კე-
რაც მთიდან მომავალ გზებსაც. მართლაც, ლოპოტის ციხე გზას-
აყარზე დგას: გონგახევით გზა გადადის სამხრეთ-აღმოსავლეთით
ინწობას ხეობაში — აღმატში, საბუეში და გრემში. ლოპოტის
ხევით და მუხაციხეურით კი (ლოპოტის მარცხენა შენაკადი გონგა-
ხევს ზემოთ) დიდოეთში და თუშეთში. ამ უკანასკნელი გზით დღე-
საც დაჰყავთ ცხვარი თუშებს საზამთრო საძოვრებიდან იალალებ-
ზე¹². როგორც ვხედავთ, ლოპოტის ციხეც ზედ „ცხვრის გზაზე“
დგას.

ლოპოტის ციხე აკონტროლებდა არა მარტო თუშეთიდან (ჩალ-
მიდან) საირმოს უღელტეხილით უშუალოდ ლოპოტის ხეობაში
გადმომავალ გზას, არამედ თუშეთიდან დიდოეთშე მიმავალ გზა-
საც და ამდენად, მის შესავალს, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ თუ-
შეთის გარკვეული ნაწილი კი არ შეადგენდა, არამედ დიდოეთის
გარკვეული ნაწილიც, კერძოდ, ანდის ყოისეს სათავეები. ლოპო-
ტის ციხის მდებარეობის ისტორიულ-გეოგრაფიული ანალიზის შე-
დეგად მიღებულ ამ დასკვნის ადასტურებს ვახუშტიც: „ხოლო
თუშინი და დიდონი, უკრთვ არიან წილი ლეკოსისა, არამედ შემ-
დგომად მეცეთა ქართველთა დაპყრობილი... და მოხარეენი მათ-
ინი“¹³. თუშთა და კახთა ურთიერთდამოკიდებულების ეკონომიკუ-
რი საფუძველი, შესანიშნავად ფორმულირებული ვახუშტის მიერ,
ჩვენ სხვაგან უკვე აღვნიშნეთ. ჩაც შეეხება კახეთის მოსაზღვრე
დიდოელთა ურთიერთობას კახებთან, ესეც ეკონომიკური ფაქტო-
რით იყო გაპირობებული: „და კახეთისა მცრისანი (დიდონი. —

¹² შდრ. მ. ვ. მაცაბელი. მეგრევი, თ. უ. ვ. 1, ც. 419.

¹³ ვახუშტიც. აღწერა, გვ. 103.

დ. 3.) პუმობენ კათა მეპატრონეთა და აძლევენ საწილა და ორა
ლაშეართა, რათა ვიდოლნენ სავაჭროდ კახეთს, ვინათვან, ვიდევენ
კახეთიდან საზრდელსა, საშიშლოსა და სახმარისა ერთსამაგრე—თქმი
სწორედ ამ ეკონომიკური აუცილებლობით პირის მიღებული მასტები
თიერთობის პოლიტიკური გამოხატულება ლოპოტის ცახე. ამ-
გვარად, მისი სოციალური და ეკონომიკური ფუნქცია ისეთივეა,
როგორც ზემოხსენებული სხვა ციხეებისა.

ვახუშტის ზემოხსენებული ცნობა, დიდოელებისა და კახე-
ბის ურთიერთობას რომ შეეხება, რა თქმა უნდა, მხოლოდ ლოპო-
ტის ხეობას გამავალ მაგისტრალს არ გულისხმობს. დიდოელ-
ხუნზახთან (დღევანდველი დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა)
კახეთი გაღმამხრიდან სხვა ხეობებითაც იყო დაკავშირებული. აშას
თვით ვახუშტი აღნიშნავს: „გაღმამხარი, რომელსა მზლვრის: აღ-
მოსავლით კავკასი ლეკეთისა, დიდოეთისა და თუშეთისა და ამას
შორისი, სადაცა გარდავლენანცა გზანი მათ შინა გაღმამხრი-
დამ“¹⁴. ამ ურთიერთდამაკავშირებელ გზათა უმეტესობა აგრეთვე
ცხვრის გადასაყვან ტრასებს წარმოადგენს. ასე მაგალითად, აძ-
გამადაც და აღრეც, შირაქიდან იალალებზე ჭიათურის (ალაზნის
მარცხნა ნაპირის) გზით მომავალი ცხვარი დაღესტნის მთებზე
აღიოდა აგრეთვე ახალსოფლიდან (ძველი გავაზი), ყვაჩალიდან,
შილდიდან და საბუიდან¹⁵. „ცხვრის გზა“ დაღესტნისავენ აღის
აგრეთვე სოფ. მთისძირიდან (ძვ. არეში). ეს გზა ლვალოანის მთა-
ზე უერთდება გავაზურს¹⁶.

ამ გზების არსებობა ისტორიული კახეთისა და დაღესტნის
ცხოველ ურთიერთობას გვავარაუდებინებს, ხოლო ვახუშტის მიერ
მათი საგანგებოდ ხსენება ამ ვარაუდის დასტურია.

ესვი არ არის თითოეული ეს გზა ფეოდალურ ხანაში რომე-
ლიმე ცახესიმაგრის „შესავალ ქვეყანაზე“ გადიოდა. მაგალითად,
ყვაჩალზე ამავალი გზა, საფიქრებელია, ჭუარისციხის კონტრო-
ლის ქვეშ იყო¹⁷ და ა. შ.

ზემოხსენებული ციხესიმაგრების ანალოგიური მდებარეობა

¹⁴ ვ. ა. ხ. უ. შ. ტ. ი. აღწერა, გვ. 104.

¹⁵ იქვე, გვ. 103.

¹⁶ M. B. Ma c a b e l i. M E G K Z K , t. u. 4, c. 419.

¹⁷ დ. მ. უ. ს. ხ. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. კახეთ-ქერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის
საკითხები XII—XIII სს-ში, თბ., გვ. 85—86.

¹⁸ არეშ-გავაზის გზის შესახებ იხ. დ. მ. უ. ს. ხ. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. დასახ. ნაშრ.,
რევ.

აქვს ლაგოდებთან, მდ. მაწიმ-ჩაის ხეობაში მდებარე საკუთხავა ნა-
გებობას, რომელიც ქართული წყაროებით ცნობილი მაკის ტახე
უნდა იყოს. მაწიმის ხეობით გზა გადადის შეა დაღუსტუნის უფრო
ზაბში (ავარიის ყოისუს ხეობა), კერძოდ ანწუხის ჭრიშვილის უფრო
ზე გზა გადადის აგრეთვე ლაგოდებიდან, გავას-არეშიდან (დღ.
ახალსოფელი და მთისძირი)¹⁹, კარებიდან და ბელაქნიდან²⁰. ზემო-
ხსენებულის შედეგად, ბუნებრივია, ვივიარადოთ, რომ ხუნბახის
გარკვეული ნაწილიც მციდრო ეკონომიკურ ურთიერთობაში უნდა
ყოფილიყო ჰერეთის ბართან და, რომ ამდენადვე, ამ უკანასკნე-
ლის პოლიტიკური გავლენაც დაღესტნის მთანეთზე სრულიად
რეალური იყო.

ამგვარად, ზემოხსენებულ ციხესიმაგრეთა მნიშვნელობის
გარკვევა ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით, ვფრქრობთ,
გვაძლევს სრულ საფუძველს იმისათვის, რომ მათი ფუნქციონირე-
ბის დროს იმიტრავეასის მთანეთის გარკვეული ნაწილი მაინც
ამიტრავეასის ბართან ეკონომიკურად და პოლიტიკურად მციდროდ
და კარებიდებული ვიგულოთ და თვით ამ ციხესიმაგრეთა შენებ-
ლობის ფაქტი იმიტრავეასის მთანეთის ეკონომიკური და პო-
ლიტიკური დამორჩილების მოწმობად მივიჩინოთ.

ამ მოვლენის ეკონომიკურ საფუძველზე უკვე ვილაპარავეთ.
კერძოდ ვახუშტის ნაშრომიდან მოვიტანეთ სათანადო ჩეენებანი
იმის ნათელსაყოფად თუ რა დიდი მნიშვნელობა პქონდა მაგალი-
თად, თიანეთს ფშავ-ხევსურეთისათვის, ანდა კახეთის გაღმა
მხარს თეშეთისა და დიდოეთისათვის (იხ. ზემოთ) აქ საამისოდ
განმეორებით აღვნიშნავთ მეტყველ ფაქტს, ვახუშტი ბატონიშვი-
ლი ლევან კახთა მეფის (XVI ს.) შესახებ რომ წერს: „ამას წინათ-
თა კახთა ბეჭეთა არა-რა მორჩილებდენ ფშავ-ხევსურნი და თეშ-
ნი და ამან ლევან დაპყრინა არა ძალითა, არამედ აღუთქვა, რათა
ცხოვარნი მათნი უცნოდ მძოვარ-იყუნენ კახეთს და მისცა შეწი-
რულობა ლაშას ჭუარსა თიანეთს შინა და ბიურითგან მოსცემუნენ
ლაშქარსა და ბეგარასა“²¹. ვფრქრობთ, ვახუშტი ბატონიშვილის

¹⁹ დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. კახეთ-ქერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის
საკითხები, გვ. 84—86.

²⁰ იხ. ქ' ც., II, გვ. 252—253.

²¹ ვ ა ხ უ ბ რ ი. საქართველოს ცხოვრება, გვ. 163. «Необходимость сходить
на наши долины для пастбибы скота зимою, есть одна и действительнейших
причин покорности этого народа» (т. е. Тушов—Д. М.), см. Обозрение рос-
сийских владений за Кавказом, часть I, 1836, 393 (ниже: Обозрение).

მიერ აღნიშნულ ამ ფაქტს განმარტება არ სჭირდება: ნათელად
აღმოსავლეთი საქართველოს მთის ეკონომიკური დამოკიდებულე-
ბა ბარჩე და ამ ურთიერთობაში მეცხვარეობის განსაკუთრებული წარ-
მიშენელობა.

2. კახეთის (ძ. ჰერეთის) საზამთრო საძოვრები, კურძოდ,
შირაქის ველი სამი ძირითადი მაგისტრალით იყო დაკავშირებუ-
ლი კავკასიონის საზაფხულო საძოვრებთან: უკანამხრის, წინამხ-
რის და ჭიათურის გზებით. ეს უკანასკნელი უფრო დაღესტნის მთებ-
თან აკავშირებდა, ვიდრე თუშ-ფშავ-ხევსურეთან.

წინამხრის გზა შირაქიდან ალაზნის მარჯვენა სანაპირო ველ-
ზე (წინამხარი, ანუ შიგნიკახეთი) მიემართებოდა სილნალის შახ-
რის სოფლების (ბოდბისხევი, ქვემო მაჩხანი, ტიბაანი, ჯარიანი,
საქობო, ვაქირი, ანაგა) სანადელო მიწებზე სოფ. კარდანახამდე.
ქედან სილნალ-თელავის შარაგზით სოფ. ალვანამდე.

უკანამხრის გზაც სილნალის მაზრის სოფლების (მირზაანი,
ბაჩხაანი, ბოდბისხევი, ბოდბე, მაღარო) მიწებზე მიღიოდა, შემ-
დეგ ციცვამბორის ქედის სამხრეთ ფერდობით, მდ. იორის ველით
(უკანამხარი, ანუ გარეკახეთი) მანავს ალწევდა. აქ გზა ორად
იყოფოდა: ერთი მიღიოდა საგარეჭოზე, მეორე აღიოდა მანავის—
თავის მთაზე. ორივე ეს ტოტი ერთდებოდა გომბორის ქედზე ცი-
ვის მთასთან. აქ ცხვარი იფანტებოდა. ნაწილი გაღიოდა თელავის
ახლოს კახეთის გზატკეცილზე, ხოლო ნაწილი მდ. თეთრი წყლის
გადავლით გაღიოდა ხოდაშინის შარაგზაზე და ალწევდა ალვანის
მინდორის. უკანამხრის გზით მოძრაობდნენ ფშავლების, ერწო-
თიანელების და თუშების ცხვარი.

კიურის გზა წინამხრისას გამოეყოფოდა სოფ. საქობის ბო-
ლოზე, წნორის ფოსტასთან, გაპკებოდა ლაგოდეხისკენ მიმავალ
შარაგზას, კიურის ხიდით გადიოდა ალაზნის მარცხენა სანაპირო-
ზე და ლაგოდეხ-თელავის შარაგზის მიმართულებით მიღიოდა
სოფ. გავაზის (ბევერიანი) მიწებამდე. შემდეგ ცხვარი მოძრაობდა
ყველა შესაძლებელი მიმართულებით ჩრდილოეთისაკენ გავაზის
(დღ. ახალსოფელი), ყვარელის, შილდის, საბუის, ნაფარეულის და
სხვ. სოფლების გავლით და აღიოდა კავკასიონის ქედზე, კურძოდ,
დაღესტნის მთებში. ამ გზით დაიოდნენ თუშები და ნაწილი კა-
ხელებისა და პანკისელებისა²².

²² М. В. Мачабели. МЭГКЗК, У, часть 1, с. 419.; სოფ. მაღაროსთან
ან ბოდბესთან უკანამხრისას გამოეყოფოდა თრიალეთის აცხერის გზა²³. იგი გადიო-

თუშები ქირით სარგებლობდნენ შემდეგი დაღუსტნური იხ-
ლაღებით: ასანო, ველკეთილი, მერცხალ-ბუდე, სადუცი, ზუთოო,
ეპჩინ და სხვ. ყველა ესენი თუშეთ-დაღესტნის საზოგადოებრივი
დიღოეთის მთებში²³. ამგვარად, როგორც ვხედავთ, აუკავშირის
დიღოელები — „კახეთისა მხრისანი“ — იყვნენ დაინტერესებულნი
კახეთის ბარით (იხ. ზემოთ), არამედ თვით კახეთის მეცხვარეობით
სათვის გარევული მნიშვნელობა ჰქონდა დიღოეთის საძოვრებს.
ეკონომიკური კავშირი მთასა და ბარს შორის ურთიერთგაბირო-
ბებული იყო. რა თქმა უნდა, დაახლოებით ასეთივე ვითარება უნ-
და ვიგულისხმოთ სხვა შემთხვევაშიაც.

აღსანიშნავია, რომ შირაქის საზამთრო საძოვრებით ერწო-
თიანელებს გარდა მთიელთაგან ძირითადად თუშები და ფშავე-
ლები სარგებლობდნენ, რომლებიც ცხენების ჭოგისა და ცხერის
ფარების უზარმაზარ რაოდენობას მიერეკებოდნენ მთებიდან
(მსხვილი რქოსანი საქონელი ზამთრობითაც უმთავრესად სოფ-
ლებში რჩებოდა). შირაქის ველით მთიულებიც სარგებლობდნენ.
მხოლოდ ხევსურებს (და მთის ქისტებს) არ გადაჰყადათ თავისი
საქონელი საზამთრო საძოვრებზე, არამედ ზამთრობით აღვილობ-
რივ, ბოსლებში აბინავებდნენ. ამის გამო მათ საქონელი შედარე-
ბით მცირე რაოდენობით ჰყავდათ²⁴, და ეს მთიულედავდ იმისა,
რომ ხევსურებს იალაღები საკმაო რაოდენობითა აქვთ: არზოტის
(ანდაკის) და ახიელის (ტანიე) იალაღები²⁵. ზემოხსენებულ სა-
ზაფხულო საძოვრებს ხევსურები ქირით აძლევდნენ ერწო-თანე-
ლებს და მთიულებს²⁶. ასეთ თავისებურ ვითარებას ჩსნიან, ჩვენი
აზრით, სამართლიანად იმით, რომ წარსულში ხევსურები ვამუდ-
შებულ შეუღლში იყვნენ თავისივე მეზობელ მთიელებთან, განსა-
კუთრებით ქისტებთან, რის გამოც ისინი იძულებულნი იყვნენ
საკუთარი ოჯახებისა და სოფლების თავდაცვის მიზნით მუდმივად

და საგარეჯოს, პატარექულის, მარტყოფის, ლილოს მახლობლად. თბილიშე გავ-
ლით მიემართებოდა ტაბახმელაზე, კოჭორზე, თეთრ ღუქანზე („სამაღლო“) და ალ-
გეთის ხეობით აღიარა ბეღენის პლატოზე, ხოლო აქედან თრიალეთის მთებშე (იქ-
ვა). ზორალეთში მიღიოდნენ XIX ს. ბოლოსთვის მხოლოდ დღი ფარის (2000
ცხვარზე მეტი) მფლობელები ერწო-თანეთიდან, თუშეთიდან და ფრივიდან.
ასეთი მხოლოდ რამდენიმე კომლი იყო (იქვე, გვ. 415).

²³ იქვე, გვ. 415.

²⁴ იქვე.

²⁵ იქვე, გვ. 411.

²⁶ იქვე, გვ. 416.

მთებში დარჩენილიყვნენ. რაც შეეხება თუშებს და ფშაველებს, ისინი უშეალოდ ემეზობლებოდნენ მოძმე ქართულ პერვინციებს. რომლებთანაც მშეიღობიანი ურთიერთობა ჰქონდათ, და მათ შემდეგ შეეძლოთ ინტენსიურად გმორეუნებინათ შირაქის ყრმლალებში და მესაქონლეობაც შესაბამისად განევითარებინათ²⁷. რამდენადაც სამართლიანი არ უნდა იყოს ამგვარი ახსნა, ივი მანც, ვფიქრობთ, ნაწილობრივია.

ცნობილია, რომ თუშეთის ცხერის ფარების იალალებიდან ყიშლალებზე მოძრაობისას დროებით დასასვენებელ „სადგურებს“ — ალვანის ველს და ბირკიანს (პანკისის ხეობის თავში) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თუშეთის მესაქონლეობის განვითარებისათვის. ამათ გარეშე შეუძლებელი იყო კეთილსასურველი პირობების შექმნა საამისოდ. კერძოდ, ალვანის ველი წარმოადგენდა საწყობს გატყოდისათვის, ყველისათვის და სხვა გასაყიდი პროდუქტებისათვის. ალვანის მეშვეობით ჰქონდათ თუშებს ურთიერთობა მთაში დატოვებულ თავის ოჯახებთან და არ იყვნენ მათგან მოწყვერილი მთელი რვა თვის განმავლობაში. რაც შეეხება ფშაველებს, რამდენადაც ფშავის მთები უფრო დაბალია, ვიდრე თუშეთისა და ხევსურეთისა, მათ ჰქონდათ საშუალება იშვაითად მანც ენახულათ მთაში დარჩენილი თავისი ოჯახები.

ალნიშნულია, რომ არავითარი ეჭვის მიტანა არ შეიძლება იმაზე, რომ ალვანის ველის გარეშე თუშები ისევე, როგორც ხევსურები იძულებული იქნებოდნენ მთაში დარჩენილიყვნენ და ბედის ანაბარა არ დაეტოვებინათ საყუთარი ოჯახები ქისტებისა და დალესტნელების პირისპირი²⁸.

ამგვარად, ხევსურეთში მესაქონლეობის, კერძოდ კი მეცვარეობის განუვითარებლობა აიხსნება არა იმდენად მეზობლებთან გართულებული ურთიერთობათ, რამდენადაც ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით, რაც მომთაბარეობის შემთხვევაში წლის უდიდესი დროის განმავლობაში ხევსურს მოსწყვეტდა თავის მშობლიურ მიწა-წყალს. ამას გარდა, ხევსურეთი გაცილებით უფრო დამორჩებულია კახეთის საზამთრო საბოვრებს, ვიდრე თუშეთი ან ფშავი და, რაც მთავარია, თუშეთი, ფშავი და მთიულეთიც უშუალოდ ემიჯნებიან ბარს და ე. ი. უშუალოდ ფლობენ გასასვლელ გზებს ყიშლალებისაკენ, ხევსურეთი კი ბარს მოწყვეტილია მაღალი

²⁷ იქვ. გვ. 417.

²⁸ იქვ. გვ. 418.

მთიანეთით, ანუ იგივე თუშეთით, ფშავით და მთიულეობით, რომ-
ლებიც ამს გამო, შესაძლებელია შეგნებულადაც ჩრდილოებულები
კიდეც მეტაქონლეობის განვითარებას ხევსურეთში ჩატარდებოდა რომ
მიუხედავად ამისა, ძველად ხევსურეთის მეურნეობა სა-
ბარზე იყო დამოკიდებული და ხევსურების საქონელს კახეთის სა-
ზამთრო საძოვრები მაინც სჭირდებოდა, ეს კარგად ჩანს ვახუშ-
ტის ზემომოტანილი ცნობილან (იბ. გ 1)²⁹.

საშორეს, საკომუნიკაციო გზებსა და ბუნებრივ-გეოგრაფულ
პირობებს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მთისა და ბაზის ურ-
თოებთობაში. ამას ერთი გარემოებაც გვიძოშვებს.

ვახუშტი თუშეთის აღწერისას აღნიშნავს ზოგადად, რომ
„არს ქვეყანა ესე ყოვლითავე, ვითარცა აღსაშერეთ ისეთი, სიმაგ-
რით, მოსავლით, პირუტყვით, ნაყოფიერებით და კელოვნებით“³⁰.
კონკრეტულად კი რას გულისხმობს ამით, ვეცნობით ისეთის და-
ხასიათებიდან: „არა არს აქა (ისეთში. — დ. მ.) ტუა, მცირეთავან
კიდე, და იგიცა უმეტეს არყნალი... არამედ ნაყოფიერება ამ ქვე-
ყნისა არს მცირედი, ვინათვან არარამე მარცვალნი ნაყოფიერე-
ბენ თვინიერ ხორბლისა, ქრთილისა და შერივისა, სიცივის, გვიან
განაფხულისა და აღრე შემოღვომისათვის. გარნა ამასც ვერ სოფ-
სევნ მრავლად, უმიწობისა და კლდოვანობის გამო... პირუტყვნი
არიან ცხოვარნი უდამო-კულიანი და მომცრო, ძროხა, ცხენი, თხა,
ლორი, არამედ არა მრავლად... და ვინადგან აქუთ საძოვარნი და

²⁹ სხვათშორის არის ცნობები, რომელთა მიხედვით ჩანს, რომ XIX ს. პირ-
ველ ნახევარში მაინც ხევსურები თავის ცხევარს ზამთარში ყარაიას ველზე ძოვებ-
დნენ (იბ. Обозрение, часть I, с. 399). ი. კლაპროთის მოგზაურობის ფრან-
გული გამოცემის ერთ-ერთ ჩუკაზე ყარაიას ველი აღნიშნულა, როგორც ხევსურთა
ფრანგულთა და მთიულთა საზამთრო საძოვარი (იბ. I. Klaproth, Voyage
au Mont Caucase et en Géorgie, tome second, Paris, 1823. ამ წყაროებში მიმ-
თოთა კ. გვამალიშვილი). საეკვია, ასევე ყოფილიყო ძველადაც, რადგან, ფრენტი, ოეთ
კლაპროთი აღნიშნავს, რომ ყარაიაში აღრე თათრები (Türkommnen) ესახლენენ,
რომელიც მისი მოვაჭარობის დროისთვის (1807—1808 წ.). სომხეთში გადასახ-
ლებული და ყარაიას თავისი საქონლის საზამთრო საძოვრებად უკენებენ. რაც
მთავარია, ვახუშტი საგანგებოდ აღმიშნავს ყარაიას შესახებ, რომ „ესახლენენ
ელნი დემიტრისას ასლუ, სავსენი პირუტყვათა, რამეთუ ზამთარ სითბოთი და ტუთა
და ბალახითა მოუკლებელი არს აღგილი ესე... ხოლო რაოდენი ელნი დაესწერე-
ნთ ქართლს, ზომთარ არიან ამ აღგილებათა შორის“ (კ. გ. ხ. შ. ტ. ი., აღწერა, გვ.
51); რომ საერთოდ „ველი დაღი ყარაიას“ ქართველ მეცენა საზამთრო აღგილია
(ევე, გვ. 50). თუ ყარაიას ველი ხევსურთა ამ სხვა მთიულთა ყმშლალი იყო, გაუ-
გებარია, რატომ არსად ამას არ აღწინავს ვახუშტი.

³⁰ კ. გ. ხ. შ. ტ. ი., აღწერა, გვ. 105.

სათიბნი მცირედ, ამისთვის ვერ ინახვენ ცხოვართა, თვინიერ, კ. მ
 და რ კიდე, აგრეთვე ცხენთა და ძროხათა ი, კ და მ ტრაქიულიშვილი
 აჩლარა“³¹. ჩამდენადაც როგორც ვიცით. იგვე ვაჰემიტეს მექანიკურ
 გომეწრასა და ჩაღმის თემებზე, რომელთაც იგი „კახეთის თუ-
 შეს“ უწოდებს, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ისინი „ინახვენ
 ცხოვართა სიმრავლესა, ვინათვან აქუთ ზაფხულს თქვთა მთათა
 შინა საძოვარი, და ზამთარს ჩამოვლენ გაღმამჭარსა შინა, და
 ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა... (და ამ უკანასკნელთა. — დ.
 მ.) მორჩილნი, მოლაშერენი და მეხაჩენი არიან“³², მიტომ ცხა-
 დია, რომ ისეთის შეგავსი დანაბათება, მაინცდამაინც, მესაქონ-
 ლეობის თვალსაზრისით, პირველ რიგში, პირიქითა თუშეთს უნდა
 ეხებოდეს, ანუ „ფარაშანის თუშეთის კევს“. როგორც მას ვახუშ-
 ტი უწოდებს. თუმცა აქაც ამგვარი შედარება მთლად ზუსტი არ
 უნდა იყოს, ამდენადაც პირიქითა თუშეთს საზაფხულო საძოვრე-
 ბი საქმაო რაოდენობითა აქვს (იხ. ზემოთ). მაინცდამაინც, მეც-
 ხვარეობა იქ ძველად ნაკლებ განვითარებული ყოფილა, ვიდრე
 ჩაღმა-გომეწარ-წოვამი. მართლაც, ვახუშტი ლნიშნავს: „ხოლო
 ფარაშანი უფროს მწირ არს (ვიდრე დანარჩენი თუშეთი. — დ. მ.)
 გარნა ამათ (ჩაღმა-გომეწარ-წოვათა. — დ. მ.) შეირ იგინიცა გამო-
 იზდებიან კახეთით, რამეთუ მიჰყავთ და ვაჭრობენ. არამედ იგინი
 (პირიქითელნი. — დ. მ.) არა ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა“³³.

რითი უნდა იყოს გამოშვეული ეს უკანასკნელი გარემოება, რომ პირიქითელი თუშები „არა ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა“?, ჩევნი აზრით, სწორედ იმით, რომ მათ ნაკლები ცხვარი ჰყავდათ და ამდენად შედარებით უფრო სუსტად იყვნენ დაკავშირებულნი კა-
 ხეთთან ეკონომიკურად, ვიდრე მათი თანამოძმენი. რითიღა უნდა ყოფილიყო გაპირობებული ცხვრის ნაკლებობა? უნდა ვიფიქროთ, ხევსურეთის ანალოგიური მიხეჭბით. სახელდობრ, შედარებით
 სიმორით და არა უმეშვეო კავშირით კახეთის ბართან. მართლაც, როგორც უკვი იყო ლნიშნული, (იხ. ზემოთ) პირიქითის იალაღებ-
 ზე მიმავალი ცხვარი, როგორც არ უნდა მოძრაობდეს იგი: პან-
 კისის ხეობით — ტბათაზე, სტორის ხეობით — ნაქერალა-დიდ-
 გვერდზე თუ კეპანზე, ლოპოტის, ინწობის თუ ჩელოს ხეობე-

³¹ იქვე, გვ. 108.

³² იქვე, გვ. 105.

³³ იქვე, გვ. 101.

ბით — დაღუსტნის მოებზე, ყველა შემთხვევაში გზად უნდა გა-
ვიდეს ალაზნისთავის (წოვა), კომერციის ან ჩაღმის ფლაფლებზე და
მერე გადავიდეს პირიქითში. ამგვარად, პირიქითელებზე უკარისტიკა
დამოკიდებული იყვნენ დანარჩენ თუშებზე. ამას თვით ვახუ-
ტიც მიუთითებს, როდესაც ამბობს „ამათ (ე. ი. წოვა-გომერარ-
ჩაღმა თუშების) მიერ იგინიცა (ე. ი. პირიქითელები) გამოიხდე-
ბიან კახეთით“.

1965—1969 წლების განმავლობაში კახეთის ისტორიულ-გე-
ოგრაფიული ექსპედიციის საველე მუშაობის დროს შეკრებილი შა-
სალები, ძირითადად, ემთხვევა იმ ვითარებას, რომელიც XIX ს.
ბოლო მეოთხედისთვის არის ფიქსირებული და ზემოთ უკვე იყო
აღნიშნული. მაგრამ ზოგჯერ ხერხდება სურათის დაზუსტება და
ახალი მონაცემებით შევსება (მაგ. სტორის ხეობით კაკლიანზე და
კეპანის მთით თუშეთში მიმავალი გზა და სხვ.)

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ
ჩვენი მასალებით დასტურდება კიდევ ერთი მაგისტრალი: ეს არის
შირაქიდან მომავალი იგივე წინამხრის გზა, რომელიც ყარალავის-
წნორის-გურჯაანის-ველინციხის-თელავის გავლით ახმეტაში აღის,
აქედან კი ახმეტა-თიანეთის შარაგზით გადის თიანეთში და შემ-
დეგ — ივრის ფშავის იალალებზე. ამ გზით მოძრაობდა (და მოძ-
რაობს) ფშაველებისა და კახეთის მრავალი სოფლის ცხვარი.

ამ მაგისტრალზე მდ. ილტოს ხეობის ერთოებში, მის გამო-
სავალთან ალაზნის ველზე დგას გრანდიოზული კომპლექსი კვი-
ტერის ციხესიმაგრისა. ქართული საერთო არქიტექტურის ეს უნიკა-
ლური ძეგლი ზოგადად უკვე აღწერილია³⁴. ჩვენ აქ იმას აღნიშ-
ნავთ, რომ იგი მხოლოდ ახმეტა-თიანეთის ტრაქტს კი არ აკონ-
ტროლებდა³⁵, არამედ, ერთი მხრივ, ილტოს ხეობაზე ამომავალ
(ჩრდილოეთით) და, მეორე მხრივ, ხევვერძელით უალეთ-ერწოში
(სამხრეთ-დასავლეთით) გადამავალ გზათა საყდარზე იდგა და აძღე-
ნად, სავარაუდოა, იერის ხეობის ზემო წელის მთიანეთს, ილტოს
ხეობას და, ალბათ, მის წინ (აღმოსავლეთით) გადაშლილ ილტოს
ველსაც ფლობდა.

ზემოაღნიშნული მაგისტრალების მიმართ ჩვენ ყურადღება
გავამახვილეთ მესაქონლეობის, კერძოდ, ცხვრის მეურნეობის

³⁴ Г. Н. Чубинашвили. Архитектура Кахетии, с. 519—521, 543—546.

³⁵ იქვე, გვ. 519.

თვალსაზრისით და ეს მიტომ, რომ სოფლის მეურნეობის დარღვეული ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთი სახლო-თვეელის მთასა და ბარის ურთიერთობის განვითარების ისტორიულ პროცესში. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს სრულიასთან უნდა მარტივი ნაცი იმას, რომ ეს მაგისტრალები მხოლოდ და მხრიდან „ცეკვის ერწებს“ წარმოადგენდნენ.

თუ გვითვალისწინებთ თავისებურ გარემოებას, რომ ისეთი რელიეფის მქონე ქვეყანაში, როგორიც აღმოსავლეთი საქართველოა ერთხელ გავალულ გზებს შემდგომშიც უნდა შეენარჩუნებინათ თავისი მიმართულებაზე (განსაკუთრებით, „ცხვრის გზებს“, რამდენადაც მათი კონომიკური სპეციფიკის გამო, ცვლილებებს ამ მხრივ არ შეიძლება გარდუვალად არ გმოწვია უარყოფითი ზეგავლენა მესაქონლეობის განვითარებაზე), ჩვენ შეგვიძლია ვირწმუნოთ, რომ ზემოხსენებული გზები წარმოადგენდნენ იმ მაგისტრალურ არხებს, რომელთა საშუალებითაც ხორციელდებოდა საერთოდ ურთიერთობა მთასა და ბარს შორის მას შემდეგ, რაც ეს ურთიერთკავშირი, მრავალსაუკუნოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ეკოლოგიის შედეგად, მეტ-ნაკლებად მუდმივ ფენომენად გადაიქცა.

მართალია, აღმოსავლეთი საქართველოს მთიელები ძეელთავანე სარგებლობდნენ კახეთის საზამთრო საძოვრებით, კერძოდ, შირაქით³⁷, მაგრამ ისეთი ვითარება ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგია. ჩვენ უკვე აღვნიშნავდით, რომ ეს ეკონომიკური ფაქტორი (იალალებისა და ყიშლალების ურთიერთობით) მნიშვნელოვანწილად აპირობებდა ქართლის (ივერიის) პოლიტიკურ ურთიერთობას ალვანეთთან³⁸. ვფიქრობთ, ამ ურთიერთობათა პროცესში იყვალებოდა სწორედ ზემოხსენებული მაგისტრალური არხები, რომლებიც თავის მხრივ, გარკვეული მიმართულებით ავითარებდნენ იგივე ურთიერთობას³⁹.

3. რა დროის ძეგლებია, ბოლოს და ბოლოს, ეს ზემოაღნიშნული ციხესიმაგრები?

ჩვენ ვთ იდრეფეოდალურ ხანს მივაკუთვნებთ⁴⁰. საამისო ზოგიერთი კონკრეტული მინიშნებაც გვაძეს.

³⁶ შდრ. Н. А д о н ц . Армения в эпоху Юстиниана, СПб., 1908, с. 77.

³⁷ М. В. М а ч а б е л и , МЭГКЗК, У, ч. 1, с. 44.

³⁸ დ. მუსხელიშვილი, ცხხ-ქალაქი უჭარმა, გვ. 48-50.

³⁹ იქვე, გვ. 51—54.

⁴⁰ უკანასკნელ ხანს კახეთის ზემოხსენებულ ციხეთავის ზოგიერთი შესწორების დროის მინიშნებაც გვაძეს.

ჭერ ერთი, პანკისის ერთითავი (იფულისხმება პანტისმა ცალი) და კვერტერის ციხესიმაგრე მოხსენებულია „ქართლის ციხესიმაგრეში“ XI ს. 40—50-იან წლებში,⁴¹ რაც გვაძლევს საფუძველს — მათ თი აგება უფრო აღრე ვივარაუდოთ. შემდეგ, რომ უკანა მართლის მიერ ასე, ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ კვერტერის სასახლის კარის ციხესიმაგრე მშენებლობა თარიღდება X ს. პირველი ნახევრით⁴². ეს დატერი, ცხადია, გულისხმობს, რომ ამ დროს ციხესიმაგრე უკვე არსებობს. კიდევ მეტი. განსხვავება კვერტერის ციხესიმაგრე და სასახლს მშენებლობის ტექნიკაში ადასტურებს, რომ სასახლე (და ე. ი. ციხესიმაგრე) უფრო აღრეა აგებული⁴³. ეს საერთისთვის რეზიდენცია ვახუშტის ისტორიული კუნცეულის თანახმად, VIII ს. მეორე ნახევარში უკვე უნდა არსებულიყო (ისევე, როგორც პანკისი და სხვ. ციხესიმაგრებიც)⁴⁴. რომ ვახუშტის თვალსაზრისი სწორი უნდა იყოს, ამას ვაიმოწმებს წყაროთა ჩვენებანი ლოპოტის ციხის შესახებ. თვით ვახუშტი ამ ციხის შესახებ, როგორც ვიცით აღნიშნავს, რომ იგი „დაღვა მოსკოვასა ყრუსასა“⁴⁵. უნდა ვიკულისხმოთ, რომ მეცნიერს ჰქონდა რაღაც საფუძველი, როდესაც ჩვენთვის საინტერესო ძეგლს VIII ს. პირველ ნახევარში არსებულად თვლიდა.

ზემოხსენებული ციხესიმაგრეები რომ აღრეთეოდალურ ხანს მიეკუთვნება, ბოლოს და ბოლოს ისტორიული გოგორაფიის თვალსაზრისით მათი შესწავლითაც ცხადი ხდება. ჩვენ თვის ადგილის უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ქართული წყაროების მიხედვით ქართლის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთანავე შეიძლება.

ლილი იქნა კ. მელითაურის მოქ. მაკისციხე, მისი აზრით, ვებული უნდა იყოს არაუგვიანეს IX ს-სა. იბ. მასი, Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии. II, 1971, с. 20—27.

⁴¹ ქცა, I, გვ. 298 და 306.

⁴² Г. Н. Чубинашвили. დასახ. ნაშრომი, გვ. 411—416.

⁴³ იქვე, 546.

⁴⁴ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 147 და 151. ჩვენი თვალსაზრისით ფრილდ საინტერესოა, რომ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ 1969 წ. ჩატარებულმა დაშვერვითმა ვათხებმა (ხელმძღვ. გ. ლომითათოძე) კვერტერის შიდაციხეში გამოაელინა ტელი ეკლესია, რომელსაც უამდებარებოდა ახალი, დღესაც არსებული ეკლესია. უამდებარებოდა ესეც ციხესიმაგრის დაღ სიძველეზე მიეთითებს. თან ვათხებმით გამოვლენილი ეკლესის და შიდაციხის გალავნის კედლების ურთიერთმიმართვა ხასიათია, რომ ჩვენი აზრით, ორივე ერთლიული წაგებობაა.

⁴⁵ ვახუშტი აღმერა, გვ. 100.

ვა მშართველი წრების სრულიად აშეარა პოლიტიკური კურსი კაცების მთანეთის მოსახლეობის მიმართ, რაც გამოხატებოდა / ენერგიული მცდელობით მთაზე პოლიტიკური გავლენის გაფაცელებისა⁴⁶. ამ მიზნით სამეცნი მესვეურნი პოლიტიკური უზრუნველყოფის გარდა, იდეოლოგიურ იარაღსაც იყენებდნენ წმინდნის ეპისტოლას (მისია). ამით იყო გაპირობებული ის ზემოაღნიშნული ფაქტი, რომ ვახტანგ გორგაძელის დროს მთელი კაცების მთანეთი პოლიტიკურად საბოლოოდ დამორჩილებული ჩაას. მანვე ჩაუყარა საფუძველი მთანეთის ეკონომიკურ ათვისებას, რისი ილუსტრაციაც არის უჯარმის ციხის შენებლობა. ეს ღონისძიებანი აპირობებდა ავრეთვე ქართლის საუკუნოვან პოლიტიკას აღვანეთის მიმართ. VI ს-ში „სირიელ მამათა“ მისიის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს, ჩვენი აზრით, სოციალური და პოლიტიკური ევოლუციით მიღწეული ამ წარმატებების კულტურული რეალიზაცია შეადგენდა. მთელი ამ ინტენსიური პროცესის ბუნებრივი შედეგი იყო ის. რომ IV—V სს-ში მთისა და ბარის „ხევებიად“ დანაწევრებული ქართლი („სომხური გეოგრაფია“) VII ს. პირველ ნახევარში ისეთი ერთეულების კრებულად წარმოვეიდგება, რომლებშიც მთა და ბარი უკვე ორგანულად არის გაერთიანებული (ჰაბიბ იბნ-შასლამას დაცვის სიგელი).

ჩვენთვის საინტერესო ციხესიმაგრების სოციალურ და ეკონომიკურ ფუნქციაზე მათი ისტორიულ-გეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე არა ერთხელ იყო უკვე მითითებული: ეს არის, ერთი მხრივ, ბარის ინტენსიური მეურნეობის ექსპლუატაცია და, მეორე მხრივ, მთის ეკონომიკური ათვისება. ბუნებრივია, მდებარე, რომ მათი წარმოქმნაც სწორედ იმ ეპოქაში ვივარაულოთ, როდესაც აյ ინტენსიურად მიმდინარეობდა ეს ურთიერთგაპირობებული ორმხრივი პროცესი. ყველაფერი ზემოთქმული გვარწმუნებს, რომ ზემოხსენებულ ციხეთა წარმოქმნა ასახავს უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენას აღრეფეოდალური ქართლის სამეცნი ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების გარევევისათვის, აერთოდ კი ქვეყნის ისტორიული ევოლუციის ისეთი კარლინალური საკითხის შეცნობისათვის, როგორიცაა მთისა და ბარის ურთიერთობა. ეს ურთიერთობა, რომლის თვალის მიღევნება, ქართული და უცხოური ისტორიული წყაროების მიხედვით შეიძლება ძევლი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებიდან, აღრეფეოდალურ

⁴⁶ დ. მუსხელიშვილი ი. დაბახ. ნაშრ., გვ. 48.

ეპოქაში მთავრდება ინტენსიური სოფლის მეურნეობის მქონე ძარის მცირებულების უპირატესად ექსტენსიური მეურნეობის მატარებელი მთის ეკონომიკური ათვისებით⁴⁷. რა თქმა უნდა, ზემოქმედებული ცისქისიაგრეები შესაძლებელია ერთდროული მიმწერებების მასში არის, მაგრამ მათი ისტორიულ-გეოგრაფიული ფუნქციის დღინტურობა მიუთითებს, რომ ისინი ერთი ეპოქის წარმონაქმნებია.

ამგვარად, ზემოაღნიშნული ციხესიმაგრეების წარმოქმნა მათი „შესავლითურთ“ მოასწავებს იმ ხანგრძლივი ისტორიული პროცესის დასასრულს, რომლის შედეგად მთა და ბაზი ერთ ფეოდალურ ერთეულად, ერთ „ქუფანად“ გაერთიანდა. ეს პროცესი VIII ს. პირველი ნახევრისათვის, ძირითადად, დამთავრებულია. რომ ამ დროისათვის აღმოსავლეთი კავკასიონის მთიანეთი, მართლაც, მკვიდრად შემოდის ქართულ ფეოდალურ სამყაროში, ამის მოწმობას კვლავ „ქართლის ცხოვრება“ იძლევა: არჩილი „დაჯდა წუქეთს, და აღაშენა კასრი, და ჰევსა ლავუასტრიასა აღაშენა ციხე და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებობა ვანტანგ მეცისა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნძთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წალებად წუქეთი“⁴⁸. ზემოთ ქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, ძნელია ეჭვის მიტანა ამ ჩევნების ზოგადი სიტუაციის სიმართლეზე.

ყველაფერი ზემოთქმული საერთოდ, ხოლო კერძოდ კი, ჩვენთვის საინტერესო ციხესიმაგრეთა დამახასიათებელი ლოკალიზაცია იმ მაგისტრალურ ტრასებზე, რომლებიც აკავშირებენ კახეთ-ჰერეთის ბაზს მთიანეთან და ამისთანავე წარმოადგენენ „ცხერის გზებს“, მოწმობს აგრეთვე იმას, რომ ეს უკანასკნელი საბოლოოდ იმავე აღრეფეოდალურ ხანაში ჩამოყალიბდნენ. რა თქმა უნდა, ამ ტრასების ჩამოყალიბების პროცესი, როგორც ჩევნ უკვე აღვნიშნეთ, ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი პროცესია, რომელიც დაკავშირებულია ქართლის სამეცნოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებასთან. გვაძეს საბუთი ვივარაულოთ მათი არსებობა ძვ. წ. პირველ საუკუნეში⁴⁹, არქეოლოგიურმა ძიებამ ამ

⁴⁷ ამისი ნიშანდობლივი მოწმობა VI—VII სს. ბიჭანტიური ოქროს მონეტების და VI ს. სასანური ვერცხლის მონეტათა განვების აღმოჩენები საქართველოს მთიანეთში (იხ. ზემოთ).

⁴⁸ ქ' ცა, I, გვ. 243.

⁴⁹ შესაძლებელია იყერის აღვანეთთან ხანგრძლივი პოლიტიკური ურთიერთობის ძირითადი მიზეზების გათვალისწინების შედეგით (იხ. ჩემი. „უკარმა“) ასე 104

პროცესის დასაწყისი, შესაძლებელია, კიდევ უფრო შორის გადა
იტანოს⁵⁰, მაგრამ ამ ტრასების ერთობლივი და საბოლოო ჩამო-
ყალიბება, როგორც ერთ ფერდალურ-ტერიტორიულ უკუმარესობა
ბაზი გაერთიანებული მთისა და ბარის ურთიერთობის უკანასკნელი
რელი ფაქტორისა, ჩვენი რწმენით, მთავრდება აღრეფეოდალურ
ხანაში.

4. მთისა და ბარის „ხევების“ ერთ მთლიან „ქუყანად“ ჩა-
მოყალიბება. რა თქმა უნდა, საერთო პროცესია, რომელიც აღრე-
ფეოდალურ ხანაში ისტორიულ-გეოგრაფიული ცვლილებების ძი-
რითად ტენდენციად უნდა ჩაითვალოს. იგი არ არის დამახასიათე-
ბელი მხოლოდ კახეთ-ჰერთისათვის ან თუნდაც აღმოსავლეთ სა-
ჭართველოსათვის: ეს არის საერთო სოციალური და ეკონომიკური
განვითარების შედეგი აღმიგატურად გამოხატული ქვეყნის ისტო-
რიულ გეოგრაფიაში.

ქართლშიც იგივე პროცესი მიმდინარეობს.

ხემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ „სომხური გეოგრა-
ფია“, რომელიც აღრევერისტიანული ქართლის (ივერიის) პოლიტი-
კურ სურათს გადმოვცემს, სხვათაშორის, ასახელებს ორ „ხევს“,
რომელთაგან ორივე ქსნის ხეობაშია: ერთია საკუთრივ „ქსნისხე-
ვი“, მეორე — „ცხრაძმისხევი“. პირველი, ფაქტორულ, არის ბა-
რის ქვეყანა ინტენსიური მეურნეობით, კერძოდ, მევენახეობით;
მეორე მთის ქვეყანაა, განვითარებული მესაქონლეობით⁵¹. და აი,
„ძეგლი ერთავთა“ ცხრაძმისხეველთა ისტორიის გადმოცემისას,
დასაწყისშიც გვაუშევდეს: „მას უამსა (მემატიანის აზრით VI ს-
რი. — დ. მ.) ცხრაძმის ქვეელი ბრძოლილ იყუნეს ციხესა გრუ-
სასა ხუთ თუე⁵². ვფიქრობთ, ბუნებრივია, თუ ამ ბრძოლას ქსნის-
ხეველთა (გრუი „ქსნისხევია“) და ცხრაძმისხეველთა შორის
სწორედ მთისა და ბარის ურთიერთობის ასპექტში განვიხილავთ
და, ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ მემატიანის გადმოცემით
ბრძოლის ეს ციზოლი ცრუელთა დამარცხებით დამთავრდა⁵³,

გვიაზროთ სტრაბონის ცნობა (XI, 4) იყერილთა კამბისნე-კამბერიანში მოსახლეო-
ბის შესახებ.

⁵⁰ იხ. შ. შ. დედაბრიშვილი. Памятник эпохи ранней и средней
бронзы. ТКАЭ. 1, 72—75.

⁵¹ იხ. გ. გვ. ა. ს. ა. ლ. ი. ა. ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხე-
ბი. გვ. 20—26.

⁵² „ძეგლი ერთავთა“. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძი-
ხელი დაერთო შ. მ. ე. ს. ს. ი. მ. შეკვ. ნაკ. 30, 1954, გვ. 344.

⁵³ იქვ. გვ. 345.

განვიხილოთ მაინც, როგორც ბარის გაულენის გაურცელების საწინააღმდეგო ჩეკქეცია. ამას, ჯერ ერთი, სა უნდა მოწოდოდას, რომ ცხრაძმისსხველებმა, რომელთაც როსტომ ბრძოლუნდა, დამარებით აიღეს გრუელთა სამი ციხე, „დააქცივნის“ დროინდებოდა კუვლით ზღუდით და ნაშენებითურთ მისით⁵⁴, ცხრისა, როგორც ყორაპოსტები ბარის გაელენისა მთაში. ამავე მოწმობს ამ ურსიერთობის შემდგომი განვითარებაც, რის შედეგადაც VII ს. ნახევარში დამოწმებული გვაქვს მხოლოდ „ქსნისხევი“, რომელიც, ჩევნი აზრით, ამ დროს უკვე უნდა მოიცავდეს „ცხრაძმისხევსაც“ (იხ. ზემოთ, I, 2). ნიშანდობლივია მემატიანის მიერ ამგვარი ურთიერთობის („ქსნისხევის“ და „ცხრაძმისხევის“ ბრძოლის), VI ს-ში წარმოდგენა, რაც ზემოხსენებულის შედეგ სავსებით რეალური ჩანს. ხოლო მისი (ამ ურთიერთობის) რეალურობის მატერიალური საპუთია ზემოხსენებული გრუის ციხე ქსნის შენაკად ალევის ხევზე და ქსნის ხეობის მთისა და ბარის საზღვარზე იგებული „ქსნის დასავლით კლდესა ზედა... ციხე დაბასა წირქვალს“⁵⁵. ორივე ეს ციხესიმაგრე ადრეფეოდალურ ხახაში, მაინცდამაინც, X ს-ში უკვე ასებობდა⁵⁶. მართლაც, დღესაც არსებული, გვიანდეოდალური ხანის წირქოლის ციხის კედლების წყობაში ბერხდება არა სამშენებლო პერიოდის გამოყოფა, რომელთაგან უძველესი წესაძლებელია სწორედ ადრეფეოდალური პერიოდისა იყოს⁵⁷.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ანუ ევრისის სამთავროს ექვთიერი პროცესი მიმდინარეობდა და, როგორც ჩანს, იმავე პერიოდში. კერძოდ, VI—VII სს. უცხოურ წყაროებში მოხსენიებული ევრისის ციხეებს (წერელდა, ჩხალთა, ბოკერი, თავკერის თუ სვანეთის ციხეები და სხვ.) დაახლოებით ავივე სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები უნდა ჰქონდათ, როგორც ივერიისას. მაგრამ აქ განვითარების პროცესი მაინც სხვაგვარად წარიმართა. კერძოდ, მთისა და ბარის ერთ ფეოდალურ ერთეულად შერწყმის ტენდენცია აქ ისე მკვეთრად არ იყო გამოხატული, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში (მაინცდამაინც, ქართლ-კახეთში). ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიწეზი უნდა ჰქონდა.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ ვ. ა. ხ. უ შ. ტ. ი. ალექსანდრე, გვ. 68.

⁵⁶ ქ. ვ. I, გვ. 275.

⁵⁷ პ. ზ. ჭ. ქ. ა. ა. ქსნის ხეობის ციხესიმაგრეები. საქ. მუშეუმის მოამბე, XVI-B, 1950, გვ. 182—184.

სანამ დასავლეთი საქართველო ინტებისიური ისტორიული განვითარების საფუძვლი საველე მუშაობის შედევებად სათანადოდ არ იქნება, შესწავლილი, მანამდე, ცხალია, საბოლოო პასუხის გაცემაზე მარტინ შეკვეთის; ეს შეუძლებელი იქნება, მაგრამ სავარაუდოდ შეიძლება შეკვეთის დრო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სამისოდ უნდა ყოფილიყო დას. საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის სპეციფიკა. მართალია, ჩვენ ვიცით, რომ მოხერისის (ვაკე იმერეთის) ფლობა უქმდებონ-ჭრასის ციხეებით ურთ, ფაქტიურად, ნიშნავდა სვანეთისა და ლეჩხემის მორჩილებაში ყოლს; ვიცით, ოუბარისკენ საკომიტენიკაციო ცხების გადაკეტვა რამდენად დიდ ზოანს აყანებდა სვანეთს⁴⁸, მაგრამ მაინც, ვფიქრობთ, რომ ბარისა-გან მთის დამოკიდებულება დას. საქართველოში შედარებით აღმოსავლეთთან ნაკლებად მციდრო იყო. მართლაც, ვახუშტის ენიორომ ვთქვათ, „საშიშლოსა და სახმარს“ გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები, განსაკუთრებით კი თუშები, თავისი ეკონომიკის ძირითადი დარგით ე. ი. ფაქტურად, ძირითადი საარსებო საშუალებებით იყვნენ დაკავშირებულნი ბართან. მის გამო თუშ-ფშავეცესურების მორჩილებაში საყოლად მეფეს იარაღის ხმარება კი არ სცირდებოდა, არამედ მხოლოდ ერთი პირობის შესრულება: „რათა ცხოვარნი მათნი უკნიდ მმოვარ-იყუნენ კახეთს!“ ასეთი უითარება არ გვაქვს დას. საქართველოში: მართალია, სვანების ეკონომიკაც, უმშეველად, დაინტერესებული იყო ეგრისის ბარით, რაზედაც პროკოპი კესარების ცნობა გვაჩრენებს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მათი ძირითადი საარსებო საშუალებანი მათვე ხელში იყო (მემინდევრება, მესაქონლეობა).

ამგვარად, ის გარემოება, რომ აღრეფეოდალური ხანის დას. საქართველოში არ მოხდა მთისა და ბარის მხარეთა გაერთიანება ცალკეულ ფეოდალურ ერთეულთა ფარგლებში, არამედ, ფაქტურად, მთისა და ბარის ქვეყნები ჩიმოყალიბდა, როგორც ერთმანეთისაგან დამოკიდებული ისტორიული გვერდის ერთეულები: ეგრისი, სვანეთი, თავუერი (რაჭა-ლეჩხემი), არვეთი და სხვა. გარევეული დოზით გაპირობებული იყო ეკონომიკური ფაქტორით. მაგრამ აქ სხვა მიზეზიც მოქმედებდა, რის შესახებაც ქვემოთ ვილაპარავებთ.

ზემოხსენებულ ციხესიმაგრეთა მშენებლობა, რა თქმა უნდა, გამონაკლისი არ იყო. პირუკუ, აღრეფეოდალური ხანისათვის, სა-

⁴⁸ იბ. დ. მუს ხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გვოგრაფიის ძირითადი საკონკრეტო, I, გვ. 142—143.

ერთოდ, და, კერძოდ, ჩეენთანაც დამახასიათებელია უზექსივგრეთა ინტენსიური შენებლობა⁵⁹. ზოგი მათგანი, როგორც ჩვეულთად, წოფის ციხე ძველის ტრანსფორმაციის წარმოადგენს⁶⁰ ზოგი — ახლად შენდება. ისრინ წარმოადგენენ თავისუფრთხოების უზელი საზოგადოების დამორჩილების, ე. ი. ფერდინანდუს უსამარტინ ერთობის მთაში გავრცელების მძღვანელ საშუალებას.

თუ რას გულისხმობს თავისუფალი თემისთვის ციხესიმაგრის ავება, ამას ნათლად ვიჩვენებს „ძეგლი ერისთავთა“. მემატიონის გაღმოცემით ამბავი ეხება VI ს-ს: ოსეთში მომხდარი შინაგანი შუოთის გამო „მეფეთა შორის მათთა“ უმცროსი შტოს წარმომადგენლები „როსტომ, ბიბილა, წითლოსან და ძენი მათნი საშეოცდათითა მონითა კეთილითა“ გადმოდიან „შეუყანასა დვალეთისასა. მაშინ შეკრბეს ყოველნი დვალნი და თქუეს: არა გვნდა მეფე მჯდომარე ქუეყანასა ჩუენსა, რათამცა შემვამდა ჩუენ. ხოლო მათ (თ)ქუეს ფიცითა მტკიცითა, ვითარმედ; არა გუერქუას მეფე, არამედ ქუეყანასა მას, რომელ მომცეთ სახელი მისი გუერქუას ჩუენ. მაშინ მისცეს ქუეყანაა ბობალეთად და უწოდეს ბიბილურნი. და იშყეს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ-დიდებისა, რომელ ეგვეითარი არა იყო ქუეყანასა დვალეთისასა.

მაშინ გულისქმა-ყვეს დვალთა, შეკრბეს და თქუეს: ვხედავთ, ეითართა საქმითა იშყეს შენებად ოვსთა მათ მეფეთა... და შემდგომად მცირედისა ეუფლნეს ყოველსა ქუეყანასა ჩუენსა; და შართუეთა სხმამდის და ბოლომთა დაბმამდის განვაძოთ ორთავი გუელი მუცლით ჩუენით. ალიყვანეს და მოასხენეს კევსა ისროლისასა, ნაკაფუანს როსტომ და ყოველნი ძმანი და მონანი მისნია.

ზემომოტანილი ამონაწერი არის კლასთა ბრძოლის, კერძოდ, ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბების წინააღმდეგ თავისი სუვერენული უფლებების შენარჩუნებისათვის თავისუფალი თემის ბრძოლის შესანიშნავი დოკუმენტი. აქედანვე აშკარად ჩანს ციხის შენებლობის სოციალური ფუნქცია.

სწორედ ჩეენთვის საინტერესო პერიოდს, ადრეფეოდალურ

⁵⁹ „ადრეფეოდალურს“ ეს ის პერიოდს ვუწოდებდი გარკვეული მიზეზის გამო (იხ. ჩემი, დასახ. ნაშრ., გვ. 4). სინმდვილეში ამჟამად ის აშრისა ვარ, რომ ზემოხ-სენებული პროცესი ცახესიმაგრეთა ინტენსიური მშენებლობისა განვითარებული ფეოდალიზმის მაუწყებელია.

⁶⁰ გ. ცემატი ვალი, წოლი. „საქართველოს ისტორიული გოგრაფის კრებული“, I, 1960, გვ. 92.

⁶¹ „ძეგლი ერისთავთა“, შ. მესხის გამოცემა, გვ. 344.

ზანას უნდა განეცილებოდნენ კახეთის არა მხოლოდ ზემოსახურე-
ბული ციხესიმაგრეები (ცვეტერა, პანკისი, „თოროვას გალავანი“),
„ლოპორტის ციხე“), არამედ ისეთი ნაგებობებიც, როგორიცაა ჭო-
ჭორმის ციხე და მანავის ციხე ივრის ხეობაში, საცისქუებლის ციხე
თურდოს ხეობაში, ჭერემი, ველისციხე, ვეჯინი, „ნოსორნის ცი-
ხე“, ტურისციხე, ჯუარისციხე, მაჭი, ხორნაბუჯი⁶² აღაშნის ველზე
და აგრეთვე სხვა, ჯერ კიდევ მისაყვლევი, ძეგლები. ეს მოვლენა,
რა თქმა უნდა, მხოლოდ კახეთისთვის კი არ არის დამახსოათე-
ბელი, არამედ მერმინდელი საქართველოს მთელი ტერიტორიის-
თვის⁶³. ციხესიმაგრეთა შენებლობა აღრიცველდა ლური ხანის
მთელ პერიოდს (X ს. ჩათვლით) მოიცავს, მაინცდამინც, მისთვის
არის ნიშანდობლივი და აღნიშნავს ტეხილს არა მარტო ისტორი-
ული გეოგრაფიის, არამედ სოციალური განვითარების თვალსაზ-
რისითაც.

სწორედ ჩვენთვის საინტერესო პერიოდს, კერძოდ, VIII ს. შუა ხანებს და შემორე ნახევარს გულისხმობს მემატიანე, როდესაც აღნიშნავს: „ხოლო ამიტიდან იწყო შემცირებად მეფებისამან დადთა მეფეთა ხუასროანთამან (არჩილის ჩამომავლებზეა საუბარი.— დ. მ.). პირველად, უფლება სარკინოზთა განდიდნა და მიერითვან მიეცა ყოველი ესე ქუეყანა უამითი უამად რბევასა და ოჯრებასა⁶⁴.

«2 ბოკორმის ციხე X ს. დასაცურავში უკვე მოქმედი იქნეა (იხ. ქუ, I, 263 268 და სხვ.), ხოლო ღლების შემორჩენილ შეს ნანგრევებში სუვერ, როგორც მათვის ციხისაში, გამოიჩინა ძველი, როგორც ჩანს, სურარედ აღრეფვიდანური ხასის სა-მეცნიერებლო პერიოდი (იხ. Г. Н. Чубинашвили. Архитектура Кахетии, გვ. 521—524.). მაკრისა და ტურისციხისათვის იხ. კ. მელითაურის დასახ. ნა-შრომს.

⁶⁴ შართლაც, როგორც კიცით (ის. ზემოთ), სუორედ VIIIს. ღამაშეც ისლამ ჩეინ-ტელება შემოსევიში.

შეორედ, იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას”⁶⁵.

ვეიქრობთ, რომ ზემოსხენებული ციხესიმაგრებული ენტერტენინგი შემატანისეული მთავრების რეზიდენციებს წარმოადგინებული ეჭი თვალსაზრისით ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ ნაგებობათა შენებლობის, როგორც ქვეყნის სოციალური განვითარების გარევეული ეტაპის, ზემოთ (იხ. აქვე, გ 3) ნაფარადევი დასასრული (VIII ს. პირველი ნახევარი) ქრონოლოგიურად თანხვდება მეტატიანის მაერ აღნიშნულ „სიმრავლესა მთავართასა ქუეყანასა ქართლისასა“. ასე რომ ეს ციხესიმაგრები ამ მოვლენის მატერიალურ დასაბუთებას უნდა წარმოადგენდნენ.

ასეთი ვითარება, როგორც აღვნიშნეთ, საერთოდ დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო აღრეფეოდალური საქართველოსათვის. მართლაც, თუ კახეთის და ჰერეთის ზემოსხენებული მატერიალური კულტურის ძეგლების, კერძოდ, ციხესიმაგრების შესწავლა ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით იძლევა იმის საშუალებას, რომ ამდროინდელი სოციალური განვითარების გარევეული სურათი აღვაღინოთ, ქართლის სახელმწიფოს მეორე უკიდურესი წხარისთვის ჩვენ საამისოდ სრულიად სხვა ხასიათის წყარო გავვაჩნია. მხედველობაში გვაქვს ბასილი ზარზმელის თხშულება „ცხორებად და მოქალაქობად ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა შაბისა ჩუენისად სერაპიონისი“.

ქველი ქართული ლიტერატურის ამ შესანიშნავი ძეგლის დაწერის თაობიზე და მცში ასახული სამცხის სოციალური სურათის ქრონოლოგიაზე, როგორც ცნობილია, დღემდე საბოლოო აზრი არ არსებობს. ბოლო დრომდე გაბატონებული იყო ის მოსაზრება, რომ თხშულება დაწერილია X ს. პირველ ნახევარში, ხოლო იქ ასახული სოციალური ვითარება IX ს. მეორე ნახევარისაა⁶⁶.

სულ უკანასკნელ ხანს კვლავ აღორძინდა აღრევე გამოთქმუ-

⁶⁵ ქარ., I, გვ. 250. შდრ. ს. ფანაშ ი. შრომები, II, გვ. 392.

⁶⁶ ი. გ. ფანაშ ვილ. ა. ძეგლი ქართული სასტორო მწერლობა. თბ., 1921, გვ. 111—124; ე. თაყაიშ ვილ. ა. შენიშვნები ზარზმის ცელესისა და მის სიცელეთა შესახებ, ტულისის უნივერსიტეტის მომზე, 1, 1939, 105—125; კ. კაკალ ი. ე. აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935, გვ. 99—137.



ლი მოსაზრება, რომ თხზულება დაწერილია VII ს-შე და ასახული VI ს. ბოლოსა და VII ს. დასაწყისის სამცხის ვითარების გრაფიკული ერთი რამ ცხადია: სერაპიონ ზარზმელი არ არის 1X ს. მოლვაწე და მისი „ცხოვრება“ უფრო ძველ ვითარებას ასახეს⁶⁷. ამის დამადასტურებელია თვით ის სოციალური ურთიერთობის სურათი, რომელიც ამ თხზულებაშია გადმოცემული და ნიშანდობლივია სწორედ იმ გარდამავალი ხანისთვის, რომელსაც „ქართლის ერისმთავრობის პერიოდი“ შეიძლება ვუწოდოთ, ე. ი. მაინც დამაინც VI—VIII სს-თვის⁶⁸, როდესაც ქართლი თითქმის დამოუკიდებელი სამთავროებისაგან (ძველი საერისთავოებისაგან) შედგებოდა. მართლაც, „მთავარი დიდი და წარჩინებული ქუცავანასა ამას (ე. ი. სამცხეს. — დ. მ.) რომელი ყოველთა პმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაჟთათა, რომლისა სივრცე საზღვართ-ვრცელ და მრავალ იუკ“, გიორგი ჩორჩაშვილი, „მრავალთა ტაძართა და კარავთა“ მფლობელი, „მთავართა საკუთართა“ (ე. ი. ვასალთა) პატრიონი⁶⁹, სრულიად დამოუკიდებელი სუზერენი ჩანს თავისი „საბრძანებლისა“. გიორგი ჩორჩაშვილი არ არის მხოლოდ შევაბლიანის ხევის მთავარი⁷⁰. მის სამცველოს, როგორც ჩანს, კოდერძის ხევიც შეადგენს⁷¹. ივი თავად აცხადებს თავისი სამფლობელოს შესახებ, რომ „არავინ შინააღმდეგომ ჩუენდა ასე ადგილთა ამათ“⁷². შესაძლებელია, მისივე ვასალები იყვნენ „სხუანიცა ბეთავარნი... გარემოთა ადგილთანი“⁷³. ჩვენი ვარაუდით გიორგი ჩორჩაშვილი „ქუცავანისა სამცხისა“ მთავარი უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც მისი მემკვიდრე აგრეთვე „დიდი მთავარი მირიანი, ძც ბეჭედ ბაპტაუნდისა(ხ)“⁷⁴. ასეთი დამოუკიდებელი ან თითქმის დამოუკიდებელი სამთავროების არსებობა, როგორც აღ-

⁶⁷ 3. ინ გო რო ყ ა. გიორგი შერჩელე. 324—339; ა. ბო გვ ე რ ა-დ ე. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ თარიღისათვის, „მაცნე“, 3, 1964, გვ. 50—69) (იქვე, ლიტერატურა საკითხის გარშემო).

⁶⁸ ა. ბო გვ ე რ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 60.

⁶⁹ შდრ. პ. ინ გო რო ყ ა. დასახ. ნაშრ., გვ. 339.

⁷⁰ ძველი ქართული ეკონომიკური ლიტერატურის ძეგლები, შეგ. I, 1964 გვ. 324—325 (ქვემოთ: ძველები).

⁷¹ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები, II, გვ. 392.

⁷² ძეგლები, I, გვ. 329.

⁷³ იქვე, გვ. 328.

⁷⁴ იქვე, გვ. 333.

⁷⁵ იქვე, გვ. 339. შდრ. პ. ინ გო რო ყ ა. დასახ. ნაშრომი, გვ. 336.

ნიშნული იყო, VI—VIII სს-თვეისაა ნიშანდობლივია⁷⁸, უფრო კი
ამ პერიოდის ბოლოსთვის, როდესაც ქართლის ერისმთავრის
მინშვნელობა ეცემა. კერძოდ, სწორედ არჩილის ქართლის მთავრობის
პერიოდია მინენული საამისო გარევეულ მიჯნადას. მათთვის სამცხე-ჭიათურებულ
ისიც შეგვიძლია მოვიტანოთ, რომ იმდროინდელი საქართველოს
კილევ ერთ პროვინციაში VIII ს. 30-იან წლებში „იუნეს წვი-
დანი ეს მოწამენი დავით და კონსტანტინე ქართულნი, სანახე-
ბისაგან არგულთისა დიდნი და დიდებულნი ტომებითა და მთავარ-
ნი ქუცყანისანი“⁷⁹. ეს მთავრებიც სრულიად დამოუკიდებელნი
არიან, ჰყავთ საკუთარი ვასალები — „ვიეთნიმე შემდგომნა მთ-
ნი“. ერთ-ერთი მთავართაგანი, კერძოდ, დავითი, არის „თავი ამის
ქუცყანისა“⁸⁰, ე. ი. არგვეთა.

„ უეპველია, რომ სამცხის ყოველი მთავარი ციხესიმაგრის და
შინშენელოვანი ტერიტორიის მფლობელი იყო, ხოლო დიდი მთავ-
რები ფლიბდნენ რამდენიმე ცახესიმაგრეს და მთელ „ქვეყნებს“⁸⁰.
ბუნებრივია, ამიტომ კახეთ-პერეთის მატერიალური ძეგლებით გა-
ძოხატული სოციალური განვითარების სურათი შევავსოთ სამცხის
ლიტერატურული წყაროთი დახასიათებული ასეთივე სურათით,
ორივე ერთი ეტაპის სხვადასხვავი გამოვლინებად ვცნოთ, და,
ამდენადვე, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ორივე VIII ს. ვი-
თარების ამასზელად მიიჩინოთ⁸¹, როდესაც „მთელი ქართლი

⁷⁷ සායුංචිතුවෙන් මූල්‍ය, I, 1958, 33- 110.

⁷⁸ საქართველოს სამინისტრო, 324.

79 of 30, 33, 325—326.

⁵⁰ „არმიურ მთავრობა გერ იყო რათა აქციულის ჩიმომაცლობა და გვარი იყო და მის მთავრობით ციხე-ქალაქი, სიმაგრე და კუთხი, და თუნისი ამის არა ისახელვა-ზოლა მთავრობა“ (ვ ა ხ ე შ ტ ი. ლექტ., გვ. 14).

ს კერძო საუბარში ა. ბოგვერაძემ ვაგილიარა, რომ იგი მცირდლ იქითეკ იხრება, სერაპონის „ცხოვრებაში“ ასახული ეთიარება VIII ს. შეორე ნახევრისად მიიჩნიოს. ს. ჯანმისა მ კოლექს VIII — IX სს. მიწნოთ თარიღილებდა (იხ. მისი, სტომები, II. 392, შტრ. ა. ბოგვერაძე ერას ნაშრომი. 59.). სულ უახლსნელ ხანში ვამოითება ასეთივე მოსაზრება (იხ. Н. З. Вачиадзе, Житие Серафиона Зарзмели как источник по истории раннефеодальной Грузии, Автографат. 1969, с 9—10. თუმცა იგვე ვერორი ერთი წლის შინ ფიქრობდა, რომ თხზულება ასახავს IX—X სს. ეთიარებას, (იხ. მისივე, სოციალური ტერმინოლოგია

თურაცხელი სამთავროების კრებულს წარმოადგენდა და თვით ქართლის ერისმთავარიც ერთ-ერთი ასეთი „მამაუფალი“ იყო. თუმცა კი პირველი და უძლიერესი სხვა „მამაუფალის“ შემთხვევაში მარტინ და სოფიალური განვითარების ის ინტენსიური ტურდეტესტება
და გარევეცლი ტეხილი, რომელიც მეღაენდება აღრეფეოდალური ხანის ისტორიული გეოგრაფიით, დასტურდება კიდევ ერთი უაღრესად საინტერესო მოვლენით: ჩადიკალური ცვლილებით სოციალური ვითარების ამსახველ ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინოლოგიაში.

კარგა ხანია აღნიშნულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ უძველეს ქართულ მწერლობაში იმ მნიშვნელობით, რომლითაც ჩვენ დღეს ვხმარობთ სიტყვა „ქვეყანას“, იმარებოდა „სოფელი“, ხოლო ამის პარალელურად „ქუეყანა“ აღნიშნავდა დედამიწას, ხმელეთს, მიწას. ასეთი ვითარებაა დაახლოებით VIII ს. ბოლომდე. IX—X სს-იდან შოკოლებული „სოფელი“ და „ქუეყანაც“ უკვე დღვევანდელი მნიშვნელობითაც იხმარება, ე. ი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ „ქვეყანა“ თავის თავდაპირველ მნიშვნელობას კარგას და „სოფელის“ ძველ მნიშვნელობას იდენტ. ამ მეტამორფოზის პირობით, მაგრამ მაინც გარკვეული მიზნაა VIII საუკუნე⁵³.

რაც შეეხება ტერმინს „სოფელი“, ეპერი არ არის, ვიდრე იგი უძველეს ბანაშივე მიწაწყლის (დღ. ქვეყნის) და მსოფლიოს მნიშვნელობას შეიძენდა, კიდევ უფრო ძველად, „თავდაპირველად“, ვიწრო მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო. კერძოდ, სავარაუდოა, იგი აღნიშნავდა წინაკლასობრივი საზოგადოების, პირველყოფილი ოემური წყობილების გარკვეულ სოციალურ უკრედს (ტერიტორიალურ თუ კიდევ უფრო ძველ თემს) და მის ტერიტორიას⁵⁴. „სოფელი“ რომ მხოლოდ ტერიტორიის აღმნიშვნელი არ იყო, ამას კარგად ამოწმებს, სხვათაშორის, სვანური დოკუმენტური მასალა. საილუსტრაციოდ საკმარისია ერთ-ერთი ეკლესიის წარწერა სვანე-

ბასილი ზარზმელის „სერაპონ ზარზმელის ცხოვრების“ მიხედვით, „მაცნე“, 2, 1968, გვ. 129—146).

⁵³ საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 121.

⁵⁴ ი. ვ. ჯავახიშვილის შემთხვევაში ერთ სტორი, შეგ. I—II, 1913, 230, 252; მასივე. ქართველი სამართლის სტორი, შეგ. I, 1927, 139—140; შეგ. II, 1928, 6.

⁵⁵ ს. ჯანაშვილი. შრომები, I, გვ. 282, 285—286; Г. А. Меликиშვili. Истории, 399.

8. დ. მესხელიშვილი

თიდან: „წ’ო მთავარანგელოზო აღიდენ მეფენი... და მარიანი და დიდებული და ერთობილი საქართველო, და ერთობილი სეანნი და კევი ლატალისა და აღმენე მაშენებელი მარიანი მართვული ლაილისა“⁸⁵ აქ „სოფელიც“ და „პევიც“ სოციალური კუმისმახუჭური ბია და კარგად ჩანს, რომ „სოფელი“ „პევის“ შემადგენელი ნაწილია. დღესაც ხომ „სოფელი“ ისმარება სოფლის მოსახლეობის, სოფლელების აღსანიშნავად⁸⁶.

ამგვარად, „სოფელი“, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი, შეიცავდა ორ, სოციალურ და ტერიტორიულ მომენტს. მეორე მხრივ, „სოფელი“ როგორც პირველყოფილი თემერი საზოგადოების წილში წარმოქმნილი ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი, უნდა ვითიქროთ წარმოადგენდა მიწაზე კოლექტიური მფლობელობის თუ საკუთრების გამომხატვილ სახელწოდებას. ამ საზოგადოების განვითარებასთან ერთად მისი შესაბამისი სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულის ზოგად სახელწოდებად, ვიდრე საკუთრების ფორმა არსებითად არ იცვლებოდა, კელაც „სოფელი“ უნდა დარჩენილიყო, მხოლოდ მდიდრულებოდა და ფართოვდებოდა ამ ტერმინის ისტორიულ-გეოგრაფიული მინარები და. ამდენად, „ხევიც“, ფაქტიურად, „სოფელი“ იყო და მთელი შსოფლიოც⁸⁷.

ის გარემოება, რომ IX ს-იდან ტერმინ „სოფლის“ მაგივრად შემოდის ტერმინი „ქუეყანა“ შემთხვევითი მოვლენა არ არა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ „ქუეყანამ“ დაიმკვიდრა „სოფლის“ მხოლოდ ერთი ასპექტი, კერძოდ, ტერიტორიული. მართლაც, „ქუეყანა“ გულისხმობს მიწა-წყალს, ტერიტორიას და ალარ გვლისხმობს იმ საზოგადოებრივ კოლექტივს, რომელსაც ეს მიწა-წყალი ეკუთვნის. მაშასადამე, „ქუეყანა“ მოკლებულია იმ სოციალურ შინაარსს, რომელიც ჰქონდა სოფელს. უველავერი ეს უნდა მოუთითებდეს რაღაც დიდ ტეხილს სოციალურ განვითარებაში, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინოლოგიის ცვლილება.

ჩვენი აზრით, ეს ნიშანდობლევი გარემოება ორგანულად არის დაკავშირებული აღრეფეოდალური ხანის საქართველოს იმ არსებითი ხასიათის ისტორიულ-გეოგრაფიულ ცვლილებებთან, რომ-

⁸⁵ ე. თავარებილი ი. აქეთლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-კვართში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 364.

⁸⁶ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI.

⁸⁷ შდრ. Г. А. Меликишвили. დასახ. ნაშრ., გვ. 400.

ლის ჩვენებაც ზემოთ ჩვენ ვცადეთ მატერიალური მეცნიერების სა-
 ტორიულ-გეოგრაფიული ანალიზის საფუძველშე: ეს უნდა იყოს
 ერთი და იგივე სოციალური პროცესის ორ სხვადასხვა ჰასტერში
 გამოვლინება. კერძოდ, ვფიქრობთ, ეს ორი ერთმანეთშიც-ტაქტიკურ
 რებული მოვლენა არის ანარეკლი და მატერიალური დაღასტუ-
 რება იმ გამშვავებული კლასობრივი ბრძოლისა, რომელიც ამ პე-
 რიოდში ივარაუდება სათემო (კოლექტურ) და კერძო მიწათ-
 მფლობელობას შორის. ეს ბრძოლა, რომლის ეკონომიკური სა-
 ფუძველი იყო მიწის მიტაცება და, კერძოდ, სათემო მიწების და-
 პატრიონება-გამაჯუთობა, როგორც ცნობილია, კერძო მიწათ-
 მფლობელ ფეოდალთა, მთავართა გამარჯვებით დამთავრდა. სპე-
 ციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „X ს.
 დამდეგისათვის საქართველოს მოწინავე თემებში მიწების უდიდე-
 სი ნაწილი უკვე მთავრებსა და ანაურებს ჰქონდათ დაჩემებუ-
 ლი“⁸⁸. სათემო მიწათმფლობელობა, „სოფელი“, იშლება ანდა
 მთლიანად „სოფელი“ შედის ფეოდალის ყმობაში⁸⁹. რომ „სოფე-
 ლი“ გარკვეული დროის ისტორიულ-გეოგრაფიული კატეგორია,
 როგორც ეკონომიკური და აღმინისტრაციული ერთეული, მთლი-
 ანად შედას ამა თუ იმ ფეოდალის, მთავრის ყმობაში ამის შესა-
 ნიშნავ ილუსტრაციას იძლევა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“
 ცნობა „ძარლუელი“ მეთემის შესახებ⁹⁰. ამ თვალსაზრისით ეს
 ცნობა უკვე იყო შეფასებული⁹¹. ჩვენი აზრით, „ცხოვრება“ შე-
 იცავს შეორე შეგავს ჩვენებასაც. მხედველობაში გვაქვს ბერების
 მიერ „ადგილსა რამე ძინებდ სახელ-დეპულსა“ მონასტრის მშე-
 ნებლობის დაწყება. „ხოლო ეუწყა რამ უფალთა მის დაბისათა
 (ხელ.: ო’ ა მის დაბისასა: — დ. მ.), ვითარმედ უცხოთა ეიეთძე
 მონაზონთა პნებაეს ადგილსა მას აღშენებად მონასტრი, ხოლო
 მათ არა ინებეს, რამეთუ იყვნეს ყოვლითურთ მკეცებრივ, უწირავ
 და ბორიტ, რამეთუ არა ინებეს კურთხევად წმიდათა მათგან. ამის-
 თვეს ზედამიერევნეს მათ⁹². საფიქრებელია ეს „უფალნი მის და-
 ბისანი“ (თუ „უფალი მის დაბისად?“) აგრეთვე სასოფლო თემის

⁸⁸ საქართველოს ისტორია, I, 1958, 128; ა. ბოკვერაძე. ქართლის აღრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან. 1961, გვ. 72.

⁸⁹ ა. ბოკვერაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 72.

⁹⁰ „ძეგლები“, I, გვ. 343—344.

⁹¹ კ. კეკელიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 127; მ. ლორთქიძე ანდეკა. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გერმანება, თბ., 1963, გვ. 42—43.

⁹² „ძეგლები“, I, გვ. 324.

წარმომადვენელი არიან, რომელიც, ცხადია, „დიდი მავრის“ გიორგი მორჩინელის ყომბაში არიან და ამდენად კუთხაში — უნდათ კიდევ ერთი ზედმეტი პატრონი მონასტრის სახეობაზე მიმდინარე მათი შიშვი, უსაფუძვლო არ იყო ამას ისიც მოწმობს, რომ როდესაც ზარზმის მონასტერი აშენდა „გიორგი მისცნა ყოველი საქანარი, ჭორები და კარაულები, და რაოდენი რად უქმდა სიმრავლესა მათასა... ვინაც ცა სოფლებიცა მისცნა კაციან მან ღმრთისამან გიორგი, ვიღრემდის ხისწრავე იყო, რამთა ყოველიც აღვილისა მისთვის წარაგოს⁹³“.

ამგვარად, „დიდი იგი მთავარი მორჩინებული“ „წარჩინებული ქუეყანასა ამას, რომელი ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარავთამთა, რომლისა სიერცე საზღვართვრცელ და მრავალ იყო“, „უფალ არს მათ ადგილთა და მპყრობელ ყოველთა შათ სანახებთა“. მისი სამფლობელო „მამული“ მოიცავდა, ზემოჩამოთელილის გარდა, დაყმენებულ სასოფლო თემებსაც, „სოფლებსაც“. როგორც ვხედავთ, „სამოფლო-ტერიტორიულია თემმა, როგორც მიწათმდევლობელობის ფორმაში, დაკარგა თავისი მნიშვნელობა, მაგრამ როგორც მიწათსარებლობის ფორმა; განაგრძობდა არსებობას“⁹⁴. სოციალური განვითარების შედეგად აღრევე „ხევებად“ გაერთიანებული „სოფლები“ ამჟამად სხვა კატეგორიის ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთობებში ერთიანდებიან, რომლებიც პრინციპულად განსხვავდებიან წინაფეოდალური „ხევებისაგან“, რამდენადაც მათი ორგანიზაცია ფეოდალური ურთიერთობისა და საკუთრების საფუძველზეა დამყარებული. ამდენადვე, მისი აღმნიშვნელი ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინიც სხვა უნდა ყოფილიყო, ვიდრე „სოფელი“ (რომელიც სამოფლო თემს გარდა ამ უკანასკნელთა გაერთიანებასაც „ხევსაც“ აღმიშნავდა და „ხევთა“ ერთობლიობასაც⁹⁵) და, მართლაც, ეს ახალი ტერმინიც შეუნებრივი აუცილებლობით გაჩნდა — „ქუეყანა“. სწორედ ამგვა-

⁹³ „ხევები“, I, ვ. 335. თუმცა ცალკე გასარკევედი „დაბის“ სოციალურ-ეკონომიკური ობიექტი და მისი მიმართება „სოფელთან“.

⁹⁴ ა. ბოგერ ა. დ. დასახ. ნაშრ., გვ. 73.

⁹⁵ შემანიკის მარტევილობა: „აზაურინი და უაზონი სოფლისა ქართლისანი („ხევები“, I, გვ. 27). „სომხერი გეოგრაფიიდან“ ვიცით (იხ. ზემოთ, I, 2), რომ ეს „სოფელი ქართლისა“, მაგრამანკ, „ზენა სოფელი“ ხევთა კრებული. ევსტათი მცხეთელის მარტევილობა: „მოვიდა კაციერთი სპარსეთით, სოფლისა არშა დაითია“, მე სოფლისა სპარსეთისად ვიყავ, კევისა არშაკეთისა“ („ხევები“, I, გვ. 30—31).

რი ფეოდალური „ქუეყნის“ უფალია დიდი მთავარი ჭორვი ჩოხა ჩანელი. ასეთივე „ქუეყნების“ ცენტრებად უნდა წარმოვიდგინოთ კახეთ-ჰერეთის და საქართველოს ზემოხუნერებულებული ხესიმაგრეები, რომლებიც, როგორც იყო უკვე აღნიშვნული ქუეყნები ადრეფეოდალური ხანის მთავართა რეზიდენციებად მიგვინა: კიდევ ერთხელ გავიმეორებთ ზემოთ, ამ ციხესიმაგრეთა ისტორიულ-გეოგრაფიული ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნას, რომ მათი წარმოქმნა მთავარების იმ ხანგრძლივი ისტორიული პროცესის დასასრულს, რომლის შედეგად ჩამოყალიბდნენ ახალი ისტორიულ-გეოგრაფიული — ფეოდალური „ქუეყნები“. ამას თვეს მხრივ ადასტურებს ამ პროცესის თანმხლები მოვლენა — მეტამორფოზი ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინოლოგიისა, რომელიც მეტავნდება აღრეფეოდალური ხანის ლიტერატურის შესწავლით. ორივე მოვლენა ხანგრძლივი პარალელური პროცესია, გაგრამ ნიშანდობლივია, რომ VIII ს. ორივესთვის გარკვეულ მიზნას (რა თქმა უნდა, პირობითს) წარმოადგენს.

აյ რომ აღრეფეოდალური ხანის საქართველოში სოციალური განვითარების, მუშავე კლასთა ბრძოლის შედეგად კოლექტიური საკუთარება მიწაზე აღგილს უთმობს კერძო საკუთრებას, სათემო „სოფელი“ აღგილს უთმობს სამთავრო „ქუეყანას“. ნიშანდობლივა და ბუნებრივია ისიც, რომ „სოფელი“ როგორც მიწაწყლის აღმნიშვნელ ტერმინს მაინცდამაინც „ქუეყანა“ შეენცვალა, რომელიც ადრე სწორედ „მიწას“ ნიშნავდა: ფეოდალურ ხანში, როგორც ცნობილია, სიმდიდრის მთავარი წყარო მიწა იყო. ბრძოლა მიწისთვის წარმოებდა. სათემო თუ თავისუფალი მიწების მიტაცება-გასაკუთრების პროცესში წარმოქმნილ ახალ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულს, ბუნებრივია, მიტაცების ობიექტის სახელწოდება შერქმეოდა.

ამ პროცესის მეორე მხარე იყო მთის თანდათანობითი ეკონომიკური დაუფლებაც, რაზედაც ჩენ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ.

ამგვარად, ყველაფერი ზემოთქმული, ვფიქრობთ, ნათელ წარმოდგენას იძლევა აღრეფეოდალური საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული ცვლილებების ძირითადი ტენდენციის დასახსიათებლად: ეკონომიკური აღმავლობა იწვევს ბარში „სოფლების“ გადაშენებას და „ქუეყანათა“ წარმოქმნას. ეს უკანასკნელი კი, მეორე მხარე, გულისხმობს მეურნეობრივად დაწინაურებული ბარის მიერ მთის თანდათან ეკონომიკურ და სოციალურ ათვისებას. ეს იყო, როგორც აღვნიშნეთ, დიდი ტეხილი სოციალური განვითა-

რების მხრივ და საკუთრივ ისტორიული გეოგრაფიის ფასტიზმის
სითაც: ამ უკანასკნელი ასპექტით შეიძლება პირობრთა და ცნობ-
ნოთ, რომ დაიწყო „ქვეყანათა ხანა“.

თ ა ვ ი ს ა ვ ლ ე თ ი ს ა რ ა რ ი ს ა ლ ე თ ი

თ ა ვ ი IV

აღმოსავლეთი საქართველო

(რუკა 3 და 5)

1. ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ VIII ს. დასაწყისი-
დანევე შეიმჩნევა სავაჭრო ურთიერთობის გამოცოცხლება ამიერ-
კავკასიისა და სახალიფოს შორის (იხ. II, 1). ეს ეკონომიკური ურ-
თიერთეაშშირი ამ საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით ბო-
ლო მეოთხედიდან ვიდრე IX ს. 30-იან წლებამდე საქმაოდ გაცხო-
ველებულია¹, რაც კარგად მოწმდება ამ დროის არაბულ ან სამა-
ნურ-არაბული შერეული განძების აღმოჩენათა რაოდენობით² და
განძებში მონეტათა რაოდენობის ზრდით³. ასეთი ვითარება გრძე-
ლდება შემდგომშიც.

ცხადია, საქართველოს ტერიტორიაც ამ მხრივ გამონაცემის
არ შეადგენდა. რამდენიმე არაბული დირაქმი VIII ს. შეორე ნა-
ხევრისა აქაც არის ნაპოვნი (თბილისი, ზაჰესი, წოისი, თრიალე-
თი, დვირი, ბათქრიონი, ახალსოფელი)⁴. განსაკუთრებით საუკულ-
ლებოა ამ თვალსაზრისით არაბული ვერცხლის მონეტათა განძის
აღმოჩენა დას. საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, არგვეთში
(სოფ. სავანე). სავანის განძის ყველაზე ახალგაზრდა მონეტა 785
წლისაა და ე. ი. განძის ჩაფელაც VIII ს. 80-იან წლებში მომხდა-
რა. ამ დროს კი, ცნობილია, რომ არგვეთის სამთავრო ეგრის-აფ-
ხაზეთის ერთიანი სამთავროს ფარგლებში შედიოდა (იხ. ქვემოთ).
ამგვარად, სავანის განძი უნდა მოუთითებდეს არგვეთის ეკონომი-
კურ ურთიერთობაზე არაბულ სამყაროსთან და არა არაბთა პო-

¹ МКА, I, 22; X. A. M u s h e g i a n. დასახ. ნაშრ., ვ. 37.

² იხ. რუკა 3.

³ E. A. P a x o m o v. Монеты Азербайджана, I, 59.

⁴ საქ. მეზ. ნუმიზ. განც. №№ 8548, 8698, 9703, 9721; МКА, I, №86; 111,
№ 802 IV, № 1074. ბათქრიონში აღმოჩენილი დირაქმისა და თბილიში აღმო-
ჩენილი კიდევ ერთი დირაქმის შესახებ ცნობა მოგვაწოდა ი. ჩ. ჭალანი
ა. გ.

⁵ საქ. მეზ. ნუმიზ. განც. № 11848—11915.

ლიტიკურ ბატონობას ამ მხარეში, რა თქმა უნდა. უკონიში—
ური ურთიერთობა ქართლის მეშვეობით უნდა განხორციელდეს/
ლიკო, თავის მხრივ, ჯერ კიდევ სასანურ ხანაში, ვერც უფლება
ნახევარში აღნიშნული მსგავსი ფაქტი არგვეთის პრეზიდენტის
თიერთვაც მიზისა აღმ. საქართველოსთან (იხ. I, 1), აგრეთვე ისა
ვე არგვეთის ტერიტორიაზე, კორბოულში და შორაპანში აღმოჩე-
ნილი IX ს. დირქემების უნდა მიუთითებდეს, რომ ეკონომიკურად
ეს მხარე უფრო ქართლზე იყო დამოკიდებული, ვიდრე ეგრისზე
და სწორედ ეს უნდა იყოს ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ არ-
გვეთი ძელთაგანვე პოლიტიკურად ქართლში შემოდიოდა, ხო-
ლო მისი მოსახლეობის გაქართვა აგრეთვე უძველესი დროიდან-
ვი დაწყო და წარმატებითაც დაგვირგვინდა.

ასანიშნავია, რომ უკიდურესი დასაცლეთი პუნქტი ძველი ეგ-
რისის ტერიტორიაზე, სადაც აღმოჩნდა VIII ს. არაბული დირქები
სოფ. მერია გურიაში¹. თუ მოვიგონებთ, რომ ვიანდელი იმე-
რეთის ტერიტორიიდანვეა ცნობილი ვერცხლის ორი დაუთარილე-
ბელი მონეტა (სოფ. მესხეთიდან და გელათიდან), მშინ შეიძლება
ვივარაუდოთ, რომ VIII ს-ში, როდესაც ეგრისის სავაჭრო-ეკო-
ნომიკური ურთიერთობა ბიზანტიისთან თითქოს შეწყვეტილია².

¹ საქ. მუშ. ნუმიზ. განკ. № 9712; კორბოულისაზე ცნობა მოვაჭოდა ირ. ჭალ-
ლ ა ნ ი ა შ, რომელმაც მექამიან სპეციალური ნაშრომი უძლენა არაბული მონეტე-
ბის ტოპოგრაფიას, იხ. მისი, ქუთავის მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში,
1972.

² MKA, III, № 821.

³ ამასთან დაკავშირებით ფრიდუ საინტერესო ჩანს ერთი ცნობა სერაპიონ ზარზმე-
ლის „ცხოვრებიღინ“, რომელიც, ჩეენი აზრით, VIII ს. ეხება (იხ. III, 4): ძარღუებ-
მა კაცმა ზარზმის მონასტერს მოუტანა შესატრავი „ოქტოსაგონ თლილსა და შემ-
დისა, სახითა პირველთა მეფეთახთა... რიცხვთ... ღრავენი სამისი ხუთითურთ“
(ძეგლები, I, 345). ე. თაყაიშვილის აზრით, „როგორც ჩანს, ეს ბიზანტიური ფუ-
ლი უაფილა, რომელიც მეცხრე საუკუნეში საქართველოში გაერტყალებული იყო
და, რომელზედაც ხშირია ბიზანტიის მეფეთა სურათები“ (იხ. ტრილის უნივერს.
მომბე, 1, 122). იგივე აზრისაა კ. კეკელიძე (იხ. მისი, აღრითდებული ჭულ. ქართ.
ლიტერატურა, 133—134). რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება სავსებით სწორია, მაგრამ
რამდენადაც სერაპიონი უნდა იყოს არა IX, არამედ VIII ს. მოლვაშე, იღენად სა-
ინტერესოა ბიზანტიური ოქტოს ხენება, რადგან, როგორც ეცილ, VIII ს. საქარ-
თველოსათვის ნუმიზმატიკური ლაქუნა ამ მხრივ შესაძლებელია ვამოთქმა—
„სახითა პირველთა მეფეთახთა“ — იმას ნიშნავდეს. რომ საქმე გვიძეს არა
VIII ს., არამედ უფრო ძველი დროს მიერატორთა მონეტებთან. უოველ შემთ-
ხვევაში ეს ცნობა მოწმობს, რომ ბიზანტიური ფულის ტრადიცია ჩვენთან VIII ს-შიც
არ შეუვარილა.

სახალიფო ცდილობს დას. საქართველოს ბაზრის დაუფლებების
მაგრამ როგორც ჩანს, რამე მნიშვნელოვანი წარმატების გრძელება.

ცხადია, ნუმიზმატიკური მასალით გამოხატული ქართული სახურავის
ეკონომიკური ურთიერთობანი ქვეყნის შეინით დამიჭირებული სახურავის
თო სოციალური და ეკონომიკური ევოლუციის ანარეკლი უნდა
იყოს. ამდენადევ სწორია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მი-
ლებული თეზისი, რომელიც ამდროინდელ საზოგადოებრივ და სა-
მეურნეო ურთიერთობათა განვითარების პროცესს ასახავს, რომ-
ლის შედევადაც წარმოიშვნენ მსხვილი სამთავროები⁹.

2. ყველაზე აღრე ქართლის საერისმთავროს უნდა გამოჰყო-
ფოდა ჰერეთის სამთავრო. ამის მტკიცების საფუძველს გვაძლევს
VIII ს. სომეხი ისტორიკოსის, ლევონდის ერთი ცნობა, რომლის
მიხედვით 764 წ. ხაზართა ხაკანი არაბების მიერ დამორჩილებულ
ამიერკავკასიაში აგზავნის ლაშქარს. ხაზარებმა „განაბნიეს თავი-
სი მარბიელები ჩრდილოეთით დიდი მდინარისა; რომელსაც კური
(-მტკვარი. — დ. მ.) ეწოდება, აიღეს მრავალი გვარი: ჰეგარი,
ქალა, ოსტანი, მარჩეპანიანი, ჰაბანდი, გელაეუ, შექე, ბეხი, ხე-
ნი, კამბეგჰანი, ხოლმალი — გავარები ალვანთა ქვეინისა. დაეუფ-
ლენენ აგრეთვე ბალასაკანის სანატრელ ველს, საფაც (იყო) ურიცხვი
სიმრავლე ცხერის ფარებისა და დიდალი ნახირისა, რომელიც
ივარპყვეს. დაიპყრეს აგრეთვე ქართველთა მფლობელობის ქვეჭ-
ნიდან შვილი გავარი: შუჩქი, ქუშქაფორი, ჩელთდი, წუქეთი, ვე-
ლისც(ი)ხე, თიანეთი და (ხ) ერეი¹⁰.“

ამ ფრიად საინტერესო ცნობიდან ჩვენთვის, პირველ რიგში,
საყურადღებოა ის, რომ თანამედროვე ისტორიკოსის ჩვენებით
შაქი, ეხნი (ხენი) და ბეხი (ანუ ქართული წყაროების საკუთრივ
ჰერეთი), აგრეთვე კამბეგჰანი, ე. ი. ყველა ის „ქვეყნები“, რომე-
ლნიც ამავე საუკუნის პირველ ნახევარში არჩილის საბრძანებელს
წარმოადგენდნენ და ე. ი. საერისმთავროში შედიოდნენ, 764
წელს ალეანეთის „გავართა“ რიცხვში იხსენიებიან. თუ გავითვა-
ლისწინებთ იმასაც, რომ IX—X სს. ჰერეთის სამეფო, რომელსაც

⁹ საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 129.

¹⁰ Պատմიკիნ Պ. სინექსაუ მსბეჭ ქართველების ჩაქეთ. II. Պ. სინექსაუ, 1887, 132; ავტორის „კაზხსარნის ჩეზანიერხან Վ. რად“ — შესაძლებელია გა-
ვიყოთ, როგორც „ქართველთა საერისმთავრო ქვეყნიდან“ ხაზართა ეს შემოსვეა
უნდა იყოს აღნიშვნელი ქართულ (ქ'ცა, 1, 249—250) და არაბულ წყაროებში. იხ.
ი. გ. გ. ვ. ხ. ი. შ. ვ. ლ. ი. ქართველი ერთს ისტორია, 11, 1918, 77-73.

არაბულ თანადროულ წყაროებში შაქის სამეფო ეწყდება¹⁰, რაც
ვე დროის სომხურ წყაროებში დამოწმებულ ალვანთა სამეცნის/
უდირის, მაშინ ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ: ლევონტის „კრება“
სწორედ იმის მოწმობაა, რომ VIII ს. 60-იანი წლებიცთვის უძრუე
თის სამთავრო, როგორც დამოუკიდებელი ერთეული გამოყოფი-
ლია ქართლის საერთოსავოსაგან.

რა ტერიტორიას მოიცავდა ამ დროს ჰერეთის სამთავრო?

სრულიადაც არ არის აუცილებელი ყველა ეს ქვეყანა (გავა-
რი), რომელიც აღვანეთში ჩამოთვლილი აქვს ლევონდს, ჰერეთის
სამთავროში შემავალად ვიგულისხმოთ¹¹.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადი უნდა იყოს, რომ ხენი
და ბერი (ანუ ქართული წყაროების საკუთრივ „ჰერეთი“), შაქი
და კამბეჩანი ამ დროისათვის შეადგენდნენ ჰერეთის სამთავროს
ძირითად ტერიტორიას.

ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევენ ქართული წყაროები და,
პირველ ყოველია, ქართველი ანონიმის თხზულება, რომლის სათა-
ნალო ჩვენება არჩილის მოღვაწეობასთან დაკავშირებით ზემოთ
ერთხელ უკვე იყო მოტანილი (იხ. II, 2; 4). ამ ცნობის მიხედვით,
სომხეთიდან მოსულმა ბაგრატიონთა გვარის სამმა ძმამ არჩილის
ნებართვით დაიმკიდრა შაქი, კამბეჩანი და ჰერეთის ტერიტო-
რია გულგულამდე, ე. ა. ველისციხის „ქუეყანაც“. ჩვენ ვიცით,
რომ უკველესი ხანის ჰერეთის საზღვარი ქართლთან ალაზნის
მარჯვენა სანაპიროზე სწორედ გულგულაზე, ანუ თურდოს ხევზე
იდო. ალაზნის მარცხენა სანაპიროზე კი — შტორის ხეობაზე¹². ვა-
ხუშტის მიხედვით, სწორედ ეს ტერიტორია კამბეჩან-შაქიანად შე-
ადგენდა იმ ერთეულს, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა უფ-
რო გვიან ჰერეთის სამეფო: „არამედ ჰერეთი დაიპყრეს ძმის-წულ-
თა აღარნასე ბრძისათა, რომელთა დასწვნეს თვალნი მამის-ძმისა
და არჩილ მოწამე-მან მიუბოდა ამას შაკის და ცოლი აბუხოსროსი
და ამის ძეთა დაიპყრეს შაკისიდამ გულგულამდე და შემდგომად ჯუ-
ანშერისა (არჩილის შეილის.—დ. მ.) სიკუდილისა დაიპყრეს სრუ-
ლიად ჰერეთი და იწოდეს მეფედ და დასხნეს ერისთავნი, ვითარ-

¹⁰ იხ. ჩემი, „უქარმა“, გვ. 106—107.

¹¹ ალვანეთის გვართა (გელაუ, ხოლმალი, ქაბანლი, ჰეჯარი, ოსტანიშარზანი,
ქალა, ბალასაკნი) ლოკალზაფილისათვის იხ. ს. ე რ ე მ ი ა ნ ი, „პაյშათან რის-
„Աշխարհացոյից“-ի, 44, 47, 55, 62, 75 და 89. იხ. აგრეთვე С. Т. Е р е м я н. Стра-
на „Махелония“ надписи Кааба-и-Зардуст, ВДИ, 2, 1967.

¹² იხ. „უქარმა“, გვ. 6—15.

ცა იშერების. ერისთავი შტორისა, ერისთავი ხორნაბუგისა, ერის-
თავი ვეჯინისა, ერისთავი მაჭისა¹³. ცხადია, ვახუშტი აქ, ანისი-
თად იმეორებს ანონიმის სათანადო ცნობებს¹⁴, მაგრამ—შეაძლეს
გარკვეული კორექტივები, რომლებიც, თუკი სხვა ოფიციალურობა,
ე. ი. ეგების, ვახუშტისათვის ცნობილი, უკეთ ღაცული ანონიმის
ტექსტზე თუ არ არის დაყრდნობილი, ყოველ შემთხვევაში ლოგი-
კურად აუცილებელია ეთარების უკეთ წარმოდგენისათვის.

ჭერ ერთი, როდესაც ანონიმი ზემოხსენებული სამი ძმის არ-
ჩილთან მოსელის შესახებ მოვეითხრობს, იგი არსად პირდაპირ არ
მიუთითებს, რომ ისინი მაინცდამაინც, ჰერეთში ღამემკიდრნენ:
„წარმოვიდეს ტარონით შავიხად სამნი ძმანი და ღამეკიდრნეს
ძუნ ბრძანებრთა არჩილისათა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა,
რანით კერძი, უმცკდრო ქმნალ იყო, ხოლო ჰერეთი და კახეთი
ჰალაკთა და ტუეთაგან შემთუ დარჩომილ იყო, და ღამეკიდრნეს
სამნივე იგი ძმანი ვიღრე გულგულამდის“¹⁵. ჩვენ აქედან ვივარა-
უდეთ, რომ ანონიმის წარმოდგენით ძმათა სამფლობელოში უნდა
ვიგულისხმოთ ჰერეთის ტერიტორიაც ვიღრე გულგულამდე (იხ.
II, 4)¹⁶. ჰერეთად აქ, როგორც ჩანს, იგულისხმება არა საკუთრივ
ჰერეთი, რომელიც მოიცავს შიგნი კახეთს და გაღმამხარს საინგი-
ლოითურთ¹⁷, არამედ ჰერეთი „ვიწრო მნიშვნელობით“, რომელშიც
კამბეჩანიც იგულისხმება¹⁸. ვახუშტის შეაქვს გარკვეული კორექ-
ტივი და, ამდენადვე, მეტი სინათლე კონტექსტის გაებაში, რო-
დესაც იმთავითვე აღნიშნავს, რომ „ჰერეთი დაიპყრეს ძმს-წულ-
თა ადარნასე ბრმისათა“. ვახუშტის შემდგომი თხრობა მოწმობს,
რომ იგი ჰერეთად აქ, თუ კამბეჩანს არა, მაინცდამაინც, ალაზნის
ველს გულისხმობს, ე. ი. ჩვენი ლოკალიზაციით „საკუთრივ ჰე-
რეთს“. ეს ჩანს იქიდან, რომ, მისი აზრით, არჩილმა ერთ-ერთ
ძმას¹⁹ მისცა „შავიხი და ცოლი აბუხოსროსი და ამის ძეთა დაიპ-
ყრეს შავიხიდამ გულგულამდე“. ანონიმის მიხედვით „პატიახშნი

¹³ ვახუშტ ტ. კ. საქართველოს ცხოვრება, გვ. 147.

¹⁴ ქ' ცა, I, გვ. 243—444.

¹⁵ იქვე, გვ. 244.

¹⁶ იხ. აგრეთვე, ღ. მუსხელი იშვილი კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური
გვოგრაფიის საკითხები, გვ. 104.

¹⁷ იქვე, გვ. 115—123.

¹⁸ იხ. ჩემი „უკარმა“, გვ. 23—24.

¹⁹ კონტექსტი ბუნდოვანია: კარგად არ ჩანს აქ ვახუშტი ერთ-ერთ ძმს გული-
შმობს, მათ მამას თუ, მოლოს და მოლოს, თვით ადარნასე ბრმა?

ვინმე... მოვიდეს კახეთად არჩილისთანა. ერთსა მარგანისა ჰისც
კოლად ნათესავისაგან აბუსუასროსა, რამეთუ დაქვრაშორის-უზუ
იგი და არა ესუა ქმარი, და მიუბოდა წუქეთი ციხეში დორი ქარენის
თურთ²⁰. წუქეთი, როგორც ვაცით, მთიანეთს გარდა ბარსაც
გულისხმობდა და კახეთის გაღმამხარს თუ არა, საინგილოს ნა-
წილს მაინც მოიცავდა (ი. II, 3). ამგვარად, ვახუშტის ქაც კო-
რექტოვი შეაქეს, როდესაც აღნიშნავს, რომ „ცოლი აბუსუასროსი“
და ე. ი. მისი სამკიდრო წუქეთიც ადარნასე ბრმის ერთ-ერთ
ძმისწულს შეხვდა. ეს კორექტოვიც, შესაძლოა ლოგიკურია, მაგ-
რამ საჯსებით რეალური კი უნდა იყოს, რაღაც ის ტერიტორია
(მაინცდამაინც ბარის წუქეთი), რომელიც ანონიმის მიხედვით
„ვინმე პიტიახშეს“ შეხვდა აბუსუასროს ნათესავთან ერთად, უფრო
გვიან სწორედ ჰერეთის სამთავროს ტერიტორიას შეაღვენდა და,
ამდენად, ბოლოს და ბოლოს, იმისი კუთვნილი იყო, ვინც ჰერეთს
ფლობდა და ე. ი. ადარნასე ბრმის ძმის ჩამომავლობისა. რომ ეს,
შართლაც, ასე იყო, ამას მოწმობს ლევონდის ზემომოტანილი
ცნობა, რომლის მიხედვით ხენი(ეხნი) და ბეჭი, ანუ ალაზნის გა-
ღმამხარის ნაწილი საინგილოთურთ ე. ი. წუქეთის ბარის ნაწილიც
(ი. II, 3), ალვანეთის ტერიტორიას შეაღვენს.

გარდა ამისა ვახუშტის ცნობიდან ჩანს, რომ ჰერეთის სამე-
ფოში შედიოდა საკუთრივ გაღმამხარი (შტორის საერისთავო) და
კამბეჩანიც (ხორნაბუჯის საერისთავო). ამგვარად, როგორც ვე-
დავთ, ქართული წყაროები ამოწმებენ, რომ ჰერეთის სამთავრო,
რომელიც VIII ს. 60-იანი წლებისათვის გამოყოფილია ქართლის
საერისმთავროს, მოიცავდა გაღმამხარს საინგილომთურთ, შიგნია-
ხეთს, კამბეჩანს და შაქს, ანუ ლევონდისეულ გავარებს: ხენი, ბე-
ჭი, შაქე და კამბეჩენი.

მაგრამ ქართულსა და სომხურ წყაროთა ჩვენებაში ამ მხრივ
მაინც არსებითი განსხვავებაა. კერძოდ, იმავე ლევონდის მიხედ-
ვით ველისციხის „გვარი“, ანუ დაახლოებით დღვევანდელი შიგნი
კახეთი ალვანეთს კი არა ქართლს მიეკუთვნება, ანუ ჰერეთის კი
არა, კახეთის კუთვნილია.

VIII ს-თვის ჩვენ სხვა რაიმე წყარო ამის შესამოწმებლად
არ გავაჩნია, მაგრამ ილარიონ ქართველის ცხოვრებიდან აშეარა
ხდება, რომ შიგნი კახეთი, რომელიც ქართულივე წყაროს ხი-

²⁰ პუა, 1, გვ. 244.

შანდობლივი ჩვენებით V ს-ში პერეთია²¹, IX ს-ში უკვე კინგიდ
იწოდება²², რაც გვაფიქრებინებს, რომ ლევონდის ცნობა სწორი
უნდა იყოს.

ურუკულები

ქართული წყაროებისავე მონაცემებით ცხრდული ჰქონდება უფრ
თუ უფრო ადრე არა, VI—VII ს. მინაზე მაინც ძევლი პერეთის
ალაზნის გამამხრის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი (ვახუშტისეუ-
ლი შტორის საერისთავო) უკვე კახეთად იწოდებოდა. ასე იყო შემ-
დეგაც²³.

როგორ შევთანხმოთ ამის შემდეგ ლევონდის ცნობა, რო-
მელსაც ქართული წყაროებიც აღასტურებენ, ანონიმის ცნობას და
ამ უკანასკნელის ვახუშტისეულ, ჩვენი აზრით, რეალურ ინტერ-
ერეტაციას? ვფიქრობთ, უპირატესობა ამ შემთხვევაში უნდა მივ-
ცეთ VIII ს. ისტორიისის ლევონდის ჩვენებას, რომლის მეაფიო
და კონკრეტული ხასიათი ეჭვს არ სტოვებს მის კეშმარიტებაში.
ძაგრამ არ არის გამორიცხული ანონიმის, მართალია, შედარებით
ბუნდოვანი ცნობის სანდოობაც, რაზედაც უნდა მიგვითითებდეს
პერეთისა და კახეთის საზღვრის ისეთი კონკრეტული (და რეალუ-
რი!) ორიენტირის მითითება, როგორიც არის გულგულა. ამტომ
ჩვენ ვუიქრობთ, რომ საქმის ვითარება დაახლოებით ასეთი უნ-
და ყოფილიყო: რამდენადაც აღარნასე ბრძოლის ძმისწულება VIII
ს. 40-იან წლებში მთელი პერეთი (შდრ. ვახუშტისეული „სრულიად
პერეთი“) მის უძველეს საზღვრებში, შაქიანად დაიმკიდრეს ე. ი.
გალმამხრითაც და შიგნიკახეთიანად, ამდრენადც, ამის შემდეგ
ქართლის საერისმთავროსგან მალე გამოყოფილი, იგი სწორედ იმ
ტერიტორიას მოიცავდა, რომელსაც ვახუშტი გულისხმობდა. ცო-
ტათი უფრო გვიან კი (თუ 764 წლისთვის არა, რომელსაც მიეკუ-
თვნება ლევონდის ცნობა, მაინცდამაინც VIII ს. მიწურულის-
თვის, როდესაც ლევონდი წერდა თავის ისტორიას²⁴) პერეთის
სამთავროშ დასაულეთი პროვინციები (შიგნი კახეთი, გალმამხრის

²¹ ქ'ცა, 1, 201; დ. მუ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. უგარმა, 62—63; მისივე, კახეთ
პერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები, გვ. 119.

²² ცხოვრებამ და მოქალაქობამ შემიღება და ნეტარისა მიმისა ჩუენისა ილარი-
ონ ქართველისაც. ათონის ივერიის მონასტრის 1074. წ. ხელნაწერი აღაპებით, 1901, 71; დ. მუ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. კახეთ-პერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის სა-
კითხები, გვ. 112.

²³ დ. მუ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. იქვე, გვ. 111—112, 116—117.

²⁴ დ. მუ ი შ ს ე თ ბ ე გ ი ლ ი. ძევლი სომხური ლიტერატურის ისტორია,
1941, გვ. 87—88.

ჩრდილო-დასავლეთი) დაკარგა და ისინი კახეთის შეერწყა. მაგრა უფრო დასაჭრებელია, რომ საერთოდ ასეთი პოლიტიკური უძრავი პანიკა კახეთისა ჰქონილი ფაქტია, იგრ საქართველოს განმავლობაში ვითარდებოდა და მისი საბოლოო შედეგი იყო ის, რომ „ჰქონილი“ ჯერ როგორც პოლიტიკური, ხოლო შემდეგ, როგორც გეოგრაფიული ცნებაც, სრულიად გაქრა²⁵.

ამგვარად, VIII ს. მეორე ნახევარში ჰქონილი კახეთთან გადიოდა, როგორც ჩანს, უკვე იქ, სადაც იგი ცნობილი IX და X ს. დასაწყისში, ე. ი. ვეჯინის და გავაზის დასავლეთით — ალაზნის ველზე²⁶, გარეჯის უდაბნოს და ბოდებს აღმოსავლეთით — იერის ველზე²⁷.

რამდენადაც ჩვენ შაქისა და კამბეჩანის საზღვრები დაახლოებით ვიცით (იხ. ზემოთ II, 6), ამიტომ თავდაპირველი ჰქონილის სამთავროს მოცულობაც მეტ-ნაკლებად ცხადი ხდება: აღმოსავლეთიდან მას საზღვრავდა მდ. ტურიან-ჩაი, სამხრეთიდან — მტკვარი და კონჯაშინის ქედი, ხოლო ჩრდილოეთიდან — კავკასიონის ქედი. არ არის გამორიცხული, რომ აღმოსავლეთი დაღესტნის მთიანეთის გარევეული ნაწილიც ჰქონილი სამთავროს ფარგლებში მოქმედი უნიკალური, თუმცა ლევონდის ზემოხსენებული ცნობით, „შექმთი“ ე. ი. ამ შემთხვევაში, მაინც დამაინც, მისი მთიანი ნაწილი (წახურ-ხუნზახ-დიდოეთ-თუშეთი) ქართლის საერისმთავროს საზღვრებში დარჩენილა, ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში.

რომ, მაინც დამაინც, ხუნზახი და წახური ჰქონილი სამთავროში უნდა შესულიყო გარევეული დროიდან მაინც, ამას მოწმობს ვახუშტის ორი ცნობა. ერთი შეეხება ჰქონილის ერთ-ერთი აღმინისტრაციული ერთეულის, მაჟის საერისმთავოს ფარგლებს, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას „მაჟის წყლის ქვეით ალაზნის აღმოსავლეთი შაქიხითურთ და ხუნზახითურთ“²⁸. მეორე ცნობა ეხება გრძელი ეპისკოპოსის სამწყსო ტერიტორიას: „გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთო წუქეთისა, და ეკლესია დიდი, გუბათიანი, და იჯდაცა ეპისკოპოსი, მწყემსი ელისენისა, წუქეთისა

²⁵ იხ. ჩემი, „კარმა“, გვ. 5—6, 14, 28 და შემდ. აგრეთვე, კახეთ-ჰქონილის პოლიტიკური გეოგრაფიული საკითხები, 111 და შემდ.

²⁶ იხ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. კახეთ-ჰქონილის პოლიტიკური გეოგრაფიული საკითხები, 111 და შემდ. იხ. თანდართული რუკა 1. აგრეთვე, ჩემი, „უქარმა“, 30, შენ. 101 და 46, შენ. 28.

²⁷ იქვე, 112 და შემდ. იხ. იქვე თანდართული რუკა 1. აგრეთვე, ჩემი, „უქარმა“, 30, შენ. 101 და 46, შენ. 28.

²⁸ ვ ი ხ უ შ რ ი ი ს ა ს ე ა რ თ ვ ე ლ ი ს ც ხ ვ ე რ ე ბ ა, გვ. 151.

და შეკისა²⁹. ჩვენ ვიცით, რომ ვახუშტისეული წუმეთი სამუშავი რის სათავეებსაც და ე. ი. წახურსაც მოიცავს (იხ. ზემოთ, გ. 1, ვ). გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ სწორედ ლეკიონერთა უნიკალუ დათარიღებულ ტეტრაკონქი უნდა ყოფილიყო გიშმისმაჲშიც შეტა სო კათედრალი³⁰.

ვახუშტის ზემომოტანილი ცნობები სინამდვილეს უნდა ასახავდეს. ეს მოწმდება არა მხოლოდ იმით, რომ საერისთავოს ცენტრის, მაჲის ციხის მდებარეობა მაწიმ-ჩაის (მაჲის წყლის) ხეობაში, ჰერეთის ბარის ხუნძახთან დამაკავშირებელ გზაზე, უცალობლად გულისხმობს კახეთის სხვა მსგავსი მდებარეობის ციხესიმაგრეთა ანალოგით (იხ. ზემოთ III, 1) ჩრდილო-კავკასიის მთიანეთის გარკვეულ ნაწილზე ბატონობას, არამედ ნუმიზმატური მასალითაც.

საქმე ის არ არის, რომ ალაზნის გაღმამხარში, ტერეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია საქმიან რაოდენობა სასანურ-არაბული ვერცხლის მონეტების შერეული განძებისა: ჭიკაანიდან³¹, მთისძარიდან (არეშიდან)³², ლელიანიდან³³, აფენიდან³⁴, კაეშირიდან³⁵, ლაგოდეხიდან, ცოდნიდან³⁶, და მაწეხიდან³⁷. ამ განძთა უმეტესობის დაფუვლის ხანა IX ს. 20—30-იან წლებზე მოდის (იხ. რუკა 3). მხოლოდ ჭიკაანისეული თარიღდება ამავე საუკუნის 60-იანი წლებით. ასეთი არაჩეულებრივი სიხშირე განძების აღმოჩენისა და თვით ვერცხლის მონეტათა დიდი რაოდენობა (თითქმის ყველა განძი ასეულობით მონეტას შეიცავს) მოწმობს არა მხოლოდ ჰერეთის სამთავროს ეკონომიკურ სიმძლავრეს, გაუზოველებულ ვაჭრობას სახალიფოს უდიდეს ცენტრებთან და აგრეთვე იმას, რომ ეს ცხოველი ეკონომიკური ურთიერთობა, ძირითადად, იმ მავის-

²⁹ ვ. ა. ხ. ტ. რ. ი., ალექსანდრა, გვ. 95—96.

³⁰ იხ. ჩემი. „უჯარმა“, გვ. 63.

³¹ MKA, 1, № 81; შდრ. MKA, VIII, გვ. 74.

³² საქ. მუხ. ნუმიზ. განკ. №№ 10700—10957; 10967—11000; 11077—11080. განძი ჩამოტანილია და დათარიღებული არ. გალავანის მიერ.

³³ MKA, 11, № 395.

³⁴ MKA, 11 № 396.

³⁵ MKA, 11, № 393.

³⁶ იხ. „უჯარმა“, გვ. 53.

³⁷ ცნობა მოგვაწოდა ი. ჩ. ჭ. ა. ლ. ა. ნ. ი. მ. განძი, ჰერეთობით, განუსაზღვრელია.

ტრალით შარმოებდა (ახმეტა-ზაქაროვსკის შემაცერთებელი გრა) ³⁸ რო/ მელიც სასანურ ხანაშიც მოწმდება და უფრო გვიანაც, თუნეციონ ნირებდა, არამედ კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტში და მას შემდეგ სამყაროსთან სავაჭრო ურთიერთეკავშირის აშკარა საბუთია, მეორე მხრივ, ჰერეთის ბარის მთანეთთან ასეთივე ურთიერთობის ნიშან-დობლივი ჩვენება უნდა იყოს. ამას გვაგულისხმებინებს ის გარე-ზობა, რომ ყველა ზემოხსენებული განძი აღმოჩენილია ან იმ პუნ-ტრში, რომელიც უშუალოდ არას დაკავშირებული მაგისტრალით დალესტნის მთანეთთან, კერძოდ, ხუნზახთან (მთისძირი, ლაგოდე-ხი, ბაწევები) ³⁹, ანდა ამ პუნტებთან დაკავშირებულ მახლობელ სოფლებში (ჭიკანი, ლელიანი და აფენი მთისძირთან; კავშირი და ცოლნა ლაგოდეხთან).

ამგვარად, ზემოხსენებული განძების ტოპოგრაფია მიუთი-ოებს არა მარტო იმ სავაჭრო მაგისტრალზე, რომელიც აღმოსავ-ლეთ საქართველოს, კერძოდ ჰერეთის სამთავროს სახალიფოსთან აკავშირებდა, არამედ ის პუნტებზედაც, სადაც, როგორც ჩანს, ხორციელდებოდა ომოსავლეთი საქართველოს, კერძოდ, ჰერე-თის ბარისა და მთანეთის (ამ შემთხვევაში ხუნზახის) ეკონომიკუ-რი ურთიერთობა. მაშასაღამე, ეს განძები მოწმობაა ჰერეთის ბა-რის ეკონომიკური გავლენისა დალესტნის მთანეთზე. თუ ამ მო-საზრებას გვიზიარებთ და, ამასთან, მოვიგონებთ ჩვენს ვარაუდს მთისა და ბარის პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ, გამოთ-ქმულს კახეთის ციხესიმაგრეთა (მათ რიცხვში მაჟის ციხის) ნი-შანდობლივი ლოკალიზაციის ანალიზის შედეგად, მაშინ ადვილად ვირწმუნებთ, რომ ივივე განძები, შესაძლებელია, ჰერეთის ხუნ-ზახზე პოლიტიკური გავლენის მოწმობადაც გამოვვადეს და, ამ-დენად, ვახუშტის ზემოხსენებული საონადო ცნობის მატერია-ლურ საბუთადაც. ვახუშტი ავი მხოლოდ აზროვნად მიუთითებს, რომ კერეთის ერთ-ერთი საერთოსთავოს ფარგლებში ხუნზახიც შემოდი-ოდა. სასანურ-არაბული განძების თარიღების მიხედვით, ასეთი ვი-თარება IX ს. პირველი მესამედისთვის რეალური ფაქტია. ასე

³⁸ თ. ლ ი მ ი უ რ ი. სასანურ-არაბული ფულების სამი კახური განძი. 1941. ხელნაშერი ინახება საქ. მუზეუმის ნუმი. განც.-შე.

³⁹ მთისძირისათვის იხ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გვოგრაფიის საკითხები, გვ. 84—86; ხუთვერსიანი რუკის მიხედვით ლა-გოდეხიდან და მაწესილან გადაღის გზები ხუნზახში.

რომ, თუკი ლევონდის ცნობას წუქეთის შესახებ VIII ს. მეორე ნა-
ხევრისთვის — თითქოს იგი პოლიტიკურად ქართლში შედიდა და
არა ამ უკანასკნელისგან უკვე გამოყოფილ ჰერეთის ჩამატებული-
რეალური სინამდვილის ამსახელად ჩავთვლით, ბჟაბეჭი ჩემს ქართულ-
ფიქროთ, რომ ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა და
IX ს. დასაწყისისთვის ჰერეთის მთიანეთი კვლავ ჰერეთის ბარს-
ვი შეერწყა: ასლდგა დროებით დარღვეული ისტორიულ-გეოგრა-
ფიული წინასწორობა.

ვახუშტის მიხედვით, როგორც ზემოთ ვნახეთ, მთლიანი ქარ-
თლის საერისმთავროსაგან გამოყოფილი ჰერეთი იმთავითვე საერ-
ფო⁴⁰. სინამდვილეში ეს ასე არ იყო და ჰერეთის მმართველმა
მეფის ტატული მხოლოდ IX ს. 80-იან წლებში მიიღო. ჰერეთის
პირველი მეფე იყო პამამი⁴¹, როგორც ჩანს, ადარნასე ბრმის
ძმისწულთა ჩამომავალი, ქართული წყაროების ადარნასე ჰერთა
პატრიკის მამა.

ჰერეთის სამთავროს მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონო-
მიკურ პუნქტებს წარმოადგენდნენ, ცხადია, საერისთავოთა ცენტ-
რები, აგრეთვე გავაზნი, არიში⁴² და შაქი (შავიხი), დაახლოებით
დღევანდელი ნუხის აღვილზე. საერაუდოა შაქი ყოფილიყო სამ-
თავროს დედაქალაქიც⁴³, ხოლო გრძი მთავარი საეპისკოპოსო ცენ-
ტრი. რომ ჰერეთის სამთავროს (რემდეგ სამეფოს) დედაქალაქი
თითქოს შაქი უნდა ყოფილიყო ეს საგარაუდო ხდება უკვე იმ გა-
რემოების გათვალისწინებით, რომ IX—X სს. არაბი ისტორიკო-
სები, როგორც ალ-ვიშნევი, ქართული ჰერეთის სამეფოს შაქის სა-
მეფოს უწოდებენ⁴⁴, ხოლო ქალაქ შაქს ხშირად იხსენიებენ, როგორც

⁴⁰ ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს ცხოვრება, გვ. 147.

⁴¹ მ ო ს ე კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ე ლ ი. გვ. 383; მთხვანის შარისხევი
Ասողկան Պատմისტիნ Տիեզეրական, 1885, 161 (ქვემოთ: ასოლიქ); Պատმი-
სტիნ ნანანანქիნ Մխითარյան արարքեալ მთხვანის Օրբելიან, 299; Անանիա
Մոկացի, Տեսი Անանիայի հაյոց կարպիկոսի՝ Յաղագս ապთամբուրքեան
տանն Աղուանից იო ენი ժმამანակս լեալ իցხ ձեռնադրուրիნნ արտար
սაրք լուսաლი արით. „Արարատ“, 1897 წ. մაրտ, 131; მასუდი,
CMOMPK, 38, სტ. 58.

⁴² იბ. ღ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. ქახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგ-
რაფიის ხაյითხები, გვ. 84—86.

⁴³ შდრ. თ. პ ა ვ უ ა შ ვ ი ლ ი. ჰერეთის ისტორიის საკითხები, გვ. 344 —
345.

⁴⁴ იბ. ჩემი, „უგარმა“, გვ. 105—108.

ამიერკავკასიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს⁴⁵. ბუნებრივია, თუ ჰერეთის სამეფო იგივე შაქის სამეფოა, მარშნ ქალაქი შაქი ამ სამეფოს მთავარი ცენტრი უნდა ყოფილიყო, რწყმული გვავარაუდებინებს აღგილობრივი წყაროც, კერძოდ, ალვარელავარის ტორიკოსი, რომელიც ისესნებს „შაქის უფალს“ IX ს. მეორე შეოთხედისთვის⁴⁶. შაქი აქ ქვეყანას, კერძოდ, არაბული ავტორების მსგავსად, ქართულ ჰერეთს უნდა გულისხმობდეს და ამდენივე ალბათ, მის ცენტრსაც.

3. ჰერეთს დასავლეთიდან კახეთის სამთავრო ემიგრებოდა. კახეთის სამთავრო ქართლს აგრეთვე VIII ს. მეორე ნახევარში უნდა გამოჰყოფოდა, ყოველ შემთხვევაში 764 წლის შემდეგ, რადგან ამ დროს, ლევონდის ცნობის მიხედვით, იგი ჯერ კიდევ ქართლის საერისმთავროს შემადგენლობაშია (იხ. ზემოთ, გ 2). საინტერესოა, რომ „მატიანე ქართლისახს“ ავტორი, რომელიც თხრობას იწყებს სწორედ VIII ს. მეორე ნახევრიდან, პირველი სტრიქონებიდანვე ქართლსა და კახეთს ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ერთეულად მიიჩნევს: „ქუეყანა ქართლისა და კახეთისათვის“⁴⁷. ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინოლოგია, როგორც არა ერთხელ დაერჩეონდით, ჩევეულებრივ ძალიან მგრძნობიარეა პოლიტიკური მოვლენების ევოლუციის მიმართ და ამ უკანასკნელთა ცვლილებებს აღექვატურად გამოხატავს. ამისი ერთ-ერთი მაგალითია „ქართლის“, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული ცნების მნიშვნელობის განსხვავება ლეონტი მროველთან და ჯუანშერთან⁴⁸. ჩვენ საამისო მაგალითები სხვაგანაც გვაქვს მოტანილი⁴⁹. რაც შეეხება „მატიანე ქართლისახს“ ივი, მართალია, იცნობს „ქართლს“ იყერის მნიშვნელობით, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მისა „ქართლი“ მხოლოდ „მიდა ქართლს“ ნიშნავს⁵⁰.

⁴⁵ იხ. მაგალითად იბ 6 - ხ რ დ ა დ ბ ე ს ცნობა, СМОМПК, 32, 15; ალ-მირ-ფად ა ს ი ს ა, СМОМПК, 38, 3; ჰიდუდ ალ-ალებისა; ის თ ა ხ რ ი, კ რ დ უ დ ა ლ ა ლ ე მ ი, ჰ ა მ დ ა ლ ლ ა პ კ ა შ კ ი ნ ი, თარგმანი შენიშვნებითა და სამიებლი. თურთ ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ი ს ა, 1937, გვ. 15.

⁴⁶ მ თ ს ე კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ლ ი. 394; თარიღისათვის იხ. V. Minorsky, Caucasica, BSOAS; XV, p. 3. 1953, 508. ავტორის მიხედვით (იხ. იქვე) ზემოსსენებული „შაქის უფალი“ შესაქლებელია იგივე საქალ სემბატიანი იყოს, ამ დროს ცნობილი პიროვნება არანში, მაგრამ ეს საეჭვოა.

⁴⁷ ქ' უ ა, 1, გვ. 243.

⁴⁸ იხ. ჩ ე ბ, - უქარმა-, გვ. 62—64.

⁴⁹ იხ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. კახეთ-პერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები, 111 და შემდ.

⁵⁰ იხ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. „მთა ქართლის“ ისტორიულ-გეოგრაფი. დ. მცხელაშვილი

ასეთ ვითარებაში ფრიად ნიშანდობლივია, რომ ამ თხილების დასაწყისიდანვე „ქუეყანა ქართლისა“ და „ქუეყანა კახეთისა“ განცალკევებით არის მოხსენებული.

საინტერესოა ვახუშტი ბატონიშვილის თვალსაზრისი კითხზე. ვახუშტის მიხედვით კახეთის „განდომა“ იყო პეტეცელებული ქართლის საერისმთავროს ფეოდალური დაშლისა⁵¹. ვახუშტი, როგორც ვნახეთ, ცდება. პირველად ქართლის საერისმთავროს პეტეთის სამთავრო უნდა გამოჰყოფოდა.

მაინც მეცნიერი ბატონიშვილის ცნობა ნიშანდობლივია და უნდა მიუთითობდეს, რომ კახეთიც ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც „განუდგა“ ქართლს. „მატიანე ქართლისამ“ მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ფაქტი მოხდა მანამდე, ვაღრე 733 ს. მიწურულში „აფხაზთა სამეფო“ დამოუკიდებლობას მოიპოვებდა ბიზანტიისაგან, რამდენადაც ეს უკანასკნელი მოვლენა მატიანეში აღნიშნულია რამდენიმე გვერდით ქვემოთ მას შემდეგ რაც „ქუეყანა ქართლისა და კახეთისა“ იყო ნახსენები. მაშაადამე, ეს უნდა მომხდარიყო VIII ს. 60-იანი წლების შემდეგ 90-იან წლებამდე. მაგრამ თარიღის დაზუსტება თითქოს კიდევ უფრო შეიძლება.

საქმე ის არის, რომ IX—X ს. არაბული წყაროები, რომელ- შიც კახეთის სამთავროს, როგორც ცნობილია, „სანარიას“, ანუ წანარეთს უწოდებენ, ხალიფა მანსურის დროს (754—775 წწ.) ყველ- გან და ყოველთვის იხსენიებენ მხოლოდ და მხოლოდ წანარებს და არა წანარეთს⁵², რაც იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ VIII ს. 70-იანი წლებისთვის კახეთის სამთავრო ჯერ არ არის სა- ბოლოოდ ჩამოყალიბებული⁵³. ამავე საუკუნის 80-იანი წლების- თვის კი ეს უკვე სავარაუდოა, რის საფუძველსაც გვაძლევს იაყუ- ბის ცნობა ხალიფა მარუნ არ-რაშიდის დროს. (786—809) ჯურ- ზანსა (ქართლსა) და სანარიაში (კახეთში) აჯანყების შესახებ, სა- იდანაც ცრადი ხდება, რომ ქართლი და კახეთი ორი დამოუკადე- ბელი ერთეულია⁵⁴.

ფრედი შესწავლისათვის, „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, 1966, გვ. 183, გვ. 3.

⁵¹ ვახუშტი გვ. 147.

⁵² ბალაზორ აფუშე, 20; იაყუბი-აფუშე, 9; იბნ-ალ-ფა- დი 3 ი. ცმოპიკ, № 31, გვ. 31.

⁵³ იხ. ჩემი, „უჯარმა“, გვ. 102—104.

⁵⁴ იაყუბი-აფუშე, გვ. 12; იხ. ჩემი „უჯარმა“, გვ. 105; შორ. მ. ლორთე ქაფ ა- 130

ამგვარად, ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ კახეთის ქართლი-საგან ცალკე სამთავროდ გამოყოფას VIII ს. 70-იანიწლის შუალედისა და 90-იანი წლების დასაწყისს შორის დავდგუნდეთ ჩერქეზურას ერთეულის პოლიტიკური ცენტრი ქალაქი უჯარმა უნდა ყოფილოყოს.⁵⁵

კახეთის სამთავროს წარმოქმნა, როგორც ჩანს, იმთავითებ დასავლეთისაკენ ექვსპანიით აღინიშნა. IX ს. დასაწყისისათვის მის ფარგლებში შემოდიოდა, თუ მთლიანად არა, ყოველ შემთხვევაში ღიღი ნაწილი შიდა ქართლისა. ამ ხანაში კი კახეთსა და ტაო-კლარჯეთის სამთავროს შორის საზღვარი მდ. ქსანზე დაიდო. და ამიერიდან ვიღრე XI ს. დამლევადე (უფრო სწორად, ალბათ, 1103 წლამდე, როდესაც დავით აღმაშენებელმა კახეთ-ჰერეთის სამეფო საბოლოოდ შემოიერთა) კახეთის სამთავროს დასავლეთი საზღვარი ქსანზე გადიოდა. აღმოსავლეთი საზღვარი ჰერეთის სამთავროსთან ჩვენთვის უკვე „ცნობილია (იხ. ზემოთ), რაც შეეხება ჩრდილოეთს, კახეთის სამთავრო მოიცავდა ხევს (ანუ საკუთრივ წანარეთს)⁵⁶ და თუშ-ფშავ-ხევსურეთს, აგრეთვე ძურმუკებს და ლლილვებს ე. ი. კავკასიის მთიანეთს, რომელსაც ქართული წყაროებით ეწოდება „მოეულეთი კახეთისა“⁵⁷. სამხრეთ-დასავლეთით საზღვარი მტკვარს გასდევდა, რომელიც მას შიდა ქართლის გაღმამხრიდან, ანუ „მტკვარსა სამხრეთ—კერძო ყოველივე ქართლისაგან“⁵⁸ ჰყოფდა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მის ფარგლებში შემოდიოდა ქართული გარდაბანი.

ვახუშტი ბატონიშვილი ერთგან სრულიად ნათლად აღნიშნავს: „ხოლო წელსა ქს. ღმშ; ქრ. ზ... განდგა გრიგორი მთავარი და ამან დაიპყრა კახეთი, კუხეთი და გარდაბანი. ამანეე მოსპონ სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად“⁵⁹. ჯერ ერთი,
ნი დ. ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გარეთინების ისტორიიდნ, შეკ., ნაკ. 31, 36—37; მისიევ. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, 1963, გვ. 140—141; კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების პირობების შესახებ იხ. აგრეთვე, შ. ბ ა დ რ ი ძ ე, მართველი ქორეპისკონსის ინსტიტუტის საკითხისათვის კახეთის სამთავროში, „მაცნე“, 5, 1964, გვ. 87—99.

⁵⁵ იხ. ჩემი, „უჯარმა“, გვ. 102, 110.

⁵⁶ იხ. მაგ. ი. ა. ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი. გვ. 64 და 233; მასული, СМОМПК, № 38, გვ. 37.

⁵⁷ იხ. ჩემი, „უჯარმა“, გვ. 21.

⁵⁸ ქცა, 1, 276; იხ. დ. მუს ხ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, „მთა ქართლის“ ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის, გვ. 183.

⁵⁹ ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს ცხოვრება, გვ. 147; შდრ. მისიევ, აღწერა, გვ. 86.

უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტის მიერ მოცემული თარიღი — 787 წ.
 შესაძლებელია საესებით სწორი იყოს. ყოველ შემთხვევაში ჩგი
 კარგად უდგება ჩვენს მიერ ნაერაუდევ პერიოდს ერთსულ ფრთა
 მომხდარიყო კახეთის „განდვომა“. შემდეგ, ამ ცტრიტლაზი ჭრის
 ნარევში, რომ კუხეთი, რომელიც ამ დროისათვის გარეჯის უდაბ-
 ნოსაც მოიცავს და რომელიც საუკუნეთა მანძილზე მეტად მციდ-
 როდ იყო დაქავშირებული კახეთთან, ამიერიდან, როგორც დამო-
 უკიდებელი ერთეული აღარ აჩისებობს⁶⁰. დაბოლოს, აქედანვე
 ცხადი ხდება, რომ ვახუშტის აზრით, გარდაბანიც კახეთის სამთავ-
 როში შევიდა. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ ვარდაბნის ლო-
 კალიზაციისას მეცნიერი ბატონიშვილი, გარკვეული მიზეზების გა-
 მო, ცდება, მაგრამ ამას მშერად მნიშვნელობა არა აქვს. საიშისო
 საფუძველს, რომ ვარდაბანი კახეთის სამთავროში ეგულისხმა, ვა-
 ხუშტის „ქართლის ცხოვრება“ აძლევდა, რამდენადაც იქ IX—
 X სს. პოლიტიკური მოვლენების გადმოცემისას ხშირად არაან და-
 სახელებული „გარდაბანელნი“ ან „ვახნი ვარდაბანელნი“, რომ-
 ლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ კახეთის პოლიტიკურ
 ცხოვრებაში⁶¹. რომ „ქართლის ცხოვრების“ ცნობის ვახუშტისე-
 ული ინტერპრეტაცია სწორია და გარდაბანი, მართლაც, კახეთის
 სამთავროში შედიოდა, ამას, ბოლოს და ბოლოს, სომეხი ისტორი-
 კოსი ვარდანიც მოწმობს. ვარდანის ცნობა, მართალია, ანაქრონის-
 ტულია და ბუნდოვანი⁶², მაგრამ ვარდმანისა და წანარეთის ახლო
 ურთიერთეულების აშკარად მიუთითებს, კერძოდ კი იმას, რომ ვარ-
 დაბნის მთავარი მათი (წანარების) ჭრეპისკოპოსი ხდება⁶³, ასე
 რომ ვარდაბანი და წანარეთი ერთი სამთავროა.

⁶⁰ იხ. ჩემი, „უკარმა“, 102 და კახეთ-ქერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის სა-
 კითხები გვ. 60—63.

⁶¹ ქ' კა., I, გვ. 254, 257, 262, 268.

⁶² ჩვენთვეს სანტერესო ცნობას ნ. ემზი ასე თარგმნის: „И так как они (უაზე-
 ბი.—დ. მ.) говорили на иверийском языке, то гардманский князь пригласил
 для них хорепископа“ (Всеобщая история Вардана Великого, пер. Н. Эмин, 1861, с. 126) როგორც ვხდავთ. საქმოდ უაზრო უაზადებაა, რასაც თვით მთარგ-
 მელიც აღნიშნავს (იქვე, 145, შენ. 493).

⁶³ ვარდანის ფრაზის: „ნე ჩეխანნ ჭარემანა ჰისეხსალ ცნოსა როპხელი
 ჰისები ქასნ ქსეტენ ქრაფ“ (იხ. ვარდანი, 135), ვანსხვევებით ნ. ემზი-
 საგან, მე ასე ვთარგმნი: „ბოლო ვარდანის მთავარი იშოდი მათ (წანართი) ჭორეპის-
 კოპოსიდ ქართული ენის მიხედვით“, მთი უმეტეს, რომ რუმინცევისეულ XV ს.
 წელნარერში უთუილა არა „ქასნ ქსეტენ ქრაფ“, არამედ „ნე ქსეტენ ქრაფ“ (იქვე, შენ. 3). თავდაპირველ დედაში, ჩვენი აზრით, ასე იქნებოდა: „ნე ჩეխანნ

მაგრამ IX ს. მეორე ნახევრიდან გარდაბანი, როგორც ჩანს, საცილობელი ტერიტორიაა თბილისის ამირას, კახეთის მთავრის, სომეთია მეფებისა და ალვანელ მთავართა შორის⁶⁴, შემდეგ შემდეგ 50-იანი წლებიდან კახეთი, როგორც ჩანს, კარგა ხნითი ფიქტურული ქადაგი დაც მასა.

ვახუშტის მიხედვით კახეთის სამთავრო სამ საერისთავოდ იყო დაყოფილი. მართალია, საბოლოო რეფორმას საამისოდ იყი კვირიკე ღილს აწერს, მაგრამ კონტექსტთ იგულისხმება, რომ ერისთავები კახეთში აღრევე არსებობდნენ. იგივე ვახუშტი იძლევა ამ საერისთავოთა კონკრეტულ საზღვრებს და ჩამოთვლის მათ.

ზორდმანა ცაგხვა ნივა ჩატავს სამთავრო გარდაბანის უფალი ურალ სანტერესო არგუმენტი მთავართა გარდაბანელობის ანტის სასარგებლოდ (იხ. მ. ღ ღ რ თ ქ ი ფ ა ნ ი რ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, გვ. 38; მისვე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 153—155; შდრ. შ. ბ ა ღ რ ი ი რ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 89.).

“ ქ ცა, 1, გვ. 257 და 262; X ს. დასაცავისში (906 წ.) ცნობილია გარდაბანის უფალი სამაკი (სტეცანის ორბელიანი, გვ. 234), რომელიც მის შემდეგ, როგორც ჩანს. ფეართოების თავის სამფლობელოს და იმყრობის სხვ-დასხვა გავირებს, კერძოდ არცანგი ჭერის და ფარნესის (ფარაონის). (მ ღ ს ე კ ა ლ ა ნ კ ა რ უ ე ლ ი, გვ. 383), აგრეთვე ტავუშს და ძოროვორს, ანუ თაუშ-ჩანს და ალსტატაჩანის, ანუ დაახლოებით ქართული გარდაბანის ტერიტორიას (როანე დრ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ძ ე ლ ი, გვ. 242—244; ს ტ ე ფ ა ნ ი ს ღ რ ბ ე ლ ი ა ნ ი, გვ. 195) და აგრეთვე ძოროვეტს, ანუ დებედის ხეობას (მ ღ ს ე კ ა ლ ა ნ კ ა რ უ ე ლ ი, გვ. 389; ს ტ ე ფ ა ნ ი ს ღ რ ბ ე ლ ი ა ნ ი, გვ. 195). ძოროვეტის და დლევონდელი დებედა-ჩანს ივერებისათვის იხ. ღ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. ალაზალა-გაგას ციხე, 133, შენ. 111. ამ მხრივ ნიშანდობლები ისცი, რომ კვარიკან სომეხ ბაგრატუნებს, რომელთაც ქართული წყარო „სამშევილო-არებად და ძოროვეტელებად“ უწოდს (ქ ცა, 1, გვ. 297) და რომელთა ერთ-ერთი რეზიდენცია ლორეს ციხე იყო ტაშრიში, ღლ. ძოროვეტის (ივერე კამენკას) ხეობაში, ანუ დებედის ზემო წელშე, სტეცანის ორბელიანი სურედა „ძოროვეტელებს“ უწოდებს (სტეცანის ღ რ ბ ე ლ ი ა ნ ი, 199). მაგრამ სამაკ გარდაბანის უფალთან, ანუ სამაკ ალვანეტის დიდ მთავართან (იხ. ი ღ ა ნ ე ღ ღ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ბ ე ლ ი, გვ. 130) და კვამეტერებით წყაროთა „ძოროვეტი“ (მ ღ ს ე კ ა ლ ა ნ კ ა რ უ ე ლ ი. ს ტ ე ფ ა რ ბ ე ლ ი ა ნ ი) შესაძლებელია „ძოროვეტისაც“ (ი ღ ა ნ ე ღ ღ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ბ ე ლ ი) უდრიდეს. ყოველ შემთხვევაში ცხადია, სამაკ ქართულ გარდაბანისაც ულობდა თუმცა კი ბოლოს მთელი მისი სამცლობელი აშორ ე რ კ ა თ მ ა სომეხთა მეცემ დაიკირა (ი ღ ა ნ ე ღ ღ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ბ ე ლ ი, გვ. 247).

“ ქ ცა, 1, 268. ეს ქვეყანა შემდეგაც, როგორც ჩანს, საცილობელი მეზობელ სამეცნ-სამთავროთა შორის და ამ ბრძოლაში განძის ათაბაგებიც ებმებან, ვიღრებოლოს იდი დაიკირა ალმაშენებელმა ან შემოიტოთა (ქ ცა, 1, გვ. 344; აგრეთვე, ვაზა დანი, გვ. 157).

ფარგლებში შესულ ცალკეულ ხევებს. ამ თვალსაზრისით ცხობა საინტერესოა და ამიტომ ჩვენ მას სრულად მოვიტანთ: უგირნა თუ ისხნენ ერისთავნი პერეთი, არამედ ამან კვირიკე ჭრის მუქრისა განამტკიცნა და დასხნა სამნი კახეთს და ოთხი ჭრის მეტყველებს თისა ერთი რუსთავს და მისცა სრულად კუხეთი, რომელ არს ნავები, ყარაია, ჩაღივარ-სამგორი, უჯარმა, ლილო, მარტყოფი, გრდანი, ხერკი, და თანეთი, არავეს კერძო ეინვანამდე. მეორე დასვა კვეტერისა და მისცა უჯარმას ზემოთი ორთა მთათა შორის, რომელ არიან კახეთისა და კუხეთისა, ვიდრე კავკასიამდე და გარდალმად. ეს არს ერწო-თანეთი, ფხოველნი, ძურძუეკი და ლლილვი. მესამე პანკისის ანუ მარილისისა და მისცა პერეთის საზღურის ზეითი კავკასიამდე და კახეთის მთამდე თუშეთითურთ⁶⁶.

ჩვენ ზემოთ ვივარიუდეთ, რომ საერისთავოთა ვახუშტისეული ფარგლები, შესაძლებელია კვირიკე დიდის დროინდელია და ამდენად იგი არ შეესაბამება VIII—X ს. რეალურ ვითარებას. რამდენადაც კახეთ-პერეთის საზღვარი აღარ ემთხვევა ძველ ეთნიკურ საზღვარს ამ ორ ქვეყანას შორის. გარდა ამისა თვით კვირიეს დროსაც და მთელი XI ს. განმავლობაში, როგორც ვიცით, ქართლისა და კახეთის საზღვარი ქსნის ხეობაზე გადიოდა, ხოლო ვახუშტი ბატონიშვილი ასეთ მიჯნად არავს თვლის. ასე რომ ვახუშტის ეს ჩვენება არ შეიძლება ზუსტი იყოს.

გაურკვეველია თვით წყაროც თუ საიდან უნდა პქონოდა მას ამოლებული ეს ცნობები. პანკისის საერისთავოს გარდა „მატიანე ქართლისაა“ კახეთის სხვა ერთეულებს (საერისთავოებს) არ იცნობს⁶⁷.

მიუხედავად ამისა პანკისის საერისთავოს ტერიტორია ვახუშტი ბაგრატიონს, როგორც ირკვევა, სავსებით სწორად პქონია წარმოდგენილი⁶⁸. მაგრამ აქ უურადლებას იყურობს მისი შენიშვნა ამ საერისთავოს ცენტრის შესახებ. როგორც ენახეთ, იგი აღნიშნავს, რომ კვირიკემ დასვა ერისთავად „მესამე პანკისისა ანუ მარილისისა“. რას უნდა ნიშნავდეს ეს? ტხადია, იგი ყოყმანობს და ამ საერისთავოს ცენტრად დასახელებულ პუნქტაგან ერთ-ერთს გულისხმობს. რაიმე საამისო წყარო პქონოდა ვახუშტი ბატონიშვილს, არ არის მოსალოდნელი. უფრო საფიქრებელია, რომ იგი

⁶⁶ ვახუშტი 1. საქართველოს ცხოვრება, გვ. 151.

⁶⁷ ქუა, 1. 298. კვეტერა მხოლოდ ციხედ მოიხსენება ნახვევნის გვერდით (ექვ. გვ. 306). ასევე—რუსთავიც (ექვ. 312 და სხვ.).

⁶⁸ იხ. ჩემი, Вопросы исторической географии ущелья Панкиси, с. 157.

ამოდიოდა რეალური ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარების შეზღადან პირებიდან „მატიანე ქართლისახს“ ერთ ცნობასთან. საქმე ის არის, რომ მარილისი და პანისი ორ მეზობელ ხეობაში მდებრისტებულია და პირები მდ. კურტანაძეულის (ხევისჭალა) ხეობაში და ჩამოქმნილ ალაზნის შენაკადია, მეორე — ალაზნის ზემო წელზე. ორივე ხეობაში ჩვევი დავითოშვილი აღრეფელალური ხანის ციხესიმაგრეთა კომპლექსების არსებობა, რომლებიც უმშევლია აღვილობრივ ფეოდალთა რეზიდენციებს წარმოადგენენ. მართლაც, „მატიანე ქართლისახს“ გვიმოშვებს, რომ XI ს. პირველ ნახევარში ცხოვრობდნენ „აშორ მთავარი მარილ ე ლ ი, დისიდ კვირიც კახა—დ. მ.) მეფისა“ და „სტეფანოზ ვარგანის ძე, პანკისისა ერისთავი“⁵⁹. ცხადია, ამ წარჩინებულ ფეოდალთა რეზიდენციები უნდა ყოფილიყო ზემოხსენებული ციხესიმაგრები. ვახუშტი ბატონიშვილს ადგილად შეეძლო წარმოედგინა, რომ ეს ორი, ერთმანეთთან ახლომდებარე პუნქტი ერთ საერისთავოში უნდა ყოფილიყო გაერთიანებული, რომლის ცენტრი შესაძლებელია ყოფილიყო, როვორც პანკისი, ასევე მარილისი, რადგან ორივე წარჩინებულთა რეზიდენციას წარმოადგენდა: ერთი—მთავრისას, მეორე — ერისთავისას, ხოლო ერისთავები ვახუშტისავე ცნობით მთავართა წრიდან ინიშნებოდნენ⁶⁰. საამისო საფუძველს მას შესაძლებელია მარილელ მთავარსა და პანკელ ერისთავს შორის „მატიანე ქართლისახში“ დამოშვებული შედლიც აძლევდა⁶¹.

რაც შეეხება კუხეთს რესთავინად იყი, როგორც ვიცით, გაცილებით უფრო აღრეც, ვიდრე VIII საუკუნეა და უფრო ვიახაც ცალკე ერთეულს წარმოადგენდა, რომელსაც ბელად, როგორც ჩანს, რუსთავის საერისთავოც ეწოდებოდა. და რომელიც კახეთთან უმჭვიდროესად იყო დავავშირებული⁶². ეს, რა თქმა უნდა, კარგად ცოცდა ვახუშტი ბატონიშვილმა და ამ აზრით მისი მსჯელობა სავსებით ლოგიკურია, როდესაც კუხეთს აღრეფელალური კახეთის ერთ-ერთ „კვეყნად“ თვლის და რუსთავის საერისთავოდ მიაჩინა.

მაგრამ საკითხავია, რამდენად რეალურია ამგვარი ვითარება?

⁵⁹ ქ'ცა, 1, გვ. 298.

⁶⁰ ვახუშტი ი. ალექსანდრი, გვ. 14.

⁶¹ ქ'ცა, 1, 298; იხ. დ. მუსხელიშვილი შინაკლასობრივი ბრძოლის ერთი მომენტის ისტორიულ-გეოგრაფიული საფუძველი, უზრ, აძგლის შეგობრი, № 21, 1970.

⁶² იხ. დ. მუსხელიშვილი კახეთ-ქერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები, გვ. 57—65.

4. საქმე ის არის, რომ, როდესაც ჩვენთვის სამნეურესო პეტონდში ქართულ სამეფო-სამთავროთა შესახებ ვსაცბრობდა. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ვითარება, ეროვნულურულებითი საქართველო დიდი ხანია, რაც არაბთა მფლობელურზე იყო მოქცეული და VIII ს. მეორე ნახევრისთვის მათ ეს ტერიტორია, მართალია, როგორც არყვევა, საქმიოდ მცირე ხნით, ზაგრამ მთლიანად და მკვიდრად ჩაიგდეს ხელს, რაც გამოიხატა იმითაც, რომ ამიერიდან თბილისში ხალიფას მორჩილი მოხელე, არაბი ამირა იჯდა, როგორც ქვეყნის უზენაესი მმართველი.

ითანა საბანისძის ცნობილი თხზულებიდან, რომელიც სწორედ VIII ს. 70—80-იანი წლების ვითარებას ასახავს, კარგად ჩანს თუ რამდენად რეალურია არაბთა ხელისუფლება იმდროინდელ ქართლში⁷³ (ალბათ ჰერეთის გამოკლებით).

VIII ს. მეორე ნახევრიდან, უკეთ 80-იანი წლებიდანვე იწყება არაბთა მფლობელობის შემცირება აღმ. საქართველოში და ე. ი. თბილისის საამიროს ტერიტორიული დავიწროებაც.

მართალია, ამ გამუღმებული ურთიერთბრძოლის პირობებში, რაც ორ საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა, ამა თუ იმ სამთავროს, აგრეთვე თბილისის საამიროს ტერიტორია ჰერმანენტულად იცვლებოდა, მაგრამ მაინც გარკვეულ პერიოდში ზემოხსნებულ ერთეულთა ძირითადი ტერიტორიული მოცულობისა და მისი ცვლალებების დადგენა ზოგადად შესაძლებელი ხდება. კერძოდ, თბილისის საამიროს შესახებ სწორი უნდა იყოს ის მოსაზრება, რომ VIII ს. დასასრულისათვის ყველაზე შტრიცელ არაბებს უნდა სპერიდათ გვიანდელი ქვემო ქართლის ტერიტორია და აგრეთვე, შედა ქართლი⁷⁴, ეს უკანასკნელი — ნაწილობრივ მაინც.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ასეთ ვითარებას გვაგულისხმებინებს უფრო გვანანდელი წყაროების გათვალისწინება⁷⁵. აქ დავუმატებთ მხოლოდ რამდენიმე დაკვირვებას.

VIII—IX სს. მიგნაზე არაბები (თბილისის ამირა) რომ შედა ქართლს ფლობდნენ, კარგად ჩანს „მატიანე ქართლისას“ მოწმობიდან: „შემდგომად სიკუდილისა ადარნასისა განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა“, რომელიც „ეუფლა ქართლს და საზღვართა მძითა, რამეთუ... მოუძლურებულ იყვნეს სარკი-

⁷³ ძეგლები, 1, გვ. 55—59 და სხვ.

⁷⁴ ი. გ. ჭავახიშვილი ი. ქართველი ერის ძატორია, 11, 1948, 91, 113; ს. ჭავახიშვილი. შემოქმედი, 11, გვ. 391.

⁷⁵ ამის შესახებ დაუკრილებით, იხ. ჩემი დასახ. ნაშრ. გვ. 74—77.

ნოზნი⁷⁶. ცხადია, აქ იგულისხმება, რომ აშოტ კურაპალატს შე—
მოხსენებული ტერიტორია არაბთაგან, ე. ი. თბილისის ამირავაგა
წაულია. მაგრამ აქ „ქართლი და საზღვაონი მისნი“ შეიძლება ჩატაჭალი
ქართლს, რა თქმა უნდა, არ უნდა გულისხმობდეს ამ რაიტის კურა
ცნებით აღარც ძველი ივერია გამოიხატება, თუნდაც იმიტომ რომ,
როგორც ვიცით (იხ. ზემოთ), „კახეთი“ ამ დროს გამორიცხულია
„ქართლიდან“; ეს უკანასკნელი არ უნდა გულისხმობდეს ვიან-
დელ „ქვემო ქართლსაც“⁷⁷, მაგრამ ვიანდელი „ზემო ქართლი“
(მტკვრის აუზი) კი უნდა შედიოდეს ამ ცნებაში. ეს ჩანს სუბბატ
დავითის ძის ქრონიკიდან: აშოტ კურაპალატის მქვიდრი მამული
იქ შავშეთ-კლარჯეთი⁷⁸ „და შემდგომად აშოტისა სიკუდილისა...
რომელ გარეთ ქუყანა ჰქონდათ ძეთა აშოტისთა — წარულეს
სარქინოზთა⁷⁹. ეს „გარეთ ქუყანა“ არის სწორედ „ქართლი და
საზღვაონი მისნი“ (საკუთრივ შავშეთ-კლარჯეთის გამოყებით),
რომელსაც ადრე ფლობდა აშოტი⁸⁰.

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ თბილისის სამირო გარევეულ
დროს (თუ გარევეულ პერიოდებში) მტკვრის ზემო წელის აუზ-
საც ფლობდა. კიდევ მეტი, სწორედ აშოტის სიკუდილის შემდეგ
ე. ი. IX ს. 20—30-იან წლებში „იყვნეს ხარჯის მიმეუმელ სარქი-
ნოზთა (ე. ი. თბილისის ამირასი. — დ. მ.) ყოველი ხევნი შავშეთ-
კლარჯეთ-ნიგალისანია⁸¹.

ასევეა უფრო ვიანაც. ის ფაქტი, რომ IX ს. 40-იან წლებში
გამდგარი თბილისის ამირას, საპაკ ისმაილის ძის დასახულად სა-
ხალიფოდან გამოგზავნილი მოპამედ ხალიდის ძე თავის მოკავში-
რე ბაგრატ კურაპალატს, აშოტის მემკვიდრეს, დახმარების საზ-
ღვაორად მიუბოძებს ქართლს⁸², იმის მოწმობაა, რომ „ქართლი“
თბილისის ამირას საბრძანებელს შეადგენდა, ხოლო რომ „ქართ-
ლი“ აქ, მაინცდამაინც, შეიდა ქართლს გულისხმობს, ეს ჩანს იქ-
დან, რომ გადამწყვეტი ბრძოლის წინ „გამოიდა საპაკ, ამირა
ტფილელი, ლაშქრითა და დადგა რეკს, ხოლო მოპამედ და ბაგ-

⁷⁶ ქ' ცა, 1, გვ. 252.

⁷⁷ დ. მუ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. მთა ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული
შესწავლისათვის, გვ. 183.

⁷⁸ ქ' ცა, 1, გვ. 376.

⁷⁹ იქვე, გვ. 378.

⁸⁰ შდრ. ი. გ. ჭ ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, 11, 1948, გვ. 93.

⁸¹ ქ' ცა, გვ. 378.

⁸² იქვე, გვ. 255. შდრ. ს. ჭ ვ ა ხ ი შ ვ ი ა. შრომები, 11, გვ. 298.

რატ წარიღეს უფლისციხე. და მოვიდეს კანი გარდამნელი შემ-ლად საპატია: შეიბნეს რეჯს⁸³. რომელი რეხიც არ სუნდა გულის-ხმებოდეს აქ, ლიახვისპირისა⁸⁴ თუ ლეხურის ხეოშუჭარი⁸⁵ უწუდესად ცხადია, რომ რეხაც და უფლისციხეც თბილის⁸⁶ ტჰის⁸⁷ უწყებულ შელობაშია და ე. ი. ამ დროს შიდა ქართლი, ყოველ შემთხვევაში, მისი გარევეული ნაწილი სამიროს ფარგლებში შემოდის. ის ფაქ-ტიც, რომ ამაზე ცოტა ხნით ადრე იმავე თბილისის ამირას დასძ-ჭელად „ხალილ მოვიდა მესამედ, და მოკლეს ჭავახეთს“⁸⁸, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ჭავახეთიც სამიროს ფარგლებშია და არა ბაგრატ კურაპალატის მფლობელობაში, რომელიც ამ ბრძო-ლებში ყოველთვის ხალიფას ავენტების მოკავშირედ და თბილი-სის ამირას მოწინააღმდეგედ გვევლინება⁸⁹: ჭავახეთი რომ ბაგრა-ტის მფლობელობაში ყოფილიყო, მაშინ, ბუნებრივია, ხალიდს იქ ლაშქრობა ან მოუხდებოდა.

მართლაც, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო არაბებმა (თბი-ლისის სამირომ) საბოლოოდ, როგორც ჩანს, 870—876 წლებს შორის დაკარგეს, როდესაც „გუარამს დაეპყრა ჭავახეთი, თრია-ლეთი, ტაშირი და აბოცი და არტანი“ სარკინოზთაგან⁹⁰. ამიერი-დან თბილისის სამიროს ძირითადი ტერიტორია გვიანდელი ქვემო ქართლის დანარჩენი პროვინციებით შემოისაზლვრა, თუმცა ჩრდი-ლო-დასავლეთით, მაინცდამაინც, დილმის ხევი მის ფარგლებში შემოდიოდა⁹¹.

მაგრამ გვაქვს საფუძველი ვივრაულოთ, რომ სამიროს ტე-რიტორია მტკვარგალმა, კუხეთის ნაწილს რუსთავ-გარეჭიდან შიო-ცავდა. ასე იყო XI ს-ში⁹². ასე უნდა ყოფილიყო X ს-ში⁹³. სავა-რაუდოა, ასევე იქნებოდა უფრო აღრეც, კერძოდ VIII—IX სს-ში.

⁸³ ქ'ცა, 1, გვ. 255.

⁸⁴ იბ. ქ'ცა, 1, გვ. 54.

⁸⁵ იბ. ვა ხ მ ტ ი. ალექსა, გვ. 72.

⁸⁶ ქ'ცა, 1, 255.

⁸⁷ იბ. ი. ვ ა ვ ა ხ ი შ ე ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 94—95; ს. ვ ა ნ ა შ ი ა, ექვ.

⁸⁸ ქ'ცა, 1, გვ. 27. თარიღისათვის: გუარამის შექრ შემოხსენებული ქვეყნების გან-თავისუფლება მოხდა მისი ძრის ბაგრატის სიცოცხლეში, ე. ი. 876 წლამდე, როდესაც ბაგრატი გარდაიცვალა (ქ'ცა, 1, გვ. 258) და ისე შინის ძრის ამირად დადგვენის შემ-დევ, ხოლო ისე შიხის ძე სამხეთის ვალიდ დაინიშნა 870 წ. (იბ. ი. ვ ა ვ ა ხ ი შ ე ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 97).

⁸⁹ იბ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ე ვ ი ლ ი. ქახეთ-ქერეთის პოლიტიკური გეოგ-რაფიის საკითხები, გვ. 74—75.

⁹⁰ იქვე, გვ. 75—77.

⁹¹ იქვ. გვ. 114—115.

სამისოდ საინტერესო ჩვენებას იღლევა წუმიშმატრიული გავრცელების სალა, კერძოდ VIII—IX სს. არაბული ფელსების გავრცელების სურათი საქართველოს ტერიტორიაზე.

თუკი ოქროსა და ვერცხლის არაბულ მონეტებზე მიცემის მიზანი გავრცელების ვალუტის მნიშვნელობა ჰქონდა, ადგილობრივი წვრილი ვაჭრობისათვის ძირითადად სპილენძის მონეტები, ფელსები გამოიყენებოდა⁹². მაგვარად, ფელსები ადგილობრივ ბაზარს ხსარდებოდა და იქვე იღლებოდა. ბუნებრივია, რომ თბილისის საამიროში ისევე, როგორც არაბული სამყაროს სხვა მხარეებში ასეთივე ვითარება იყო. მართლაც, არაბული ფელსების სამაო რაოდენობაა ცნობილი საქართველოდან.

ჩამოვთვალოთ ჩვენთვის ცნობილი პუნქტები, სადაც ეს მონეტებია აღმოჩენილი:

ბოლნისი — არაბული ფელსი 744—45—749-50 წწ.

დაბლუტი (დმანისის რ-ნი) — არაბული ფელსი.

სამგორის ველი — არაბული ფელსი 774-5 წწ.

რუსთავი — არაბული ფელსი, IX ს.⁹³

თბილისი — არაბული ფელსები, VIII—X სს. სულ 20 კალი⁹⁴

ზემო ავჭალა — არაბული ფელსი, 808—9 წწ⁹⁵.

მცხეთა — არაბული ფელსები, VIII—IX სს. სულ 6 კალი⁹⁶.

ნარევევი — არაბული ფელსი, VIII ს.⁹⁷

ხევორძულა — არაბული ფელსი, 767—76 წწ⁹⁸

ვფიქრობთ, არაბული სპილენძის მონეტების საქართველოში აღმოჩენის ტოპოგრაფია გამოსადევია ჩვენი მიზნებისათვის და კარგად ამოწმებს სხვა წყაროებას საშუალებით ნავარაუდევ იმ

⁹² Х. А. Мушигяи. Денежное обращение Двины, с 22 и 38.

⁹³ ამ თხის მონეტს შესახებ ცნობა მოგვაწოდა ი. რ. ჭალანი ი. ვ.

⁹⁴ საქართველოს სახელმწ. მუნიციპალიტეტის განყოფილების ფონდი №№ 6760, 8549—8551, 9710, 10126, 10139, 10140, 10147, 10152, 10155, 11656—11659, 12129. ი. რ. ჭალანი ი. ვ. ცნობილია 1953 წ. თბილისში აღმოჩნდა კალევ 3 ფელსი. რომლებიც მპოვნებს დარჩა. რაც შეეხება ე. პახომოვის გამოცემაზე აღნიშნულ კალს (MKA, VII, № 1781), იგი ნუმიზმატიკის განყოფილების ფონდის ერთ-ერთი კალი უნდა იყოს.

⁹⁵ საქ. მუჭუმის ნუმიზმატიკის განყოფილება № 3560.

⁹⁶ დაცულია იქვე, №№ 9958, 10016, 10058, დანარჩენი სამისოვის იხ. MKA, IV, №№ 1077—1078 და MKA, V, № 1453.

⁹⁷ საქ. მუჭ. ნუმიზ. განკ. № 11916.

⁹⁸ დაცულია იქვე, № 2392.

მოსაზრებას, რომ მას შემდეგ, რაც ქართულმა სამეფო-სამინისტრო-ებმა თავი დააღწიეს ფაქტიურად ოპატა მფლობელობას; მას ასევე ნასკნელი მკვიდრად შემორჩა მხოლოდ ქვეყნის შემცირები. რიბილისის სამიროს სახით, რომელიც VIII—IX უკანასკნელი გვიანდელი ქვემო ქართლის ტერიტორიას (ბოლნისი, დამბლუტი), შიდა ქართლის ნაწილს (მცხეთა, ნარევავი, ხევორქეული) და კუშეთის ნაწილს (სამგორი, რუსთავი), ცენტრით თბილისში.

თავი V

დასავლეთი საქართველო: „ავხაზთა სამაფო“

(რუკა 5)

1. უაღრესად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა VIII ს. მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში: დაახლოებით 778 წ. აფხაზთა მთავრის ინიციატივით გაერთიანდა აფხაზეთისა და ეგრისის სამთავროები, ხოლო 797—802 წწ.—ში ეს ახალი პოლიტიკური ერთეული თავისუფლდება ბიზანტიასთან კასალური დამოკიდებულებისავან და „აფხაზთა სამეფოდ“ ყალიბდება¹. ამ სამეფოს შემწნელმა ლეონ II-მ, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით მთელი რიგი მნიშვნელოვანი აღმინისტრაციული რეფორმები ჩაატარა. შევიტანთ ვახუშტის ჩვენებას მთლიანად:

„ხოლო დაჯდა რა ესე ლეონ მეფედ და დაბყრა ყოველი ეგრისი (აფხაზეთიანად.—დ. მ.) ორარა უწოდა ეგრისი, ორამედ—აფხაზეთი და ვანპყო ესე ეგრისი და აწ აფხაზეთი რეა საერისთავოდ: ა) დასვა აფხაზთა და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი, ვიდრე ზღვამდე და ხაზართა მდინარედმდე; ბ) დასვა ცხომს და მისცა ეგრის (—წყლის. —დ. მ.) იქითი ანაკოფია — ალანითურთ; გ) დასვა ბედიას და მისცა ეგრისის (—წყლის დ. მ.) აღმოსავლეთი ცხენის-წყლამდე; დ) ვინად-გან ამას ლეონს მოერთვნენ ოძრახოს წილნი; ჭოროხის სამხრეთისანი (?) დ. მ.) და ვახუდგნენ ოძრახოს ერისთავსა, უწოდა გურია და დასვა მუნ ერისთავი თვისი. ე) დასვა რაჭა-ლეჩხემისა; ვ) დასვა სვანეთისა; ზ) შორაპანისავე, რიოხისა

¹ ამის შესახებ დაუკრილებოთ ი. ხ. ჯანაშვილი. О времени и условиях возникновения абхазского царства. შრომები, II, 322—341; З. В. Аничадзе. Из истории средневековой Абхазии, 95—109; მ. ლორთქელი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 176 და შემდ.

და ხანისწყლის აღმოსავლეთისა ლიხამდის სრულიად არგვეთისა;
①) დასვა ქუთათის ვაკისა, ოქრიბისა და ხანის წყლის დასტელე-
თისა გურიამდე და რიონის დასავლით ცხენის-წყლიამდე, მაგრე
აღაშენა ქუთათისი ქალაქი და ციხე და ჰყო საყდარზე უფლენობა ძე-
ფისა, ვითარცა ანაკოფია ჰყო ტახტად მეორედ ესე ქუთათისი².

ვახუშტის ეს უაღრესად საყურადღებო ცნობა ეჭვი არ არის
რაიმე ძველ წყაროს, ანდა რეალურ ისტორიულ ტრადიციის უნ-
და ემყარებოდეს. გარდა იმისა, რომ სამისით საფუძველი თვით
„ქართლის ცხოვრებაში“ მოიძებნება, რამდენადაც იქ, მართალია,
უფრო მოგვიანო ხანისთვის, მაგრამ მაინც მოიხსენიებიან აფხაზ-
თა, სვანთა, რაჭისა და თავევრის (ლეჩების) ცხუმის და ოღიშის
(-ვახუშტისეული ბედის) ერისთავები³, ვახუშტის ჩერების რეა-
ლურობას ისიც უნდა მიტკიცებდეს, რომ სრულიად სხვა წყარო,
რომელშიც VIII ს. პირველი ნახევრის ამბებია აღწერილი, დაუთ
და კონსტანტინე არგვეთველ მთავართა მარტვილობა, როგორც
ზემოთ ვნახეთ (II, 7), იძლევა იმის საფუძველს რიონ-ცხენის-
წყალს შორის იმ დროს ახალი სტრონიულ-გვოგრაფიული ერთეუ-
ლის არსებობა ვივარიულოთ, რომელიც ვახუშტისეული ქუთათისის
საერთისთავოს წინამორბედია. ანონიმთანაც „ეგრისის შორაპნამ-
დე“ ხსენება იძლევა იმის საფუძველს, რომ შორაპნის საერთისთავო
რეალურად არსებულ ერთეულად ვცნოთ. სხვა არა იყოს რა თვით
არგვეთის სამთავროს არსებობა VIII ს. პირველ ნახევარში (ძველ
„მარგვის ერისთავებს“ რომ თავი გავანებოთ) მძიმე არგუმენტია
იმის სასარგებლოდ, რომ „აფხაზთა სამეფოში“ შემავალი ეს ტე-
რიტორია ცალკე აღმინისტრაციულ ერთეულად, საერთისთავოდ
წარმოვიდგინოთ.

უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი „აფხაზთა სამე-
ფოსი“ ამ დროსაც ქალაქი ნიკოფისია უნდა ყოფილიყო, როგორც
ეს იყო X ს. პირველ ნახევარში⁴. ქალაქი ნიკოფისია მდებარეობდა
დღევანდელ ტუაფსეს ჩრდილოეთით, დაახლოებით 20 კმ-ზე, მდ.

² ვ. ა. უ შ. ტ. ი. საქართველოს ცხოვრება, 271. კონტექსტით აუცილებელია
ქორექტურა: „ეგრის“—„ეგრის-წყალი“ (შდრ. ზ. ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე. დასახ. ნაშრ.
გვ. 109). შეცდომაა, ალბათ, lapsus calami, „კორონის სამხრეთისანი“, უნდა—„რა-
თნის სამხრეთისანი“.

³ ის. მ. ლორთქ ქიფანი ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 187—8.

⁴ ის. კონსტანტინე პორფირო გენეტი. „გეორგია“, IV(2),
გვ. 233; ზ. ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 110—111; მ. ლორთქ ქიფანი ი ძ ე.
დასახ. ნაშრ., გვ. 186.

ნევოფსუხოს შესართავთან ზღვისპირა კონცხზე⁵. და შემცირდა უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთის საზღვარს, აქეთენ, „უფხაუთა სამეცო“, როგორც ჩანს ვოროხის შესართავის დროის შემცირებულების და მოსაზრება, რომ ქალდია ტრაპიზონითურთ შეკუმუნიკა შეუტკერდებში შედიოდა, არ უნდა იყოს სწორი და იმანე საბანისძის თხზულების სათანადო კონტექსტის არასწორ ინტერპრეტაციაზეა დამყარებულა⁶.

მართლაც, კონსტანტინე პორფიროგენეტი თავის ტრაქტატში ბიზანტიაში არსებული აღმინისტრაციული ერთეულების (თემების) შესახებ მხოლოდ აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი ასეთი ბიზანტიური პროვინციაა „ეგრეთ წოდებული ხალდის თეში და მისი დედაქალაქი, რომელსაც ტრაპეზიუნტი ეწოდება“⁷. საინტერესო ის არის, რომ იმპერატორი აქ თავისი დროის (X ს.) ვითარებას კი არ ასახავს, არამედ უფრო ძველს — VII—VIII საუკუნეებისას, ანუ სწორედ ჩვენთვის საინტერესო პერიოდისას⁸.

გარდა ამისა, ჩვენთვის საინტერესო საეკითხისათვის ღირებული უნდა იყოს ნათარგმნი ლიტერატურის ძეგლი „ორიენტოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა“, რომლის კიმენური რედაქცია VI—VIII სს-ში უნდა ჩამოყალიბებულიყო⁹ და ამდენადვე იქ წარმოდგენილი ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარება შესაძლებელია ჩვენთვის საინტერესო დროისა იყოს, მით უმეტეს, რომ ამ თხზულებაში ასახული პოლიტიკური ურთიერთობა უგრისა და აფხაზეთს შორის მაინცდამანც VII—VIII სს, პირველი ნახევრისა უნდა იყოს. ხსენებული მარტვილობის ტექსტში აღნიშნულია, რომ წამებული ტრაპეზუნტიდან ხომალდით წამოსული იოხ დღეში აფხაზოს მოვიდნენ და „მიერ აღდგომილნი მყვანებელნი მათნი წარვიდეს სოფლად აწ ლაზთად წოდებულად“¹⁰. სეინაქსარულ რედაქციაში ეს ეპიზოდი ასეა გადმოცემული: აფხაზოსიდან წამო-

⁵ ზ. ან ჩაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 110.

⁶ ს. ჭანაშია, შრომები, 11, გვ. 338.

⁷ ს. ჭანაშია. იქვე; ზ. ან ჩაბაძე. დასახ. ნაშრ., 111—114;

⁸ პონს ტანტინე პორტფირო გენერალი, გვ. 181—185.

⁹ კონსტანტინე პორტფირო გენერალი, IV(2), გვ. 300.

¹⁰ კ. კავკალიძე. ეტოდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიადან, IV, გვ. 297.

¹¹ იქვე, გვ. 321.

სული „წმიდად კვრიაკოს, მივიდა რად საეგრომასა ქუეჭანასა“¹². ამგვარად, როგორც ვხედავთ, აფსარისი, რომელიც საერთო პირობილების გონიოს აღგილას მდებარეობდა, ამ ძეგლის მრწფლეული ვით არ არის „ლაშთა სოფელში“, ანუ „საეგროში“, უჭირული მომარტინის შობს, რომ მაინც დამაინც, კოროხის სამხრეთი ტერიტორია გამორიცხულია ეგრისიდან. არ გვაქვს საფუძველი იგივე ვითარება არ ვიგულისხმოთ VIII ს. მეორე ნახევარში ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებისა და „აფხაზთა სამეფოს“ შექმნის შემდეგაც.

კონკრეტულად სად გადიოდა საზღვარი VIII-IX სა-ში ძნელი სათქმელია. ამ თვალსაზრისით შეიძლება საინტერესო იყოს პატარა მდინარე ბათუმსა და ჭოროხს შუა, რომელიც კახაბრის ველზე მიედინება ჭოროხის ქვემო ღინების პარალელურად და რომელსაც „მიჯნის წყალი“ (ხუთვერსიანი რუკის—პ. მეჯინის) ეწოდება. მაგრამ, შესაძლებელია, ეს სახელწოდება გაცილებით უფრო გვიანდელიც იყოს.

ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი ჩვენება, რომელიც, მართალია, X ს. პირველი ნახევრისაა, მაგრამ, ვფიქრობთ, ძელ ვითარებას უხდა გულისხმობდეს. კონსტანტინე პორფიროგენეტი გადმოვცეცმს, რომ გურგენ მაგისტროსმა თავის სიმამრს, აშორ კასკასს წარათვა არ-ტანუჭი ე. ი. ფაქტიურად, როგორც ჩანს, კლარჯეთი, შესაძლებელია, შავშეთიანად¹³ და „ამის საბადლოდ მისცა მას ტირკვასტრონი და აჭარის წყლის გასწვრივი ქვეყანა, რომელიც რომანის მოსაზღვრე იყო კოლონისთან“¹⁴. ტირკვასტრონი, ეს იგივე ყველისციხე¹⁵, სამცხის ერთ-ერთი ცენტრი და, ცხადია, მისი ხე-ნება მის „შესავალსაც“ (მთელ სამცხეს?) გულისხმობს. რაც შე-ეხება აჭარის წყლის გასწვრივ ქვეყანას, აქ, უკველია, აჭარა იგულისხმება.

ისტორიულ-გეოგრაფიული სიტუაციის გათვალისწინებით კონტექსტი მხოლოდ ისეა გასაგები, რომ აჭარა ესაზღვრება ბიზანტიის (რომანიას) კოლონიისთან. ამდენადვე ამ უკანასკნელის გადატანა კაპადოკიის საზღვარზე¹⁶ სრულიად შეუძლებელია. მაგრამ ბუნებრივი-

¹² იხ. „გეორგია“, IV(2), გვ. 415.

¹³ რომ არტანუჭი „ქვეყანასაც“ ეწოდებოდა, ეს აშერად ჩანს იმავე კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებიდან („გეორგია“, IV(2), გვ. 275—277).

¹⁴ კონსტ. პორფიროგენეტი. „გეორგია“ IV(2), გვ. 276.

¹⁵ იქვე, შენ. 1.

¹⁶ იქვე, შენ. 2.

ჩანს, თუ პორფიროვენეტის ამ პუნქტს (კტილი) გავათვივებთ გოვან
ნიმ— „ყოროლისთან“ რომელიც შემორჩენილია პიროვნეულობის და ტრანსფ-
რმებში— „ყოროლისთავი“ (ხევი, ხევზე მდებარე სოჭურაული უნდა იყოს). მდ. ყორტუტტულური შეფრენების მის ჩრდილოეთით მოედინება ჭოროხის შესართავის პარალელურად.

საფიქრებელია, რომ ქართველ ბაგრატოვანთა სამღლობელო,
კერძოდ, აჭარა, სადღაც ამ ზონაში ემიგრებოდა ბიზანტიის იმპე-
რიას. მაგრამ ამდენადვე ცხადია, რომ აქ უნდა გასულიყო ქართ-
ველ ბაგრატოვანთა და ბიზანტიის საზღვარი „აფხაზთა სამეფოს
თან“, რადგან, ერთი მხრივ, მესხთა საბრძანებელი არ გადასცდე-
ბოდა მესხთის ქედს („აჭარისწყლის გასწვრივი ქვეყანა“!) და
გურია „აფხაზთა სამეფოს“ ერთ-ერთ საერისთავოს წარმოადგენდა,
ხოლო, მეორე მხრივ, თუ ეს ასეა, მაშინ ყოროლის (ყოროლის-
თავის) ხევნება, როგორც მესხ-ბიზანტიიელთა მიჯნისა, უკეთესობა
გულისხმობს, რომ ბიზანტია აქ „აფხაზთა სამეფოს“, კერძოდ გუ-
რიის საერისთავოსაც ემიგრებოდა.

ამგვარად, ვფიქრობთ, ძალიან არ შევცდებით, თუ „აფხაზთა
სამეფოს“ უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ საზღვარს მდ. ყოროლის-
თავის ხევზე დავდებთ.

აღმოსავლეთი საზღვარი ლიხის მთაზე იყო, სამხრეთით—აჭა-
რა-ახალციხის, ანუ მესხთის ქედზე, ხოლო ჩრდილოეთით—კავკა-
სიონის ქედზე. ი. ეს ტერიტორია იქნა ლეონ II-ის მიერ დანაწი-
ლებული 8 საერისთავოდ.

2. ამ საერისთავოთა ტერიტორიულ მოცულობაზე დაკვირვე-
ბა, ზოგიერთი საგულისხმო დასკვნის გამოტანის საშუალებას იძ-
ლევა. ცნობილია, რომ ქართული ფეოდალური საერისთავოები,
როგორც წესი, ეთნიკურ-ტომობრივი, ანუ თემობრივი პრინციპის
მიხედვით იქმნებოდა. ამას მოწმობს, პირველ რიგში, ჩვენთვის
ცნობილ საერისთავოთა უმეტესობის სახელწოდებანი და, კერძოდ
„აფხაზთა სამეფოს“ საერისთავოთა სახელწოდებები¹⁷. ამიტომ
სწორი უნდა იყოს მოსაზრება, რომ საკუთრივ აფხაზთა ტომი ძი-
რითადად, აფხაზთა საერისთავოში მოსახლეობდა, რომელიც სა-
კუთრივ აფხაზეთს გარდა ჭიქეთის ნაწილსაც მოიცავდა¹⁸. მეორე
მხრივ, ეს ფაქტი მოწმობს ჭიქ-აფხაზთა ახლომონათესაობას, ანდა,

¹⁷ იბ. ზ. ან ჩ. ა ბ ა დ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 189.

¹⁸ ვ. ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს ცხოვრება; გვ. 271. ზ. ან ჩ. ა ბ ა დ ე.
ძევი, გვ. 116; ჭიქეთისათვის, იბ. ვ. ა ხ უ შ ტ ი, ალექსა. გვ. 172.

შესაძლებელია ამ დროისთვის ჯიქთა გარკვეული ნაწილის ქართველიას აფხაზთა მიერ. ამ საერისთავოს ცენტრი ბიჭვინთა უძღვა
უოფილიყო¹⁹.

რაც შეეხება ცხუმის საერისთავოს, ამ შემთხვევაში უფრო მეტად რესო მოვლენები მეღავნდება. ცხუმი, როგორც ვიცით, საკუთრივ აფშილეთის ქალაქი იყო და აფშილეთის ტერიტორიის ეგრის-აფხაზეთს შორის დანაწილების შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაში მოექცა. VIII ს. ბოლომდე თუკი საზღვარი აფხაზეთსა და ეგრისს შორის მდ. კელასურზე იყო (იხ. ზემოთ, II, 7), ამიერიდან ძველი აფშილეთის ტერიტორია კვლავ აღუდგენიათ და საზღვარი ეგრისთან ისევ ეგრისწყალზე (ლალიძეგაზე) დაიღო. ამრიგად, ცხუმის საერისთავო, ფაქტურად, აფშილთა ტომით დასახლებულ ტერიტორიაზე შეიქმნა. მაგრამ ცხუმის საერისთავო მოიცავდა „ალანის ქვეყანასაც“, ანუ კოდორის ზემო წელს (იხ. ზემოთ, I, 6) და ე. ი. მისიმიანეთსაც. ეს კი მოწმობა უნდა იყოს იმისა, რომ მისიმიანელები, რომლებიც თავის დროზე სვანურ ტომს წარმოადგენდნენ და ეგრისის სამეცნის ცალკე „საერისთავოს“ ქმნილნენ, VIII ს. ბოლოსთვის დიდ ნაწილში მაინც ასიმილირებული იყვნენ აფშილების მიერ და ადმინისტრაციულადაც მათ შეერწყვენენ. ე. ი. ამ შემთხვევაში აქ ისეთივე მოვლენასთან გვაქვს საქმე, როგორისაც აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე შევხვდით: ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგად მოხდა მთისა და ბარის ერთ ფეოდალურ „ქვეყანად“, ამგრად ცხუმის საერისთავოს სახით ჩამოყალიბება. ამის საფუძველი, როგორც იქ. ისევე აქც ბარის მიერ მთის ეკონომიკური ათვისება და მისი მოსახლეობის შერწყმა-ასიმილაცია უნდა უოფილიყო.

ჩეენ სხვა შემთხვევასთან დაკავშირებით გვქონდა უკვე საუბარი თანადროული წყაროს დამოწმებით იმის შესახებ, თუ რამდენად იყო დამოკიდებული კოდორის ხეობის ზემო წელი (მთიანეთი) მის ქვემო წელზე (ბარზე), ანუ რამდენად რეალური იყო აფშილეთის გავლენა მისიმიანეთზე და ამის ერთ-ერთ წინაპირობად ის გზები ვივარიაუდეთ, რომელთა საშუალებითაც მისიმიანეთი

¹⁹ იხ. ზ. ან ჩ. ა ბ ა ძ ე, იქვე. მართლაც, როგორც ვიცით, ბიჭვინთა უძღვეს დროიდანვე წარმოალენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტს, ქალაქს შევი ზღვის სანაპიროზე (ანაკონდასთან და სებასტიონის ციხესთან ერთად) და ბუნებრივია იგი გამხდარიყო უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საერისთავოს ცენტრიც.

ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულ უფრისის პასუ
უკავშირდებოდა და რომლებიც უშეალოდ აფშილეთზე გადიოდ-
ნენ. მეორე მხრივ, სულ უკანასკნელ ღრმოდე წებვენ და მისამა-
ნების სიძლიერე იმით გამოიხატებოდა, რომ მათმ ჭრილი გადატე-
პქონდათ მოიანეთში და გადასასვლელ გზებს ფლობდნენ. რო-
გორც მთაში, ისე ბარისკენ²⁰.

ახალი ერთეულია აგრეთვე რაჭა-ლეჩებუმის საერისთავო, რო-
მელიც შეესატყვისება განვითარებული ფეოდალური ხანის რა-
ჭისა და თაკვერის საერისთავოს²¹.

თუკი ძევლად ლეჩებუმელები, როგორც ირკვევა, ერთ-ერთი
სვანური ტომი უნდა ყოფილიყო²², VIII ს. ბოლოსათვის ისინი
მთლიანად, ან თითქმის მთლიანად გაქართვებულად უნდა წარმოვი-
დგინოთ. უამბირობოდ გაუგებარი იქნებოდა მათი რაჭველებთან
ერთადრეთ საერისთავოში მოქცევა. კიდევ მეტი, საფიქრებელია,
რომ ეს პროცესი სწორედ რაჭიდან და ძირითადად რაჭველების მეშვე-
ობით ხორციელდებოდა. ამის საფუძველს შემდეგი გარემოება გვაძ-
ლებს: ჩვენ ვიცით, რომ „თაკვერი“ რაჭის უძველესი სახელწოდება
უნდა ყოფილიყო²³, ხოლო ლეჩებუმისა კი „ჩემი“, რაც ბიზან-
ტიურ წყაროებში აისახა „სკვიმნიის“ სახით (შედრ. ლეჩებუმში
დღესაც არსებული სოფელი ჩემი—ამ პროცენტის უძველესი ცენ-
ტრი?). „ლე“, როგორც ცნობილია, სვანური თავსართია და „ლე-
ჩებუმი“ ქართული „სა-ჩემ-ოს“ ეტვივალენტია. ეს დასტურდება
აგრეთვე იმითაც, რომ სომხური ხონიმური გოგრაფიის შოკლე
რედაქციაში, რომელიც არ იცნობს კავკასიის მთიანეთში „რაჭვე-
ლებს“, დასახელებული არიან ცალ-ცალკე „ჩემნი“ (*სტატუსი*)
და „თაკვერნი“ (*მაჟისტრი*)²⁴, რაც უნდა აღნიშნავდეს ლე-
ჩებუმელებს და რაჭველებს. VI ს. ბიზანტიურ წყაროებშიც, როგორც

²⁰ ი. ს. ა. დავითი. Историческая записка об управлении Кавказом,
т. I, Тифлис, 1907, с. 108—109.

²¹ ი. გ. ც. 11, გვ. 27, 33.

²² ე. თ. უ. ა. მ. ვ. ი. ა. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩემ-სკანეთში
1910 წელს. პარიზი, 1937, 84; მ. ქ. ა. ლ. დ. ა. ნ. ი. ლეჩებუმის გეოგრაფიულ სახელთა
ძე (II-შ) სუფიქსის საკითხისათვის. ქართველერ ენათა სტრუქტურის საკითხები.
ტ. 111, 1963, გვ. 76—77.

²³ ვ. ა. ც. უ. შ. ტ. ი. ა. ლეჩერა. გვ. 148. სქოლი.

²⁴ პატარანოვის გამოც. 16; სურანისეულ გმოცემაში (გვ. 26) სკვიმნები საერთოდ
გამორჩენილია, ხოლო მაჟისტრი-ის შესატყვისია მაჟისტრი, რაც უაპერაციას,
რომ პატარანოვისეულშიც თაკვერია დამახინებულად გადმოცემული.

აღვნიშეთ, სკომინა-ლეჩხემი ცალკე ერთეულია. უფრო ციიან, თაკვერი (რაჭა) პოლიტიკურად ლეჩხემსაც მოიცავს და მაგრავილები ამ უკანასკნელსაც, par excellence, თაკვერი ეწოდება, მაგრავილები როდესაც სახელწოდება „რაჭა“ გაჩინდა, თაკვერი მიღლოდ ლეჩხემსაც შემორჩია, ისიც მცირე ხნით გვიანდეოდალურ ხანაში ამ პროვინციას კვლავ ლეჩხემი ეწოდება.²⁵

ასე რომ ავ საერისთავოს ვახშეტისეული სახელწოდება—რაჭა-ლეჩხემი, ან თუნდაც „ქართლის ცხოვრებისეული“ რაჭა-თაკვერი, ფაქტიურად, უფრო გვიანდელი ცნებაა იმ ხანასთან შედარებით, რომელსაც ვეხებით. ამ დროს კი ამ საერისთავოს, სავარაუდოა, თაკვერის საერისთავო რქმეოდა. ცენტრი ამ ერთეულისა ისევე, როგორც გვაიანდეოდალურ ხანაში, მაშინაც შესაძლებელია მინდას ციხე ყოფილიყო, რომლის შესახებაც ვახშტი აღნიშნავს: „ციხე მინდა, მაგარი და აუღებელი მტრისაგან, და ვის უპყრავს ციხე ესე, არს ერისთავი რაჭისა“²⁶.

ბედის საერისთავო ეგრძელყლიდან (ლალიძეიდან) ცხენისწყლამდე და რიონს ჩრდილოეთით სვანეთამდე, ცხადია, ეგრძელებით, ანუ მეგრელებით დასახლებულ ტერიტორიაზე აღმოცენდა ცენტრით ბედაში ისევე, როგორც გურიისა, ფაქტიურად, გურულებით დასახლებულ ტერიტორიას მოიცავდა, ცენტრით, შესაძლებელია, გურიანთაში²⁷.

სვანეთის საერისთავოც, როგორც ჩანს, დღევანდელი ზემო და ქვემო სვანეთით შემოიფარგლებოდა, საფიქრებელია, დღევანდელი მთის რაჭის, ანუ ე. წ. სვანეთის „მთიულეთის“ ჩართვით. რომ ეს ტერიტორია ამ დროს სვანეთის კუთხნილი უნდა ყოფილიყო, ეს ჩანს ერთხელ უკვე დამოწმებული სვანური სასისხლო სიგელიდან, საიდანაც ირკვევა, რომ ეს ტერიტორია სვანებმა მხოლოდ XV—XVI საუკუნეთა მიჯნაზე დაკარგეს²⁸. სვანეთის ერისთავის რეზიდენცია, შესაძლებელია, უშეგულში ყოფილიყო.

²⁵ „თაკვერი, რომელსა აუ ქევიან ლეჩხემი“, ქუა, 11, გვ.349; ვახშტი ა. აღწერა, გვ. 148. რაც შეეხება რაჭის ეტიმოლოგიას, ეს სახელწოდება აე. შანიძეს მიხედვით საკუთარ სახელ „რატი“-დნ (რატიშა) მოღის. იხ. მისი, ავრის-ფეისიანი ქალთა სახელები ძველ ქართულში, „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“, XI, 1968, გვ. 11.

²⁶ ვახშტი ა. აღწერა, გვ. 159.

²⁷ იხ. ე. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, 1964, გვ. 340, შენ. 17.

²⁸ 3. ინგორიშვილი. სვანეთის სასტორო ძეგლები, II, თბ., 1941, გვ. 32—33.

სვანეთის 1964 წლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის/ვარაუდით უშეგულის ე. წ. „თამარის ციხე“ სვანთა ერისთავის ჩაზღვისა უნდა იყოს²⁹. იგივე დასკვნამდე მიეცედის მის შემცირებული წლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის დროში მართვეს.

მართლაც, უშეგულის „თამარის ციხე“ სვანეთისათვის არცთუ ჩვეულებრივი ძეგლია. იგი ავებულია ენგურის მარცხენა ნაპირის მაღალ მთაზე, უშეგულის სამხრეთით და წარმოადგენს საკმაოდ ფართო გალავანს (ca. 50X15 მ²), რომელშიც ჩართულია სამი კოშკი. მაგრამ ცხადია, რომ აქ სოფლის თავშესაფარ გალავანთან კი არა გვაქვს საქმე — ინდივიდუალური საოჯახო კოშკებით დაცულ სვანურ სოფელს, განსაკუთრებით, უშეგულს, ეს არ სჭირდებოდა — არამედ წარჩინებულის, ანუ სვანური „ვარგის“ რეზიდენციასთან, კერძოდ; კი სავარიუდოა, „სვანთა ერისთავის“ რეზიდენციასთან.

უშეგული, როგორც ცნობილია, ზემო სვანეთის უკიდურესი აღმოსავლეთის თემია, ამიტომ აქ ავებული ციხესიმაგრის ცენტრობა ზემო სვანეთისათვის გამორიცხულია. საამისოდ მესტია, რა თქმა უნდა, უპრიანია და, მართლაც, ასე იყო გვიან საუკუნეებში, რაც იგივე სვანური საბუთებით ცხადია³⁰, და ასე ამჟამადაც უშეგულის ცენტრობა სხვა ვითარებას გვავარაუდებინებს, კერძოდ იმას, რომ „თამარის ციხე“ ცენტრია არა მარტო ზემო, არამედ ქვემო სვანეთისაც იმ პირობით, რომ ეს ორი „ხევი“ ერთ აღმინისტრაციულ ერთეულადაა გაერთიანებული. მართლაც, უშეგული მთელი რიგი გზებით (ზაგაროს, გორვაშის, დადიაშის და უკალის უღელტეხილებით), მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვემო სვანეთთან (ჩოლური, ლაშეთი), აგრეთვე სვანეთის „მთიულეთთან“ და, ამდენად მისი ცენტრობაც ბუნებრივია. ასეთი ვითარება, ვიშეორებთ, გასაგებია, იმ შემთხვევეაში თუ ყველა ეს ზემოხსენებული მხარე გაერთიანებულია. ეს კი ასე იყო არა გვიანფეონდალურ ხანაში, არამედ სწორედ „სვანთა საერისთავოს“ არსებობის დროს³¹.

რაც შეეხება „ქუთაისის საერისთავოს“, რომელიც მოიცავდა

²⁹ ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო ნ. ბერძენიშვილი. ზემოხსენებული ვარაუდი გმიშიარეს გ. ცერტიშვილმა და დ. ბერძენიშვილმა.

³⁰ იხ. პ. ინ გორო ყვა. იქვე, 5—9, საბუთები №№ 1—5.

³¹ უშეგულში ჩახებოლდა სვანთა ერისთავების სკისტია, ცული და „საკურცხილ“ (სავარძელი), რაც გ. გასვინის, სამართლიანად, იმას მარიშებლად მიაჩინა, რომ აქ ოდესლაც ერისთავთა ჩეზიდენცია უნდა ყოფილიყო, იხ. გ. გასვინი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის სტორიდან, 1973, გვ. 45, სჭოლია.

չայց ոմերետս, ոյրոնքասա դա ხանօլիքունու დაսավლეտ შեհրէս պարու
ամდը (զբանգուղգուալուրո ხանօ սահիեօծ, սահինօշալութիւնայլու³²
սահիօշաօծ դա սախազեօծ³³), օց Շերժմնա մշելո ցըրջիւր, արտիմութիւնը
սայրօնտացոն, անց զանթերուուսուլո ցոხ-ցոքու սայրօնտացու,
անց հաց օցուց յարուունու ցեռցրէծուսուլու³⁴ Մադա ցըրօնսիս դա
սցանցտու սայրօնտացոն սամերետ-ալմոսացլետո նախօնուս դա մշելո
արցետու սամთացրու დասավլետ პհոვոնցուցուս ხահիչը³⁵. Ամ սայ-
րօնտացոն լունցը յալայի յուտասու.

“յուտասու սայրօնտացոն” ֆարմոյմնա, ցայտուրագ, նօմենավდա
մշելո ցըրօնս սամեցոն շնչոնացանցու դա սմծութիւնը ցյոնոմո-
կուրո հաօնոնու — մոերուսու, յրտ ալմոնսիւրապուլ յրտուլագ
ալլցցենս դա Մեմոյրէծա մոսու ծոնցծրուց լունցը յուտասուն
ցարմեմո. յուտասուն (Ելլոյուրէ?) ալլցցեծա դա գայնացրէծա,
հաց ցարկայւլո մոնիշեծուտ ուսու ցածորուեծուլու դա VIII և.
პհովուլո նաեւըրուգան Շոյմինցը (օ. Նշմոտ, II, 8), հրալուրագ
կո շուրու աժորց սնճա լախիցպալուսու (մանցամանց, մաս Մեմդեց,
հաց արածեծմա մշելո յարուունու սայրօնտացրո դամպրէս ցարե՛շ
արցետուս, հրամելու ամոյրուգան ոնքունսուրագ սնճա հաձմուլո-
սու დասացլուր-յարուուլ პոլուրուց լունցծրուցածու (ծոնցուցածու), ծոնցծրուցած
սնճա ցամուշուրա, արա մեռլու զայց օմերետան, արամեց մոսու մօմ-
դեծարյ արցետու դասավլետ პհովոնցուցածու մշութու ցյոնոմո-
կուրո սրտուցրուգան. հրամելու յայցուլուսու, սամուսու ցածո-
ցացցեծա ցամունցուրու անալուզալ³⁶. ոնքունսուրո ցյոնոմոկուրո
սրտուցրուգան սագումելու, ծոնցծրուցած, ալմոնսիւրապուլու յր-
տոնօնց ցայտուրմեծուլուսու. ամ ուցալսաթիւնուսու ցմացցեծա հոռոնու
սամերետո մեհրուս, ხանօլիքուն դասավլետո ըւրուուրունուսուն
այց յուտասուն սայրօնտացումա³⁷.

3. “յուտասու սայրօնտացոն” Ծորուուրունուս շուրու ցոյածցըլ

³² օ. 3 ա կ Շ թ Ծ ո. ալլուրա, ց. 163—165.

³³ ոյցց, ց. 164—166.

³⁴ յս პհովոնցուծա ցամանցուլո սահիեօծ, Յորցելագ արցետացզ Շուգութ-
լու. հրամելու Յորցելագ ուսու արցետու սայրօնտացու (Յ ա կ Շ թ Ծ ո. ոյցց,
ց. 163—164) դա ացրուց ոյրոնքա-հոռոնուս ալմոսացլետո, հրամելու Յորցելագ
ուսու արցետուսա” (ոյցց, 165).

³⁵ Ф. Т. М а р к о в. Экономический быт государственных крестьян
северо-восточной части Кутаисского уезда, МЭГКЗК, т. I, 248 դա Մեմդեցը.

³⁶ Ծորուատու մուցծուսու խամոցրէծո, Խաճաց ոյրոնքացլու XIX և-Շու գայցա-
ցատ Խամոցլո (ոյցց, 228, 230).

წყაროებში „ქუთათისისა სამოქალაქო“ („მატიანე ქართლისა“)³⁷ და, მარტივად, „სამოქალაქო“ („მატიანე ქართლისა“, ლაშა-გორ-გის დროინდელი მემატიანე, „ისტორიანი და აზმანი შეარეაზდეს კათანი“)³⁸ ეწოდება. ეს ტერმინი უნდა მოწმობდეს ან წერილი მეცნიერებების ტერიტორია ქალაქ ქუთათისის „მიმდგომი ქვეყანაა“, ანუ „ქუთათისისა“³⁹, ე. ი. ეკონომიკურად და ოფიციალურად შისგან დამოკიდებული ტერიტორია, ანდა — რომ ამ ტერიტორიაზე ბევრი ქალაქია, ანუ სავაჭრო-სახელოსნო დასახლება და ე. ი. ეკონომიკურად ძლიერ დაწინაურებული რაიონია, რაც რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს პირველ მნიშვნელობასაც⁴⁰.

ამგვარად, ბუნებრივია, ეკონომიკურად ყველაზე ძლიერ და წინაურებული რაიონის ცენტრი, ქუთათისი, ახლადწარმოქმნილი „აფხაზთა სამეფოს“ ცენტრი გამხდარიყო. რეალურად თუ ვიფიქრებთ, „ქუთათისისა სამოქალაქო“ იმ ძეველ დროსვე, რომელსაც ჩვენ ახლა ვიხილავთ, უნდა ყოფილიყო არა საერისთავო ქვეყანა, არა მეღდ „აფხაზთა მეფის“ დომენი⁴¹, ცხადია, რეზიდენციით, ქუთათისში.

მეფის დომენი, ანუ ძეველი ქართული ტერმინოლოგიის „ქვეყანა სამეფო“⁴², რა თქმა უნდა, მხოლოდ სამოქალაქოს ფარგლებით არ შემოისაზღვრებოდა, არამედ, ძეველი ქართულივე წყაროს გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „იყო განწოვებით გამონაყოფი ყოველთა ამათ ხევთაგან“⁴³, ჩეენ შემთხვევაში — საერისთავოთაგან.

³⁷ ქ' ცა, 1, გვ. 299.

³⁸ ქ' ცა, 1, გვ. 319, 367, ქ' ცა, 11, გვ. 49. იხ. აგრეთვე ს. ფ. ა ნ ა ვ ი ა. შრომები, 11, გვ. 320—321; კ. ჩ ა კ ვ ე ტ ა ძ ე, ქუთათისის სტრიკიდი, 1960, გვ. 113; ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა რ ა მ ვ ი ლ ი. ქართული უეოდალური სამხედრო ორგანიზაციის სტრიკიდი, „მაცნე“. სტრიკის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოფერის სამსახურის, 4, 1971, გვ. 133—139.

³⁹ ქ' ცა, I, გვ. 354.

⁴⁰ შრ. ს. ფანა ვით, იქვე; ქ. ჩხატ არა იშვილი. დასახ. ნაშრ., 133 შენ. 14. ქალაქის „მიმდგომი ქვეყანა“ — ეს ტერმინი ჩვენს შეარებში გარევეულ დროს ჩნდება (მაგ.: „შაქერი და მიმდგომი მისი ქუთათისანი“, ქ' ცა, 11, გვ. 172; „მიმდინარე და მიმდგომი მისი“, იქვე, 262; „კარი და მიმდგომი მისი ქუთათისანი“, იქვე, გვ. 315; ამდა უბრალოდ: „ქუთათისანი კარისა“ იქვე, გვ. 38; „ქუთათისანი ატენისა“, იქვე, გვ. 275 და სხვა) და აღნიშნავს იგივე „შესავალს“. ე. ი. ღმილებულ ტერიტორიას, ასე მაგალითად: „მცხეთა და მთია მიმდგომი ქუთათისანი“ (ქ' ცა, 11, გვ. 224) გულისხმობს მცხეთის საკათალიკოს უმამაშელს მთელს საქართველოში.

⁴¹ მავე პრისაა ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა მ ვ ი ლ ი, იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 134—135.

⁴² ქ' ცა, 11, გვ. 224.

⁴³ ქ' ცა, 1, გვ. 242.

მეთი გამონაყოფი უნდა ყოფილიყო ცხუმის საერთაშორიშო ან-
კოფია (რა თქმა უნდა, თავისი „შესავალით“) — ძველ აფხაზ მთა-
ვართა რეზიდენცია⁴⁴ და სხვ.

ეთნოგრაფი განვითარების თვალსაზრისით ამ ტრადიციული საქართველოს
IX ს. დამდეგისათვის ვახუშტისეული „ქუთათისის საერთაშორიშოს“
ანუ გვიანდელი „სამოქალაქოს“ მოსახლეობა, როგორ ზემოთ აღ-
ვნიშნავთ (იხ. II, 7—8), უკვე დიდი ხნის გაქართვებული (ან უკვე,
გაიმერლებული) უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც შორაპნის სა-
ერთაშორისო (არგვეთი), რომელიც ამ დროს მოიცავდა ტერიტორიას
შემოსაზღვრულს. დასავლეთიდან სამოქალაქოთი, აღმოსავლეთი-
დან — ლიხის მთით, ჩრდილოეთიდან — თავეერის საერთაშორიშო
(რაჭა) და სამხრეთიდან — ფერსათის ქედით. ეს პროცესი დასავ-
ლურ-ქართული (შეგრული) და აღმოსავლურ-ქართული ტომების
ინტეგრაციისა, როგორც ვიცით, უძველესი დროიდანვეა საერთა-
ულო.

სხვათშორის, ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვნად
გვეჩვენება ვახუშტი ბატონიშვილის ერთი ჩვენება: „არს ხონს ეკ-
ლესია დიდი, გუმბათიანი, შვენიერ-ნაგები, ზოს ეპისკოპოზი,
მწყემსი ვაკისა. ეს იყო ერთობასა შინა ქართლის მთავარეპისკო-
პოზისა: შემდგომად განყოფისა დასვეს აქა ეპისკოპოზი“⁴⁵.

ვახუშტის ამ ცნობიდან, რომელიც, ეცვი არ არის, მას რომე-
ლილაც ძველი წყაროდან უნდა ჰქონდეს, გამოდის, რომ ერთიანი
საქართველოს სამეფოს არსებობის პირობებში ვაკე იმერეთი, ანუ
„სამოქალაქო“ ქართლის მთავარეპისკოპოზის იურისდიქციას ემორ-
ჩილებოდა. ერთიანი საქართველოს მონარქიის არსებობის დროს
ასეთი მოვლენის წარმოქმნა გაუგებარია. საფიქრებელია, რომ იყი
გაცილებით უფრო ძველი დროის ნაყოფია და, მაინც დამაინც, იმ
დროისა, როდესაც ეგრისი ძლიერი ქართლის კულტურულ ექს-
პანისის განიცდიდა. შესაძლებელია ეს ფრიად საინტერესო ფაქტი
დაყავშირებული იყოს იმ მოვლენასთან, რომელიც ფიქსირებულია
სომხურ წყაროში და რომლის მინედვით „წინანდელ წესთა მაგა-
ლითისამებრა“. VII ს. დასაწყისში ქართლის კათალიკოსის იურის-
დიქცია ეგრისის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდა. თუ ვახუშტის
ცნობა რაიმე კავშირშია ითანე დრასხანაკერტელის ჩვენებას-
თან, რაც მართლაც ასე უნდა იყოს, მაშინ ეგრისის ეს ნაწილი

⁴⁴ ვ. ა. ხ. შ. ტ. ი. საქართველოს ცხოვრება, გვ. 270.

⁴⁵ ვ. ა. ხ. შ. ტ. ი. აღმრა, გვ. 150.

ყოფილა სწორედ ვახუშტისეული „ქუთათისის საერისთავო“ (და, რა თქმა უნდა, არგვეთიც).

ამგვარად, გამოდის რომ უძველესი დროიდან უკავშირდებოდა ეგრისის ომოსავლეთ ნაწილში ოფიციალური ქრისტიანული კრელტი ქართულ ენაზე სრულდებოდა, განსხვავებით მისი დასავლეთი ნაწილისაგან, სადაც ლვთისმსახურება ბერძნულად იყო. საამისოდ არც ის არის უმნიშვნელო, რომ VII—IX სს. ბიზანტიურ ნოტი ციებში, სადაც ჩამოთვლილია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ლაზიკის ეპარქიის ფასიდის სამიტროპოლიტოს ოთხი საეპისკოპოსო კათედრა, მხოლოდ ერთი—როდოპოლისის (ვარცისის) კათედრაა, რომელიც ქვეყნის შიგნითაა, დანარჩენი სამი კი, სამიტროპოლიტოსთან ერთად, ან ზღვისპირისაა: ფასიდი (ფოთი), პეტრა (ციხისძირი), ზიგანევი (გუდაყვა), ანდა არცუ ისე მოშორებით ზღვისაგან — საისინი||საისი (ცაიში)⁴⁶.

როგორც ცხედავთ, მთელ იმ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს სწორედ ვაკე იმერეთს, არგვეთის უდიდეს ნაწილს რაჭა-ლეჩესტმიანად, არც ერთი ბიზანტიური საეპისკოპოსო კათედრა არ მოიხსენიება. ეს გარემოება არ უნდა იყოს უმიზეშო და ამდენად, უველავერი ზემოთქმული გვაიძულებს ვითიქროთ, რომ ამ ტერიტორიაზე უკვე მაშინ (VII—IX სს-ში) მცხეთის კათალიკოსის იურისდიქტია მოქმედებდა ქართული ენით, ქართული მწიგნიბრიბით და აქედან გამომდინარე უველა ღრმა შედეგებით.

ამ კონტექსტში საამისო მყარ არგუმენტად მოჩანს VII ს. მცხეთის ჯერის ტიპის ტაძრის აგება ჰყონდიდში (იხ. 1, 2).

ამის შემდეგ ჩვენთვის კიდევ უფრო ცხადი უნდა იყოს ზემოთ სხვა წყაროებით მიღებული დასკვნის სისწორე (იხ. II, 8), რომ ქუთათისი ოსსგა არა მხოლოდ, როგორც „ქართლის“ პოლიკური ცენტრი, არამედ როგორც ქართული ნაციონალური კელტურის ცენტრი.

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ იგი გახდა ახლად ჩამოყალიბებული „აფხაზთა სამეფოს“ სახელმწიფოებრივი ცენტრიც. ეს გარემოება იმთავითვე უცილობლად და მხოლოდაზნად წყვეტს: 1) „აფხაზთა სამეფოს“ სახელმწიფოებრიობის არსე—რომ ეს იყო ქართული სამეფო; 2) „აფხაზთა მეფეების“ კულტუ-

⁴⁶ ბ ა ს ი ლ ი ს თ ფ ე ნ ვ ლ ი. „გეორგია“, IV(2), 128—144; პუნქტების თქმების იურიდიკულისაფეს იხ. გამომცემლის, ს. ყაუხების შემთხვევაში, იქვე, გვ. 187—189 და 413—415.

რული ვინაობის საკითხს — რა ეთნიკური წარმოშობისაც არ უნდა ყოფილიყვნენ, კულტურული მრწამისით ისინი ზევნენ, ჭართველები და 3) „აფხაზთა მეფლების“ პოლიტიკური კურსის გენტიუნისტულ მართულებას — ისინი იმთავითე დაადგენენ, ზოგადტანტულ მეცნიერებას და საშინაო პოლიტიკურ კურსს, რაც გამოიხატებოდა „საქართველოს“ მშენებლობაში ქვეყნის შიგნით და გარეთ⁴⁷. ამიტომ, რა თქმა უნდა, სწორია მოსაზრება, რომ „უკვე მეცხრე საუკუნის დამდევიდან (თუ უფრო აღრე არა) აფხაზთა სამეფოში მწიგნობრობის, სამეფო კანცელარიისა და ეკლესიის ენა არის ჭართული“⁴⁸.

4. „აფხაზთა სამეფოს“ საერისთავოებშე დაკვირვება კიდევ ერთ საინტერესო გარემოებაზე მიგვითითებს.

ზემოთ (იხ. III, 4) აღნაშნული გვქონდა, რომ განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოსაგან, სადაც (მაგ., კახეთის ან ჭერეთის სამთავროებში) საერისთავოების ჩამოყალიბება ფაქტურად ნიშნავდა მთისა და ბარის ერთ ფეოდალურ „ქვეყნად“ გაერთიანებას, დასავლეთში ეს ტენდენცია გაცილებით უფრო სუსტად ვლინდება და „აფხაზთა სამეფოს“ საერისთავოები, არსებოთად, ჩამოყალიბდნენ, როგორც მთისა და ბარის „ქვეყნები“. რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება გარკვეულად პირობითად, რაფგან ჩვენ ზემოთ ცხეუმის საერისთავოს შესახებ საუბრისას იღვნიშნეთ, რომ იგი ძევლი მისიმიანეთისა და აფშილეთის ე. ი. შეიძლება ითქვას, მთისა და ბარის შერწყმის საფუძველზე წარმოიქმნა. ასევე შეგვიძლია ვთქვათ გურიის საერისთავოს შესახებაც, რომელიც (გურია) მთასაც მოიცავს და ბარსაც და გარკვეული თვალსაზრისით ერთ ეკონომიკურ მთლიანობას შეადგენს⁴⁹. მაგრამ არსებოთად, ვიმერებთ, დასავლეთ საქართველოში მთისა და ბარის იმგვარად შერწყმა ერთ ფეოდალურ „ქვეყნად“, როგორც ეს აღმოსავლეთში გვაქვს, არ მომხდარა. საამისო მიზეზად ჩვენ ნაწილობრივ ვთვლიდით, აღმოსავლეთთან შედარებით, სუსტ ეკონომიკურ კავშირს მთასა და ბარს შორის. მაგრამ ეს ეკონომიკური კავშირი მაინც არ სებობდა, და უძველესი დროიდანვე, მაგალითად, სვანეთისა და ეგრისს შორის. გვიანდელი ანალოგით თუ ვიმსჯელებთ, ასეთივე

⁴⁷ ჭდრ. ს. ჭანაშვილ ანალოგიურ მოსაზრებას, იხ. БСЭ, издание второе, т. I, с. 47; აგრეთვე, ზ. ა 6 ჩ ა ბ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 106—108.

⁴⁸ ს. კანაზ მისამართი, 11, 306.

⁴⁹ იხ. Д. Н. Носович. Экономический быт государственных крестьян в Озургетском уезде, Кутаисской губернии, МЭГКЗК, I, с. 734.

ეკონომიკური ურთიერთობა არსებობდა სამეცნიელოსა და გუბრიას შორის: სამეცნიელოს საქანელი საზაფხულო საფორმიკებული მედიოდა გურიის მთებში, შესხეთის ქედზე⁵⁰. არაფერმატურული ნებას ასეთი ეთარება უძველესი ლიტოიდანვე ვიგულისშით, რაგოვა ამას არ გამოუწვევა გურიისა და სამეცნიელოს გაერთიანება ერთ ფეოდალურ ერთეულად.

ამგვარად, ეკონომიკური ფაქტორი ამ პროცესში, „ქვეყანათა“ გაერთიანების, ეკრძოდ, მთისა და ბარის გაერთიანების პროცესში, უეპველია, დად როლს თამაშობს, მაგრამ იგი საქმარისია იმისათვის, რომ კონტრაგენტებს შორის გარკვეული პოლიტიკური სტატუსი დამყარდეს, მაგრამ ორგანული შერწყმისათვის იგი საქმარისი არ არის. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, არას ეთნიკურ-ტომობრივი ფაქტორი.

ის რომ „აფხაზთა სამეცნოს“ ჩამოყალიბების დროისათვის არ მოხდა სვანეთისა და ევრისის ან ეგრისისა და გურიის ერთ ფეოდალურ აღმინისტრაციულ „ქვეყნად“ ჩამოყალიბება, გაპირობებული იყო არა იმდენად სუსტი ეკონომიკური ურთიერთობით, რამდენადაც ტომობრივი განსხვავების არსებობით. სხვა სიტყვებით რომ ეთქვათ, ქართველ ტომთა ინტეგრაცია და არაქართული წარმომავლობის ტომთა ასიმილაცია დასავლეთ საქართველოში არ იყო იმ ხარისხს მიღწეული, როგორც აღმოსავლეთში, რომ ზემოხსენებული, თუ შეიძლება ითქვას, ახალი ტიპის ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნები“ წარმოქმნილიყო. ძაღლაც ინტეგრაცია საკმაოდ ძლიერი იყო, ანდა დასრულებული, იქ კიდევაც შეიქმნა ასეთი „ქვეყნები“, მაგ., თაკვერის (რაჭა-ლეჩხუმის) საერისთავო, ცხემის საერისთავო, ანდა „ქუთათისის საერისთავო“. ამ უკანასკნელის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ როდესაც ინტეგრაციის პროცესი დამთავრებულია, მაშინ რელ „ქვეყანათა“ გადანაწილება ეკონომიკური პრინციპით ხდება (იხ. ზემოთ, § 2). ამისივე მაგალითიკა კახეთის საერისთავოები. ზავრამ ცხადია ისიც, რომ თვით ინტეგრაცია-ასიმილაციის პროცესი გაპირობებულია ეკონომიკური ურთიერთობის ინტენსივობით. ასე რომ ეს ორი ფაქტორი, არსებითად ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული პროცესის ორგვარი გამოვლინებაა.

⁵⁰ იქვ. გვ. 746; მიხვე. Экономический быт государственных крестьян в Сенакском и Зугдидском уездах Кутаисской губернии, МЭГКЗК, II, с. 279—280.



სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს კულტურული
მიმღებელები
(რუპა 5)

1. VIII ს. ბოლო მეოთხედში, როდესაც ტაოსა და კლარჯეთში ინტენსიური ქართული სამონასტრო შენებლობა იწყება, წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ აქ არაბთა გავლენა თუ სულ გამჭრალი არა, საკმაოდ მინდლებულია, მეორე მხრივ, იმავე არაბთა მძლავრებისაგან, განსაკუთრებით მურვან ყრუს (736—738 წწ) დამარტეველი ლაშქრობის შედეგად და, ავრეთვე, მის შემდეგ შოთარული ეპიდემიის გამო, როგორც ცნობილია, ეს პროვინციები ნაწილობრივ დაიცალა მოსახლეობისაგან¹, ნაგრამ, რა თქმა უნდა, სრელიად უმკვიდრო არ ქმნილა და პატრონიც არ მოკლებია, როგორც, შესაძლებელია, სუმბატ დავითის ძის ქრონიკის მიხედვით მოგვეჩვენოს.

მართლაც, ზემოხსენებული ისტორიკოსის ცნობით, აშოტ კურაპალატი, რომელიც მას მცდარი ტენდენციის მიხედვით VI—VIII სს. ქართლის ერისმთავართა ჩამომავლად მიაჩინა², თავდაპირებულად „მთავრობდა ქუეყანასა მას შინა“³, ე. ი. ქართლში და მხოლოდ ამის შემდეგ არაბთაგან შევიწროებული თავს აფარებს ქართლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს, სადაც „დაშორომილთა მათ მკუდრთა შეაშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყუარულითა, და დაცმულია მუნ. და მისცა გმერამინ გამარჯვება და აფელმწიფია იგი შეაშეთ-კლარჯეთსა ზედა“⁴. ისე ვამოღის თიაქოს აშოტ კურაპალატი პირველი ბაგრატიონია, რომელიც ემკვიდრება მანამდე უპატრონო შეაშეთ-კლარჯეთში.

სინამდვილეში ეს ასე არ იყო.

აშოტ ბაგრატიონი რომ ქართლის ერისმთავარი იყო, ამას სიმები ისტორიკოსი ვარდან დიდიც ამოწმებს. როდესაც ალწერს IX ს. დასაცუსის ამიტრავეასის პოლიტიკურ ვითარებას, იგი

¹ იხ. ქ'ცა, I, 376; I, ძევლები, გვ. 257;

² ქ'ცა I, 374—376; სუმბატ დავითის ძის ტენდენციურობისათვის იხ. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ ე. თაყ აიშვილის გამოცემა, 1949, 14 და შემდ.: (ქვემოთ: ე. თაყ აიშვილი, სუმბატ დავითის ძე)

³ ქ'ცა, I, 376.

⁴ იქვე. შრო. ივ. გავახიშვილი. ქართველი ერის სტორია, I—II, გვ. 368—369.

სწორად აღნიშნავს, რომ „იწყეს გაძლიერება მთავრებმა (თითოეულმა) თავ-თავიანთ მხარეში. და ისმაირელთა მთავრმა კურთა სომეხთა მთავრის აშოტის ძის, ვასაკის ძის, ატრევულის, მშენებელის ქართველთა (ან ქართლის) ქვეყანა. იგი (აშოტი) მიღის და იმოჩილებს (ქართლს) ხოლო (ბიზანტიის) კეისარი უგზავნის მას კურაპალატობის პატივს“⁵. ამგვარად, როგორც ვხედავთ, მას შემდეგ, რაც აშოტმა არაბთაგან ქართლის ერისმთავრობა მიიღო, იგი საიდანლაც მიღის და იმორჩილებს ქართლს.

საიდან მიღის აშოტი ქართლის დასამორჩილებლად, ეს კარგად ჩინს „მატიანე ქართლისას“ ჩვენებიდან, რომელიც იცნობს აშოტის მამა ადარნასეს, და აგრეთვე ქართველი ანონიმის ცნობიდან, რომელიც ამ ადარნასეს გარდა, იცნობს მამამისსაც, თუმცა მისი სახელი არ იცის.

ანონიმის ცნობა ჩვენ ზემოთ სხვასთან დაკავშირებით ერთხელ უკვე მოვიტანეთ: „მაშინ მოვიდა მისა (არჩილთან. — დ. მ.) მთავარი ერთი, რომელი იყო ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყველისა, სახელით ადარნასე, მმისწული ადარნასე ბრძისა, რომლის მამა მისი მზახებულ იყო ბაგრატონიანთადვე და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა სომხითისათა, და ტყვეობასა მას ყრუისასა შთასრულ იყო იგი შვილთა თანა გუარამ კურაპალატისთა კლარჯეთს, და მუნ დარჩიმილ იყო“⁶. ეს ადარნასე, „რომელი იყო ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყველისა“, უკველია, იგრვე ადარნასე ბაგრატონიანია, რომელიც კატიანე ქართლისამში“ იხსენიება: „არამედ სიცოცხლესავე ჭუანშერისა ცვალა ადარნასე ბაგრატონიანმან ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარისა, ნიგალისა, ასისფორისა, არტანისა და ქუემოსა ტაოსა, და ციხეთაგანცა რომელნი პქონდეს შვილიშვილთა ვახტანგ შეფისათა. და წარვიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მოკვდა“⁷. ეჭვი არ არის აგრეთვე, რომ ეს ადარნასე აშოტ კურაპალატის შეძაიგივე მემატიანე გვამცნობს: „შემდგომად სიკუდილისა ადარნასესი, განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა“⁸.

ამგვარად, ირკვევა, რომ აშოტ კურაპალატის პაპა, ვასაკი, რომელიც „ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა

⁵ მსბმ ქართანავ მარბრწერების Պაտმოტესი, 106.

⁶ ქცა, I, გვ. 243.

⁷ იქვა, გვ. 251.

⁸ იქვა, გვ. 252.

სომხითისათა“, არაბთა კლარჯეთის გამო კლარჯეთის გადასაცემა /
და იქ დაკვირდრებულა. მისი შეილი, ადარნასეც კლარჯეთის მოწინ-
ბელია, თუმცა იგი, როგორც ჩანს (ყოველ შემთხვევაშე ქრისტიანული გ
ბის დასაწყისში), კლარჯეთს გარდა, მემატიანის საკრისულ-ჭურუკე
ვანი ცნობის მიხედვით, ნაწილობრივ მაინც ფლობდა შეაშეთს,
აჭარას, ნიგალს, ასისუორს, არტანს, ჰევმო ტაოსა და სხვა მამულ-
საც⁹. თუკი ეს ცნობა იმაზე მიუთითებს, რომ უფრო გვიან აღარ-
ნასემ მიატოვა („იკვალა“) თავისი სამფლობელოს ნაწილი და
კლარჯეთში წავიდა საცხოვრებლად, მაშინ, ბუნებრივია, ვივრა-
უდოთ, რომ ეს მას იძულებით უნდა გაეკეთებინა. თუ ეს ასეა,
მაშინ სამისოდ შესაძლებელია ვარდანის ერთი ცნობა გამოვად-
გეს, რომლის მიხედვით VIII ს. 70-იან წლებში აშოტ გულადი,
იგრე მსაკერი (ადარნასეს მკვიდრი ბიძაშვილი) თავის ძმა შაპუჰ-
თან ერთად იპყრობს შირაქს, აბოცა და ტაოს და ამ უკანასკნელ-
ში აშენებს კამახს (-ქართ. კალმახის ციხე) და შეიგ ასახლებს თა-
ვის სახლეულებს¹⁰. ბუნებრივია, ადარნასეს კლარჯეთში გადმოსვ-
ლა ამ მშპავთან კავშირში უნდა იყოს. ასეა თუ ისე, ერთი რამ
ცხადია: აშოტ ბაგრატიონიანი, მემკვიდრე თავისი მამისა და პა-
პისა¹¹, ვიდრე იგი ქართლის ერისმთავარი გახდებოდა, სამხრეთ-
დასავლეთის პროვინციის, მაინც დამაინც, კლარჯეთის მფლობელად
გვევლინება.

უფრო გვიან აშოტი ქართლის ერისმთავარი ხდება, როგორც
ვიცით, არაბთა ხელშეწყობით თუ ნებართვით. ვარდანის ამ ცნო-
ბას „მატიანე ქართლისაცც“ ეხმაურება: „შემდგომად სიყუდალი-
სა ადარნასესისა განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა:
ხოლო ეუფლა ქართლსა და საზღვართა მისთა“¹². ეს გამოოქმა —
„ქართლი და საზღვარი მისნი“ — რა თქმა უნდა, პოლიტიკურ
ქართლს, ივერიას გულისხმობს, ცხადია, იმ მოცულობით, რაზე-

⁹ შდრ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 36—37.

¹⁰ ვ ა რ დ ა ნ ი. 105 თარიღისათვეს იხ. I. Marquart Ostasiatische und Osteuropäische Streifzüge, 1903, 403—404. ამ ცნობის ტაოში კალმახის ციხის აგე-
ბის შესახებ აშოტ გულადის მიერ არ შეიძლება არ მოგვალონს ქართული შეკარის
ჩევნება „კონტ პატიახშთა“ მიერ ტაოში კალმახის ციხის მშენებლობის შესახებ
(ქუა. 1, 244). ან აქ ერთი და იგრე მშპავა ასახული, ანდა აშოტი მეორედ მაშენებე-
ლია. შდრ. C. Toumanoff, Studies... 453.

¹¹ აშოტის გენეალოგიის შესახებ და ბაგრატიონთა შარმომავლობის შესახებ იხ-
ვ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 16—42. იქვეა ლიტერატურა. იხ. აგრეა-
ვი ქ ც მ ა ნ ი ვ ი ს დასახ. ნაშრომი.

¹² ქუა, I, გვ. 252.

დაც მაშინ არაბებს ხელი მიუწვდებოდათ. ქრონიკაზე მაშინ საზრისით, იმავე ვარდანის მიხედვით ეს ფაქტი მომზადა, აამინ, როდესაც არაბთა შორის ურთიერთბრძოლა იყო ეთნიტუტულური ე. ი. პარუნ აზ-ჩაშიდის სიკვდილის (809 წ.) შემთხვევის შემთხვევაზე ეს მომზადები 820 წლამდე ვაგრძელდა¹³. ამით ვამოწვევე იმი სახალიფოს დასუსტებათ, როგორც ჩანს, უსარგებლია აშოტს, ურთიერთობა დაუმყარება ბიზანტიისთან და „მაშინ ბერძენთა მეფებან მოუბოძა კურაპალატობა აშოტს და მოუძღვრებულ იყუნეს სარკინოზნი, და განდიდნა აშოტ კურაპალატი“¹⁴. ფაქტიურად, ეს აქტი ნიშნავდა არაბთაგან განთავისუფლებას და კიდევ ერთი დამოუკიდებელი ქართული სამთავროს ჩამოყალიბებას. ამგვარად, ეს უნდა მომხდარიყო IX ს. 10-იან წლებში.

შიდა ქართლის დასაკუთრებამ, ბუნებრივია, გართულება გამოიწვავა კახეთის მთავართან და ტფილელ ამირასთანაც, რომელთაგან ორივენი, როგორც ვიცით, პრეტენზის აცხადებდნენ ამ ტერიტორიიაზე. მოხდა შეტაკება, რის შედეგადაც „დაიპყრა აშოტ ქუეყანა. — დ. მ.) კლარჯეთიდან ეიღრე ქსნაშედე¹⁵.

სავსეპით ანალოგიური ცნობა აქვს ვარდან დიონისი, რომელიც აღნიშნავს, რომ 820 წელს (ბიზანტიის კეისრის, ლეონ V-ის ტევლელობის წელს), „კურაპალატი აშოტი გამატონდა კლარჯეთიდან ვიღრე ტფილისამდე მთანეთითურთ“¹⁶. სწორედ ამ პერიოდს უნდა აღნიშნავდეს სუმბატ დავითის ძის ქრონიკაც: „ხოლო აშოტ კურაპალატი მთავრობდა ქუეყანასა მას შინა და სახლად მისა იყო ბარდავი და ტფილისა, და პქონდა ქუეყანა, რომელ არ გარემოს მისსა“¹⁷. ამ დროს ემთხვევეა სამოქალაქო ომის შეწყვეტა სახალიფოში, რის შედეგად „გაძლიერდა ქელმწიფება ავარიითა და იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა და ვერ უძლო წინააღმდეგობად მათდა აშოტ და ივლტოდა მათგან“¹⁸. ეს უნდა მომხდარიყო VIII ს. ოციანი წლების დასაწყისში. ამ დროს უნდა დაბრუნებულიყო იგი თავის მამულ ქუეყანაში „და დაემკვდრა მუნ. და მისცა ლპერ-

¹³ ი. ვარ კვარ ტ. ი. დასახ. ნაშ., გვ. 405.

¹⁴ იქვე.

¹⁵ ქ' ცა, I, გვ. 252.

¹⁶ იქვე, გვ. 253.

¹⁷ ვარ დან ი. გვ. 107.

¹⁸ ქ' ცა, I, გვ. 376.

¹⁹ იქვე.

თმან გამარჯვება და ქულმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა²⁰. ბაგრამ, როგორც ირკვევა, მხოლოდ შავშეთ-კლარჯეთშე არ ვთქმულდებოდა აშოტის ძალაუფლება.

გრიგოლ ხანცოლის ცხოვრებაში გვაქვს ერთი, უძრავი ქართული წევნება, რომელიც შესაძლებელია VIII ს. მიწურულის უზურავებელი²¹ „მას ეამსა სხუა მონასტერი (ხანცოლის გარდა. — ღ მ.) არა შენ იყო მათ ქუეყანათა თვნიურ ოპიზისა... რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა, და შავშეთს და ყოველთა მათ მანლობელთა ქუეყანათა მცირედი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა აღგილ-აღგილ“²². ცოტათი უფრო ქვემოთ ვყითხულობთ, რომ „მათ უამთა მფლობელი იყო ამათ ქუეყანათა ღმრთისმსახური ქულმწიფი დიდი ბაგრატუნიანი აშოტ კურაპალატი“²³. ვფიქრობთ, ეპვი არ არის, ამ ავთენტიკური წყაროს ცნობით აშოტ კურაპალატი სამხრეთ-დასავლეთ ქართლში ფლობდა არა მხოლოდ შავშეთ-კლარჯეთს, არა მედ ტაოსაც, რაც მთავარია, ორივე ტაოს, იმიერს და ამიერს („ტაოთა“).^{*} ამიერი, ანუ იგივე ქვემო ტაო და იმიერი ან^{*} ზემო ტაო ერთმანეთისაგან გამოიყოფოდა, როგორც ვარაუდობენ, ოლთისის წყლის (დღ. ოლთუ-ჩაი) ქვემო წყლით და მისი შენაკადი ბარდუსის წყლით (დღ. ბარდუს-ჩაი)²⁵. ცნობილი მონასტერი იშხანი, რომელიც გურგენ მეფეთა მეფის მამული იყო²⁶ და, ამდენად, ამიერტაოში მდებარეობდა²⁷, გაშენებული იყო ოლთისის წყლის მარჯენა სანაპიროშე და ე. ი. „ორისავე კერძოსა ტაოსა“²⁸ მიხნაშე. იშხანის ასეთი ლოკალიზაცია, ვფიქრობთ, გამოვვადგება ჩვენი მოსაზრების შესამცემებლად.

საქმე ის არის, რომ გრიგოლ ხანცოლის ცხოვრებაში დაცულია ერთი ეპიზოდი, რომელიც მიგვანიშნებს, რომ აშოტ კურაპალატის მცვლელობის ახლო ხანებშიც „ორივე კერძო ტაოსი“

²⁰ ქ' ცა, I, გვ. 376.

²¹ ძეგლები, I, გვ. 257.

²² იქვ. გვ. 258.

²³ ი. ვ. ჯავახ ვილ ი. ქართველი ერის ისტორია. I—II, 1913, გვ. 331—332. რომ ტაოთა საზღვრის ერთი მონაკვეთი უნდა გასულიყო არა ბანას-შეალზე, როგორც ი. ჯავახშვალს ეცნა, არამედ ბარდურის წყალზე, ი. ე. თავაშვილი, Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии, Тб., 1952, с. 63 (ქვემოთ: Арх. эксп.).

²⁴ იშხანში დგას გურგენ მეფეთა მეფის მეურ იუბული მცორე ეკლესია, მ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. იქვ. გვ. 42.

²⁵ ი. ვ. ჯავახ ვილ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 331.

²⁶ ქ' ცა, გვ. 275.

მის სამფლობელოში შემოდიოდა: გრიგოლ ხანცოლი მართან
ერთად ბრუნდება კონტაქტინგეოლიდან. „და ვითარება მიმწერს
ტაოს, ესმა მენ მყოფთაგან კაცთა, ვითარებელ აშოტ, კუაპალეტი
მოიკლა და მის წილ კელმწიფებენ ძენი მისნი... და ვითარებული შეს-
წინეს მახლობელად იშხანსა, გამოეცხადა ლმრთშია ზეუდი შეცატებ
გრიგოლს და ღირსსა საბას იშხნისა პირველი დიდებულება“²⁷.
რამდენადაც ბერები, სამხრეთიდან მომავალნი, ჯერ „მოიშინეს
ტაოს“ და მხოლოდ რამდენიმე ხანის გასცლის შემდეგ „მოიშინეს
ჰახლობელად იშხანსა“, რომელიც ორივე ტაოთა მიგნაზე მდება-
რეობდა. ცხადია, ჯერ ისინი იმიერ ტაოს მოსულან, სადაც აღგი-
ლობრივთაგან გაუგიათ მათი შთავრის, აშოტ კურაპალატის მკელე-
ლობის ამბავი. ამგვარად, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ
აშოტ კურაპალატის მკელელ სამფლობელოს, ძირითადად შეადგენ-
და შევშეთ-კულარჯეთი და ორივე ტაო²⁸.

2. რომ უკეთ გავერკვიოთ აშოტ კურაპალატის მიერ შექმნილ
სამთავროს პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხებში, უნდა შევეხოთ
ტაოს საკითხს.

აღმრეწველისტიანული ხანის ტაოს ისტორიული გეოგრაფია
თვალნათლივ არის წარმოდგენილი „სომხერ გეოგრაფიაში“, რო-
მლის მიხედვით ეს ქვეყანა ჩვა „კევს“ (გავარს) მოიცავს. ესენია:
კოლა, ბერდაცფორი, პარტიზაცფორი, ჭავარქი, ბუხა, ოქალე,
იზორდაცფორი და არსიაცფორი პარხალის მთებთა²⁹. ყველა ამ
ხევის მეტ-ნაკელებად ზუსტი ლოკალიზაცია შესაძლებელია. კოლას
აღგილმდებარეობა ჩვენ ზუსტად ვიცით — არსიანის ქედის ძირას,
მტკვრის სათავის ტაფობი³⁰. VIII ს-თვის სომეხი ისტორიკოსი
ლევონდი პირდაპირ ვეიმოშმებს, რომ მის დროს „ხევი კოლისა
საზღვართა ქართლისათა“³¹ შედიოდა ანუ რომ ქართლის ტერიტო-
რიას შეადგენდა. პარტიზაცფორი დლევანდელი ბარდიშ-ჩაის ხე-
ობა უნდა იყოს, ფენიაკ-ჩაის (ბანის წყლის) მარცხენა შენაკადი.
ბუხა — დლევანდელი ოლთუ-ჩაის ზემო წელი. ოქალე — თორთომ-
ჩაის ზემო წელი. აზორდაცფორი — თორთომ ჩაის ქემო წელი.
არსიაცფორი — ჭოროხის ხეობის მონაკვეთი პარხალის მთების

²⁷ ქეგლები, I, გვ. 264—265.

²⁸ შერ. C. Toumanoff. Studies... გვ. 486, შენ. 214.

²⁹ Géographie, 35. სუერის გამოცემაში აკლა თქმალეს ხევი.

³⁰ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. აქეთოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთომში და
ჩინგლში 1907 წ. პარიზი, 1938, გვ. 8—9.

³¹ ლ ე ვ ი ნ დ ი, გვ. 163.

გასწორივ. ეს არის ზემოთ უკვე მოხსენებული, ქართული წყარო-
ების ასისტორი.. ამ ხევთა ლოკალიზაციისთვის ნიშანდობულია
რომ დღესაც ზემოხსენებულ ხეობებში არსებობს პუნქტები, არაუგრძელებ-
თისა და არსისის სახელშოდებით. ჰავატების ლოკალიზაცია ხეობ-
დება კორონის მარჯვენა ნაპირზე კლარჯეთის მოსაზღვრე ტერი-
ტორიაზე, სადაც მდებარე არის შემორჩენილი მთა „ჰავიეთის“ სა-
ხელშოდებით. დაბოლოს, ბერდაცფორი, რომელიც „გეოგრაფიის“
მიხედვით კოლას დასავლეთიდან ეკვრის, დღევანდელი ფენიაკ-
ჩის (ზანის წყლის) ხეობა უნდა იყოს მიმდებარე მხარეებით³².

ამგვარად, ტაო „სომხური გეოგრაფიის“ მიხედვით, თუ კოლის კანტრინს არ ჩავთვლით, მოიცავდა ჭოროხის შეა წელს მისი გარტენა შენაკადის ბარხალ-სუს (პარხალის წყალი) და მარჯვენა შენაკადის ოლთუ-ჩაის (ოლთისის წყლის) აუზებით. ეს ტერიტორია ყოველმხრივ ბუნებრივად, ქედებით არის შემოსაზღვრული, დღევანდელი ნომენკლატურით, სამხრეთიდან — ჩახირ-ბაბას ქედით არაქსის ზემო წელისაგან და მესვითის მთას მიმდებარე ქედით — ევფრატის სათავეებისგან. აღმოსავლეთიდან (კოლის პროვინციისაგან) და ჩრდილო აღმოსავლეთიდან (კლარჯეთისგან) — არისანის ქედით; ჩრდილო-დასავლეთიდან (მცრულისგან) — მაღარა-დაღის ქედით, (ივიც „ორჯონის მთა“, ი. ქვემოთ) ჩრდილო-დასავლეთიდან (ცანეთისგან) — ლაზისტან-დაღის და პარხალ-დაღის ქედით; სამხრეთ-დასავლეთიდან (სპერისგან) — ჭოროხ-დაღის ქედით. მხოლოდ ერთი მცირე მონაცემითი ტაოსა და სპერის პროვინციებს შორის საკუთრივ ჭოროხის ხეობაში უნდა გასულყონ ხაზზე საღლაც დღევანდელ ერსისა (ძვ. ასისფორი) და ისპირს შორის.

რა ტერიტორიას უწოდებენ ტაოს ქართული წყაროები?

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, „არამედ ართვანს ზეითი, იდამდე, კორონის დასაცლეთისა, თორთომის მთის აღმოსაცლეთით არს პარხალი ანუ ტაოსკარი ანუ ტაო“³³. მიუხედავად ამ ბუნდოვანი ლოკალიზაციისა და მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტის ტაოს საზღვრების აღწერისას არეული აქვს ორიენტაცია, მაინც, ვფიქრობთ, აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მისთვის პა-

33 3 0 6 ပုံ ခါ ၁။ အလျှိုင်း၊ 33- 138.

რხალიც ტაოს და ოლთუ-ჩაის (ოლთისის წყლის) მოქლი ჩანიც, რამდენადაც დღესაც ასებული დბა იღი ამ ხეობას აულ ზემო წელზეა. თორთომი ვახუშტისთვის ცალკე მავანაა, რომელიც ტაოში არ შედის³⁴.

პარხალი რომ ტაოს ერთ-ერთი ხევი იყო, ეს კარგად ჩანს ლეონტი მროველის ჩვენებიდან, რომელიც იხსენიებს: „ქუეყანა-სა პარხლისასა, რომელ არ ტაო“³⁵. ამგვარად, პარხალი, ინუ პარხარი, რომელიც სომხური წყაროების მიხედვით მთას (დღ. პარხალის ქედი) მიემართება³⁶, ქართული წყაროს მიხედვით ქვეყანაა, რომელიც, თავის მხრივ, ტაოს შემადგენელი ნაწილია. „ქუეყანა, პარხლისა“ ეს უნდა იყოს დღევანდელი ბარხალ-სუს ხეობა თურ-ქეთში (ცოროხის მარცხენა შენაკადი) ცენტრით პარხალში (დღ. ბარხალი)³⁷.

ამას გარდა, ჩვენ უკვე ვიცით (იხ. ზემოთ, § 1), რომ იშხანი, კალმახი და ბანა ტაოში, კერძოდ, ამიერტაოში მდებარეობდნენ. ვახუშტის მიხედვით, ოლთისის წყლის ხეობა ტაოს მიეკუთვნებოდა. რომ ეს, მართლაც, ასე იყო, ამას უამთააღმწერელიც მოწმობს: XIII ს-ში, უმეტობის პერიოდში „ალიძრნეს საბერძნეთს მყოფნი თურქმანნი. და წარმოემართნეს საქართველოსა... მოსრულ იყვნეს და ბანასა გარემოსდგომოდეს, რამეთუ ოლთისნი და ბულათა-ყური ყოველი მათ აქუნდა და ოკერებდეს ტაოსა“³⁸. ეჭვი არ არის, კონტექსტით „ოლთისნი“, რაც ამ შემთხვევაში ქალაქ ოლთისის „ქვეყანას“ უნდა გულისხმობდეს, და „ბულათა-ყური ყოველი“, რაც აგრეთვე ბულათა ყურის „ქვეყანას“ უნდა უდრიდეს, ორივე ეს კანტონი ბანასთან ერთად ტაოს შემადგენელ მხარეებად წარმოიღინება. ოლთისი (დღ. ოლთუ) ქართული წყაროებიდან კარგად არის ცნობილი და იგი ოლთისის წყლის შეა წელზე მდებარეობს. რაც შეეხება „ბულათა-ყურის ციხეს“³⁹, იგი, როგორც კონტექსტიდან ჩანს, ოლთისის მეზობლად უნდა ყოფილიყო. კერძოდ, მის სამხრეთით, ოლთისის წყლის ზემო წელზე. რომ ეს, მართლაც ასე უნდა იყოს, ამას დავით აღმაშენებლის ისტორიკო-

³⁴ იქვე, გვ. 140.

³⁵ ქ' ცა, I, გვ. 48 და 49, შენ. 3.

³⁶ ლ. ა. ზ. ა. რ. ფ. ა. რ. პ. ე. ლ. ი., გვ. 73—75, იხ. აგრეთვე ზემომოტანილ-ცენობა „სომხური გეოგრაფიიდან“.

³⁷ E. Takaishvili. Arx.-eksp. c. 90—91.

³⁸ ქ' ცა, II, გვ. 213.

³⁹ იქვე, გვ. 214.

სი გვიმოწმებს: დავითი „წარემართა ლაშქრითა, განვლო ჭავახე-
თი, კოლა, კანრიფორმა, ბასიანი სპერამდის“ და უკურნერუზებული
ბულმა „ჩამოვლო ბუღათა-ყური და დაწუნა ოლტერიზატორები
და თრიალეთს“⁴⁰. მეგვარად, სპერიდან უკან მობრუნებულმა დავით
აღმაშენებელმა, ოლტისში ვიდრე მოვიდოდა, „ჩამოვლო ბუღა-
თა-ყური“. ცხადია, ეს უკანასკნელი ოლტისს ზემოთ მჯდებარებს,
მის მეზობლად, გზაზე სპერიდან (ცოროხს სათავე) ოლტისში.
მართლაც ოლტისის წყლის სათავეში დღესაც არის აღვილი ბუ-
ყალა, რაც „სომხური გეოგრაფიის“ ბუხასი და „ქართლის ცხოვრე-
ბის“ ბუღათა ყურის ნაშთი უნდა იყოს⁴¹.

კიდევ მეტი. წინააღმდეგ ვახუშტისა თორთომიც, დღევანდელი
თორთომ-ჩაის ხეობაც ტაოს ფარგლებში ითვლებოდა. იგრე ეამ-
თააღმწერელი მოგვითხრობს, რომ XIII ს. ბოლოს, „ამთა უამთა
გამოჩნდეს თურქი საბერძნეთს მყოფნი, რომელნი დაემცუდრნეს
ზაფხულის მთათა პარხლისათა და ზამთრის მახლობლად პონტოსა
და შეკრბა ვითარ სამოცი ათასი, რომლისა თავად იყო აზატ-მისე.
კაცი მხნე და ძლიერი. ეს აზატ-მისე წარმოვიდა ყოვლითა ძალი-
თა მისითა მოოჭრებად ყოვლისა საქართველოსა. და ვითარ მოი-
წია ბასიანს და ტაოს წყო მძვნვარედ ოყრება... რამეთუ არა
ჰეონებდეს თურქთა გამოჩენასა, ამისთვის ყოველი სოფელი ტაოსა
შეუძრავად დახუდა, და ვერა-ადა-ვინ ივლტოდა... მაშინ ერისთა-
ვი ტაოსა თაყა ფანასკერტელი უღონო იყო, სიმცროსათვის ლაშ-
ქრისა, გარნა ეგრეცა მცირე წყობა ყო ციხისა თორთომის ძირსა და
დიდად აენო. გარნა სიდიდისათვის თურქთასა ქუეყანით მისით
ვერ განასხა, არამედ თურქი უმეტეს განძნდეს და მოაოჭრებდეს
ტაოსა“⁴². ამ ვრცელი ამონაშერიდან, ჭერ ერთი, ვიგებთ, რომ ტაო
და ბასიანი მეზობელი ქვეყნებია და რამდენადაც ბასიანი არაქვისის
ზემო წელზეა და ჭოროხის აუზში არ გადადის⁴³. ამდენადვე ეს
უკანასკნელი ე. ი. თუ თორთომ-ჩაის ხეობა არა, ყოველ შემთხვე-
უში ოლთუ-ჩაის ხეობა უკვე ტაოა. მეორე ის, რომ, რამდენადაც
ტაოს ერისთავი ებრძეის თურქებს თორთომის ციხესთან, რომ
ისინი „განასხას ქუეყანით მისით“ ე. ი. ტაოდან, მაგრამ ამ ბრძო-

⁴⁰ ქ' ცა, I, გვ. 344.

⁴¹ პ. ინ გო რ თ კ კ ა. გორგი მერჩულა, გვ. 493.

⁴² ქ' ცა, II, გვ. 310—311.

⁴³ „სომხური გეოგრაფიით“ ბასიანის გაფარი არარატის ერთ-ერთი კინტონია, ხოლ არარატი მოცავს არაქვის აუზს და არ გაღმოსცუდება მას. იხ. მაგ., სენ-მარ-ტენისეული გამოც, გვ. 366. შეს. ს. ერემიანის ნაშრ., გვ. 44 და თანდართული რუკა.

ლის შემდეგ „თურქეთი უმეტეს განძნდეს და მოაკრებდეს სა-
სა“, ამდენად სრულიად ცხადი უნდა იყოს, რომ თორთომის ცი-
ხე ტაოშია და ამდენადცე მისი „შესავალი ქვეყანაც უკავშირდები
ყანა თორთომი“ (თორთომ-ჩაის ხეობა) უკეთელად ცისმისა ცალკე-
გვარალ, როგორც უხედავთ, სომხური და ქართული წყაროების
ტაო ზემდიშვენით ემთხვევა ერთმანეთს. ეს რომ ასეა, ამაზე კი-
დევ ერთი ქართული წყარო გვარშეუნდებს.

მხედველობაში გვაქვს ე. წ. „სამცხე-საათაბაგოს მღულელ-
მთავართა და მწევმსთა“ ნუსხა. იგი გვიან შედგენილი უნდა იყოს
(XVI ს.), მაგრამ უცველია, ასახავს უფრო ძველი დროის ვითა-
რებას და, კერძოდ, XII—XIII სს. ვითარებას, როდესაც დიდი
სომხეთის ტერიტორია (ანელი, კარელი და ვალაშეკრტელი ეპის-
კოპოსების სამწყსო) საქართველოს სახელმწიფოში შემოვიდა. მაგ-
რამ იგი უფრო ძველი მდგომარეობის გამომხატველიც უნდა
იყოს. ამ ნუსხით ტაოში ორი საეპისკოპოსოა: იშხანისა და ბანი-
სა. იშხანის საეპისკოპოსო დაარსდა IX ს. შუა ხანებში⁴⁴, ხოლო
ბანისა — X ს. პირველ მეოთხედში⁴⁵. ცხადია, ორივე საეპისკოპო-
სოს იმთავითე უნდა ჰქონოდა საკუთარი სამწყსო ტერიტორია.
ძნელი სათქმელია, ჩვენი ნუსხით შემოფარგლული სათანადო დი-
ოცენები ასახავენ თუ არა IX—X სს. დასაწყისის ვითარებას, მა-
გრამ სრულიად ბუნებრივია ვივარაულოთ, რომ საეპისკოპოსო
ცენტრები ტაოში დაარსდა მას შემდეგ, რაც ტაო პოლატიკურად
მთლიანად შემოაერთდა ქართლს. ყოველ შემთხვევაში ამის სა-
წინააღმდეგო საბუთები ჩვენ არ გვაქვს.

ასეა თუ ისე, ზემოხსენებული ნუსხის შიხედვით ასეთი ვი-
თარებაა: „იშხანელის სამწყსო: გურჯიბოლაში აქეთი, სულ თორ-
თომი, ტაო-კარის ქვემოთი არტანუჯის თავს საკრულავი ჰქვეან,
იმას აქეთი, გაღმით ოჩგოხის მთას აქეთი, სულ საკავესი(d).ო.
სპირ-ტრაპიზონის მთას გარდოლმა... ბანელის სამწყსო: სულ
ბანი, ტაოს-კარი, ფანასკერტი, პარ(ტ)იშის ხეობა, სრულიად ოლ-
თისი, ნამურკანი“⁴⁶.

44 ძველები, I, გვ. 274.

45 ქცა, I, გვ. 379.

46 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ა. არხეოლოგიური მოუშაურობანი და შენიშვნანი,
ჭიგნი პირველი, 1907, გვ. 76—77. ეს ნუსხა გამოცემული აქვთ აგრეთვე დ. ბ ა ქ რ ა-
ძ ე ს. (იხ. არхеологическое путешествие по Гурни и Адчаре, 1897, 53—54.)
და თ. ე თ რ დ ა ნ ი ა ს (იხ. მისი, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ის-
ტორიისა და შეერლობისა, ჭიგნი მეორე, 1897, გვ. 53—54), რომელთა მიხედვით

ამგვარად, ამ ნუსხის მიხედვით ტაო შემდეგი კულტურული განვითარების შედეგება: ა). „გურჯი-ბოლაზის აქეთი, სულ თორთომი“ გურჯი-ბოლაზი, ანუ საქართველოს ყელი წარმოადგენს ვიწრო კულტურული განვითარების შერიციანულად პკვეთს ეფუძნებოდა გადაღის მთავარი გზა მომავალი არზირებიდან თორთუმ-ჩაისა და ოლთუ-ჩაის ხეობებში⁴⁷. აქედან აშკარაა, რომ მთელი თორთომის ხეობა („სულ თორთომი“) იშხნელის სამწყაროშია.

ძველი სომხური აღმინისტრაციული დანაწილების მიხედვით „სულ თორთომი“ მოიცავს ოქალეს და აზორლაციულს.

ბ). „ნამურკანი“. ეს უნდა იყოს ვახუშტისული „ოლთისის ზეგით, კოროხის აღმოსავლეთ კიდეზედ... ნარუმაკი და აშ ნარიმანი, დაბა დიდი“⁴⁸. ე. ი. ნამურკანი, ანუ ნარუმაკი, დღევანდელი ნარიმანი, ოლთუ-ჩაის ზემო წელს ეწოდებოდა. რომ აშ, მართლაც, კილავ „მევეუანასთან“ უნდა გვქონდეს საქმე და არა დაბასთან, ეს შტკიცულება IX ს. მეორე ნახევარში ტაოში დაწერილი „შმიდათა ყრმათა ორთა ძმათა დავითისი და ტირიჭან-სი“ წამების წიგნით, სადაც ნახსენებია სოფელი ტაძარანი, რომელიც მღებარეობდა ტაოში „კევთა მამროვანისათა“⁴⁹. ამგვარად, მამროვანის თუ ნამურკანის ხევი დაახლოებით უნდა მოიცავდეს იმ ტერიტორიას, რომელსაც XII—XIII სს-ში, „ბულათა-ყური“ ეწოდებოდა (იხ. ზემოთ). რამდენადაც ჩვენ „მამროვანი“ დამოწმებული გვაქვს IX ს-ში, ხოლო „ბულათა-ყური“—XII ს-ში, ხოლო ბანის საეპისკოპოსო სამწყოს ნუსხაში შემონახული გვაქვს აგრეთვე უძველესი ქართული სახელწოდება ამ ტერიტორიისა (ნამურკანი||ნამურავანი), ამდენად გვაქვს უფლება ვივარაუდოთ, რომ ეს ნუსხა XII ს-შე აღრეა

ჩვენ ე. თაყიაშვილის ისეულში იღვაღინეთ „საგაერესი(ძ)ო“ „საგაერესის“ მაგივრად. რაც შეეხება „პარ(გ)იშის ხეობას“, ეს ჩვენი იღვაგნება „სომხური გეოგრაფიის“ „პარტიშაცულორის“ შესატყვევისად. სინამდვილეშინუსხებშია „პარიშის ხეობა“ (თ. ფორდანია, ე. თავი იშვილი) ან „პარიშის კევბა“ (დ. ბაქრაძე ე. ე). გარდა ამისა, ჩვენი ნუსხას „ტაოსკარს კევმოთის“ მაგივრად დანარჩენ როგორც „ტაოსქევერთისა“, რაც შეცდომაა.

⁴⁷ ვახ უშტრი ალწერა, გვ. 141.

⁴⁸ იქვე, გვ. 13.;

⁴⁹ ილ. აბ ულა ძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთისერთობა IX—X სს. 1944. 183. რამდენადაც მს ძეგლში ეს ტერიტორია „მამროვანი“ იწოდება, ამდენად, საფიქრებელია, ჩვენს ნუსხებში, თავდაპირველად უნდა ყოფილიყო „ნამურკანი“ II „ნამურავანი“.

შედგენილი და კერძოდ, ბანის საეპისკოპოსოს დამასტების დოკუმენტი ინდელია (X ს. დასაწყისი) და ე. ი. ამ დროისათვის მთელი ოლქუნიას ხეობა ქართული ქვეყანა იყო.

ერმონელი

გ) „სრულიად ოლთისი“, ანუ „ოლთისი“ (ტრიტიუმისტების თავად ცხადია, ოლთუ-ჩაის შუაწელს უნდა გულისხმობდეს, მაინც-დამაინც ფენიაქჩაის (ბანის წყალის) მასთან შერთვამდე. ძველი სომხერი ადმინისტრაციული დანაწილების თვალსაზრისით „ნამურეანი“ („მამროვანი“) და „სრულიად ოლთისი“ („ოლთისი“) უნდა ერთიანდებოდნენ „ბეჭას“ ერთ კანტონში.

დ). „პარტიზის ხეობა“. უნდა მოიცავდეს დღევანდელი ბარ-დიზ-ჩაის ხეობას. იგივე სომხერი „პარტიზაც ფორია“.

ე). „სულ ბანი“. ვახუშტის მიხედვით, ფანასკერტს „ზეით, ამ წყალზედ (-„მდინარე ბანა-ფანასკერტისა“. —დ. მ.), მთაში, არს ბანა, აწ უწოდებენ ფანაქს“⁵⁰. ამგვარად, ძველი ბანა დღევანდელი ფენიაქია და „სულ ბანიც“, მაინც-დამაინც, ფენიაქ-ჩაის, ოლთუ-ჩაის მარჯვენა შენაკადის ხეობას უნდა მოიცავდეს.

ვ). „ფანასკერტი“. ვახუშტის მცდარი აზრით ფანასკერტი იმავე წყალზეა, რომელზედაც ბანა მდებარეობს, მხოლოდ ამ უკანასკნელის ქვემოთ⁵¹. სინმდევილეში ფანასკერტ-ჩაის ხეობაში მდებარეობს, რომელიც ოლთუ-ჩაის ერთვის მარჯვიდან და, ცხადია, მისი „შესავალი ქვეყანაც“, რომელსაც როგორც ვიცით, აგრეთვე „ფანასკერტი“ ეწოდება, ეს ხეობა და მისი მიმდგომი მხარე უნდა ყოფილიყო.

ზ). „ტაოს-კარი“. ეს ტოპონიმი დღემდე არის აგრეთვე შემორჩენილი „ტაოსკერის“ სახით. ტაოს-კარი დიდი დაბაა ოლთუ-ჩაის მარჯვენა შენაკადის, მდ. სალაჩურის ხეობაში. აქ იყო, უკევლია, მამული XII ს-ში ცნობილი დიდონხელის გუზან ტაოსკერელისა. საინტერესო ის არის, რომ ვახუშტი ბაგრატიონი, როგორც ჩანს, „ტაოს“ და „ტაოსკარის“ ცნებას აივიცებს, ასე მაგალითად: „რომელ არიან აწ სამცხე, გურია, ლიგანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლთისი და ტაო... ამათ ადგილებთა უმეტეს ეწოდა ზემო-ქართლი“⁵². აქედან აშკარად ჩანს, რომ ვახუშტი საკუთრივ ტაოსაგან გამორიცხავს ფანასკერტისა და ოლთისის

⁵⁰ ვ ა ხ უ შ ტ ი ა. ალწერა, გვ. 138.

⁵¹ იქვე.

⁵² ვ ა ხ უ შ ტ ი ა. ალწერა, გვ. 120.

„ქართულებს“ ისევე, როგორც თორთომს (იხ. ზემოთ). ამავე დროის, როგორც მისი ტექსტის სათანადო ადგილის დასათყოფილობაზე — ჩანს, მას ფანასკერტის ციხის „შესავალში“ შეაქვს ტრიტოზე მცირებული ბანის წყლის ხეობაც (ფენიაქ-ჩაი), ხოლო ოლთისის შესავალში — ნარტმაჟ||ნარიმანი და იდი და ე. ი. მთელი ოლთისის წყლის ზემო წელი⁵³. მაშასადამე, ზემომოტანილ კონტექსტში ვახუშტისეული „ტაო“ გულისხმობს სწორედ „ტაოსკარს“.

ჩვენ ზემოთ (იხ. გვ. 161) ერთხელ უკვი მოვიტანეთ ვახუშტის შრომიდან ბუნდოვანი ადგილი, საიდანაც ჩანს, რომ ფართო გაეგბით მისი ტაო, ორამცუ ილთისის წყლის ხეობას, არამედ პარხალსაც მოიცავს. და ასავე აქვს მას შემოსაზღვრული „ტაო“⁵⁴, მაგრამ მინც ნიშანდობლივი მიგვაჩნია მისი გამოთქმა „ტაოსკარი ანუ ტაო“.

ერთი სიტყვით, ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ტაოსკარი უნდა წარმოადგენდეს იმ თავდაპირველ „კეცს“, რომლის სახელიც შემდეგ გაცილებით უფრო ერტყელ ტერიტორიაზე გავრცელდა. ეს უნდა იყოს „თავდაპირველი“ ტაო. ვახუშტი ბატონიშვილიც, როგორც ჩანს, ჩვენი აზრისა იყო.

ამავე კანტონში მდებარეობდა „ციხე კალმიქისა, რომელი აღაშენეს პიტახშთა, დიდშენი, მაგარი და შეუალი. იყო საერთო ტაოსი“⁵⁵. სომხური აღმინისტრაციის თვალსაზრისით „სულ ბანი“, „ფანასკერტი“ და „ტაოსკარი“ უნდა იყოს კოლის პროვინციის დასავლეთით მდებარე „ბერდაცფორი“⁵⁶.

თ). „ტაოსკარს ქუემოთი, ორტანუჯის თავს საკრულავი ჰქვიან, იმას აქეთი“. გვეი არ არის, ეს უნდა იყოს ოლთუ-ჩაის ქვემო წელი (მდ. სალაჩურს ქვემოთ) ჭოროხთან შესართავამდე და, ალბათ თვით ჭოროხის ხეობა („ტაოსკარს ქუემოთი“) კლარჯეთის საზღვრამდე („არტანუჯის თავს საკრულავი ჰქვიან“). აქ მდებარეობდა თვით იშხანის საეპისკოპოსო და ავრეთვე ციხე თუხარისი, რომელიც, როგორც

⁵³ იქვე, გვ. 138.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ ვ ა ხ უ შ ტ ი. ალწერა, გვ. 137—138. შლრ. ქრი, I, გვ. 244; ვ ა რ დ ა ნი. 83- 105.

⁵⁶ სომხეთის სსრ ატლასის სტორიულ რუკებზე და ს. ერემიანის შეირ გამოცემულ VII ს. სომხეთის რუკაზე ტაოსკარის მავივრად აღნიშნულია „პუნქტი „ტაოსკარ“, რაც სომხურად „ტაოელთა კლდეს“, ანუ სიმაგრეს ნიშნავს. ასეთი ტაპონიში არც ერთმა შეარჩო არ იყოს.

ცონბილია, ტაოსა და კლარჯეთის საზღვარზე იდგა. აქვთ ლალაკე/ რებული ტოპონიმი „ჭავეთი“ (ხუთვერსიანი რუკის „Gora, Иоки, etc.“), რაც იმის მოწმობაა, რომ ეს ტერიტორია უნდა იყოს რიშტოშვილი „სომხური გეოგრაფიის“ ჭავ || ჭავარქი⁵⁷. ბერძნობრძოვები

ი). „გალმით ორჯოხის მთას აქეთი, სულ საკავკასიძო, ისპირ-ტრაპიზონის მთას გარდმოლმა“. ორჯოხის მთა წარმოადგენს ქედს, წყალგამყოფს ბარხალ-სუს და მურღულ-სუს, ანუ პარხალსა და მურღულს, ანუ ტაოსა და კლარჯეთს შორის და, ამგვარად, ჩვენი ნუსხით შემოსაზღვრული ტერიტორია, ფაქტიურად, იგივე პარხალია, „ქუეყანა პარხლისა, რომელ არს ტაო“.

სომხური აღმინისტრაციული დანაწილებით ეს უნდა იყოს „არსიაცუორი“, რომელც პარხალის მთებთან მდებარეობდა.

ის ფაქტი, რომ ქართულ ნუსხაში ეს ტერიტორია აღწერილობით არის მოცემული და არა ნიშანდობლივ, იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ ნუსხის შედგენის დროს (XVI ს?) აქ რამდენიმე საფეოდალო, რამდენიმე „ქვეყანა“ იგულისხმებოდა: მართლაც, ერთ-ერთი ასეთი ერთეულია „სულ საკავკასიძო“, რომლის უფრო ნიშანდობლივი ლოკალიზაცია ჩვენ არ შეგვიძლია. მაგრამ უფრო ძველი ქართული აღმინისტრაციული ნომენკლატურა იცნობდა აგრეთვე „ასისფორისაც“, რომელიც, ცხადია, იგივე სომხური „არსიაცუორი“ უნდა იყოს⁵⁸. თანაც „ასისფორი“ ყოველთვის ასეთ კონტექსტშია მოხსენიებული, კერძოდ, საკმაოდ დიდი „ქვეყნების“ გვერდით (კლარჯეთი, შავშეთი, აქარა, არტანი, სამცხე, ქართლი, არგვეთი და სხვ.), რომ საფიქრებელია ქართული „ასისფორიც“ დიდ ტერიტორიას მოიცავს და, აღბათ, ისევე როგორც სომხური „არსიაცუორი“ შეესატყვისება ლეონტი მროველისეულ „პარხალს“.

ამგვარად, როგორც დავრწმუნდით, ტაოს საეპისკოპოსოების სამწყსო ერთეულები, რომლებიც შეადგენენ „ქვეთა ტაოსთა“⁵⁹, თავისი ერთობლიობით ზედმიწევნით ფარავენ „სომხური გეოგრაფიის“ ტაოს „გავარების“ საერთო ტერიტორიას (კოლის პროვინციის გამოკლებით) და მთელი ამ „ჩვევების“ კრებული ქმნიდა

⁵⁷ ს. ერემიან ი. დასახ. ნაშრ., გვ. 64 და თანდართული რუკა.

⁵⁸ ქართველი, I, გვ. 251 და 319. შედრ. პ. ინ გორი ყვ ვ. ვიორგი მერჩულე, გვ. 496. ფერორს აქ მოაქვს თავისებური შეფარდება სომხური და ქართული აღმინისტრაციული ერთეულებისა.

⁵⁹ ქართველი, I, გვ. 382.

„ტაოს ქვეყანას“⁶⁰. სწორედ ამიტომ შეიძლებოდა ისეთი გამორჩევის ჩამარება, მათც დამაინც, ტაოს მიმართ, როგორსაც ქუჩენები უკეთესა თააღმშერელთან ვხვდებით — „უმრავლესი ტაო“⁶¹.

გარდა იმისა, რომ ტაო „ქვეების“ ერთობლიობას წარმოიადგენდა, იგი, როგორც ჩანს, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო განიყოფებოდა ორ ნაწილად და „ორსავე კერძოსა ტაოსა“⁶² თავისი სახელი ჰქონდა: * „ამიერტაო“, იგივე „ქვემო ტაო“ და „იმიერტაო“, იგივე „ზემო ტაო“⁶³. ჩვენ ზემოთ გვქონდა აღნიშნული, რომ მიჯნად ამ ორ ნაწილს შორის მიჩნეული იყო ოლიურის ქვემო წელი, ფენიაქ-ჩაისა და ბარდის-ჩაის ხეობებით⁶⁴. ვა შოთქმულია სხვაგვარი მოსაზრებაც, ვითომც ამიერტაო შედგებოდა ხუთი კანტონისაგან: ტაოსკარი, ფანასკერტი, ბანა, ოლიური და მამროვანი (ნამროვანი)⁶⁵. გარდა ამისა გამოთქმულია მოსაზრება, ვითომც „ეს დაყოფა „ამიერტი ტაო“ და „იმიერტი ტაო“ ჩანს, ამ დროიდან მომდინარეობს, როდესაც ტაო ორად იყო გაყოფილი: ერთი ნაწილი („ამიერტი ტაო“) საქათველოს საზღვრებში შედიოდა, ხოლო მეორე ნაწილი („იმიერტი ტაო“) პოლიტიკურად სომხეთთან იყო დაკავშირებული⁶⁶. საამისო არგუმენტაცია ასეთია: „რომ ტაოს იმ ტერიტორიაში, რომელიც ერთხანად სომხეთთან იყო დაკავშირებული, არ შედიოდა ამიერტი ტაოს მხარე (ე. ი. ოლიურის-ბანას პროვინცია), ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სომხეთის ტაოს შემადგენლობაში არც ერთ სომხურ საისტორიო წყაროში ერთხელავ არაა მოხსენიებული ამიერტი ტაოს კანტონები: ტაოსკარი, ბანა, ფანასკერტი (ფანასკერტი), ოლიური და მამროვანი“⁶⁷.

⁶⁰ ქ' ცა, II, გვ. 500.

⁶¹ ქ' ცა, II, გვ. 273 და 304.

⁶² ქ' ცა, I, გვ. 275.

⁶³ იხ. იგ. ჭავახ ხიშვილი ი. ქართველი ერთს ისტორია, I—II, 331;

3. ინ გოროვ ვა. დასახ. ნაშრ., გვ. 491.

⁶⁴ იგ. ჭავახ ხიშვილი ი. ქართველი ერთს ისტორია, Apx. ეკსპ. 63.

⁶⁵ 3. ინ გოროვ ვა. დასახ. ნაშრ., გვ. 496—497. აეტორისეული დაყოფა ნებისმიერია. კერძოდ, დაუსაბუთებელია, რატომ ეჭოდება ქაქატი დაბა იდის სექტორს და რატომ შედის ის იმიერტაოში (იქვე, 493). რატომ არის სომხური პერიდული ცისტორი, რომელიც „კოლას“ დასავლეთთან („სომხ. გეოგრ.“) იგივე ბერდასის ხეობა, დღ. ბარდის-ჩაი, რომელიც კოლას სამხრეთთან და არა დასავლეთთან და რატომ შედის აგრეთვე იმიერტაოში და სხვ. (იქვე).

⁶⁶ იქვე, გვ. 493.

⁶⁷ 3. ინგლორიუმი. დასახ. ნაშრ. გვ. 497.

ჭერ ფაქტიური ვითარების შესახებ.

ქართული წყაროები, როგორც იყო აღნიშნული, კორგად იცნობენ ორ ტაოს და მიმომაც ამ კუთხის სახელში უძრავი მრავლობითი რიცხვით გამოთქვამენ „ტაონი“ || ჩრდილოეთი შისტებული დავად ამისა ჩვენ გვაქვს ლეონტი მროველის ორგზისი ჩვენება, რომელიც ეხება „საზღვართა სომხითისათა კურუანსა პარხლი-სასა, რომელ არს ტაო“⁶⁹. თანამედროვე ენაზე ეს ნიშნავს, რომ, ლეონტი მროველის წარმოდგენით, ძველად (საქმე ეხება, ვითომც, I—II სს). პარხლის ქვეყანა, რომელიც ტაოში იყო, სომხეთის ტერიტორიას განვიუთნებოდა. რადგან ლეონტი ტაოს ცნებას არადიდერენცირებულად ხმარობს, ამიტომ, ბუნებრივია ვიფიქრობ, რომ მას ტაო მთლიანად (და არა იმიერტაო) სომხეთის ტერიტორიად მიაჩნია, და რომ ეს ასეა, რა თქმა უნდა, ამას უპირველეს ყოვლისა მოწმობს იგივე ისტორიული გეოგრაფიული კონცეფცია, რომლის მიხედვით ტაო გამორიცხულია ქართლოსიანთა კუთვნილი ტერიტორიიდან. ქართლოსის წილი ქვეყნის საზღვარი ხომ ამ სექტორში იყო, „რომელ მიზყვების მთა შორის კლარჯეთისა და ტაოს ვიდრე ზღუაზღის“⁷⁰.

ვფიქრობთ, სრულიად უცალობელია, რომ ლეონტი მროველის მიხედვით ოდესლაც ტაო მთლიანად შედიოდა სომხეთის ფარგლებში.

გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ დავით კურაპალატი იმიერტაოს მფლობელი იყო, ხოლო მისი თანამედროვე გურეგენ მეფეთა მეფე — ამიერტაოსი⁷¹, გურეგენი იშხანში 1006 წ. მცირე ეკლესის აშენებს⁷². ე. ი. სრულიად უკველია, რომ იშხანი ამიერტაოში მდებარეობს ისევე, როგორც თუხარისის ციხე კლარჯეთის საზღვართან⁷³. და ა. VII ს. სომხეთი ისტორიული სეპენტი, რომლის არაერთგზისი ცნობით ტაო სომხეთშია⁷⁴, მხოლოდაზრვნად მიგვითითებს, რომ ცნობილი ნერსე, კათალიკოსი სომხეთისა (641—661 წწ.), ზეართნოცის ტაძრის მაშენებელი, „წარმოშობით იყო ტაო-

⁶⁸ ძეგლები, I, გვ. 257;

⁶⁹ ქუა, I, გვ. 48 და 49. შენ. 3.

⁷⁰ იქვე, გვ. 4.

⁷¹ ქუა, I, გვ. 382; შდრ. ი ვ. ჭავახიშვილი ი. დასახ. ნაშრ., გვ. 331.

⁷² ე. თავათშვილი ი. დასახ. ნაშრ., გვ. 42.

⁷³ Géographie, 35.

⁷⁴ სერხოს სიტყვის დამოუკიდებელი, 1936, 66, 117, 119, 153—154.

დან სოფლიდან, რომელსაც იშხანს უწოდებენ⁷⁵. რომ ეს შხამი სწორედ ამიერტაოს სოფელია, ეს დასტურდება გრიგოლ ბაზილის ცხოვრებით, სადაც ვკითხულობთ, რომ „ნებითა ფრთხოებია მუს გემნა საბა ებისკოპოს იშხანსა ზედა, ნეტარისა ნერხევულაშაში ზისა აღშენებულსა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა შისნა, რომელი წელიწადთა მრავალთა დაქურივებულ იყო“⁷⁶. მეორე მხრივ, VIII ს. სომეხი ისტორიკოსი, ლევონდ ვარდაპეტი მოვითხობს, რომ VII—VIII სს-თა მიწნაშე სუმბატ ბაგრატუნიმ, ბიზანტიის კეისარისგან კურაპალატობის მიღების შემდეგ „აიყვანა თავისი ლაშქარი და წავიდა ტაოს ქვეყანაში, წავიდა ციხე-სიმაგრეში, რომელსაც თუხარსი ჰქვიან“⁷⁷.

ამ ამნაწერებიდან საესებით ნათელია, რომ VII—VIII სს. დასაწყისში ამიერტაო სომხეთს ეკუთვნის და რამდენადაც ძეველი სომეხი ისტორიკოსები და სხვა წყაროები (ფავსტოს ბუზანდი, ლაზარე ფარპელი, მოსე წირენელი, სებეოსი, ლევონდ ვარდაპეტი, სამხედრო განრივი, გამნამავი), რომელთა მიხედვით IV—VIII სს-ში ტაო სომხეთის ფარგლებშია, „ტაოს“ ცნებას არადიურენ-ცირებულად ხმარობენ, ჩვენ არ გვაქვს არავითარი საფუძველი ვიუიქროთ, რომ ისინი მხოლოდ ტაოს ერთ ნაწილს (იმიერტაოს) გვლისხმობენ და არა მთლიანად ტაოს.

მეორე მხრივ, არც ის არის დიდი საბუთი საწინააღმდევოს სამტკიცებლად, თითქოს უძეველესი სომხური წყაროები არ ასახულებენ ამიერტაოს კანტონებს: ტაოს-კარი, ბანა, ფანასკერტი, ოლთისი და მამროვანი. ჭერ ერთი, დასასაბუთებელია, რომ, მაინცამაინც, ეს კანტონები შეადგენენ ამიერტაოს. მეორე, იგივე სომხური წყაროები არ იცნობენ აგრეთვე იმიერტაოს ისეთი მნიშვნელოვანი კანტონის ქართულ სახელწოდებას, როგორიცაა თორთომი. აქედან კი გამომდინარეობს, რომ სრულებით არ არის აუცილებელი ტაოს „ქევებს“ ქართულ და სომხურ წყაროებში ერთი და იგივე ნომენკლატურა ჰქვინდეთ. და ეს ასეც იყო.

ჩვენ ვნახეთ, რომ ზოგ შემთხვევაში კანტონების დასახელება იდენტურია:

⁷⁵ იქვე, გვ. 143.

⁷⁶ ძეგლები, I, გვ. 274.

⁷⁷ ლ ე ვ თ ნ დ ი ვ გ ვ 26, შლრ. მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი 0. ლევონდის ცნობა... 24, უნ. 1.

მარტინე კულტორი — პარტიზის ხეობა
ზოგჯერ ქართული ასალ ნომენკლატურასთან ერთად, ძველ-
საც ინარჩუნებს: არსიაციორი — ასისცორი || პარხალი.⁷⁸ მარტინე კულტორი
ბეჭა — { სრულიად ოლთისი.
მამროვანი || ბუღათა-ყური.⁷⁹

მაგრამ დიღი ნაწილში მაინც ნომენკლატურა სრულიად იცვლება:
აზორდაციორი } — თორთომი.

ოქალე	}	სულ ბანი
ბერდაციორი		ფანასკერტი
		ტაოსკარი

ჰეყატეტი — ტაოსკარს ქვემოთი

რა თქმა უნდა, ამ მნიშვნელოვან გარემოებას თვეისი საფუძ-
ველი უნდა ჰქონდა, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ამჯერად კი, ადრეფეოდალური ხანის ტაოს ისტორიული (3-
ლიტიური) გეოგრაფიას შესახებ საუბრის დასასრულს კვლავ უნ-
და დავუბრუნდეთ ამიერ-და იმიერტაოს საკითხს. რომელ
„კეცებს“ გულისხმობენ, ბოლოს და ბოლოს ეს ცნებები?

დავით დადი კურაპალატი, როგორც ცნობილია, იმიერტაოს
მფლობელი იყო⁸⁰. მისი ინიციატივით არის ავებული პარხლის, ხა-
ხულის და ოშეის შესანიშნავი ტაძრები. მისივე შეკეთებულია
ოთხთა ეკლესია⁸¹. ოშეი და ხახული თორთომის ხეობაშია, ოთხ-
თა ეკლესია, ანუ დღევანდელი დორთ-ჭილისა საკუთრივ ასისფო-
რის ხევში. აქედან აშკარაა, რომ პარხალი, ასისცორი და თორთომი
იმიერტაოს შეადგენენ, დავით კურაპალატის მამულს, სადაც იგი
აშენებს ეკლესიებს.

იმიერტაოს ცნება უნდა გულისხმობდეს ოლთისისწყლის ხე-
ობასაც.

საქმე ისაა, რომ სემბატ დავითის ძე დავით კურაპალატის
გარდაცვალებასთან დაკავშირებით აღნიშნავს „და ოყრდა იმიერ-
ტაო. და გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე, და მისცნეს მას ცახე-
ონის აღმდევნებას“.

⁷⁸ აქეც, ფაქტოურად, განსხვავება უნდა ყოფილიყო, რადგან საკუთრივ ასას-
ფორი, აღბათ, მოიცავდა კორობის მარტენია სანაპიროს, სადაც შედგარეობდა მისი
ცენტრი — ასისი, ხოლო პარხალი კორობის მარტენა სანაპიროს მთაბარეთა.

⁷⁹ ას რომ ბუღათა ყური ტური გვინდცელ ტყირობებით გამოვლენა, როგორც
აღნიშნეთ, შესაძლებელია გვიანდელი კოსარების გამოხატულება იყოს: უკველესი
ცენტრის აღდგენა.

⁸⁰ ქ' ცა, I, გვ. 382, ი ვ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 331.

⁸¹ ე. თ ა ყ ა ვ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 60—61, 74—75, 83, 93—94.

ნი აზნაურთა ამა დავითისათა, და დაიპყრა ბასილი მეფეშან მაცე-
ლი დავით კურაპალატისა⁸². რომ ზემოსენებული ტერიტორია,
მართლაც ბიზანტიურთა ხელში გადასულა, ამას აშეარმატ შეტერდეს⁸³. ი
ოშეის ფრესკული წარწერა, რომელშიც მოიხსენიებან უძველესი ეპი-
ბასილი და კონსტანტი⁸⁴. შემდეგ, სუმბატ დავითის ძის ცნობას
შერჩენთა კეისრის მოსვლის შესახებ სომხერი წყაროებიც ადას-
ტურებენ, რომელთა მიხედვით ბასილი იმპერატორს დაუბყრია
„ქალაქი ოლთისი და ყველა ციხე და სიმაგრე ტაოსი“⁸⁵, ანუ „ქა-
ლაქი ოლთისი და მრავალი გავარი და ციხე და ქალაქი“⁸⁶. ამას
გარდა, ასოლიყს საინტერესო ცნობა აქვს შემონახული იმის შე-
სახებ, რომ გურგენ ქართველთა მეფეს (ამიერტაოს მფლობელს)
უცდია დავით კურაპალატის სამფლობელოს შემოერთება და 1001
წ. შემოსდგომია ოლთისის ციხეს, თუმცა ვერც ის და ვერც სხვა
სიმაგრე ვერ აუღია, რის შემდეგაც ლაშერითურთ მამროვანის ხევ-
ში დაბანაკებულა. საბოლოოდ იყი კეისრის დაეზავა და თავის
ქვეყანაში (ე. ი. ამიერტაოში) დაბრუნდა⁸⁷.

აქედან აშეარა, რომ არა მარტო პარხალი, ასისფორი და
თორთომი, არამედ ოლთისის ხეობა მამროვანით დავით კურაპალა-
ტის სამფლობელო, ანუ იმიერტაო ყოფილა. იმიტომ, რადგან ჩვენ
ვიყით, რომ იშხანი და ბანა ამიერტაოში მდებარეობდნენ, ამიერ და
იმიერტაოს შიგნად დასავლეთით ოლთისის წყლის ქვემო დინება
უნდა მოიჩინით, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით არ მდინარის და
მისი მარჯვენა შენაკადის ბარდისის ხეობის წყალგამყოფი ქედი⁸⁸.

ორივე ტაო, იმიერტაო და ამიერტაო, როგორც უკვე აღვნიშნავ-
დით, აშორტ კურაპალატის სამფლობელოში შემავალად უნდა ვი-
გულისხმოთ.

რომ IX ს-ში ტაო მთლიანად ქართლის ქვეყანად აღირიცხე-
ბოდა, ამას, ბოლოს და ბოლოს, სომხეთი ისტორიების, ზენობ გლა-
კი, ვეიმოწმებს, რომელიც IV ს. დამაწყისის სომხეთის ისტორიის

⁸² ქ' ცა, I, გვ. 382.

⁸³ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 63.

⁸⁴ ა ს თ ლ ი კ ი. გვ. 171.

⁸⁵ Պատմութիւն Արքաთაկիսի Լատիվիբოւյ, Նրեվან, 1963, 24. (ქვა-
შოთ: არატაკესი)

⁸⁶ ა ს თ ლ ი კ ი. 278—279. ოლთისი და მამროვანის—დაუითის სამკვიდროს,
ისესენიებს ვარდ ან ც, გვ. 125.

⁸⁷ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 63; ი კ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი.
დასახ. ნაშრ., გვ. 331—332.

առնվազաւութեան մոցայիտերոბն, հռմ տրդար սոմեցետ մոցան բուռն
հիմուլութեան մոցայիտ ճամանակ ոչը հայ ճամանակ մուռան պայպա
նա, զութք յահոնամուց (գլ. յիշիրումամուց). ոչը հոյություն յահություն առ
տրդար օգնաւուն սոմեցետ համեմ, հռմելու ամաչութեան ու արքունիք
և յանասեաց մտուլութեան.

Ես ամ տերոծածի ֆարմուլացիոն կոլուրուրու ցործացան
սուրատու առ արու սիրու IV ս-տցու, եռմ լիսածու, հռմ ոցու հաւալու-
րու սնդա ոցու IX ս-տցու, հռման վերածու նենամ ցլազո. պէտան
կու լիսածու եղեցա, հռմ ամ ճրուսաւու ոչը հուսու (յահութուն, շաբա-
յահություն սայսամալարու) կոլուրուրու սահլահու յահոնամուց
մուգունդա, ց. օ. Շաբայուրու, հռմ, մանուրամանց, բառ, մույրու և
ամոյրու, մտլունագ յահություն սայսամալարու մոյսուտենեա.

Ամոյրուրառու կոլուրուրու լուներու ամ ճրու սնդա պատուուց
յալմասու ցուե, մոյրուրառու — ալխատ, յալայի ուլուսու.

3. Ամցարագ, յութե յիշիրել ցացումուրուրութ, հռմ ամուր կուրա-
յալարու մոցուրու սամուլոնելու սամերե-ժամացլու յահութունու ոցու
Շաբայութ-յալարիցու և որոցը բառ. մուսու մուսահու հանուլունցա —
արբանյացու ցուե-յալայի, հռմելու ցանասելա ամուր և ալամենա
յահութու ցուեց և մունա-յիշիրու մուսա յահութ ալամենա յալայի և
ալամենա մաս Շոնա ցուլուսու մուգունդա մույրուլու յահութու և
ձացլուսու, և Շյբմենա մաս Շոնա սագլաւու տպու. և ճամկութիւն ցո-
ւուսա մաս Շոնա լուսուրութեան

արբանյացու մշենեթլունու Շյսաեց ցուուրց մյուրիւլու մոց-
ցութերոնն: յամետա մուս վիմուսու (ցրոցու եանցույլուս. — լ. մ.)
յուլմիշույման ամուր կուրայալարման ճամպուրն մուցալնու յահութանու
և ալամենա ցուե արբանյացուս⁸⁸. ամ ամոնայիշիրու հայեն մյուրու յայ-
թու ցանեներուցեցն: ամուրու մուլցայիշունու և ալամենու յայեա
միշմարունու մոյր ալնունելու ցարեմուցա, հռմ ման „ճամպուրն մու-
ցալնու յահութանու“? հայեն անհատ, յս առ սնդա ալնունեացլու ամո-
ւրու յիշիրուստացրոնու Յերուսալմու, րամպունագաւ մամուն յս „մուցալնու
յահութանու“ մաս ուցուցուալուրագ մուցումուլու մունդա եալուցացան. առ
սնդա ոցուլուստեմեծունու յի առ ամուրու բառ-յալարիցու ճամ-
պութունու յայերու, հագուն ոցու, հռցուրու ալունունետ, ամ կուտես

⁸⁸ V. Langlois. Collection des historiens anciens et modernes de l'Arménie, t. I, Paris, 1867, 351; Ց. Հ. Ածուն, Արմենիա և յուսունանա, 241.

⁸⁹ յ՛ւա, 1, ց. 377.

⁹⁰ մացլութ, 1, ց. 296.

მეტყველეობით მფლობელი იყო. ყველაზე უფრო, მის მიერ „მრავალთა ქუეყანათა“ დაყრიობა უნდა შეეფერებოდეს მისი შორივაწეობის ბოლო პერიოდს, ტაო-კლარჯეთში ხელმეორეფ ზოგიც მოადგინა რების მომდევნო პერიოდს, როდესაც სუმბატ დავითიშვილი ცნობითაც, აშორტ კურაპალატი „კუალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარამდე ბარდავის ქალაქისა“⁹¹.

ჩამდენადაც გაზეიდებული არ იყოს მემატიანის ცნობა, თითქოს აშორტი მთავრობის პირველ პერიოდში ბარდავსაც და ტფილის-საც ფლობდა⁹², ხოლო უფრო გვიან ტერიტორიის „ვიდრე კარამდე ბარდავის ქალაქისა“ (ალბათ, იგულისხმება ტფილისიანად), მაინც დამაინც, ერთი რამ ცხადია, რომ გარდაცალებამდე აშორტ კურაპალატს ეჭირა შიდა ქართლი და, ცხადია, ტერიტორიაც, რომელიც მდებარეობს ტაო-კლარჯეთსა და შიდა ქართლს შორის. რომ ეს „ქვეყანა“ შეაღებული მის სამთავროს, ეს მტკიცდება, ჯერ ერთი, იმით, რომ „მატიანე ქართლისა“ საგანგებოდ აღნიშნავს აშორტის მკვლელობის შემდეგ: „ხოლო კუალადცა ეუფლნეს სარეინოზნი ქართლსა“⁹³. აქ არ არის სავალდებულო ეთნოგრაფიული „ქართლი“ იგულისხმებოდეს მხოლოდ, მაგრამ რომ ეს უკანასკნელი იგულისხმება par excellence, ეს კი უეპველია. გარდა ამისა, სუმბატ დავითის ძე აღნიშნავს: „და შემდგომად აშორტის სიკუდილისა, მამისა მათისა, რომელ გარეთ ქვეყანა ჰქონდათ ძეთა აშორტისათა — წარულეს სარეინოზთა“⁹⁴. სწორია, რომ „გარეთ-ქვეყნად აქ ქართლი იგულისხმება“⁹⁵, მაგრამ არა მარტო ქართლი, არა-მედ აშორტ კურაპალატის სამთავროს თითქმის მთელი ტერიტორია, რადგან, როგორც უკვე მემატიანე აღნიშნავს აშორტის ძეთა შესახებ, „ვიდრე უსრულოდ იყვნეს იგინი ასეკითა, იშარლებოდეს ციხესა შინა არტანუჯისასა, და იყვნეს ხარების მიმცემელ სარეინოზთა ყოველნივე პევნი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი.“⁹⁶ ე. ი. ფაქტიურად,

⁹¹ ქ'ცა, I, გვ. 377, შტრ. პ. ინ გორო უ ვ ა. დასახ. ნაშრ. გვ. 48—50. ავტორს, როგორც აღნიშნავ, მოელენათა განვითარების განსხვავებული ქრისტოლოგია აქვს. კ. თუმანიას (Studies, 486) სწორად არ ესმის მემატიანის ეს ცნობა.

⁹² ქ'ცა 1, გვ. 376. თუმცა, კამთარომთქვას, არც ის არის სრულად გამოსარიცხი, რომ სუმბატ დავითის ძის ცნობები სიმართლეს შეეფერებოდეს (იხ. პ. ინ გორო უ ვ ა. იქვე, 42, 49—50). ამას რამდენადმე უხმაურება „მატიანე ქართლისა-დში“ დაცული ცნობა აშორტის მკლელობის შესახებ (ქ'ცა, I, 253).

⁹³ იქვე, გვ. 254.

⁹⁴ ქ'ცა, I, გვ. 378.

⁹⁵ ი. გ. ფავანე ვილ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 372—373.

⁹⁶ ქ'ცა, I, 378; ი. გ. ფავანე ვილ ი. იქვე, გვ. 373.

აშოტის მკვიდრი მამულიც (ტაოს გამოკლებით) არაპეტრის დაუმოწმების
და.

სუმბატ დავითის ძე იქვე ონიშნავს რომ „რაჭუმის წულულული“
იქმნეს იგინი (აშოტის ძენი. — დ. 3.), კუალადცა ტერიტორიების უზრუნველყოფა
მათვე ყოველივე იგი ნაქონები მამისა მათისა... ხოლო არტანუ-
ჯით გამოღმართ დაიპურეს მათი ნაქონები იგი მამულები მამისა
მათისა⁹⁷. გიორგი მერჩულეც გადმოგვცემს: „რამეთუ შეწევნითა
ღმრთისახთა კრმლითა მათითა დაიპურეს ფრიადნი ქუეყანი და
განიორნეს აგარის ნათესავი“ აშოტ კურაპალატის შეილებმა⁹⁸.
მართლაც, „მატიანე ქართლისახდან“ ვიცით, რომ დაახლოებით
842 წ. ბაგრატ აშოტის ძემ მოპარედ ხალიდის ძისაგან, დახმარე-
ბის სამუქფოდ ქართლი მიიღო⁹⁹. ქაც შესაძლებელია, მხოლოდ
ეთნოგრაფიული ქართლი არ იყულისხმება, და რომ, მოლოძ
ბოლოს, სუმბატ დავითის ძის გამოთქმა — „დაიპურეს მათი ნაქო-
ნები იგი მამულები მამისა მათისა“, შიდა ქართლს გარდა სრუ-
ლიად გარევეულ ტერიტორიას გულისხმობს, ამის მოწმობს ავ-
ტონევე „მატიანე ქართლისახს“ მეორე ცნობა, გუარამ აშოტის ძეს
რომ ეხება: „ხოლო გუარამის დაეპყრა ჭავახეთი, თრიალეთი, ტა-
შირი და აბოცი და არტანი“¹⁰⁰. IX ს. 50-იანი წლებისთვის ეს,
შესაძლებელია, უკვე მომხდარი ფაქტი იყოს, რამდენადაც ამ
დროისთვის გუარამი უკვეველად ფლობს მკვიდრი მამულის გარდა
კლარჯეთში¹⁰¹, ჭავახეთს და ერუშეთს და ე. ი. არტანს¹⁰². ყოველ
შემთხვევაში, „მატიანე ქართლისახს“ ქრონილოგით, ეს ასეა
IX ს. 70-იანი წლებისთვის. უფრო ვვინან, მაინცდამაინც 882 წლა-
მდე, როდესაც გუარამი გარდაიცვალა, მას სამცხეც დაუჭერია (ან
მისი დიდი ნაწილი). ეს ჩანს ქიდან, რომ ციხე ლომისიანთა სამ-
ცხეში გუარამის აგებულია¹⁰³. ამგვარად, თუ უკელაფერი ზემო-

⁹⁷ ქ' ცა, I, გვ. 378.

⁹⁸ რეგლები, I, გვ. 272.

⁹⁹ ქ' ცა, I, გვ. 255; ივ. ჭავახიშვილი ა. დასახ. ნაშრ. გვ. 374.

¹⁰⁰ ქ' ცა, I, გვ. 287.

¹⁰¹ კლარჯეთში მისი მამულია, მაგ., ოპიხა (იბ. ქ' ცა, I, გვ. 260, შდრ. ძეგლები, I, გვ. 287).

¹⁰² მის ბრძანებას ემორჩილება ერუშენელი ეპისკოპოსი (ძეგლები, I, 287),
ხოლო ერუშენელის სამწყსოა არტანი (იბ. ქ' ცა, I, გვ. 198; ე. თ ა კ ა მ შ ვ ი ლ ი. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, 1907, 77).

¹⁰³ ქ' ცა, I, 261. რომ გუარამის, ალბათ, მთელი სამცხე ეკვირა და არა მხოლოდ
ლომისიანთ ციხის „შესავალი“, ეს საგარეულოა იქიდან, რომ ნასრა გუარამის ძე აფხა-
ზეთის ლაშქრით მოწინააღმდეგებისაკენ მოღდის სამცხით: „ნასრა შეიძყრნა სამინი ცა-

თქმულს გავითვალისწინებთ, უნდა დავისკვნათ, რომ აშოტ კურა-
პალატის სამთავრო IX ს. 30-იან წლებში მოიცავდა ტაო-კულარ-
ჯეთს, ალბათ, აქარიანად, კოლა-არტან-ჯავახეთს, თრუჯულუკ-უშა-
და ქართლს, შესაძლებელა სამცხესაც და, თუ გურჯამისკრწელება
ვით ვიმსჯელეთ, ტაშირსაც და აბოცაც¹⁰⁴.

4. ბუნებრივია, რომ ისევე, როგორც სხვა ქართულ სამთავ-
როებში, აქაც პროვინციებს ერისთავები განაგებენ. საერთოდ
ტაო-კულარჯეთის ბაგრატიონიანთა ბიზანტიური და ქართული სა-
მოხელეო ტიტულატურა, როგორც ცნობილია, საქმიოდ მრავალ-
ფეროვანია და, როგორც ჩანს, გარევეულ კანონზომიერებას ექვე-
ნდებარება¹⁰⁵, თუმცა კი მასალა არ არას საქმარისი საამისოდ ნა-
თელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ. კერძოდ, როგორც აღნიშვნენ,
ერისთავობა და ერისთავერისთავობა განუყრელი პატივი იყო
ტაო-კულარჯეთის ამ ხელისუფლებისა¹⁰⁶, მაგრამ უმეტეს შემთხვე-
ვაში სრულიად გაუგებარია, თუ რომელი „ქვეყნის“ ერისთავზეა
სუბიატ დავითის ძესთან საუბარი. თითო-ოროლა მონაცემი სრუ-
ლიად არ არის საქმარისი.

ასე მაგალითად, სუბიატ დავითის ძე გადმოგვცემს ადარნასე
აშოტის ძის შვილის გურგენის შესახებ: „ხოლო გურგენ კურაპა-
ლატი ჭარმოვიდა ტაოთ, კალმახით, მამულით თვასით, ცხოვრე-
ბად შავშეს და არტანს“¹⁰⁷. მართლაც, მისი შვილი, აშოტ კუხი
შავშეთში მოღვაწეობს: „აშოტ ერისთავთ ერისთავმან, ძემან გურ-
გენ კურაპალატისმან, რომელსა ეწოდა კუხი აღაშენა ტბეთი შავ-

ხენი სამუხეს: ოძრეკ, ჯუარის ციხე და ლომისიანთა გუარამისივე აგებული“ (იქვე)-
კონტექსტი ისეთია, თოქოს ნისრა თავის ქვეყნაში მოდის და თავის ციხეებს იქერს,
რომელც მას ადრე „მიერხენს“ (იქვე, 260). ოძრეკის ციხე დღევ. აბასთუმანიაა.
ჭუარის ციხე, შესაძლებელია, ოძრეკის NO მდებარე ციხისძირი || ციხისუარის
იყოს (რუს. გვნ. შტაბის ხუთვერისანი რუკა). ლომისიანთა კა საღლაც „ლომისიან
ჭოდებულ“ ფრესათას ქედთმ უნდა ყოფილიყო (იხ. ვ. ე. ტ. ტ. ა. აღშერა, 163).

¹⁰⁴ სამცხე, მანცცამანც, საკეთოა, რაღვენ აშოტის სიკედილის ახლო ხანებ-
ში „მირიან დადებული უფალი“ სამცხის დაშოუკიდებული მთავარი ჩანს, რომე-
ლის IX ს. შუახანებშიც აშარად არ ცორჩილება გუარის (იხ. დეგლები, I, გვ.
267, 270, 287; შტრ. ა. ბ. ვ. ვ. ე. რ. ა. ძ. ე. სერაპონქ ზარზელის“ ცხოვრების
თარიღისათვის, 59). კურაპალატთა სამთავროს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის იხ.
აფრეთე, C. Toumanoff. Studies, 485—489.

¹⁰⁵ ი. გ. ჭ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. რ. ქართველი ერის ისტორია, I—II, გვ. 395—397.
მ. თ. ა. ჭ. ა. ხ. ვ. ი. ლ. რ. სუბიატ დავითის ძის ქრონიკა, თბ., 1949, გვ. 42—44.

¹⁰⁶ იქვე, 44 და ტაბულა II.

¹⁰⁷ ქ. ც. ა. 1, 379.

შეთს“¹⁰⁸ .მაგრამ იგივე „აშოტ ერისთავთა-ერისთავმან, ზანურის ახალი ეკლესიად დაწყონ წადიერად და ურიცხვ შესაძროად მოღვაწეთა მას“¹⁰⁹, ე. ი. აშოტ კუხი არა მარტო შავშეთის უძრავი და ფარავი ჯეთის ერთი ნაწილის მფლობელიც ჩანს და მისუ შეზღუდვების უზრუნველყოფა თავობა შესაძლებელია ამით იყოს გაპირობებული.

გურგენ კურაპალატის სამფლობელო მოღვაწეთა შევარდნის და მისი ხელი, როგორც ჩასი, ჯავახეთსაც წვდებოდა, რასაც გვავარაუდებინებს არეშის სტელის წარწერა (კუმურდოსთან), სადაც აღნიშნულია, რომ „ძემან გურგენ კურაპალატისამან შეწირა აჩმტი საყდარსა კუმურდოსა სად“¹¹⁰. თვით ამ გურგენ კურაპალატის ძედ, მართლაც, მისი უფროსი ვაჟი, ადარნასე უფრო სავარაუდოა, ვიდრე აშოტ კუხი, მაგრამ არა იმიტომ, რომ მისი (ადარნასე გურგენის ძის) უმცროსი შეილი, გურგენ ერისთავთერისთავი, ყველის ცახის პატრიონია და ე. ი. ჯავახეთის (თუ მისი ნაწილის) მფლობელია, ხოლო ამდენადვე მამამისიც სავარაუდოა, რომ ჯავახეთს ფლობდა¹¹¹. საქმე ის არის, რომ ყველის ციხე არის არა ჯავახეთის, არამედ სამცხეს ერთ-ერთი, IX—X სს-ში, შესაძლებელია, უმთავრესი ცენტრი¹¹² და მისი მფლობელობა, პირველ ჩიგში, სამცხეს (და არა ჯავახეთის) მფლობელობაზე მიუთითებს. მაგრამ მაინც, როგორც ვთქვით, არეშის წარწერაში ადარნასე გურგენის ძე უნდა იჩინებოდეს: რაღაც მისი ძმა აშოტ კუხი, როგორც ვიცით, შავშეთ-კურაპალატის მოღვაწეობს, ამიტომ არტაანის მფლობელად ადარნასე უფრო სავარაუდოა, ხოლო არტაანის მფლობელს ჯავახეთიან ხელი უფრო მიუწვდებოდა. ადარნასე გურგენის ძე გარდაციცვალა 896 წ. მისი უფროსი ვაჟი დავით ერისთავთერისთავი—908 წ. აშოტ კუხი ერისთავთერისთავი—918 წ.¹¹³ და ყველა ამათი და პაპამისის, გურგენ კურაპალატის (+891 წ.) სამფლობელოთა ერთადერთ მეტვილრელ დარჩა „გურგენ დიდი ერისთავთერისთავის“.

¹⁰⁸ იქვე, 380.

¹⁰⁹ ძეგლები, I, 277.

¹¹⁰ ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც ისტორიულ შეკრი, 1959, გვ. 7. ჩვენი აზრით, უფრო სწორი იქნება შევიკოთხოთ: „შეწირა არტეტი საყდრისა კუმურდოსასად“.

¹¹¹ იქვე, გვ. 9.

¹¹² ვახუშტი ყველის ციხეს სამცხეს აღწერისას აჩსენებს ჯაყის წყალზე (იხ. აღწერა, გვ. 126).

¹¹³ ქ' კა, I, გვ. 380.

ვი“. ანუ „დიდი გურგენი“¹¹⁴, ყველის ციხის პატრონი¹¹⁵. ქართული რად, ამ გურგენის ერთ-თავთერისთავობა თითქოს გასაკების შეეხება მის ეპითეტს — „დიდი“ — ამის შესახებ, ქვემოთ უკავშირდეთ როგორც ასეთი, იგი თითქოს მემკვიდრეა ბიძამისის, უზრუნველყოფის მართლაც, ბაგრატიონთა მემატიანე წერს: „და გარდაიცვალა ესე აშოტ კუნი (ერისთავთერისთავი — დ. მ). ქორონიკონსა რ' ლმ (-918 წ.) და არა ესუა შეიღლი. და ამისა შემდგომად გურგენ, მისი წული მისი, მე ადარნასესც, დასუეს ერისთავთა ერისთავად“¹¹⁶. გორგი მერჩეულებ გვიმოწმებს, რომ აშოტ ერისთავთერისთავის (კუნის) მიერ ხანცოაში ჩატარებული მშენებლობის შემდეგ, „გურგენ მშის-წული აშოტისი, დიდი იგი ჰელმშიფც ფრიალთა ნათესავთად, ღმრთისა მიერ დაჭდა ერისთავთერისთავად. და მან განასრულა ეკლესია იგი ახალი ხანცოისად“¹¹⁷. მაგრამ აქ ერთი საეკვო გარემოებაა.

საქმე ის არის, რომ წმიდა გობრონის მარტვილობის ავტორი, ტბეთის პირველი ეპისკოპოსი სტეფანე მტბევარი თხზულების დასაწყისშივე აღნიშნავს: „მე სტეფანე მტბევარ ეპისკოპოსმან დაწმერე ბრძანებითა აშოტ ერისთავთა-ერისთავისათა“¹¹⁸. აქ როგორც ჩანს, აშოტი ჯერ კადეც ცოცხლად იგულისხმება და, რადგან მარტვილობაში აღწერილი ამბავი 914 წელს მოხდა, ხოლო აშოტ კუნი 918 წ. გარდაიცვალა, ამიტომ საკვნიან, რომ თხზულება 914—918 წწ.-ში დაიწერა¹¹⁹. თვით წმიდის ტექსტში კი ვითხულობთ: „და მოვიდეს იგინი (არაბები. — დ. მ.) ციხესა მას ყველისასა, რომელი იყო გურგენ ერისთავთა-ერისთავისა“¹²⁰. ამგვარად, თუ თხზულება 918 წლამდეა დაწმერილი, მაშინ გამოდის რომ ამ მხარეში (სამცხე-შავშეთში) ერთდროულად ორი ერისთავთერისთავი ყოფილა, ბიძა-ძმისწული. ეს კი ძნელი დასახერებელია, ჯერ ერთი, სუმბატ დავითის ძის განცხადების შემდეგ:

¹¹⁴ იქვე.

¹¹⁵ იხ. მაგალითად, „წამებად წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელი განიკვადეს ყველის ციხით“, ძეგლები, I, გვ. 176.

¹¹⁶ ქარ, I, გვ. 380.

¹¹⁷ ძეგლები, I, გვ. 277.

¹¹⁸ იქვე, გვ. 172.

¹¹⁹ ი. გ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ძველი ქართული სასტორო მუერლობა, 1921, გვ. 91—92; ი. კ ა კ ა ლ ი ძ ვ ე. ძველი ქართული მუერლობის ისტორია I, 1951, გვ. 127—128.

¹²⁰ ძეგლები, I, გვ. 176.

აშოტ ერისთავთერისთავის კუხის სიკვდილის „შემდგომად გურგენ, ძმისწული მისი, აյ ადარნასესი, დასუეს ერისთავთა ერისთვად“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლებელია, ასეთი ქრისტიანული აღმართული უფლისყო, მაგრამ სუმბატ დავითის პატიმ უანიქსტრიტების იმგვარი ხსნათისაა, რომ უნდა ვითიქროთ, ერისთავთერისთავის პატივს (კლარჯეთის შტოის ბაგრატონიანთა შორის), ჩვეულებრივ, ერთი პიროვნება ატარებდა.

კიდევ მეტი. სუმბატ დავითის ძისა და სხვა წყაროებზე დაკვირვება ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს კერ მამფლობა, ხოლო შემდეგ ერისთავთერისთავობა არტანუჭის მფლობელობასთან არს დაკავშირებული. თუკი ჩვენი ეს დაკვირვება სწორია, მაშინ უნდა დავისკვნათ, რომ გობრონის მარტვილობის დაწერისას აშოტ კუხი უკვე გარდაცვლილია და სტეფანე მტბევარს დაავიწყდა ამის აღნიშვნა, ანდა, რაც ნაკლებ სავარაუდოა, წამების წერა დაიწყო მაინცდამაინც 918 წელს აშოტ ერისთავთერისთავის სიცოცხლეში და დამთავრდა მისი გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ერისთავთერისთავი იყო უკვე გურგენი. თუ ეს ასეა, მაშინ მემატიანის გამოთქმა, რომ 914 წ. როდესაც არაბები მოადგნენ ყველას ციხეს, ეს უკანასკნელი „იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავისა“, იმის კი არ უნდა ნიშნავდეს, რომ ამ წელს გურგენი უკვე ერისთავთერისთავი იყო, არამედ იმის, რომ 914 წ. ყველის ციხე გურგენს ეკუთვნოდა, რომელიც ამამად (თხზულების დაწერის დროს) ერისთავთერისთავია.

ასეა თუ ისე, ყოველივე ზემოთქმულიდან აშეარა უნდა იყოს, რომ ტაო-კლარჯეთის ბაგრატონიანთა სამთავროს ცალკეულ „ქვეყნებს“ ისევე, როგორც სხვაგან ერისთავები და ერისთავთერისთავები განაგებენ, ხშირად სხვადასხვა ბიზანტიური სავარისკაცო ტიტულებით და ყველა ისინი გარკვეულ სამოხელეო იერარქიას ექვემდებარებიან. ფაქტოურად თუ არა ნომინალურად მაინც ყველა ისინი „ქართველთა კურაპალატს“, უფრო გვიან კი „ქართველთა მეფეს“ ემორჩილებოდნენ¹²¹. რომ აქ სრულიად გარკვეულ სამოხელეო სუბორდინაციას ჰქონდა ადგილი, მის საილუსტრაციოდ გიორგი მერჩულები, ვფექტობთ, საქმარისია: თავისი თხზულების სრულქმნის თარიღთან დაკავშირებით, იგი აღნიშნავს, რომ „გარდაცვალებითგან მისით (გრიგოლ ხანცოლისა. — დ. მ.)

¹²¹ ი. გ. ქ. ვ. ხ. ი. ვ. ვ. ლ. ი. ქართველი ერის სტორია, I—II, გვ. 396—397.

დაიწერა ცხორებად ესე მისი შემდგომად ოთხმეოც და ათისა
წლისა... ქართველთა ზედა მთავრობასა აშორ კურაპალატისა,
ძისა აღარნერსე ქართველთა მეფისასა, აფხაზთა ზედე შემუშავებული
გიორგისა, ძისა კოსტანტი მეფისასა, ერისთავთა-ერისთავებული ეპე
სუმბატისა, ძისა ადარნასე მეფისასა, მაგისტროსობასა ადარნერ-
სესა, ძისა ბაგრატ მაგისტროსისასა, ერისთავობასა სუმბატისა,
ძისა დავით მამულისასა“¹²². ჩამოთვლის რიგი ეჭვს არ სტოვებს,
რომ აქ საესებით გამოკვეთილად ჩამოყალიბებულ იერარქიასთან
გვაქვს საქმე¹²³. მაგრამ გიორგი მერჩულის ეს ცნობა, ბუნებრი-
ვია, ეხება საკუთრივ ტაო-კლარჯეთის მმართველებს.

კიდევ უფრო საინტერესო ცნობა აქვს დაცული ბიზანტიის
კეისარს, კონსტანტინე პორფიროგენეტს. იგი აღნიშნავს, რომ ივე-
რიის კურაპალატს თავისადმი დაქვემდებარებული ყავს ოთხი სხვა
სამთავრო: ვერიასანის საერისთავო, კარნატაის საერისთავო,
ყველის საერისთავო და აჭარის საერისთავო¹²⁴.

ეს ცნობა ბევრი რამით არის საინტერესო. ჯერ ერთი, აქედან
ჩანს, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტი ასხვევებს კურაპალატის
საკუთარ სამთავროს, ანუ ქართველ ბაგრატონიანთა მკვიდრ მიწა-
წყალს, ტაო-კლარჯეთს (და ჯავახეთს?), „სხვა“ ტერიტორიების-
გან, რომელთაც კურაპალატი აგრეთვე ერისთავების მეშვეობით
მართავს. რომელია ეს სხვა ტერიტორიები? ერთ-ერთია ის, რო-
ცელსაც აჭარის ერისთავი მართავს. ეს არის, რამდენადაც ვიცით,
უნიკალური ცნობა აჭარის საერისთავოს არსებობის შესახებ, რაც,
თავისთავად, რა თქმა უნდა, სავარაუდო იყო. მეორე — ეს არის
ყველის ერისთავის ტერიტორია. ყველის ერისთავი თუ ერის-
თავთერისთავი, ქართული წყაროს მიხედვითაც ივარაუდება. გობ-
რონის მარტვილობა, როგორც ვიცით, ახსენებს „უიხესა მას ყვე-
ლისასა, რომელი იყო გურგენ ერისთავთა-ერისთავისა“. ყველი სამ-

¹²² ძეგლები, I, გვ. 316.

¹²³ ჩევს ამ განკალებას თოთქოს ეწინააღმდეგება გიორგი აფხაზთა მეფის დასა-
ხელება, მაგრამ ეს ასე არ არის. გიორგი აფხაზთა მეფის დროს დასავლეთი საქართვე-
ლის სამეფო უძლიერეს სახელმწიფოდ გვივლინება მიიღეკავებასიში და მისი გავ-
ლენა, კერძოდ, ტაო-კლარჯეთშე უდაცო. „მატიანე ქართლისად“ მიხედვით გი-
ორგის ნების მისრულებელი ჩანა, როგორც „ტაოელი მეფენი“, ასევე ფალლა
კახეთის ქორეპისკოპისი (იხ. ქურა, I, 267). ამის შემდეგ ბუნებრივია გობრივი
მერჩულის შეირ აღგოლობრივი სუვერენის შემდეგ მისი დასახელება.

¹²⁴ „გობრივია, IV (2), გვ. 291. ამ ცნობას ამ თვალსაზრისით ყურადღება მიაქ-
ცის ჯერ კიდევ იც. ჯავახისვილმა (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 397).

ცნის უმთავრესი ცენტრი უნდა ყოფილიყო იმ დროს ას სრულიად უცილობელია, რომ ყველის საერისთავოში მარწმუნავი არის, სამცხე უნდა იგულისხმებოდეს. ორი დანარჩენი „საერო მიზანები“ სელი (ვერიასახი და კარნატაისი) გაუგებარი რჩებოდა და გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ „როგორც პირველს ორს შემთხვევაში მესხეთის ჰელიკონებია დასახელებული, აჭარა და ჯავახეთი (ყუელის ციხე)¹²⁵, ისე დანარჩენს შემთხვევაშიაც მესხეთისავე სხვა ომების (ან შავშეთის, ან ტაოს ან კოლას) რომელიმე ციხეების დამახასიჯებული სახელები იქმნება“¹²⁶.

ვფიქრობთ, რომ შესაძლებელი ხდება კონსტანტინე პორტიკოგვეტის ამ საერისთავოთა დადგენაც. ჯერ ერთი, კარგა ხანია არსებობს მოსაზრება, რომ „ვერიასახი“ უნდა იყოს ველგარული ფორმა სომხური „ქრის აგ ქარებინ ის¹²⁷ (ვერინ აშხარვ), რაც ნიშნავს ძველ ქართულ „ზენა სოფელს“, ხოლო ეს უკანასკნელი კი, ფაქტურად, იგივე მიღა ქართლია (იხ. ზემოთ, II, 5). რამდენადაც ამ დროს ჩვენი წყაროების „ქართლი“ (ვიწრო ჩინველობით) უკვე მხოლოდ შიღა ქართლს მოიცავდა¹²⁸, ამდენადევე ვერიასახის ერისთავის ქართული რეალური შესატვირი უნდა იყოს „ქართლის ერისთავი“, რომელიც დამოწმებული გვაქვს სწორედ IX ს.-იან (იხ. ქვემოთ)¹²⁹.

თუ ასეთ ინტერპრეტაცის „ვერიასახის ერისთავისას“ მოვიღებთ, მაშინ კიდევ უფრო ცხადი შეიქნება, თუ სად უნდა ვეძებოთ კონსტანტინე პორტიკოგვეტის მეოთხე საერისთავო — „კარნატაისა“. აშკარაა, ეს უნდა იყოს ტერიტორია ტაო-კლარჯეთია, სამცხესა და ქართლს შორის, რომელსაც ფლობდნენ ბაგრატიონიანები. ხოლო ისინი კი ფლობდნენ, როგორც ვიცით, მაინც დამაინც, არტანს, ჯავახეთს, თრიალეთს, ტაშირს და აბოცს (გუარაბ მამუალი, გურგენ კურაპალატი და მისი შვილი აღარნასე — არეშის სტელა). თრიალეთი გამოირიცხული უნდა იყოს, რადგან IX ს. 70-იან წლებში „შეიძყრნა ლიპარიტ ქუეყანი თრიალეთი-

¹²⁵ ი. ჯავახიშვილი ყველის ციხეს, შეცდომით, ჯავახეთში ათავსებდა.

¹²⁶ ი. ვ. ჯოვანიშვილი, დასახ. ნოტ. გვ. 397.

¹²⁷ I. Markwart. Skizzen, სე. 855, შენ. 100.

¹²⁸ ი. ლ. მ ე ს ხ ე ლ ი ვ ი ლ ი. „მთა ქართლის“ სტორიულ-ეროვნული შესხველისთვის, გვ. 183, შენ. 3.

¹²⁹ ის რომ კონსტანტინე პორტიკოგვეტიან ეს საერისთავო სომხური ნომერიატურით გვხვდება, ალბათ, მისი წყაროს რაგვარობით აიხსნება.

სანი, აღავო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის მე¹³⁰ ამ მრავალმხრივ საინტერესო ცნობილან ამეამად იმას მივაჭრევთ ყურადღებას, რომ დავით ბაგრატის ძე კურაპალატის (ზენობრი) წარმელაც ლიპარიტმა „იპატრონა“ ამ კონტექსტში უწინდა გვეკლებელ
ნებოდეს ქართლის (-შიდა ქართლის) მფლობელად და სწორედ ამიტომაც „იპატრონა“ იგი ლიპარიტ ბალვაშმა საწინააღმდეგოდ გუარამ მიმტლისა თუ მისი შეილის ნასრისა, რომელთაც, ცხადია, პრეტენზია ჰქონდათ თრიალეთზე. სწორედ ამან გამოიწვია, როგორც ფიქრობენ, ბრძოლა ნასრამა და დავითს შორის, რაც დავითის სიკედილით დამთვარდა¹³¹. ფაქტიურადაც, დავით კურაპალატი ქართლის მფლობელიც უნდა ყოფილიყო, როგორც მემკვიდრე ბაგრატ კურაპალატისა. ამ უკანასკნელს, აյი ვიცით, რომ წალიფას გამოგზავნილმა სარდალმა „მისცა ქართლი“. ამგვარად, თრიალეთი, ანუ კლდეკარის საერისთავო ქართლის მფლობელის „შესავალს“ წარმოადგენს. „ქრეუანანი თრიალეთისანი“ რომ ქართლის მფლობელის „შესავალია“, ეს აშერად ჩანს „მატრანე ქართლისამს ჩეენებიდან: X ს. მიწურულს, „იყო მას უამსა ერის-თვად კლდე-კართა რატი, და ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლი-საგან მტკუარსა სამხრით-კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლის-კევი და სკვრეთი; ორა მორჩილობდა კეთილად ბაგრატის“¹³².

აქ ჩვენი თვალსაზრისით საინტერესო ის არის, რომ რატი კლდეკარის ერისთავი ვასალია ბაგრატ III-ისა, რომელიც ამ დროს აფხაზთა მეფეა და, როგორც ასეთი, ქართლის უფალიცაა, და ორ არის ვასალი ზაგრატ II ქართველთა მეფისა, რომელსაც, როგორც ასეთს, ცხადია, ხელი მიუწვდობოდა, მაინცდამინც, ორტან-ჯავახეთზედაც. ქედან კი სრული სიცხადით გამომდინარეობს, რომ თრიალეთი ქართლის მფლობელის შესავალია. ე. ი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თრიალეთი კონსტანტინე პორფიროგენერის „ვერიასახის ერისთავის“ საგამგეოში უნდა ვიგულისხმოთ.

„კარნატაის“ საერისთავო არ უნდა გულისხმობდეს არც აბოცა და ტაშირს, რადგან პირველი, ჯერ კიდევ, გუარამ მამთალ-მა უგანუყო ცოლის ძმასა თვისსა სომხთა მეფესა¹³³, ხოლო ტაშირიც IX ს. ბოლოდან სომებს ბაგრატუნიანთა სამფლობელო ხდება

¹³⁰ ქ' ვა, I, ვვ. 258.

¹³¹ ივევ, 259, 378—377. ი. ვ. ვავახიშვილი. დასახ. ნაშრ., ვვ. 379.

¹³² ქ' ვა, I, ვვ. 276.

¹³³ ქ' ვა, ვვ. 257.

(იხ. ქვემოთ) და, ამდენად, ქართველთა ერისთავის ლობა გამორიცხულია.

ამრიგად, ვარჩება ჭავახეთი და არტაანი.

ვფიქრობთ, რომ „ქართაურის“ საერისთავო უზღვიშებული ხინჯებულად გამოცემული სახელი კოლა-არტაანის საერისთავოსი.¹³⁴ დამახინჯება ბერძნი მწერლის მიერ გაუგებარი სიტყვისა აღვილი გასაგებია და ასეთი თანმიმდევრობით წარმოგვიდგება: კილახრატები> კილახრატები> K[ი]ლარიატები> კარიატები. ჭავახეთი, შესაძლებელია, სამცხესთან იყო გაერთიანებული და ყველის საერისთავოში იგულისხმებოდა.¹³⁵.

ამგვარად, ტაო-კლარჯეთის სამთავრო გარდა საკუთრივ ტაოსა და კლარჯეთის საერისთავოებისა შედგებოდა ოთხი დიდი საერისთავოსაგან: ქართლისა, კოლა-არტაანისა, ყველისა (სამცხე-ჭავახეთისა?) და აჭარისა.

როდინდელ ვითარებას ასახავს კონსტანტინე პორფიროგენერის ეს ჩვენება?

იგი არ შეიძლება ეკუთვნოდეს კონსტანტინე პორფიროგენერის კეისარობის პერიოდს (912—59 წწ.) იმიტომ, რომ X ს. პირველ ნახევარში ქართლი „აფხაზთა“ მეფეების ხელშია და აქ მათი მოხელე ერისთავი ზის. კიდევ მეტი. „აფხაზთა“ პირველი გამოსვლა IX ს. 70-იან წლებში მოდის: „მას უამსა გამოვიდა გიორგი აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი; დაიბყრა ქართლი და დაუტივა ერისთავად ჩიხის ძე დემეტრესი¹³⁶.“ თუმცა ქართლის ეს დაპყრობა არ ყოფილა მყარი, რაც თუნდაც, იქიდან ჩანს, რომ ქართლის ერისთავი ჩიხაში (არგვეთის ქვეყანაში) ზის¹³⁷ და არა უფლისციხეში, როგორც ეს სავარაუდოა X ს. უშუალო დასაწყისიდანვე, როდესაც „მას უამსა გამოვიდა კოს-

¹³⁴ კოლა-არტაანის საერისთავოს არსებობას ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ვაჩუტები გვიძლებებს, როდესაც ქალაქ არტაანშე საერისთავოს აცხადებებს, რომ „შემდგომად მეფობასა შენა ბაგრატიონთათვი იქდა ერისთავი არტაანისა და კოლისა“ (აღწერა, გვ. 132).

¹³⁵ თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ჭავახეთი კურაპალატის მკედრ მამულად ჩაგვეთვალა. იხ. ქვემოთ დავით კურაპალატის და ბაგრატ III მიერ დღის ერშეალო მცდლობელობა. უფრო გვინაც ჭავახეთი საქართველოს მეფის დომენია!

¹³⁶ შდრ. ქ' ვა, I, გვ. 258.

¹³⁷ შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 21.

ტანტი, აფხაზთა მეცე, დაიპყრა ქართლი¹³⁸. მეორე შეზღვი, „ხაზთა“ პირველში გამოსვლამ გამოიწვია მშვავე რეაქტის ქართლის „კანონიერი“ მფლობელის, დავით ბაგრატის ძისგან: უარისუნდ ზაჟუკი რა, ეს გუარამისი, და გურგენ იყვნეს აფხაზთა კეტჭუ ტესტის უაჟუკი ვით და ლიპარიტი უშეულდეს სომეხთა, და იბრძოდეს სომეხი და აფხაზი ქართლსა ზედა¹³⁹. მართალია, კოსტანტი აფხაზთა მეფის „გამოსვლაც“ სომეხთაგან (რომლებიც ამ ხანებში აქტიურ ძალად გამოდიან „ქართლსა ზედა“ ბრძოლაში, ი. ქვემოთ) მძლავრ წინააღმდეგობას იწვევს და სომეხთა მეცე, სუმბატ ტიეზერავალი წარმატებითაც ლაშქრობს შიდა ქართლში, მაგრამ, საბოლოოდ, „კეთილად იშახნეს სუმბატ და კოსტანტი, და უკუმოსცა (სუმბატ). — დ. მ.) უფლისციხე და ქართლი¹⁴⁰.

ამგვარად, კონსტანტინე პორფიროვენეტის ჩვენება IX ს. ვითარებას უნდა ასახავდეს, კერძოდ კი IX ს. 80—90-იანი წლებისას, რაღვან სამცხე ქართველ ბაგრატონიანთა საერისთავოდ, საბოლოოდ, 876—882 წლებში უნდა გამხდარიყო, მას შემდეგ რაც იგი გუარამ მამფალმა დაიმორჩილა. (იხ. ზემოთ, § 3)¹⁴¹.

მართლაც, როგორც უკვე ვიცით, IX ს. 30—50-იან წლებში სამცხის მფლობელია „დიდი მირიან აზნაური“, ანუ „მირიან დიდებული უფალი“, რომელიც ქვეყნის სუვერენული უფალია, მთავარია, რომელიც, უფლებრივად მაინც, VIII ს. „დიდ მთავარ“ ჩირჩინელთა უშეუალო ჩამომავალია. 886 წელს კი სამცხე უკვე საერისთავოა. ამას მოწმობს ზარზმის ფერისცვალების ხატის წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია, სხვათა შორის, „უფალი ფარსმან ერისთავი“,¹⁴² სავარაუდოა, სამცხის ერისთავი, ქართველ ბაგრატონიანთა დიდმოხელე¹⁴³.

¹³⁸ ქართველი, I, გვ. 262. ი. ვაკახიშვილი ამ ფაქტის თარიღიად 904 წ.-თვლის, იხ. მისი, დასახ. ნაშრ. გვ. 389.

¹³⁹ ქართველი, I, 259.

¹⁴⁰ იქვე, 262; შდრ. ი. ვაკახიშვილი გვ. 109—112.

¹⁴¹ თარიღისათვეს: ეს უნდა მომხდარიყო ბაგრატ კურაპალატის სიკედილის შემდეგ (+876) და გუარამის (+882) გარდაცვალებამდე.

¹⁴² Е. Такаишвили. Зарзмский монастырь, его реставрация и фрески, СМОМПК, XXXV, 1905, с. 67; ე. თავაზიშვილი. შენიშვნები ზარზმის ეპლესისა და მის სიძველეთა შესახებ. ტუილისის უნივერსიტეტის მოამბე, № 1, გვ. 109; Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, 1959, с. 28.

¹⁴³ შდრ. ი. ვაკახიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 59, შენ. 39.

ამგვარად, კონსტანტინე პორფიროგენტის ჩვენდვის ბაზალუ-
რესო ჩვენება მთლიანად აღებული არ უნდა იყოს. IX ს. ბოლო
შეოთხედშე უფრო ძლიერი ვთარების ამსახურის „შაქტური“ ეს
კიდევ არ ნიშნავს, რომ სამი დანარჩენი საერისთვებზე მართვული უძრა-
ვა ამ პერიოდშე მოღილეს. პირუკუ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის-
ნი უფრო ძველადაც არსებობდნენ და სავარაუდოა — უკვე აშორ
დიდის დროს¹⁴⁴.

5. ამ ჩვენ კიდევ ერთ საინტერესო საკითხს მივადექით: მას
შემდეგ რაც 899 წელს, ტაო-კლარჯეთის მფლობელმა ბაგრატო-
ნიანებმა ოფიციალურად შეიძინეს მეფის ტრული, რატომ უწო-
დეს მათ თავის თავს „ქართველთა მეფე“ და არა „ტაოს მეფე“ ან
კლარჯთა მეფე“ მსგავსად აღხაშთა და ჰერთა მეფეებისა და კახ-
თა ქორეპისკოპოსებისა?

მართლაც, ჩვენ წყაროებში არაერთგან ვხვდებით „ტაოელთა
მეფეთა“ ან „მეფეთა ტაოსთა“, აგრეთვე „კლარჯთა კელმწიფეთა“
თუ „კლარჯთა მეფეთა“ სსენებას¹⁴⁵, მაგრამ ყველა ესენი აღვი-
ლობრივი მმართველები არიან, რომელთა ხელისუფლება ტაოსა და
კლარჯეთს არ სცილდება. მთელი სამთავროს ნომინალურ თუ ფაქ-
ტიურ გამგებლებს „ქართველთა მეფე“ ეწოდებოდა.

ეს ფაქტი, ვფიქრობთ, არ აისწნება მით, რომ ტაოელი ბაგ-
რატონიანები „ნათესავით ქართველთა“ მეფეები იყვნენ. ასეთივე
„ნათესავით ქართველთა“ მეფეები იყვნენ კახთა ქორეპისკოპოსე-
ბი და, მიუხედავად ამისა, ისინი „კახთა“ და არა „ქართველთა“
ქორეპისკოპოსებად იწოდებოდნენ. გარდა ამისა, ტაოელი „ქართ-
ველთა მეფეები“ სრულადაც არ იყვნენ მხოლოდ „ნათესავით
ქართველთა“ მეფეები, მსგავსად „აღხაშთა მეფეებისა“, რომლებიც

¹⁴⁴ ჩვენი აზრით, შესაძლებელია, სწორედ ტაო-კლარჯეთის ბაგრატონიანთა
ერთ-ერთ მოხელეს შამრიალებელს ურსორეთერისთვის ითხო ბაკურ ყანჩაველს
ძე, რომელიც, სოფ. ბერების (მცხელის ხეობა) IX ს. მონასტრის სამშენებლო წარ-
შერაში მოიხსენება (იხ. P. Mepisashvili. Популярный памят-
ник IX в. в сел. Биети, ქართული ხელოვნება, VI — A, 1963, გვ. 44-45)
და რომელიც, ქართლის ერთობენ უნდა იყოს. კონსტანტინე პორფირო-
გენტის შემოსენებული ცნობის სხვაგვარი რტერპრეტაცია და ქრონი-
კოგია იხ. C. Toumanoff, Studies, 493 — 496. აგრეთვე, შ. ბალ-
აძე კონსტანტინე პორფიროგენტის მიერ მოხსენებული ერთი აღილის ლოკა-
ლიზებისათვის, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI—XVII, 1972,
364—372.

¹⁴⁵ ქუა, I, გვ. 267, 271, 382; ვლრ. ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის
ძალა ქრისტიანი, გვ. 45—46.

ასევე არ იყვნენ მხოლოდ „ნათესავით აფხაზთა“ მეფეები. ეს ფაქტი არ არ აიხსნება არც იმით, თუ ვიფიქრებთ, რომ ამ ტიტულატურაში „ქართველი“ ისტორიულ-კულტურული ცნებაა, „ქალების უძღვესას ფარდი, რადგან მაშინ ასეთივე „ქართველთა მეფენი“ უძღვეს. მაგრამ ეს ასე არ აჩინა. დაბოლოს, ეს ფაქტი იმითაც ვერ აიხსნება, თითქოს ტაოელ ბაგრატინიანებს უბრალოდ პრეტენზია ჰქონდათ ქართლის (ეთნოგრაფული ქართლის) მიმართ. ასეთივე, თუ მეტი არა, ფაქტიური პრეტენზია ჰქონდათ, როგორც ვიცით, „აფხაზებს“ და კახებს.

ეს ფაქტი, ვიფიქრობთ, სრულიად ძალდაუტანებლივ იხსნება იმ უბრალო გარემოებით, რომ ტაოელ ბაგრატინიანებს სრულად განსაყუთრებული პრეტენზია ჰქონდათ ქართლის მიმართ, როგორც ქართლის ერისმთავრის ჩამომავალთ და ეს მათი „ქანონიერი“ უფლება, როგორც იურიდიული ნორმა, როგორც ჩანს, ალიარებული იყო იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში (კავკასია, ბიზანტია, არაბეთი)¹⁴⁶. მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ უკვე აშორტ დიდი, გერ როგორც ერისმთავარი, უფრო გვიან — კურაპალატის ტიტულით, ქართლის მფლობელია. ქართლის მფლობელია მისი შეილი ბაგრატ კურაპალატი, მისი მემკვიდრე — დავით კურაპალატი და, საერაუდოა, ამ უკანასკნელის შეილიც — ადარნასე კურაპალატი, რომელიც 899 წ. „ქართველთა მეფედ“ აღიარეს.

ეს გარემოება, თავის მხრივ, ვვაფიქრებინებს, რომ ბიზანტიის იმპერიატორთაგან წყალობად ბოძებული „კურაპალატობაც“, რომელიც მტკიცედ განსაზღვრული წესით გადადიოდა თაობიდან თაობაზე და რომლის მფლობელიც ყოველთვის მხოლოდ ერთ-ერთი ბაგრატინიანი იყო აშორტ დიდი კურაპალატის საშუალო ძის, ბაგრატის სახლიდან, ფაქტიურად, „ქართველთა კურაპალატობა“ იყო და ოფიციალურად ისინი „ქართველთა კურაპალატად“ იწოდებოდნენ. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1002 წელს, დავით კურაპალატის სიკვდილის (1001 წ.) შემდეგ და მამის, გურგენ მეფეთა მეფის სიცოცხლეში, ბაგრატ III იწოდება: „აფხაზთა მეფე და ქართულთა კურაპალატი“¹⁴⁷ ან 1008 წ.— „ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატი“¹⁴⁸. ამასვე

¹⁴⁶ შდრ. საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 131.

¹⁴⁷ ი. ვ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 412:

¹⁴⁸ ს. კავაბაძე. უინასწარი ცნობა დას. საქართველოს ზოგიერთი ეპიგრაფიული მასალის შესახებ, „სასტორიო კრებული“, IV, 1929, გვ. 102—103.

უნდა ადასტურებდეს ის ფაქტი, რომ კონსტანტინე პოლოვცობო-
გვერდიც ტაო-კლარჯეთის უზენაეს ხელისუფალს „ივერიუს უცხადები
პალატს“ უწოდებს¹⁴⁹. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებული რომ უცხადებ
რო მართებულია აშორტ დიდის მიერ შექმნილ სამთავროს, რო-
მელსაც ჩვეულებრივ ჩვენს სტორიოგრაფიაში ტაო-კლარჯეთის
სამთავროს უწოდებენ, რაც ნათლად არ გამოხატავს არც მის გვ-
ოგრაფიულ ფარგლებს და არც პოლიტიკურ შინაარსს, ამიერიდან
ეუწოდოთ IX ს-თვის — „ქართველთა საკურაპალატო“, ხოლო
X ს. დასაწყისიდან — „ქართველთა სამეფო“¹⁵⁰. ეს გარემოება,
სხვათაშორის, კარგად გაგვარჩევინებს X ს. შეორე ნახვრისთვის
შექმნილ ვითარებას, როდესაც უქართველთა საკურაპალატო“
(იმიერტაო) და „ქართველთა სამეფო“ (ამიერტაო), ფაქტიურად,
ერთმანეთისგან გაძირვნა.

6. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია, რაც ვემ-
ჩნეულია „ქართველთა საკურაპალატოს“ თუ „ქართველთა სამე-
ფოს“ შინაგანი სტრუქტურის თავისებურება, კერძოდ ის, რომ
საქართველოს გაერთიანებამდე იგი „ცალკეული შინაგან დამოუ-
კიდებელი და ურთიერთშორის სუსტად დაკავშირებული სამფლო-
ბელოებისაგან შეღებოდა“¹⁵¹. შემჩნეულია ისიც, რომ ამ დამა-
ხსიათებელი თავისებურებებით იგი აშკარად განსხვავდება თანა-
დროული სხვა ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმებისაგან,
კერძოდ, „აფხაზთა“ და ჰერთა სამეფოსაგან ან „კახეთის“ სამთავ-
როსაგან, რომლებიც „შედარებით ტაო-კლარჯეთის სამთავროს-
თან... ბევრად უფრო ცენტრალიზებული არიან“¹⁵².

ამ დროის წყაროების შესწავლის შედეგად მიღებული ეს
შთაბეჭდილება, არსებითად სწორია, თუმცა გარკვეული აზრით,
ცალმხრივი უნდა იყოს და ეს იმიტომ, რომ ჩვენთვის საინტერესო
პერიოდის სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს შინაპოლიტიკური
ვითარების გასათვალისწინებლად ჩვენ გვაქვს ისეთი პირველხა-

გ. ბ. თ ჭ. რ. ი. ძ. ე., რაჭის ისტორიული ძეგლები, საქართველოს შრეცმის მოამ-
ბე, V, 1930, 195.

¹⁴⁹ „გვორგია“, IV (2), გვ. 291. ბოლოს და ბოლოს, ამისავე მაუწყებელია
გიორგი მერჩილის ფორმულა „ქართველთა ზედა მთავრობასა აშორტ კურაპალა-
ტისახა“ (დეგლები, I, 316).

¹⁵⁰ შდრ. მ. ლ. თ. რ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე. ლეოდალური საქართველოს პოლიტი-
კურტ გაერთიანება, გვ. 407, შენ. 201.

¹⁵¹ საქართველოს ისტორია, I, ს. განაშის რედაქციით, 1946, გვ. 191.

¹⁵² მ. ლ. თ. რ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე. ლისახ. ნიშა., გვ. 224.

რისხოვანი წყარო, როგორიცაა სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, უკანასკნელის მონაცემებია, რომელიც ზემოხსენებულ შთაბეჭდილებას უდევს საფუტლად. ამგვარი პირველწყარო ჩაენ, არ ვა გვაჩინა არც დასავლეთი საქართველოსთვის და არც ქართლ-კახეთის თისათვის და ამიტომ არ შეიძლება ჩვენი წარმოდგენა შესახებ ნაკლული არ იყოს.

მეორე მხრივ, საქმე არც ისეა, თითქოს მთელი IX—X სს. განმავლობაში მამხრეთ-დასავლეთი საქართველო პოლიტიკურად დაქუცმაცებული იყო ყოველთვის წერილ სამთავროებად. თვით აშორტ კურაპალატს, „ქართველთა საკურაპალატოს“ შექმნელს თავი რომ დავანებოთ, რომელმაც, როგორც უკვე ვიცით, მმართველობის ისეთივე სისტემა შექმნა, როგორც სხვა ქართულ სამთავროებში იყო და რომლის შესახებაც არავინ დავობს, რომ იგი იყო ერთადერთი ფაქტიური ხელისუფალი მას მიერვე შექმნილი ერთეულისა, IX ს. მეორე ნახევარში ამ ტერიტორიის უდიდესი ნაწილი გუარამ მამთალის ხელქვეით იყო გაერთიანებული (იხ. ზემოთ, § 3), ხოლო X ს. პირველ ნახევარში კი გურგენ ერისთავთ-ერისთავის უზენაესობას აღიარებდა.

გურგენ ერისთავთერისთავს ქართული წყაროების გარდა (გოპრონის წამება, გრიგოლ ხანცოელის ცხოვრება, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, მატიანე ქართლისამ), იცნობენ ბიზანტიური (კონსტანტინე პორტიროგენეტი), არაბული (მასუდი) და სომხერი (იოანე კათალიკოსი, სტეფანის ორბელიანი) წყაროებიც. იგი, როგორც ჩინს, თავისი დროის ერთ-ერთი უაღრესად თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე იყო. სუმბატ დავითის ძე უშურველად ამკობს მას განმადიდებელი ეპითეტებით და ხან „ღიღ გურგენს“, ხან კი „ღიღ ერისთავთ-ერისთავს“ უწოდებს¹⁵³. ამავე წყაროს მიხედვით, „გარდაიცვალა გურგენ ღიღი, ერისთავთ-ერისთავი, ძე აღარნასესი, რომელმაც უმეტესი სიმხნენი და ბრძოლანი ქმნა ყოველთა მამათა მითამა და დაიმორჩილნა ყოველნი გარემოსნი ქორინიკონსა რჩა“¹⁵⁴ (ე. ი. 941 წ). 914 წ. იგი უკვე ყველის ცოხის პატრონია¹⁵⁵. ამდენად, მისი ერისთავთერისთავობა, რომელიც მას, ეტყობა, ბიძამისი, აშორტ კუხის სიკვდილის (918 წ.) შემდეგ

¹⁵³ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 65.

¹⁵⁴ იქვე, გვ. 66.

¹⁵⁵ ძეგლები, I, გვ. 176.

მიუღია, ზესტად 918—941 წლებშე მოდის¹⁵⁶. გაორგა მეორჩეულებ
გვაუწყებს, რომ ხანცის ახალი ეკლესიის მაშენებელი აშორ ერმი-
თავთერისთავის (კუხის), შემდეგ „გურგენ, ძმისწულმა ჰემილი,
დიდი იგი კელმწიფე ფრიადთა ნათესავთამ, ღმრთმა მაშტავი ქართულ
და ერისთავთა-ერისთავად. მან განასრულა ეკლესიამ ივი ახალი
ხანცისად“¹⁵⁷.

გურგენის თანამელროვე სომეხი ისტორიკოსი, იოანე დრასხა-
ნაკერტელა მას აგრეთვე „ქართველთა დიდ მთავარს“ უწოდებს¹⁵⁸.

ცხადია, გურგენ ერისთავთერისთავის ამგვარი ეპითეტი,
პირველ რიგში, იმით უნდა ყოფილიყო გამირობებული, რომ იგი
იყო „კელმწიფე ფრიადთა ნათესავთამ“, რომელმაც „დაიმორ-
ჩილნა ყოველნი გარემოსნი“. რა ქვეყნებს ფლობდა დიდი გურ-
გენი?

ჩვენ ვიცით, რომ IX ს. ბოლოს გურგენ ერისთავთერისთავის
პაპა „გურგენ კურაპალატი წარმოედა ტაოთ—კალმახით, მამულით
თვისით, ცხოვრებად შავშეთს და ორტანს“¹⁵⁹. რამდენადაც ეს გურ-
გენ კურაპალატი დაიმარხა ხანცაში¹⁶⁰, ამდენად სავარაუდოა,
რომ კლარჯეთშიც მას გარკვეული მამელები ჰქონდა. მან სიკედი-
ლის (891) შემდეგ „დაუტევნა ორნი ძენი: ადარნასე ერისთავთა
ერისთავი და (აშორ ერისთავთა ერისთავი)“¹⁶¹, რომელთაგან „აშორ
ერისთავთა ერისთავმან, ძემან გურგენ კურაპალატისამან, რომელ-
სა ეწოდა კუხი, ალაშენა ტბეთი შავშეთს¹⁶², იგივე აშორი, როგორც
ვიცით, ხანცის ახალი ეკლესიის მაშენებელია. ამგვარად, უნდა ვი-
ფიქროთ, რომ აშორ კუხი შავშეთისა და კლარჯეთის იმ მამულების
მემკვიდრეა, რომელსაც გურგენ კურაპალატი ფლობდა. ამრომ

¹⁵⁶. ასევე ათარილებენ მის მთავრობას, ალბათ, იგივე საფუძველზე პ. ინგოროვა. (იხ. მისი გორგი მეტჩულე, 382) და ვ. მანორსე, თუმცა, ამ უკანასკნელს შეცდომით
იგი ტაოს მთავრობად მიაწინა (იხ. В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербента X—XI веков. М. 1963, с. 214, прим. 114).

¹⁵⁷ ძეგლები, I, გვ. 277, გურგენის მოლვაშეობას ეხება აგრეთვე პ. ინგოროვ-
ვაც (იხ. მისი, დასახ. ნიშრ., გვ. 100—103), მაგრამ იგისრულიდ მცდარი წერილი მეტლერე-
ბილი გამოდის.

¹⁵⁸ იოანე ღრასხან აკერტელი გვ. 232, სტელის თრბელინი
გურგენს ქართველთა პიტიახს უწოდებს, იხ. Պათმისტეს ნანანეგინ სწავ-
ლან, 194.

¹⁵⁹ ე. თავათვე ვილი. დასახ. ნაშრ. გვ., 65.

¹⁶⁰ ძეგლები, I, გვ. 276.

¹⁶¹ ე. თავათვე ვილი. იქვე.

¹⁶² იქვე, გვ. 66.

სავარაუდოა, როგორც უკვე აღვნიშნავდით (იხ. ზემოთ, № 4), რომ
მისი ძმა ოდარნასე მამის, გურგენ კურაპალატის მემკვიდრე ყოფი-
ლიყო არტანის მფლობელობაში. არეშის სტელის წყრიშერტც-ტყე-ე-
ხედვით, როგორც ზემოთ ვვარაუდობდით, მას ერტყებულებულებულ-
ზედაც მიუწვდებოდა ხელი. ოდარნასე გარდაიცალა 896 წ., მისი
უფროსი შვილი დავით ერისთავთერისთავი (გურგენის ძმა) — 908
წ., ხოლო აშოტ კუხი, ოდარნასეს ძმა — 918 წ. არც დავითს და
არც აშოტ კუხის მემკვიდრე არ დარჩენიათ¹⁶³. ცხადია, რომ პაპა-
მისის და მამა-ბიძის მამულების ერთადერთი მემკვიდრე 918
წლიდან გურგენ ერისთავთერისთავია.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გურგენ ერის-
თავთ-ერის-თავი ფლობდა შავშეთს, არტანს, ჯვახეთს და აგრეთ-
ვე კლარჯეთსაც. რომ მას კლარჯეთზეც მიუწვდებოდა ხელი, ეს
ჩვენ უკვე ვიცით იმ ფაქტიდან, რომ იგი აქ ამთავრებს ხანცის
ახალი ეკლესის მშენებლობას. გურგენი მთელი კლარჯეთის ან,
ყოველ შემთხვევაში, მისი ულიცესი ნაწილის უზენაესი ხელისუ-
ფალი უნდა ყოფილიყო, მაინცდამაინც X ს. ოციანი წლებიდან,
როდესაც მან თავის სიმამრს აშოტ კისკასს, არტანუჯის ციხე-ქა-
ლაქი წაართვა¹⁶⁴.

კონსტანტინე პორტიონგენეტი, რომელსაც ეს ამბავი აქვს
შემონახული და რომელიც გურგენს მავისტროსის ტიტულით იც-
ნობს, გადმოგვცემს, რომ მან (გურგენი) „ძალით წაართვა თავის
სიმამრს აშოტს არტანუჯი და ამის საბადლოდ მისცა ტორჯასტრო-
ნი (ყველისციხე—დ. მ.) და აქარის წყლის გასწვრივი ქვეყანა“¹⁶⁵.
აქარისწყლის გასწვრივი ქვეყანა, რა თქმა უნდა, იგივე აქარა¹⁶⁶,
ხოლო რამდენადაც ყველისციხე, რომელსაც გურგენი 914 წლიდან
მაინც ფლობდა, როგორც ვიცით, სამცხის ერთ-ერთი უმნიშვნე-
ლოვანესი (თუ მთავარი არა) ცენტრი უნდა ყოფილიყო. აქედან
ცხადი ხდება, რომ გურგენი ზემოხსენებულ ქვეყნებთან ერთად
სამცხე-აქარასაც ფლობდა: საქმე ის არის, რომ აშოტ კისკასმა
მხოლოდ დროებით შეძლო ამ ქვეყნების შენარჩუნება, რადგან

¹⁶³ ე. თაყაიშვილი ი. გვ. 65-66.

¹⁶⁴ კონსტანტინე კორტეგენეტი. „გეორგია“ IV(2), გვ. 276. გურგენი
რომ კლარჯეთსაც ფლობდა ეს ჩანს ბაგრატ IV-ის ცნობილი სიგელიდან ოპიზართა
და მინამოროელთა დავით შესახებ (იხ. საქართველოს სიგელები, ტ. II, 1-5 და
ე. თაყაიშვილი ი. დასახ. ნაშრ., გვ. 83).

¹⁶⁵ კონსტანტინე კორტეგენეტი, იქვე.

¹⁶⁶ შდ. I. Marguerat, Streifzüge, 177.

„გურგენმა შესძლო და წაართვა აშოტს ის საბადლო ქვეყანაც, რომელიც მან მისცა მას აღრინვის მაგიერს“¹⁶⁷.

მასუდის ერთი ცნობის მიხედვით, „მდინარე ქურეულები“ სათავეს იღებს ჯურზანის ქვეყანაში, რომელიც უკუთუნევიყო კურგინს¹⁶⁸. ჯურზინი, ცხადია, იგივე გურგენ მაგისტროსი, ანუ ერისთავთერისთავის¹⁶⁹, და აქედან აშერაა, რომ მტკვრის სათავე, ე. ი. პროვინცია კოლა აგრეთვე მისი სამფლობელოა.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, გვაქვს საფუძველი გურგენ და დი ერისთავთერისთავი (918—941 წ.). შავშეთ-კლარეთის, სამცხე-აჭარის და კოლა-არტან-ჯავახეთის მფლობელად ვივარაულოთ¹⁷⁰.

რომ გურგენი, მაინც მაინც, ჯავახეთსაც ფლობდა, ეს ბუნებრივად გამომდინარეობს ითანე დრასანაკერტელის ჩვენებიდანაც, რომლის მიხედვით ეს ქართველი მთავარი ცდილობს, იმავე X ს. ოციან წლებში სამშეილდის ციხე-ქალაქის დაუფლებას, რომელიც ქვემო ქართლის (სომხ. „გუგარექის“ და ქართ. „სომხითის“) უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა და იმხანად სომები ბაგრატუნების მიერ იყო დაპყრობილი¹⁷¹ (იხ. ქვემოთ) საბოლოოდ გურგენ ერისთავთერისთავმა ვერ მოახერხა სამშეილდის აღება¹⁷².

ამ კონტექსტში ფრიად საყურადღებოა, რომ 1937 წ. ბოლნისის სიონის გათხრისას, ტაძრის მახლობლად აღმოჩენილი იქნა წარწერიანი ქვეს ფილაქინი, რომელმაც შემოინახა ვინმე „გორგენ ერისთავთ-ერისთავის“ სახელი¹⁷³. პალეოგრაფიულად წარწერა X ს. თარიღდება და ამიტომ, ბუნებრივია, ზემოთქმულის გათვალისწინების შემდეგ, ვივარაუდოთ, რომ ამ გურგენ კურაპატი (+891 წ.) კი არ იგულისხმება¹⁷⁴, არამედ მისი შეინიშვილი გურ-

¹⁶⁷ კონს. ტ. პორფ. ი. გ. ე. ტ. ი. იქვე. 277.

¹⁶⁸ მოაქვს ვ. მონასტრის თარგმანით, იხ. მისი, დასახ. ნაშრ., ვე. 214 შრ. ცმომიქ., № 38, 60 და აგრეთვე მარკარტის დასახ. ნაშრ., ვე. 176.

¹⁶⁹ ი. მის. კვარც ტ. ი. იქვე; ვ. მინორ ს კ. ი. დასახ. ნაშრ., ვე. 214, შერ. 114; მასუდით თავისი შრომა, ძროთაღალ, დაასრულა 943 წ. (იხ. ვ. მინორ ს კ. ი. დასახ. ნაშრ., ვე. 188, პე. I).

¹⁷⁰ მასუდის მეორე ცნობის მიხედვით (იხ. ვ. მინორ ს კ. ი. დასახ. ნაშრ., ვე. 210) ჯურზანის (-აქ ტაო-კლარეთის ბაგრატიონთა სამფლობელოს) მეზობლადა ქვეყანა სამცხე, რომელსაც მეტე არა ჰყავს. სამცხე, ამგვარად, ამ ნობით დამიუკიდებელი ერთეულია. ეგვიპტის ეს ძველი კოთარების ასახველი ცნობაა.

¹⁷¹ იონე დრა ას ხ. ა. კ. ე. რ. ტ. ე. ლ. ი. გ. 224-225.

¹⁷² იქვე. ვე. 251-253.

¹⁷³ ლ. მის. ს ხ. ე. ლ. ი. მ. ბოლნის, „ენიმქის“ მოამბე, III, 1938, 341-42.

¹⁷⁴ ასე ფიქრობდა ე. თავათ ვილი (იხ. მისი, სუმბატ დავითის ძის ქრ. ვე. 80).

ვენ IV ერისთავთერისთავი, თან კონტექსტი წარწერისა ისეთი, რომ გურგენი უმპველად, ადგილობრივ მფლობელად გვივლინება, მით უშერეს თუ ეს ფილაქენი სწორედ მისი საფლექტლი კუნძულის წარმოადგენს¹⁷⁴, თუმცა კი ეს საეჭვოა.

ტერიტორიაზე მარტივი ქართლის მიმართ ან კი-დევაც მისი მფლობელობა ამ მხარეში სრულიად რეალურია, მაშინ მით უფრო სარწმუნო უნდა იყოს მის მიერ გავახეთის — ქვემო ქართლის დასავლეთიდან მომიჯნავე მხარის — მფლობელობა.

უკველივე ზემოთქმულის შემდეგ უნდა დავასკვნათ: გურგენ დიდი ერისთავთერისთავი, ტაოს გამოკლებით ფლობდა მთელი გვიანდელი ზემო ქართლის ტერიტორიას კლარჯეთიდან ქვემო ქართლამდე და სომხეთიდან „აფხაზეთის“ სამეფომდე. იგი უაღრესად აქტიურ პოლიტიკას ეწეოდა სომხეთის¹⁷⁵ მიმართ, რაც საბოლოო ჯარში, გამოიჩატებოდა მიტაცებული ქართული მიწების შემომტკიცების მცდელობით. აქტიური იყო მისი პოლიტიკა „აფხაზთა შეფეხებისა“ და ტაოელი თანამოგვარე შეფეხების მიმართაც¹⁷⁶. იგი არ ეცუდებოდა თვით ბიზანტიის კეისარსაც კი¹⁷⁷. სწორედ ამით იყო გაპირობებული ის, რომ თანამედროვეთა შორის მან „დიდის“ სახელი დაიმკვიდრა. ჩვენც ამიერიდან გურგენ ერისთავთერისთავი საქართველოს გაერთიანებისთვის მებრძოლ ერთ-ერთი თვალსაჩინო მოლვაშედ უნდა ვალიაროთ.

გურგენის სამთავროს ცენტრი უნდა ყოფილიყო ქალაქი არ-

¹⁷⁴ ასე ტიქტობენ დ. ბერ კენიშვილი (ახ. მისი, ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, სიგ II, 1954, გვ. 29) და ლ. მუსხელიშვილი (ახ. მისი, ბოლნისი, გვ. 342).

¹⁷⁵ ახ. ოთანე დრას ხანა კერ ტელი. გვ. 232, 235—237, 241—242, 251—253.

¹⁷⁶ ქარ, II, გვ. 265; კონსტანტინე პორტირო გენეტი. გვ. 277, 282—283, ოთანე დრას ხანა კერ ტელი. გვ. 241—242.

¹⁷⁷ კონსტანტინე პორტირო გენეტი. გვ. 285; სხვაგან ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ უესაძლებელია გურგენის ხელიერია პერთა „მოქცევისა“ საქმეშიც (იხ. ჩემი, უკარმა, გვ. 118). გარდა ამისა, თუკი თანე დრასხანაკერტელის გამირთა ქვეყნის მთავარ გურგენს იჰივე გურგენ ევრაზ ჩავთვლით, როვნორც ფიქტობენ ი. აბულაძე (იხ. მისი გამოც. საძიებელი) და ე. ცაგარევიშვილიც (იხ. მისი გამოც. საძიებელი), მაშინ გამოვა, რომ იგი უტაქის ქვეყნაშიც კი საქმიანობს (ოთანე დრასხანაკერტელი, 256), მაგრამ ეს საეჭვოა და გამირთა მთავარი, ანუ კაპალოვის მთავარი გურგენი უნდა იყოს ბიზანტიის თანე კურკეასა (იხ. მარტივი სტრიფუზი, 183).

ტანუგი¹⁷⁸, რომელიც ამ დროისათვის არათუ სამხრეთ-დასავაჭრო/საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის ერთ-ერთი უძინოშვინელოვანესი ცენტრი გამზღვიული. იმას კვლავ კონსტიტუციის მიხედვით ფიროვენები გვაუწყებს: „ადრანუგის ციხე ძალიში მუსტატის მქონება აქვს დიდი „რაბატიც“ და დაბა-ქალაქიც: და იქ მოდის საქონელი ტრაპეზიუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა და არმენიის და სირიის ზველა ქვეყნიდან, და ამ საქონლებიდან მას უამრავი ბავე შემოსდის“¹⁷⁹. როგორც ვხედავთ, X ს. პირველ ნახევარში არტანუგის ციხე-ქალაქი ამიერკავკასიის ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო ცენტრია, რომელსაც გაცხოველებული ვაჭრობა აქვს არა მხოლოდ ამიერკავკასიის ქვეყნებთან („აფხაზეთი“, სომხეთი), არამედ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთანაც (სირია, ცხადია, საკუთრივ ბიზანტიაც). საინტერესო ამ ცნობაში ისიც არის, რომ ეს ქალაქი, ამავე დროს, გვევლინება „ივერიის“ ე. ი. პირველ ჩიგში, მანიცადამანც, „ქართველთა სამეფოს“ არა მხოლოდ პოლიტიკურ ცენტრად, რაც ქართული (და არაბული) წყაროებიდან ჩანს, არამედ მის ერთ-ერთ ეკონომიკურ ცენტრადაც¹⁸⁰.

რაც შეეხება საკუთრივ ტანს, იგი, როგორც ჩანს, აღარნასე კურაპალატის და ქართველთა მფლო (899—923 წწ.) შეაღებს

¹⁷⁸ მასულის ცნობით „აფხაზთა გვერდით არის სამეცო ჯურზიდა, ეს არის ძლიერი ხალხი, ქრისტიანები, რომელთაც ჯურზის უწოდებენ. მათ ამერად (940-იანი წლები) მეუე ქავეთ, რომელსაც ეუროპა ათაბერი, ხოლო დედაქალაქის ამ მეურასას ეწოდება მესირი ძილ-კონაზ“ (ალექსანდრეს მინგითი) (იხ. ვ. მინორ ს კ. ა. დასახ. ნაშრ., გვ. 209—210. შემ. ი. მ. ა. რ კ ვ ა რ ტ რ ს. დასახ. ნაშრ. გვ. 175). ცხადა, აქ ლაპარაკა ჩეგნოვის საინტერესო ტერიტორიაზე, რომლის გამგებელი მასულისთან, ი. მარკვარტის აზრით, ღმამანინებული „მამფალი“ უნდა იყოს (ი. მ. ა. რ კ ვ ა რ ტ რ ს. ივე, 186, კ. მ ი ნ თ რ ს კ ი, ივე, გვ. 264 შენ. 25). რაც შეეხება მის რეზიდენციას, მისივე აზრით აქ ღმამანებულად „მცხეთა“ უნდა იყვალისხმებოდეს (ი. მ. ა. რ კ ვ ა რ ტ რ ს. ივე, გვ. 186—7, კ. მ ი ნ თ რ ს კ ი, ივე გვ. 210, შენ. 96). მცხეთა, რა თქმა უნდა, გამორჩეულია, რაღაც არავთარი ცნობა არ გავგანისა, რომ იგი XII ს-მდე ბაგრატიოვანთა კუთხისი ყოფილიყო, ხოლო სუმორედ X ს. პირველ ნახევარში მცხეთა კახეთის სამთავროში იგულისხმება (იხ. ჩეგი, კახეთა-ქართის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები, 70—71).

¹⁷⁹ კ ო ნ ს ტ. პ ი რ თ გ ე ნ ა რ ი, გვ. 278—279.

¹⁸⁰ სამუშაორი თოთო-ორთლა სპილენძისა და ეკრცხლის მონეტა აღმოჩენილი ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე, არაუერს სამისულ არ იძლევა: ოპიზაში აღმოჩენილია I ც. ეკრცხლის მონეტა 886—912 წწ. ოკმში (ახალქალაქის რაიონი) ასამდენიმე ცალი სპილენძის მონეტა 829—842 და 969—976 წწ. ერთი X ს. სპილენძის მონეტა ახალციხიდანაა ცნობილი (იხ. თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, 127—129).

უკირავთ. კერძოდ, ჯერ დავით მაგისტროსს და ქართველთა შეფას (923—937 წწ.) და შემდეგ — ბაგრატ მაგისტროსს და ქართველთა მეფეს (937—945 წწ.)¹⁸¹. კურაპალატობა ჯერ აღიწევს მცხეთა დე შეილმა აშოტმა და მეფე იდრია (923—954 წწ.)¹⁸², ხოლო შემდეგ მისმა უმცროსმა ძმამ სუმბატმა (954—958 წწ.)¹⁸³.

მაგრამ ამ დროს, X ს. პირველ ნახევარში, აღარნასე ქართველთა მეფისა და მისი მემკვიდრეების სამფლობელო მხოლოდ ტაოს ტერიტორიით, რა თქმა უნდა, ას შემოიფარგლებოდა.

უკვე კეისარ ლეონ VI-ის (886-912) დროიდან ქართველები ფლობდნენ „კეჭეს ციხეს“, რომელიც თეოდოსიუპოლის, ანუ ოზრუმის მახლობლადაა და უაღრესად მნიშვნელოვანია სტრატეგიული თვალსაზრისით, რადგან იქიდან შესაძლებელი იყო ოზრუმისათვის, რომელიც მაშინ არაბებს ეჭირათ, რეალური კონტროლის გაწევა. კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით, კეჭეს ციხიდან შესაძლებელია „უთვალყურო თეოდოსიუპოლის ციხეში შემოსულ ქარავნებს“ ლამითაც კი.¹⁸⁴ ჩვენი აზრით, „კეჭეს, ციხე“, რომელიც მართლაც, შესაძლებელია ქართული „ქაჭის ციხის“ დამახინჯება იყოს¹⁸⁵, უნდა იყოს რესული გენერალური შტაბის ხელმძღვანელი რეკაზე ონიშნული, ოზრუმიდან „საქართველოს ყელით“ (გურჯი-ბოლაზით) ტაოში (თორთუმში) მომავალი მაგისტრალის მახლობლად, ყარასუს (ევფრატის სათავეს) შენაკად ქეჩინ-სუზე მდებარე დაბა „ქეჩინი“ (Кечი), რომლის ახლოც, იქვე რაღაც სიმაგრეა ნაჩვენები (укрепление Тафта).¹⁸⁶

უკველ შემთხვევაში ცხადია, რომ X ს. დასაწყისში მაინც ქართველები ბატონობენ აზრუმის მიღამოებზე.

უფრო გვიან, X ს. 20-იანი წლებიდან, თვით ოზრუმიც მათ ხელშია და აგრეთვე პროვინცია ბასიანიც — არაქსის სათავეში, აბნიერა

¹⁸¹ ე. თ ა ჟ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 46—47.

¹⁸² კ ო ნ ს ტ. პ ო რ ფ ი რ თ გ ე ნ ე ტ ი. გვ. 287 და ძეგლები, I, გვ. 316.

¹⁸³ იბ. იშხნის ეკლესიის წარწერა, E. T a k a i s h v i l i, Arx. eksp. 1917, . 30—32.

¹⁸⁴ კ ო ნ ს ტ. პ ო რ ფ ი რ თ გ ე ნ ე ტ ი. გვ. 263—266.

¹⁸⁵ იბ. 3. ინ გო რო ყ ვ ა (გორგი მერჩულე, 61, შენ. 1) მ. ბროსეს კვალიდ ასე ბსის ამ სახლუშოდებას.

¹⁸⁶ ს. კ ა ც ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს ქაჭის ციხის მდებარეობას დლ. აშ-ყალასთან ევფრატზე ვარაუდობს (იბ. „გორგია“, IX (2), 265, შენ. 2); 3. ინ გო რო ყ ვ ა, ჩვენი აზრით, სწორად ათავსებს მას ევფრატის სათავეებში, „ქართლის გზასთან“ (გორგი მერჩულე, გვ. 61).

და მასტატის ციხესიმაგრეებით, რომლებიც არაქსის შარქვენი ნაპირზე მდებარეობდნენ¹⁸⁷. კონსტანტინე პორფიროგვანეტის ტროსაც იგივე ვითარებაა და 952 წელს, როდესაც დაწერილია *Per agitatemistrando imperio, იგი ისე მიმართავს თავის შვილს, რომელსაც უძრავეს ამ თავის ტრაქტატს:* „რადგან კუროპალატი ჩევნი მორიჩილი და შეგობარია, სანდო და მართალი, იყვეს თანახმად მისი მოთხოვნისა ფასიანის საზღვრად მდინარე ერაქსი, ანუ ფასისი, და მარცხნა მხარე, იმერიისაკენ მიმართული, პურათ იმერებს. ხოლო მარქვენა, რაც თეოდოსიუპოლისკენ არის, როგორც ციხეები ისე სოფლები, იყვეს ჩევნი მეუფების ქვეშ ისე, რომ, მაშასადამე, ორივეს საზღვრად მდინარე იქნება¹⁸⁸“. ამვარად, ბიზანტიის ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს, რომ შეზღუდოს ქართველ კურაპალატთა სამხრეთისაკენ ექსპანსია. მეორეგან კონსტანტინე პორფიროგვენეტი იმეორებს: „ჩევნმა მეუფებამ, როგორც ითქვა, კუროპალატის სიყვარულის გულისთვის მოისურვა, რომ მდინარე ერაქსი, ანუ ფასისი ყოფილიყო ორივეს საზღვრად, და ისინიც (ქართველები.—დ. მ.) უნდა დაკმაყოფილდნენ ამ მფლობელობით და მეტი აღარ მოითხოვონ¹⁸⁹. როგორც ჩანს, X ს. 50-იანი წლებისათვის სასაზღვრო მიზნა ბიზანტიისა და ქართველთა საკურაპალატოს შორის არაქსზე დაიდო¹⁹⁰.

კონსტანტინე პორფიროგვენეტთან საუბარია, როგორც ჩანს, აშოტ კურაპალატზე (923—954 წწ.), რომელიც გიორგი მეტჩულის მიხედვით „ქართველთა ზედა მთავრობდა“. რა ურთიერთობა იყო დამყარებული აშოტ კურაპალატსა და გურგენ ერისთავერისთვის შორის, ან ჩანს. ფორმალური თვალსაზრისით გურგენი, საფიქრებელია, ვალდებული იყო ელიარებინა კურაპალატის უზენაესობა, რასაც ვავარაუდებინებს ის ფაქტი, რომ ადარნასე კურაპალატის და ქართველთა მეფის სიკვდილის (923 წ.) შემდეგ ცურგენი ცდილობს კურაპალატობა კეისრისაგან მან მიიღოს¹⁹¹. ფაქტიურად კი იგი, რა თქმა უნდა, სრულიად დამოუკიდებელი იყო კურაპალატისაგან, პირუკუ, როგორც ვიცით, ებრძოდა კიდევაც მას და მის მემკვიდრეებს¹⁹².

¹⁸⁷ კონსტ. პორფიროგვენეტ ი. 261—273; ხუთვერსიან რუქაზე—АВНИК; იბ. აგრეთვე, Атлас Армянской ССР, 1961, 105: карта «Армения на рубеже X—XI вв.».

¹⁸⁸ კონსტ. პორფიროგვენეტ ი. 271—272.

¹⁸⁹ იქვე, გვ. 273.

¹⁹⁰ შტო. პ. ინგორის ცენტ. დასახ. ნაშრ., გვ. 524.

¹⁹¹ კონსტ. პორფიროგვენეტ ი. 283.

¹⁹² იოანე დრასხანა კერტვილი, გვ. 241—242, კონსტ. პორფიროგვენეტ ი. 282—283.

ამგვარად ყოველივე შემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია და
ბეჭითებით აღვნიშნოთ, რომ IX—X ს. განმავლობაში ქართველი-
თა საკურაპალატოს თუ სამეფოს უდიდესი ნაწილი პტირის უძლიერი ი
ერთიანდებოდა ხოლმე ერთი ფაქტიური გამგებლის პტირის მიერ

7. მიუხედავად ამისა, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დაკირ-
ვება ამ ერთეულის ნაკლებად ცენტრალიზებულობის შესახებ, გან-
სხვავებით სხვა ქართული სამეფო-სამთავროებისაგან, არსებითად
სწორი უნდა იყოს. მართლაც, ამის საილუსტრაციოდ, თუნდაც
ისიც საქმარისია, რომ იმავე კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნო-
ბით, გურგენ ერისთავთერისთავის გარდაცვალების (941 წ.) შემ-
დეგ, მის მიერ შექმნილი სამთავრო კვლავ შემაღვენელ ერთეულე-
ბად დაშლილა¹⁹³.

რითი უნდა ყოფილიყო გამოშვეული ასეთი ვითარება?

არა გვევნია საამისო საფუძველი ყოფილიყო ის გარემოება,
თითქოს ტაო-კლარჯეთის ბაგრატონიანებს შორის „იმთავითვე შე-
თვისებული იქნა შეხედულება, რომ სამთავრო შეადგენს დინას-
ტიურ საერთო საგვარეულო, კერძო საკუთრებას“ და ამიტომ „რო-
გორც ხელისუფლება, რევე თვით სამფლობელო თაობიდან თა-
ობაში განუწყვეტლივ ქუცმაცდებოდა“¹⁹⁴.

არც ის არის დამაჯერებელი, თითქოს ეს ისსნებოდეს მხო-
ლოდ პოლიტიკური ვითარებით, კერძოდ კი, სამხრეთ-დასავლეთი
საქართველოს და ბიზანტიის გარკვეული ურთიერთდამოკიდებუ-
ლებით¹⁹⁵.

ორივე ეს ასპექტი — პოლიტიკური და დინასტიური — უფრო
შედეგი უნდა იყოს, ვიდრე საფუძველი „ქართველთა სამეფოს“
შედარებითი დეცენტრალიზაციისა და ერთ ძირითად ფაქტორზე
უნდა იყოს დამყარებული. გადამწყვეტი აქ, ჩვენი აზრით, ქვეყ-
ნის ეკონომიკური გეოგრაფია.

თუ გავითვალისწინებთ, იმ სოციალური და ეკონომიკური
პროცესის წინა პირობებს და იმ ისტორიულ-გეოგრაფიულ გარე-
მოს, სადაც ეს პროცესი მიმდინარეობდა, რომლის შედეგადაც სა-
ქართველოს ტერიტორიაზე წარმოიქმნა აღრუფეოდალური ხანის
სახელმწიფოებრივი ორგანიზმები, ჩვენთვის ცხადი გახდება (და

¹⁹³ კ თ 6 ს ტ. პორფიროგენეტი, გვ. 277.

¹⁹⁴ საქართველოს სტრონია, ს. განაშისა რედ. თბ., 1946, გვ. 191.

¹⁹⁵ მ. ლ ო რ თ ქ ი უ ა ნ ი ძ ე. ლეონდალური საქართველოს პოლიტიკური
გეორთიანება, გვ. 224—226.

ეს უკვე იყო აღნიშნული, იხ. ზემოთ, III), რომ ეს ძირითადი და ნიშანდობლივი ტენდენცია, რაც ამ პროცესს ახასიათებდა ეს უკო
მთისა და ბარის შეჩრდა. ბოლოს და ბოლოს ამ უფრო ტან-ფანტი-
შვენელოვანი მოვლენის შედეგი და გამოხატულვებრივ გულ-წრის უზურ-
ში—„აფხაზთა სამეფო“, აღმოსავლეთში—პერთა და კახთა სამთავ-
როები და თბილისის საამირო. განმსაზღვრელი და ღომინანტური
ამ პროცესში იყო, რა თქმა უნდა, ბარი თავისი ინტენსიური. სა-
ირიგაციო სოფლის მეურნეობით (მევენახეობა-მელვინეობა, მება-
ლეობა...)¹⁹⁶ და საზამთრო საძოვრებით. აქევ გამავალ ადგილობ-
რივ თუ საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალებზე ძველთაგანვე
არსებობდნენ, როგორც ვიცით, სავაჭრო-ეკონომიკური და ხელოს-
ნური ცენტრები, ქალაქები.

ამ მხრივ, ჩვენ ფრიად საყურადღებო სურათს მივიღებთ, თუ
მოვიგონებთ ზემოაღნიშნულ აღრეფეოდალურ ერთეულთა პოლი-
ტიკურ საზღვრებს (იხ. ზემოთ) და წარმოვიდგენთ მათ პროექტის
საქართველოს ისტორიულ აგრძობორთანიურ რუკაზე, რომელიც
შედგენილა ისტორიული წყაროების, განსაკუთრებით ვაჭუმტი
ბატონიშვილის სათანადო დეტალური მონაცემების საფუძველზე¹⁹⁷.
ჩვენთვის ნათელი განცდება თეზა, რომ ეს ერთეულები მთისა და
ბარის გაერთიანების შედეგია და რომ მთის „ქვეყნები“ ფაქტიუ-
რად შემოყრებილია ინტენსიური მეურნეობის ზონის, ბარის გა-
რშემო. რიონის დაბლობი, მტკერისა და იორ-ალაზნის ვაკეები
წარმოადგენენ იმ ეკონომიკურ ცენტრს, რომლის საფუძველზეც
და რომლის გარშემოც ჩამოყალბდნენ ზემოხსენებული აღრეფე-
ოდალური სამთავროები. ბუნებრივია, რომ მათი ეკონომიკური და
პოლიტიკური ცენტრებიც სწორედ ამ ინტენსიური მეურნეობის
ზონაში, ანდა „მთისა“ და „ბარის“ მიჯნაზე აღმოცენდნენ (ქუთა-
ისი, თბილისი, დმანისი, სამშვილდე, უგარმა, თელავი, შაქი...)¹⁹⁸.
ზემოხსენებულ სამთავროთა ამგვარი ეკონომიკური გეოგრაფია
უნდა ყოფილიყო საფუძველი მათი პოლიტიკური მთლიანობის
შედარებითი სიმყარისა.

¹⁹⁶ აღრეფეოდალური ხანის საირგატო მეურნეობის შესახებ აღმ. საქართვე-
ლოში იხ. ი. კიკუაძე. მორწყვა დედლ საქართველოში, გვ. 110—124.

¹⁹⁷ სეთი რუკა გაკეთებული აქვს ი. ჩავახმეტის (იხ. მისი, საქართველოს
ეკონომიკური ძალარი, შვ. I, 1930). მაცე დახასიათებული აქვს ამ თელისაზრისით
სტრიტული საქართველო (ივე, გვ. 290—317).

¹⁹⁸ „მთისა“ და „ბარის“ აქ იმ ჩივენელობით ეხმარობ, როგორც ეს ვაჭუმტი
ზაგრატიონს და, როგორც ჩანს, საერთოდ ძელ ქართულ წყაროებს ესმით: „ბარი“—

განსხვავებული ვითარებაა „ქართველთა სამეფოში“. ამ საქართველოს ტერიტორია ბუნებრივი და სამეურნეო თვალსაზრისით ორ ზონად შეიძლება დაყოს. პირველი ეს არის სამხრეთურმციული ლეთი, მეტყვრის სათავის აუზი, ანუ ჭავახეთის „ზეგანიშვილებულების ტან-ერთშეთან ერთად. ეს არის ტერიტორია, რომელიც ვახუშტის აგრო-ბორანიკური სისტემის მიხედვით, „უვენახხილო“, „ბალახყვავილოვან“ არეალს განკუთვნება¹⁹⁹. ჭავახეთის მეურნეობისათვის დამახასიათებელია მემინდვრეობა (ხორბალი, ქრილი, შერია), ზეთის ხდა და მესაქონლეობა²⁰⁰. ასეთივე ვითარება გვაქვს ჩვენ კოლა-არტან-ერთშეთში, რომელიც, ვახუშტისავე სიტყვით, ბუნებრივი პირობებისა და მეურნეობის თვალსაზრისით „ვითარება ჭავახეთი“ არიან²⁰¹.

ცნობილია, რომ „უძველესი დროით გან საქართველოში მიღებული ქვეყნის თრად დანაწილება, ბარად და მთად, გეოგრაფიულ თვისებებთან ერთად, იმავე დროს ორ ბოტანიკურ და სასოფლო-სამეურნეო ზოლად გაყოფასაც გულისხმობა. მთის ზოლის თვისებას ამ მხრივ უვენახობა, უხილობა და მარცვლეულობის მოსავლის სიმცირე წარმოადგენდა, ბარის ზოლისას—სწორედ ვენახიანობა, ხილიანობა და „მოსავლიანობა“²⁰². ამგვარად, ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესო ტერიტორია მთას წარმოადგენს. მართლაც, ქოროხის სათავეების დახასიათებისას ვახუშტი პირდპირ აღნიშნავს, რომ ეს ქვეყანა არის „ვითარება ჭავახეთი, მთებრი მოსავალ-პირუტყვათა“²⁰³.

დღესაც ჭავახეთის (resp. კოლა-არტაანის) მაპროფილებელი

თერენსიერი სოლის მეურნეობის, კერძოდ, მეექნახეობის ზონა, „მთა“ — მემადვრეობმა და მესაქონლეობის ზონა (იხ. იგ. ჭავახიშვილი დასახ. ნაშრ., გვ. 294).

¹⁹⁹ ი. ჭავახიშვილი დასახ. ნაშრ., გვ. 307.

²⁰⁰ ვახუშტი ი. ალექსანდრა, გვ. 131, 42, 37—38.

²⁰¹ იქვე, გვ. 132—139.

²⁰² ი. ჭავახიშვილი დასახ. ნაშრ., გვ. 294 (ხაზგასმა ავტორისათვის).

²⁰³ ვახუშტი ი. ალექსანდრა, გვ. 141.

სასოფლო-სამეურნეო დარგი მეცხოველეობა²⁰⁴. მთე უფრო ასე
უნდა ყოფილიყო ძველად²⁰⁵.

დღესაც ჯავახეთი გესხეთ-ჯავახეთის ერთიანი კუნძული უნდა ყოფილი კერძოინის წარმოადგენს²⁰⁶. მით მდგრადი მუშაობა გამოყოფილი ეკონომიკური რაონი უნდა ყოფილიყო ჯავახეთი კოლა-არტანთან ერთად ძველად. მართალია, დღეს „საკუთრივ ჯავახეთის ქვერაიონი მესხეთის სამრეწველო ცენტრების (ახალ-ციხე, ვალე) მიზიდულობის არეალშია მოქმედება“²⁰⁷ და ასეთივე უნდა ყოფილიყო მისი დამკიდებულება სამცხის (და არა მხოლოდ სამცხის) ბართან ძველადაც, მაიც მტკვრის სათავის აუზის (კოლა-არტან-ჯავახეთი) ერთგვარი ეკონომიკური თვითკმარობა საკმარისი იყო აქ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცალკე ერთეულის არსებობისთვის. შემთხვევითი არ არის, რომ „იყო პირველ ჯავახეთი, არტანი და კოლა ერთი საერისთო“²⁰⁸, ჯავახეთის წილი ქვეყანა²⁰⁹, რომელიც თავის მხრივ ცალკეულ „ქვეყნებად“ ნაწილდებოდა, რომელთა ეკონომიკა სრულიად ერთგვაროვანი იყო, მაგრამ მკვეთრად გამოყოფილი ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრები (კოლას ქვაბური, არტანის ქვაბური, ერუშეთის ზეგანი და ჯავახეთის ზეგანი) საამისო საფუძველს ქმნიდა.

ამგვარად, ჩვენ მივიღეთ ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიისა-თვის ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნა: თვითკმარი, ერთნაირი ეკონომიკის პირობებში ცალკეული გეომორფოლოგიური ერთეულები ცალკეულ „ქვეყნებად“ („ხევებად“) ყალიბდებიან. ეს უნდა იყოს ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების ერთ-ერთი კანონზომიერება.

„ქართველთ სამეცნის“ დასაელეთი (ცოროხის აუზი) და ჩრდილოეთი (სამცხე) მეორე ბუნებრივ-სამეურნეო ზონას შეადგენს. უკვე ის ფაქტი, რომ ამ ზონის დასავლეთი (უდიდესი) ნაწილი ცალკე პილროგრაფიულ ერთეულს წარმოადგენს, გამოყოფილს მტკვრის აუზიდან მაღალი არსიანის ქედით, ქმნის საფუძველს

²⁰⁴ გ. ზ. ბ. დ. ა. ლ. ი. შ. ე. ი. ლ. ი. საქართველოს სსრ ეკონომიკური დართულება, 1970, გვ. 242.

²⁰⁵ 6. ბ. ე. რ. დ. ე. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 104, 165—166.

²⁰⁶ გ. რ. ზ. ა. რ. დ. ა. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. დასახ. ნაშრ., გვ. 241 და შემც.

²⁰⁷ იქვე, გვ. 236.

²⁰⁸ ვ. ა. ხ. უ. ტ. ი. ალექსანდრა, გვ. 133.

²⁰⁹ ქ. უ. 1, გვ. 10.

იმისათვის, რომ აქ კოლა-არტაან-ჭავახეთისგან დამოუკიდებელი
მხარე ვიქარაუდოთ.

განსხვავებით კოლა-არტაან-ჭავახეთისაგან, ჭოროხის აუზის კი
თვის, ანუ აქარის, შავშეთ-ქლარჯეთისა და ტაოსათებული „უცხოუჩხოუ-
ლო“ და „ბალახყვავილოვანი“ ზონის, ანუ ვახუშტისეული „მთის“
არსებობის გარდა, დამახასიათებელია ინტენსიური სოფლის მეურ-
ნეობას, მებაღეობს-მევენახეობის, ანუ ვახუშტისეული „ბარის“
არსებობაც²¹⁰. ვახუშტის მიერვე ალნიშნული სპეციფიურობა სა-
ქართველოს ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიისა, რაც მთისა
და ბარის ურთიერთსიახლოებით გამოიხატებოდა²¹¹, განსაკუთრებით
დამახასიათებელია სწორედ ჩვენთვის საინტერესო მხარისათვის.
ტაო-კლარჯეთის აღწერისას სახელოვანი გეოგრაფოსი საგანგებოდ
აღნიშნავს: „რამეთუ მთა-ბარი ახლორებს ესრეთ, ემისა ანუ ნა-
ხევარ-უმისა სავალთა აჩს თოვლი და ბართა ნაჩინჯი, თურინჯი,
ზეთისხილი და ყოველნი ნაყოფნი“²¹². ამასვე იმეორებს იგი არა
მარტო ჭოროხის აუზის ცალკეული „ქვეყნების“ (აქარა, ფორჩხის
ხეობა ივევე მურლული, შავშეთი, ნიგალი, არტანუჯი, ტაო, სპე-
რი, თორომი) აღწერისას²¹³, არამედ სამცხის დახასიათების დრო-
საც²¹⁴.

ჭოროხის აუზი ინტენსიური სოფლის მეურნეობისათვის გამო-
სადევი მიწის ფართობის ნაკლებობის განიცდის²¹⁵, მაგრამ, „რაო-
დენიცა მიწანი იქვნიან“²¹⁶ ანუ „მიწა ამისი, რაოდენიცა იმმარების
სივიწროვედ“²¹⁷, ადამიანის უდიდესი შრომისმოყვარეობის ხარჯ-
ზეა განაყოფიერებული.

ფაქტიურად, ამ მხარის მიწათმოქმედება ირიგაციაზე იყო
დამყარებული. ჭერ ერთი, პარხალშია განთქმული საირიგაციო
სისტემა²¹⁸. კლარჯეთის სოფლების დიდი ნაწილი მაინც აგრეთვე ირ-

²¹⁰ იხ. ი ვ. ქ ა ვ ხ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 307—308.

²¹¹ იქვე, გვ. 297.

²¹² ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა, გვ. 121.

²¹³ იქვე, გვ. 134—141.

²¹⁴ იქვე, გვ. 129.

²¹⁵ Георгий Мерчул. Житие св. Грегория Хандзтийского: Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра с Дневником поездки в Шавшетию и Кларджетию. С. ПБ, 1911, 44. (ქვემოთ: 6. მარი, გორგო მერჩული).

²¹⁶ ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა, გვ. 134.

²¹⁷ იქვე, გვ. 136.

²¹⁸ ვ. თ ა ყ ა ვ შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 90.

წყვს და, რაც მთავარია, მთელი ამ საირიგაციო სისტემის განვი-
დელი, მასთან დაკავშირებული ტოპონიმიების მიხედვით, ეს ელ-
ქართული მოსახლეობაა. ასე მაგალითად, სოფ. ბერთას დაზო სარ-
წყავი არის, რომელიც გრიგოლ ხანცოლის მიერ წერილი მუსტამ
თას მონასტრის²¹⁹ უბანსაც რწყავს, ცნობილია „ჭარელი მუსტამ“
„დიდი რუსს“ სახელით²²⁰. ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ იგი
მონასტრის მეურნეობისთვისაა გაყვანილი და ამდენად IX ს.
ნაგებობას წარმოადგენს.

მიწის ნაკლებობისა და რელიეფის თავისებურების გამო, რი-
წაოთმოქმედება ამ მხარეში ტერასული ხასიათისა იყო²²¹. ამავე
მიხედვის გამო სპეციალური ნაგებობებისა და ტერასების მოწყო-
ბა იყო საჭირო გზების გაყვანისა თუ სამონასტრო და სხვა მშენებ-
ლობის დროსაც.

ქართველთა შრომისმოყვარეობის წყალობით ჭოროხის აუზი
აღრეფეოდალურ ხანაში აყვავებული მეურნეობისა და კულტუ-
რის მხარედ იქცა. თუ რად აქცია ეს გავერანებული მხარე მოკლე
ხანში ძეველმა ქართულმა მოსახლეობამ ამის ნათელი მოწმობაა,
როგორც აღნიშნულია, არა მხოლოდ საეკლესიო და სამონასტრო
შენებლობა, არამედ გზებისა და ხიდების და ისეთი სამეურნეო
ნაგებობების მშენებლობა, როგორიცაა, მაგალითად, ქვითნაფები
ან კლდეში გამოკვეთილი საწნახლები²²². ამისავე მოწმობაა ტო-
პონიმიერაც²²³.

„ბარის“ ზონის სცეიშროვე, ანუ ინტერიური სოფლის მეურ-
ნეობისათვის გამოსადევი მიწის ფართობის ნაკლებობა — ეს მეო-
რე თავისებურება ჭოროხის აუზისა, რა თქმა უნდა, არც ვახუშტი

²¹⁹ ნ. მარ. გორგი მერჩელი, გვ. 172—173.

²²⁰ იქვე, გვ. 142;

²²¹ რეგლები, I, გვ. 277; ნ. მარ. დასახ. ნაშრ., გვ. 124, 156, 183.

²²² ასე მაგალითად, ნ. მასის დამოწმებული აქცია „ქართასლა თუ ხანა“ სოფ.
ბაკასთან (იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 110); ხიდების დიდი რაოდენობა (იქვე, გვ.
114—115; 130—131; 137—138, 156; 168, 183); წასკვლილი (იქვე, გვ. 114—116);
საწნახლები (იქვე, გვ. 27; 111—112; 115, 141—142; 153—154; 180—181); ხი-
დითორთუმის ხეობაში (ე. თავათ ვილ. დასახ. ნაშრ., გვ. 68; ტაბ. 108, 4).

²²³ გზებთან დაკავშირებული ტოპონიმია: „ხანი“ — აღვილი იმერხევისა
და არტანუჯის წყლის შესართავში (ნ. მარ. იქვე, გვ. 183—184); სოფ. „ხანი“ —
აღნიშნული ხეოდებისას რუკაზე, არტანუჯის წყალზე, არტან-ბათომის მაგისტრალ-
ზე; მეურნეობასთან დაკავშირებული ტოპონიმია: ლვინავილ და საფუთერე სოფ.
მელიორატ (ნ. მარ. იქვე, გვ. 115); დიდენახი (იქვე, გვ. 137), სამაჭრეთი და
სარკონეთი შატბერილის მონასტერთან (იქვე, გვ. 141—142).

ბატონიშვილს გამოქვეარვია. ეს შემჩენევა ყველგან მის მიერ ფაზ
კიდე „ქვეყანათა“ ოწერილობაში²²⁴.

ანალიზიურ სურათს IX ს. კლარჯეთისათვის იძლევა, მეტად მეტად და გადა
მერჩეულე, რომელიც თვით გრიგოლ ხანცოელის პირით, დაკავშირდებოდა
და მკაფიოდ ახასიათებს მხარის სამეურნეო ვითარებას: „რამეთუ
ბუნებით ერთცუამ არს ჭუეყანა უდაბნოთა
ძათ... და ესრეთ ყოვლით კერძო შეზღუდვილ არიან მთათა მიერ,
და კევნებისა, და წყალთა მათვან საშინელად ძნელოვანთა აღგილ-
თა მავალთამასა, და მონასტერთა მათ შინა არა არს სათიპელი ქუე-
ყანაა, არცა ყანაა სავნავი, არამედ დიდითა შრომითა როჭივისა
მისლეად აქუს კარაულისა ზურგითა, და მცირედ ვენავნი ჭირით
და ურვით დაუნერვვან და ეგრეთვე მტილები, ხოლო მხალთა ცე-
ლისათად არს სიმრავლე ურიცხვ“²²⁵.

შველაფერი ზემოთქმულის შედევი იყო ის, რომ ინტენსიური
სასოფლო-სამეურნეო ზონა ჭორობის აუზში ვიწრო ზოლად დაუ-
ყვებოდა (და დაუყვება) თვით მდ. ჭორობისა და მისი შემდინარე
ხევების (პარხალის, თორთომის და ოლთისის წყლები ტაოში; არ-
ტანუჭის წყალი და მურღულის ხეობა კლარჯეთში, შავშეთისა და
აჭარის წყალი შავშეთ-აჭარაში) სულ ქვემო ღინებას²²⁶.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს ზემოაღნიშნული სპეციფიურობა
ჭორობის აუზის ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიისა ეს-
ტორიულ ხანაში აპირობებდა იმ პოლიტიკურ სტრუქტურას, რომე-
ლიც ჩამოყალიბდა აღრეფეროდალური ხანის ტაოსა და კლარჯეთ-
ში. ერთი მხრივ, ვახუშტისეული „მთისა და ბარის ახლორება“
ყოველ კონკრეტულ ვითარებაში ქმნიდა მყარ საფუძველს მცირე,
ლოკალური, თვითკმარი უქვეყნების „ჭარბოშნისათვის, ასეთი
უქვეყნებია“: ქართული თორთომი, ოლთის-მამროვანი, ფანასკერ-
ტი, ტაოსკარი, პარხალი და სხვ. ტაოში: არტანუჭი, ნიგალი, მურ-
ღულ-ტორჩხისი ხევი და სხვ. კლარჯეთში: თვით შავშეთი მიჭი-
ხიანით და აჭარა²²⁷.

ეს უნდა იყოს ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული განვითა-
რების კიდევ ერთი კანონზომიერება, რომელიც ზემოთ (იხ. III,

²²⁴ ვახუშტი გვ. 134—140.

²²⁵ ძეგლები, I, გვ. 269; იქვე, გვ. 262—საკუთრივ ხანცოელის დახასიათება.

²²⁶ იხ. ივ. გავახიშვილის მეტ შესრულებული საქართველოს აგრობოტიკიური
რეჟიმის მის დახას, ნაშრომში.

²²⁷ იხ. ზემო ქართლის სამეცნიერო ნუსხა. ე. თავი მეტ ვილი. არხეოლოგი-
რი მოგზაურობაზე და შენიშვნაზ, შეგ. I, გვ. 76—77.

1—4) კახეთ-შერეტის მაგალითზედაც წარმოჩნდა: არათვის მარი, სხვადასხვა ეკონომიკის პირობებში სხვადასხვა გეომორფოლოგური ერთეულები („მთა“ და „ბარი“) ერთ „ქვეყნად“ („უცალ“) კალიბრირდებიან.

თუ „მთისა და ბარის ახლორება“ საკმარისის შესძლების მქონე და ყოფილიყო ზემოხსენებული მცირე „ქვეყნების“ ჩამოყალიბებისათვის, იგივე ფაქტორი და აგრეთვე ის, რომ „ბარი“ თავისი ინტენსიური მეურნეობით მხოლოდ ვიწრო ზოლით არის წარმოდგენილი ჭოროხის აუზში, წარმოადგენდა დამაბრკოლებელ გარემოებას უფრო დიდი, ერთიანი, შედარებით ცენტრალიზებული პოლიტიკური ერთეულის შექმნისათვის, რომელიც ორგანულად გააერთიანებდა მტკვრის სათავეების ზეგანსაც და ჭოროხის აუზის ხეობებსაც, მსგავსად საქართველოს სხვა მხარეებში წარმოქმნილი აღრეფეოდალური სამთავროებისა.

ამგვარად, „ქართველთა სამეფოს“ შედარებითი პოლიტიკური დაქუცმაცებულობა და თვით ბაგრატოვანთა წრეში აღრევე შემუშავებული შეხედულება საერთო საფვარეულო კერძო საკუთრების შესახებ გაპირობებული უნდა ყოფილიყო ამ ტერიტორიის ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიით, კერძოდ, იმით, რომ აյ არ არსებობდა ბარის მძლავრი და ფართო ზონა, მსგავსად „აფხაზთა“ თუ პერ-ჯახთა სამთავროებისა, რომელიც ორგანულად დაიერთებდა მთას (კოლა-არტან-გავახეთიანად) და რომლის მფლობელიც, საბოლოო ჯამში, უზენაესი მფლობელი გახდებოდა მთელი ამ ტერიტორიისა. ამ თვალსასწრისით არტანუჯი ვერ დაიჩინებდა ვერც ქუთაისის და ვერც თუნდაც უჯარმის (შემდეგ, თელავის) მნიშვნელობას, რადგან ქუთაისი, პირველ რიგში, დასავლეთ საქართველოს ინტენსიური მეურნეობის ფართო მხარის, ვაკე იმერეთის (ძვ. მოხერისის) ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი და, ამდენადევ „აფხაზთა სამეფოს“ ეკონომიკის ფოუნდი იყო; უჯარმა ივრის ხეობის ინტენსიური მეურნეობის ცენტრი იყო და ამავე დროს წარმოადგენდა იურის საზამთრო საძოვრების გასაღებს. რამდენადაც აღმოსავლეთი საქართველოს მთის დიდი ნაწილის ეკონომიკა სასიცოცხლოდ იყო დაკავშირებული სწორედ აშ საძოვრებთან, ამდენადევ უჯარმა პოლიტიკურად ბატონობდა მთაზედაც და ბარზეც²²⁸. არტანუჯის უალრესად დიდი მნიშვნელობა დამოწმებული კონსტანტინე პორფიროგენეტთან გაპირობებული უნდა

²²⁸ ამის შესახებ დაუკრილებოთ, იხ. ჩემი, „უჯარმა“.

ყოფილიყო არა „ქართველთა სამეფოს“ ეკონომიკის შინაგანი ძალები განული განვითარებით, არამედ მისი სტრატეგიული მდებარეობით მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო სავაჭრო, წარმოშორების გზაზეარედინზე. აშორტ კურაპალატის შემდეგ უაღწევნედაც ეცილება, არტანუჯი არასოდეს არ გამხდარა ჭორობის აუზის (ტაო-კლარჯეთ-სპერის) პოლიტიკური ცენტრიც კი, რაც იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ იგი არასოდეს არ ყოფილა ამ მხრის ერთადერთი უმთავრესი ეკონომიკური ცენტრი. დამახასიათებელია, რომ გვიან საუკუნეებშიაც თითოეულ „ხევს“ აქ თავისი დაბა ან ქალაქი გაიხდა²²⁹. კიდევ უფრო ძლიერად უნდა გამოხატულიყო ეს ტენდენცია ადრეფეოდალურ ხანაში²³⁰.

მაგრამ ყველაფერი ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს „ქართველთა სამეფო“ ერთმანეთისაგან დამოკიდებული „ქევენების“ თუ „ხევების“ მექანიკურ კონგლომერატს წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, არა. ცალკეულ მხარეთა შორის მუდმივი ეკონომიკური და სხვა ურთიერთობა არსებობდა და, უნდა ვიტოქტოთ, საქმიად ინტენსიურიც. ჩვენ მხოლოდ იმას გაუსვით ხაზი, რომ ეს ურთიერთობა არ იყო იმ ხარისხისა, როგორც სხვა თანადროულ ქართულ სამეფო-სამთავროებში და პოლიტიკური თვალსაშირისით ეს გმოხიხატა ამ ერთეულის ნაკლებ ცენტრალიზებულობაში.

8. მართლაც, ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში და უფრო ადრეც იმერხევის (შავშეთის პროვინცია) მოსახლეობა სავაჭროდ ართვინში (ნიგალი) და ახალციხეში (სამცხე)²³¹, ხოლო სალოცავად შატბერდს (კლარჯეთი) და მერისს (აჭარა) დადიოდა²³². საკუთარი საძოვრების ნაკლებობის გამო, საქონელი აჭარის მთებში მიჰყავდათ²³³. თვით აჭარლები კი სამეურნალოდ ჯინალის (შავშეთი) მინერალურ წყლებზე ვადმოდიოდნენ²³⁴.

ინტენსიური ურთიერთობის მაჩვენებელია გზა-გადასასვლელების სიმრავლე, რომელიც აღნიშნული აქვს ვახუშტი ბაგრატი-

²²⁹ ვ. ა. უ. შ. ტ. ი. ალწერა, გვ. 129—139.

²³⁰ შდრ. ქალაქი ტორტომი სტ. ბიზანტიულთან (იხ. „გვორგია“, III, გვ. 285).

²³¹ იბ. ნ. ვ. ა. რ. ი. გომარგი მერისული, გვ. 40.

²³² იქვე, გვ. 79.

²³³ იქვე, გვ. 44.

²³⁴ იქვე, გვ. 80.

ონს და რომელითაც ცალკეული „ხევები“ მციდროდ იყვნენ და ვ-
შირებულნი ერთმანეთთან²³⁵.

შესაძლებელია ამავე რიგის მოწმობად იქნაში ჩატარებული ქა-
მოთ სხვა ასპექტით განხილული ცნობა იმის შემსრულებელი ქატეტის
გენ კურაპალატი წარმოვიდა ტაოთ — კალმახით... ცხოვრებად შავ-
შეთს და არტანს“. თუ გავიხსენებთ შავშეთის ინტენსიურ შეცრე-
ობას და ამავე დროს საძოვრების ნაკლებობას შესაძლებელია, ზე-
მოხსენებული ცნობა მთისა და ბარის ურთერთობის თვალსაზ-
რისითაც მნიშვნელოვანი იყოს.

ის ფაქტი, რომ კოლა ხანგრძლივი დროის განმავლობაში პე-
რიოდულად ტაოსთან იყო დაკავშირებული, რასაც, როგორც ვი-
ცით, „სომხური გეოგრაფია“ მოწმობს, ეპი არ არის იგივე მი-
მართულებით მოქმედებდა.

ბოლოს და ბოლოს, „ქართველთა სამეცნის“ წარმოქმნა ალ-
ნიშნულ ფარგლებში რომ უფრო ღრმა მიზეზებს ემყარებოდა,
ვიდრე მხოლოდ პოლიტიკური გაერთიანებაა, ამის მოწმობა, უფ-
რო შერს რომ არ წავიდეთ, სტრაბონისეული „მოსხიე“ (მესხე-
თი) და პროკოპი კესარიელის მესხების ქვეყანა, რომელიც თუშცა
კი ივერიის ექვემდებარება, მაგრამ აშენად ცალკე ეთნოგეოგრა-
ფიულ ერთეულს წარმოადგენს და, როგორც ჩანს, დაახლოებით
ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიას მოიცავს²³⁶. ამისავე დადასტუ-
რება უნდა იყოს, მართალია, პოლიტიკური ეპენდობით გამოწვე-
ული, მაგრამ მაინც ნიშანდობლები ფაქტი სამცხის სამთავროს
(შემდეგ, სამცხე-სათაბაგოს) განკერძოებისა, რაც საბოლოოდ,
საბედისწეროდ დამთავრდა საქართველოსთვის.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ამ მხარის ისტორიული
გეოგრაფიის შესახებ გამოთქმული მოსაზრება, რომ ეკთ владеет бас-
сейном Чороха, тот хоziян гораздо большей площади на востоке,
даже не переступая государственной границы: экономически
Ахалцих и даже Ахалкалак будет жить одной жизнью с этим

²³⁵ ვ. ა. ხ. უ შ. ტ. ი. ალწერა, გვ. 132 და შემდ.

²³⁶ ამ ფრიად საინტერესო ეთნოგრაფიული უნდა იყოს დაკავშირებული ის დად-
მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ეკეც შეუართვებში შემონახული უცველესი ქართული
მატორიულ-გეოგრაფიული ტერიტიი „ზენა სოფელი“, რომელიც მოიცავს უფრო
გვანდულ „შიდა ქართლს“, გამორიცხავს ამ უკანასკნელის თანალროეულ „ზემო
ქართლს“, რომელიც სწორედ სტრაბონისეულ „მოსხიეს“ უნდა მოიცავდეს.

Чорохским западом, особенно когда он округляется придачено Карской области. Так было, так будет»²³⁷.

Чемонтижмурлес Мердиге, Козырьков, Шевагодлов, Чеченецин, рюм ეս մուսաշիրեա გարկարա լուստ վայերծողա մերնիշտիւ պատրաստ թարտլաց, თუյո մըրքրուս նեմո Շվելու (Տամբէիժի հայութիւնի մասնակիւն) շահութեա արդանու կողա) զյոնոմոյսրու սրտոյերտողա շորտոնես աշխտան մնուցնելուանո ուսո, ու մերագ արա, նայլեթմնուցնելուանո ար շնչա պատուուց մուսո սրտոյերտողա մըրքրուսաց Շեա Շվելուս ծարտան, մուճա դա վայեմո յարտլատան. Տամիսու Տածութեթիւ շայէցէ.

XIII և. ծոլուս „Մուռտա և Մինա ուսո յիւրանա յարտլուս, արա ուսո մատ յամտա Մինա տեսցա, դա արցա Մենցիւ պատուալու... զին ապրուս մուլլեա, հմետու պատուա արա օձուցեթու սասպութու, արցա գուգուտա դաստու. յեռուց գանձնու Շմիթուլու... դա սմիրացլեսո յրո յարտլուս թարզուա Տամբէս, յիւրանա ծեյքանսա, Տաճա ոյց օձուցեթու պատրա Տամպութաց“²³⁸. ծարտալուս, զի յարտլուսատցուս Տրուլուա գանսայութեա պատարեա ալֆերուլո, մաշրամ աշյարա ուսուց, հոմ Տամբէսատցուս Խորիծալու Տամպունու թարմուցուս Տագանու, հոմլուտաց ոյց ամարացնեցնա մեծուցել մեծուցն և մատ Մորուս յարտլուսաց.

Թրուալլուս ալֆերուս զածումիւ ալնունացս, „Ծյծուլս մոտրանեն ծարութամ, հասեմեն յիւ, դա դաջգեծու լցոնու յետուլու և շեմուսանու“²³⁹. Եռլու հցըն զուցու, հոմ ոչազեթու արև զոտարցա տրուալլութո, յայունածո, յինուու“ դա Տեց²⁴⁰. Տառումցու ար շնչա ուսու մուլլեա պատրա, ու զայտու պատրա, հոմ յաշեթուու ալյու մարացնեցնա լցոնութ (դա, և տիմա շնչա, Տեց Տակուր Տաշնեցու) յարտլուս ծարութան. մտու լցոնու մոմարացնա յիւթ-յիւթու Տերունու Սրագու ուսո ծարտան սրտոյերտոնանու, հաջան լցոնու արա մեռունու պայուղալուուր պատուա յամուունեցնուա, արամեց Տրուլու ալ աշուուլեցնու ուսո Տայուլիւր-Իլլուցուրու մունեցնուստցուսաց. և տիմա շնչա, Մերտեցնուուր ար արուս, հոմ ալմուսայլու-յարտցուլու մտուլեցնուս ხարցն այնա յաշեթու մտուլեցնուս ան ուս, հոմ Տանեցն „Տամպուրառու“ հակա դա լցինեցմ դագութնեն.

²³⁷ Н. М а р р . Батум, Ардаган, Караб-исторический узел межнациональных отношений Кавказа. Петроград, 1922, с. 10.

²³⁸ յշու, II, ց. 309—310.

²³⁹ Յ ա ն ս պ ա տ ո ւ ա լ լ լ ի ր ա , ց. 42.

²⁴⁰ ոյցո, ց. 131.

მეორე მხრივ, არსებობს სრულიად უთუმცაო ჩვენება მიზანისა ქართლისა და ჯავახეთის ეკონომიკური ურთიერთობისა. ლაშენტებული IV ს-თვის. მხედველობაში გვაქვს „მოქცევად ქართლისას“ ცნობილი აღგილი წმ. ნინოს შეხვედრისა. „მთავარ ხერთ ჭარაში ხეთისათა... ტბასა დიდა გარდამდინარესა, რომელსაც უკუჭავს ფარავნა“, მწყემსებთან, რომელთაც აქ საქონელი მოერეკათ. „ზოგნი დაბით და ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინგარელნი და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი“²⁴¹. რამდენადაც საფურცლეც და ქინგარაც სამუხრანოს სოფლებია²⁴², ამდენად უკველია, რომ შიდა ქართლისა და საკუთრივ მცხეთის საქონელი უძველესი დროიდანვე ჯავახეთის საძოვრებით სარგებლობდა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ჯავახეთის საძოვრებით არა მხოლოდ შიდა ქართლის, არამედ კახეთის საქონელიც სარგებლობდა. ფარავნის ტბის აღწერისას იგივე ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, „რამეთუ ზაფხულს დგების გარემოს მისსა მრავალნი არვენი, ჭოვნი, მროწლენი, ხვასტავნი ქართლისა და კახეთისანი“²⁴³. სავარაუდოა, რომ „მოქცევად ქართლისას“ და ვახუშტის მიერ აღნიშნული მრავალშეტყველი ფაქტი, მხოლოდ ფეოდალური ხანისათვის კი არ იყო დამახსინათებელი, არამედ ძველი, გაცილებით უფრო ადრინდელი ხანის მოვლენა ყოფილიყო, უკვე ტრადიციულად ქცეულ ფეოდალურ ხანაში. ვფიქრობთ, აქ ჩენ ქართლის ისტორიული გეოგრაფიისათვის უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტს ვადასტურებთ.

საქმე ის არის, რომ განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში, მაგალითად XI—XIII სს-ში მუხრანი და ჯავახეთი საქართველოს მეფის დომენს წარმოადგენს²⁴⁴, ანუ ამ დროს ეს ტერიტორია ერთ ფეოდალურ „ქცეუნად“ წარმოგვიდგება, რომლის ერთიანობისათვის, მაშინადამე, ეკონომიკური საფუძველი არსებობს. თუ ეს ასეა, მაშინ გვაქვს უფლება ვივარაუდოთ, რომ ეს ძველი მოვლენაა და რომ, ყოველ შემთხვევაში მიწიან მეფის დროს ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე. მართლაც, „ქცეუნა მუხხარისა“²⁴⁵ რომ მცხეთის „შესავალია“ და, ამდენადვე, „სასეფო ქუეყანა“, ეს წყაროებიდანც ივარაუდება²⁴⁶, ხოლო რომ იგი მცხეთის

²⁴¹ ძეგლები, I, გვ. 115—116.

²⁴² ვახუშტი გ. ლაშენტა, გვ. 62 და 199.

²⁴³ იქვ. გვ. 43.

²⁴⁴ ქართველი, I, გვ. 317, 333, 361, 365, ქართველი, II, გვ. 94, 143; ბ. ბ ე რ დ ე ნ ი შ ვ ა ლ ი, საქართველოს ისტორიის საკონხები, I, გვ. 52, და შემდ.

²⁴⁵ ქართველი, I, გვ. 212.

²⁴⁶ იქვ. გვ. 43, 55, 109, 150, 202; ძეგლები, I, გვ. 135.

ეკონომიკური რაიონი უნდა ყოფილიყო, ეს დღეს სადაც აღმა არის²⁴⁷. ამიტომ მცხეთისა და „მუხრანის ქვეყნის“ საქონლის ანუ, ფაქტურად, სამეფო საქონლის ჯავახეთის იალაღებზე პრდუშენისა და იალაღების სამეფო საკუთრებაზე უნდა მიუთითებდეს და მცხე ქურაბის შიდა ქართლი და ჯავახეთი უკვე IV ს-ში ერთ „ქვეყანად“, კერძოდ, „სამეფო ქურაბად“ წარმოგვიდგება. ეს უნდა იყოს „მთისა“ და „ბარის“ შერწყმის ჩვენთვის უკვე ცნობილი ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების პროცესის გამოვლინება.

ვახუშტი მტკვრის ზემო წელის ქვეყნების (სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი, არტაანი და კოლა) აღწერას ასე ამთავრებს. „და ესენი არიან აღწერანი მტკვრის შემდინარის მდინარეთა და ქვეყანათა, რომელთაცა ძველად ეწოდებოდა ზემო-ქართლად, ამისთვის — მტკვარი ვინაღვან ქართლს მიმდინარე არს, შესავალ-გამოსავალი ამ ორთა ქვეყანათა (ე. ი. ზემო ქართლს და დანარჩენ ქართლს.— დ. მ.) დაუბრკოლებელი აქტსთ“²⁴⁸. ჩვენი თვალსაზრისით ვახუშტის ამ შესანიშნავი ცნობიდან კარგად ჩანს მისი შეხედულება ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, კერძოდ, მისთვის ცხადია, რომ ე. წ. ზემო ქართლი, მტკვრის აუზის ქვეყანა, ამავე მიხეზით უფრო შიდა და ქვემო ქართლთან არის დაკავშირებული ვიდრე ჭოროხის აუზთან. ვახუშტის ასეთი შეხედულება მძიმე არგუმენტია საარაოდ. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო ის არის, რომ ივი აქ რეალურ-ისტორიულად ხსნის, თუ რად ეწოდა ამ ქვეყანას „ზემო ქართლი“: „ამისთვის — მტკვარი ვინაღვან ქართლს მიმდინარე არს, შესავალ-გამოსავალი ამ ორთა ქვეყანათა დაუბრკოლებელი აქტსთ“, ე. ი. რადგან ეს ტერიტორია ქართლთან დაკავშირებულია მტკვრის ხეობაზე გამავალი მაგისტრალით, ქართლის გვლენა აქ უფრო მეტი იყო, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნისა და ამიტომ ეწოდა ამ ტერიტორიის ზემო ქართლი. სავსებით რეალური და ისტორიულად სწორი კონცეფცია!²⁴⁹

კიდევ მეტი. წინააღმდეგ ლეონტი მროველისა, ვახუშტი ბატონიშვილს ზემო ქართლის ცნებაში ტაოც შეამოაქვს. მისი აზრით, მცხეთოსმა, ქართლოსის მემკვიდრემ „ძესა თვსსა ომრახოს მისცა ტაშის-ქარს ზეთით და მტკვრის დაწავლეთი, ვიდრე ზღვამდე, საზღვრამდე ქართლოსისა, რომელ არიან აწ სამცხე, გურია,

²⁴⁷ ნ. ბერძენიშვილი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 418.

²⁴⁸ ვახუშტი იქვე, გვ. 133.

²⁴⁹ ვახუშტი იქვე, გვ. 120.

ლიგანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკეტი, ოლაიისი და ბათ; და დათ ადგილებთა უმეტეს ეწოდა ზემო ქართლი²⁵⁰. ზორთლაც, როგორც ჩანს, ჭოროხის აუზის ქართლთან დამატებით მარტო უფრო შეიძლება ლაპარაკი, ვიღრე მტკვრის სამაცხელის უკავშირთან ან კლარჯეთთან. ამაზე, სხვა არა იყოს რა, დავით კურაპალატის მოღვაწეობაც მიგვითითებს, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ. ის ფაქტი, რომ „ქართველთა სამეფოს“ ქართლთან შერწყმა იმთავითვე არ მოხდა, რა თქმა უნდა, იმით იყო გაპირობებული, რომ მისი პრეტენზიები მძლავრ დაბრკოლებას ხვდებოდა კახეთის სამთავროს, „აუზაზთა სამეფოს“, თბილისის საამიროსა და სომხეთა სამეფოს სრულიად რეალური ინტერესების სახით. სწორედ ქართლში იხლართებული კაფესის შიდანაციონალურ ურთიერთობათა კვანძი.

თავი VII

საქართველოს გამოთიავება

(რუკა 6)

1. ქვემო ქართლი, როგორც ვიცით, თბილისის საამიროს ტერიტორიას წარმოადგენდა (იხ. ზემოთ, IV, 4), მაგრამ IX ს. ბოლოსთვის ვითარება იცვლება. ამ დროისათვის გაძლიერებული სომეხთა სამთავრო იწყებს შეტევას ჩრდილოეთისაკენ და გარკვეულ წარმატებასაც აღწევს. რისი მოწმობაც უნდა იყოს ის, რომ სომეხთა მთავარი აშორ ბაგრატინი მარლიკის „სომეხთა და ქართველთა ერისთავთერისთვად“ იწოდება¹. რომ ეს ცნობა მართალი უნდა იყოს, ამას ამოწმებს იოანე დრასხანაკერტელი, რომ-

²⁵⁰ ამის მატერიალური დადასტურება უნტა იყოს დალგში (ზვაბეთი) აღმოჩენილი არაბულ დარჩემთა განძი 834 წლისა, რომელიც უკვევლა. ქართლთან ეკონომიკური ურთიერთობის მაუწყებელია, იხ. МКА, VI, № 1607; რომ ზავახეთი და სამცხე ქართლის ეკონომიკურ ცენტრებთან უფრო უკენეს დაკავშირებულია, ვიღრე ჭოროხის აუზთან, ამას XIX ს. ბოლო მეოთხედის ვითარება ცხადყოფს (იხ. X. A. В е р м и ш е в . Экономический быт государственных крестьян в Ахалцихском и Ахалкалакском уездах Тифлисской губернии, МЭГКЗК, III, 1886, 136—138, 162, 191, 210).

¹ ასოლი იკი, გვ. 158; ივ. ჭავახიშვილი ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 99.

ლის მიხედვით აშოტ ბაგრატუნის მემკვიდრე, სომეხთა მეფე ბერძენი ტემერიალი (890—914) და მისი შვილი, ჩევონბერ ცნობილი აშოტ II შაპანშაპი (ერკათი), რომელიც უშარქული მეფებდა, ფლობენ სამშვილდეს². სამშვილდე, როგორუც მიმართება ქვემო ქართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო და მისი მფლობელობა, ფაქტიურად, ამ ტერიტორიის უდიდესი ნაწილის გამგებლობას ნიშნავდა.

ფსევდო-შაპუტ ბაგრატუნის მიხედვით სუმბატ ტემერაკალს ერაც-დაშტიც დაუპყრია³. ცრაც-დაშტი, ანუ ქართველთა ველი, ჩევნი აზრით, ქცის და ოლგეთის ქვემო დინების ვაკეს ეწოდებოდა⁴ და რამდენადაც სამშვილდე მდ. ხრამის (ქცის) შუა წელზეა, ამიტომ, ცხადი უნდა იყოს, რომ სომხებს ფაქტიურად დაუპყრიათ ქვემო ქართლის უდიდესი ტერიტორია ბამბაკის ხეობიდან ვიდრე ალგეთამდე. დასავლეთიდან შას ესაზღვრებოდა. ჯვარეთი (გურგენ ერევის სამფლობელო) და თრიალეთი (ბალვაშთა საერის-თავო).

ასეთი ვითარება გრძელდება XI ს. შეასანებამდე⁵. ამ დროის-თვისაც თბილისის ამირას სამფლობელო ალგეთამდე ვრცელდებოდა და მისი სასაზღვრო ციხესიმაგრეები იყო ბირთვისი, ორ-ბეთი და ფარცხისი⁶.

სომხებს დაეპყრათ აგრეთვე ძველი ქართული პროვინციის გარდაბნის ტერიტორია. ზემოთ (იხ. IV, 3) უკვე ალვინშნავდით, რომ გარდაბნის ქართული პროვინცია IX ს. მეორე ნახევრიდან საცილობელი ტერიტორიაა თბილისის ამირასა და კახეთის მთავარს შორის⁷. მალე ამ ბრძოლაში, როგორც ჩანს, გაძლიერებული სომეხი და ალვანელი მეფე-მთავრები ებმებიან. თუ სუმბატ ტემერაკალი არა, ყოველ შემთხვევაში, მისი მემკვიდრე აშოტ შაპანშაპი (914—928 წწ.) ამ ტერიტორიას უკვე თავის სამფლობელოდ თვლიდა. ასე რომ, როდესაც მისი სიმამრი, ალვანეთის დიდი მთავარი საპაკი,⁸ რომელიც მტკვრის მარჯვენა სანაპირო ტე-

² ითანა დრას ხანაკერ ტელი, გვ. 224—227, 250—253.

³ Պատմութիւն Եասիոյ Բագրատունեայ, 1921, 65.

⁴ დ. მუსხელიშვილი. ალგეთისა-გაგის ციხე, გვ. 127—128 და მისივე, კახეთ-ქერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები, გვ. 72.

⁵ ასოლიკი, გვ. 256, 279; ქუა, I, გვ. 307.

⁶ ქუა, I, გვ. 296—297.

⁷ იქვე, გვ. 257, 262.

⁸ ითანა დრას ხანაკერ ტელი. გვ. 130.

რიტორიის, კერძოდ, გარდმანის (შამქორის ხეობა) მცულაშელი იყო⁹, ტავეშის (დღ. თაუზ-ჩაი) და ძოროფორის (დღ. ჭავჭავათა-ჩაი) ხეობებს, ე. ი. დაახლოებით ქართული გარდაპირის ტურისტთა რიას იქერს¹⁰, აშორტ ერკათი ამ აქციას თავისი უცვერტერცულის შელახვად თვლის და ბრძოლით ბრძოლის ზემოხსენებულ მხარეს¹¹. საინტერესოა, რომ ითანე დრასხანაკერტელის ცნობის კონტექსტი იმგვარია, თოთქოს შესაბლებელია ვივარაუდოთ, რომ ფაქტიურად ეს ტერიტორია აშორტს ჰქონდა მიტაცებული ადრევე თავისი სიმამრისაგან, რადგან ისტორიკოსის სიტყვით აშორტმა ორათუ ბრძოლით აიღო ციხესიმიგრეები, არამედ ძოროფორის „მოსახლეობა მთელი თავისი ავლა-დიდებით ხიზნად წაასხა თავის სამფლობელოს სიმაგრეებში. მათი კანები, რომლებიც მყის პირს იყო მიღწეული უდროოდ მოცელი, აღაგზნო ცეცხლი და გადაწვა, რომ არ შებრძოლებოდნენ მას და არ შეეშალათ ხელი მეტისათვის იქ დამკაიდრებაში“¹². კონტექსტიდან აშკარაა, რომ დაშვირობელი, ფაქტიურად აშორტ ერკათია და მოსახლეობა მის საწინააღმდეგოდ მხარს უჭერს საპატ. ამდენადვე, სავარაუდოა, საპატი ადრევე ფლობდა ამ მხარეს.

ამგვარად, სომებმა ბაგრატუნებმა X ს. პირველ მესამედში მიიტაცეს ქართული გარდაპირის ტერიტორია. მანამდე ისინი მას არ ფლობდნენ. ამ მხრივ, ნიშანდობლივია სტ. ორბელიანის ცნობა, რომელიც X ს-ზე უწინარეს ხანას უნდა ასახვდეს და რომლის მიხედვით სომები ბაგრატუნები „ფლობდნენ მხოლოდ შირაქსა და ამრარატს, ვიდრე გელამადე და ოლთისამდე და კარინამდე და ვასპურავანის საზღვრამდე და ძორო-ცეტამდე (დღ. დებედა. — დ. მ.) და გარდმანამდე. სივნიეთიც მოკვეთილი იყო მათგან“¹³. ნიშანდობლივია ისიც, რომ X ს. პირველი ნახევრიდან ქრება ქართულ წყაროებში ხსენება „გარდაპნელთა“ თუ „კაბგარდაპნელთა“. ეს უნდა მოწმობდეს, რომ ამიერიდან ძევლი ქართული პროვინცია გარდაბანი გამოიტიშა ქართულ სამყაროს. ასეთი ვითარება გაგრძელდა XII ს-მდე (იხ. ზემოთ, IV, 3).

2. ის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროცესი,

⁹ სტ. ორბელი იან ი. გვ. 234.

¹⁰ იოანე დრასხანაკერტელი ი. გვ. 242—244; მოსე კალიანე უტელი ი. გვ. 389; სტ. ორბელი იან ი. გვ. 195.

¹¹ იოანე დრასხანაკერტელი ი. გვ. 243—247.

¹² გვ. 243. გვ. 243.

¹³ სტ. ორბელი იან ი. გვ. 300.

რომლის პოლიტიკური გამოხატულებაც იყო აღრეფეოდალურო
სამეფო-სამთავროების წარმოქმნა და რომელიც შემდეგშიც აღმა-
ვალი ხაზით მიმდინარეობდა, ბუნებრივიად გადაიზარდებოდეს ამა-
სამთავროთა შორის პევემონობისათვის ბრძოლაშიც რჩდა უკანონობრივება
ლის უახლოესი შედეგი უნდა ყოფილყო მათი პოლიტიკური გა-
ერთიანება, „საქართველოს“ შექმნა¹⁴.

საქართველოს შეკრება-გაერთიანება რომ პერიფერიებიდან
დაიწყო, ეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური განვითარების სპეციფი-
კურობა იყო, გაპირობებული გარე პოლიტიკური გართულებებით
(არაბობა)¹⁵. ნორმალური ვითარების, შინაგანი ორგანული ეკო-
ლუციის შემთხვევაში ქვეყნის ფეოდალური შეკრების პროცესი,
რა თქმა უნდა, მისი ბუნებრივი, ეკოგრაფიული და ეკონომიკური
ცენტრიდან უნდა დაწყებულყო. ასეთ ბუნებრივ ცენტრს კა
წარმოადგენდა ქართლი და თბილისი. რომ ეს აზრი სრული ქეშ-
ძარიტებაა და აღრეფეოდალური სამეფო-სამთავროების მესვეუ-
რებს ნათლად პქონდათ შეგნებული ქართლის მფლობელობის
მნიშვნელობა პევემონობისათვის ბრძოლაში, ეს ცხადად ჩანს იქ-
დან, რომ ეს ბრძოლა სწორედ ქართლის დაუფლებისათვის დაიწ-
ყო. ჩვენ ვიცით, რომ თბილისში და ქვემო ქართლში არაბები
მტკიცედ იყენენ ფეხმოყიდვებულნი, ამიტომ საქართველოს გაერთი-
ანების სისხლიანი ეპოქეა შიდა ქართლის დაუფლებისათვის ბრძო-
ლით იწყება.

ამ ისტორიული დრამის დებიუტიანტები იყვნენ აშოტ კურა-
პალატი და გრიგოლ კახეთის მთავარი, ხოლო მათი პარტნიორები,
ერთი მხრივ, თეოდოსი „აფხაზთა მეფე“, მეორე მხრივ — თბილე-
ლი ამირა¹⁶. დაახლოებით ასეთია ძალთა განაშილება IX ს. მეო-
რე ნახევრამდე¹⁷, როდესაც 90-იან წლებში ზედიზედ აქტიურად
გამოდიან ჯერ „აფხაზთა მეფე“¹⁸ და შემდეგ სომეხთა მთავარი¹⁹,
რის შედეგადაც, მემატიანის ნიშანდობლივი გამოთქმით, „იბრძო-

¹⁴ „გაერთიანებისთვის ბრძოლას“ სოციალური და ეკონომიკური შინაძლევრე-
ბის შესახებ იხ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ფეოდალური საქართველოს სოლი-
ტიკური გაერთიანება; საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 129—130.

¹⁵ შლ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 208.

¹⁶ ქუა, I, გვ. 253.

¹⁷ იქვე, გვ. 254—255.

¹⁸ იქვე, გვ. 258.

¹⁹ იქვე, გვ. 259.

დეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა”²⁰. X ს. მეორე ნაბეჭდი რიდან ვიღორე 70-იან წლებამდე ინიციატივა აშეარად „აფხაზთხ შეფეხბს“, ეკუთვნის, ვიღორე საბოლოოდ ტაო-კლარჯერუწუალენი ნიანები არ დაასრულებენ „საქართველოს“ წარმოშმერჩეულობის პროცესის პირველ და მნიშვნელოვან ეტაპს.

შიდა ქართლის დაუფლებას ბრძოლის შემდგომი წარმატების სათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა უკვე იმიტომ, რომ იგი, როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიულ ცენტრს წარმოადგენდა და აქედან კახეთ-ჰერეთიც, „აფხაზეთიც“ და ტაო-კლარჯეთიც ერთნაირად ხელმისაწვდომი იყო. ცხადია, ამ მხარეთა დამაკავშირებელი უმოკლესი სავაჭრო სამიმოსვლო მაგისტრალები ქართლზე და, კერძოდ, შიდა ქართლზე გადიოდა ტელადაც და, რა თქმა უნდა, ამერამადაც²¹.

ცხადია, ახლაც ისეც, როგორც ძეელად, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საამისოდ დარიალის ხეობით მომავალ იმიტომ და მიერკავებასის დამაკავშირებელ ტრაქტს, რომლის მფლობელობასაც რომაელებისა და პართელებისათვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ბიზანტიის და სპარს-არაბთათვის. ქართლის ბარში იგი არაგვისა და ქსნის ხეობით ჩამოდიოდა და მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის, რომ კახთა მთავრები, რომლებიც დარიალს ფლობდნენ²², მთელი IX—XI ს. განმავლობაში ვერ ელეოდნენ არაგვისა და ქსნის ხეობებს²³.

მეორე დიდი მაგისტრალი, რომელიც საქართველოს დიაგვნალურად ჰქონდა და კახეთ-ჰერეთს ტაო-კლარჯეთთან აკავშირებდა, ე.წ. „ცხერის გზა“ შიდა და ქვემო ქართლის მიწნაზე, თრიალეთის ქედის თხემს გასდევდა და მრავალი განტორებით უკავშირდებოდა მის გარდიგარდმო მდებარე „ქვეყნებს“. ეს გზა უძველესი და უმნიშვნელოვანესი იყო და, როგორც ჩვენ ვვარაუდობდით, გარ-

²⁰ აქვთ.

²¹ მ. ლორთქი კიუ ანი ქ. დასახ. ნაშრ., გვ. 238—239; ივ. გვ. 9 ბ 7 ა 7 გ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 98; შიდა ქართლის გზების შესახებ ფეოდალურ ხნაში ის. ნ. ბერძენიშვილი გზები რესოუელის ეპოქის საქართველოში, 1966, გვ. 17-65.

²² ა. დრასხანა კერტილი. გვ. 64, 233; მას უდი. სМОМПК, XXXVIII, გვ. 57; ბალაში ისე უზე ზე გვ. 20.

²³ იბ. დ. გუსტელიშვილი. კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიული საკითხები, გვ. 70—72.

კვირლ ისტორიულ პერიოდებში მას ძლიერი პოლიტიკური ფაქტორის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რაც ჩელურად ზემოსეგან ბულ „ქუეყანათა“ შერწყმის, და, საბოლოო ჯამში, საქართველოს გაერთიანების ტენდენციით უნდა გამოხატულიყო²⁴. პროცესუალი

შიდა ქართლი, გარდა ზემოსეგან ბული უაღრესშიც ჰქისგან უკავშირდებოდანი სტრატეგიული მდებარეობისა, ქუნომიკური განვითარებითაც ფრიად მაღალ დონეზე იდგა და, რა თქმა უნდა, ამითაც უნდა ყოფილიყო გაპარობებული სამთავროთა შორის ორსაუკუნიერანი ბრძოლა „ქართლსა ზედა“.

უკვე იყო აღნიშნული, რომ მეხრანის ველის მრწყველი ე. წ. „საგლახო რუ“ ანტიკურ ხანაში უნდა ყოფილიყო გატანილი. ასევე ძევლი უნდა ყოფილიყო ნასტავისის რუ²⁵, რომლის გშენებლობას „მოქცევად ქართლისაას“ ავტორი ალექსანდრე მაკედონელს აწერს, რომელმაც თითქოს „დასცა ვენაჯი და რუ გამოიღო ქსნით, და დასხნა კაცნი მერუენი დასტაგითა რეგასათა; და პრეკან ადგილსა მას ნამტაგისი“²⁶. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მეხრანის რუსთანავე დაკავშირებულია, შეიძლება ვითიქროთ, სოფელ თელოვანის წარმატებულობა აღრეციოდალურ ხანაში (ამ წარმატების მოწმობაა შესანიშნავი ტაბარი „ჯვარი პატიოსანი“). აღრეცეოდალური ხანის დაწინაურებულობას მოწმობს წილკნის რუ, ტყვილიანიდან (თუ ქსოვრისიდან) რომ გამოიტანა ვითომელი ისე წილკნელმა V—VI საუკუნეში²⁷. ასევე ძეველია, საფიქრებელია, რუის-ურბნისის რუ შინდის-საქაშეთიდან²⁸. ატენის სიონის დროინდელი უნდა იყოს ტანადან გამოტანილი საჩუავი სისტემა. X ს. დასაწყისშია გაყვანილი სამშივრისის რუ²⁹ და სხვ.

უკველადერი ზემოთქმული, ვფიქრობთ, ეპეს არ ტოვებს იმის-

²⁴ დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. „მთაქართლის“ ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის. „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966.

²⁵ 6. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები, 23·393—394, 416—418; ი. კ ი კ ვ ი ძ ე. მორწყვა ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 78—86.

²⁶ ძევლები, I, გვ. 81.

²⁷ იბ. ქ' ცა, I, გვ. 212.

²⁸ 6. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 394; ი. კ ი კ ვ ი ძ ე (დასახ. ნაშრ., გვ. 69—86) ქართლის ევლის მომრწყველ დიდ არხებს ძველი იურიის სახელ-შეტყოს შენქიმებული მიმჩევს. აღრეცეოდალური ხანის არხებისთვის, იბ. იქვე, გვ. 110—124.

²⁹ გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი. მასალები სამშევრისის ტაძრის შესწავლისათვის, ქართ. ხელოვ. II, 1948, გვ. 21.

တဒေဝါ၊ ရုပ်မ ဖို့လာ ဂျာကြတဲ့ အလုပ်အဖွဲ့အလုပ် နာဏာဆို ဖျက်စီးချွောလ
ဗျာလုပ်သာလ ဇာတ်ပိုင်းဖျော်ပြုလ မြောက်လ ဒေသအားဖြတ် ဘင်္ဂလာဇာနည်လှုပ်
ငါးရှုံးပိုင်းဖျော်ပြုလ စာတွေလာပါ မြောက်ပြုလ အောင်လှုပ်ပြုလ မြောက်ပြုလ
ပြုလ အောင်လှုပ်ပြုလ အောင်လှုပ်ပြုလ အောင်လှုပ်ပြုလ အောင်လှုပ်ပြုလ

შიდა ქართლში რომ ისეთივე სამთავრო ვერ წარმოიქმნა, როგორიც პერიფერიებზე, ეს იგივე პოლიტიკური ერთარებით უნდა იმსახას, რის გამოც ქვეყნის შერწყმა-გაერთიანების პროცესი სწორედ პერიფერიიდან დაიწყო: ქართლის საამისო კონსოლიდაციას ვერ არაბები აფერხებდნენ, შემდეგ კი ურთიერთობებიშეც დღრეფერდალური სამთავროები. ამის გამო იყო, რომ ქართლში ვერ ჩამოყალიბდა ძლიერი პოლიტიკური ხელისუფლება და შეს შემდეგ, რაც იგი არაბთა უშეუალო ბატონიბის ულლიღან გათავისუფლდა (IX ს. მეორე ნახევრიდან)³⁰, ჩვენი წყაროს მოწმობით, „იცყრობდეს ქართლს აზნაურნი“³¹, რომელნიც სათანადო იყენებენ სამთავროთა შორის გამწვავებულ პოლიტიკურ ერთარებას და უფრო ვეიანაც, X ს. ბოლომდე „თითოეულად განავებდეს საქმეთა ქართლისათა“³².

მიუხედავად ამისა, ამ „ქართველ აზნაურებს“ შორის X ს-ში მაინც ტბელთა გვარი, როგორც ჩანს, ყველაზე ძლიერი, მოწინა- ვეობდა და ტბელთა გვარის უფროსი „ქართლის უფლად“ თვლე- ბოდა. ასე იწოდება მაგალითად. ივანე ტბელი 906 წლის წარწე- რაში ერედვიდან³³. ის, რომ ქართლის მეთაური უძველესი გვა- როვნელი ნომენკლატურის მატარებელია („უფალი“) და არა, მაგა- ლითად, „მთავრისა“, რომელიც ავტოკრატის მნიშვნელობის შეი- ნეა, ცხადია, მოწმობს მის განსხვავებულ სტატუსს თავისი ძვე- შეერდომების მიმართ, რაც სწორედ იმით იყო გაპირობებული, რომ უკანასკნელი „თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისა- თა“.

კონსტანტინე პორტიკოვენეტის ჩვენებით, ზემოთ (VI, 4 გვ. 144) ვვარაულობდით, რომ შესაძლებელია IX ს-ში მოხსენიებული ერისთავთერისთავი იოანე ბაკურ ყანჩაელის ძე ბაგრატიონიანთა მოხელე ქართლის ერისთავი იყოს. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვა-

³¹ J^o, I, 23, 262.

३२ वैद्यता, १३, २७६.

³³ ჩ. მ ე ც ი ს ა შ ვ ი ლ ი. ერედვის წარწერა, ს ე ქ. ს ს რ მ ე ც ნ. ე კ ა ღ უ მ ი ს მ თ ა მ ბ ე, V₁₀ 1944; მ ი ს ი ვ, ე რ დ ვ ი ს 906 წ ლ ი ს ხ უ რ ი თ მ ი ლ უ ლ ი ძ ე გ ლ ი, ქ ა რ თ უ ლ ჲ ხ ე ლ უ წ ე ბ ა, IV, 1955, გ ვ. 112.

ფიქტოთ, რომ IX ს. 70-იან წლებში გიორგი აფხაზთა მეფის მეური
ქართლში წარუმატებელი ლაშქრობის³⁴ შედეგად კართლის მეფი
ტბელებმა და „ქართლის უფლობა“ მოიპოვეს (თუ კუნძულობრივი მეფი
მაგრამ ქართლის უფლის დამოუკიდებლობა ღროებით აღმოჩნდა
და როდესაც 904 წ. „მას უავსა გამოვიდა კოსტანტი აფხაზთა მე-
ფე, დასყრა... უფლისციხე და უოველი ქართლი“³⁵, ქართლის
უფალი ივანე ტბელი მის ვასალად იქცა³⁶, შემდეგ კი მოხელედ,
ერისთავეად, რაც სავარაუდოა ღოდოთის ცხრაკარას წარწერიდან,
რომლის „ივანე ერისთავი ტბელი“, სამართლიანი ვარაუდით, იგი-
ვე „ქართლის უფალი ივანე ტბელი“ უნდა იყოს³⁷. კოსტანტი-ნე
აფხაზთა მეფის მემკვიდრე „გიორგი აფხაზთა მეფემან მისცა ქარ-
თლი ძესა თუსსა უხუცესსა კოსტანტის. და ვითარ დაყო სამი წე-
ლიწადი, იწყო მტერობად მამისა თვისისა და ძებნად მეფობისა.
და ვითარ გამოცხადდა საქმე მისი შედგა იგი უფლისციხეს და შე-
უდგეს თანა ტბელი და სხუანი მრავალი აზნაურნი³⁸. ამ კოსტან-
ტის სხვაგან „ქართლისა გამგებელი“ ეწოდება და როგორც ზემო-
სხენებული კონტექსტიდან ჩანს „ქართლის გამგებლის“ რეზი-
დენცია უფლისციხეა. მართლაც, უკვე კოსტანტი აფხაზთა მეფის
შესახებ ზემომოტანილი ამონაწერიდანაც საგულისმო იყო, ამ-
დროინდელი ქართლის, ანუ შიდა ქართლის პოლიტიკურ ცენტრს
უფლისციხე წარმოადგენს, რაც გვავარაუდებინებს, რომ „ქართ-
ლის უფალიც“ აქ უნდა მჭდარიყო.

3. მამის მოჯანყე უფლისწული, როგორც ალვნიშნეთ, კიდევ
ერთ ფრად საყურადღებო ძეგლში მოიხსენიება, რომლის მიხედ-
ვით ერთვარი წარმოდგენა შეიძლება შევიქმნათ იმდროინდელი
ქართლის მმართველობის სტრუქტურაზე და, ამდენადვე, მის პო-
ლიტიკურ გეოგრაფიაზე.

მხედველობაში გვაქვს იურიდიული ძეგლი, მამულის შეწი-
რულების „დაწერილი კელი“ სოფ. ჰალისუბნიდან (მეცნუდის ხე-
ობა): „სახელითა ღმრთისამთა ესე კელი ჩუენ ბერმან და გიორგი

³⁴ ქ' ცა, I, გვ. 258.

³⁵ იქვე, გვ. 262.

³⁶ ერებების წარწერა ამოკვეთილია - პელში იუდასა ღმრთივ დამყარებულისა
შეიდისა კოსტანტინე მეფესასა... ქართლს შენა ოფლობასა ტბელისა ივანესა“
(იხ. ჩ. მეტი ისა შევილ ა. ერებების 906 წლის ხეროვნობურების ძეგ-
ლი, 112).

³⁷ იხ. 6. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი. სოფელ ღოდო-
თის ცხრაკარას ეკლესის წარწერა, საქ. მუზეუმის მოამბე, XIXA—XXIB, 91—98.

³⁸ ქ' ცა, I, გვ. 266—267.

დაწერეთ. ოდეს (კუსტა)ნტი ქართლისა გამგებელი იყო ჩატარებულის ცერემონის კევის პევის სუფლად ვაჟვენით. მას ეამსა ავაგათ ზოვლი და ზემოთ სახლი ერთი სამსახური ჰქიდავს ტესტინგურ ჭრად ლა დათარალებულია 923—926 წლებით და, როგორც ფარმაციურ ბენ, აქ მოხსენიებული „კუსტანტი ქართლისა გამგებელი“ უნდა იყოს ზემოხსენებული უფლისწული, რომელსაც მამამისმა, „გიორგი აფხაზთა მეფემან მისცა ქართლი“. ჩელი სათქმელია ამ დოკემენტში „ქართლისა გამგებელი“ ზოგადი ტერმინია თუ სპეციალური³⁹. ყოველ შემთხვევაში იგი შინაარსობრივად დაახლოებით შემდეგდროინდელი, იმავე X ს. „ქართლის ერისთავის“ შესატყვისი უნდა იყოს. ასე თუ ისე, „დაწერილი კელის“ საშუალებით ჩვენ ვიგებთ, რომ „ქართლის გამგებლის“ პევშეერთობინი იყვნენ „ცხრაზმის კევის კევისუფალნი“. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ X ს-ში ქართლის „ქუეყანა“, ყოველ შემთხვევაში მისი „მთა“ (ვახუშტისული გაგებით) კვლავ „კევებად“ არის დანაწევრებული, რომელთა სათავეშიაც „კევისუფალნი“ დგნან. ჩვენი აზრით, არ არის აუცილებელი ვივარაუდოთ, რომ ამ დროს „ცხრაზმისკევი“ შეჯუდა-ისროლისხევსაც მთლიანად მოიცავდეს⁴⁰ (თუმცა არც ესაა გამორიცხული); ის კი ცხადია, რომ ცხრაზმის კევისუფალნი, ფაქტორად, ჩვეულებრივი ფეოდალები არიან, რომლებიც მამულებს ფლობენ მეჯუდა-ისროლის ხევშიც⁴¹. შესაძლებელია ეს კევისუფალნი უფრო აღრე „ქართლის უფლის“ ვასალები, ამ დროს უკვე „ქართლის გამგებლის“ თუ „ქართლის ერისთავის“ მოხელეები ყოფილიყვნენ. სწორედ ესენი უნდა ყოფილიყვნენ ის აზნაურნი, რომლებიც „იპყრობდეს ქართლს“. ზოგიერთი მათგანი, სხვებშე უფრო აღწევებული, რამდენიმე „კევის“ და მნიშვნელოვანი ციხესიმაგრების მფლობელი უნდა ყოფილიყო. ასეთად წარმოვადგება X ს. მეორე ნახევრისთვის ძამის

³⁹ გ. ბოჭორიძე. ორი ფიქალურილი, საისტორიო მოახმე, I, 1925, გვ. 96—106; ა. ბაქრაძე, X ს. წარწერა მეცნიერების ხეობიდან, საქ. მუზ. მამბე, XI—B, 1956, გვ. 5—9; ნ. ბერძენიშვილი და ს. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, 1966, გვ. 165—168 (წარწერას შინაარსიმოვაც ნ. ბერძენიშვილის წანაკითხით).

⁴⁰ შდრ. ა. ბაქრაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 8.

⁴¹ ნ. ბერძენიშვილი დასახ. ნაშრ., გვ. 168, მენ. 70; გ. გვ. ას. ა. ლია, ქსნის ხეობის სტორიცელი გეოგრაფიის საკითხები, გვ. 41.

⁴² ის ცხანაური ფაქტი, რომ ერთ ხევში ორი ხევისუფალია, ეგების უძველეს ჭინაფეოფალურ რაოდ ტრადიციებშე მიეთხოებდეს, თუკი ეს შემთხვევითი მოვალენა არ არის.

ციხის მპყრობელი „ადარნასე ძამელი მთავარი“, რომელიც „აფენტა
თა მეფესაც“ არ ეპუება და მის წინააღმდეგ მოქმედებს⁴³. აფენ-
თი უნდა ყოფილიყო X ს-ში კლდეკარის ციხის მფლობელიც.
მართლაც, X ს. ბოლოსთვის, „იყო მას უამას ერისთავი კულტურის
კართა რატი, და ჰერონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუთხა
სა სამყრით — კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლის-კევი და
სკურეთი“⁴⁴. რატი ბაღვაში, ფაქტიურად იგივე მთავარი იყო (ად-
რეფერალური ხანის შესაფერისი მნიშვნელობით)⁴⁵, და, ცხადია,
რომ ასეთ მთავრებს ქვეშევრდომებად ცალკეული ხევის გამგებ-
ლებიც უნდა ჰყოლოდათ.

მართლაც, გვიანი საუკუნეების საბუთებში ჩვენ არა ერთგან
საქართველოში (იმერეთში, ქართლში, კახეთში) დამოწმებული
გვავტს „კევისთაობა“ და „კევისთავი“, რომელსაც გარდევეული სა-
მოსამართლეო ფუნქციები ეკისრება. ვფიქრობთ, რომ ეს ტერმი-
ნიც და მისი „კელიც“ უძველესი (წინაფეროდალური) ხანიდან
მომდინარეობს, როდესაც „კევი“ საზოგადოების ორგანულ ისტო-
რიულ-გეოგრაფიულ ერთეულს, ხოციალურ უჯრედს ზეაღვენდა,
რომლის სათავეშიც „კევისთავი“ უნდა მდგარიყო. და აი, ასეთი
ხევისთავი დამოწმებულია „დასტურლიმალში“, მაინც დამაინც,
ატენის ხეობისათვის: „ატენის მოურავისა სძეს: კევისთაობა მო-
ურავისა არძ... ატენის კევზედ არაოდეს სხვა კევისთავი არ შე-
სულა და მოურავს უსამართლებია“⁴⁶. აქ საინტერესო კიდევ ის
არის, რომ მოურავს, რომელიც მეფის ან რომელიმე სხვა პატრო-
ნის მიერ დაყენებული მოხელეა და, ამდენად, უფრო გვიანდელი
მოელენაა, გაუერთებია კევისათვის ფუნქციებაც. ცხადია, იგუ-
ლისხმება, რომ „კევისთაობა“ „მოურავობაზე“ ძველია, რადგან
„ატენის კევზედ არაოდეს სხვა კევისთავი არ შესულა და მოურავს
უსამართლებია“. უძველესი „ატენის მოურავი“ კი ჩვენ რკონის
„დაწერილის“ ხელრთვიდან ვიცით, რომელიც გიორგი VIII-ს
უნდა ეკუთვნოდეს და ამდენად XV საუკუნისაა⁴⁷. ასე, რომ დო-
კუმენტური მასალითაც მტკიცდება „კევისთავობის“ სამათ სიძვე-
ლი.

⁴³ ქ' ცა. I, გვ. 270—271.

⁴⁴ იქვე. გვ. 276.

⁴⁵ იბ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. შინაკლასობრივი ბრძოლის ერთი მომენ-
ტის ისტორიულ-გეოგრაფიული საფუძველი. გვ. 27—28.

⁴⁶ ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 307.

⁴⁷ ქრონიკები, II, გვ. 145.

შესაძლებელია რამე განსხვავება ფუნქციებისა თუ მარმო-
მავლის მხრივ კიდევაც იყოს „ჩევისუფალსა“ და „ჩევისუფოსას“
შორის, რის შესახებაც ჩვენ ამჟამად მსჯელობა არ დაუშენდა,
მაგრამ ის კი არ გვეცვება, რომ აღრეფეოდალური რამზე „ეცვის-
თავებიც“ არსებობდნენ და მათი საგამგეო ცალკეული „ეცვი“
უნდა ყოფილიყო. არც ის უნდა იყოს საამისოდ მნიშვნელობას
მოკლებული, რომ გვიანდელ საბუთებში აღმოსავლეთ საქართვე-
ლოში დამოწმებული „ეცვისთავები“, მართლაც, იმ ტერიტორიე-
ბის მოხელეები არიან, რომლებიც აღრეფეოდალურ ხანაშივე ცალ-
კე ძარისრიულ-გოგრაფიულ ერთეულებს, „ხევებს“ წარმოადგენ-
დნენ. ასეთებია, მაშასადამე, „ატენის ხევის“ (ძვ. ტანის ხევი)⁴⁸,
თრიალეთის⁴⁹, დილუამ-დილომის⁵⁰, სომხითის (ძვ. ბოლნისის ხე-
ვი)⁵¹ და ქიზიყის (ძვ. კამბეჩანი)⁵² ხევისთავები. რომ ქვემო ქართ-
ლის ტერიტორიაზე „ეცვისუფალთა“ ინსტრიტი არსებობდა ჩვენ-
თვის საინტერესო ხანაში, ამას დალეთ-ხაჩინური წარწერიანი ქვის
ძრობულ პერიოდიც „ამოწმებს“⁵³. ეს უკანასკნელი იმავე რატი-
ბალვაშის თუ არა, სომებს ბაგრატუნიანთა მოხელე უნდა ყოფი-
ლიყო.

ბუნებრივია, თუ რატი კლდეკარის ერისთავისთანა სენიორი
თავს დამოუკიდებლად გრძნობდა და არათუ „ქართლის უფალს“
ან „ქართლის გამგებელ-ერისთავს“, არამედ თვით გაერთიანებული

⁴⁸ XI ს. 60-იანი წლებისათვის მოწმებათტარტარტერის „არსებობა ატენის ხე-
ობაში (იბ. ს. ბ ა ნ ა კ ე ლ ი, ატენის ახალი ჭარწერები, სამ. VII, № 1—2, 1946,
გვ. 84—85). რადგან ივევე მირიან თარხნის ძე ვერეს ჭარწერაში ტარტერისთავად „ისე-
ნიება, მიიტომ ს. ბაზანაველი მე თუ ტერმინს აიგვებს (იქვე, 86). აზ არა
გმორიცხული, რომ „ტანტერი“ „ეცვისთავის“ მნ „ეცვისუფალის“ ეცვისუფალტი
იყოს. ამ ტერმინის დადასტურება ატენში კი, ჩაპევლი, მოწმობა უნდა
იყოს გარკვეულ პერიოდში (იბ. შემოთ. VI, 3) ამ მხარის გარეთიანებისა ტაო-კლარ-
ჭეთშემეთთან, სადაც XI—XIV სს-შეც ცნობილია „ტანტერი“ და „ტანტერო-
ბა“. ამ საკითხს სპეციალური შესწავლა სკორდება.

⁴⁹ ქართული სამართლის ძვლები, II, გვ. 313.

⁵⁰ იქვე, გვ. 304, დილისთვის იბ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. კახეთ-პერეთი
სტორიოლი გოგრაფიის საკითხები, გვ. 75; გვიანდელალურ ხანაშიც რომ არ-
სებობდა „ეცვანა დილმი“, იბ. საქართვ. სიცელენი, II, გვ. 45.

⁵¹ ქართული სამართლის ძვლები, II, გვ. 276.

⁵² იქვე, გვ. 411.

⁵³ საქართველოს სახელმწ. მუნიციპალიტეტერი ერგორაფიული დაგების
კატალოგი შედგნილი და დასაბეჭდად მომზადებული ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვა-
ძის მიერ, იღვა ამულადის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. 1953, გვ. 31—32
გაბ. VIII, სურ. 1. ხევისუფლის ასტრიტის ასებობა სამცემიც დასტური-

„აფხაზეთ“-ტაოს მმართველსაც „არა მორჩილობდა კუთილათ, ბაგრატ მეფესა“⁵⁴.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ შიდა ქართლის ისტორიული მემკვიდრეობის წარმოელი ვითარება IX—X სს-ში, არსებითად ანატოლიური წილი ქართველოს სხვა მხარეებისა, ანალოგიურივე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესს შედეგი იყო: ტერიტორიული დანაწევრება „კევებად“ კვლავინდებურად რეალურია, მაგრამ მეურნეობრივი აღმავლობის საფუძველზე „მთისა“ და „ბაზის“ ურთიერთშემცირების ტენდენციის შედეგად მტკვრის მარცხნა სანაპიროზე წარმოქმნილია ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული „ქუეყანა“ ცენტრით უფლისციხეში. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე კი X ს. ბოლოსთვის მეორე ასეთივე „ქუეყანას“ ვხდეთ, რატე ბალვაშის საერისთავოს სახით, ცენტრით თითქოს ტენში. რატის საერისთავო ამ დროს მთიცავდა არა მხოლოდ თრიალეთს შიდა ქართლის „გაღმა მხრიანად“ (და ე. ი. ადარნას ძამელის ყოფილ სამთავროიანად), არამედ ვერის და მანგლისის ხევებსაც⁵⁵. თითოეულ „ქვეს“ განავებდა „ქევისუფალი“ ოუ „ქევისთავი“, რომელიც, რაღა თქმა უნდა, აღარ იყო წინაფეოდალური „ქევის“ განმეობელი, არამედ ჩვეულებრივი ფეოდალი იყო, რომელიც მამულს, შესაძლებელია, სხვადასხვა ხევშიც ფლობდა (შდრ. ზემოთ, ცხრაშიმისკვევის ქევისუფალთა მფლობელობა მუჭუდა-ისროლის ხევში). ამგვარი ხევისთავ-ხევისუფალნი უნდა ყოფილიყვნენ ამ დროს ცნობილი „აზნაურნი საზეურელნი“, მგდელენი, ყანჩაელნი, კორინთელნი, სხვლოსელნი, ფხუენელნი⁵⁶ და სხვ. ხოლო მათ შორის უველაზე ძლიერი ტბელნი, როგორც ვიცით, „ქართლის უფლობას“ ჩემულობდნენ. ის რომ შიდა ქართლში არ ჩამოყალიბდა ისეთივე

დება: 1974 წ. 28. IV დ. ბერძნენიშვილთან და დ. აპაშიძესთმ ერთად შეიღების დროს ზარბების მონასტრის ძეველი, ღანგრეული ეკლესის შეგნით დავამოუშეთ საფლავის ჭვა წარმერით: „ქრისტე შეიწყლე ხევისუფალი მანილა“ (დ. ბერძნენიშვილის შეკითხვით). სრულიად აუყოლებელია ამ ჭვის მოშემმში გაღმორის.

⁵⁴ ქუა, I, გვ. 276.

⁵⁵ „მტკვარისა სამხრით კერძო უოველივე ქართლის“ ინტერპრეტაციისათვის იხ. ლ. მუსხელეშვილის „მთა ქართლის“ ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის, გვ. 183; „ქუეყანის თრიალეთისანი“ (ქუა, I, გვ. 258) რომ შიდა ქართლის გაღმა მხარსაც მოიცავდა, ეს გოორგი II-ის 1072 წლის სიგელიდანაც ჩანს: თრიალეთის მოეკუთხება სოფ. ნიჩბისი, ციხედიდი, უზარევე, ცხირეთი და სხვ. შიდა ქართლის გაღმა მხარში (იხ. ძეველი ქართული სამართლის ძველები, II, გვ. 10).

⁵⁶ ქუა, I, 267, 269. ამ აზნაურთა რეზიდენციების ლოკაციისათვის იხ. ჩემი, კახეთ-ქერეთის პოლიტიკური გარემოების საკითხები, გვ. 71.

ძლიერი სახელმწიფო ბრივი ერთეული, როგორიც ქავთუდი სამეცნ სამთავროები იყო, ვიმეორებთ, ქართლის ქართულებულებრივი ევოლუციისა და IX—X სს-ში არსებული პოლიტიკური ტემატიკული შედეგია.

მართლაც, X ს. დასაწყისშივე, როგორც აღნიშნული იყო, შიდა ქართლი კოსტანტინე „აფხაზთა მეფისა“ და სუმბატ ტიტერვალის, სომებთა მეფის, მწვავე შეჯახების ასპარეზია, რის შედეგადაც მთელი შიდა ქართლი საბოლოოდ კოსტანტინეს დარჩა⁵⁷. იგი მტკვრის მარჯვენა სანაპიროსაც რომ ფლობდა ეს აშკარად ჩანს სამშევრისის საინტერესო წარწერიდან, რომელიც მისი ზეობით თარიღდება⁵⁸. კოსტანტინეს მემკვიდრეც X ს. მეორე მეოთხედში შიდა ქართლს მთლიანად ფლობს: „გამოილაშერა გიორგი აფხაზთა მეფემან, ჩაერდა კახეთად, მოსწვა და აწყვდა, და წარვიდა თუსალვე ქვეყანად. კუალად დადგა ატენს. და მე მისი ლეონ იყო ერისთავად ქართლისა“⁵⁹. უფრო გვიან ატენს და შიდა ქართლის გამამხარს „აფხაზთა მეფები“, როგორც ჩანს, კარგავენ და იგი ადგილობრივ ფეოდალთა ხელში გადადის (ადარნასე ძამელი მთავარი, რატი კლდეკარის ერისთავი), მაგრამ მტკვრის ჩრდილოეთი შიდა ქართლი კი, ფაქტურად, მათ მფლობელობაში გადადის და უფლისციხეში მათი ერისთავი ზის⁶⁰.

4. ქართლის საბოლოოდ დაუფლებისათვის სრულიად აუკილებული იყო მტკვრის ზემო წელის ზეგანის (კოლა-არტაან-ჯავახეთის) და თრიალეთის მფლობელობა. ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ თრიალეთი და გავახეთიც (კოლა-არტაანითურთ) ეკონომიკურად მჭიდროდ იყო ქართლის ბართან დაკავშირებული და, ამდენადვე, სრული საფუძველი გვიქვს დავასკვნათ, რომ მმ თრია მხარის, „მთისა“ და „ბარის“ გაერთიანება ეკონომიკური აუკალებლობა იყო. მაგრამ გავახეთი (კოლა-არტაანითურთ), როგორც ვიცით, საქმიოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტაო-კლარჯეთთანაც. ამის ზემოთ ნათქვამის გარდა, მოწმობს, ბოლოს და ბოლოს, კონსტანტინე პორტიორგვენეტის ერთხელ უკვე მოტანილი ცნობა იმის შესახებ, რომ არტაანუჯში „მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერი-

⁵⁷ ქა. I, გვ. 262; ოთანე დრას ხანაკერ ტელ. გვ. 109—112; ასოლი ი. გვ. 163.

⁵⁸ ქ. ჩუბინე შვილი. მასალები სამშევრისის ტაძრის შესწავლასთვის, გვ. 21.

⁵⁹ ქა. I, გ. 268.

⁶⁰ იქვე, გვ. 270, 272.

ისა, აფხაზეთისა და არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან⁶¹, ცხალა-
რომ გვირგვინოსანი მწერლის „იბერია“, პირველ რიგში „ქართველ-
თა სამეფოს“ და ე. ი. მტკვრის ზემო წელს გულისხმობურმაშვილის
ის ზემოხსენებული მაგისტრალი, რომელიც კახეთ-პეტრეშვილის
კლარჯეთთან აკავშირებდა სწორედ თრიალეთ-ჯავახეთ-არტაც-
კოლაზე გადიოდა⁶². მის გამო, ცხადი უნდა იყოს, რომ შუალედი
ტერიტორიის მთლიანობაზე უაღრესად დიდი მნიშვნელობისა
უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთი საქართველოს ორი უკიდურესი
ტერიტორიის, კახეთ-ჰერეთისა და ტაო-კლარჯეთის გაერთიანებისთვის.
ამგვარად, მტკვრის ზემო წელს მხოლოდ სამეურნეო თვალსაზრი-
სით კი არ ჰქონდა საამისოდ დიდი მნიშვნელობა, არამედ სტრა-
ტეგიულადაც. მას შემდეგ, რაც ბაგრატ III „აფხაზთა და ქართ-
ველთა მეფე“ განდა და თრიალეთიც დაისაუტრა, 1008 წ. კახეთ-
ჰერეთში გალაშქრების წინ, „იყო მას უამსა დლივს, რამეთუ გა-
ნაგებდა საქმეთა ტაოსა და ქართლისათა“⁶³. დლივი ჭავახეთშია⁶⁴
და თავის დროზე იყო, როგორც ჩანს, ამ კუთხის ერთ-ერთ ფრიად
მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ (მოვიგონოთ თუნდაც
634 წ. არაბული დირქემების განძი!) ცენტრს წარმოადგენდა. ამ-
გვარად, როგორც ვხედავთ, ჭავახეთი იყო ის უაღრესად მნიშვნე-
ლოვანი სტრატეგიული ტერიტორია, საიდანაც ერთდროულად
შეიძლებოდა „განვება საქმეთა ტაოსა და ქართლისათა“. ამ
თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოა, რომ დლივი სწორედ
ზემოხსენებულ მაგისტრალზე მდებარეობდა⁶⁵.

ჭავახეთისა და თრიალეთის ეკონომიკური და სტრატეგიული
მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იყოდნენ იმდროინდელ-
მა სახელშითო მოღვაწეებმა და მის მოწმობა სწორედ შემატია-
ნის ზემომოტანილი ცნობა. მიტომ ეკვი არ არის, რომ ბრძოლა
ამ „ქვეყანათა“ დაუფლებისთვის მშვავე უნდა ყოფილიყო და
(თუ თრიალეთის მიხედვით ვიმსჯელებთ) იყო კიდევ.

941 წლამდე, როდესაც გარდაიცვალა გურგენ დიდი ერის-
თავეთერისთავი, როგორც ჩვენ ვვარაუდობდით, ჭავახეთი სხვას-

⁶¹ დ. მუსხელიშვილი. „მთა ქართლს“ ისტორიულ-გეოგრაფიუ-
ლი შესწავლისათვის, გვ. 182.

⁶² ქ' ლა, გვ. 278.

⁶³ ასოლიკი. გვ. 252; ივ. ჭავახიშვილი. ქართველი ერის
ისტორია, II, გვ. 55; 6. ბერებენიშვილი. გზებისტუსთაველის ეპოქის საქარ-
თველში, 1966, გვ. 109.

⁶⁴ დ. მუსხელიშვილი. იქვე. შდრ. ნ. ბერებენიშვილი, იქვე.

თან ერთად მისი სამფლობელო უნდა ყოფილიყო. შეგრამ გარდაცვალების შემდეგ, „როდესაც გურგენ მაგისტროსის, როის თავთერისთავის. — დ. მ.) მიწა-წყალს ინაწილებლენდნენ უფრო მკაფიო საშუალებით აშორ კურაპალატი, აფხაზეთის მთაჭრულ ჰიენაშემუშავებ მ.) გორგი მაგისტროსი და ბაგრატ მაგისტროსი... ისინი მორიგდნენ და თოთოეულმა წაიღო თავისი სამკვიდროს მეზობელი ქვეყანა“⁶⁵. ჩვენა აზრით, სწორედ ამ დროს უნდა გადასულიყო სამცხე-ჯავახთი „აფხაზთა მეფეების“ ხელში. ამას გვავარაუდებინებს ის, რომ გორგი „აფხაზთა მეფის“ დროს აღწევს „აფხაზეთი“ სიძლიერის უმაღლეს ღონეს და სწორედ ამიერიდან ხდება სრულიად აშკარა ამ სამეფოს უპირატესი როლი სხვა სამეფო-სამთავროებთან შედარებით, საქართველოს გაერთიანების საქმეში. გორგი ლაშქრობს კახეთში და იპყრობს მას, თუმცა მისი ეს წარმატება ქართლელ აზნაურთა ინტრიგების წყალობით დროებითი აღმოჩნდა⁶⁶. მისი მემკვიდრე ლეონისთვის ჩვენ უკვე დოკუმენტური წყარო გვაქვს, რომ იგი ჯავახეთს ფლობდა და მართავდა ერისთავის მეშეეობით. ამას კუმურდოს 964 წლის წარწერა ცხადყოფს⁶⁷. ამიერიდან მაინც ჯავახეთს მართვიან-ვარდანისძეები განაგებენ⁶⁸.

ეს გარემოება ფრიად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს გაერთიანებისათვის⁶⁹. ბუნებრივია, თუ საქართველოს გაერთიანების რეალურ მეთაურებად ამიერიდან „აფხაზთა მეფეები“ გამოდიოდნენ.

5. მაგრამ მდგომარეობა არსებოთად შეიცვალა, როდესაც ლეონის მემკვიდრე დემეტრე „აფხაზთა მეფის“ სიკვდილის (975 წ.) შემდეგ ტახტზე უსინათლო თეოდოსი აღმოჩნდა (975—978 წწ.). ამით ისარებლეს კახელებმა: „მაშინ მოვიდეს კანი და მოადგეს უფლისციხესა და იყო მათ უამთა ერისთავი ქართლისა ივანე მარუშის-ძე...“⁷⁰ ამ უკანასკნელმა მოუწოდა დავით კურაპალატს, „აშვა, რათა ვამოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი: ანუ დაიმშიროს თუთ, ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისა, ასულის

⁶⁵ კონსტანტინე პორფირე გვ. 277.

⁶⁶ ქცა, I, გვ. 268—269.

⁶⁷ ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც სასტორო ჟურნალი, 1959, გვ. 11.

⁶⁸ იქვე, გვ. 12—15.

⁶⁹ 6. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის სკოლები, I, გვ. 52—53.

⁷⁰ ქცა, I, გვ. 272.

წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დაშუალი
აფხაზეთი და ქართლი. ესევე ივანე მარუშის ძე ეძებდა ბაგრატი
მეფედ⁷¹. მართლაც, როგორც ცნობილია, დავით კურაპალატე⁷² ი
მოდის ქართლში. კახელები ეცლებიან უფლისციხეში. მარტინები კახელები
ხელისუფალმა, რომელსაც ქვახვრელთან „მოეგება წინა ქართლის
ერისთავი ივანე მარუშის ძე, აღილო მისგან უფლისციხე და მიუ-
ბოძა ბაგრატს და მამას მისა გურგენს, რამეთუ არა ესუა შეილი
დავით კურაპალატსა, და ბაგრატ, ძე გურგენისი, გაეზარდა შეილად
თვასად⁷³.

როგორც ვხედავთ, 975 წ. ქართლი უფლისციხით ტაოელ ბაგ-
რატოვანთა ხელში გადადის, ფაქტიურად, დავით კურაპალატის
მფლობელობაში. ბუნებრივია, თუ ვივარაუდებთ, რომ მათ ხელში
უნდა გადასულიყო მთელი ტერიტორიაც ტაოსა და ქართლს (მი-
და ქართლს) შორის. მართლაც, დავით კურაპალატი ხომ ამ ტერი-
ტორიის მნიშვნელოვან ნაწილს ფლობდა, საამისო პირდაპირი მი-
თითება გვაქვს, სადაც მოიხსენიება „ქუეყანა“, რომელი ჰქონდა
დავით კურაპალატსა ტაოსთა, ბასიანს, კოლა-არტანთა და ჭავა-
ხეთს⁷⁴. ჭავახეთში, კერძოდ, მის მფლობელობაში უნდა ყოფილი-
ყო ისეთი მნიშვნელოვანი ცენტრი, როგორსაც მაშინ დღივი
წარმოადგენდა⁷⁵. დავით კურაპალატის მფლობელობა, რამდენადაც
ფლორის (მატებერდი) ერთი შარწერიანი ქვეს მიხედვით შეიძლე-
ბა ვიმსჯელოთ⁷⁶, კლარჯეთშეც ვრცელდებოდა. ზარზმის ცნობილი
წარწერიდან კი⁷⁷ ცხადი ხდება, რომ მისი ხელი სამცხესაც სწვდე-
ბოდა. დაბოლოს, რამდენადაც დავით კურაპალატმა კახეთის წი-
ნააღმდეგ „გამოილაშექა ყოვლითა ძალითა მისითა, მოვიდა თრი-
ალეთს შთასვლად კახეთად⁷⁸, აშენაა, რომ „ქუეყანანი თრიალე-
თისანი“ აგრეთვე სცნობენ მის უზენაესობას.

⁷¹ იქვე.

⁷² ქარ., I, გვ. 272.

⁷³ იქვე, გვ. 280.

⁷⁴ იქვე, გვ. 277; ას ო ღ ი კ ი. გვ. 252.

⁷⁵ ნ. მ ა რ ი. გიორგი მერჩელი, გვ. 202.

⁷⁶ Е. Такаишвили. Зарзмский монастырь, с. 19. ყალაბორის
(ფოცხოვის ხეობა) ციხის ეკლესიის 993 წლის შარწერია ამოცევილი „ბაგრატ
ქართველთა მეფობასა, დავით კურაპალატობასა“ (ИКОМАО. II, 1907, 67) იგვეს
მოწმობს, თემია სამცხეშე ბაგრატის ეცლებასაც აღასტერებს. ეს ბაგრატი უნდა
იყოს ბაგრატ რევენი (+994) და არა ბაგრატ III, როგორც ე. თავამშეილს ჰკონია.
შარწერია კარგად მოწმობს, რომ ფოცხმალურად მარც „ქართველთა მეფე“ კურაპა-
ლატზე უშენებენ სუვერენია.

⁷⁷ ქარ., I, გვ. 274.

ამგვარად, X ს. 70-იანი წლებიდან საქართველოს გაერთიანებულის თაოსნობა კვლავ ქართველ ბაგრატიონთა ხელში გამოდის, ხოლო დავით კურაპალატი „საქართველოს“ შექმნის მუსიკურული პირველი ინიციატორთაგანია, რომ დავით კურაპალატი უკავშირდებოდა რედელი მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმძიმესელოვანების პოლიტიკური მოღვაწე, არა პროვინციელი, ტაოელი პოლიტიკოსი, არამედ „საქართველოს“ ერთ-ერთი შენებული მშენებელთაგანი, ეს გარდა მისი კულტურული მოღვაწეობისა იმიერტაოში (ოშკის, ხახულის, პარხლის და სხვა ქართულ ეკლესითა მშენებლობა, ქართული ფრლის მოჭრა) მხოლოდ მან მიმართა 975 წ. ქართლში ბაგრატის ჩამოყვანის შემდეგ ადგილობრივ ფეოდალებს-დავით კურაპალატმა ტაოში დაბრუნების წინ საგანგებოდ „შემოქრიბნა აზნაურნი და უბრძანა: ასე (ბაგრატ.—ღ. მ.) არს მუდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაშრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე, ამის დაემორჩილენით ყოველნი⁷⁸. მ სიტყვებში აშეარა ჩანს „საქართველოს“ მშენებლობის ნათლად გაცნობიერებული პროგრამა იმდროინდელი ქართველი პოლიტიკოსებისა, რომელთა შორის დავით კურაპალატი უცილობლად პირველთაგანია⁷⁹.

ეს მით უფრო გასავებია, რომ ამაზე უწინ ქართველი მოაზროვნე საზოგადოებისათვის სავსებით მკაფიოდ იყო უკვე გამოკეთილი „ქართლის“ ისტორიული მისია და ამ ცნების კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა. საანტერესო ისიც, რომ ამ მოაზროვნე საზოგადოების მრწამსი, მაინცდამაინც, სამხრეთ-დასაულეთ საქართველოში გამოიიქვა გიორგი მერჩულის პირით 951 წ.: „არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღსრულებისი“. ბუნებრივია ისიც, რომ სწორედ ამ დროს, X ს. მეორე ნახევარში ჩანდება „ქართლის“ ზემოხსენებული შემკრებლობითი ხასიათის შესატყვისი კულტურულ-ისტორიული ცნება — „საქართველო“⁸⁰.

⁷⁸ ქ ც ა, I, გვ. 274.

⁷⁹ შდრ. ნ. ბ ე რ ბ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში. ივ. ჯავახიშვილისა სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 168, შენ. 1-80 დაგლები, I, გვ. 271.

⁸⁰ ლ. მ ე ნ ა ბ დ ე. რომელი საუკუნიდან იხმარება ტერმინი „საქართველო“. განვთი „ახალგაზრდა სტალინელი“, 1958, გ. XII.

ამგვარად, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ X საუკუნე განსაკუთრებული ბით მნიშვნელოვანი ეტაპია ქვეყნის ისტორიაში სწორები უსაფრთხო თვეელოს“ შექმნა-ჩამოყალიბების თვალსაზრისით. მაგრამ უკავშირებული დროისათვის საქართველოს უკოდალურ-ეროვნული ჩამოყალიბების პროცესი შორს არის წასული. მი დროს მიმდინარეობს განსაკუთრებით ინტენსიურად ქართული საეკლესიო ცენტრების მშენებლობა დასავლეთ საქართველოში, ანუ „აფხაზთა სამეცნიერო“⁸², რაც საბოლოო ჯამში, მაგვ საუკუნეში დამთავრდა დასავლურ-ქართული ეკლესის ჩამოშორებით ბიზანტიისაგან და მისი ნაციონალიზაციით⁸³. ამავე ხანებში სტულდება ხანგრძლივი პროცესი ჰერთა მოქცევისა ქართულ სარწმუნოებაზე, ანუ ჰერთა „გაქართველება“⁸⁴. გაქართველების ეს პროცესი მეტად ინტენსიურად მიმდინარეობდა ტაოს პროვინციაში და, ალბათ, კლარჯეთში, საზაც ამ დროისათვის ჭერ კიდევ არსებობდა სომხეთი მოსახლეობა⁸⁵. იგივე პროცესში იყო ჩამტული ჩრდილო-კავკასიის მთიანეთიც...

აი, სწორედ ასეთა პოლიტიკური და კულტურული დუღილის პერიოდში „ამანვე ივანე მარუშას-ძემან ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა. და მის თანა ყოველთა დიდებულთა, ურისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოიხატეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისაგან, ხოლო მან დიდითა იძულებითა ძნელად ალასრულა თხოვა მათი; ვითარება ვთქვუ პირველად, უშეილო იყო დავით კურაპალატი, და ბაგრატ გაეზარდა შეილად, მჟყრობელად ორისავე კურძოსა ტაოსა. გარნა რაყამს უმკვდრო ქმნილ იყო ქუეყანა ქართლისა და აფხაზეთისა, მოსკა მათ სიმტკიცითა და მძევლითა.

⁸² ქუონდილის ეკლესია ააშენა გოორგიმ X ს. მეორე შეოთხედში (იხ. ქ' ცა, I, გვ. 265); მოქედის ეკლესია მისმა მემკვიდრეობის ლეონმა (იქვე, გვ. 270); იხ. ნ. ბ ე რ-დ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, ენიმქის მოაშპე, X, 1941, გვ. 293—294.

⁸³ ნ. ბ ე რ დ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. დიასახ. ნაშრ., გვ. 294; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი-ე კ. უკოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 188—193.

⁸⁴ ქ' ცა, I, გვ. 266; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. ციხე-ქალაქი უქარშა, გვ. 18; თ. პაპუაშვილის აზრით ეს უკვე მომხდარი ფაქტია 943 წლისთვის, იხ. მისი, პერეთის ისტორიის საქოთხები, გვ. 205.

⁸⁵ ი. ა ბ უ ლ ა ძ ე. ქართული და სომხეთი ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, გამოკვეთვა და ტექსტები, 1944, შესავალი. ტაოს შემადგრენელ ხეეთა ქართული და სომხეთი ნომენკლატურის შემოალიშელი (VI, 2) განსხვავდება, შესაძლებელია მიუთოებდეს ქართული და სომხეთი კრეტერული ცენტრების განსხვავებულ ლოკალიზაციაზე.

შთაიყვანეს იგი აფხაზეთს, დალოცეს შეფედ და დაუტარიჩლნეს ყოველნი ბრძანებასა მისა»⁸⁶. ეს მოხდა 978 წელს.
 6. რამდენიმე წელიწადი ბაგრატმა თავისი პრიული მიწერები და მის მოანდომა: 980 წ. იგი „გარდამოვიდა ქართლს, რათა განაგნეს საქმენი დაშლილი ქართლისანი... მოვიდა უფლის ციხეს, ალილ ციხე დედისაგან თვისია, დაყვნა დღენი და განაგნა მცირედ საქმენი ქართლისანი“⁸⁷. მაგრამ ქართლში საბოლოოდ დამკვიდრებისათვის და, ამდენადვე, საქართველოს გაერთიანებისათვის სრულიად აუცილებელი იყო „ქუეყანათა თრიალეთისათა“ დამორჩილება, სახისოდ გადაქცევა, მით უმეტეს, რომ, როგორც ვიცით, „იყო მას უამსა ერისთავად კლდე-კართა რატი, და პქონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარსა სამხრით — კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლისგევი და სკურეთი; არა მორჩილობდა კეთილად ბაგრატ მეფესა“⁸⁸.

თრიალეთს ისევე, როგორც ჭავახეთს სრულიად განსაკუთრებული ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა პქონდა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში: ჭავახეთისა და თრიალეთის ერთი მფლობელობის ქვეშ მოქცევა ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით სრულიად აუცილებელი იყო ერთიანი საქართველოს შექმნისათვის⁸⁹. სამისოდ ყველაზე ხელ-საყრელი კითარება კი სწორედ ახლა დამდგარიყო: ბაგრატ III იყო „მკუდრი ტაოსი, ქართლისა (—ქართველთა სამეფოსი“.—ღ. მ.) და აფხაზეთისა“. გარდა ამისა, როგორც „აფხაზთა მეფე“, იგი, უკეთესი, ფლობდა ჭავახეთში საკუთარ მამულებს. ბუნებრივია, რომ თრიალეთის საბოლოო დამორჩილებაც მსვევ ეთვეა.

მართლაც, 989 წ. ბაგრატი „მოვიდა ძალითა თვისითა უოლითა და მოადგა კლდე-კართა. იხილა რა ეს რატი, გამოვიდა გარე და გამოიტანა შეილი მისი ლიპარიტ თანა, შევეღრა ბაგრატ აფხაზთა მეფესა, და მისცა ციხე თვისი ბაგრატს, და თვთ დაჯდა მაშულსა თვისსა არგუეთს“⁹⁰.

ამიერიდან საქართველოს გაერთიანებას სრულიად რეალური,

⁸⁶ ქ' ცა, I, 275; ა ს ო ლ ი კ ი. ვ 3. 251—252.

⁸⁷ ქ' ცა, I, ვ 3. 276.

⁸⁸ იქვე.

⁸⁹ 6. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს სტრიტის საკონხები. I, ვ 3. 32—33; 53.

⁹⁰ ქ' ცა, I, ვ 3. 277—278; ი 3. ქ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის მტორია, II, 1948, ვ 3. 125—126.

წკვიდრი საფუძველი ჩაეყარა და იგი ახლო მომავლის სტერ/ ჩნდა, მაგრამ, როგორც ეს, ჩვეულებრივი ხოლმე, ფერდალური სამყაროსათვის მოულოდნელმა გარეპოლიტიკურმა „შრეტერნიზაცია“ საქმე გაართესა.

ცნობილია, რომ ბიზანტიას წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობის შედეგად, დავით კურაპალატი იძულებული იყო თავისი მკვიდრი სამფლობელო ანდერძის თანახმად ბასილი კეისრისათვის დაეთმო, მართლაც, 1001 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ, როგორც გალმოგცემს სუმბატ დავითის ძე, „აონჯრდა იმიერ-ტაო; და გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე, და მისცნეს მას ციხენი აზნაურთა ამა დავითისთა, და დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურაპალატისა“⁹¹.

რა ტერიტორია უნდა დაეჭირა ბასილი კეისარს?

ჩეენ ვიცით, რომ დავით კურაპალატი იმიერტაოს მფლობელი იყო⁹². მისი სამკვიდროს საზღვარი ბიზანტიასთან აქ არაქსის ზემო წელზე უნდა გასულიყო, როგორც ეს დაწესდა 952 წელს (ი. ზემოთ, VI, 6). მაგრამ ამავე დროს მამულები „ჰერინდა დავით კურაპალატსა ტაოსთა, ბასილს, კოლა-არტანთა და ჭავახეთს“⁹³. ე. ი. თითქოს უეპეველია, რომ მთელი ამ მემკვიდრეობის პატრონი ბასილი კეისარი ხდებოდა, კერძოდ იგი უნდა გმხედარიყო ამიერიდან ჭავახეთის და, კერძოდ, მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრის, დლივის მფლობელადაც, რამდენადაც ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ ვვართაუდობდით, დავით კურაპალატის მამული უნდა ყოფილიყო. მაგრამ 1008 წელს დლივის მფლობელად ბაგრატ III გვევლინება, რადგან მემატიანის ცნობით, „ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე და კურაპალატი იყო მას უამსა დლივს“⁹⁴. როგორ უნდა ავხსნათ ეს წინააღმდევობა? ან იმით, რომ დლივი იყო არა დავით კურაპალატის, არამედ ბაგრატ II ქართველთა მეფის, (რეგენის) მამული, რაც ნაკლებ სავარაუდოა, ანდა ერთი საინტერესო გარემოებით, რის შესახებაც ცნობა არისტაკეს ლასტივერტელმა შემოგვანახა.

ეს ისტორიული მოვლითხობს, რომ ბაგრატ III-ის სიკვდილის შემდეგ ბასილი კეისარმა მისწერა გიორგი „აფხაზთა მეფეს“:

⁹¹ ქ' და, I, გვ. 382.

⁹² შრე. ასო ლ ი კ ი, გვ. 192—193. მხედველობაში მაქვს მისი მკვიდრი მამული.

⁹³ ქ' და, I, გვ. 288.

⁹⁴ იქვე, გვ. 278.

„ს (მამულები), რაც (დავით) კურაპალატის მემკვიდრეობით
მამაშენს უწყისოლობე, მოვგანებე და მხოლოდ შენი მამულის
მფლობელი იყავი“⁹⁵, რაზედაც ახალგაზრდა გიორგის უძრავი შემ
უთვლია. ამის გამო ატენილა ომი ბიზანტია-საქართველოს უწყისოლობელი რეგისტრის

როგორც ვხედავთ, არისტაკესის ცნობით, ბასილს ბაგრატ III-ისათვის კურაპალატობასთან ერთად კურაპალატის სამფლობელოთა ნაწილიც გადაუცია. საფიქრებელია, რომ ეს უნდა ყოფილიყო შა-მულები, რომელთაც დავით კურაპალატი ფლობდა, ბასიან-იმიერ-ტაოს გარდა⁹⁶, „კოლა-არტანთა და ჯავახეთს“. იმიტომაცაა, რომ ქართველი მემატიანე, როდესაც დავით კურაპალატის მემკვიდრეობის ბერძენთა მიერ დასაკუთრების შესახებ ლაპარაკობს, აღნიშ-ნავს, მხოლოდ რომ „აოგრდა იმიერ-ტაო... და დაიპყრა ბასილ შე-უემან მამული დავით კურაპალატისა“. ამგვარად, სავარაუდოა, რომ ბიზანტიამ, ამჯერად დისაკუთრა მხოლოდ იმიერტაო, დიდი ხნის სადაც ბასიანითურთ. ამას ვე გვავარაუდებინებს ასოლიკისა⁹⁷ და არისტაკესის⁹⁸ ცნობებიც ბასილი კეისრის მხოლოდ ოლთისში მისელის შესახებ.

ზემოთქმულის შემდეგ გვაქვს უფლება ვივარაუდოთ, რომ 1001 წ. შემდეგ ბაგრატ III ჯავახეთს და კოლა-არტანს მთლიანად ფლობს⁹⁹. 1008 წლის შემდევ, როდესაც გარდაიცვალა მამამისი, გურგენ მეფეთა მეფე, ბაგრატი, ცხადია, მისი მამულის მფლო-ბელიც გახდა და ე. ი. მაინცდამაინც, ამიერტაოსი, რომლის ცენტ-რად ამიერიდან ფანასკერტის ციხესიმაგრე ჩანს¹⁰⁰. ცენტრის გადა-ნაცვლება კალმახიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქვეყნის შიგნით,

⁹⁵ ა რ ი ს ტ ა კ ე ს ი. გვ. 25.

⁹⁶ იქვე.

⁹⁷ ა ს ო ლ ი კ ი. გვ. 278—279.

⁹⁸ ა რ ი ს ტ ა კ ე ს ი. გვ. 24.

⁹⁹ როგორც „აუხანთა შეფე“ ბაგრატ III ჯავახეთის ნაწილს, ალბათ, ადრე-ვე ფლობდა. ეს ჩანს, თუნდაც იქიდინ, რომ მიუხედავად ბასილის შეირ ჯავახე-თის ციხეთა დაკავებისა და მიუხედავად იმისა, რომ ეს „მძლავრებისაგან ბერძენ-თასა შაბმულნი ციხენი... კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტანისა“ მხო-ლოდ გორგი II დაბრუნა (ქ' ပა, I, 317), მათც გორგი I და ბაგატ IV ფლობებს ჯავახეთში, რაც ჩანს იქაუჩი ეპიგრაფიდან (იხ. ვ. ც ი ს-კ ა რ ი შ ე ი ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 21, 30, 32, 40). თუმცა აქ კიდევ ერთი რამ არას გასათვალიშემყრელი, კუროდ ის, რომ ზოგიერთი ამ მამულთაგანი, შესაძ-ლებელია ს იყოს, რომელიც ბასილმ „ამა კუეყანათაგან ეკლესიანი, სოფელი და აღგილნი დაულოცნა გორგი მეფესა“ (ქ' ပა, I, გვ. 288).

¹⁰⁰ იხ. ქ' ပა, I, გვ. 382—383.

შესაძლებელია სწორედ იმით ყოფილიყო გამოწვეული, რომ იმი-
ურტაო ბიზანტიის ხელში გადავიდა.

ამგვარად, 1008 წლისთვის ბაგრატ III, „აფხაზები და მცხეთები“
ველთა მეფე და კურაპალატი“ საკმაოდ დიდი ტერიტორიის მფლო-
ბელი გახდა: ჯიქეთიდან ჭავახეთამდე და ტაოდან შიდა ქართლამ-
დე. ასეთი წარმატებისათვის მანამდე არაეს მიუღწევია.

ბაგრატის სახელმწიფოს დედაქალაქი ქუთაისი იყო.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიგონოთ ერთი.
მოსაზრება, რომლის თანახმად «нагорная территория с перечис-
ленными городами (ე. ი. არტანით და ყარსით.—დ. მ.), და еще с
неразрывно связанными с ними Артвином, Артануджем... Ахал-
цихом, Ахалкалаком и Александрополем (დღ. ლენინავანი.—დ. მ.)...
на севере преломляется в бассейн Куры, на юге—в бассейн север-
ного нерва реки Аракса-Арпачая или Ахуряна. Это не окрай-
на, не периферия, а центр, и в нем узел внутренних кавказ-
ских межнациональных отношений. Это центральное ядро
откуда есть пошла культурная жизнь Кавказа»¹⁰⁰.

ასეთ შეხედულებას ჩხარს უჭერს და იგი ნაწილობრივ, შესა-
ძლებელია, კიდევაც ემყარება კონსტანტინე პორფიროგენეტის ზე-
მოთ უკვე ორგერ დამოწმებულ ცნობას არტანუჯის შესახებ, რო-
მელსაც კიდევ ერთხელ დაიმოწმებთ: „აღრანუჯის ციხე ძალან
შტეიცეა და აქვს დიდი „რაბატიც“ და დაბა—ქალაქიც: და იქ მო-
დის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა, და არმე-
ნისა და სირიის ყველა ქვეყნიდან; და ამ საქონლებიდან მას უძ-
რავი ბაჟი შემოსდის. არტანუჯის ციხის მიწა-წყალი, ესე იგი არ-
ზენი, დიდია და ნაყოფიერი და, წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა
და მესხთა ქვეყნის გასაღებს“¹⁰¹.

ამ ცნობის ეკონომიკურ ასპექტს ზემოთ უკვე შევეხეთ. ამეა-
მდე ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოების, რომ არტანუჯის მიწა-
წყალი, ე. ი. ფაქტიურად, კლარჯეთი ქართლის, დასავლეთ საქარ-
თველის და, საკუთრივ, მესხეთის (ზემო ქართლი) ქვეყანათა გასა-
ლებს წარმოადგენს და, ე. ი. წყაროს ეს ცნობა მხარს უჭერს თით-

¹⁰⁰ Н. Марр, Батум, Ардаган, Карс... с. 8.

¹⁰¹ კონსტანტინე პორფიროგენეტი. გვ. 278—280. „აღრა-
ნუჯის ციხის მიწა-წყალი, ესე იგი არზენი“, ფაქტიურად, უნდა იყოს კლარჯეთი და
შესაძლებელია, ამ უკანასკნელის დაზარდებისაგან უარმოსდგა — კლარჯეთი — > ლარჯეთი — > არჯეთ.

ქოს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, რომ ეს მთიანეთი (ცორიხსა აუზი, მტკვრის სათავე), პერიფერია კი არა, ცენტრული და წერილი ადგენს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ კავკასიის შეიარაღებულ ნალი ურთიერთობის კვანძს.

საქმე ის არის, რომ ჭოროხის აუზს თავისი ბუნებრივი პირობებისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო (თავდაცვისუნარისნობა, მნიშვნელოვან გზათასაყიდვები მდებარეობა, სამეურნეო პოტენციალი) ფრიად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და კავკასიისათვის^{101ა}. ამ ქვეყნის კონტროლისათვის მავრამ არა იმდენად საკუთრივ კავკასიის შინაგანი ურთიერთობის თვალსაზრისით, რამდენადც ვარე და, კერძოდ, ბიზანტიური სამყაროსათვის. ამიტომაც ჭოროხის აუზი ბიზანტიისათვის „წარმოადგენს იძერის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს“. კონსტანტინე პორფიროგენეტის, ეჭვი არ არის, სწორედ ამ ასპექტით აინტერესებს ეს კუთხე¹⁰².

ჭოროხის აუზი, ფაქტურად, პერიფერიას წარმოადგენდა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ კავკასიისთვის საერთოდ და ამიტომ იგი გაერთიანებული საქართველოს (მით უმეტეს— ამიტერკავკასიის და საერთოდ კავკასიის) ცენტრად ვერ გამოდგებოდა. ამის მოწმობაა სწორედ ის, რომ ბაგრატ III-ის სამეფოს ცენტრი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში კი არ გადაიწია, საიდანაც თვით ბაგრატი იყო, არამედ ქუთაისში დარჩა, რადგან ეს ქალაქი სახელმწიფოს შუაგულში მოქეცა და, ამდენადვე, სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისითაც ფრიად მნიშვნელოვანი იყო. ამისავე მოწმობაა, რომ უფრო გვიან, როდესაც არა მარტო საქართველო, არამედ მთელი კავკასია გაერთიანდა ქართველ ბაგრატიანთა ხელქვეით, ამ დიდი ფეოდალური მონარქიის ცენტრი კვლავ ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულ დედაქალაქში გადმოდის: ჩევნ ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ სწორედ ქართლი და არა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო წარმოადგენდა კავკასიის შინანაციონალურ ურთიერთობათა კვანძს. თუკი ქუთაისის კათედრალის შენებლობა შეიძლება მისი დედაქალაქობის სიმბოლურ გამოხატულებად ვცნოთ, იმავე ბაგრატ III-ის მიერ სევატიცხოვლის ტაძრის აგეზა აშერად უნდა მიუთითებდეს მისი

101ა. ნ. მარი, დასახ. ნაშრ., გვ. 24—25.

102 შდრ. ნ. ბერ ძენიშვილი. კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლება, გვ. 168, შენ. I.

სახელმწიფო მუნიციპალიტეტის კურსის მომავალ მომართული
ბაზე.

ამიტომ ბუნებრივია, რომ ბაგრატ III-ის პოლიტიკური ციუჭევა
წესრიგში, პირველ რიგში, საქართველოს დანარჩენტ წარმომაზრულ
შემოერთების საყითხი დადგა. მართლაც, იმავე 1008 წ. იგი ლაშ-
ქრობს კახეთ-ჰერეთში და, ამგრად, მხოლოდ ჰერეთს იერთებას.¹⁰³ რომ
მემატიანეს ცნობა სრული ჰერეთის და ამას მოწმობს ნი-
კორწმიდის ტაძრის წარწერა, რომელშიც მოიხსენიება „ბაგრატ
აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატა“¹⁰⁴. ტიტ-
ლი „რანთა მეფე“ ბაგრატს მხოლოდ ჰერეთის აღების შემდეგ
შეიძლება შეეძინა¹⁰⁵. 1010 წ. კი ბაგრატ III-მ დაასრულა საქარ-
თველოს აღმოსავლეთი ჰერიფერიის შემოერთება და „დაიპყრა
სრულიად ჰერეთი და კახეთი“¹⁰⁶.

საინტერესოა სადამდე ვრცელდებოდა ამიერიდან საქართვე-
ლოს აღმოსავლეთი საზღვარი? საამისოდ ჩვენ უნდა გვიყოთ თუ
როგორ იმიჯნებოდა აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ჰერეთი.

ჩვენ ვიცით, რომ VIII ს-ში ჰერეთის აღმოსავლეთი საზღვარი
იყო საკუთრივ შაქის (რომელიც ჰერეთის სამთავროში შედიოდა)
და კაბალას გამყოფი ხაზი, რომელიც ჩვენ დაახლოებით ტურიან-
ჩიიზე ვივარუდეთ. შემდეგშიც, როგორც ჩანს, ამ საზღვარს ცვლი-
ლება არ ვანუცდია. ყოველ შემთხვევაში X ს. შუა ხანებში, როდე-
საც მასუდი თავის თხზულებას წერდა და ამავე საუკუნის 80-იან
წლებშიც, როდესაც „პოლუდ ალა-ალეში“ იწერებოდა, შაქი (ჰერე-
თი) და კაბალა სხვადასხვა ქვეყნები იყო¹⁰⁷, თუმცა კი ჰერებისა
და შარვანელების ბრძოლა ამ ქვეყნისათვის თითქოს დასტურდება
„შარვანისა და დარუბანის ისტორიის“ მიხედვით¹⁰⁸.

ამდენად, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ
ბაგრატ III-ის სახელმწიფოს საზღვარი აღმოსავლეთით ტურიან-
ჩიიზე გადიოდა და აქედან მის კაბალის მცირე სამეფო ემეზობ-
ლებოდა.

¹⁰³ ქ' ცა, I, 279.

¹⁰⁴ იბ. ჩემი, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკონხები, გვ. 69.

¹⁰⁵ იბ. იქვე, გვ. 69. შენ. 68.

¹⁰⁶ ქ' ცა, I, 23. 279.

¹⁰⁷ გასული ი. СМОПК, XXXVIII, 57—58; ისთახო, პოდულ-ალ-
ალები, პირველი ყაზვნი, გვ. 15; შენ. В. Ф. Минорский. История Шир-
вана и Дербенда, с. 211.

¹⁰⁸ ვ. მიხეილ ს. დამათ. ნაშრ., გვ. 52.

რაც შეეხება ჰერეთის (შაქის) სამხრეთ საზღვრას, იგუ VII
ს-ში მტკვარსა (დასავლეთით) და კონგაშინის ქედზე (აღმოჩავლე-
თით) უნდა გასულიყო (იხ. ზემოთ, IV, 2); კონგაშინს შემცირებულ
ხერთი ტერიტორია არაბულ წყაროებში იწოდებოდა და მართლა რაც რაც,
როგორც ვარაუდობენ იგვე ქართული მოვაკანი უნდა იყოს.
ისთახრისა და მასუდის¹⁰⁹ ცნობათა მიხედვით მუკანია, ანუ მოვა-
კანი ეწოდება, მაინც დამაინც, მტკვრის ქვემო წელის მარცხენა სა-
ნაპიროს დაბლობს მდინარეების გარდიმან-ჩაის, გეოქ-ჩაის და ტუ-
რიან-ჩაის ქვემო დინებაზე¹¹⁰, რაც კარგად უდგება ქართული წყა-
როების ცნობებსაც¹¹¹. მასუდის დროს (943 წ.) მოვაკანი შეარაგა-
ნის მიერ ახალი დაპყრობილია¹¹², მაგრამ უფრო აღრე, ისთახრის
დროს (933 წ.) და უფრო გვიან ჰოდულ-ალ-ალემის შედგენისას
(983 წ.) შექი (ჰერეთი) და კაბალა თითქოს მტკვრამდე კრცხულე-
ბიან¹¹³ და ე. ი. მოვაკანის ნაწილი მარწ მათ მიეკუთვნება.

X ს. სომხეთის კათალიკოსის, ანანია მოკელის მოწმობით იშხანი ალვანთა მეფე, რომელიც ჩვენი წყაროს იშხანი ჰერთა მეფეს და იბზ-ჰაუკალის იშხანი შაქის მმართველს¹¹⁴ უდრის და, რომელიც ამ საუკუნის 40—50-იან წლებში მეფობდა¹¹⁵, მტკვრის მარცხენა სანაპიროს გარდა, ფლობდა მარჯვენა ნაპირის ქვეყნებსაც, კერძოდ ხაჩენს (დღ. მთიანი ყარაბაღი) და ვოროზს (დღ. ეგრუსი)¹¹⁶. მავრამ უფრო გვიან, X ს. 70—80-იან წლებში ამ ქვეყნებს და საერთოდ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქურთი შედადია-

¹⁰⁹ σὲ τοῦ ἀρ. ΣΜΟΜΠΚ, XXIX, 31, 756. d; θεὸς τοῦ ἀρ. ΣΜΟΜΠΚ, XXXVIII, 33, 57—58.

¹¹⁰ ab. 3. 3 06 0 4 6 3 0. ፳፻፲፭. ፬፻፭, ፩ጀ. 191, ፩ጀ, ፪.

¹¹¹ ქ' კა., I, გვ. 5; შდრ. 1310 წ. „კოლექტის“ კუოვლისა ვაცისა, ეს იყო ას ძე-
ლისა მოვაკისა (იხ. კ. კ ე კ ლ ი ჭ. ე. ეტილები ძელი ქართლი ლიტერა-
ტურის სტურიისან, II, 1945, გვ. 314).

¹¹² 3. 306 30 8 3 9. ლაվաշ. 60 թ., 33. 191.

¹¹³ ስ. ተ. ከ. ዓ. ማመጥኑ, XXIX, c. 21; ስ. ተ. ከ. ዓ. ጥጋግሞ-ሚ-ይ-
መ, ፖስታውልድ ምአከኝነት, p. 15.

¹¹⁴ ენდის მოკელს ეპისტოლე, იხ. კურა. „Царющие“, 1897 թ. մարտ, 129—144; ქ' ც. I. გვ. 266; იბნ-ჯ-უფალი. СМОПК, XXXVIII, с. 105; იხ. V. Minorsky, Caucasica IV, BSOAS, XV, 3, 1953, 55. 511, 519, 521—2.

115 ଟ. ୩୦୩୨୦୮୩୦୯ ର. ଗାସାକ୍, ନାର୍କୁ., ପୃ. 205—208.

ნები იჭირენ და, კერძოდ, ალ-ფატლ I, ქართული წყაროების ფაზ-ლონი (985—1031 წწ.). რომელიც ზის განძაში და ფლობს, შემ-ქორს, ბარდავს, ფაიტაკარან-ბაილაქანს, ხაჩენს და გრიგორი მარტინის სი სასაზღვრო ციხესიმაგრე ძველ ქართულ პროვინციის გამტაცან-თან, რომელსაც ამჟამად, როგორც ვიცით, სომები ბაგრატუნიანე-ბი ფლობდნენ, ჩვეულებრივ, შამქორი იყო¹¹⁷, თუმცა საზღვარი აქ ხშირად იცვლებოდა¹¹⁸.

ამგვარად, უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით ბაგრატ III-ს სამეფოს საზღვარი განძის სამიროსთან მტკვარზე გადიოდა. სხვა-გან სამხრეთის ხაზზე იგი ძევლივე უნდა დარჩენილიყო.

საინტერესოა ჩრდილოეთის საზღვრის ვითარება.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, ფაქტიურად, იგივე რჩებოდა, როგორც ის ჩამოყალიბდა აღრეფეოდალური სამეფო სამთავროების არსებობის დროს და დასავლეთში კავკასიონის მთავარ ქედს მიჰყვებოდა, ხოლო აღმოსავლეთში — მთავარი ქე-დის პარალელურ ჩრდილო მაღალ ქედს. ასე რომ დაალეთი, ხევი (წანარეთი), პირიქითა ხევსურეთი (ფხოვი), თუშეთი, დიდოეთი და წახური საქართველოს სახელმწიფო ფარგლებში იყო უმეშვეოდ მო-ხვედრილი. რეალურად კი საქართველოს კულტურული და, რო-გორც ჩანს, პოლიტიკური გავლენა გაცილებით უფრო შორს იყო იმიერკავკასიაში გავრცელებული.

ჭერ კიდევ, X ს. 20-იან წლებში, როგორც ცნობილია, გიორგი „აფხაზთა მეფის“ უშუალო მონაწილეობით აღანებმა ქრისტიანო-ბა მიიღეს. მათი საარქიეპისკოპოსი, სავარაუდოა, ბეჭვინტაში ჟოფილიყო¹¹⁹. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ „აფხაზთა შეფეს“ შესაძლებელია პოლიტიკური სუვერენიტეტიც პქონდა აღანებზე, მთ უმეტეს, რომ უკვე IX ს. 80-იან წლებში ქართული წყაროს მიხედვით „ბაყათარ ოვსთა მთავარი“ აფხაზთა ლაშქარ-

¹¹⁷ ვარ დან ა. გვ. 134—115; იხ. Труды института истории АН АЗССР, XII, 1957, с. 215—216.

¹¹⁸ ვ. მინორ სკო დასახ. ნაშრ., გვ. 26, შენ. 8.

¹¹⁹ ვ. მინორ სკო იქევ; დ. მუსხელიშვილი აღმაყალი-გა- ცხე, გვ. 125.

¹²⁰ ნიკოლოზ მისტიკოსი, „გეორგია“, IV(2), გვ. 212—218; თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომ აღანეთის ეპარქიის ცენტრი უნდა ჟოფილიყო X ს-ში აგებული ტაძარი ზელენის ცენტრი (ჩერქეზთუ-ყარაჩაის ა), რომელიც დად მსვანებებს ამეღანებს ლიხნის ტაძართან, იხ. В. А. Кузнецов. Северный Зеленчукский храм X века. СА, 1964, № 4.


ში იბრძვის და თან წყაროს კონტექსტი სუთია, რომ ლესთა მთავრის არა მოკავშირეობაზე, არამედ ქვეშეცრდობობაზე შეიძლება ვარა უფიდესი¹²¹. მით უფრო ასე უნდა ყოფილიყო შეტყიდების მიზანი, როდესაც „აფხაზთა სამეფოს“ სიძლიერე განუხსიერდა მუსიკურის დაბოლოს, ეს ასევე უნდა ყოფილიყო ბაგრატ III-ის გამეცების შემდეგაც.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საამისო ჩვენება შემოგვინახა მისმა უმცროსმა თანამედროვემ, სომებმა ისტორიკოსმა სტეფანოს ტარონელმა (ასოლიკმა), რომელსაც დაცული აქვს ცნობა დავით კურაპალატისა და ბაგრატ „აფხაზთა მეფის“ კონფლიქტის შესახებ (988 წ.). იგი ონიშნებს: „ამ მიზეზის გამო გურგენის შეიღი (ბაგრატ. — დ. მ.) აფხაზთა მეფე მოდის დიდალი ლაშქრით სარმატთა ქვეყნიდან კურაპალატ დავითისა და პაპისის ბაგრატის წინააღმდეგ, გადმოდის კავკასიის მთებს, მოდის, ბანაკება მტკვრად სახელდებული მდინარის ნაპირას“¹²². ქართული წყაროს მიხედვით ვიცით, რომ ბაგრატი იმიტრავკასიიდან კი არ მოემართება დავითის წინააღმდეგ, არამედ შიდა ქართლიდან და ბანაკედ დგება თრიალეთში¹²³, მაგრამ ასოლიკი, ვფიქრობთ, იმას მოწმობს, რომ ბაგრატს დიდალი ლაშქარი („სპა თვის ყოველი!“) სწორედ იმიტრავკასიიდან წამოუყვანია, რაც გვაგულისხმებინებს, რომ ბაგრატს ხელი მიუწვდებოდა იმიტრავკასიზე. ნიშანდობლივა აქ ის არის, რომ ამ ცნობით მხოლოდ ალან-სათა ვასალერ ურთიერ-

¹²¹ შრ. მ. ღ თ ქ ი ფ ა ნ ი ქ ე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 197—198. მართლაც. წყარო მოგეთხრობს, რომ „გამოიყვანა ბაგრატ აფხაზთა შეფერმან ნასრა ცოლის მა მისი საბერძნეთით და მისცა ლაშქრით მისი“ (ქ' ცა, I. გვ. 261) ტაო-კლარჯოთ და სომებთა საუნააღმდეგოდ. ბრძოლა-ში „იძლიერს აფხაზი, მოკლეს ნასრა და ბაყათარ, მთავარი ოცი და ერისთავი აფხაზთა“ (იქვე). იქვევა, რომ ცნებაში „აფხაზინი“ იგულისხმება „ბაყათარ მთავარი ოციც“, რომელიც თავისი რაშით ულაშქარსა მისას“. ანუ ბაგრატ „აფხაზთა მეფის“ ლაშქარს წარმოადგენს. ეს იძლევა საფუძველს ისთა ვასალობა ვევრაულოთ. მაგრამ ჩვენ ვვაქვს X ს. უკანებისათვის ცნობა შესახებ იმას, რომ ონთა მეღვ ულრ ძლიერია ან კოდვაც მთავრობას იტაზებს (მასული, СМОМПК, XXXVIII, 56; ვ. მ ი ნ თ რ ს კ ი ლ. იстория Ширвана и Дербенда, с. 209). ეს სრულიდ უარმოულენელია მტ დროს, როდესაც „აფხაზთა“ უპირატესობა მთელ ამიტრავკასაში უცილობელია. ასე რომ ამ მასული გაცილებით ძველ მმავას აღნიშნავს, რდა ტექსტი აქ შერყენილა და დედონი სწორედ „აფხაზთა“ ალანებზე მთავრობის შესახებ იყო საუბარი და არა—პირუკულ.

¹²² ა ს თ ლ ი კ ი ლ. გვ. 252.

¹²³ ქ' ცა, I. გვ. 276—277.

თობაშე კი არ შეგვიძლია ვარაუდის გაწევა, არამედ  ჩრდილო-კავკასიის მთიელებზე.

მართლაც, ფრიად ნიშანდობლივია ის გარემოებაში რჩები უჯაჭაჭალი ბოლო და XI ს. დასაწყისი ეს ის პერიოდია, როდესტური ციტატები მოიხსენიერება ჩანს, ვანსაკუთრებული ინტენსიურობით ვრცელდებოდა ჩრდილო-კავკასიის მთიანეთში ქართული ქრისტიანობა: ამ დროს არის აგებული ხოზიტა მაირამის და სოფ. თლის ქართული ეკლესიები და-ლეთში¹²⁴. ამ დროს არის გადაეცებული თხაბერდის ძეველი, VIII—IX სს. ქართული ტაძარი ქმიტეთში, რომლის გათხრებმა შესანიშნავი ქართული ეპიგრაფიკული მასალა მოვცა¹²⁵. ამავე პერიოდშია აშენებული ხუნზახში სოფ. დათუნას ქართული ეკლესიაც და, როგორც ჩანს, სხვა მრავალი საკულტო ძეგლი დაღესტანში, რომელთა შესახებაც მხოლოდ ლიტერატურული ცნობები შემოგვრჩა¹²⁶.

ქართული ეკლესიების მშენებლობა, რა თქმა უნდა, ქართული ქრისტიანობის გავრცელებას ნიშნავდა, ხოლო ეს უკანასკნელი უკველია — ქართული კულტურისაც. ამის უტყუარი მოწმობაა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ღმონახნა კავკასიის მთიანეთში¹²⁷ და ქართული ანბანით შედგენილი ორხოვანი, კერძოდ, ქართულ-ხუნძური წარწერები დაღესტნიდან¹²⁸. უმრავლესობა ამ ძეგლებისა სწორედ X—XI სს. მიზნას განკუთვნება¹²⁹.

ქართული სამყაროს პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა კავკასიის მთიანეთთან ამ დროისათვის ათასწლოვანშე

¹²⁴ ვ. დ თ ლ ი ძ ე. ხოზიტა-მაირამი—საქართველოს და ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობის საბუთი. სამ, XV, № 2, 1954, 119—126; მისვევ, თლის ხუროთმომავრული ძეგლი—საქართველოს და დვალეთის კულტურული ურთიერთობის ახალი საბუთი, სამ, XXI, № 6, 1958, 767—773.

¹²⁵ ლ. ხ ო მ შ ი ა შ ვ ი ლ ი. მ. ა ნ თ ა ძ ე. ტუმბა-ერდის სარესტავრაცია სამუშაოების შედეგები. „ძეგლის მეცნარი“, № 26, 1971, გვ. 65—75; Г. Г. Гамбашидзе. Раскопки грузино-ингушского христианского храма „Тхаба-Ерды“ в 1969—1970 гг. ТД., с. 248—250; Е. И. Крупнов, Грузинский храм Тхаба-Ерды на северном Кавказе, КСИИМК, XV, 1947.

¹²⁶ Р. Шмерлинг. Церковь в с. Датуна в Дагестане, «Мацне» (Вестник) АН Груз ССР, № 2, 1969, с. 211—218.

¹²⁷ იბ. ИКОМАО, I, 1904, 63; ბ ა ტ ხ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს გეოგრაფია, რედაქცია მ. გ. განაშენილისა, 1904, გვ. 170, გვ. 320.

¹²⁸ ჩ. ვ მ ე რ ლ ი ნ გ ი ლ ი ძ ა მ ა შ ი რ ი. გვ. 211—212 (იქვე, სათანადო ლიტერატურა).

¹²⁹ იქვე, გვ. 217; ურალის ქართვერა, იბ. Н. Маргр. Албанская надпись, КСИИМК, XV, 1947, გვ. 7—14.

მეტ ისტორიას მოითვლიდა და ამის შესახებ ჩვენ ვავა გვმოწვევთ
აღნიშვნული¹³⁰. X—XI ს. მანქანის ეს უაღრესად მომშენელებანი
მოვლენა ქართული ორქიტეტურული ძეგლების, და ქართული კულტურული
გრაფიკის ინტენსიური გავრცელებისა ჩრდილო-კაჭის ტერიტორიაზე მისამართ
თში იმ ცნობებთან ერთად, რომლებიც ამ მხარეზე ქართული სა-
ხელმწიფოს პოლიტიკურ უზენაესობაზედაც მიგვითითებენ, ზე-
მოხსენებული საუკუნოებანი ურთიერთობის ერთ-ერთი, ფრიად ნი-
შანდობლივი ეტაპის გამოვლინებას წარმოადგენს. კონკრეტულად
კი უკელაფერი ეს მიგვითითებს არა მხოლოდ ჩრდილო კავკასიის
მიმართ საქართველოს პოლიტიკურ პრიორიტეტზე, არამედ ამ
გთიანეთის მოსახლეობის კულტურულ ასიმილაციაზეც.

ამის დასადასტურებლად ჩვენ კიდევ ერთი უაღრესად საინ-
ტერესო ფაქტი გვაქვს.

ჩვენი საუკუნის ოციან წლებამდე შემოქმედის მონასტერები
(გურია) ინახებოდა XVI ს-ში ზარზმიდან (სამცხე) გადმოტანილ
ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშებს შორის მონქროვილი ვერ-
ცხლის ფარფიტები, რომლებზედაც სხვადასხვა ტექნიკი იყო გა-
მოსახული ქრისტეს ცხოვრებიდან. გამოსახულებებს თან სდევდა
მათი ამხსნელი ქართული ასომთავრული წარწერები. ამას გარდა
ორ ფირფიტებს ჩარჩოებზე შემორჩენილი ჰქონია ისტორიული ში-
ნაარსის შეონე მინაშერები. კერძოდ, ერთ-ერთი ფირფიტის ზედა
ჩარჩოზე მსხვილი, რელიეფური ასოებით გამოყვანილია ორსტრი-
ქონიანი წარწერა: „ქრისტე, ალიდე ბახტიშორ ხუმრო მეფე“.
ამ წარწერის გვერდით წვრილი ასოებით ამოკევთილი ყოფილა:
„ქრისტე, შეიწყალე სახლისამ მეცურპლე“. მეორე ფირფიტის
ჩარჩოს ქვედა მარჯვენა კუთხეში პირველი წარწერის მსგავსი ასო-
ებით: „ქრიონიკონი იყო სკო“ ანუ $780+228=1008$ წ¹³¹.

ამგვარად, 1008 წ. მოიხსენიება ვინმე ბახტიშორ ხუასრო მე-
ფე. ვინ უნდა იყოს იგი?

ჩვენი აზრით, ბახტიშორ ხუასრო მეფე უნდა იყოს იგვე
„ბუხტ-იშო სარირის მფლობელი“, რომელიც იხსენიება 1025
წლისთვის¹³².

ქვეყანა „სარირი“ კარგად არის ცნობილი არაბული წყაროე-

¹³⁰ დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. ციხე-ქალაქი უგარმა, გვ. 48.

¹³¹ Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство, 1959,
23. 105—6.

¹³² გ. მ ი ნ თ რ ს კ ი რ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 70.

შიდან. ეს არის ფაქტოურად, შემოკლებით ხმარებული ტეტრა (საპირ ას-სარირ — ტახტის მფლობელი) ამ ქვეყნის მმართველება, რომელიც თვით ქვეყნის აღსანიშნავადაც იხმარებოდა. ეს ჰქონდა ნასკნელი კი უცილობლად გულისხმობს დაღვესტანს, კერძოდ კი დღევანდელი ავარიის ყოისუს ხეობას¹³³, ანუ ქარზული წყალი ების ხუნზახს||ლუნდეთს. მასუდი პირდაპირ აღნიშნავს, რომ სარირის მეფის დედაქალაქი ხუნზახია¹³⁴.

მეგვარად, სარირი, მანიცდამანც ის ტერიტორიაა, რომელზე-დაც, როგორც ვიცით, საქმაოდ მრავლად იყო და არის შემორჩენილი ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები. თვით სარირის მეფე, მასუდის (943 წ.) მიხედვით, ქრისტიანია¹³⁵. კიდევ უფრო ძღვე 900 წლის ახლოს, როდესაც წერდა იბნ-რუსტე¹³⁶, არათუ მეფე, არამედ მთლიანად ლუნთა ზედაფენა ქრისტიანია¹³⁷. ამასვე მოწმობს სარირის მეფეთა შემორჩენილი ქრისტიანული ერანულ-სირიული სახელი ბუხტ-იშო¹³⁸. გარდა ზემოხსენებულისა კიდევ ერთი მეფე სარირისა ასეთივე სახელწოდებით მოიხსენიება 905 წლისთვის¹³⁹. რომ დაღვესტანში სწორედ ქართული ქრისტიანობა ზედიოდა, ეს ყველაფერი ზემოთქმულის შემდეგ სრულიად ნათელია და დღეს სადაც აღარ არის¹⁴⁰.

კუადია, ქართული ქრისტიანობის ასე ინტენსიურად გავრცელება დაღვესტნის მთანეთში, მოწმობაა აღვილობრივი მოსახლეობის ზედა ფენის ქართველთა მიერ კულტურული ასიმილაციისა და რომ ეს ასე იყო, ამას უცილობლად ადასტურებს ბუხტ-იშო|| ბახტიოშორ მეფის შეკვეთით შექვნილი და ზარზმის მონასტრისადმი შეწირული ქართულწარწერიანი ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშები.

ლუნძური ზედაფენის მთლიანად გაქართველებაზე, რა თქმაუნდა, ჯერ ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ რომ იგი ორენოვანი იყო, ეს კი უეპველი უნდა იყოს.

¹³³ ვ. მინორ სკო. დასახ. ნაშრ., გვ. 132—133.

¹³⁴ მასუდი. СМОМПК. XXXVIII, გვ. 52—3; ვ. მინორ სკო. დასახ. ნაშრ., გვ. 203—204.

¹³⁵ მასუდი. იქვე, გვ. 52; ვ. მინორ სკო. იქვე, გვ. 203.

¹³⁶ ვ. მინორ სკო. იქვე, გვ. 134.

¹³⁷ იბნ-რუსტე, СМОМПК. XXXII, 47: საუბარია მეფის „სასახლის მცხოვრებლებზე“.

¹³⁸ ვ. მინორ სკო. იქვე, გვ. 136.

¹³⁹ იქვე, გვ. 65.

¹⁴⁰ იქვე, გვ. 136.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ თვალსაზრისით ფიქტურა /
ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებული „სახლისა მეტერებულე“, რო
მელიც, სავარაუდო, ბახტიშორ ხუსრო მეფის „სამუქამი პრინციპი
მეტერებულე“ ყოფილიყო¹⁴¹. თუ ეს ასეა, მაშინ ჩეტვირთუმა ჩატურ
კვნათ, რომ ქართულ კულტურასა და ქართულ ენასთან ერთად
ჩრდილო კავკასიაში ქართული სახელმწიფობრივბაც შედიოდა.

ამისავე მოწმობა უნდა იყოს ხუნზახის მახლობლად აღმოჩენილი
ქვის პატარა ჭვარი ქართულ-ხუნძური წარწერით, რომელშიც
თითქოს მოხსენიება „ერისთავი ბერიტა“?¹⁴² ხუნზახის ორენო-
ვანი წარწერაც უცილობელი მოწმობაა ქართული სახელმწიფობ-
რიობის, ქართული ფეოდალური სამოხელეო ინსტიტუტების ვავ-
რცელებისა დალესტრამშა.

ვინიქრობთ, რომ შემოქმედის ფირფიტების ბახტიშორ ხუს-
რო მეფის და მუნჯიმბაშის წყაროს ბუხტ-იშო სარიჩის მეფის
იდენტიფიკაცია სწორი უნდა იყოს და თუ ეს ასეა, მაშინ, ვადა-
ვარბების გარეშე შეიძლება ვთქვათ, ჩევნს წინაშეა ქართული
კულტურისა და ქართული სახელმწიფობრიობის ისტორიის უალ-
რესად დიდი მნიშვნელობის ნიშანდობლივი ფაქტი: გაქართველე-
ბის ინტენსიური პროცესი მიღიოდა არა მხოლოდ საქართველოს
სახელმწიფოს აღმოსავლეთ და დასავლეთ პერიფერიებზე (ქერები,
აფხაზები, ტაოელი სომხები), არამედ ჩრდილო კავკასიის მთიანეთ-
შიც. X—XI სს. მიზნაზე ეს პროცესი, როგორც ვნახეთ, საკმაოდ
შორს წამულია.

რა თქმა უნდა, ეს მოწმობს, რომ ზემოხსენებული პროცესი
დიდი ხნის წინათ არის დაწყებული და ახლა, როდესაც ჩევნი X—
XI სს. მიზნაზე ასეთ ფაქტს ვადასტურებთ, სხვაგვარი შექი შფრ-
ნება ჩევნს წყაროებში შემოტენილ სათანადო ცნობებს და თვით
ამ პროცესის განვითარებაც უფრო ნათელი ხდება.

კერძოდ, ბახტიშორ ხუსრო მეფემ, რომელიც ჩევნი იდენტი-
ფიკაციით ღუნძთა მეფე უნდა ყოფილიყო, არ შეიძლება არ მოგვა-
გონოს VIII ს. პირველი ნახევრის ერთი მთავარი, „რომელი ერის-
თავობდა თუშთა და ხუნზა ზედა და ყოველთა წარმართა მის
მთისათა, სახელით აბებუასრო“¹⁴³, და რომელიც არჩილის ვასალი

¹⁴¹ შდრ. გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 106—107.

¹⁴² ტ. გ უ დ ა ვ ა. ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დალეს-
ტრიან. მსკ, 30, 1954, გვ. 187.

¹⁴³ ქ ც ა. I. გვ. 243.

იყო (იხ. ზემოთ, II, 3). ჩვენ ვვარაუდობდით, კახეთის ციხესიმაგრეთა სპეციფიური ტოპოგრაფიის საფუძველზე, რომ წყაროს ცნობა აბუ-ხუსროს არჩილისადმი ვასალური ურთიერთობის შესახებ სწორი უნდა იყოს. არ არის ვამორიცხული და, ეჭრულურული ჩვენ ვფუქრობთ, რომ აბუ-ხუსრო „თუშთა და ხუნძურულ ქუთავე“ ველთა წარმართთა მის მთისათა“ მთავარი „უშუალო“ წინაპარი იყოს ბახტიშორ ხუასრო ხუნძთა მეფისა. ამას არა მხოლოდ მათი მფლობელობის თანხვედრა გვავარაუდებინებს, არამედ მათი სახელშორდებათა, უკეთ ტიტულთა იდენტურობაც. „ხუასრო“ // „ხოსროუ“, როგორც ცნობილია, სასანელ მეფეთა ზოგად ეპითეტს წარმოადგენდა. ამიტომ არის, რომ „ქართლის ცხოვრება“ „ხუასროს“ ზოგადად ხმარობს სასანელი შაპანშაპების აღსანიშნავად¹⁴⁴. ასეთივე მნიშვნელობით ხმარობენ ამ ტერმინს არაბული წყაროებიც¹⁴⁵. ვფიქრობთ, რომ ეს ეპითეტი ლუნძთა მთავრების ერთგვარ ტიტულს წარმოადგენდა, რომელიც მათ ტრადიციით სასანელ შაპანშაპებთან აკავშირებდა: არაბულ წყაროებში შემონახული გაღმოცემით ხოშ სარიჩის მეფეები სასანიდების ჩამომავლები იყვნენ თუ - მათგან იყვნენ დანიშნულნი¹⁴⁶.

ეს გარემოება კიდევ ერთ საინტერესო ვითარებაზე მიგვითათებს: ქართული წყაროს მიხედვით, აბუ-ხუსრო იმ მთავართა ჩამომავალი იყო, „რომელთადა მიებორა ვახტანგ მეფესა წუქეთი“¹⁴⁷. ეს ჩვენება, რომ წუქეთში (რომელიც ამ კონტექსტში შესაძლებელია არა საეუთოი წუქეთს, არამედ აბუ-ხუსროს მთელ სამფლობელოს ნიშნავდეს) ვახტანგ გორგასალი სვამს მთავარს, შესაძლებელია დავუკავშიროთ არაბულ წყაროებში შემონახულ ზემოსენებულ ჩვენებას, რომ სარიჩის მეფე სასანელთა მიერ იყო დანიშნული¹⁴⁸ და თუ ეს ასეა, მაშინ სარიჩის ვასალური ურთიერთობა ქართლთან უკეთ V ს-იდან უნდა ვივარაუდოთ. მაინც დამაინც VIII ს-იდან ეს თითქოს აღარ არის საეჭვო.

ამის შემდეგ სავსებით გასაგები უნდა იყოს, თუ როგორ მოხდა, რომ X—XI სს. მიწნაზე დალესტნის მოსახლეობის ზედაფენა

¹⁴⁴ იხ. გმოთქმა: ქართველებმა „მოირთეს ძალი ხუასროთაგან“ (ქ' ც. I, გვ. 131) შედრ. იქვე, 199 და სხვ.

¹⁴⁵ ისთაბრი აღნიშნავს, რომ „დარუბანლის მოებში ციხესიმაგრები ხოსროების აკებულია“ (СМОМПК, XXIX, 31, შენ. ქ).

¹⁴⁶ ამის შესახებ, იხ. ვ. მ ი ნ ო რ ს კ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 132, შენ. 69.

¹⁴⁷ ქ' ც. I, გვ. 243.

¹⁴⁸ ინ-ალ-ფავისი, СМОМПК, XXXI, 23; იაკუთი, გვ. 14, 27, 62.

ორენოვანია და ქართველთა მიერ კულტურის თვალსაზრისით
სავსებით ასიმილირებული.

სარისის სამეფო, რომელიც ორბებსაც და ხელიშიჭურუში
რად წარმატებით ეგრძოდა, რა თქმა უნდა, მხოლეს ჟამინის უკუკუ
მოიცავდა. ორბელი წყაროები გვიმოშებენ, რომ სარისი მო-
ცავდა მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიის მთიანეთს და გა-
დაჭიმული ციც აღანთა სამეფოდან დარუბანდამდე და კასპიის
ზღვამდე¹⁴⁹.

ამგვარად, გვაქვს საფუძველი ვიერაუდოთ, რომ ბაგრატ III-მ
არა მარტო ამიერკავკასიის დადი ნაწილი გაერთიანა, არამედ
ჩრდილო კავკასიის მთელი მთიანეთი ვასალურ დამოკიდებულება
ში მოაქცია.

ამის შემდეგ, კუიქრობთ, არცთ გაზვიადებულად მოგვეჩე-
ნება სუმბატ დავითის ძის მიერ ბაგრატ III-ის მეფობის პოლიტი-
კური შედეგების ზოგადი დახასიათება: „ბაგრატ აფხაზთა მეფე,
კურაპალატი დიდი ეუფლა ტაოს მამულსა თვისსა, და დაიპყრა ყო-
შელი კავკასია თვითმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგე-
ნაღმდე. ხოლო აღარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო, სომხეთისა
კელმწიფებითა, ნებიერად განაეგბდა, მეფე სპარსთა თვს მეგობ-
რად და ერთგულ ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თვსითა უფროს
სახლეულთა თვსთასა, და ბერძენთ მეფესაცა შიში აქუნდა ამისი
ყოვლადვე“¹⁵⁰.

ზემოთქმულის შემდეგ პიპერბოლად აღარ უნდა მოგვეჩე-
ნოს მემატიანის ჩევნებაში, რომ ბაგრატმა „დაიპყრა ყოველი კავ-
კასია თვითმპყრობელობითა ჯიქეთიდან ვიდრე გურგენაღმდე“.
აյ სწორედ ჯიქთა, აღანთა და სარისის სამთავროს, ანუ ქისტ-და-
ლესტნელთა ვასალობა იგულისხმება. აღარბადაგანის მოხარკეობა-
ში იგი, უეპველია, არანის მფლობელის, ფადლონის მოხარკეობას
გვლისხმობს¹⁵¹. მეორე მხრივ, ბუნებრივია, ბაგრატის გავლენა გა-

¹⁴⁹ პოლუდ-ალ-ალემის (980-იანი წლები) ცნობით ყაითაყი სარისთა მეცის მხე-
დართმითავართა რეზიდენცია (იხ. ბ. Н. З а х о д е р, Каспийский свод све-
дений о Восточной Европе, I, 1962, 125). ყაითაყი კი დალესტნის ზღვისპი-
რამხარეა დარუბანდის მეზობლად (იხ. ვ. მ ი ხ რ ს კ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 126—
129, იქვე, რუკა № 2).

¹⁵⁰ ქ' ცა, I, გვ. 382.

¹⁵¹ ქ' ცა, I, გვ. 280; ეს უნდა მომხდარიყო 1010—1014 წლებში (იხ. ი. ვ. გ ა ვ ა
ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 130). არანის დაბარკვების ისტორია
შემონახულია აქვს „მატანე ქართლისადას“, ხოლო სუმბატ დავითის შე ამის შესახებ

ზრდილყო სომხითშე ქვემო ქართლის კვირიკიანებზე, რომელ-
თაც X ს. ბოლოს მეფის ტიტული მიითვისეს) და ფრაგმენტი გარე-
ვანშეც და თუმცა მუნეჭიმბაშის წყაროს (1106 წ.).¹⁵² ესამისკურია ეს
ძეგ ჩვენება არ შემოუნახავს, არ არის გამორიცხული, რომ მეფო-
ბის ბოლო წლებში ბაგრატს შარვანიც მოხარკედ გაეხადოს.

როგორც ვხედავთ, XI ს. დასაწყისისთვის საქართველოს უდი-
დესი ნაწილი თბილის, ქვემო ქართლს და იმიერტაა-სპერს გარ-
და გაერთიანებულია ბაგრატ III-ის ტახტის გარშემო, ამიტომ სრუ-
ლიად სამართლიანია, რომ ამ დიდ სახელმწიფო მოღვაწეს საქარ-
თველოს გამარტიანებელი ვეწოდოთ.¹⁵³ ვამტანგ გორგასალის იდე-
ას კვლავ მკვიდრი საფუძველი მიეცა. მაგრამ ბაგრატ III-ის დროინ-
დელი საქართველო კიდევ უფრო დიდი მისისი წინ იდგა: არამც-
თუ თბილისი და ტაო-ქვემო ქართლის დაბრუნება მხოლოდ და
მხოლოდ დროის საქოთხილა იყო, არამც აღმავლობის გზაზე დამ-
დგრი ფეოდალური საქართველო უკვე ამ დროს კავკასიური სამ-
ყარის გამარტიანებლის როლს კისრულობდა და ბიჭანტიას უპო-
რისპირდებოდა. ამასთან ერთად უდიდესი საქმე კეთდებოდა იმ
მხრევაც, რომ საქართველოს პერიფერიებზე გაქართველების ინ-
ტენსიური პროცესი მიმდინარეობდა. ჩრდილოეთ კავკასიაშიც
ქართული ქრისტიანული კულტურის მძღვრი ნაკადი იქრებოდა
და ქართულ ენასთან ერთად ქართული სახელმწიფოებრიობაც
შექმნდა. თუ რამდენად ძლიერი, რეალური და სიცოცხლისუნა-
რიანი იყო ეს დიდი პროცესი იქიდანაც ჩანს, რომ ნახევარსაუკუ-
ნებზე მეტი ხნის შემდეგ ველური თურქ-სელჩუკების დამანგრეველი
თარეშის პირობებში იქმნება ლეონტი მროველის ცნობილი ეთნო-
ლოგიური კონცეფცია, რომელიც მოწოდებულია დაასაბუთოს კავ-

არაუკრის მშობს. ეს კიდევ უფრო ძლიერებს ეკვს, რომ ამ შემატიანეს „აღარბა-
დიგმი“ უნდა ანონიმის „ქუეყანასა რანისასა“ გულისხმობდეს. რანის მაგიკიად აღარ
ბადავანს ჩმარება შესაძლებელია მით იყოს გამოშევეული, რომ X ს. შეორე ნახე-
ვარში არანი აშერბაიჯანის მფლობელმა სალარიებმა დაიბირეს (იხ. V. M i p o
s k y. Caucasica IX. BSOAS. Part 3, 1953, გვ. 514 და შემდ.). შედრ. „მატიანე“
ქართლისამს“ გამოთქმის „სალართა დაკურა შაში ბართავი და აღარბადიგმინ“
(ქუ, I. გვ. 266). ვფიქრობთ, რომ აქ აღარბადავანი არანისაც გულისხმობს. გარდა
მისა იმი ლა-ასირს პირდაპირ ქერის აღნიშნული, რომ ფალონი ფლობდა აშერ-
ბაიჯანის ნაშილს (იხ. V. M i p o r s k y. Studies, 42). მდენადვე სუმბატ დავი-
თოს ძალი შემოსხნებული მითოება სავსებით რეალური ჩანს.

¹⁵² B. Минорский. История Ширвана и Дербенда, с. 51—53.

¹⁵³ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. სუმბატ დავითის ძალი ქრინიკა, გვ. 51.

კასიური სამყაროს ერთიანობა. დაბოლოს, რომ ეს დილი ჭიოცე-
სი სრულიად რეალური და ობიექტურად ურთიერთურულად
კანონზომიერება იყო, დასტურდება იმითაც, რომ ერთი წესშე
ნის შემდევ XII ს. დასაწყისში საქართველოს უდიდესშია პოლიტი-
კურმა მოლვაწემ, დავით აღმაშენებელმა, საქართველოს და კავ-
კასიის გაერთიანების საქმე ბოლომდე მიიყვანა.

ОСНОВНЫЕ ВОПРОСЫ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ ГРУЗИИ

Резюме

В 20-х годах VI века Ирану удается упразднить царскую власть в Картли. Царство распалось на отдельные, почти независимые друг от друга области — бывшие эриставства. Несмотря на непосредственное политическое господство завоевателей, экономическое развитие страны шло по восходящей линии. Развиваются торгово-экономические связи не только между отдельными областями страны, но и с внешним миром, о чем свидетельствует нумизматический материал.

Результатом всеобщего экономического процветания явилось возрождение тенденции политического объединения: «постепенно стала собираться Картли и поставили Гурама эриставом» («Обращение Грузии»). Так восстановилась единая национальная власть.

К концу VI — началу VII в., рядом с Ираном, в торговлю с Картли активно включается Византия. Закавказье и, в частности, Картли становится транзитной территорией интенсивной торговли между Востоком и Западом. Эти оживленные международные торгово-экономические взаимоотношения, в свою очередь, подразумевали интенсификацию местных соответствующих связей. Все это усиливало тенденцию объединения и слияния разных областей страны, в том числе, низинных и горных регионов.

Однако процесс «собирания Картли» в середине VII в. вновь должен был прекратиться на три столетия из-за внешнеполитических осложнений; началась эпоха арабских завоеваний.

Интересные сведения для воссоздания исторической географии Восточной Грузии середины VII в. имеются у арабских историков, в первую очередь, у Балазури (IX в.), у которого сохранился текст т. н. «Охранной грамоты», данной арабским полководцем Хабибом ибн-Масламой патриарху Картли. Грамота касалась Тбилиси, как столицы государства, Квемо (Нижней) Картли с центром в Мантлиси и Шида (Внутренней) Картли с центром в Армази. После этого ара-

бы захватывают остальные области Восточной Грузии: Ка-
хети, Кухети, Хунани, Қасал, Гардабани, Базалети, Конисхе-
ви, Қаспи (?), Джавахети, Самцхе, Артаани, Шавшети, Қарт-
джети, Дариалан с цацарами и дидойцев (Юго-Западный Да-
гестан).

Наша интерпретация «Охранной грамоты» ^{Идентифицируется} кация областей Картли выявляет резкое расхождение историко-географических сведений армянского «Ашхарацуица» с арабским списком. Этот факт, на наш взгляд, констатирует те перемены, которые произошли в исторической географии страны примерно за 250 лет и были обусловлены культурной, социальной и экономической эволюцией в течение V—VI веков. Эти процессы действовали в сторону укрупнения древних историко-географических единиц «хеви» и слияния горных и низинных районов.

Имеющиеся в нашем распоряжении источники — письмо Анастасия Апокрисиария к Феодосию Гангскому и «Воспоминания» этого последнего, показывают, что к 60-м годам VII в. царская власть в Эгриси давно уже упразднена и страной управляют патрикии. Ашилети, Миссимианети, Сванети и Лечхуми являются непосредственными провинциями Эгриского княжества, в состав которого в это время входят, по видимому, и некоторые провинции Иверии (Ачара, Аргвети и Рача). Апхазети (Абхазия) же является независимым княжеством, которое, как и Эгриси, находится в вассальной зависимости от Византии.

Завоевание арабами Восточной Грузии отрицательно отразилось не только на политическом состоянии страны, но и на экономическом ее развитии. Однако с начала VIII в. торгово-экономические взаимоотношения с внешним миром вновь начинают постепенно развиваться. Это обстоятельство, с учетом относительно мирной политической жизни Восточной Грузии, указывает на восходящий, хотя и несколько замедленный процесс внутренней эволюции страны. Это должно было отразиться и на историко-географическом развитии страны.

Ценным документом в этом отношении являются сведения анонима X в., включенные в виде эксцерпта в «Картлис цховреба» и отражающие данные источника VIII века. Это та часть летописи, где рассказывается о деятельности Арчила (705—745), который делит Восточную Грузию на уделы для своих вельмож-эриставов.

Сопоставление арабского списка восточногрузинских провинций (VII в.) с данными грузинского анонима (VIII в.) выявляет уже знакомую нам тенденцию историко-географических изменений, обусловленную последующим социально-

экономическим развитием страны и направленную в сторону укрупнения административно-территориальных единиц Картли. Кроме того, замечается территориальный рост самой Картли, поскольку в ее состав входит провинция Абодви (Ашоц), а также — Шаки.

БОДЛЮЗЗ

Грузинские источники сохранили некоторые сведения, касающиеся исторической географии Западной Грузии. Интересная деталь отмечается в отношении Алхазети (древн. Абазгии), которая определенно указывает на резкий поворот с середины VIII в. в политике и культурной ориентации апхазских династов от Византии к общегрузинскому общественному развитию.

Следует отметить еще одно важное для исторической географии Западной Грузии показание анонима. В частности, на основании его текста можно сделать совершенно недвусмыслиенный вывод о возрождении города Кутаиси, как политического и культурного центра, причем очень важно отметить, что Кутаиси возрождается не как центр Эгриси (Лазики), а как картлийский политический центр и в то же время как мощный форпост распространения картлийской культуры.

Процесс историко-географического развития, обусловленный внутренней социальной и экономической эволюцией, выражался не только в укрупнении административных единиц и территориальной экспансии, но и в интенсивном освоении этой территории, в частности, в экономическом освоении горных областей на базе хозяйственного развития низинных районов. Тот факт, что вместо расчлененного на горные и низинные «хеви» Картли IV—V веков («Ашхарапцуйц»), в середине VII века мы видим «хеви», объединяющие горные и низинные области (арабский список), является яркой иллюстрацией этого процесса. Подтверждением вышеуказанного служат также феодальные крепости определенного типа. Мы имеем в виду крепости, сооружаемые на стыке горных и низинных областей. Историко-географический анализ подобных сооружений показывает, что если с одной стороны они господствуют над областью с развитым интенсивным сельским хозяйством, то с другой — контролируют главные магистрали, связывающие ее с горной областью развитого скотоводства, в особенности, овцеводства, и тем самым эксплуатируют и ее. Другими словами, экономическая география края ясно указывает на социальную и экономическую функции данной крепости, функцию одновременной эксплуатации определенных горных и низинных областей. Тем самым становится ясным, что в период функционирования вышеозначенных феодальных крепостей области обеих зон представляют собой одну территориально-экономическую общность.

Таким образом, возникновение вышеуказанных крепостных сооружений знаменует собой факт в высшей степени важный для понимания историко-географического развития раннесредневековой Восточной Грузии, в частности, ^{Грузии} изменения такого кардинального вопроса процесса ^{исторического} эволюции страны, как вопрос взаимоотношения высокогорных и низинных районов. Эти взаимоотношения, прослеживаемые с древнейших времен, завершаются в эпоху раннего феодализма экономическим освоением горных областей, (преимущественно со скотоводческим хозяйством) низменностью, где было развито интенсивное сельское хозяйство. Следовательно, это явление знаменует собой завершение длительного исторического процесса объединения высокогорных («мта») и низинных («бари») областей в одну территориально-экономическую феодальную единицу («куекана» — «земля»). Этот процесс завершается в основном в первой половине VIII в.

Вышеуказанный процесс следует считать основной тенденцией историко-географических изменений в эту эпоху. Он характерен не только для Восточной, но и для Западной Грузии, и является результатом общего социального и экономического развития, адекватно выраженного в исторической географии страны.

Однако в Западной Грузии этот процесс протекал несколько иначе, в частности, тенденция объединения горных и низинных районов здесь была не такой четкой, как в восточной половине страны. Причиной этого ^{была} экономическая специфика взаимоотношений этих двух зон. Однако тут действовал и другой, этническо-племенной, фактор.

Раннее средневековье, согласно древнегрузинским источникам, характеризуется интенсивным строительством феодальных крепостных сооружений. Некоторые из них являются трансформацией старых подобных сооружений, иные строятся именно в этот период. Они знаменуют собой победу феодальных отношений в районах интенсивного сельского хозяйства («бари») и в то же время являются мощным средством распространения тех же отношений в горные области («мта»).

Характерно, что параллельно этому явлению, именно в середине VIII в., согласно источникам, появляется множество враждующих между собой «мтаваров» (независимых или полунезависимых владельческих князей). Нам представляется, что вышеуказанные крепостные сооружения являются резиденциями именно этих летописных «мтаваров». Это подтверждается также литературным источником «Житие Серапиона

Зарзели», которое, по нашему мнению, описывает события именно VIII века.

Определенный перелом в социальном развитии раннефеодальной Грузии, обнаруживающийся в историко-географических изменениях, проявляется еще в одном обстоятельстве: в радикальном метаморфозе историко-географической терминологии, отражающей социальные явления.

Вышесказанное является, на наш взгляд, достаточно убедительным основанием для характеристики историко-географических изменений раннефеодальной Грузии: восходящее экономическое развитие вызывает в низинных районах вырождение «сопели» (территориальных общин) и возникновение «куекана» (феодальных «земель»). С другой стороны, это отражает экономическое и социальное освоение горных областей низменностью. Это был значительный сдвиг не только в социальном развитии, но и с точки зрения исторической географии: начинается «период куекана» (феодальных «земель»).

Выше было отмечено, что, начиная с самого начала VIII века замечается оживление торгово-экономических отношений между Закавказьем и Халифатом. Некоторый подъем торговых взаимоотношений с внешним миром является, несомненно, отражением общего социального и экономического подъема, выразившегося в объединении мелких феодальных владений в большие феодальные княжества — «самтавро».

Освободиться от арабского владычества раньше других сумела самая крайняя восточная периферия Картли — провинция Эрети, к концу IX в., преобразившаяся в царство. Центром этого царства был город Шаки, благодаря чему арабские источники X в. называют его Шакским царством.

Примерно в 80-х годах VIII в. возникает второе феодальное государственное образование — Кахетское княжество с центром в городе Уджарма.

На территории Квемо Картли с центром в Тбилиси к концу IX века образовалось еще одно феодальное княжество — Тбилисский эмират.

В 70-х годах VIII в. по инициативе апхазских мтаваров объединяются Апхазское и Эгрийское княжества. К концу века это новое государство освобождается от вассальной зависимости Византии. Так образовывается «царство апхазов», охватывающее всю Западную Грузию. Центром этого царства является Кутаиси, который к этому времени, как мы уже знаем, был очагом восточно-грузинской национальной культуры. Поэтому объявление этого города центром «царства апхазов» однозначно и окончательно решает: 1) вопрос о государственной сущности «царства апхазов» — это было грузин-

ское царство; 2) вопрос о культурной принадлежности «царей апхазов» — каким бы ни было их этническое происхождение, с точки зрения культурного кредо, они были грузинами; 3) вопрос о генеральной линии политического курса «царей апхазов» — с самого же начала они стали проводниками общегрузинского внешнего и внутреннего политического курса.

Все эти грузинские царства и княжества с административной точки зрения делились на эриставства. Однако, если восточногрузинские эриставства возникли на основании объединения горных и низинных областей, то в Западной Грузии эта тенденция проявляется слабее, и эриставства «царства апхазов», в сущности, оформились, как горные и низинные округи. Одной из причин, определяющих это явление, нужно считать слабую, по сравнению с Восточной Грузией, экономическую связь между этими двумя сельскохозяйственными зонами. Однако решающим в этом случае является, видимо, фактор этническо-племенной. Разнообразие этнического и племенного состава населения Западной Грузии тормозило указанный процесс. Иначе говоря, интеграция грузинских и ассилияция негрузинских племен, в отличие от Восточной Грузии, не достигла здесь степени, обуславливающей возникновение историко-географических «земель», так сказать, нового типа.

В начале IX века верховным правителем подвластной им части Восточной Грузии арабы назначают Ашота Багратиона, владетеля юго-западных грузинских провинций. Воспользовавшись междуусобицей в халифате, Ашот принимает вассальную зависимость от Византии и получает от императора титул Куропалата. Фактически, это означает возникновение еще одного независимого феодального грузинского княжества, в пределы которого в это время входил не только бассейн верхнего течения р. Куры, но и почти весь бассейн р. Чорохи (Шавшети, Кларджети, Тао).

Центром этого юго-западного княжества при Ашоте был город Артануджи в провинции Кларджети.

Процесс экономического и социального развития, следствием которого явилось возникновение феодальных царств и княжеств, естественно вылился в борьбу между ними за гегемонию. Ближайшим результатом этой борьбы должно было быть объединение враждующих сторон в одно политическое целое, создание феодального государства Грузии — Сакартвело.

Борьба за гегемонию началась борьбой за Картли — срединной провинции Грузии. То была кровавая двухсотлетняя эпопея объединения Грузии. Дебютантами этой историче-

ской драмы были Куропалат Ашот Багратиони и правитель Кахетии Григол, их партнерами, с одной стороны «царь апхазов», с другой — тбилисский эмир. Однако в эту борьбу активно включились и армянские цари. В итоге, к началу ХІІІ века большая часть грузинских земель, то есть ~~западный~~^{западно-центральный} часть Закавказья была объединена под единодержавной властью «царя апхазов, картвелов, ранов и кахов» Баграта III Багратиони.



“ ავტომატური სის

- «ցըտրցյա»—ծննդքըլո թիվը լրացն կրնեցն սայառուցըլու Մշևանքէ. Ծայսէ Ծրբ-
ծո յանտուլո տարգմանուրու զամուսպա და զամարტէցն դաշտու սմբեկ
պահեմունմա, I—VIII, 1961—1970.

ՀՇԱ—յանտուլու ցեղացիցն. Ծայսէ Ծու և աջացնու պատճառու ժոհուածու եղբայրն օտ-
եղջուած ե. պահեմունմա Թուր, I, 1955; II, 1959.

Յ ա ր գ ա ն ո — Մեմին Վարդանայ Պատմութիւն Տիեզերական, N 1861.

Յ ո ւ ն ց լ հ ա ս ե ա ն է շ շ է ր է լ ո . Տոմիցտու օւրուրա, Տամեսուրո Ծայսէ Ծրբ-
յանտուլո տարգմանու, զամուցնու դա Տամուցնու զամուսպա ց. Ազգարյու-
նցըլմա, 1965.

Յ ո ւ ն ց ո ւ ս ո — Պատմութիւն Հայոց արարեալ Կիրակոսի վարդապետի Դան-
ձակեցւյ, թ. 1909.

Յ ո ւ ն ց ո ւ ն ո — Կորին. Պատմութիւն Փարուց և մահուան սրբոյն Մեսրոպայ
փարզապետի մերոյ բարգմանչի, 1930.

Ը ա ն ց ա ր ց ո ւ ն ց ո ւ ս ո — Ղազար Փարպեցւյ Պատմութիւն Հայոց. Տ.
1904.

Յ ո ւ ն ց ա ն ց ո ւ ն ց ո ւ ս ո — Մավսեսի Կտղանկատուացւյ Պատմութիւն
Ազուանից Աշխարհի, թ. 1913.

Յ ո ւ ն ց ե տ հ ց ն ց ո ւ ս ո — Արբոյ Հօրն մերոյ Մավսեսի Խօրինացւյ Պատմու-
թիւն Հայոց, 1910.

Ը ա ն ց ո ւ ս ո — Իстория Армении Фавста Бузанда, 1953.

Ը լ ո ւ ն ց ո ւ ս ո ւ ն ց ո ւ ս ո — Թուշնաւրու Շաբո Նկան զարմետ. տարգմանո, զամա-
րտցնուած, յամենքնարցն դա հույս նայուա յիշալմածմա, 1961.

Մ ը ո ւ ն ց ո ւ ս ո ւ ն ց ո ւ ս ո — Տայառութան անունու և տրունուսացմա.

Տ ա մ ո ւ ն ց ո ւ ս ո ւ ն ց ո ւ ս ո — Տայառութան այս մամեծ մումից.

Տ ո ց ո ւ ն ց ո ւ ս ո ւ ն ց ո ւ ս ո — Տայառութան այս մամեծ յիշեցնուած յիշեցնուած.

Տ ե մ ո ւ ն ց ո ւ ս ո ւ ն ց ո ւ ս ո — Տայառութան այս մամեծ յիշեցնուած.

Ա ր մ ա ն ս կ ա գ ո ւ ս ո — Արмянская география VII века по р. X. Текст и перевод, из-
дал К. П. Патканов, 1877.

И Կ Ո Մ Ա Օ — Известия Кавказского отдела московского императорского ар-
хеологического общества.

Н. Адонц. Армения—Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, СПБ, 1908.

М Կ Ա — Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана и Закавказья,
I—IX, 1926—1966.

Մ Ե Գ Հ Կ — Материалы для изучения экономического быта государственных
крестьян Закавказского края.

Օ Ր — Е. Такашвили, Описание рукописей «Общества распростран-
нения грамотности среди грузинского населения», Тиф. 1906—1912

СМОМПК—Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа.
ТКАЭ—Труды Кахетской археологической экспедиции, I, Тб., 1969,
G é o g r a p h i e de Moïse de Corène d'après Ptolémée. Texte arménien
traduit en français par le p. Arsène Soukry Mekhitariste, 1881,
Mémoires-Saint-Martin—J. Saint-Martin, Mémoires historiques
et géographiques sur l'Arménie, t.II, 1819.

ශ ۱۴ ۰۰ ۶ ۷ ۰ ۶ ۰

පිරින් පැක්ශීලුම

- | පිරින් පැක්ශීලුම | පිරින් පැක්ශීලුම |
|--|--|
| අභාශිත්‍ය ල. 221 | අන්තර්ජාල 237 |
| අඛණ්ඩ-මෙලුද්‍යෝ 67 | අනිජංක්‍ය ම. 141, 142, 144, 145, 153 |
| අධික්‍රිත-නොජ්‍යසේලා ත්‍ර 18, 19 | අනිත්‍රායෝ ලංඡලියෝරිට්‍රෝ 173, 229, 230 |
| අඛරාචිත්‍යෝලි ත. 8, 9, 10, 15, 17, 27, 58, 60, 194 | අනිජ්‍ය රාජ්‍ය පාලන පිරින් පැක්ශීලුම 43 |
| අඛ්‍යාලය ටල. 64, 165, 193, 220, 227 | අනිජ්‍ය පිරින් පැක්ශීලුම 50, 51 |
| අඛ්‍යාලය 41 | අනිජ්‍යෝ 62, 63, 64, 67, 68, 69, 74, 75, 76, 77, 80, 81, 84, 85, 86, 104, 112, 120, 121, 122, 156, 241 |
| අඛ්‍යාලය 63, 64, 104, 121, 122, 123, 240, 241 | අනිජ්‍ය 32, 68 |
| අග්‍රානා 54 | අනිජ්‍යෝ 41, 42, 128, 173, 210, 211, 222, 223, 225, 228, 229, 230, 236 |
| අඛරාන්තාසු අඛරාන්තාසානි 63 | අත්‍රින්දෝ ම්‍ය. අඛරාන්තාසු මාග්‍රහාතිමෙන් පිරින් පැක්ශීලුම 209, 211 |
| අඛරාන්තාසු (අඛරාන්තාසු) ප්‍රාග්‍රෑහීය මුදුව 180, 187 | අනිජ්‍ය පුද්‍රාලි (ම්‍යාජ්‍යෝරි) 157 |
| අඛරාන්තාසු පිරින් පිරින් පැක්ශීලුම 177 | අනිජ්‍ය පුද්‍රාලි 133, 211, 212 |
| අඛරාන්තාසු (ජාගරාත්මක්‍රී) 41, 64, 69, 136, 156, 157 | අනිජ්‍ය පූජාමි 143, 191, 192 |
| අඛරාන්තාසු ප්‍රක්‍රී 121, 122, 123, 156 | අනිජ්‍ය පුද්‍රාලි 109, 136, 137, 155, 156, 157, 159, 160, 173, 174, 175, 176, 177, 186, 187, 188, 189, 196, 205, 224 |
| අඛරාන්තාසු ප්‍රාග්‍රෑහීය මුදුව 178, 182, 190, 191 | අනිජ්‍ය පුද්‍රාලි 181, 188, 195 |
| අඛරාන්තාසු පිරින් පිරින් පැක්ශීලුම 32 | අනිජ්‍ය පුද්‍රාලි 117, 178, 179, 180, 189, 190, 191 |
| අඛරාන්තාසු පිරින් පැක්ශීලුම 181 | අනිජ්‍ය මිත්‍යාර්ථි මාර්ගිලුදා පිරින් පැක්ශීලුම 135 |
| අඛරාන්තාසු මාගිස්‍රිත්‍රා 219, 221, 222 | මාග්‍රහාත්‍රි II 183 |
| අඛරාන්තාසු 163 | මාග්‍රහාත්‍රි III 183, 184, 187, 223, 225, 226, 227, 228, 229, 230, 231, 232, 233, 235, 236, 242, 243 |
| අඛරාන්තාසු මායෝග්‍රෑහීය පිරින් පැක්ශීලුම 194, 215 | මාග්‍රහාත්‍රි IV 191, 230 |
| අඛරාන්තාසු මායෝග්‍රෑහීය පිරින් පැක්ශීලුම 194, 215 | මාග්‍රහාත්‍රි ප්‍රාග්‍රෑහීය මුදුව 224 |
| අඛරාන්තාසු මායෝග්‍රෑහීය පිරින් පැක්ශීලුම 194, 215 | මාග්‍රහාත්‍රි පුද්‍රාලි 137, 138, 176, 183, 185, 187 |
| අඛරාන්තාසු මායෝග්‍රෑහීය පිරින් පැක්ශීලුම 194, 215 | |

- გაგრატ მაგისტროსი 181, 195, 224
 გაგრატ შეფე 221
 გაგრატ ჩაგვენი 225, 229
 გადაბეჭ შ. 131, 133, 186
 გალაზორი 20, 21, 22, 23, 24, 28, 29,
 30, 31, 32, 33, 34, 38, 39, 42, 47,
 130, 214
 გარნეული ს. 220
 გარსულარიანი მ. 40, 42
 გასილი ზარზელი 110, 113
 გასილი კეისარი 172, 173, 229, 230
 გასილი სოფენელი 53, 152
 გასილისესი 14
 გაქრაძე ა. 218, 220
 გაქრაძე ღ. 164, 165
 გახტიშორ ხევსრი 238, 240, 241
 გერი ხევსუფალი 217
 გერიტა ერისთავი 240
 გერძენიშვილი ღ. 148, 193, 221
 გერძენიშვილი ს. 14, 24, 62, 65, 66,
 82, 83, 147, 148, 184, 200, 208,
 209, 214, 215, 218, 223, 224, 226,
 227, 228, 232
 გერძენიშვილი მ. 61, 171
 გეგა 207
 გეშენ ბაქლაური 111
 გიბილი 103
 გოგვერაძე ა. 111, 112, 115, 116, 177,
 185
 გოლძევაძე ს. 220
 გოჭორიძე გ. 188, 218
 გოხონიძე ა. 27
 გრილიანტოვი ა. 55
 გროსე გ. 195
 გრლა თერქი 40, 41
 გრჩტ-გშო 239

 გარლაბან ქართლოსანი 46
 გასევიანი გ. 148
 გაჩილი 46
 გელაშვილი გ. 74
 გვასალია ჭ. 28, 37, 98, 105, 218
 გორგო I 217, 230
 გორგო I, იუნაზთა შეფე 184, 227,
 230
 გორგო II 221, 230
- გორგო II, იუნაზთა შეფე 217, 218,
 222, 224, 225, 227, 235
 გორგო III 56
 გორგო VIII 219 **ერმოველი**
 გორგო ხევსუფალი 217 **გრიგორი**
 გორგო შერჩეულე 54, 65, 174, 176,
 179, 180, 181, 188, 190, 203, 226
 გორგო მაგისტროსი 224
 გორგო წირჩინელი 111, 116, 117
 გულგვერდება 74
 გოზალიშვილი გ. 10
 გრიგოლ კახეთის მთავარი 213
 გრიგოლ ხანცელი 159, 160, 171, 172,
 180, 189, 202, 203, 212
 გრარამ ერისმთავარი 13, 32, 156
 გუარამ კურაპალატი 63
 გრარამ მამეფალი 138, 176, 177, 182,
 183, 185, 189
 გრედეა ტ. 240
 გრენი ტაოსკორელი 166
 გრეგორ ერისმთავარი (მაგისტრო-
 სი) 143, 178, 179, 180, 181, 189,
 190, 191, 192, 193, 196, 197, 211,
 223, 224
 გრეგორ ერისმთავარი 13
 გრეგორ მეფეთა მეფე 159, 170, 173,
 187, 225, 230
 გრეგორ კურაპალატი 206
- დაღიანი 144
 დავით არგვეთის მთავარი 77, 79, 84,
 112, 141
 დავით აღმაშენებელი 131, 133, 162,
 163, 244
 დავით ბაგრატის ძე 183, 185, 187
 დავით ერისმთავარი 178, 191
 დავით კურაპალატი 170, 172, 184,
 187, 210, 224, 225, 226, 227, 229,
 230, 236
 დავით მაგისტროსი 195
 დავით მამეფალი 181
 დავით წინასწარმეტყველი 64, 156
 დავით (ტირიჭანის ძმე) 165
 დავლიანიძე ღ. 20
 დარჩილი 84
 დაჩი 6

- დემიტრე, ლეონ აფხაზთა მეცნის მემ-
 კვებული 224
 ღოლიძე ვ. 237
 ღოლიძე ის. 209

 შვეტათი მცხვეთელი 7, 116
 ეკატერინე II 48
 ელიაშვილი 74
 ემინი ნ. 132
 ერემიანი ს. 121, 161, 163, 167, 168

 ვარაზ გაგელი 43
 ვარაზ-გრიგოლი 41, 42, 43
 ვარაზ-ვარდი 32, 68
 ვარდან ღილი 42, 109, 132, 133, 155,
 156, 157, 158, 167, 235
 ვასე სომხეთა მთავარი 156
 ვარშმანი 63
 ვარსკერ პიტაზში 49, 50, 51
 ვარტანგ VI 48
 ვარტანგ ვარტანგალი 5, 6, 9, 13, 14, 15,
 21, 32, 33, 38, 45, 51, 52, 73, 76,
 86, 103, 104, 109, 156, 232
 ვაჟუშტი ბატონიშვილი 14, 19, 20, 35,
 36, 46, 47, 55, 56, 65, 66, 71, 74,
 78, 79, 80, 87, 88, 89, 91, 92, 93,
 94, 98, 99, 100, 102, 106, 107,
 112, 121, 122, 123, 124, 125, 126,
 127, 128, 129, 131, 132, 133, 134,
 135, 138, 140, 141, 144, 146, 147,
 149, 151, 152, 161, 162, 163, 165,
 166, 167, 177, 178, 184, 198, 199,
 200, 202, 203, 205, 207, 208, 209,
 237
 ვაჟან-ვარაზ-იორგანი 68
 ვეზანი 32

 ზარდალიშვილი გრ. 199, 200
 ზაქარია პ. 12, 106
 ზენობ გლავი 173, 174
 ზირაქი 40

 თალილი 75
 თამარ მეუე 56
 თამარის პირველი ისტორიისი 56
 თაყაიშვილი ე. 75, 110, 114, 119, 146,
 155, 157, 159, 160, 161, 165, 169,
 170, 172, 173, 176, 177, 186, 189,
 190, 191, 192, 193, 195, 201, 202,
 203, 225, 243
 თეოდოსი „ალექსანდრე მარიამ 213, 224
 თეოდოსი განკრელი 32, 55, 83
 თეოდოს ქამთალმწერელი 13, 59
 თოლიძა თ. 25, 88
 თოლდატ სომხეთის მეფე 174
 თუმანივა ქ. 40, 175

 ბაკები 21, 130
 ბაკუთი 21, 22, 23, 24, 241
 ბბნ-ალ-ასირი 243
 ბბნ-ალ-ფაյიმი 30, 130, 241
 ბბნ-რუსტე 239
 ბბნ-ხორდალე 39, 129
 ბბნ-ჰაუელი 234
 იეზილივერდ II 8
 ივანე მარტინი ძე 224, 225, 227
 ივანე ტბელი 216, 217
 ილარიონ ქართველი 123, 124
 ინგოროვა პ. 54, 62, 65, 111, 112,
 147, 148, 161, 163, 168, 169, 175,
 190, 195, 196
 იოანე ბაეურ ყანჩაელის ძე 186, 216
 იოანე დრასხანაერტელი 40, 41, 42,
 131, 133, 151, 185, 189, 190, 192,
 193, 196, 210, 211, 212, 214, 222
 იოანე კურკუანი 193
 ისე შიხის ძე 138
 ისე წილენელი 18, 19
 იოანე საბანის ძე 135, 142
 ისთახი 34, 39, 233, 234, 241
 იუსტინიანე კეიისარი 12, 15
 იშხანიკ, ალექსა მეუე 234

 ქავალი 9, 10
 ქავაბაძე ს. 6, 187
 ქამანაძე ლ. 59
 ქარაულოვი ი. 39
 ქარიჭი (ურტიჭი) 41, 45
 ქასრი 63
 კიკელიძე ქ. 57, 110, 115, 119, 142,
 179, 234
 კვირიაკოს 149

- კვირიე შეფე (დალი) 88, 134, 135
 კიკები ა. 17, 18, 23, 28, 31, 33, 50,
 198, 215
 კირაუზი 42
 კირონი 13
 კლაპროსი 98
 კობაძე ლ. 88
 კონსტანტინე IV 27
 კონსტანტინე აღვეთის მთავარი 141
 კონსტანტინე აფხაზთა შეფე 217, 222
 კონსტანტინე კეისარი 173
 კონსტანტინე პორტიკონგენერი 77, 79,
 84, 112, 141, 142, 143, 181, 182,
 183, 184, 185, 186, 188, 189, 191,
 192, 193, 194, 195, 196, 197, 204,
 216, 222, 224, 231, 232
 კორიუნი 42, 45, 50
 კოსტანტი ქართლის გამგებელი 181,
 184, 185, 218

 ლაზარე ფარპელი 42, 51, 162, 171
 ლევან კახთა შეფე 44
 ლევონდი 61, 120, 121, 123, 124, 125,
 128, 129, 160, 171
 ლეონ II აფხაზთა შეფე 80, 140, 144,
 224, 227
 ლეონ აფხაზთა მთავარი 81
 ლეონ I (იმპერატორი) 8, 15
 ლეონ V (იმპერატორი) 158
 ლეონ VI (იმპერატორი) 195
 ლეონ ქართლის ერისთავი 222
 ლეონტი მროველი 35, 36, 44, 47, 62,
 70, 71, 72, 129, 162, 170, 209, 243
 ლეონტი სტრატეგოსი 59
 ლიპარიტ ბაღდაში 182, 185
 ლიპარიტ ჩატის ქ 228
 ლომოური თ. 127
 ლომოური ნ. 18
 ლორქიფილიძე ვ. 21, 22, 23, 24, 28,
 29, 30, 62, 102, 115, 130, 133, 140,
 141, 142, 188, 197, 213, 214, 227,
 236
 მანილა ხევისულალი 221
 მანანდიანი ი. 39
 მანსური 129
 17. ლ. მუსხელიშვილი
- მარკვარტი ი. 30, 40, 158, 192, 198,
 194
 მარი 6. 55, 201, 202
 მასლამა 68, 85
 მასული 128, 189, 192, 193, 216, 233,
 234, 236, 239
 მაქსიმე აღმსარებელი 52, 53
 მელითაური კ. 102, 109
 მელიქიშვილი გ. 27
 მელიქისეთ-ბეგი ლ. 124
 მენაბდე ლ. 226
 მეორე ანასტასი 53
 მესროპი 44, 45
 მესხია ჭ. 105, 108
 მეფისაშვილი ა. 216, 217
 მინოსესი ვ. 67, 190, 192, 194, 233,
 234, 235, 236, 238, 239, 241
 მირციტ ვაჟანგის ქ 6
 მირი 63, 76, 77, 81, 84, 85
 მირინ სამცნის მთავარი 111, 177,
 185
 მირინ ქართლის მეფე 18, 52, 63, 81,
 208
 მირინ თარხონის ქ 220
 მიქეალი 75
 მოსე კალანკატუელი 20, 41, 42, 45, 67,
 74, 75, 128, 129, 133, 212
 მოსე ხორგნელი 42, 45, 50, 171
 მოპამედ ხალიდის ქ 137, 176
 მუნჯიშბაში 243
 მურვან იბნ-მუქამედი (მურვან ურუ) 29,
 58, 59, 68, 76, 77, 79, 85, 86, 91,
 155, 156
 მუსხელიშვილი ლ. 5, 12, 26, 28, 32,
 33, 36, 38, 39, 47, 59, 60, 62, 64,
 73, 76, 82, 87, 93, 94, 101, 103,
 107, 122, 124, 125, 127, 128, 211,
 214, 215, 219, 220, 221, 223, 224,
 227, 235, 238
 მუსხელიშვილი ლ. 192, 193
 მცხეთისი 209
 მხითარ ამავენელი 109

 ნამრა გუარამის ქ 176, 177, 183, 185
 ნერსე ნერსიანი 63
 ნერსე ქართლის ერისმთავარი 77

- ნერსე სომხეთის კათალიკოსი 170, 171
 მარიენტივის 57, 142
 ორმიზნ 4 IV 9, 27
 ოსმანი 20
 ოძრახოსი 140, 209
 პაპუა-შვილი თ. 65, 128, 227, 234
 პატკანოვი ჭ. 146
 პერიში 8, 14
 პლინიუსი 49
 პროკოპი კესარიელი 6, 7, 12, 85, 107, 206
 შამთააღმწერელი 162, 163, 169
 უორდანია თ. 43, 164, 165
 რამიშვილი ჩ. 7, 17
 რატი ბაღვაშვი 183, 219—222, 228
 რევი 63
 როსტომ ბიბილური 106, 108
 საბა იშხნელი 160, 171
 საბინინი მ. 19, 78
 სალმან იბბი-რაბია 20, 21, 33, 34
 სამაკ ალვანენის მთავარი 133, 211, 212
 სამაკ ისმაილის ძე 137, 138
 საპლ სუმბატიანი 129
 სებეოსი 42, 170, 171
 სენ-მარტინი ჭ. 42
 სერაპონ ზარზმელი 110, 111, 113, 115, 119
 სილაგაძე ბ. 21, 29
 სიხარულიძე ე. 22, 24, 25, 28—30
 სტეფანე ბიზანტიელი 205
 სტეფანე მტბევარი 179, 180
 სტეფანე ვარჯანის ძე 135
 სტეფანოს ქართლის ერისმთავარი 77
 სტეფანის ობელიანი 41, 45, 133, 189, 212
 სტეფანის ტარონელი (ასოლიკი) 41, 236
 სტრაბონი 105, 206
 სუმბატ დავითის ძე 6, 32, 42, 68, 137, 155, 158, 172, 173, 175, 176, 229, 242, 243
 სუმბატ ერისთავერებისთავი 181
 სუმბატ ერისთავე 181
 სუმბატ ერისთაველი 198
 სუმბატ ერისთავე 171
 სუმბატ ტიფლერები 18, 21, 22
 სუმბატ ა. 42, 56, 146
 ტაბარი 21—26, 34, 36, 40, 41
 ტიბერიის III 60
 ტირიქანი 165
 ზელოსი 71, 72
 ზალა ქორეპისკოპოსი 181
 ფალონი 235, 242, 243
 ფავსტის ბუზნდი 42, 44, 45, 171
 ფანასეურტელი თავა 163
 ფარნავაზი 44, 72, 83
 ფარსმან ერისთავი
 ფერიში 63
 ფლავიუს არიანე 8
 ფსევდო-შაპურ ბაგრატუნი 211
 ფუთურიძე ვ. 34, 129
 ჭ. 146
 ქართლის 46, 209
 ქობულ ხევისუფალი 220
 ქუჩი 83
 შაუხჩიშვილი ს. 152, 195
 ყრე, იხ. მურვან ყრე
 შანიძე ა. 147
 შაპურ ბაგრატუნი 157
 შაპებაზი (შაბაზი) 65
 შერო 67
 შიო მღვიმელი 54
 შოშიაშვილი გ. 217
 შუშანიკი 116
 ჩაკვეტაძე ე. 150
 ჩართოლანი შ. 15
 ჩუბინაშვილი გ. 11, 40, 215, 222, 246
 ჩხატარაშვილი გ. 150
 ჩხერია შ. 19, 37
 ცაგარეიშვილი ე. 193

- Անգլաց Յ. 109
 Արևարդի՛շվիլո Յ. 178, 217, 224, 230
 Արթուր Շվեյցար 8. 78, 82, 108, 149
 Արթուր Շվեյցար ռ. 22

 Եղիշելու Ց. 40
 Քուտասանո 108
 Քմինդա გոծհրանո 179—181, 189
 Քմինդա նոն 19, 109, 108

 Թոլա՛մշվիլո Ը. 12, 36, 39

 Ֆալուլ (Ֆալուլ) օանօდու մց 138
 Խթ՛մանշվիլո Ը. 237
 Խուրհ I անշմարկոն 9, 10, 21
 Խուրհ II 27
 Խուրդարա ց. 36
 Խուրսո გարզմանու մտաւարո 45

 Զավածի՛շվիլո օ. 23, 24, 28—30, 45,
 47, 57, 85, 110, 113, 120, 136—138,
 155, 159, 169, 170, 172, 173, 175—
 177, 179—181, 183, 185, 187, 198,

 Абрамишвили Т. Я. 8
 Адони Н. 101, 161, 174
 Анчабадзе З. В. 81, 140

 Баладзори 20
 Бриллиантов А. 54, 56

 Вардан 109
 Вачиадзе Н. З. 112
 Вермишев Х. А. 210

 Гамбашидзе Г. 237
 Георгий Мерчул 201

 Дедабришвили Ш. Ш. 105
 Джалағания И. А. 9

 Еремян С. Т. 121

 Жуаէ Պ. Կ. 20, 21

199, 201, 203, 210, 214, 223, 228
 242
 Հալարօնու օ. 8, 10, 16, 17, 60, 118,
 119, 126, 139
 Հանա՛մշվիլո Ց. 66 ՏՈՒՇՎԱՐՄԱՐՅԱՆ
 Հանա՛մու Ե. 7, 12, 13, 24, 57, 59, 62, 71,
 72, 110—113, 136—138, 140, 142,
 150, 153
 Հարավ օճճ-աճճռլայո 21, 22
 Հցցանշոր ալցանցուս մտաւարո 41, 42
 Հնձլու 43
 Հցցանշոր 6, 42, 62, 70, 75, 129
 Հցցանշոր ցրուստայո 69
 Հցցանշոր ցրումտայարո 121, 156
 Հցցինը, օ. ցցրցց ցրուստայուրուստաց

 Հանօն օճճ-աճճռլայո 20—23, 28—34, 38,
 52, 59, 103
 Հանամ Հյուրու մյուս 128
 Համբալլայ Կանչենու 34, 39
 Հարսն շր-համուսո 130, 158
 Հյույլու I 15, 17, 20, 83

Заходер Б. Н. 242

 Капанадзе Д. Г. 13
 Кузинцов В. А. 235

 Леквинадзе В. А. 82
 Лордкипанидзе О. Д. 60

Максим Исповедник 54
 Марков Ф. Т. 149
 Марр Н. Я. 201, 207, 231, 237
 Мачабели М. В. 87, 93, 95, 101
 Меликишвили Г. А. 49, 82, 113, 114
 Мелитаури Կ. 27
 Меписашвили Р. 186
 Миллер В. 55
 Минорский В. Ф. 74, 190, 233, 243
 Мнацаканин А. 234
 Мусхелишвили Д. Л. 60
 Мушегян Խ. А. 58—60, 118, 139

Носович Д. Н. 153
Панчадзе Г. Г. 48
Пахомов Е. А. 58, 59, 62, 118
Ртвеладзе Э. В. 15
Рущич А. Н. 15
Серапион Зарзмели 112
Такайшвили Е. 159, 162, 185, 195,
225
Хабиб сын Масламы 24

Цоцелия М. В. 8

Чубинашвили Г. 98, 103, 106, 110, 112,
109, 185, 238
Шмерлинг Р. О. 237
Юстиниан 101
Эмин Н. 109, 132
Эсадзе С. 146
Якуби 21

Brosset M. 39, 43, 109
Ghazarian M. 23, 28—30, 33
Hübschmann H. 34, 41
Klaproth I. 98
Langlois V. 30, 174
Marquart I. 157, 191

Markwart I. 23, 28—30, 39—41, 157,
191
Minorsky V. 29, 43, 129, 243
Mkhithar d'Airivank 109
Ohsson d'M. 30
Saint-Martin J. 50
Toumanoff C. 40, 157, 160, 177, 186

Ա. Ա. Տաթևիս Մոկացի 128
Հակոբյան Բ. 51
Դ. Եւսեբ 120

Շապուհ Բագրատունի 211
Ստեփանոս Տարոնեցի 128
Ստեփանոս Օբբելիան 128

ՑՈՒՑԻՐԱԾՈՂՈՒԹՅՈՒՆ ԽԱՑՄԵՐԸ

Ածանչուն 52, 53
Ածանուն եցյօն 89
Ածանուն 177
Ածնօյն 195
Ածողուն (աշողուն, աշողն) 31, 32, 51, 63,
70, 72, 74, 138, 157, 176, 177, 182,
183
Ացրամիսոն 74

Ագլուրո 16
Ազարոս 239
Ազարոս պառակ 94, 239
Անցրձայիշնո (աճահմագացնո) 20, 21,
242, 243
Անորդացորո 160, 165, 172
Անորդոս 161
Առհամացրո 163, 212,

- „აფხაზთა სამეცნი“ 130, 140—144, 149,
 152—154, 198, 204, 210, 227, 236
 აფხაზთა სამთავრო 204
 აღმოსავლეთი საქართველო 37, 38, 48,
 49, 54, 57, 58, 60, 83, 85, 95, 100,
 105—107, 118, 119, 127, 204, 220,
 223
 აღდაში 74
 აღსტატური (აქსტატურა-ჩაი) 29, 31, 39,
 44, 133
 აღგაყალბა 39
 აშ-ყალბა 195
 აჩაევთის ხევი 35
 აჭარა 18, 32, 35, 54, 143, 144, 156,
 157, 168, 177, 181, 182, 184, 191,
 192, 201, 203, 205
 აჭარა-ახალციხის ქედი 85, 144
 აჭარის წყალი 143, 144, 203
 ახალსოფელი 93, 94, 95, 118
 ახალქალაქი 194
 ახალციხე 194, 205, 260
 ახმეტა 100, 127, 207
 ახლელი 96
 ახურიანი (ამრაჩი) 31, 72, 74
- პაბაქიარის ქედი 47
 პაზალეთი 19, 28, 31, 36, 37, 70, 71,
 81, 87
 პათუმი 143, 144
 პაილაქანი 33, 235
 პალასაკანი 120, 121
 პამბაკის ხეობა 211
 პანა 162, 164—167, 169, 171—173
 პანას წყალი (ცენია-ჩაი) 159—162,
 166, 167, 169
 პარდავი 34, 41, 59, 158, 175, 235, 243
 პარლიზ-ჩაი 160, 166, 169, 173
 პარლუს-ჩაი 159
 პარიკა 21
 პარჩალ-სუ 161, 162
 პასიანი 163, 195, 196, 225, 229, 230
 პაქტრია 8
 პაცა 202
 პასტრიონი 16, 60, 118
 პელი 96
 პელია 55, 140, 141, 147
- პელაქანი 94
 პელაქის წყალი 66
 პეკანიანი 95
 პერდაცური 160 კარი 172
 პერდუგი 44, 46 ტერდუ 172
 პერთა 202
 პეხი 120, 121, 123
 პზილი 56
 პიეთი 186
 პიზარტია 5—7, 9—11, 17, 18, 20, 52,
 53, 57—60, 119, 130, 140, 142—
 144, 156, 158, 171, 181, 187, 193,
 196, 197, 227, 229, 230, 243
 პიროვისი 211
 პირკანი 97
 პიკენტრა 8, 12, 18, 56, 58, 145, 235
 პიკნისი 109
 პობალეთი 108
 პოლბე 95, 125
 პოლბისხევი 95
 პოლნისი 8, 9, 46, 139, 140
 პოლნისის ხევი 35 50, 51, 220
 პოჭორმის ციხე 109
 პოკერი 106
 პუა-ყალბა 163
 პუკულუსი 53—55
 პუქლოოსი 55
 პულათა-უტრი 162, 163, 165, 172
 პუხა 160, 163, 166, 172
- ჰაგი 39, 109
 გავაზი (გაგაზი) 93—95, 125, 128
 გალიათი 15
 განძა (განგა) 59, 133, 235
 გარდაბარი 21, 28, 31, 38—43, 45—48,
 70, 73, 131—133, 211, 212, 235
 გარდმანაძორი 44
 გარდმანი 40—45, 132, 133, 212
 გარეახეთი 95
 გარეგა 125, 131, 138
 გარნისი (ჭერნი) 31
 გალმაშხარი 33, 88, 93, 99, 122, 123
 გაჩიანი 39, 40, 44, 46, 47, 51
 გაღათი 61, 119
 გეოჭ-ჩაი 234
 გერლიმან-ჩაი (გირლიმან-ჩაი) 40, 234



- გერუსი 234
 გაღვეუ 120, 121
 გაღმი 212
 განდორის ხეობა 56
 გაში 65, 66, 125, 126, 128
 გაშის წყალი 65, 66, 74
 გოლერძის ხევი 111
 გომბორის ქედი 95
 გომეწარი 89—91, 99—100
 გონიო 143
 გონგაზევი 92
 გოროზი 234, 235
 გრანი 134
 გრემი 92
 გრუსის ცახე 105, 106
 გრავირანვი 11
 გრგარეთი 24
 გრგარევი (გოგარენე) 44, 45, 50—52
 გრელავევი, იხ. ზიგანევი
 გრელავლა (გალგალი), 64, 67, 121,
 122, 124
 გრია 77, 80, 84, 85, 119, 140, 141,
 144, 147, 149, 153, 154, 166, 209,
 238, 239
 გრერიანთა 147
 გრეჩეანი 100
 გრერიბოლაზი 195
- და** დალეში 69
 დათუნა 237
 დამბლეტი 139, 140
 დარიალანი (დარიალი) 14, 16, 21, 28,
 31, 33, 214
 დარუბანდი 59, 233, 241, 242
 დასავლეთი ალვანეთი 39
 დასავლეთი საქართველო 60, 61, 63,
 75—77, 80—84, 86, 106, 107, 118,
 120, 204, 231
 დალესტანი 31, 65, 92, 94, 100, 125,
 127, 239—242
 დალესტნის მთები 93—95
 დებედა 39, 46, 47, 50, 65, 133
 დეუბანი 90
 დფალეთი 10, 19, 108, 235, 237
 დფანი 35
 დფინი 23, 31, 59, 60
- დვირი 118
 დილევნისი 202
 დიდი რუ 202
 დიდოეთი 74, 92, 93⁹⁶, 217, 235
 დიდოეთის მთები 96¹⁰, 217
 „დიდოს კევი“ 91
 დიმი (დიმი) 83
 დილმი 138, 220
 დლივი 184, 210, 223, 225, 229
 დმანისი 8, 150, 198
 დორპლევთი 10
- დბრ-ქენლემანი 39
 დგრისი 5, 8, 9, 12, 13, 17, 21, 52—55,
 58—61, 76—79, 81—86, 106, 107,
 119, 140—143, 145, 146, 148, 149,
 151—154
 დგრის-აფხაზეთი 118
 დგრისწყალი 140, 145, 147
 დეცრატი 161, 165, 195
 დლისენი 65, 66, 125
 დლისუ 66
 დლისუს სასულთნო 66
 დნეური 55, 56, 148
 დნიო 96
 დრანი 6, 7, 10, 11, 13, 14, 16, 18, 20,
 21, 49, 57, 82
 დრაქსი, იხ. არაქსი
 დრედგი 216, 217
 დრეთი, იხ. ჰერეთი
 დრეტი 47
 დრუშეთი 176, 200, 209
 დრეწო 7, 14, 15, 17, 18, 35, 36, 100
 დრეწო-თიანეთი 15, 96, 134
- დაქი 79, 82—85, 141, 148, 149, 151,
 152, 204
 „დაქი იმერეთი“, იხ. ვაკი
 დალე 200
 დარცინე, იხ. როლოპოლისი
 დასპურავანი 212
 დაჭირი 95
 დელისტნე 35, 36, 67, 100, 109, 120,
 121, 123
 დელეთილი 96
 დერისაზი 181—183

- ვეგინი 109, 122, 125
 ვერი 220, 221
 ვრაც-ლაშტი 39, 47, 211

 ზაბახავ 49
 ზაგამი 67
 ზაო-ულ-ლუქტი 31, 32
 ზანავი 71, 77
 ზარჩმა 116, 119, 185, 221, 225, 238,
 239
 ზაქათალა 127
 ზაქესი 118
 ზელაზენი 35
 ზელენჩიკი 15
 ზემო ავეალა 60, 139
 ზემო სკანეთი 148
 ზემო ტაო 159, 169
 ზემო ქართლი 6, 7, 30, 34, 37, 48, 49,
 69, 137, 166, 193, 203, 206, 209,
 210, 231
 ზენა სოფელი 27, 70—72, 116, 182,
 206
 ზესტაფონი 16
 ზეარელი 90
 ზეართნოცი 170
 ზეგანევი 152
 ზეგდილი 17
 ზურტაკეტი 69

 თაკვერი 77, 83, 84, 106, 107, 141,
 147, 151, 159
 თაკვირის ციხე 53
 „თამარის ციხე“ 148
 თაუშ-ჩაი 34, 64, 65, 133, 212
 თბილისი 11, 13, 17, 19, 22—26, 28,
 39, 44, 46, 47, 59, 60, 62, 63, 71—
 73, 77, 96, 118, 133, 136—138, 198,
 211, 213
 თბილისის სამირო 62, 198, 210
 თებერდა 15
 თელავი 8, 95, 100, 198, 204
 თელოვანი 215
 თეოდოსიეროლისი 195, 196
 „თეოდოს დექანი“ 96
 თეთრი წყალი 95
 თექმისჩევი 35

 თიანეთი 14, 18, 25, 36, 94, 100, 120,
 134
 თლი 237
 თოლენი 10, 15
 თორთომი (თორთომი)¹ ჩიტიქის 167,
 171—173, 195, 201, 203
 თორთომ-ჩაი 160, 163—165
 თორი 35, 71
 თორილი 88, 89, 91
 „თორილის გალავანი“ 88—92, 109
 თრიალეთი 16, 28, 31, 49, 63, 70—72,
 96, 118, 138, 163, 176, 177, 182,
 183, 207, 211, 219—223, 225, 228,
 236
 თრიალეთის ქედი 72, 96, 214
 თურდოსხევი 67, 88, 109, 121
 თურქეთი 162
 თუშეთი 65, 87—94, 96—98, 100, 235
 თუშ-ტშავ-ხევსურეთი 95, 131
 თუშარისი 167, 170, 171
 თხაძეერდი 237

 იალის ქედი 35
 იალურის ქედი 46
 იბერია, იბ. ივერია
 იდი 161, 162, 167, 169
 ივერია 5, 23, 28—30, 33, 53, 58, 61,
 85, 106, 129, 137, 157, 174, 181,
 188, 194, 196, 206, 215, 222, 223,
 232
 ივრის ცმავი 100
 ივრის ხეობა 14, 69, 100, 109, 204
 ილტო („ირტოს ქვეთი“) 14, 36, 100
 იმერეთი 80, 149, 219
 იმერხევი 202, 205
 იმერქავესია 94, 214, 236
 იმერტოა 159, 160, 169—174, 188,
 225, 229, 230, 231, 243
 ინდოეთი 8
 ინწობა 92, 99
 ინჯა-სუ 44, 65
 იორ-ალაზნის ვაკე 198
 იორის ველი 95, 125
 ირაგა 8
 ირანი, იბ. ერანი
 ისპირ-ტრაპიონის ვთა 164, 168

- ისროლის ხევი 108
 ისულეთი, იხ. ნესორი
 იულთა 90
 იშხანი 159, 160, 162, 164, 167, 170,
 171, 173, 195
 ქაბალა 33, 34, 74, 233, 234
 ქაენი 109
 ქაეშონი 109
 ქავეასი, იხ. ქავეასიონი
 ქავეასია 16, 36, 122, 131, 146, 187,
 210, 232, 241—244
 ქავეასიონი 15, 16, 55, 56, 65, 66, 71,
 72, 74, 81, 88, 89, 91, 93, 95, 103,
 104, 125, 134, 144, 235
 ქავშირი 126, 127
 ქაზჩეთი 8
 ქაკი (ქახი) 66
 ქაკლიანი 100
 ქაკლიანუალა 89
 ქალა-იბნ-ქანდაბანი 39, 44
 ქალაჲ 11, 26, 43
 ქალიკალა, იხ. არზჩერმი
 ქალიონება 60
 ქალმახი (ქამახი) 75, 157, 162, 167,
 174, 177, 190, 206
 ქამბერანი (ქამბერეანი, ქამბისენი, ქამი-
 ბერანი) 5, 32—34, 67, 68, 74, 105,
 120, 121, 123, 124, 220
 ქამუნა 15
 ქანგარქი 35, 50, 51
 ქაპადოკია 193
 ქაპეტი 55, 56
 ქარდახანი 95
 ქარი 150
 ქარინი, იხ. არზჩერმი
 ქარნიცორა 163
 ქარნატაისი 181—184
 ქასპი 30, 35, 36, 70, 71
 ქასპიის ზღვა (გურგენი) 242
 ქასპიშენი 30, 31
 ქასრი 64, 104, 123
 ქატარშა (კოტარშენე) 49
 ქატეხი 94
 ქახაბრის ველი 143
 ქახეთი 8—10, 13, 14, 16, 17, 31, 33,
 35, 36, 38, 47, 51, 52, 58, 62, 64,
 67, 69, 70, 73, 76, 87, 88, 91—101,
 107, 109, 110, 122—127, 129—135,
 137, 152, 154, 158, 208, 249, 252
 224, 225, 241 ბ მ ბ ა მ ი ს ი ს ი ს
 ქახეთის გარმაშხარი 94
 ქახეთის მთა 36, 134
 ქახეთის მთიულეთი („მთეულეთი ქა-
 ხეთისა“) 6, 14, 131
 ქახეთის საერისთავო 88
 ქახეთის სამთავრო 194, 210
 ქახეთ-ჰერეთი 69, 76, 104, 105, 112,
 117, 122, 124, 125, 127, 189, 204,
 214, 221, 223, 233
 ქალასური 145
 ქაპანი 89, 99, 100
 ქაფეს ციხე 195
 ქავერია 100, 102, 109, 134
 ქოში 65—67, 74
 ქლარჯეთი 6, 28, 30—32, 34, 35, 48,
 49, 52, 63, 64, 69, 70, 71, 75, 143,
 155—159, 161, 167, 168, 170, 175—
 178, 180, 184, 186, 190, 191, 193,
 203, 205, 210, 225, 227, 230
 ქლდეკარი (კლდეკარი) 109, 183,
 219, 228
 ქლისურა 79, 81, 86
 ქლიჩი 54—56
 ქლმანი (კლმანი) 34, 63—65, 70, 73
 ქლოორი 54—56, 145
 ქლა 75, 160, 161, 163, 167—169,
 177, 182, 184, 192, 200, 206, 209,
 222, 223
 ქლა-არტანი 69, 184, 200, 225, 229,
 230
 ქლა-არტან-ერზეთი 199
 ქლა-არტან-ჭავეხეთი 200, 201, 204
 ქლბდი 44
 ქლოორისი 143
 ქლხეთი 81
 ქონსტანტინებოლი 152, 160
 ქონგაშინის ქედი 74, 125, 234
 ქორბოლი 119
 ქოჭორი 96
 ქრასნორდი 16
 ქულმუხი 65

- კუმბელთა 15
 კუმტრი 178, 224
 კური, იხ. მტკვარი
 კურტანაძეული, იხ. ხევისჭალა
 კრეთი 28, 31, 35, 36, 38, 51, 52, 70,
 73, 87, 131, 132, 134, 135, 138, 140

 ლაგოდეხი 60, 94, 126, 127
 ლაზეთი (ლაზიკი, ლაზია) 6, 21, 52—
 54, 77, 82, 85, 152
 ლაზისტან-დაღი 161
 ლაილი 114
 ლაქეპატის ხევი 63, 104
 ლალალო 67
 ლალისური 90
 ლანჩხეთი 17
 ლატალის ხევი 114
 ლაშეთი 148
 ლეკეთი 93
 ლეკითი 126
 ლელანი 126, 127
 ლენინაჟინი 231
 ლენქრი 89, 90
 ლეჩხემი 53, 77, 107, 141, 146, 147,
 207
 ლეჩხემ-სვანეთი 114
 ლეხურა 19, 138
 ლიახვი 138
 ლიგანი, იხ. ნიგალი
 ლილი 96, 134
 ლიხის ქედი 54, 141, 144, 151
 ლიხთომერი 57
 ლომისიანთა 176, 177
 ლომოტანის ხევი, იხ. ლომოტი
 ლოპოტი 19, 69, 90—93, 99, 102, 109
 ლორე 50, 104, 133

 მავრანეთი 16, 17
 მამისონის ულელტეხილი 15
 მამროვანი 165, 166, 169, 171—173
 მანავი 95
 მანავის თავი 95
 მანავის ციხე 109
 მანგლისი 22—25, 28, 35, 49, 63
 მანგლისის ქევანა 51
- მანგლისის ხევი 35, 50, 51, 70, 72, 73,
 183, 219, 221, 228
 მანგუტის ხევი 46 ტერმინები
 მანგალისი, იხ. მანგლის უსამდინოებები
 მარილისი 134, 135
 მარსანი 67
 მარტყოფი 96, 134
 მარხის ულელტეხილი 15
 მასტარი 196
 მასქათი 21
 მალარა-დაღი 161
 მალარო 95
 მაწხანი 95
 მაშეხი 126, 127
 მაშიმის ხეობა 44, 94, 126
 მაჭიარეული 87
 მაჭი 109, 122
 მაჭის საერთოთავო 125
 მაჭის ციხე 94, 102, 126, 127
 მერია 119
 მერისი 205
 მერცხალ-ბეღი 96
 მერჯვეო 61
 მესტია 148
 მესხეთი (სოფ.) 61, 119
 მესხეთი 6, 182, 231
 მესხეთის ქედი 144, 154
 მესხეთ-ჭავახეთი 200
 მესქითის მთა 161
 მესქიდ ძილ-ჯარნაინი 194
 მეწირანქი (მესირანი) 34
 მეწკვანქი (მესკანი) 34
 მეჭუდა-ისროლის ხევი 218, 221
 მეჭუდის ხეობა 217
 „ძთა ქართლი“ 16, 26, 215, 216
 მთისმირი (არეშე) 93, 94, 126, 127
 მთიულეთი 16, 63, 70, 73, 97, 98
 მირხანი 95
 მისიმანეთი 9, 12, 15, 18, 53, 56, 145,
 153
 მიქიხიანი 203
 მიყნისწყალი 143
 მოვაჟანი 234
 მოსხიევ (მესხეთი) 206
 მოქე 54, 287
 მოწამეთა 78

- მოხერისის (მოხერისი) 6, 12, 53, 82—
 84, 107, 149, 204
 მუკინისისი, იხ. მოხერისისი
 მტკარი 32—35, 39—41, 45, 46, 65,
 69, 71, 74, 120, 131, 137, 160, 192,
 198, 199, 200, 204, 207, 209—211,
 219, 221—223, 228, 232, 234, 235
 მურლული 161, 168, 201, 203
 მულანი 29
 მუხაციხერა 92
 მუხნარი, იხ. მუხრანი
 მუხრანი 18, 19, 29, 208
 მუხრანის კელი 215
 მუხრანის რუ 215
 მუხრანის ქვეყანა 209
 მცხეთა 8—12, 16, 25, 26, 60, 77, 139,
 140, 150, 152, 194, 208, 209

 ნაგები 134
 ნაკაფუანი 108
 ნამრავანი (ნაჩუმაები, ნაჩიმანი, ნამრა-
 ვანი, მამროვანი) 164—167
 ნარეკევი 139, 140
 ნასტარის რე 215
 ნაფარერლი 95
 ნაქერალა-დილევერლის ქედი 89—91, 99
 ნახილური 46, 47
 ნახევნის ცახე 134
 ნეგოციუსტო 141
 ნესოსი 12
 ნიგალი 137, 156, 157, 166, 175, 201,
 203, 205
 ნიკორწმინდა 233
ნიკოლაი 141
 ნიჩისი 221
 ნოსორნის ცახე 109
 ნოქალაქევი 9, 12, 17
 ნუხი (ნუხა) 33, 66, 74, 128

 ოდიში 17, 55, 56, 84, 141
 ოცეცი (ოცეთი) 57, 98, 99, 108
 ოთხთა კელესია 172
 ოვაში 194
 ოქრიძა 78, 79, 141, 149
 ოლოისი 75, 162—167, 169, 171—174,
 203, 210, 212, 230
- ოლოისის წყალი (ოლოისი) 159—
 162, 165—167, 169, 172, 173
 ოლოის-მამროვანი 203
 ოპიზა 159, 176, 194 **ოპიზები**
 ორბეთი 211 **ორბეთისი**
 ორქობის მთა 161, 164, 168
 ოსეთი (ოსეთი) 10, 14—16
 ოსტანი-მარზეან 120, 121
 ოქალე (ოქალე) 160, 165, 172
 ოქროსცხე 71
 ოშეი 172, 173, 226
 ოცხანე 71
 ოძრხე 44, 177

 პანკისი 87—91, 102, 109, 134, 135
 პანკისის საერთოავო 88
 პანკისის ცახე 87—91
 პანკისის ხეობა 36, 97, 99
 პარტიზაცული 160, 165, 166, 172
 პარტიზის ხეობა 164—166, 172
 პარეარი 28, 46
 პარხალი 161, 162, 167, 168, 170, 172,
 173, 201, 203, 226
 პარხალის მთები (პარხალ-დაღი) 160,
 161, 163
 პატარძეული 96
 პეროჭიკატი 21
 პეროფაეფა 21
 პეტრა 10, 12, 152
 პირიქითი თუშეთი 99, 100
 პონტოს ზღვა 37, 163

 მალეთი 35, 100
 ყინგანი 35, 37, 73, 134

 რანი 42, 50, 122, 243
 რაჭა 16, 18, 19, 32, 54, 55, 77, 141,
 146, 147, 151, 207
 რაჭა-ლეჩერმი 89, 84, 140, 146, 147,
 152, 154
 რაჭის მთა 56
 რექი 137, 138
 რიონი 78, 79, 84, 140, 141, 147, 149,
 198
 რიშა, იხ. რუსთავი
 როლოპოლისი 12, 152

- հռմանօ 143
 հրովարտակություն 215
 հրատակ 35, 36, 39, 64, 69, 71, 73,
 134, 135, 138—140
 ևարտանու (ևարտանյ) 90, 91
 ևազրինեցու 162, 163, 236
 ևածոց 91, 93, 95
 ևազարյակություն 95, 96
 ևազոմու 34
 ևազլատու 215
 ևազուրամու 35
 ևալուցու 96
 ևազգություն 57, 123
 ևազոնյ 118
 ևանցիլու 66, 122, 123
 ևանքություն 92
 ևազգասունու 164, 165, 168
 ևայքու 55, 56
 ևայրություն 164, 167
 ևալամիւրու 166, 167
 ևալումոնակ 149
 ևամպիրություն 202
 ևամցունու 134, 139, 140
 ևամբարյություն 79, 154
 ևամովյալայշու 150, 151
 ևամուրու 65, 67, 126
 ևամուրնես սըլությունու 89
 ևամշուղություն 12, 21, 49—51, 192, 198,
 211
 ևամքեյ 8, 9, 18, 21, 28, 30, 31, 35,
 48, 49, 69, 71, 111, 112, 143, 166,
 168, 176—179, 181, 182, 184, 185,
 191, 192, 200, 201, 205, 207, 209,
 210, 220, 225, 238
 ևամքեյ-ևատաճացու 164, 206
 ևամքեյ-քաջակեցու 71, 224
 ևաթիւրունու 215, 222
 ևանահուա, թ. Քանահուացու
 ևարունու 238, 241, 242
 ևարյունեցու 202
 ևասեռունու 9
 ևալուսուրյուս 109
 ևալուտյուն 202
 ևալուրըլու 208
 ևայրատացություն 5, 8, 9, 12, 15—18, 20,
 21, 28, 49, 52, 74, 76, 79, 81, 86,
 88, 110, 112, 114, 115, 117—120,
 136, 138—140, 145, 150—155,
 162—165, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179,
 193, 194, 195, 196, 197, 198, 199, 200,
 208, 213—215, 219, 221, 224, 226—
 228, 230, 232, 233, 235, 236, 240,
 243, 244
 ևայրեցու 215
 ևայրօնու 95
 ևայրկուռու 36
 ևահոնու 149
 ևահոյացու 149
 ևայնեցու 78, 149
 ևալություն 35
 ևախօսու 149
 ևեծաւությունու 12, 145
 ևյանցու (ևյանցու) 8, 9, 15, 18, 53,
 55, 56, 77, 84, 106, 107, 113, 140,
 147—149, 153, 154
 ևյանցունու մընահը 56
 ևյանցունու (ևյանցունու) ըոնյ 53
 ևյօնա 89, 90
 ևյոնցու 11, 212
 ևյոնունություն 10, 15
 ևյունու 194, 223, 231
 ևյունալու 95
 ևյոնքա 12, 85
 ևյուննու 146, 147
 ևյուրություն 51, 183, 219, 228
 ևյուրունու ըոնյ 53
 ևյունունու (ևյունունու) 10, 11, 20, 31,
 32, 38—40, 45, 50, 54, 57, 64, 67, 156,
 157, 164, 170, 171, 173, 193, 242,
 243.
 ևյունունու (վ. յահուալու) 98, 192, 220
 ևյունունու 8, 12, 58
 ևյունունու 5, 116
 ևյունու (ևյունունու) 161, 163, 201, 243
 ևյունունու եղոնա 88—90, 99, 100
 ևյունունու յեղոնա 71, 72
 ևյունունու 15
 ևյունունու 35, 36, 120
 ևյունունու ըոնյ 53
 էածածկելա 96


- ტანაგეთი 46, 47
 ტავში ხევი (ტალავერ-ჩა) 139, 212
 ტალავრის ხევი (ტალავერ-ჩა) 46, 47
 ტანისხევი 35, 220
 ტაო (ტაიქი) 32, 49, 51, 75, 155, 157,
 159—165, 167—174, 176, 177, 182,
 184, 186, 190, 193—195, 201, 203,
 206, 210, 223, 226—229, 231, 242
 ტაო-კლარჯეთ-შერი 131, 174, 175, 177,
 180—182, 184, 186, 188, 192, 197,
 201, 214, 222, 223
 ტაო-კლარჯეთ-შერი 205
 ტაო-კლარჯეთ-შერშეთი 220
 ტაოსერი (ტაუსერი) 161, 164—167,
 169, 171, 172, 203
 ტაოსევემოთი 165
 ტარონი 64, 122
 ტასისერი (ტაშისერი) 27, 71, 72,
 209
 ტაშირი 35, 45, 50, 51, 63, 70, 133,
 138, 176, 177, 182, 183
 ტაძარანი 165
 ტბათანა 99
 ტბეთი 177, 179, 190
 ტვიბერი 15
 ტიბანი 95
 ტიროვასტრონი 143
 ტორტომი 205
 ტრაპეზური 21, 142, 194, 222, 231
 ტრაპიზონი, იხ. ტრაპეზური
 ტუაფს 141
 ტურიან-ჩა 74, 125, 233, 234
 ტურისციხე 109
 ტფილისი (იხ. აგრეთვე თბილისი) 70,
 71, 75
 ტფილისის აგარავი 46
 ტფილისის გორავი 46
 ტფილისის ქვეყანა 46
 ტყვილანი 215

 ჟღი (უტი), იხ. უტი
 ჟვანამხარი 95
 ჟრბნისი 8, 10, 12, 16
 ჟტიქი (ჟტიქის გაერი) 34, 41, 193
 ჟულისციხე 138, 184, 185, 217, 221,
 222, 224, 225, 228
- ჟქვერიონი 12, 107
 ჟშეტლი 147, 148
 ჟფარმა 8, 12, 36, 62, 76, 87, 101, 131,
 134, 103, 198, 204
 ჟიბულის გამარტინი
 ჟიბულის გამარტინი
 ჟაზისი 8, 12, 152
 ჟაიტაკარანი 235
 ჟანასკერტი 164, 166, 167, 169, 171,
 172, 203, 210, 230
 ჟანავარი (ჟარავნა) 71, 72, 208
 ჟანაქი 166
 ჟარავნის ტბა (იხ. აგრეთვე ჟანავარი)
 72, 208
 ჟარისოსი 133
 ჟარნესი 133
 ჟარსმანის თუშეთი 99
 ჟარცხისი 211
 ჟასიანი, იხ. ბასიანი
 ჟასიანი, იხ. არაქსი
 ჟასონი, იხ. რიონი
 ჟენია-ჩა, იხ. ბანას წყალი
 ჟერსაოსი ქედი 78, 149, 151, 177
 ჟირუზლაბალი (პეროზევატი, პერო-
 ზაკალი) 21
 ჟოთი 61
 ჟოლადატრი 47
 ჟორთი 225
 ჟორჩხისი ხეობა 201
 ჟოცხვისი ხეობა 225
 ჟმაველი 89, 90
 ჟმავი 14, 96—98
 ჟმავ-ხევსურეთი 36, 94
 ჟხოვი 36, 235
- ჸალდია 142
 ჸინდამანი 40
 ჸოზიანი 46
 ჸირელი 220—222
 ჸართველთა ველი 211, 215
 ჸართველთა საურაპალატო 196, 197
 ჸართველთა სმეული 194, 197, 199,
 200, 206, 210, 223, 228
 ჸართლი 5—7, 9—13, 16—23, 25—34,
 38, 40, 42—45, 47, 48, 50—52, 54,
 58, 64, 67, 68, 73—77, 81—86, 98,
 101—103, 105, 110—113, 115, 116,

- 119—121, 123—125, 128—131, 134,
 136, 137, 149, 151, 152, 156, 157,
 159, 160, 168, 174—176, 182—186,
 207, 209, 210, 213, 214, 216—220,
 223, 224, 228, 232
 ქართლის გზა 195
 ქართლის სომხითი 69
 ქართლ-კახეთი 106
 ქისალი 28, 29, 31, 39, 40, 44, 70,
 73
 ქალა 120, 121
 ქანის ცახე 195
 ქესფური (ქესფურისი) 30
 ქენქი 195
 ქეჩინ-სუ 195
 ქვაბლიანის ხევი 69, 71, 111
 ქვაზრელი 225
 ქვემო იმერეთი 61
 ქვემო მარჯანი 95
 ქვემო სვანეთი 148
 ქვემო ტაო 156, 157, 159, 169
 ქვემო ქართლი 8, 9, 17, 21, 25, 28,
 31, 35, 49—52, 69, 70, 72, 136—
 138, 140, 192, 193, 207, 209—211,
 213, 214, 220, 243
 ქვეშისხევი (ქუეშეაფორი) 35, 50, 51,
 120
 ქიზიყი 220
 ქინგარა 208
 ქისტეთი 237
 ქიში, იბ. კში
 ქლუხორი 55
 ქორეთი 16
 ქსანი 19, 28, 214—215, 131, 134, 138
 ქსნის ხევი 29, 31, 35—37, 70, 71, 87,
 105, 106
 ქსოვრისი 29, 215
 „ქუეყანა ორგუეთისა“ 78
 „ქუეყანა ოუბაზთა“ 79
 „ქუეყანა მეგრელთა“ 79
 „ქუეყანა ქართველთა“ 79
 „ქუეყანი თრიალეთისანი“ 221
 ქუთათისი, იბ. ქუთათისი
 ქუთათის 77, 79, 81—84, 86, 107, 141,
 148—152, 154, 198, 204, 231, 232
- ქურდვაჭრის ხევი (ქურდვაჭრი)
 65, 70, 73
 ქური, იბ. მტყვარი
 ქურმუხის წყალი მუსტი 136 წლის
 ქუსთისჭი 29 ბრილი მომინდება
 ქუსტი 29
 ქურა 40, 45, 46, 50, 211
 ღალიძე 145, 147
 ღები 16
 ღვალოანი 93
 ღვანელი 58
 ღვინი-ვალ 202
 ღულელები 8, 14
 ჟაბალა, იბ. კაბალა
 ჟაზაბი 29
 ჟითაყი 242
 ჟიყული 74
 ჟალა-ბოინი 225
 ჟალა იბნ-ქანდამანი 47
 ჟარაბალი 234
 ჟარასი 98, 134
 ჟარა-სუ 69, 195
 ჟარალაჭი 18, 100
 ჟარსი 231
 ჟაფრ-ჩა 66, 67
 ჟავლის ცახე (ტორკეატრიონი) 109,
 143, 178—182, 184, 189, 191
 ჟეირილა 78, 93, 95
 ჟიზ-ჟალა 45
 ჟოროლი 144
 ჟოროლისთვევი 144
 ჟორშიყალა 8
- ჟაბირანი 21
 ჟავშეთი 28, 30, 31, 35, 48, 69—71,
 143, 155—157, 159, 166, 168, 177—
 179, 182, 190, 191, 201, 203, 205,
 206, 210, 230
 ჟავშეთ-კლარჯეთი 137, 155, 158, 160,
 174, 175, 192, 201
 ჟავშინი, იბ. ჟავშენი
 ჟავშენი 34
 ჟავიხი, იბ. ჟაქი
 ჟამქორი (ჟანქორი) 34, 150, 235



- შაშქორის ხეობა 41, 42, 44, 45, 48
 შარვანი 21, 40, 233, 234, 242, 243
 შატბერული 202, 205, 225
 შაქი (შაქე, შაქანი, შაქინი) 33, 34,
 64—67, 74, 75, 120—122, 124—
 126, 128, 129, 198, 233, 234
 შაქი (ქალაქი) 129
 შაქის სამეცნ 121
 შემოქმედი 298, 240
 შემცირი, იხ. შავშეთი
 შეგნი კახეთი 67, 95, 122, 124
 შიდა ეგრი 82, 149
 შიდა ქართლი 8, 16, 17, 24—28, 31,
 35, 51, 52, 70—72, 74, 129, 131,
 136—138, 140, 175—177, 182, 183,
 185, 206—209, 213—217, 221, 222,
 225, 231, 236
 შილდა 93
 შინდისი 215
 შირაკი 212
 შირაქი 93, 95—97, 100, 101
 შირვანი, იხ. შარვანი
 შოლავერი (სამცხეში) 71
 შორბაპნი 12, 78, 79, 82—85, 119, 140,
 141, 151
 შტორი 121
 შტორის სერისთავი 123, 124
 შტორის ხევი, იხ. სტორის ხეობა
 შულავერი (შულავერ-ჩიზე) 46, 69
 შულავერი (ყარა-სუს ხეობა) 69
 შულავერი (შოლავერი) 64, 69, 71
 შულავერის ხევი (სამცხეში) 69, 71
 შულავერ-ჩი 69
 შუჩქი (სუჭეთი) 120
- ნანგლი 75
 ნაღმა (თუშეთი) 89—92, 99, 100
 ნახარის ციხე (ნიალთა) 12
 ნახირ-ბაბა 161
 ნეგები 15
 ნელეთი 35, 36, 120
 ნელოდი (ნელეთი) 120
 ნელთის ხეობა 99
 ნიბათი 17
 ნიხა 184
 ნიმი 15
- ნოლური 148
 ნორჩანი 71
 ჩეუმი 146
 ნიალთა 15, 18, 100
 ნიალთის ხეობა 56
 ნიერიშელა 78
 ნიოროჩუ 9
 ჩეუმი 146
- ცივ-გომბორის ქედი 95
 ციეს მთა 95
 ციხე-გოჯი 79, 81—83, 86, 148
 ციხისძირი 10, 12, 152
 ციხისჭარი (ციხისძირი) 177
 ცოლნა 126, 127
 ცურტავი 39, 49
 ცხავატი 41
 ცხენისწყალი 79, 84, 140, 141, 147
 ცხირეთი 221
 ცხირეთის ცხე 109
 ცხრაძმისხევი (ცხრაძმისხევი) 35—37,
 105, 106, 218, 221
 ცხემარი 8, 15, 18
 ცხემი (ცხომი) 140, 141, 145, 151,
 153, 154
- ძაბა 218
 ძეგმი-ჩი 34, 39, 67
 ძინქ 15
 ძირულა 78
 ძორი 44
 ძოროგეტი 45, 133, 212
 ძოროფორი 31, 39, 44, 133, 212
- წალევა 72
 წანარეთი 130—132, 235
 წანერის ულალტეზილი 15
 წახეთი, იხ. წუქეთი
 წაპური, იხ. წუქეთი
 წებელდა 106, 145
 წიბილი 12
 წილკანი 18
 წილქნის რე 215
 წინამხარი 95, 100
 წინანდალი 8
 წინარეხი 221




- წინუართ 46, 47
 წირქვალი (წირქოლი) 106
 წირქმური 9, 10
 წითელი 95, 100
 წობენი 35, 36
 წობოფორი 40
 წოვა (თუშეთი) 91, 99, 100
 წოისი 118
 წოფის ცახე 108
 წოლის ხევი 35
 წექეთი 63—67, 74, 104, 120, 123,
 125, 126, 128, 235, 241
 წყალწითელი 78
- ჰაյატეთი 160, 161, 168, 169, 172
 ჰეივეთი 161, 168
 ჰალისუბანი 217
 ჰანეთი 161
 ჰაბალა 46, 47
 ჰართალი 41
 ჰედილი 202
 ჰერემი 109
 ჰიათურა 16
 ჰიაური 93, 95
 ჰიკანი 126, 127
 ჰორობ-დალი 161
 ჰორობი 140—144, 160—163, 165, 167,
 172, 199—205, 207, 209, 210, 232
 ჰუბერი 15, 18
 ჰუნდილი 79, 152, 227
- ჸაზარეთი 59, 81
 ჸალხალა 67
 ჸანი 202
 ჸანისწყალი 141, 149
 ჸანუა 159, 178, 179, 190, 191
 ჸაჩენი 41
 ჸახული 172, 226
 ჸევგრძელი 100
 ჸევი (ჸევი) 16, 19, 31, 63, 131, 235
 ჸევსურეთი 8, 9, 14, 16, 18, 97—99,
 235
 ჸევისჭალა 135
- ხეკორძული 139, 140
 ხენი 120, 121, 123
 ხერქი 30, 35, 36, 64, 74, 75, 76, 77, 78
 ხოდაშენი 95
 ხორბერთი 151
 ხორბენე 49
 ხორნაბუჯი 109, 122
 ხოლმალი 120, 121
 ხრამი (ქცია) 39, 41, 47, 211
 ხუნანი 12, 28, 31, 33, 34, 38, 40,
 43—48, 52, 70, 73
 ხუნახი (ხუნახი) 93, 94, 126, 127,
 237, 239—241
 ხუცრო 96
- ჰავებეთი 6, 30—32, 35, 48, 49, 58,
 63, 69—71, 138, 163, 176—178,
 181—184, 191—193, 199, 200, 207—
 211, 222—225, 228—231
 ჰარდამანი (გარდამანი) 21, 39—41, 44,
 47
 ჰარდამანი (ცახე) 42, 47
ჰარიახი 15, 95
 ჰინალი 205
 ჰიქეთი 140, 144, 231, 242
 ჰიხანქელი 79
 ჰიხახორა 54
 ჰუარი 63, 70, 73
 ჰუარისციხე 93, 109
 ჰურახი 30
 ჰურჩანი 20—22, 25, 30—34, 130, 192
 ჰურჩიდა 194
- ჸაბანლი 120, 121
 ჸარიზის ხეობა 165
 ჸარმაზი, იხ. არმაზი
 ჸარწლანეთი (ჸერპილიანი) 34
 ჸერეთი 5, 8—10, 32, 33, 47, 63—65,
 67, 73, 74, 88, 93—95, 110, 120—
 131, 134, 152, 233, 234
 ჸევარი 120, 121
 ჸნარაჟერტი 39, 40




- Абхазия
Азербайджан 58
Александриполь 231
Аракс 231
Армения 39, 101
Арпачай 231
Артвин 231
Артанудж 231
Ахалкалак 206, 231
Ахалцих 206, 231
Ахуриан 231
- Варташен 48
- Грузия 49, 59, 102
Гурджи Багази 48
- Двин 58
Дербенд 74
- Ереван 58
Ереванская гора 48
- Жики 48
- Закавказский край 87
- Закавказье 58, 60
- Кавказ 231
Карсская область 207
Кахети 100
Кечи 195
Кура 48, 231
- Лазика 82
Лезгинский рубеж 48
- Манглиси (Манджалис) 24
- Тафта 195
Тифлис 24
- Чани 48
Черкесский рубеж 48
Черное море 48
Чорох 206
Чорохский запад 207
- Шамкори 48
Ширазский рубеж 48
Ширванский рубеж 48

Ց Օ Ե Ճ Ա Խ Տ Ը Ն Ո

Բ Ա Ն Ա Տ Ը Ն Ո	3
Ժ Ա Յ Ո I. Սայմանական և ժողովրդական VII և. ձևական նախագիծներ	5
1. Այսուհետուր ֆինմիջլուրենի	5
2. Հածու հմատական ամառ ՝ “Ճապան և Տոկուլո”	20
3. Հարդաբանություն	38
4. Եղիշե և յեցամունքական կարտլան	48
5. Ըստացալություն և այսականական կարտլան	52
Ժ Ա Յ Ո II. Վոլոկացածություն VIII և. 40-ամսություն	57
1. Այսուհետուր ֆինմիջլուրենի	57
2. Համար ՝ “Մելու”	61
3. Շուշիություն	64
4. Կամերինություն և Շուշացարություն	67
5. Համար և Համար կարտլան Շուշացարություն	69
6. Շային	74
7. Ըստացալություն և այսականական կարտլան	75
8. Հյուտանություն	81
Ժ Ա Յ Ո III. Համարական մասնակիություն և մասնակիություն կամացալ գիծենիքներ	86
1. Կանոնական կամացալ գիծենիքներ	86
2. “Արքայի գիծենիքներ”	95
3. Հիմունական կամացալ գիծենիքներ	101
4. Համարական կամացալ գիծենիքներ	105
5. Ամառական կամացալ գիծենիքներ	113
Ժ Ա Յ Ո IV. Առմասացալություն և այսականական կամացալ գիծենիքներ	118
1. Այսուհետուր գուտարենի	118
2. Հյուտանություն	120
3. Կանոնական կամացալ գիծենիքներ	129
4. Մասնակիություն և այսականական կամացալ գիծենիքներ	136
Ժ Ա Յ Ո V. Ըստացալություն և այսականական կամացալ գիծենիքներ	140
1. Առաջանական կամացալ գիծենիքներ	140
2. Համարական կամացալ գիծենիքներ	144
3. Սամովալայիշ	149
4. Անապահ և այսականական կամացալ գիծենիքներ	153



თ ა ვ ი VI. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო	155
1. აშორ კურაპალატი	155
2. ტბი	174
3. კურაპალატების სამთავრო	174
4. ტერიტორიის შინაგანი დაწაულება	177
5. ტერიტორია	186
6. გურგენ ერისთავთერისთავი	188
7. ეკონომიკური გეოგრაფია და პოლიტიკური სტრუქტურა	197
8. ზემო ქართლი	205
თ ა ვ ი VII. საქართველოს გაერთიანება	210
1. ქვემო ქართლი	210
2. შილა ქართლი	212
3. შინაგანი ტერიტორიული დაწაულება	217
4. გაეხსეთი	222
5. დავით კურაპალატი	224
6. ბაგრატ III	228
Основные вопросы исторической географии Грузии (резюме)	245
შემოყვებათა სია	252
საძიებლები	254
რეკები	



ДАВИД ЛЕВАНОВИЧ МУСХЕЛИШВИЛИ
ОСНОВНЫЕ ВОПРОСЫ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ
ГРУЗИИ

II

(на грузинском языке)

რეცენზირების ისტორიის მეცნ. დოქტორი ი. სიხარულიძე
ისტორიის მეცნ. კანდიდატი უ. სიღამთხიძე

დაიმედა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამოშემცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 1131

რედაქტორი მ. ბერძნებული
გამომცემლობის რედაქტორი ლ. სიხარულიძე
ტექნიკური ც. ქამუშაძე
მხატვარი ვ. ხმალაძე
კორექტორი ლ. შებურიშვილი


გადაეცა წარმოებას 19.2.1980; ხელმიწიერილია დასაბეჭილად 23.10.1980;
ქაღალდის ზომა 60×90/1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბაზი 17.8;
სალრიცხვო-საგამოშემცემლო თაბაზი 16.6;

ფ. 01201; ტირაჟი 1600; შეკვეთა № 637;
ფასი 2 ბან. 50 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19
Издательство «Мецнериба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

四〇三



© 1995 by the author
in behalf of the
International Society
of Traumatic Stress Studies

